

114  
1965 / 4

ႁႃႅႆႇႈႉႊႋ

1965  
202-2010055

— 1965 —



# მნათობი

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივი-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 42-ე

№ 10

ოქტომბერი, 1965 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი-პოლიტიკური ცენტრის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

არჩილ სულაკაური — ოქროს თევზი. ნაწილი მესამე. რომანი. დასასრული	3
კარლო კალაძე — მთვარე, ვარსკვლავები და ავთანდილი. ლექსი	33
რევაზ ჭაფარიძე — ახლო არს ვახუშტელი. მოთხრობა	34
ედიშერ უიფიანი — მთელი შენი სიცოცხლე. მოთხრობა	77
ალ. ტყარდოვსკი — შორეთს იქითა შორეთა. პოემა. გაგრძელება. თარგმანი ოთარ ტყე- ლიძისა	88

### 800 შორთა რუსთაველი 800

შალვა ნუცუბიძე — რუსთაველი და ჭარბიელი მოაზროვნენი	103
აკაკი შანიძე — დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში	116

### პრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

გიორგი ვაჩეჩილაძე — სიკეთის პოეზია	127
გიორგი ლეონიძე — დავით გურამიშვილი. დასასრული	134

### კუხალიაძის

აკაკი წერეთლის მიწერ-მოწერა ცოლ-შვილითან. დასასრული	152
---	-----

### ფაქტები, მოგონებანი

მიხეილ კვესელავა — ათისი ფული ბრალდება. გაგრძელება	171
--	-----

### წიგნების მიმოხილვა

ირაკლი კენჭოშვილი — „გაბრაზებული“ შწერლის რომანი	189
თეიმურაზ ფანჯიყიძე — მეცნიერება და რელიგია	190
გურამ მეტრეველი — ლაპარაკობენ დაღუპული გმირები	191

5065



რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,  
ე. მაღრაძე, ბ. ელენტი, ა. სულიაკაური, ა. ქუთათელი, ე. უილიანი,  
ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 68. ტელეფონი 7-18-42; 7-11-66.

---

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/X-65 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწილის ზომა  
7<sup>1</sup>/<sub>4</sub>×12<sup>1</sup>/<sub>2</sub>. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობითი ფორმათა რაოდენობა 16.  
უე 03447 ტირაჟი 6500. შეცვლა № 2841.

---

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии  
Тбилиси, ул. Ленина, 14.

## პაჩიკ სვიაკაური

### ოქროს თევზი

#### ნაწილი მესამე

ოქროს თევზი დილიდანვე შემფოთებული იყო. ნერვიულად დასრიალებდა და კედლიდან კედელს აწყდებოდა.

შესაძლოა, დღეს პირველად იგრძნო, რომ მინის ეს მრგვალი ქილა, რომელშიც ამდენი ხანია ცხოვრობს, ძალზე პატარაა, რომ ამ პატარა ქილაში მწელია ამდენი ხანი ცხოვრება.

აღარც ახსოვს, როდის გამოუცვალეს წყალი. მინის კედელს სახესი მოედო და გარეთ გახედვა ჭირდა. ოქროს თევზს კი გამჭვირვალე კედლიდან ყურება უყვარდა. აკვირდებოდა, რა ხდებოდა კედლის მიღმა.

ვერ იტყვის, თითქოს არასოდეს ყოფილა ბედნიერი. როდესაც ყველა წავიდოდა და ოჯახში მარტო მირიანის დარჩებოდა, მოაკითხავდა ხოლმე. ოქროს თევზს ყოველთვის ეგონა, უფრო მეტიც, სჭეროდა, რომ მირიანს იგი ნამდვილად უყვარდა.

მირიანი სკამს ახლოს დაიდგამდა და მიუჯდებოდა. სახეს ზედ ქილასთან მიიტანდა და თვალბში უმზერდა. ოქროს თევზი ერთს გაინაჟარდებდა, გასრიალებოდა, მერმე სწრაფად მობრუნდებოდა და თვითონაც მიაჩერდებოდა მირიანს.

ასე უმზერდნენ ხოლმე ერთმანეთს დიდხანს.

— როგორა ხარ? — ეკითხებოდა მირიანი, — როგორა ხარ?

— კარგად! — უპასუხებდა ოქროს თევზი.

— მხოლოდ მე მესმის შენი, მხოლოდ მე მესმის... ჩემს გარდა არავის ესმის. არავის ესმის, იმიტომ, რომ მეც შენსავით ვცხოვრობ, შენსავით ვცხოვრობ, შენსავით ვცხოვრობ...

მერმე სიტყვები აღარ ესმოდა, რადგან ოქროს თევზი ცეკვას იწყებდა. თავდავიწყებამდე დასრიალებდა წყალში — ხან აღმა, ხან დაღმა, თევზი ხანდახან გახედავდა მირიანს, რომლის დაფიქრებულ სახეს თანდათან ღიმილი ეუფლებოდა...

მერმე ისევ დაწყნარდებოდა, დაცხრებოდა... ისევ ესმოდა მირიანის ხმა:

— იყო დიდი მხატვარი... დიდი მხატვარი, რომელმაც ოთხი ოქროს თევზი დახატა... ოთხი ოქროს თევზი... მაგრამ ოთხი ოქროს თევზი არ არსებობს ქვეყნად... არსებობს ერთი, არსებობს ერთი, არსებობს ერთი... და ის ერთი ოქროს თევზი შენა ხარ... შენა ხარ!

საშინლად უკვირდა, რომ ქვეყანაზე ერთადერთი ოქროს თევზი არსებობდა, მაგრამ ამავე დროს უხაროდა, რომ ის ერთადერთი ოქროს თევზი თვითონ იყო.

ბუნდოვნად ახსოვდა, ოდესღაც, ალბათ, დიდი ხნის წინათ, ვიღაც მირიანი აქ მოიყვანდა, სხვა თევზებთან ერთად ცხოვრობდა. ოღონდ კარგად ვერ იხსენებდა, ნამდვილად ბევრი ცხოვრობდნენ თუ არა, ვერც ის გაიხსენა ვერაფრით, ბედნიერი თუ იყო მაშინ...

დღეს დილიდანვე შემფოთდა.

რამ შეაშფოთა?

სხეული უთრთოდა და გული ეკუმ-  
შებოდა, ისედაც პაწაწინა გული.

რატომ ეკუმშებოდა გული?

დაძაბული დასრიალებდა და კედლი-  
დან კედელს აწყდებოდა. შეიძლება იმი-  
ტომ, რომ კარგად ვერ ხედავდა რა ხდე-  
ბოდა ხავსით დაფარული მინის კედლის  
მიღმა.

შუშაბანდში თეონამ გაიარა. ტანის  
რხევით იცნო, ხშირად იცნო... თეონა  
თავისთვის დიდინებდა, ეტყობოდა კარგ  
გუნებაზე იყო. მირიანიც დალანდა ერ-  
თი-ორჯერ... მირიანი დადიოდა ოთახი-  
დან ოთახში. რაღაცეები შეჰქონდა და  
გამოჰქონდა. მირიანს არ ეცალა. ეგეც  
არ იყოს, მირიანი მაინც არ მოაკითხავ-  
და, სანამ ყველანი შინიდან არ წავიდო-  
დნენ.

ახლა შორიდან ისმოდა თეონას სიმ-  
ღერა. თეონა იმდენად იყო გახარებუ-  
ლი, რომ ამ სიხარულს ვეღარც მალავ-  
და. მღეროდა, შესანიშნავად მღეროდა  
თეონა.

ღედა საქმიანად იღვა მაგიდასთან და  
აუთოვებდა.

თითქოს არაფერი ხდებოდა ისეთი.  
რასაც შეეძლო აელეღვებინა, თითქოს  
არაფერი შეცვლილა, თეონას ბევრჯერ  
უმღერია ასე მხიარულად, დედაც ხში-  
რად მდგარა მაგიდასთან თავისი პრილა  
უთოთი. მირიანიც არაერთხელ უნახავს  
ოთახებში მოფუსფუსე.

სამზარეულოდან ხატაურა გამოვიდა.  
კუდი აპრიხა და დაიკნავლა. მერმე მა-  
გიდაზე შეხტა და თავით ღედას გაეხა-  
ხუნა. ღელამ ზელი გაიქნია და კატა  
იატაკზე გადმოაგდო.

ოთახში ისევ გამოჩნდა თეონა.

ოქროს თევზს გული უწუხდა. კურ-  
მელში ვეღარ ეტეოდა, სუნთქვა უჭირ-  
და. ფსკერისკენ დაეშვა. მერმე ფარფ-  
ლები ღონივრად დაიქნია და ისარივით  
იჭრა ზევით. წყლის ზედაპირს რომ მი-  
უახლოვდა, კიდეც ერთხელ დაიქნია  
გრძელი ფარფლები და წყლიდან ამოხ-  
ტა. ერთი წამით ამოხტა მხოლოდ, ისევ  
წყალში ჩაეშვა თავდაყირა.

იმ ერთ წამში ნათელი ქვეყანა დინა-  
ხა. ნაცნობი, ათასჯერ ნახავდი და გნუ-  
დილი, მაგრამ მაინც სხვანაირი. ქვეყა-  
ნა უფრო მხიარული და გაბრწყინებუ-  
ლი ეჩვენა, ვიდრე აქამდე ეგონა.

იმ ერთ წამში სამი გაღიმებული სა-  
ხე დინახა. მირიანის, ღედასი და თეო-  
ნასი. ყველას რაღაც უხაროდა, თუმცა  
ეს სიხარული არ იყო ერთნაირი, ანდა  
ერთიანი. ყველას თავისთვის უხაროდა  
რაღაც, ცალ-ცალკე უხაროდა.

უცებ ზარი დაირეკა.

ოქროს თევზს გული კინდამ გაუსკ-  
და. ასე ემართებოდა ყოველთვის, ზა-  
რის ხმა გულს უხეტოვდა...

ოქროს თევზმა პლატონის დიდი თა-  
ვი დინახა, წრე შემოხაზა და ფსკერი-  
სკენ გაეშურა. ნიჟარას ამოეფარა, გა-  
ყუჩდა, გაინახა და მოლოდინით აღი-  
ქურვა.

— პა... მიდიხარ... პო... მიდიხარ... —  
თქვა პლატონმა.

პასუხი არავის გაუცია და ოქროს  
თევზმა ვერ გაიგო, ვისი მიხამართით  
იყო ნათქვამი ეს სიტყვები.

მაგიდიდან სასწრაფოთ აკრიფეს თეთ-  
რეული. სამზარეულოდან ხმაურით გა-  
მოიტანეს ქურჭელი და სუფრა გააწყეს.

პლატონი მაგიდას მიუჭდა.

ნიჟარას მოფარებული დაძაბული  
ადევნებდა თვალს მოძრავ ლანდებს.  
„რა მემართება, — ფიქრობდა, — რა-  
ტომ ვღელავ, რატომ მიცემს ასე საშინ-  
ლად გული?“

პლატონმა რაღაც გაურკვეველად წაი-  
ბურტყუნა. ოქროს თევზმა ვერ გაიგო,  
რა თქვა პლატონმა.

— მირიან, მამა ამბობს... ამბობს...  
როდის დავლოცოთო შენი ბინა... შენი  
ბინა?... — გაიმეორა მამის ნათქვამი  
თეონამ.

— როცა გენებოთ... როცა გენე-  
ბოთ... — უპასუხა მირიანმა.

ოქროს თევზი ისევ ზევით ამოცურ-  
და და მინის ხავსიან კედელს მიაღდა,  
ცდილობდა მირიანის სახე დაენახა.

უცებ, მისდაუნებურად, საზარელი ხმა აღმოხდა.

— მირიანი!

როგორც ჩანს, ოქროს თევზის ხმა არავის გაუგონია. ამ ხმას არცერთი მათგანი არ შეუძრწუნებია. მხოლოდ თვითონვე დაეცა თავზარი, საკუთარმა ხმამ შეაშინა და ათრთოლებული კვლავ ნიჟარას ამოეფარა.

ოქროს თევზი ცახცახებდა. იგი მიხვდა, რომ მირიანი მიდიოდა, სამუდამოდ ტოვებდა სახლს. ფარფლები მოუდუნდა, სასოწარკვეთილი დაესვენა ფსკერზე... მაგრამ იმედის სხივმა გაუელვა უცერად გონებაში და ისევ ზევით ამოტივტივდა.

თუ მირიანი ნამდვილად მიდის, მაშინ, რა თქმა უნდა, მასაც თან წაიყვანს... რა თქმა უნდა წაიყვანს, მაშ, აქ ვის დაუტოვებს?

მოულოდნელად კარგ გუნებაზეც კი დადგა. ერთი-ორჯერ ნეტარებით გასრიოდა წყალში. მისთვის სულერთი იყო სად იქნებოდა, ამ შესაბანდში, თუ სხვაგან, მთავარია, მირიანთან ახლოს ყოფილიყო. ბოლოსდაბოლოს, მოწყინდა სულ ერთავად შესაბანდში ყოფნა. სხვა ჭვეყნების ნახვა მოენატრა.

— წავედი, — გაიგონა მირიანის ხმა, — წავედი.

— მოიცადე, — გადაეღობა დედა, — ერთად ვისადილოთ. მოიცადე.

— არ მინდა... არა მშია... არა მშია.

ოქროს თევზი გაილურსა. სულგანაბული ელოდებოდა ნაცნობი ნაბიჯების მოახლოვებას.

— ჰა... მიღიხარ... მიღიხარ... ჰა... — ბურტყუნებდა პლატონი.

ნაბიჯების მოახლოვებას ელოდებოდა მოუთმენლად.

პლატონი წამოდგა. მირიანი კარებთან იდგა და ილიმებოდა. ოქროს თევზს ეგონა, რომ მას უღიმოდა და ქრუანტელმა დაუარა მთელ ტანში. თავბრუსდამხვევი სისწრაფით დატრიალდა, კამარა შეჰკრა და ისევ შეჩერდა. შესა-

ბანდში უკვე აღარავინ იყო... არც მირიანი, არც სხვა...

— მირიანი! — დაიყვირა... მირიანი! — მერმე ფარფლები დაჰკრა მხედრილით და წყლიდან ამოხტა.

ირგვლივ სიკარიელე იყო.

— მირიანი!

გამწარბელი ასკდებოდა კედელს, მაგრამ საშველი არ იყო.

მერმე მოეშვა, მოდუნდა, გული ტკიოდა, საშინლად ტკიოდა პაწაწინა გული. ისე წავიდა მირიანი, არც კი მოუხედავს. მოხედვა იქით იყოს, არც კი გაახსენდა ოქროს თევზი.

არეული ნაბიჯების ხმა ახლოვდებოდა. მიხვდა, შინაურებმა მირიანი გააციულეს და უკან ბრუნდებინან. ახლა მიუხედებიან მაგიდას და ისადილებენ, კარგად დანაყრდებიან.

— მაინც გული დამწყდა, რომ წავიდა... გული დამწყდა... — თქვა დედამ ნამტირალევი, გაბზარული ხმით.

თეონამ გააციინა:

— მადლობა ღმერთს, წავიდა. სულ შეშინოდა მირიანის... სულ შეშინოდა...

— რა ცუდი გოგო ხარ, თეონა... ცუდი ხარ... — ეს ისევ დედაა. — რას გიშლიდა?... ყოველთვის თავისთვის იყო, არავის აწუხებდა... თავისთვის იყო.

ხოლო პლატონმა თქვა:

— დიდი გახდება, ჰო... კაცი... დიდი კაცი... წავიდა... ჰო... არ უნდა წასულიყო... არა... გამოგვადგებოდა... ალბათ, ჰო... გამოგვადგებოდა... გამოგვადგებოდა...

ოქროს თევზი ნიჟარის უკან მიყუყუელიყო. ერთი წამით მოეჩვენა, თითქოს ოჯახიდან მირიანი კი არა, უცხო ვიღაც წავიდა.

ნიჟარის უკან მიყუყუელი ტიროდა. თან იმედი ჰქონდა, რომ მირიანი, დღეს თუ ხვალ, უთუოდ გამოივლიდა და წაიყვანდა... აქ არ დატოვებდა.

ყველა სულდგმული იმედით ცოცხლობს...

ნახევრად ბნელ სალუდეში დათომ თვალი მოჰკრა უფროს ძმას. ჯერ მართო ეგონა, მაგრამ, როდესაც მეორედ ჩაუარა სალუდეს, დაინახა: ვიღაც ორ მამაკაცთან ერთად ნიკელის ფეხებზე შეყენებულ, მალალ მაგიდასთან იდგა მირიანს.

ორ კვირაზე მეტია უფროსი ძმა არ უნახავს: ამას წინათ მირიანს საბურთალოში ერთთახიანი ბინა მისცეს და გადასახლდა.

შინიდან არაფერი წაუღია, დათოს ეგონა, ოქროს თევზს მაინც წაიყვანდა, მაგრამ მირიანმა არც ოქროს თევზს მოაკითხა, საერთოდ აღარ გამოუვლია ძველ სახლში.

დათო სალუდესთან წრიალებდა. ძმის ნახვა უნდოდა და შესვლა ერიდებოდა. კი არ ერიდებოდა, აინტერესებდა, უცებ მირიანს რომ დაენახა, დაუძახებდა, თუ არა?

ქარიანი დღე იყო და ციოდა. კოლმეურნის მოედანზე მაინც უამრავი ხალხი ფუსფუსებდა.

ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტრამვაები, ყველა ჯურის ავტომანქანები, ხალხი... ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა... პატარა მოედანი გამაყრუებლად გუგუნებდა.

დათომ გაიარ-გამოიარა სალუდეს წინ და მერმე ჩქარი საქმიანი ნაბიჯით შევიდა დარბაზში. ისეთი სახით გადახედა ხალხს, თითქოს მათ შორის ნაცნობი ეგულებოდა და რატომღაც ვერ პოულობდა. ბოლოს მზერა მირიანზე შეაჩერა.

მირიანი მკლავებით დაყრდნობოდა მაგიდას. დაფიქრებული, ლუდის ტოლნას ჩაშტერებოდა. ორივე მამაკაცს მირიანისთვის მიეპყრო თვალები. დათოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს უფროსი ძმა რაღაც საინტერესო ამბავს ყვებოდა და ერთი წამით დადუმდა. ხოლო ამზანაგები სულმოუთმენლად ელოდნენ, როდის ამოიღებდა ხმას, რო-

დის გააგრძელებდა დაწყებულ საუბარს.

დათო უცებ გამობრუნდა. სანამ დარბაზიდან გავიდოდა, ირინად მიხედა მირიანს. უფროსი ძმა უკვე ლაპარაკობდა. მხოლოდ ახლა დაემადა ეჭვი — შესაძლებელია, მირიანმა დაინახა და თვალი ააჩინა. არ მოისურვა უმცროსი ძმის დაძახება.

გარეთ გამოსული თავის თავზე უფრო ბრაზობდა, ვიდრე მირიანზე. მაინც რა საჭირო იყო ეს თამაში? თუ ძმის ნახვა უნდოდა პირდაპირ მისულიყო, თუმცა მირიანმა ხომ არ იცოდა, რისთვის შევიდა?... იმანაც ხომ ისე მოაჩვენა თავი. თითქოს უმცროსი ძმა ვერ დაინახა...

ქუჩაში გასვლისთანავე ავთანდილ ხარბაძეს მოჰკრა თვალი. სკოლის ამხანაგს პალტოს საყულო აეწია და გიბეებში ხელებჩაწყობილი სალუდეს წინ დაბორილობდა. ალბათ, ნაცნობს ეძებდა, ერთი არაყი, ან იაფფასიანი კონიაკი რომ გადაეკრა.

— ავთანდილ!

ავთანდილმა დათოსთან მფირბინა. მისალმებამდე გამომცდელად მიაჩერდა დათოს თვალებში, ალბათ, უნდოდა გამოეცნო, რისთვის დაუძახა, დასაბატოებლად, თუ სალაზღანდაროდ.

— როგორა ხარ, ავთო?

— ვარ, რა.

— ხომ არ დაგველია?

ავთანდილ ხარბაძემ მორცხვად გაიღიმა:

— ფული არა მაქვს, ბიჭო.

— რახან შეგთავიზებ... ალბათ...

— კი, კაცო... მაგაზე გაწყენინებ?!

ასეთი გარდასახვა პირველად ნახა დათომ. სკოლის ამხანაგს სალუდეში მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა და ისიც დატრიალდა. ეს იყო სულ სხვა კაცი, ან უფრო სწორედ, ეს იყო კაცი, რომელიც დიდი ხნის განშორების შემდეგ თავის ქვეყანას დაუბრუნდა.

დათომ ისეთი მაგიდა ამოირჩია და ისე დადგა, რომ მირიანს მისი დანახვა

შესძლებოდა. თავიც იმგვარად ეჭირა, ვითომ უფროსი ძმა ვერ დაინახა, ვითომ წელან რომ შემოვიდა, სწორედ ამ კაცს ეძებდა.

ავთანდილ ხარაბაძემ, მიუხედავად იმისა, რომ დახლს უამრავი ხალხი აწყდებოდა, ხინკალი, არაყი და ლუდი მაშინვე მოაჩვენინა.

— ამ უბანში საიდან გაჩნდი, ბიჭო? ჰკითხა დათოს.

— აქვე ვმუშაობ, ვერცხლის ქუჩაზე.

— აჰა!

დათო შინაგანად კმაყოფილი იყო. მთულოდნელად სკოლის მეგობარს რომ გადააწყდა. ცოტა ხნის შემდეგ უკვე თვითონაც სჭეროდა, სალუდში რომ შემოიხედა წელან, თითქოს ავთანდილ ხარაბაძეს ეძებდა.

ავთანდილ ხარაბაძე დიდხანს წრუბავდა არაყს და თვალები ნეტარებით ელულებოდა. დათომ უცებ გადაჰკრა და უსიამოვნოდ დაიქყანა, მაშინვე დააყოლა ლუდი.

არც ისეა საქმე, როგორც დათო ფიქრობდა, თურმე მირიანს მეგობრები ჰყოლია... ალბათ, მეგობრები არიან — ამ სალუდში უცხო ხალხთან რატომ შემოვიდოდა? რა თქმა უნდა, ჰყოლია მეგობრები, ანდა, შეიძლება, ახლა შეიძინა.

მომწვანო წყალში თავისთვის დასრიალებდა მიტოვებული ოქროს თევზი.

— ჰამე, თორემ გაცივდება. სკოლის ამხანაგმა ხინკლიანი თეფში მიუღროჩა დათოს.

ღედა და თეონა ერთხელ იყვნენ მირიანთან და კმაყოფილნი დაბრუნდნენ: მშვენიერი ბინა არისო. მარტოხელა კაცს მეტიც არ უნდაო.

— დათო, ის კაცი შენი ძმა ხომ არ არის?

— კი, მირიანია, — გვერდზე არც მიუხედავს, ისე უპასუხა დათომ.

— უბრაღ ხომ არა ხართ?

— არა, რატომ უნდა ვიყოთ უბრაღ?

— დიდად არ გამოცვლილა...

— მოიტანე არაყი... ოდონდ შენთვის... მე ველარ დავლევ.

— მეც ვერ დავლევ, — თქვა ავთანდილ ხარაბაძემ. — ას გრამზე მეტი ჭერ არ დამიღვევია...

დათომ ეჭვით გადახედა სკოლის მეგობარს და გაიღიშა.

— რას იღიმიები? არ გჯერა?

— რომ არ გიცნობდე, დაგიჭერებდი.

— ჩემ სიცოცხლეში არ დამიღვევია ას გრამზე მეტი.

საწერ მაგიდაზე ხელნაწერი ფურცლებია გაშლილი. დათო მივიდა და დახედა... მირიანის გაკრული ხელი იცნო: „მძიმე ტვირთივით მოვიშორე მოგონებები... აღარა მყავს ძველი ნაცნობები, ამხანაგები, მეგობრები... თუ ხანდახან ჩემს მეხსიერებაში რაიმე მოგონება ამოტივტივდება, აუტანელ ტკივილებს მაყენებს და ვცდილობ მაშინვე მოვიშორო, სამუდამოდ დაგეარგო...“

ტყუიან, თვალთმაქცობენ, ერთმანეთს ატყუებენ. ერთმანეთს და საკუთარ თავსაც...

— ძალიან გაითქვა შენმა ძმამ სახელი... ეტყობა, მაგარი ვინმეა, მთავარი მაინც ის არის, რომ ნიჭიერი კაცი ყოფილა... ამ ოთხი დღის წინ წავიკითხე მაგის მოთხრობები. მომეწონა. — თქვა ავთანდილ ხარაბაძემ და ხინკალი დაითრია.

სად შეიძლებოდა მირიანის მოთხრობები წაეკითხა ავთანდილ ხარაბაძეს? როგორც ჩანს, რომელიღაც გაზეთში ან ეურნალში დაიბეჭდა. სხვანიარად როგორ წაიკითხავდა...

— კი, საინტერესო მოთხრობებია. დაუდასტურა მერმე სკოლის ამხანაგს.

— შენ, ალბათ, ხელნაწერი წაგაკითხა.

— რა თქმა უნდა... ისიც და ესეც...

— მახსოვს, სკოლის კედლის გაზეთშიც წერდა რაღაცეებს.

მირიანი მიესალმა სტუმარს, თუმცა... მგონი ვერ იცნო.

— რა თქმა უნდა, ვერა მცნობ, —

გაეღმა მუსიკის მასწავლებელს, — მე ბუბა ვარ.

— ბუბა?

— შეგხედე თუ არა, მაშინვე გიცხენი...

ავთანდილ ხარაბაძემ „პრემის“ წითელი კოლოფი ამოაძვრინა ჯიბიდან და დათოს გაუწოდა. დათომ უარი უთხრა...

— განა პირველ სკოლაში არ სწავლობდი?

მირიანმა დათოს გადახედა, მერმე თავი გააქნია:

— არა.

ბუბა ეშმა დაიბნა...

ავთანდილ ხარაბაძე კმაყოფილებით ქაჩავდა სიგარეტს. თავისი წილი ლუდი უკვე დაეღია და ახლა, თამბაქოს ბოლში გახვეული, გვერდზე ინედებოდა, ალბათ, მირიანს უყურებდა. წყნარი, დამშვიდებული სახე ჰქონდა.

— გამაცანი რა, შენი ძმა, — თხოვა ბოლოს დათოს.

— ახლა?

— სხვა დროს სადა ვნახოთ ერთად.

— ახლა არ ღირს.

— შენს ძმას ბევრჯერ შევხვედრივარ აქ... პირველად სულ მარტო დადიოდა... ბოლო დროს სამნი დადიან ერთად. ეგ მაგიდა აქვთ ამოჩემებული. საოცარი კია, სულ შენი ძმა ლაპარაკობს... ისინი ვაშტერებულებით უსმენენ. საინტერესოა, რა აქვს ამდენი სალაპარაკო. მეც სიამოვნებით მოვეუსმენდი.

— ლუდი მოიტანე, ლუდი მაინც დაგლიოთ.

ავთანდილ ხარაბაძე ლუდის მოსატანად წავიდა.

დათო ბუბა ეშმაზე ფიქრობდა. დიდი ხანია ამ ქალზე აღარ უფიქრია. ახლახან გაახსენდა მხოლოდ და გუნება გაუფუჭდა, მოულოდნელი სევდით აივსო. სულ ეჩვენებოდა, რომ ეს ქალი შეურაცხყოფილი და დამცირებული იყო. ცხოვრებამ კუთხეში მოამწყვდია და მერმე ზურგი შეაქცია.

ამასვე ფიქრობდა საკუთარ თავზეც...

ერთხელ უცნაური სიზმარი ნახა. ვითომ უხარმზარი მინის ჭურჭლად იქცა და მზით განათებულ შუშაბანდის კუთხეში იდგა. პირამდე იყო საგსე მომწვანო წყლით. მომწვანო წყალში დასრიალებდა დიდი, გრძელფარფლიანი ოქროს თევზი. მარტოდ-მარტო დაცურავდა. დათო ტკივილივით გრძნობდა: მის სხეულში წრიალებდა უცხო არსება. ამავ დროს იმასაც გრძნობდა, რომ თევზისთვის თვითონაც უცხო სხეულა იყო. ოქროს თევზი წუხდა, თავის დაღწევა უნდოდა, მაგრამ ამოდ აწყდებოდა მინის გამჭვირვალე კედელს...

— ნახე, რა ლუდია, — თქვა ავთანდილ ხარაბაძემ მოსვლისთანავე. — ახალი კასრი ვახსენს.

— კიდევ ხომ არ დაგველია არაყი?

— არა... დღეს საღამოს უნდა ვიმუშაო... ახლა წავალ, დავიძინებ და მერე საქმეს შევეუდგები.

— რას აკეთებ?

— ვთარგმნი.

— რას?

— დანტეს,

— დანტეს?

— ჰო, „ჯოჯობეთს“.

— ენა იცი?

— კი.

— როდის ისწავლე?

— ექვსი წელი სხვა არაფერი მიკეთებია. მთელი სიუბაუკე მაგას შევალე.

— „ჯოჯობეთი“ ხომ არის თარგმნილი.

— კი. წაგიკითხავს?

— არა. დავიწყე და ვეღარ დავამთავრე.

— ეტყობა, ორი რომ თარგმნიდა...

შიგა და შიგ კარგია... მაგრამ საქმე რა-შია, იცი, ისე უნდა თარგმნო, შენისთანა კაცი რომ დაიწყებს კითხვას, ბოლომდე წაიკითხოს.

— არსად არ მუშაობ?

— როგორ არა, საღამოს სკოლაში ვასწავლი ქართულს... პურის ფულად გვეყოფნის მე და დედას... მეტი არც მინდა... ხანდახან შენსავით ვინმე თუ დამპატივებს...

— როდის მორჩები თარგმნას?  
 — ალბათ, სამ-ოთხ წელიწადში.  
 — თუ გჭირდება, ფულს გასესხებ...  
 მე სამყოფზე მეტი ფული მაქვს.  
 — მერმე როგორ გადაგიხადო? გაიცინა ავთანდილ ხარაბაძემ.  
 — როცა გინდა... როცა წიგნს გამოსცემ.  
 — არა, არ მინდა... ვიცხოვრებ ისე, როგორც აქამდე მიცხოვრია, ტყუილად რატომ დავიღო ვალი?  
 — როგორღაც შეურაცმყოფელია, ავთანდილ, სალუდესთან წრიალი და ლოლინი... ვინ შეგიყვანს, ვინ დაგაღვივინებს ას გრამ კონიაკს? ეგეც რომ არ იყოს, დროს ზომ გაკარგვიანებს შინიდან გამოსვლა და ხეტიალი?  
 — რა თქმა უნდა.  
 — ფულს მოგცემ... რამდენიმე ბოთლი ერთად იყიდე, მოიმარაგე.  
 — მაგისტანა ფუფუნების უფლება, მართალი ვითხრა, არა მაქვს.  
 — მაშინ, აქედან რომ გავალთ, მე გიყიდი ექვს ბოთლს... მთელი თვე რომ გეყოს.  
 — გმადლობთ, დათო... კარგი ბიჭი ხარ... შენ ყოველთვის კარგი ბიჭი იყავი... კეთილი.  
 დათოს ესიაშოვნა მეგობრის ნათქვამი და დამშვიდდა. ამ სიმშვიდემ მერმე ჩააფიქრა. „ალბათ, იმიტომ შევთავაზე ფული, რომ ასეთი რამ ეთქვა ჩემთვის... მის ნიქსა და შრომისუნარიანობას ჩემი სიკეთე დავუპირისპირე. რადგან... რადაც ხომ უნდა ჰქონდეს ადამიანს, ან ტალანტი, ან სხვა რამ? მე არაფერი გამაჩნია და ეს „სიკეთე“ — მეგობრისადმი ზრუნვა მოვიგონე...“  
 სკოლის მეგობრებმა მალე დატოვეს სალუდე. მირიანი თავის ამხანაგებიანად იქვე დარჩა.  
 ავთანდილ ხარაბაძემ არც ფული გამოართვა და არც კონიაკი აყიდვინა. მადლობა გადაუხადა, დაემშვიდობა და წაიდა. დათო მარტო დარჩა ხმაურთან მოედანზე. ცოტა გაიარა და მერმე ნატო

ვანდაძის ქუჩას აყვავა რუსთაველის პროსპექტისაკენ.  
 აღმართზე მიმავალი, ისევ „სკოლის მეგობარზე ფიქრობდა, ავთანდილ ხარაბაძე ყოველთვის რატომ ეგონა ლოთი და არაფრის მაქნისი? ნუთუ მუდამ ასე ცდებოდა, ანდა ცდება ადამიანის შეფასებაში?  
 მერმე მოეჩვენა, რომ თვითონ არის უნებისყოფი. შემძვრალია სადღაც, ჭურღმულში, და უღირსი ადამიანები თავის ნება-სურვილზე ათამაშებენ...  
 მერმე უცებ გადაწყვიტა, ახლავ ენახა ის სახლი, რომელსაც თვითონ აშენებდა ოდესღაც. ასეთი სურვილი რომ დაებადა, თვითონვე გაუქვირდა რადგან დღემდე საბურთალოსკენ გახედვაც კი ეზიზღებოდა.  
 სახლი ისევე იდგა, როგორც მიატოვა. მეოთხე სართულისთვის ზემოდან აგურიც კი არ დაუდგიათ.  
 სამუშაოთა მწარმოებლად მაშინ დათოს მაგივრად გამოგზავნეს ბებერი ინდაური — გამოცდილი მშენებელი.  
 სულ ორი სართული იყო ასაყვანი, სულ ორი სართული.  
 ირგვლივ ყველაფერი დაერბიათ, გაეპარტახებინათ.  
 დათო სინანულითა და გულსტკივილით შესცქეროდა მიტოვებულ შენობას, უფრო სწორედ, შენობის ჩონჩხს, რატომ ეგონა, თითქოს ის ერთი ოთახი მეოთხე სართულზე მისი იყო? დაპირდნენ... ამ დაპირებაზე ახლა ეცივნება, მაგრამ მაშინ სჯეროდა. ნამდვილად სჯეროდა, რომ ის ერთი ოთახი მეოთხე სართულზე მისი იყო. მსუსხავმა ქარმა დაუბერა და სახეში შეაყარა მტვერი. დათომ სახე მოარიდა. დიდხანს ისრესდა თვალებს ხელისგულებით...  
 ფანჯრიდან მოჩანდა დამეული სივრცე. ვარსკვლავებიანი სივრცე ოთახზე უფრო ნათელი იყო, ჭერიც უფრო ნათელი იყო, ჭერზე დაბორილობდა მირიადობით ვარსკვლავი. რკინის ბიჯანზე გასასვლელ კართან გაჩირაღდნე-



ბულ ქალაქს გასცქეროდა. ქალაქი დამის რეიდზე მდგარ გამახსახებულ ხომალდსა ჰგავდა.

— მოგწონს? — დათოს გულით უნდოდა აქაურობა ციციხოს მოსწონებოდა.

— კარგია, — უპასუხა ციციხომ.

დათომ ირველივ შემოუარა სახლს. მერმე ნელნელა აჰყვა დროებით დაგებული ხის კიბეს... მეოთხე სართულზე ავიდა. ზევით ქარი უფრო მეტად მძვინვარებდა, გულის წამლებად ზუზუნებდა. დათომ პალტოს საყველი აიწია და ყურები ჩამალა.

— საით გირჩევნია ყურება, თბილისისაკენ, თუ წყნეთისკენ.

— სულერთია... თუმცა, სჯობია თბილისს ვუყუროთ... ლამაზია... — უპასუხა ციციხომ.

ისინი ბურბუშელაში ისხდნენ და ქალაქს გასცქეროდნენ: დათომ პიჯაკი გაიხადა. პიჯაკი ორივემ მოიხურა...

ბურბუშელა ისევ ეყარა ოთახში, ოღონდ ქარს აქეთ-იქით მიმოფანტა. დათო მარტო იდგა და უმიზნოდ იხედებოდა ფანჯრიდან, საიდანაც წყნეთის ფერდობები მოჩანდა.

მერმე გამობრუნდა ისევ დაეშვა ხის კიბეებზე.

— სად მივიღივართ, დათო?

— შენ არ იცი, ზუთი-ათი წლის შემდეგ აქ რა იქნება.

— რა გვეჩქარებოდა, ჩვენც ათი წლის შემდეგ მოვსულიყავით...

დათო დაფიქრებული მიდიოდა მიწაყრილზე, ვიდრე შენობა თვალს მიეფარებოდა, ერთხელ კიდევ მოხედა.

სხვა ნაგებობათა და ამწიეებს შორის ოთხსართულიანი შენობის ჩონჩხი იდგა.

საშინლად ციოდა.

დათო აიბუხა. თავი მთლიანად ჩარგო პალტოს საყველოში და თავისი გზით წავიდა.

ცხოვრება რალაცას უმაღლავდა — დიდსა და მნიშვნელოვანს, თითქოს არ ენდობოდა.

„რა მოხდება, ხელიდან სამუშაოზე რომ არ გამოვცხადდე? უკვე აღარ შემიძლია იმ ჭურღმულში ჩასვლა. რა უნდა მოხდეს, არ წავალ... არ წავალ... არ წავალ... პლატონი და ნიკო გაგიყვებიან. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ, ერთსაც და მეორესაც! ეგ კი არა, ამ სახლიდანაც უნდა წავიდე... რაც შეიძლება, მალე უნდა წავიდე!“..

დათო უკვე კარგა ხანია ფიქრობდა ოჯახიდან წასვლაზე. პლატონის სიახლოვეს ველარ იტანდა. ველარ უძლებდა მოგონილ სიყრუესა და ენაბლუობას.

ყოველდღიურად სარდაფში ჩასვლაც გულს ურევდა. გულს ურევდა ყოველდღიური შეხვედრა შავ კოლასთან, დამბალი ტყავეულისა და საღებავების სუნი...

იმ ბნელ სარდაფში ერთადერთი ნათელი ყრუ-მუნჯი გოგონა იყო, რომელსაც ადგილობრივი წარმოების მწვანე ქაჭტი ეცვა მუდამ. დიდი, წყლიანი თვალეები ჰქონდა, კუპრივით შავი თვალები, მეტყველი...

ლაურა საათობით იდგა ხოლმე და აღტაცებული შესცქეროდა დათოს, სულ იმას ელოდებოდა, რას დაავალებდა, რომ ეს დავალება გასაოცარი მორჩილებითა და სიყვარულით მაშინვე შეესრულებინა.

— რა გინდა, ლაურა? გინდა რა მე? — ეკითხებოდა დათო. — რაც გინდა, მთხოვე.

მაგრამ ლაურას არ ესმოდა დათოს ნათქვამი. სახე დაეძაბებოდა და ხელების მოძრაობით თხოვდა, როგორმე გააგებინოს, რა უთხრა დათომ.

ერთ დღეს დათოსთვის მოულოდნელი ამბავი დატრიალდა. როდესაც ლაურას ელაპარაკებოდა, საამქროდან გამოვარდა შავგვრემანი, ტანმორჩილი ვაჟი. ხელში ჩაბღუჯული ჰქონდა ტყავის საჭრელი, ალესილი დანა. ასე გიჟივითი კაცი ჯერ არ ენახა.

შავგვრემანი ვაჟი დათოსთან მოიჭრა.

გამწარებელი რაღაცას ეუბნებოდა ხელების ქნევით. დათო მიხვდა: ემუქრებოდა. მერმე ვაჟმა ლაურას მოჰკიდა ხელი და ღონივრად მოიქნია. საცოდინო, სუსტი გოგონა იატაკზე დაეცა.

დათომ წაქეულისკენ გაიწია, მაგრამ შევეგვრემანი ვაჟი გადაეღობა. დათოსაც ჰკრა ხელი და დანა მოუღირა. საამქროებიდან ხარაზები გამოცვივდნენ დანებითა და ჩაქჩქებით შეიარაღებულნი. შევეგვრემანი ვაჟი იქაურობას მოაცილეს, ლაურა წამოაყენეს და წაიყვანეს.

მერმე ყველა ერთად მიადგა დათოს. ყველა ერთად იქნედა ხელებს, ყველა ერთად ცდილობდა გაეგებინებინა დათოსთვის. რატომ მოხდა ეს ამბავი. მერმე ყველანი ერთბაშად მოშორდნენ და საამქროებში შეიმალნენ. დათოს რისხვა და შექარა დაუტოვეს.

მაგრამ დათო არც რისხვას, არც მუქარას არ შეუძრწუნებია. შეადრწუნა მოულოდნელმა ზიზღმა, რომელიც იმათ თვალბში დაინახა.

მუშებს დავალება მისცა და მაშინვე ამოვიდა სარდაფიდან.

მერმე დიდხანს ფიქრობდა იმ ზიზღზე, ასე დაუფარავად რომ მიაფრქვიეს სახეში. ეს დაუმსახურებელი და უსაფუძვლო ზიზღი აწუხებდა, გულს ტყენდა. ამ პატარა, სუსტი გოგონასადმი თავიდანვე სიბრალულით განიშკვავლა და ეგონა, ერთგვარ მფარველობას გაუწყვდა სათუთი და ნაზი დამოკიდებულებით. მართლაც, ერთხელ საკუთარ თავში აღმოაჩინა ლაურასადმი წრფელი, უანგარო, უფრო სწორედ, და-ძმური სიყვარული.

მერმე უნდობლობამ მაინც თავისი ვაიძანა, არავინ დაიჯერა რომ ეს იყო უანგარო ურთიერთობა და დათოსაც საკუთარი თავისადმი ეჭვი აღეძრა, რწმენა გაეზარა, მოეჩვენა, რომ ისინი მართლნი იყვნენ, რომ ამ წრფელსა და უზადო დამოკიდებულების მიღმა ქვეცნობიერად ანგარება იმალებოდა.

დათოს აღარ შეეძლო ამ ამბებზე ფი-

ქრი. იგი თავის ფანჯარასთან იდგა და ქუჩას დაეჭეროდა.

გარეთ თოვდა.

ირიბად ბარდნიდა.

დედა და თეონა სამზარეულოში ხმამალა ლაპარაკობდნენ.

ყრუ კედელზე, იქ, სადაც ერთი აგური იყო გამოვარდნილი, აბუზულა ბელურა იჯდა. მოწყენილი უმზერდა თოვას.

„ესთერ, ესთერ, მითხარი, მქონდა, თუ არ მქონდა მარგალიტი?“

დათო ფანჯარას მოშორდა. ოთახში აღარ იდგა მირიანის საწოლი. დაშალეს და სადღაც გაიტანეს.

სამზარეულოში ისევ ხმამალა ლაპარაკობდნენ დედა და თეონა. დათო ყურს არ უგდებდა და მხოლოდ ხმაური ესმოდა.

დათომ არ იცოდა, რა გაეკეთებინა. ეს უქმად ყოფნა ტანჯავდა.

შუშბანდში გავიდა და უცებ გაახსენდა, რომ დღეს ოცი დეკემბერი იყო.

— თეონა, — გასძახა დას, — დღეს რა რიცხვია?

— ოცია. ისიც ვითხრა, რა თქვა?

ოცი დეკემბერს, დღის პირველ საათზე, უნივერსიტეტში დისერტაციის იცავდა ნოდარ ნიჭარაძე.

ღმერთო, როგორ დადავიწყდა.

საათზე დაიხვდა. ხუთი სრულდებოდა. ექვსზე რესტორან „თბილისში“ ბანკეტი ექნება. უხერხული არ არის, დისერტაციაზე არ ყოფილა და ბანკეტზე მივიდეს?

— სულ შენი ბრალია, — თქვა თეონამ.

— რა არის ჩემი ბრალი? — გაოცდა დედა.

— ის, რომ სანახავად ვეღარ მივდივარ... ყველანი მივიდნენ ჩემს გარდა.

დათომ სმენა დაძახა.

— უსათუოდ უნდა მიხვიდე, თეონა...

— როგორ-ღა მივიდე, დედა... მრცხენია, მეუხერხულედა. არაფერიც არ მოხდებოდა, ბუბა მასწავლებლის კლასში რომ დავრჩენილიყავი.

— რა ვიცი... მაშინ რატომღაც ავლელდი.

— ამბობენ, ძალიან ცუდად არისო.  
— უსათუოდ მიდი, შვილო... ინახუ-  
ლე.

დათომ სწრაფად გაიარა შეშაბანდი  
და სამზარეულოს კარი შეაღო.

— სად უნდა წავიდეს?! — ჰკითხა  
დედას.

— ბუბა მასწავლებელთან. — დედის  
ნაცვლად თეონამ უპასუხა.

— შენ არა გაქვს იქ მისვლის უფ-  
ლება და არც წახვალ!

დედამ და შეიღმა კარტოფილის  
ფქვესას თავი მიანებეს და გაოცებუ-  
ლებმა შეხედეს დათოს.

— ვინ გითხრა, უფლება არა მაქვსო?

— მე გეუბნები. — დათო ახლა დე-  
დას მიუბრუნდა. — აკი სხვა კლასში  
გადაიყვანე?! შენ არ აუკრძალე ბუბას-  
თან სიარული?!!

— მაშინ სხვა იყო...

— მას შემდეგ არაფერი არ შეცვლი-  
ლა.

დედა სახეზე წამოწითლდა. სიბრაზემ  
თვალებში გამოჟონა.

— მართალია, მე აუკრძალე... რომ  
იცოდე, სწორადაც მოვიქეცი.

— თუ ეგრეა, ნურც ახლა მისცემ იქ  
მისვლის ნებას.

— ეგ არ არის შენი საქმე!

— ძალიან ცუდად მოექცეით იმ  
ქალს. მაინც რა ჩაიღინა ასეთი?! ქმარს  
გაეყარა იქნებ, აღარ შეეძლო იმ ქმარ-  
თან ცხოვრება. — დათო ერთი წამით  
შეყოვნდა, მერმე ხმადაბლა, თითქოს  
ჩურჩულით თქვა: — იცი რა... მართა-  
ლი გითხრა. — ზოგიერთმა ქალმაც ვერ  
უერთგულა ბოლომდე თავის ქმარს,  
ვერ შეინახა ქმრის სიყვარული..

— ვის გულისხმობ იმ ზოგიერთ  
ქალში?

— რა ვიცი... ისე ვთქვი... სხვათაშო-  
რის.

დედა რაღაცას ამბობდა, მაგრამ და-  
თო ყურს აღარ უგდებდა, თავის დას  
მიშტერებოდა. თეონა სახეშეცვლილი  
ეჩვენა. ცხვირი და ტუჩები ცოტათი  
წამოსიებოდა და საშინლად დამსგავსე-  
ბოდა პლატონს. დის სახეზე აჭამდე ამ-

გვარი ცვლილება არ შეუმჩნევი და  
უკვირდა. განსაკუთრებით გაუკვირდა  
ის, რომ თეონასა და პლატონს შორის  
მოულოდნელად დიდი მსგავსება აღმო-  
აჩინა.

დათო როდესაც შინიდან გამოვიდა,  
დარწმუნებული იყო, ნოდარ ნიყარაძის  
ბანკეტზე მიდიოდა. რა თქმა უნდა,  
დაამავა. დისერტაციის დაცვას რომ არ  
დაესწრო, მაგრამ თუ ბანკეტზეც არ მი-  
ვიდოდა, ეს უკვე მეორე დანაშაული  
იქნებოდა.

ეზოში ბავშვები თამაშობდნენ. თოვ-  
ლის დიდ ბაბუას აკეთებდნენ.

ხრახნილი კიბით ზურიკო ჩამოდიო-  
და. ცალი ხელი რკინის მოაჯირისათვის  
ჩაველო, მეორე ხელით თოვლის გუნდა  
მიეხუტებინა მკერდზე.

— ოჰ, გამარჯობა ზურიკო!

— გაგიმარჯოს, ძია დათო!

— სად დამეკარგე, ბიჭო? შეიძლება  
მეგობრის ასე დავიწყება?!!

— სოფელში ვიყავი.

— ამდენი ხანი?

— კი. ბებია მომიყვდა. — ზურიკომ  
ჩამოათავა კიბე და პირდაპირ ბავშვე-  
ბისაკენ გაეშურა.

დათო მობრუნდა და თვალი გააყო-  
ლა პატარა ბიჭს. არაფრით არ ეგონა,  
თუ ამდენი ხნის უნახავობის შემდეგ  
ასე ცივად შეხვდებოდა ზურიკო.

— ზურიკო! — დაუძახა დათომ.

პატარა ბიჭი მოტრიალდა.

— მოდი აქ, ზურიკო.

ზურიკო ადგილიდან არ დაძრულა.  
თოვლის გუნდა ახლა ორივე ხელით  
ეჭირა. ხელეგზე მწვანე თათმანებო  
ეცვა.

— ხვალ საღამოს ამოდი ჩემთან,  
კარგი?!

ბავშვმა გაიღიმა, დათომ ვერ გაიგო,  
რას ნიშნავდა ეს ღიმილი. ბავშვის ღი-  
მილით ვერ განსაზღვრავდი ზურიკო  
ავიდოდა, თუ არა ხვალ საღამოს და-  
თოსთან.

აღარ ბარდნიდა.

ტროტუარებზე თოვლი დატკეპნილი და მოღაბული იყო და სიარული ჭირდა. მითუმეტეს, დაღმართზე. ვარეთ ყოფნა მაინც სასიამოვნო იყო. სასიამოვნო იყო ამ კრიალა და სუსხიანი პაერით სუნთქვა.

„რა ეშველება ამ ბიჭს?.. რა ეშველება?.. თუ ბებია აღარ ჰყავს, ვიღა მოუვლს?...“

ნორა ცხოვრების ნახევარს გასტროლებზე ატარებს. საღ უნდა ათრიოს ეს ბავშვი?“

დათო ფრთხილად მიდიოდა მოსრიალბულ თოვლზე. ეშინოდა დაღმართზე არ დაცემულიყო! „მაინც რატომ შემხვდა ასე გულგრილად ზურგიო?. თუმცა აღბათ, თოვლში თამაში უფრო უხაროდა, ვიდრე ჩემთან შეხვედრა... ნორა მაინც მენახა საღმე, გავიგებდით რას უბიარებს ამ ბავშვს?...“

ნორამ უცებ გადაიხანდა საბანი და შიშველმა სხეულმა გაიღვია.

ლაღიმის წყლებთან ჩავიდა დათო და რუსთაველის პროსპექტს მარჯვნივ გახედა. დათომ ახალა აღმოაჩინა. რომ არავითარი სურვილი არ ჰქონდა ნოდარ ნიქარაძის ბანკეტზე მისვლისა. „რა მოხდება ახლა ბუბასთან რომ მივიღე? არა-და, რა საბაბით მივაკითხო?“ დათო ისევ აპყვა ქუჩას და კონსერვატორიის წინ დაიწყო წრიალი. მეორე სართულიდან მომღერალი ქალის ცივი ხმა მოისმოდა. კონსერვატორიის კარი შეაღო და შევიდა. სკამზე მოვლემარე დარაჯის გარდა ვერაეინ ნახა.

— განცელარიაში თუ არის ვინმე?

— ჰკითხა ბერიკაცს.

— ყველა წასულია, ვინ ვინდოდით?

— მინდოდა ვამეგო ბუბა ეშმას მისამართი.

— ბუბა ავად არის.. მარჯანიშვილის მოედანზე ცხოვრობს... ნომერი არ მახსოვს. ერთხელ ვიყავი, დირექტორმა გამაგზავნა. აი, დიდი სახლი რომაა... აფთიაქის თავზე...

— გცოდნიათ და ეგ არის!.. მაღლობელი ვარ.

დათოს მოეჩვენა, თითქოს იცოდა,

ბუბა რომ მარჯანიშვილის მოედანზე ცხოვრობდა? იცოდა და მერმე დაავიწყდა. ხოლო ახლა ისევ გაახსენდა. რა ბერიკაცმა უთხრა.

თოვლი მხოლოდ პროსპექტის ტროტუარებზე იდო. მანქანები ბორბლებს ქვემოდან ტალახიან თოვლ-ჰყავს აშხეფებდნენ. თოვლ-ჰყავი სიცივის შეგრძნებას ამძაფრებდა. ახლა თითქოს სიცივე ნოტიო იყო და ძვალსა და რბილში ატანდა.

რატომ მოეჩვენა, თითქოს იცოდა, ბუბა ეშმა რომ მარჯანიშვილის მოედანზე ცხოვრობდა? ანდა ერთხელ, ნოდარ ნიქარაძისაგან წამოსული, შუალამით, მთვრალი, რატომ დაბორიალობდა იმ სახლთან? ჰო, დათოს აღარ ახსოვდა. საღ დაშორდა მაშინ ჯიმშერ ქალდანს. როცა ცოტათი გონს მოვიდა, აღმოჩნდა, რომ მარჯანიშვილის მოედანზე იდგა, ხეს მიყრდნობილი.

დათომ რუსთაველის პროსპექტი გაღმასკრა და ოპერის თეატრისაკენ წავიდა ჩქარი ნაბიჯით.

ტროლეიბუსის გაჩერებასთან ბევრი ხალხი ირეოდა.

ისევ მოვიდა № 3 ტროლეიბუსი და ამჯერადაც ვერ მოახერხა ბუბამ ასვლა.

— ბუბა!

ბუბამ გვერდზე მოიხედა.

დათომაც გვერდზე მოიხედა. ჯერ ეგონა. უნებურად ხომ არ წამოშტა ბუბას სახელიო, და შეკრთა. მაგრამ მეორედაც გაიგონა იგივე ძახილი:

— ბუბა!

ბუბასთან მივიდა შუახნის, ჭლარა მამაკაცი. ქალს აშკარად შეატყო, არ ესიამოვნა ჭლარა მამაკაცის დანახვა...

ტროლეიბუსში ვაჭირვებით ავიდა დათო. უკან მონახა დასადგომი ადგილო და კონდუქტორს ფული გადააწოდა. ისევ ზურგიო და ნორა გაახსენდა და უსიამოვნოდ შეიშმუშნა. ნორას გახსენება სევდას ვერბოდა, ეჩვენებოდა, რომ იმ დამეს მოტყუებული და გამარცხული გამოვიდა ნორას სახლიდან..

ტროლეიბუსმა ნახევარწრე შემოხაზა მოედანზე და გაჩერდა.

როდესაც დათო სადარბაზო შესასვლელში შევიდა, აღელდა, მუხლებმა უმტყუნა და კინალამ ჩაიკეცა. „კაცმა რომ თქვას, რატომ მივდივარ ახლა ბუბასთან...“ დათოს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ბუბა ავად იყო.

პირველი სართული აიარა. მეორე... მესამე...

მეოთხე სართულზეც სამი კარი იყო. მხოლოდ ერთ კარს არ ეწერა გვარი და სახელი. დათომ გადაწყვიტა: ნამდვილად აქ ცხოვრობს ბუბა ეშბაო. უფრო ახლოს მივიდა კართან, წარწერა შეამჩნია. კარზე ფანქრით მიეწერა ვიღაც ანიკოს: „ბუბა, ვიყავი შენთან და არ დამხვდი. 10.6“. ზოგჯერ რა სისაცილოები არიან ადამიანები... „არ დამხვდი...“ თითქოს უამისოდ ვერ მიხვდებოდა ბუბა, რომ ანიკოსს მისვლისას შინ არ იყო.

უკან გამობრუნება უკვე აღარ შეეძლო. ზარის დილაკს თითო დააჭირა. ნეტავი გამოცვლილია, თუ არა ბუბა?... კარი ქალარა მამაკაცი გაუღო.

— ვინ გნებავთ?

დათომ ქალარა მამაკაცი იცნო და დაიბნა. ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

— ვინ გნებავთ, ყმაწვილო?

— ბუბა ეშბა.

— ბუბა აქ აღარ ცხოვრობს.

დათომ შეკითხვისათვის ძალა მოიკრიბა.

— ხომ ვერ შეტყვივით, ახლა სად ცხოვრობს?

— ეგ არ ვიცი... მაგრამ იმას კი გეტყვივით, ახლა სად არის... ბუბა ავადაა, საავადმყოფოში წევს...

დათო ისე დაეშვა კიბეებზე. როგორც სიზიფე, რომელსაც მწვერვალამდე ატანილი ლოდი პირველად დაუგორდა...

საბანკეტო დარბაზი გაჩირაღდნებულ იყო. დათოს გამოჩენას ყოყინით შეეგებნენ მეგობრები. მათ უზარმაზარი სუფრის ერთი კუთხე ეკავათ. დი-

ნარჩენ სუფრას დათოსთვის უცნაო ადამიანები უსხდნენ.

დათო ნოდარს გადაებტანა და გადააკოცნა, მერმე მოუბოდიშა, დისერტაციის დაცვაზე რომ ვერ მოახერხა მისვლა.

ნოდარმა მხიარულად გადახვია ხელი და სუფრას წარუდგინა:

— ჩემი სკოლის მეგობარი — ინიერი დათო ნათიშვილი!

ოთარ სალახიასა და გელას შორის ჩასვეს. მაგიდის გარშემო ისხდნენ ყველა ასაკის მამაკაცები და ქალები. მამაკაცების უმრავლესობა უკვე შეზარბოშებული იყო და სიმღერას მოითხოვდა. სამი ვაჟი ერთმანეთს ხმას უწყობდა. ეტყობა, მოზანკეტოა სიმღერის იმედი. იმ სამ ვაჟს უნდა გაემართლებინა. გალაყლაყებულმა, პირმსუქანმა თამადამ ჩანგალი შემოჰკრა ბოთლს, საზოგადოებას წესრიგისაკენ მოუწოდა. მერმე, წამოდგა, შემოსწრებული ექსტრად აღლეგრძელა, უსურვა პირად ცხოვრებასა და საქმეში წარმატება. ყველამ ერთხმად შესვა დათოს სადლეგრძელო, მერმე თამადამ დიდი ყანწი მოითხოვა, პირამდე გაავსო ღვინით და დაგვიანებისათვის დათო დაჯარბმა.

ყანწი გადმოაწოდეს. „რა დალევეს ახლა ამხელა ყანწს?! სისულელე არ იყო აქ მოსვლა?! რა თქმა უნდა, სისულელე იყო...“ დათო ღვინის დასალევად მოემზადა, ყანწს ჩახედა და ღრმად ამოისუნთქა... „ზარბაროსობაა, აბა რა არის?!“ ნელნელა შეუდგა სმას...

...თოვლითა და მზით განათებულ პალატაში ბუბა მარტო იწვა. პალატა თეთრი და სუფთაა ქაღალდივით. დათომ შესვლისთანავე შენიშნა წითელი მიხაკები. რომლებიც სასთუმალთან მდგარ მაგიდაზე ეწყო. მაშინვე იწანა, ხელცარიელი რომ მოვიდა.

ბუბამ გაოცებით შეხედა შემოსულს.

— გამარჯობათ, ბუბა.

— ოჰ, დათო... კინალამ ვერ გიცანით.

— როგორა ხართ?

— აქ საიდან გაჩნდით, დათო...

— გავიგე ავად ყოფილხართ და სა-  
ნახავად მოვედი.

— რატომ წუხდებოდით?!

— რა შეწუხებაა... მე ისე მინდოდა  
თქვენი ნახვა... სახლშიაც კი მოგაკით-  
ხეთ... მაგრამ იქ თურმე აღარ ცხოვ-  
რობთ.

— კი... კარგა ხანია იქიდან გადაე-  
სახლდი.

— როგორა ხართ, ბუბა, თავს რო-  
გორ გრძნობთ.

— ვერც მე, ვერც ეჭიმებმა, ვერაფე-  
რი გავუგეთ ჩემს ავადმყოფობას...  
მგონი, კარგად არ უნდა ვიყო... ფეხზე  
რატომ დგახართ, დათო, სკამი მიიღვით  
და დაჯექით.

დათომ საწოლთან მიიღვა სკამი და  
დაჯდა. ბუბას ისეთი სახე ჰქონდა, თი-  
თქოს დათო ამ სახეს უშუალოდ კი არა,  
წყალში არეკლილს ხედავდა. ბუბა  
მკრთალად იღიმებოდა.

— თქვენი, ალბათ, ჩვენს ოჯახზე ნაწ-  
ყენი ხართ.

— არა... არა... უფრო სწორედ, ვიყა-  
ვი და წყენამ უკვე გადამიარა. მირიანი  
კიდევ უარს ამბობს, პირველ სკოლაში  
არ მისწავლიათ?

— დღემდე ვერ მივხვდი, ბუბა, მი-  
რიანმა რატომ უარჰყო.

— მე ვიცი... — შეაწყვეტინა ბუბამ,  
— სხვა დროს გეტყვი... ახლა არ მსია-  
მოვნებს მაგის გახსენება.

— ძალიან ბევრს ვფიქრობდი თქვენ-  
ზე.

— მართლა?

— იცით რა, როდესაც თქვენზე ვფი-  
ქრობ, რაღაცნაირად ვიცვლები ხოლმე.  
ასე მგონია, უფრო კეთილი ვხდები,  
გულახდილი, რასაც მანამდე ვმალავდი,  
მინდა მთელ ქვეყანას გაეანდო, — და-  
თო ცოტახანს შეჩერდა და ჩაფიქრდა.  
იგრძნო, მთელი პალატა მინაყების სუ-  
რნელით იყო გატყვევებული და ეს სურ-  
ნელი იქაურობას იერს უცვლიდა. პა-  
ლატას წითელი ფერი ეღვრებოდა.

დათო აღტაცებულმა შემახილებმა  
და ტაშისცემამ გამოარკვია. შეკრთა.

დაცლილი ყანწი ტუჩებიდან მოიშორა  
და ისევ თამადას დაუბრუნდა.

— საქმელი მთავრდება...  
თამადა.

— დაჯექი და რამე შეტამე, შე ულ-  
მერთო, — უთხრა გელამ. — რამ და-  
გალევიანა ამხელა ყანწი.

დათო დაჯდა. შეტების შემახილებითა  
და ღვინით გაბრუებულმა სუფრას გა-  
დახედა.

— რომ იცოდე, უკვე მთვრალი ვარ.

— აბა, რა იქნები. აქ ვერცერთმა  
ვერ დალია ეგ ყანწი და შენ გამოგვიტი-  
რეს... — გელამ მოხარული ბეჭის მო-  
ზრდილი ნაჭერი გადმოუღო დათოს.  
მერმე ტყემალი მიაწოდა.

— უნივერსიტეტში რატომ არ მოხ-  
ვედი? — ჰკითხა ოთარ სალაყაიამ.

— გვიან გამახსენდა, დღეს რომ ოცი  
იყო.

— პირდაპირ სუფრაზე მოსვლა, რა-  
საკვირველია, უკეთესია.

— აცალე ახლა ჭამა, — შეუტია გე-  
ლამ. — მოკვდება ეს საწყალი, თუ რა-  
მე არ დააყოლა.

— როგორ დაიცვა დისერტაცია.

— ბრწყინვალედ! — ერთგვარი ღირ-  
სებითა და სიამაყით უპასუხა გელამ.  
— თუ იმის ნახევარი მინც მართალია,  
რაც იქ თქვეს, გენიოსი ყოფილა, ძმარ.

— თავიანი ბიჭი რომაა, მაგას არ  
უნდა ლაპარაკი. — დაუდასტურა ოთარ  
სალაყაიამ.

დათოს ოთარ სალაყაია და გელა აზ-  
არაგებდნენ საქმელებით. გამწარებული  
ჭამდა, თან გრძნობდა, ღვინო მოერიდა  
და საქმელი ვერაფერს უშველიდა.

სუფრის ერთ კუთხეში სიმღერა წა-  
მოიწყეს.

გელამ მხარი გაჰკრა დათოს და გადა-  
სჩურჩულა:

— ეგ არის, შენს წინ რომ ზის.

— ვინა?

— ციციანოს საქმრო.

— რომელია?

— შენს წინ რომ ზის, ცოტა მარჯე-  
ნივ.

— მელოტის გვერდით?

— არა... თვითონ მელიოტი. ამას წინათ ნიშნობა ჰქონიათ. ახალ წელს დაქორწინდებიან.

— ეგ ხომ უკვე მითხარი.

— მაყრად არ წაპყვები?

— ჩემს დროში ნიშნობა ცოტა სასაცილოა.

— მაგათ ძველი ყაიდის ოჯახი აქვთ... ტრადიციების მუხეუშია. ვერა ხედავ, რა სერიოზულობით ეკიდება ყოველ სადღეგრძელოს... დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

— ალბათ, იდიოტია!

— რა თქმა უნდა.

— ისე, რა კაცია?

— კანდიდატია... ფილოლოგიურ მეცნიერებათა... მე მაინც ვერ გავიგე, რატომ დაშორდით.

— რაღა დროს ეგ არის.

— გული არ გწყდება?

— რა მნიშვნელობა აქვს, მწყდება. თუ არა... მეცოდება ციციხო მაგ იდიოტის ხელში... თუმცა რა, ალბათ, გათხოვება უნდოდა და გათხოვდა.

— არა, ბიჭო, შენ გადაგყვებოდა.

— აქ საიდან მოხვდა ეგ ბითური?

— მართალი ვითხრა, არ ვიცი... ალბათ, ნოდარს იცნობს.

უცებ ჯიშურ ქალღანი წამოდგა და თამადას ერთი სადღეგრძელოს თქმის უფლება სთხოვა- თამადამ უარი უთხრა. ჯიშური გაწითლდა, გასივდა და ბურღღუნით დაჯდა თავის ადგილზე.

— ეს ვიღაა? — ჰკითხა დათომ გელას და მიუთითა პირდაპირ მჯდარ მთერალ კაცზე, რომელიც უკვე მთელი საათი განუწყვეტლივ ელაპარაკებოდა ქერა ქალიშვილს.

— ეგ მწერალია... — გელამ მერე მწერლის გვარიც უთხრა.

— მე უფრო ახალგაზრდა მეგონა.

— ამ ბოლო ხანებში გაჰდარავდა... ისე ახალგაზრდაა...

— მერმე თმას ვერ შეიკრეპს და დავიარცხნის. ბუს რომ დამსგავსებია?! ეგ საიდანღა მოხვდა აქ?

— ჯიშურმა მოიყვანა...

— ძეტს აღარ დავლევ... საშინლად

დავთვერი, — დათომ თავი მიიბრუნა და ავთანდილ ხარაბაძის მოწყენილ სიფათს წააწყდა. — ავთანდილიც აქ ყოფილა.

— კი. აქ არის...

დათო ოთარ სალაყაიას მიუბრუნდა.

— ოთარ, თუ ძმა ხარ, მითხარი, შენს განყოფილებაში ხომ არ წევს ვინმე ბუბა ეშმა.

— არა!

— როგორ გავიგო, სად წევს ეგ ქალი?

— ძალიან გინდა?

— ძალიან.

— ხეალ 12 საათზე დამირეკე და გეტყვი.

— მართლა დაგირეკო?

— თუ არ დაგეზარება, გამოიარე.

— კარგი, გამოვივლი... ახლა ავდგები და წავალ... დავთვერი... მშვიტ გულზე არ უნდა დამელია... წავალ თორემ შემომელახება ეგ იდიოტი... რა გაბღენძილი ზის.

— სად უნდა წახვიდე, — უთხრა ოთარ სალაყაიამ, — ვერა ხედავ, ის გოგონები როგორ გიყურებენ... თვალეზით შეგკამეს... მაინც რა ლამაზი ხარ, შე ოხერო!

— შე ვარ ლამაზი? — გაეცინა დათოს და გახედა გოგონებს, რომლებიც მისგან ხელმარცხნივ ისხდნენ. გოგონები მართლაც გულუბრყვილო, ალტაცებული მხერით მისჩერებოდნენ დათოს.

— თუ გული გეუბნება, წადი, — გადაულაპარაკა გელამ, — მართლა არ ატებო ერთი ამბავი, სირცხვილი არ აქამო ნოდარს!

თამადა სადღეგრძელოს წარმოსათქმელად წამოდგა, ხელში ღვინით სავსე დიდი ბროლის ჭიქა ეჭირა.

სიმღერა შეწყდა.

ნოდარ ნიჟარაძე რატომღაც ოფიციატებს გაჰყვა.

— ნოდარის ღვინა არ ყოფილა? — იკითხა დათომ.

— კი... იქაც იყო და აქაც... შენს მოსვლამდე წავიღა... ალბათ, დაიღალა.

თამადა გაშეშებული იდგა. მოთმინებით ელოდა ხალხის დაწყნარებას.

ბუბა გულადმა იწვა, თვალები დახუჭული ჰქონდა. ფრთხილად სუნთქავდა. ავადმყოფს ალბათ, ჩაეძინა. დათო გაქავეებული იჯდა, არ ინძრეოდა, ეშინოდა ძილი არ დაეფრთხო ბუბასათვის. საბანზე ხორბლისფერი მკლავები მოწყვეტილივით ეყარა.

ბავშვივით ძილში გაეღიმა ბუბას და ტუჩები შეერხა. მერმე თვალები გაახილა და იკითხა:

— მეძინა?

— მე მგონი, გეძინათ.

— დიდი ხანია მძინავს?

— არა... სულ ოთხი-ხუთი წუთი იქნება.

— კარგი სიზმრები ვნახე.

— ალბათ... ძილში იღიმებოდით.

— მართლა?

დათომ თავი დაუქნია და თვითონაც გაიღიმა.

— მგონი, სიცხემ დამიკლო... უკეთესად ვგრძნობ თავს.

დათო გადაიწია და მაჯაზე შეავლო ხელი. სკამი უფრო ახლოს მისწია. აწყოლან. მერმე დაიხარა, შუბლზე ლოყა დაადო ბუბას, ხელიც და შუბლიც ცხელი ჰქონდა, უფრო მეტად — შუბლი, საშინლად უხურდა.

— დედაჩემი ასე მატყობდა ხოლმე ბავშვობაში, მქონდა თუ არა სიცხე, — უთხრა დათომ.

— თქვენ როგორ ატყობთ, მაქვს სიცხე?

— ცოტათი, — იცრუა დათომ. ბუბას ხელისგული ტუჩებთან მიიტანა და აკოცა...

— რამ გამოგაშტერა, — უთხრა დათოს ოთარ სალაყაიამ, — მოაქციე იმ გოგოებს ყურადღება... დაწყდნენ შენი ცქერით, თვალები ამოუღამდათ.

ციცინოს საქმრომ ცარიელი ბროლის ჭიქა მიაწოდა დათოს და სადღეგრძელოს შესმა სთხოვა.

დათომ ჭიქა გამოართვა და სანამ მელოტი სასიძო სკამზე დაჯდებოდა, ჰკითხა:

— იცით, თუ არა თქვენ, ვერის ხელის მახლობლად, ერთ ჩინში, გლია უზარმაზარი ლოდი, ზედ ტრადიციის მიხედვით მიჯნურები სხდებიან... რამდენიმე საათით, ქვა ჯდომისაგან გაუცვეთიან, რაც იმას ამტკიცებს, რომ დიდხინის უნდა იყოს...

— რამე წარწერა თუ აქვს? — იკითხა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა.

— სამწუხაროდ, მგონი, არ უნდა ჰქონდეს.

— აბა, უბრალო ლოდი ყოფილა.

— მეც ასე ვფიქრობდი, როგორც ჩანს, შეიძლება საამშენებლო მასალად გამოვიყენოთ.

— შეუმოწმებლად ნუ გამოიყენებთ... ეგების მართლაც ჰქონდეს ისტორიული მნიშვნელობა.

— კი, ბატონო, ეგრე მოვიტყვევით. — დათომ ცარიელი ჭიქა ღვინით შეავსო და გელას ჩურჩულით ჰკითხა, — ვისი სადღეგრძელო დალიეს?

— დაჯექით, რა ფეხზე დგახართ! — ბრძანა თამადამ.

— დაჯექით, კი არა, დახედით, რეგვენო! — თავისთვის ჩაიბურღლუნა ჯიმშერ ქალდანმა.

დათო: ხომ კარგი ექვნიო, რომ წამოვედით?

გელა: აღარ მოეშვი იმ კაცს და რა შექნა?

დათო: ძალიან გაუჭირე, არა, საქმე?

გელა: ისიც კაი ვინმე ყოფილა, ყველაფერზე სერიოზულად გბასუბობდა. მაინც რას ერჩოდი, რა მაგის ბრალია?

დათო: ციციანოზე ვარ ნაწყენი და გაბრაზებული... თუმცა არც ისე... იცი რა, გელა, მე უკვე შევეჩვიე, რომ არავის ვუყვარვარ.

გელა: კარგი ახლა, ნუ ამბობებ. იქნება, შენ შეაჩვიე სხვები, რომ არავინ გიყვარს.

დათო: ვითომ არ მიყვარდა ციციანო?

9905



გელა: მაგას ახლა ვერ გამოვარკვევ... ალბათ, არ გიყვარდა. ისე რატომ დამოზღვებოდი?

დათო: მეც ვე მივივრის... იმ დამის შემდეგ, ნიჩბებით რომ გამალახეს, რაღაც მოხდა და ვერ გამივიცა.

გელა: თუ ძმა ხარ, ყველაფერს ნუ ართულებ... მოვლენებს უფრო მარტივად უნდა შეხედო.

დათო: გელა... იცი რა, გელა... ხანდახან მეჩვენება, საკუთარი თავი დაგკარგე და ველარ ვპოულობ.

გელა: რას დაკარგავდი, რაც არ გქონია.

დათო: შენ ხუმრობ და მართლა ეგრეა. მართლა ვეძებ ჩემს თავს... ხანდახან ვამჩნევ, რომ ჩემში რაღაცა არის ჩემზე უფრო ძლიერი და არ მემორჩილება...

გელა: მაგალითად, ახლა შენში შენზე უფრო ძლიერია ღვინო... რას იცი... ეგრე არ არის?

დათო: დაახლოებით ეგრეა.  
გელა: აუხვიე ახლა და წადი... გინდა, სახლამდე მიგაცილო.

დათო: არა, მე თვითონ წავალ... გელა, გიყვარს უკაცრიელი ქუჩა? ქუჩაში შენს მეტი რომ არავინაა.

გელა: გაგიყვებით მიყვარს!  
დათო: ესეც შენი თბილისური თოვლი გაქარა... აღარ არის! უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე საათით მოდის ხოლმე... წავედი ახლა... წავალ და დავიძინებ... შენ რას იზამ?

გელა: მეც წავალ და დავიძინებ... დავიძალე.

დათო: მოიცადე, რა გეჩქარება... ერთხელაც არ გაუცინია... ალბათ, ჰგონია, თუ გაიცინა სამეცნიერო ხარისხს დაქარავას.

გელა: წაიკითხე დღევანდელი გაზეთები?

დათო: არა.  
გელა: ომის ვეტერანთა შეკრებაზე მოდის შენი ძმა... მოსკოვში... დღევანდელი ხელმძღვანელია.

დათო: ვეცე ვერ გამივიცა.  
გელა: რა?

დათო: რატომ ვეჯავრები მირიანს?  
გელა: ეჯავრები კი არა, ის არ ვეზღვებოდი...  
დათო: თვითონ მითხრა... რაღაც ვერ მაპატიო... მე ვიცი რა... მაგრამ თქმა მიჭირს, არა, არ მიჭირს, უბრალოდ, ვერ ვახერხებ იმის გამოთქმას... ვერძნობ, პო, ვერძნობ...

გელა: შენ გეჩვენება, დათო.  
დათო: ამ ორი დღის წინათ სალუდში ვნახეთ მე და ავთანდილმა, ზედაც არ შემომხედდა... როდის მიდის მოსკოვში?

გელა: თუ არა ვცდები, ხვალ მიდიან.

დათო: ან ვაზეთი, ანდა სხვა მატყობინებს მირიანის ამბებს... ბავშვობაში ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, სულ ერთად ვიყავით... ხვალღაც სამუშაოს ძებნას ვიწყებ, გელა... შემეცოდა ჩემი დაწყებული მშენებლობა... ისეც ისე დგას სახლი, როგორც დავტოვე, ერთი აგურიც კი არ მიუმატებიათ... აღარ მისმენ, გელა? მოგწყინდა უკვე ჩემი წუწუნი?

გელა: არა, დავიძალე, მეძინება...  
დათო: ყოველთვის ეგრეა... როცა რაიმე ტყვილის გამხელას იწყებ, მეგობრებს ეძინებათ ხოლმე... მაგრამ... მეც ერთს გეუბნები და მეორეზე ვფიქრობ. ვახსოვს ბუბა?

გელა: კი, როგორ არ ვახსოვს... ხომ იცი, ძალიან ცივა... ფეხები გამეყინა...

დათო: წავედი... ნახვამდის, გელა...  
გელა: ნახვამდის.  
ისინი ლალიძის წყლებთან დაშორდნენ ერთმანეთს და თავთავიანთი გზებით წავიდნენ.  
დათო აღმართს შეუდგა.  
„ასე გვიან რომ არ იყო, ნორასთან ავიდოდი. გავიგებდი, რა დამართათ, რას ამირებენ. ალბათ ზურციოს საბავშვო ჯალში მიამბარებს... საბავშვო ბაღი რას უშველის? ნორა სწორედ სალამოობით არის დაკავებული... რა უშველება ამ ხალხს?!“  
უზოში შესვლისთანავე შეამჩნია, ნო-

რას არ ეძინა: შუქი ენთო. ხრახნილი კიბით გაეშურა მეროე სართულისაკენ.

ყვავილების მაღაზიაში მიხაკები იყიდა და ბუბასთან წავიდა. ბუბა ახალგაღვიძებული დახვდა, კარგ გუნებაზე იყო, დამშვიდებული სახე ჰქონდა.

ყვავილები მაგაზინზე დააწყო დათომ და სკამი საწოლთან დაიდგა.

— გუშინ რომ წახვედი, — უთხრა ბუბამ, — საშინელი სიმარტოვე ვიგრძენი. კიდევ კარგი, ცოტა ხნის შემდეგ შენი მეგობარი ექიმი შემოვიდა... ბევრი მაცინა. თქვენი ბავშვობის ოინები მიაშბო. როცა ვუთხარი, მეც პირველ სკოლაში ვსწავლობდი-მეთქი, გაგიყდა. ოლონდ ვერაფრით გამიხსენა.

— მეც ბევრს ვფიქრობ და ვერ ვახერხებ გახსენებას, სკოლაში არ მახსოვბარ, ბუბა.

— ოთხი კლასით წინ ვიყავი. ცოტა კი არ არის ოთხი წელი.

— სიცხე გაიზომე?

— კი, თითქმის არა მაქვს.. შენ წარმოიდგინე, დღეს ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, მალე გამოვეწერები.

— მთავარია, მორჩე, რა მნიშვნელობა აქვს, როდის გამოვეწერები, მე სულ შენთან ვიქნები, აღარ მოგაწყვენ. დღეიდან მაინც თავისუფალი ვარ, სამუშაოდ აღარ წავედი.

— რატომ?

— აღარ შემიძლია, ბუბა... ყოველ დღეით შინიდან ისე გავდიოდი, თითქოს წინასწარგანზრახული დანაშაულის ჩასადენად მივეშურებოდი.

— წუხელ სწორედ მაგაზე ვფიქრობდი, დათო... შენი თავი უნდა მონახო. ბნელში ადამიანებმა ჩაგიგდეს ხელში და თავის ნება-სურვილზე გათამაშებენ. ოლონდ იცოდე, თუ დანაშაულზე წაასწრეს, შენც იმათ გვერდით აღმოჩნდები. კარგი ვიქნია, დღეს რომ არ წასულხარ.

— ხვალდან უნდა დამეწყო ახალი საამქროს გამოთხრა... დროზე წავედი..

ერთი რამ ვერ გამოვიდა, ბუბა, სიღინს ტრიკლებს იმ სარდაფში ამდენი ფული, მე ჯერ არ მინახავს კაცი, მანდ შეკერილი ფეხსაცმელი რომ ეცვას.. საიდან ტრიკლებს ამდენი ფული?!

— არა, ნამდვილად კარგად მოიქეცი.

— ბუბა... შენ რომ არ მენახე, შეიძლება არც კი დამენებებია თავი მაგ სამუშაოსათვის.

დათოს ოთახში ორჯერ შემოვიდა დედა. დათოს თვალები არ გაუხელია, ვითომ ეძინა, დედა მესამედაც შემოვიდა და მხარზე ფრთხილად შეახო ხელი.

— დათო, გაიღვიძე.. უკვე თერთმეტს ნახევარია.

დათომ თვალები გაახილა.

— იყოს რა, მე არსად მეჩქარება.

— პლატონმა წასვლისას დაგიბარა, არ დაიგვიანო.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ პლატონის დანაბარებს ვერ შევასრულებ.

— რას ჰქვია, ვერ შეასრულებ?!

— იმას, რომ აღარ მინდა, დედა, იქ მუშაობა.

— ნუ ზარმაცობ ახლა, ადექი და ჩაიცი. კაცი იქ გელოდება და შენ კი აქ ნებივრობ ლოგინში.

— ადგომით ავდგები, აბა, რას ვიზამ? ოლონდ იმ სარდაფში აღარ ჩავალ.

— შენი დაწყებული საქმე შენვე უნდა დაამთავრო, ხალხს შენი იმედი აქვს.

— უფრო დიდი საქმე მქონდა დაწყებული და აღარ დამამთავრებინეს. — დათო წამოდგა საწოლიდან და ფლოსტებში წაპყო ფეხები —ახლა ისეთი საქმე უნდა დავიწყო, რომელსაც დავამთავრებ.

— რა დროს ხუმრობაა. აღარ დაწვი, მე ბაზარში მივდივარ.

დედა პასუხს აღარ დაელოდა, წავიდა. გინდაც დალოდებოდა, დათო არ აპირებდა პასუხის გაცემას. ნეტარებით გააზმორა და პირის დასაბანად გაეშურა. ოთახებში თბილოდა, ეტყობოდა, კაფელის ღუმელში ცეცხლი დილაადრისან დაენთოთ. აქამდე მირიანი ამობდა

ეზოში შეშას, მერე ამოჰქონდა და ცეცხლს ანთებდა.

დათო არასოდეს ყოფილა ისე კმაყოფილი, როგორც დღეს, შვეებით ამოისუნთქა, თითქოს დიდი ხნის უიმედო ტყვეობას დააღწია თავი. სიამოვნებას გვრიდა ისიც, ზოგჯერ რომ წარმოიდგენდა, რა ამბავი ატყდებოდა, როცა გაიგებდნენ დათოს მოუსვლელობის მიზეზს.

პირი დაიბანა და ტანსაცმელი ჩაიცვა. მერმე სამზარეულოში გავიდა, დედას საუზმე მაგიდაზე დაეტოვებინა. წაიხეშა. წუხანდელი ღამითაც კმაყოფილი იყო. დიდხანს ილაპარაკეს დათომ და ნორამ ზურგიკოზე, რომელსაც ფარდის იქით უზრუნველად ეძინა. საბრალო ქალს სხვა გზა არა აქვს, პატარა ბავშვი თან უნდა წაიყვანოს, ქალაქიდან ქალაქში უნდა ათრიოს, სასტუმროდან სასტუმროში... მერმე ნორამ თქვა: ზურგიკო ამ ბოლო ხანებში ძალიან გამოიცვალა, აღარ მელაპარაკება, გულჩათხრობილად გახდაო.

როცა დათომ წამოსვლა დააპირა, ნორამ ხელზე ხელი შეეხო და უთხრა:

— თუ გინდა დარჩი, ერთი-ორი საათით დარჩი, მაინც გრძელი ღამეა.

დათო კმაყოფილი იყო წუხანდელი ღამითაც, არ დარჩა, თავისთვის ძალაც კი არ დაუტანებია, ისე წამოვიდა, არავითარი სურვილი არ ჰქონია ნორასთან დარჩენისა.

აივნის მხრიდან კარი დააკაუნეს.

დათომ ძია ვანოს გაულო კარი. ძია ვანო საქმიანად შემოვიდა ოთახში.

— გამარჯობა, დათოჯან, ამ განცხადებაზე ხელი უნდა მომიწერო, — ძია ვანომ უბიდან დააძრო ოთახად დავეცილი ფურცლები და გაშალა.

— რა განცხადებაა?

— ბერიკაცმა პირდაპირ დაიწყო განცხადების კითხვა, ათი-თხუთმეტი წუთი მაინც კითხულობდა. ამხელა „არზა“ იმიტომ იყო შედგენილი, რომ ძია ვანო ძველი სახლის კაპიტალურ რემონტს მოითხოვდა. განცხადების წაკითხვის შემდეგ დათოს ისეთი შთაბეჭდილება დარ-

ჩა, ამ წუთშივე თუ არ ვაასწრებდა, ჭერი ჩამოენგრეოდა თავზე.

— როგორია? — იკითხა ბოლქოს ბერიკაცმა, — მე დავწერე, აი! თითქმის ყველამ მოაწერა ხელი. მაინც ყველას თანამდებობა და პროფესია მივწერე, უნდა იცოდნენ, კაცო, რა ხალხი ცხოვრობს ამ დასაქცევ ეზოში. მე კი ვიცი, რა ხალხიც არის, მე რომ მკითხბო, ერთსაც არ გავაჩერებდი...

ძია ვანომ კითხვა განაგრძო:

1. ვარლამ ხუნდაძე — ინჟინერი.

ძია ვანომ თვალბეჭდით შეხედა დათოს და თქვა:

— ესეც ინჟინერია და შენც! ამის აშენებული სახლი ორ წელიწადში ინგრევა — აფერისტი! ორჯერ წაართვეს ცოლი და სიბერეში დაიბრუნა.

2. კონსტანტინე დავითაშვილი — პედაგოგი.

— ჰმ! პედაგოგი... ამისმა მოწაფემ გოგოს გულისათვის დანა დაარტყა ამხანაგს... ერთი ამის პედაგოგობაც!.. ნამდვილი ჩანჩურაა.

3. ბენო ჩიჩუა — ქარხნის მთავარი ბუღალტერი.

— აი, ეს არის, რაც არის.. ჭკეყანა შეჭამა, სისხლის სამართლის დამნაშავე!

4. ალექსანდრე ჭიმშელი — დამსახურებული ექიმი.

— ჩვარი! ყოფილი მუსუსია.. ბოლო ხანებში საყვარლებმაც გამოაპანლურეს. უფულოდ არ აკეთებს ოპერაციას.

5. ოლიფანტე ბასარია — გადამდგარი პოლკოვნიკი, პენსიონერი.

ძია ვანომ საჩვენებელი თითი წინ გაიშვირა და პირით ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს იარაღი ისროლა. მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და თქვა:

— შენც იცი, რა კაცი... სროლა უყვარდა...

6. ლოლა დორეული — გასტრონომის მოლარე.

— გასტრონომის ვერთხა. ფულის ანგარიში არ იცის, ყოველთვის გაკლებს...

7. ნორა ზანდუკელი — ესტრადის მომღერალი.

— ჩემზე უკეთ შენ იცნობ. ბოლო ხანებში მოუხშირე, აი, სიარულს.

8. თინათინ სამხარაძე—ფარმაცევტი.

— ესეც კახაია!

დათოს გული შეუწუხდა და შეაწყვეტინა.

— ნულარ წაიკითხავ, ძია ვანო, ყველას ვიცნობ... ძია ვანო, ამიტომ არ უყვარხარ მეზობლებს. საინტერესოა, მე რომ მოვაწერ ხელს და სხვა მეზობლებთან შეხვალ, იქ რას იტყვი ჩემზე?

— შენ მოაწერე, მე ვიცი, რასაც ვიტყვი! — ბერიკაცმა გაიცინა და ხელის მოსაწერად გაუწოდა ქაღალდი...

დათომ პირველივე ავტომატიდან დაურეკა ოთარ სალაყაიას. რატომღაც დარწმუნებული იყო ბუბა პირველ საავადმყოფოში იწვა. მაგრამ ოთარმა უთხრა: ყველა განყოფილებაში დავრეკე და ასეთი ავადმყოფი ჩვენთან არ წევსო.

მთელი დღის გეგმა ჩაეფუშა, არა მარტო გეგმა...

სულ სჭეროდა, დღეს უსათუოდ ნახავდა ბუბას.

რამდენი საავადმყოფოა თბილისში, სად უნდა ეძებოს ახლა?! არა-და ბუბასთან შეხვედრის მოლოდინით ცხოვრობდა... ფიქრებით ისე შეითვისა. ახლა ბუბაზე მახლობელი ადამიანი ქვეყნად არ ჰყავდა. მაგრამ საკვირველი კი იყო, რაც უფრო მეტს ფიქრობდა ბუბაზე და ეთვისებოდა, მით უფრო ბურანში ეხვეოდა ბუბას სახე. ცდილობდა, მეხსიერებაში აღედგინა ნაკეთები, გამოშვებული... ვერ ახერხებდა. ეჩვენებოდა, რომ უფრო სხვანაირი იყო, ვიდრე მას ჰყავდა წარმოდგენილი. წარმოსახვა მეხსიერებაში ჩარჩენილ სახეს იერს უცვლიდა.

— ღმერთო, რა ქალაი!

— ვინა?

— ბუბა ეშბა!

ავტომატიდან საავადმყოფოებში რეკვა და ძებნა უაზრობაა, უკეთესი იქნება, თუ გელასთან მივა რედაქციაში იქ ტელეფონია და ადვილად გაიგებს, სად წევს ბუბა.

გელა საქმიანად მოეკიდა ბუბას ძე-

ბნას. ჯერ, რა თქმა უნდა, გაუკვირდა, როცა შეიტყო დათოს დამუკიდებულე-ბა ბუბასადმი. ისიც კი უთხრა: წამდვილი გიყი ხარო, მაგრამ მეგობარს მაინც უნდა დახმარება, გინდაც ის ნამდვილად იყოს გიყი.

— მას პირველ საავადმყოფოში არ აღმოჩნდა..

— არა.

— მოდი, ჩვენ დავრეკოთ... — გელა ცოტა ხნით ჩაფიქრდა, — დავრეკოთ... ალდაშვილის საავადმყოფოში — ტელეფონების წიგნი გაშალა, მონახა საჭირო ნომერი და დარეკა. — ისე, რომ იცოდე, კარგი ხელი მაქვს. ალო! ალო! ხომ ვერ მეტყვიით, თქვენთან წევს თუ არა ასეთი ავადმყოფი — ბუბა ეშბა. აჰა, გმადლობთ.

გელამ ყურმილი დადო და გაიღიმა.

— რა ვითხრეს?

— რას მეტყოდნენ... აკი ვთქვი, კარგი ხელი მაქვს მეთქი, რად გინდოდა ოთარ სალაყაია, პირდაპირ ჩემთან უნდა მოსულიყოვი.

— რომელია ეგ ალდაშვილის საავადმყოფო?

— როგორ არ იცი, კამოს ქუჩაზეა.

— აჰა... ვიცი.

— ისე, შავი კოლა როგორა გყავს.

— ერთი მაგისი.

— რომ იცოდე, ცუდი ახალი წელი გაუთენდება. ამ უჯრაში მიღევს მაგისთვის დამზადებული ატომური ყუმბარა... ისე დავარბიო, შენი პლატონი არისტრატელედ მოეჩვენოს, — გელა თავისსავე ხუმრობაზე სიცილით მოკვდა.

— ძალიან მეგუჰება. შენ სულ ვგრეტრებახობ.

— აღდგომა და ხეალო.

— თუ კი ეგრეთა, კაცი შენ ყოფილხარ..

გელა კმაყოფილ იჯდა თავის მაგიდასთან. სიგარეტს ამოღებდა.

— წუხელ ძალიან შეეუბერეთ, არა? — გელა სკამზე გასწორდა და სალაპარაკოდ მოემზადა, მაგრამ დათოს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, მაშინვე წამოდგა.

— მე წავალ, გელა, ბუბა უნდა ვნახო.. არ შემიძლია.

დათომ ზოოპარკთან ტაქსი დაიჭირა.. ჯერ ყვავილების მაღაზიაში შეიარა, მერე საავადმყოფოს მიადგა.

დარაჯმა არ შეუშვა.

— არ შეიძლება... ჩაჩავამ აკრძალა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ბევრნი მოდიოდნენ... ეხლა აღარავის უშვებენ.

— ეგ ჩაჩავა ვინ არის?

— ვა, ჩაჩავა არ იცი, კაცო?! პროფესორი!

— აჰა... პროფესორს რომ ვთხოვო?

— თხოვე.

— სად შეიძლება ნახვა!

— დღეს ვეღარ ნახავ... წაიდა... ხვალ გამოიარე.

დათომ მიხაკები დარაჯს გადააწოდა და უთხრა — აუტანო... როდესაც კარებში ვადიოდა, დარაჯის ხმა დავწი:

— ჩვენი ძმა, რა ვუთხრა, ვისგან არისო?!

დათოს პასუხი არ გავცია.

სუსხიანი დღე იყო. ქარი სახურავების თავზე მიერეკებოდა თეთრ ღრუბლებს.

...პატარა ბიჭი ყვავილებით მოჩათულ მწვანე მინდორზე მიდიოდა. მინდორს ყოველი მხრიდან ლურჯი, უსახდვროდ ლურჯი ცა დამხობოდა. ბიჭი უზრუნველად მიიბიჯებდა. მოულოდნელად შეაშფოთა ცხენის ფლოქვების ყრუ ხმაურმა. შეშინებულმა მოიხედა. მისკენ მირბოდა გაგიჟებული, გახელებული შავი ცხენების რემა. შავი, მაღალი ცხენები გასაოცარი სისწრაფით მიჰქროდნენ ბავშვისაკენ, პირზე ქაფმორეულები გრივალავით მოჰქროდნენ. განწირულმა ბავშვმა იყვირა და თვალბუხე აიფარა ხელები- მაღალი, შავი ცხენები შემზარავი ჭიხვინით უახლოვდებოდნენ, ფლოქვების თქარა-თქური მიდამოს აყრებდა. რემამ ბავშვს გადაუარა, არცერთი ცხენი არ შეხებია, მხოლოდ ქარმა წააქცია ბავშვი... თავზარდაცემულმა თვალები დაჭყიტა... ცხენების ოფლიან მუცლებს და პრილა ნალებს ხედავდა.

რემამ გადაიგრილა და წავიდა. ბავშვმა წელი აითრია. თვალუწვდენელ მინდორზე გარბოდა რემა. შავი, მაღალი, გაფლანანებული ცხენები გრივალავით მიჰქროდნენ.. უკან რჩებოდა ფლოქვებით გადათელილი მწვანე ბალახი, მიწაზე დაწვენილი, გადაჭევილი ყვავილები...

ოქროს თევზი უმირიანოდ ცხოვრებას შეეჩვია. ჯერ გაუჭირდა, მაგრამ მერე თანდათანობით შეეგუა მარტო ყოფნას.

ვადიოდა დღეები და მირიანი არ აკითხავდა. იმედი ჰქონდა, მოვიდოდა და წაიყვანდა, მაგრამ აღარ მოვიდა. აღარ მოაკითხა და ოქროს თევზი მარტო დარჩა. იმედი გადაიწყვიტა...

ბოლოსდაბოლოს, შეეჩვია უმირიანოდ ცხოვრებას. თუმცა ეს ცხოვრება ძველს არა ჰგავდა. მოლოდინი და მირიანთან შეხედრა აღარ აღელვებდა. დღეები მოწყენილი და ერთფეროვანი იყო. მინის გამჭვირვალე კედლები მთლიანად დაიბურა მწვანე ხავსით. გარეთ გახედვა უკვე აღარ შეიძლებოდა. ოქროს თევზი ვერ იხედებოდა და არც აინტერესებდა, რა ხდებოდა მინის კედლების მიღმა. თავისთვის ცხოვრობდა, გარე სამყაროს მოწყვეტილი.

მოგონებები ასულდგმულებდა, კარგი, კეთილი მოგონებები, მირიანთან შეხვედრის მთრთოლვარე წუთები, ტყბილი საუბრები, სიყვარული...

ოქროს თევზი ფიქრიანი და გულჩახხობილი გახდა.

სულ ეჩვენებოდა, მირიანი შინიდან გააძვეეს და მოაშორეს. აღამიანებზე შეეცვალა წარმოდგენა.

მაგრამ დღეს, როცა ყველა წასულეგონა, მოულოდნელად დათო დაადგა თავზე და ჰკითხა:

— როგორა ხარ?

ოქროს თევზმა არაფერი უპასუხა, რადგან სჯეროდა, რომ დათო უგულოდ ეკითხებოდა, ისე, სხვათა შორის.

— მიგატოვა მირიანმა? მიგატოვა?

— ჰო, მიმატოვა... — ჩაილაპარაკა თავისთვის ოქროს თევზმა.

— სულ მარტო დარჩი, შე საწყალო.  
მარტო დარჩი!

— ჰო, მარტო ვარ.

— შენი მარტობა მაწუხებს ხოლმე...  
მარტობა... ერთხელ დამესიზმრა, თითქოს მე ვიყავი მინის ეს ჭურჭელი... თითქოს მე ვიყავი. და შენ ჩემში ცხოვრობდი, ჩემში ცხოვრობდი... მე ვწუხდი, რომ ჩემს სხეულში უცხო არსება ცოცხლობდა. მე ვწუხდი... თან მომეჩვენა, რომ შენც შეწუხებული იყავი, რადგან სხვა ჭურჭელში აღმოჩნდი... მომეჩვენა...

ოქროს თევზი სიხარულის თრთოლვამ იტანა.

— მაგრამ ის სიზმარი იყო... სიზმარი...

— სიზმარი?

— მერე ხანდახან მეგონა, მართლა ცხოვრობდი ჩემში... ხანდახან... იქნებ, მართლა ჩემში ცხოვრობ?... იქნებ?

— მე მინდა ვიცხოვრო, მინდა შენში ვიცხოვრო.

— ახლაც ასე მგონია, თითქოს ეს ჭურჭელი მე ვარ და შენ ჩემში ცხოვრობ... ახლაც ასე მგონია.

— ვცხოვრობ! — სიხარულით იყვირა ოქროს თევზმა, — შე ყოველთვის ვიცხოვრებ!

ამაყად გასრიალდა წყალში. ოქროს თევზს ბევრჯერ განეცადა სიხარული, სიამაყე კი — არასოდეს. ღირსეულად ეჭირა თავი, ფარფლებს ნელა, დინჯად ამოძრავებდა, ისე, როგორც ეს შეჭფერის დარბაისელ თევზს, რომელმაც სიცოცხლეშივე მოიპოვა დიდება, ეზიარა უკვდავებას.

— მე ახლა დაგაპურებ, ოქროს თევზო... დაგაპურებ...

დათო მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათით ადრე მივიდა სადგურზე. მატარებელი პირველ ლინდაგზე იდგა. ვაგონების წინ ხალხი ფუსფუსებდა. გულმა ვერ გაუძლო, მაინც გადაწყვიტა, მირიანი გაეცილებინა. რაღაც გაუგებრობა მოხდა ძმებს შორის, უფროსი ძმა

ნაწყენია. უმცროსი ძმა, იმიტომ, რომ უმცროსია, ვალდებულია, მივიდეს და გაარკვიოს ეს გაუგებრობა. თუ დამნაშავეა, ბოდიშიც უნდა მოუხადოს.

დათომ არ იცოდა, რომელი ვაგონით მიემგზავრებოდა მირიანი. ბოლოდან გაჰყვა, ბაქანზე გულდასმით ათვალერებდა მოსაუბრე ხალხს, არც ფანჯრებზე მიმდგარი მგზავრები გამოჩენია...

ყველა ვაგონის წინ გაიარა.

ახლა თავიდან გამოჰყვა მატარებელს. ისე მოდიოდა, თითქოს ნაბიჯებს ითვლიდა, მირიანს, ალბათ, გაუხარდება თქმა უნდა, გაუხარდება... ვანა არ იცის დათომ, როგორ უყვარს უფროს ძმას. მაშინ აღელდა და რაღაც სისულელე უთხრა. სად ვაგონილა, ძმას ძმა ეჯივრებოდეს. გელა მართალი იყო. უბრალოდ მივა, გადაეხვევა და გადაკოცნის. გულით მიულოცავს გამარჯვებას...

— დათო! — მოესმა ქალის ხმა.

დათომ გვერდზე მიიხედა. შემოსასვლელში მორბოდა სახეგაბადრული მანანა, ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა.

მანანამ დათოსთან მოიბრინა, მოეხვია და აკოცა. დათო დაიბნა, ვერაფრით მიხვდა, რაში იყო საქმე. იმ დამეს შემდეგ მანანა ყოველთვის გაურბოდა, თავს არიდებდა...

— ჩვენს გასაცილებლად მოხვედი, არა? — ჰკითხა მანანამ, პასუხს აღარ დაელოდა და ლაპარაკი განაგრძო, — რატომღაც მეგონა, დღეს შენც იქნებოდი... თუმცა არც ჩვენები ყოფილან... ეს ისე, საიდუმლოდ მოხდა, მხოლოდ მირიანის ამხანაგები იყვნენ.

— არაფერი არ ვიცი, მანანა.

— დღეს შე და მირიანმა ხელი მოვაწერეთ!

დათოს მუხლებმა უმტყუნეს, კინაღამ ჩაიკეცა.

— არ ვიხარია?!

— როგორ არა.. მაგრამ ეგ ჩემთვის ისეთი მოულოდნელი ამბავია...

— ყველასთვის მოულოდნელი იქნება... მაშინვე გაგიტეხება.

— არც ბენომ იცის?!

— არა. როცა ვაიგებს, ჩვენ უკვე წა-

სულელები ვიქნებით... დიდი წერილი დაუტოვე... მამაჩემი კეთილი კაცია... მამატივებს, მაგრამ ვერ შეშინია. ამიტომ გადავწყვიტეთ, სადგურზე ცალკე-ცალკე მოვასულიყავით.

ქალიშვილი მთელი ტანით აეკრო... მერვე სწრაფად გადაიხსნა გულის პირი, სარაფანის ვიწრო სამხრეები მკლავებზე ჩამოუყვივდა.. დათო თავს ძალას ატანდა, უნდოდა როგორმე ჩაეხშო, თუ ჩაეკლა ხსოვნაში გაღვიძებული წარსული.

წამოდი, დათო... მირიანს უკვე მოვიდოდა და, ალბათ, ღელავს, შენ არ იცი, რა ბედნიერი ვარ, დათო... წამოდი.

— მოიცადე... თუმცა არა...

— უკეთესი არ არის, ერთად რომ მივალთ?

— რა თქმა უნდა, უკეთესია... მაგრამ მე ასე მიჩვევია.

— ხომ მოხვალ, დათო.

— შენ წადი, მანანა.

— მე მეგონა ჩვენს გასაცილებლად მოხვედი.

— აკი ვითხარი, არ ვიცოდი, თუ დაქორწინდით. შენ წადი, მანანა. მირიანს ნამდვილად იღელვებს.

— დათო, მირიანს ეწყინება. — მანანა გაიქცა.

— მანანა! — დაუძახა დათომ — გეხვეწები, მირიანს არ უთხრა, თუ მნახე.

— რა სისულელეა, რატომ არ უნდა ვუთხრა?!

— რომელი ვაგონია?

მანანამ უთხრა, რომელი ვაგონიც იყო და ნახევრად ბნელ ბაქანზე გაიქცა.

„სულ ერთი არ არის, რომელია? მე მაინც არ მოვალ... არ მოვალ... ნამდვილად არ მოვალ... თუმცა, რატომ არ უნდა მოვიდე? კაცმა რომ თქვას, რა მოხდა ისეთი?“

ცოტა ხნის შემდეგ ვარეთ გამოვიდა თეთრი პერანგი თავის ამხანაგთანად. თეთრმა პერანგმა და მისმა თურმამ ამხანაგმა მიიხედ-მოიხედა... მერვე დათოსაკენ წამოვიდა... დათო სხენის სიბნელეში კატასავით გაუჩინარდა... უკებ საზე მკლავებში ჩამალა მანანამ. შავი, მძიმე თმა ტალღასავით გადაეფარა ნა-

ხევარ მაგიდას. ხელნაწერი ფურცლები, საფერფლე, ფანქარი თმის ქვეშ მოექცა. შავი მზინიანი თმა ზღვის ტალღებივით იზრდებოდა. მთელი მაგიდა წალეკა... მერვე აზვირთდა, გაღველო ქუჩებს, ხეებს, მანქანებს, ადამიანებს, გაღველო მატარებლებს, ხიდებს, სახლებს... მთელი ქალაქი მოექცა თმის ქვეშ...

— რა გატირებს? — უკებ ჰკითხა მეორე დათომ.

— შენლა მაკლდი... დიდი ხანია, აღარ მოვიგნია... — უპასუხა დათომ.

— სულ წახდი, ჩერად იქეცი... მაინც რა გატირებს?

— არაფერი... არაფერი...

დათო რესტორანში შევიდა. ორი ბოთლი შამპანური და შოკოლადის ფილები იყიდა...

ბაქანზე გამოსულმა ნაბიჯს მოუჩქარა, რადგან ვაგონების წინ ხალხი აწრიალდა. ელშავლის საყვირის ხმაც გაიგონა დათომ. გაიქცა. გულზე მიხუტებული შამპანურის ბოთლები მიჰქონდა. მატარებელი დაიძრა, დათო მთელი ძალით გაეკიდა მატარებელს. წინ კიბეზე მდგარ მირიანს მოჰკრა თვალი: იღიმებოდა, ვიღაცას უქნევდა ხელს.

— მირიან! დაიყვირა დათომ.

მირიანმა მოხედა, მაგრამ, ეტყობოდა, სიბნელეში ვერ გააჩნია ვინ ეძახდა.

— მირიან! უყვიროდა დათო, თან მატარებელს მისდევდა. — მირიან! მე ვარ, მი-რი-ან!

მატარებელი წავიდა. თურმე კარგახანს სდია მატარებელს. როცა გამობრუნდა, ბაქანზე კანტი-კუნტად დაბორიანობდნენ გამცილებლები.

ერთხანს მოსაცდელ დარბაზშიც იწრიალა. შამპანურის ბოთლები ისევ მკერდზე ჰქონდა ახუტებული. გრძელ მერხზე დაინახა მძინარე გლეხი, რომელსაც გვერდზე მიედგა ცარიელი კალათა და ხელი მთვრალი მშაკაცავით გადაეხვია. დათო მიუახლოვდა. შამპანურის ბოთლები და შოკოლადის ფილები ფრთხილად ჩაუწყო კალათაში...

ქუჩაში გამოვიდა. ქალაქზე დაცემული ცა გაუბედავად



იწყებდა თოვას. პატარ-პატარა ფანტელები თითქოს მიწამდე არ აღწევდა, მუშლივით ირეოდა ჰაერში.

დათომ მოედანი გადასჭრა...

— ბუბა, მე მეშინია, არ გადაიღალო.

— პირიქით, — უპასუხა ბუბამ, — ეგ დასვენება იქნება ჩემთვის... ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარ.

— ავთანდილს ვარდა მოვა ვინმე?

— გელა, ნოდარი, ჯიმშერი... თუ დრო ექნა, შეიძლება, ოთარ სალაყაიაც მოვიდეს. ვერ წარმოიდგენ, რა კარგი ბიჭები არიან. დარწმუნებული ვარ, ყველას შეუყვარდები.

ფრთხილი კაცები გაისმა. კარი გელამ შემოადო. შემოვიდა შავ კოსტუმში გამოწყობილი, გაპარსული, თმადავარცხნილი.. ბუბასკენ გაღიმებული გაემართა, ბუბამ ხელი გაუწოდა, გელა დაიხარა და უდიდესი მოკრძალებით ეამბორა ხელზე.

— ჯერ არ მოსულან ბიჭები?

— პირველი მერცხალი შენა ხარ.

— რასაკვირველია... მაგათ თუ არ დაიგვიანეს, ისე არ შეუძლიათ. — გელა არაბუნებრივად ლაპარაკობდა და მოძრაობდა, ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა.

— მშვენივრად გამოიყურებით, ქალბატონო ბუბა. დათო ისე წუხდა, მე მეგონა, დავრდომილი იყავით.

— დათო ყოველთვის აჭარბებს. — ბუბა ბრწყინავდა, იღუმალი, შინაგანი შექვით იყო ანთებული.

ცოტა ხნის შემდეგ ნოდარ ნიყარაძე და ჯიმშერ ქალდანი მოვიდნენ. მათ რაღაც კოლოფი მოუტანეს ბუბას, ვარდისფერ ქალაღში შეხვეუთი.

დათომ მეგობრები წარუდგინა, ორივემ ხელზე აკოცა მწოლიარე ქალს. „დღეს რა ზრდილობიანები არიან!“ — გაიფიქრა დათომ.

გელას აშკარად შეეტყო — ეწყინა, თვითონ რომ ვერ მოიფიქრა საჩუქრის მოტანა.

ავთანდილი არ მოსულა? — იკითხა ჯიმშერმა.

— საცაა, ისიც მოვა.

— ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს... ვერაფრით გიმასპინძლებოდა, თქვა ბუბამ, — დათო, შენ უნდა გეზრუნა ამისათვის.

— ნუ წუხდებით, ქალბატონო ბუბა, — დაამშვიდა გელამ. — ჩვენ არაფერი არ გვინდა.

ჯიმშერი და ნოდარი ფანჯარასთან დასხდნენ.

— თქვენი ერთად დასხდომა არ შეიძლება, — გელა თანდათან ემსგავსებოდა თავის თავს, — ფიზიკა არ გამაგონოთ!

— ფიზიკას უღალატა, — დაუმატა ნოდარ ნიყარაძემ, — ისევ კოტე რამიშვილისა და გენების საკითხს დაუბრუნდა.

— ალბათ, ეგ უფრო იოლია, — ვერ ისვენებდა გელა. — ჯიმშერ, მე მაინც ვერ გავიგე, რატომ არ გათქმევინა სადღეგრძელო თამაღამ.

ჯიმშერ ქალდანი გაწითლდა.

— აქ ყველანი მეგობრები ვართ, ის მაინც გვითხარია, რისი თქმა ვინდოდა. დათო ამბობს, რაღაც ახალი სადღეგრძელო უსწავლია და ჩვენ არ გვიმხელსო.

ამ დროს ავთანდილ ხარაბაძე შემოვიდა. გაუპარსავი, გაბურძენული, მორცხვად აიწურა კარებთან, შორიდან მიესალმა ყველას და უხერხულად აიჩეჩა მხრები.

— ავთანდილ ხარაბაძე, — გააცნო დათომ ბუბას, მერმე სკამი მიაწოდა, — სხვების წინაშე ბოდღის ვახდი, მხოლოდ ავთანდილისთვის ვიზრუნე, — უბის ჯიბიდან „ენისელა“ პაწაწინა ბოთლი ამოიღო და მეგობარს მიართვა.

ავთანდილმა მადლობა გადაუხადა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— რაღას ვუცდით, — თქვა გელამ, — ოღონდ, სანამ კითხვას დაიწყებდეს, პირობა უნდა მომცეს, რომ ყველაზე პირველად თარგმანის ნაწყვეტს ჩვენს გაზეთში გამოაქვეყნებს.

ავთანდილი დაეთანხმა და ჯიბიდან ორად გაკეცილი ფურცლები ამოიღო.

დათო თვალს არ ამორებდა ბუბას. ბუბა ბედნიერი იყო.

ავთანდილ ხარაბაძე ქართულად კითხულობდა დანტეს „ჯოჯოხეთს“...

დათო კინოსტუდიასთან ავიდა ტროლეიბუსში. მან მოულოდნელად მეორე ცხოვრება აღმოაჩინა და ასეთი კმაყოფილება არასოდეს უგრძვნია, იქ არაფერი ერეოდა მის საქმეში, არაფერი უშლიდა ხელს. ცხოვრებას აწყობდა ისე, როგორც თვითონ მოესურვებოდა.

ძველი დანჯღრეული ტროლეიბუსი ჩაქჩაქით მდებოდა. ირყეოდა, ბანცალეზბდა, თახთახებდა, ათასგვარ საეჭვო ხმებს გამოსცემდა.

დათო ისევ ბუბაზე ფიქრობდა... ასე ეგონა, თითქოს აღარ შეეძლო ამ ფიქრის გარეშე არსებობა. ეგონა, ეს ფიქრები ბუბამდე აღწევდა. სიმარტოვის გრძნობას უზნობდა და ტკივილებს უჭარებდა. ღრმად სჯეროდა, რომ ეს ფიქრები ცხოვრებას უმსუბუქებდა ბუბას...

დათომ ჭიშკარში შესვლისთანავე იგრძნო, ეზოში უჩვეულო ამბავი ხდებოდა, ასე გვიან, ისიც ასეთი სუსხიანი ღამით მეზობლები უმიზეზოდ არ იქნებოდნენ ადვენებზე გამოფენილები.

როგორც კი ეზოში შევიდა და თავის აივანს ახედა, მაშინვე მიხვდა, მთელი ეზო გარეთ რატომ გამოსულა, ხალხს თბილი ოთახები და საწოლები რატომ მიუტოვებია.

მესამე სართულის აივანზე ბენო ჩიჩუა იდგა. საცოდავი კაცი თავში იცემდა ხელებს და ღრიალებდა:

— დავიღუბე, ხალხო, დავიღუბე! ჩემი მანანა მოატყუეს, წაიყვანეს! ხომ იცით, რა ტანჯვით გამოზრდილი მომტაცეს! მარტო დამტოვეს! სკანი გოლუაფირო, ნანა! სო რექ, ნანა, სო რექ, სკუა! გაჭირებაში წარდ. ჩქივი სკუა! მუ ვქიმიანა უსკანეთ! მუ დავაშე თეფერე, ნანა!..

დათოსთან ძია ვანო საქმიანად მოცუხცუხდა.

— გაიგე, დათოჯან, რა უქნია მირიანს?

— გავიგე.

— ხედავ რა დღეშია! არჩილ სულჰაძე

— ვხედავ, ძია ვანო.

— ბენო ამ ამბავს ეგრე არ დატოვებს... ჭკვეთამყოფელი კაცი იყო, განათლებული, როგორ მოიტაცა, კაცო.

— თვითონ წაყვა, ძია ვანო... ახლა მოვდივარ სადგურიდან.

მესამე სართულზე ისევ ყვიროდა ბენო ჩიჩუა. იმუქრებოდა, ილანძღებოდა. ხალხი მდუმარე თანაგრძნობით მისჩერებოდა გამწარებულ კაცს.

— აქედან ნუ ახვალ, — ურჩია ძია ვანომ დათოს. — შეიძლება უბედურება დატრიალდეს. ხომ ნახე, თქვენები არც კი გამოსულან. გააგიჟებულ კაცს უნდა მოერიდო. როცა დამშვიდდება მერმე გაასწორებთ ანგარიშს.

დათო აივანისაკენ გაეშურა. თითქმის სირბილით აიარა კიბეები. მესამე სართულის აივანს რომ გაუსწორდა, ბენომ იცნო და ღრიალით წამოვიდა დათოსაკენ.

— დამლუბეთ ხომ, ბიჭო, დამლუბეთ... აწი, მე მიყურეთ, რას ვიზამ!

— ბატონო ბენო, ასეთი უვირილი თქვენ არ შეგფერით.

— რა დროს შეფერებაა!.. დამეკცა ოჯახი!

— მომისმინეთ, ბატონო ბენო... მომისმინეთ! ახლა მოვდივარ სადგურიდან. მანანა ვნახე.

— ნახე?!

— კი.

— რა გითხრა?

— რას მეტყუოდა? გამიყვირდა, როცა გავიგე, მირიანს წაპყლია ცოლად... მე მირიანის ვასაცილებლად გავედი... ეჭვიც კი არ შეპარებოდა... უცებ მანანას წავაწყდი სადგურზე... დამიჯერეთ, ბატონო ბენო, ასე გახარებული და ბედნიერი მანანა პირველად ვნახე.

— ბავშვია, ბიჭო, სულელია! მოატყუა იმ ოხერმა!

— ბოლოს მითხრა, ვიცე, მამაჩემი კეთილი კაცია და ყველაფერს მაპატიებსო.

ბენო ჩიჩუას, როგორც ჩანს, გული

აუჩუყდა, თვალებიდან დაბადლებით წა-  
მოუვიდა ცრემლი. ოთახში შევიარდა და  
კარი მოიჭახუნა.

დათო ერთხანს აივანზე იდგა. ველარ  
გაუძლო მერმე ბენო ჩიჩუას ქვითინს  
და შინ შევიდა.

— დათო ხარ? — შინ შესვლისთანავე  
გაიგონა დედის ხმა.

— კი, დათო ვარ.

დედა ოთახში შეეგება, შემოფოთებუ-  
ლი და შეწუხებული ჩანდა.

— ცოტათი დავამშვიდე, — თქვა და-  
თომ.

— ვინა?

— ბენო ჩიჩუა.

— ბენო ჩიჩუას არაფერი უჭირს. მა-  
დლობა თქვას, მაგის ცხვირმოუხოცავი  
გოგო მირიანმა თუ წაიყვანა.

— რატომ არის ახლა მინანა ცხვირ-  
მოუხოცავი? მშვენიერი გოგოა.

— ქვეშევეშა კია. ძალიან დაგაგიჟათ  
ძმები.

დათო აიღეწა, სახე წამოენთო.

— მე რა შემატყვე...

— დედამ ყველაფერი იცის, შვილო,  
— შეიწყვეტინა სიტყვა, მაგრამ ახლა  
მაგის დრო არ არის. წამოდი, თითქმის  
სამი საათია, ბატონი ნიკო გელოდება—  
დედა შუშაბანდისაკენ წაუძღვა.

დათო უნებურად შეკრთა. არაფრით  
არ მოელოდა თუ შავი კოლა დახვდებო-  
და შინ. მოულოდნელად შიშიც კი იგრ-  
ძნო. შეეშინდა, ნამდვილად შეეშინდა.

პლატონი და ნიკო კორინთელი მაგი-  
დას უსხდნენ. ორივე დაფიქრებული  
იყო. ხელები ორივეს მაგიდაზე ეწყობო.  
თონა ტახტზე იჯდა. მუხლებზე ხატაუ-  
რა დაესვა და ეფერებოდა. ისეთი სახე  
ჰქონდა, ვითომ კატის მოფერებით იყო  
გართული და არ აინტერესებდა, რა  
ხდებოდა ოჯახში.

— თონა, წადი, დაიძინე... გვიან არის,

— უთხრა დედამ.

თონამ კატა ვადმოაგდო მუხლებიდან  
და უქმყოფილო სახით წავიდა დასაძი-  
ნებლად. დათო არავის მისალმებია, იქ-  
ვე მიეყუდა კედელს. იცოდა, ადრე თუ

გვიან მოუწევდა შავ კოლასთან შეხვედ-  
რა და ლაპარაკი, მაგრამ არ ეგონა, თუ  
ეს დღე ასე მალე დადგებოდა. მინანა-  
ნად მოუშინადებელი იყო ამ შეხვედრი-  
სათვის. ალბათ, ამიტომ დელავდა. ანდა,  
შესაძლოა, ამიტომ შეკრთა და შეშინდა  
წელან.

— ხედავ, პლატონ, მოსალმებაც აღარ  
უნდა დავითს.

პლატონმა ვითომ ვერ გაიგონა, რა  
თქვა შავმა კოლამ. სახეზე გაუგებრობა  
გამოეხატა. ჭერ დათოს გადახედა, მერმე  
ნიკო კორინთელს.

— მე ვეგონა, დავითი სიტყვის კაცი  
იყო, — განაგრძო შავმა კოლამ... —  
ძალიან კარგად მახსოვს, პირობა მოგვცა  
— საქმეს დაიწყებდა და დამათვარებდა.  
ხომ ასე იყო, დავით?

— მე აღარ მინდა იქ მუშაობა! — და-  
თო დაცხრა, უკვე წელანდელივით აღარ  
დელავდა. მთავარი იყო პირველი სიტ-  
ყვის თქმა.

— ეგ ვიცი... მაგრამ... ხომ შემიძლია.

გკითხო: რატომ აღარ გინდა?  
— მთავარი მიზეზი ჩემი სურვილია.  
თუ მინდა ვიმუშაებ, თუ არ მინდა, არ  
ვიმუშაებ.

— კარგი იქნებოდა, ეს დალოცვილი  
წუთისოფელი ჩვენს ნება-სურვილზე  
რომ ტრიალებდეს.

— ერთი სიტყვით, არ მინდა მუშაობა...  
თუ გინდათ, მიჩივლეთ.

— ნუ აღელდები, დავით, აქ საჩხუბ-  
რად კი არ მოვსულვარ, მოვედი, რო-  
გორც მეგობარი მეგობართან. მე მგო-  
ნია... ყოველ შემთხვევაში, აქამდე მეგო-  
ნა, რომ დავმეგობრდით, ბევრ საკითხში  
გავუგვტოვებ ერთმანეთს... ხომ მართალია?

დათო უცებ მიხვდა, შავი კოლა მარ-  
ტო იმისათვის არ იყო მოსული, რომ  
გამოერკვია, სამუშაოთა მწარმოებელმა  
მუშაობაზე რატომ თქვა უარი. ნიკო  
კორინთელს ფარული შემოფოთება შეამ-  
ჩინა. ამ შემოფოთების დამალვას—გამო-  
ცდილი, ცხოვრების უკუღმართობაში  
გამობრძმედილი მამაკაცი საუბრის  
მშვიდი კილოთი და დამკინავი, მსუბუ-

ქი ღიმილით ცდილობდა. შემპარავი ღიმილით გამოხატავდა მულამ, სხვისადმი თავისი კაცური ღირსების უპირატესობას.

— შენ ჰქვიანი და განათლებული კაცი ხარ, დავით... კარგი შეგობრები გყავს, კარგი ამხანაგები. ზოგიერთ მათგანს შეუძლია ადამიანის ბედიც კი გადაწყვიტოს... წედან მართალი იყავი, თუ მოისურვებ, მოხვალ სამუშაოდ, თუ არა და, არ მოხვალ. ჩვენ შეგვიძლია ვიჩივლოთ, რადგან ჩვენ შორის ოფიციალური ხელშეკრულებაა დადებული. შენ ეს იცი, მაგრამ მაინც უარს ამბობ მუშაობაზე, რადგან იქ მუშაობას, შეგნებულად გირჩევენია დანჯა... თუმცა... რასაკვირველია... ჩვენ არ ვიჩივლებთ. მე სულ სხვა რამ მინდა ვითხრა. შენ უფლება გაქვს საკუთარ თავს სურვილისამებრ მოქცე. მაგრამ შენი შეგობრის, შენი აღმზრდელის განსაცდელში მიტოვების უფლება არა გაქვს. დარწმუნებული ვარ, გესმის, დავით, რასაც ვამბობ.

— არა მარტო მესმის, უკვე ვიცი, რაც უნდა მითხრა.

— მით უკეთესი... შენმა მეგობარმა...

— ჩემმა მეგობარმა წერილი მოამზადა შენს წინააღმდეგ.

— არა მარტო ჩემს წინააღმდეგ... ესე იგი, ვაიფე თუ არა ამ წერილის არსებობა, მაშინვე უარი თქვი ჩვენთან მუშაობაზე, ეგ რა ვაქცაობაა, დავით?!

— ჯერ უარის თქმა გადავწყვიტე... შემდეგ შემთხვევით ვაიფე, ისიც გაცვრით, არ წამიციტხავს ის წერილი.

— მე ვიცნობ იმ ვაჟს... ერთხელ იყო ჩემთან და ცუდად მოვექეცი. რა თქმა უნდა, დავაშავე, დავით, შენ უნდა შეგვარიგო.

— არ შემიძლია.

— შენ ყველაფერი შეგიძლია, დავით. შენ არა გაქვს უფლება დაღუპო პლატონი, კაცი, რომელმაც გავზარდა.

— გითხარით, არ შემიძლია თქვენი შერიგება... ის სხვანაირი კაცია.

— მე ვიცი, როგორ ცხოვრობენ ვაშეთის მუშაკები... ფუფუნებას ვერ დაიტრიალებენ...

საუბარში დედა ჩაერთა:

— როგორ, დათო, პლატონს უჭირს, შენ დახმარება შეგიძლია და არ ეხმარები?!

— მე არ ვიცი, ვის უჭირს...

— დედა! — ვაისმა თონას ხმა.

— რა იყო, თონა?!

— დედა, მოდი რა, მეშინია!

— რისი გეშინია, შვილო?

— რა ვიცი, მეშინია!

დედა ვავიდა, პლატონს მსუქანი სახე მაგიდაზე დაყრდნობილ ხელუბში ჩაემალა და გაუნძრევლად იჯდა.

— ის კაცი არ ესწრაფვის ფუფუნებას... ოცოტა უცნაური კაცია... ყველაფერს პატიოსნება ურჩევნია. — თქვა დათომ.

ნიკო კორინთელი წამოდგა, ბოროტად გადახედა დათოს. მერმე უცებ გამომეტყველება შეეცვალა, სახეზე შემპარავმა ღიმილმა გადაურბინა.

— ასე გაუთავებლად შეიძლება ლაყბობა... წავედო...

ნიკო კორინთელი გამოუმშვიდობებლად წავიდა. კარებამდე დათომ მიაცილა. ვიდრე კარს მიხურავდა, შავმა კოლამ გაიღიმა და თვალუბში შეხედა. დათო უეცარმა შიშმა აიტანა, მოეჩვენა, რომ ამ კაცის წინაშე უმწეო და უბადრუკი იყო... არა მარტო თვითონ, სხვებიც ასევე უმწეონი იყვნენ. შემკრთალმა მიხურა კარი. მიაყურა. დაქიმული იდგა ასე, ვიდრე კორინთელის ფეხის ხმა არ მიწყდა. მერმე გელა შეეცოდა: „გაუჭირდება ამ კაცთან ბრძოლა...“

მერმე დედის ხმა გაიგონა:

— უმადურო... ყველანი გუჯავრებით, მეც, თონაც, პლატონიც... მირიანიც გუჯავრებოდა... იმ დღეს განა ვერ მიფხვდი, რა მითხარი... მაშ, ვერ ვუერთგულე არა?! ვინ ეუბნება ეგეთ სიტყვებს დედას?!

— პლატონი მაშინ დაისჯებოდა, ვეგმით გაუთვალისწინებელი საამქრო რომ დამემთავრებინა—დამანაშავსავით ბურტყუნებდა დათო.—ამის შემოსაველი პლატონს და კორინთელს უნდა გაე-

ნაწილებინათ... მაგრამ მე ეს არ ვკეცი. ამიტომ მივანებე სამუშაოს თავი... თუ სხვა რამ დანაშაული ჩაუდენია, ეგ უკვე მე არ შემიხება, დედა...

დილით შიკრიკმა ბარათი მოუტანა დათოს. დავით ნათიშვილს თორმეტი საათისათვის იბარებდა მშენებლობის უფროსი.

თორმეტ საათამდე კიდევ დიდი დრო იყო.

დათოს დილიდანვე უნდოდა, საავადმყოფოში წასულიყო. ემინოდა, დღესაც არ გაესწრო პროფესორს, თორემ ბუბას ნახვას ვეღარ მოახერხებდა. სადარბაზოდან გამოსვლისთანავე დაიჭირა ტაქსი. დათოს ამგვარად არასოდეს უღელვია. უცნაური წინათგრძნობა დაეუფლა — დღეს უსათუოდ ნახავდა ბუბას. ნეტავი როგორ იქნებოდა ბუბა? ისეთი, როგორც ბოლო დროს ჰყავდა წარმოდგენილი, თუ სხვანაირი?

საავადმყოფოსთან იმდენად აღელდა, უკან გამობრუნება გადაწყვიტა. მაგრამ დათოს ვიღაც არ ემორჩილებოდა, უცნობა, ძლიერი გრძნობა ეწეოდა ბუბასაკენ.

პროფესორმა, როგორც იქნა, ნება დართო.

თეთრი ხალათი გადააცვეს... მეორე სართულზე აგზავნეს...

დათომ საკმაოდ გრძელი და ბნელი დერეფანი გაიარა. პალატის ნომერს ახედა. ამ პალატაშია ბუბა!

კარი ოდნავ ღია იყო. შეიხედა.

ნიკელის საწოლზე ვიღაც იწვა ზურგშექცევით. ქალის ჭაღარა თმით მიხვდა, ავადმყოფი ბუბა არ უნდა ყოფილიყო.

ისევ დააპირა გამობრუნება.

მაგრამ კარი დააკაკუნა და იკითხა:

— შეიძლება?

პალატიდან არავინ უბასუსხა.

ხელმეორედ დააკაკუნა და მორიდებით შეაღო კარი.

ბუბამ თვალები გაახილა და შემო-

სულ შეხედა. ერთხანს უყურა და მერე მე ისევ დახუჭა.

ალბათ ვერ იცნო.

ალბათ, იფიქრა: სხვა ავადმყოფს ეძებს და შემთხვევით შემოვიდა.

დათომ თვალი მოავლო იქაურობას. პალატაში სამხი იწვნენ: ორი დედაბერი და ბუბა.

სასთუმალთან, დაბალ ტუმბოზე, გუშინდელი მიხაკები ეყარა.

სუსტი, გამხდარი მკლავები საბანზე ეწყო... დათოს მოეჩვენა, თითქოს სახე დაპატარავებოდა ბუბას, დალეოდა. კანს სიყვითლე თითქოს შიგნიდან შეჰპარვოდა.

— გამარჯობათ, ბუბა.

ბუბამ ისევ გაახილა თვალები.

— მე თქვენთან მოვედი.

ბუბას გამოეჩვენებოდა არ შესცვლილა, ცივად მისჩერებოდა დათოს...

— ალბათ, ვერ მიცანით.

— მე არ მინდა ვიცტყო ისე, როგორც თქვენმა ძმამ.

იკით, რა... მე ახლაც არ მესმის, რატომ მოვატყუათ მირიანმა.

— მირიანმა კი არ მომატყუა... ტყუილი თქვა.

— მართალია, რა თქმა უნდა, ეგ ირთი და იგივე არ არის.

— ეგ მიხაკები თქვენ გამომიგზავნეთ?

— დიახ!

— როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე მიგხვდი.

— პირველად რომ გნახეთ, წითელი ფერი ჩამრჩა ხსოვნაში... მერმე ვიგრძენი, რომ ეს ფერი მიხაკის სურნელი იყო.

ბუბამ მიხაკებს გადახედა.

— ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა, ბუბა. ასე მეგონა, რალაცას დაგეხმარებოდით, ტკივილს შეგიმსუბუქებდით.

— ჩემი ნახვა აღარ შეიძლება... დღესაც არ უნდა მოსულიყავით...

— მაპატიეთ... მშვიდობით.

დათო პალატიდან გამოვიდა. პალატაში სული ეხუთებოდა, იღრჩობოდა. ჩქარი ნაბიჯით გაიარა დერეფანი.

ხშირად იხედებოდა უკან, თითქოს ვიღაცა მოსდევდა და გაუბრუნდა.

სწრაფად ჩაირბინა კიბეები.

დარაჯს თეთრი ხალათი მიუვდო და პალტო გამოართვა. არც კი ჩაუცვამს, ისე გავარდა გარეთ. კარებთან დარაჯის ხმა გაიგონა:

— ვა, სულ ეგ იყო?

ქუჩაშიც თითქმის გარბოდა.

მერმე შეჩერდა.

პალტო ჩაიცვა და საავადმყოფოს მოხედა.

„ვა, სულ ეგ იყო?! სულ ეგ იყო?!“  
სულ ეგ იყო?!“

დათომ სცადა, აღედგინა მის ფიქრებსა და წარმოდგენაში არსებული ბუბა. მაგრამ ვეღარ მოახერხა ის ბუბა უკვე აღარ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ ლოგინში მწოლიარე ქალი, რომლისთვისაც სულერთი იყო, მივიდოდა მასთან, თუ არ მივიდოდა დათო... სულერთი იყო, წუხდა, თუ არ წუხდა დათო... სულერთი იყო. ანუგეშებდა თუ არ ანუგეშებდა დათო.

როგორც ჩანს, ორივე ბუბას ერთად არსებობა შეუძლებელია. ან ფიქრებში უნდა არსებობდეს — შენივე მოგონილი... ანდა...

„ესთერ, ესთერ, მითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!“

დათო უაზროდ დაეხეტებოდა ქუჩებში, მერმე უეცრად გაახსენდა, რომ მშენებლობის უფროსთან იყო მისასვლელი.

ფართო საწერ მაგიდაზე მიდგმული იყო გრძელი, მუდგადაკრული მაგიდა. დათომ მაშინვე იცნო თანაკურსელი, რომლის თავი ტელეფონების, წიგნებისა და ქაღალდების გროვიდან მოჩანდა.

— არა გრცხვენია, ბიჭო, ამდენი ხანი უნდა ალოდინო მშენებლობის უფროსი? — შალვამ გაიციინა და წამოდგა.

დათომ ხელი გაუწოდა.

— არ ვიცოდი. შენ თუ დამხედებოდი აქ.

— მით უმეტეს... რამდენი ხანია არ მინახებარა... რომ იცოდე, მომენატრე.

— მაგას როგორ წარმოვიდგენდი..

— მეორე თვეა, აქ ვმუშაობ... დაჯექი, რა ფეხზე დგახარ. ორივენი დასხდნენ.

— მშენებლობის უფროსმა იცის, როდის დაიბაროს მეგობარი. ცოტა ადრე რომ მოსულიყავი, უფრო მეტს ვისაუბრებდით, ახლა დრო არა მაქვს... ობიექტზე უნდა გავიდე.

— სხვა დროს მოვალ, შალვა. ერთ წუთს არ დავავიანებ.

— არა... შენთან მოსალაპარაკებელი დრო მაინც დამრჩა... სალაზღანდაროდ კი, როცა გინდა გამოიარე. — შალვამ უჩრიდან სიგარეტი ამოიღო და ცეცხლი მოუკიდა. — შენ, მგონი, არ ეწევი?

— ვერ შევეჩვიე.

— შეჩვევა ადვილია, შენ გადაჩვევა თქვი. დათო, იცი, რატომ დავიბარე? ამას წინათ, შენი ყოფილი მშენებლობის საქმეებს გადავხედე.

დათომ რაღაცის თქმა დააპირა. მაგრამ მშენებლობის უფროსმა შეაწყვეტინა:

— ყველაფერი ვიცი, დათო... უარესიც ხდება... ნუ გეშინია, დამნაშავე დისჯება. შენ ერთი თხოვნა უნდა შემისრულო ალოდნე, ხომ იცი, შენს შემდეგ იქ აგური აგურზე არ დაუდგიათ...

— ამას წინათ ვიყავი და ვნახე... კინალამ გავგიჟდი.

— სხვა გზა არ არის, დათო, ისევ უნდა დაუბრუნდე ძველ მშენებლობას.

— ვერ დავბრუნდები, შალვა.

— რატომ?

— არ შემიძლია.

— მაინც?

— რამდენიმე წლით თბილისიდან მინდა წავიდე.

— შენ რაღაც დადლილი და გამოცვლილი მეჩვენები, ბიჭო... თუ გინდა, ჯერ დასასვენებლად გაგზავნი, მერმე შეუდექი მუშაობას.

— არა, შალვა... ეგ კი არა, რომ შემეძლოს, დღესვე წავიდოდი თბილისიდან, სადმე, დიდ მშენებლობაზე ვიმუშავებდი.

— რომ იცოდე, ეგ უფრო ადვილი გასაკეთებელია, ვიდრე ძველ სამუშაოზე დაბრუნება. მე მეგონა, ვაგინხარდებოდა...

— მშურად გთხოვ. იქ ნუ დამაბრუნებ.

— კარგი. დათო, რახან ეგრე გადავიწყვეტია... ენგურზე ხომ არ წახვალ?

— სიამოვნებით!

— მამ ზვალ დილით გამოიარე.

— გმადლობთ, შალვა.

— კაცია და გუნება! მე მინდოდა. ჩემთან გემუშავა, ახლო ვიქნებოდით... ხვალაც არ დაიგვიანო, ბიჭო!

დათო კმაყოფილი ბრუნდებოდა შინიგი წინდაწინვე ფიქრობდა მოსალოდნელ მგზავრობაზე, თან უკვირდა ასე რომ ახარებდა მგზავრობა. ეს იქნებოდა პირველი ახალი წელი, რომელსაც დათო შინ არ გაატარებდა.

დათომ თითქმის სირბილით აიარა აღმართი. უნდოდა, დღესვე ჩაეღაგებინა თავისი ტანსაცმელი. დღესვე მომზადებულიყო სამგზავროდ.

ეზოში შევიდა. ახლა უკვე სულერთი იყო, საიდან შევიდოდა. ეზოდან თუ სადარბაზოდან.

— გამარჯობა, ზურიკო!

— ვაგიმარჯოს, ძია დათო!

— ჩემთან ხომ არ ამოხვიდოდი ცოტა ხნით?

— არა, ძია დათო. მე ეზოში მირჩევნია ყოფნა.

— შენი ბელურები აღარ მოგენატრა? ამასწინათ ვნახე, მობუზული იჭდა თოვლში.

— სციოდა?

— ალბათ, წამო, ვნახოთ.

ზურიკო შეყოყმანდა.

— წამო, ძველი მეგობრობა ვაგინსენოთ. თანაც რალაც უნდა გაჩუქო.

— რა?

— ჯერ ნახე, იქნებ არ მოგეწონოს.

დათომ ხელი ხელში ჩაჰკიდა და კიბისკენ წაიყვანა ბავშვი.

— ძია დათო, იცი რა, ორჯერ ორი არის ოთხი.

— სხვამ გასწავლა, თუ შენ თვითონ მიხვდი?

— ვის უნდა ესწავლებინა?

— ცოტაა, ვინც ეგ იცის?

— არაფინაც არ იცის... მე მივხვდი.

— შენ თვითონ მიხვდი, რომ ორჯერ სორი ოთხია?

— კი, ძია დათო.

— შენხელა ბავშვი ვერ უნდა მიხვდეს.

— მე მივხვდი, ძია დათო. ორჯერ ავიღე ორი ასანთი და გამოვიდა ოთხი. დათომ ხელში აიტატა ბავშვი და აკოცა. უკანასკნელი საფეხურები ისე აათავა, ზურიკო აყვანილი მიჰყავდა.

— ხუთი წლის ბავშვი ვერ უნდა მიხვდეს... მაგას უფრო დიდებიც ვერ ხვდებიან.

— მე ჯერ არა ვარ ხუთი წლის... მაისში ვავხვდები.

— მართლა, მაისში ვახდები ხუთი წლის.

— ჩამომსვი რა, ძია დათო, ისე მირჩევნია.

დათომ აიგანზე ჩამოსვა ზურიკო. თვითონ წინ გაუძღვა და კარი გაუღო.

— მობრძანდით, ბატონო.

შინ არაფინ იყო.

— ზურიკო, ზვალ მე მივდივარ.

— სად?

— სადმე, დიდ მშენებლობაზე.

— დიღხანს დარჩები?

— დიღხანს.

— ჩვენიც მივდივართ. დედა ამბობს, მალე წავალთო...

— ასეა, ზურიკო, ყველა მიდის, ყველას თავისი გზა აქვს... აბა, ახლა ვნახოთ, იქ არიან, თუ არა, შენი ბელურები.

ზურიკომ ფანჯარასთან მიიბინა და მაშინვე იმედგაცრუებული მობრუნდა:

— არ არიან. ძია დათო.

— სად წავლენ, მოფრინდებიან.

— ძია დათო, რა უნდა მაჩუქო?

— ოო... თუმცა, ჯერ შენ მითხარი, რატომ არ მოდიოდი ჩემთან? განა ვერ შეგატყე, ნაწყენი რომ იყავი.

— ბიჭები მამბრაზებდნენ.

— რას გეუბნებოდნენ?

— მე ვუთხარი, ძია დათო ჩემი მეგობარია-მეთქი.

— იმათ რა გითხრეს?

— მეგობარი კი არა, მამობილიაო.

დათო მოულოდნელად გაწითლდა და შეშაბანდში გავიდა, ბავშვს სიწითლე რომ არ შეემჩნია.

— ძია დათო, ერთხელ აქ ამოვდიოდი და მითხრეს: მამობილთან მიდიხარო?

— სულელები არიან. ზურიკო, შენ ქვეიანი ბიჭი ხარ, ისინი კი სულელები არიან.

— რა არის, ძია დათო, მამობილი?

— ზურიკო, ეს ოქროს თევზი მოგწონს?..

— ზურიკო, ეს ოქროს თევზი მოგწონს? ეს ოქროს თევზი...

სისხლისფერი, ვრძელფარფლიანი თევზი. მშვიდად რომ დასრიალებდა მომწვანო წყალში, უცებ დაიძაბა.

შეშაბანდში შემოვიდა პატარა ბიჭი. ეს ბიჭი წინათაც უნახავს, რამდენჯერმე იყო აქ, კარგად ახსოვს მისი ცნობის-მოყვარე, ხარბი თვალები, მაგრამ წინათ არასოდეს არ შეშინებია ამ ბიჭისა, ახლა კი დაინახა თუ არა, გული გადაუქანდა.

პატარა ბიჭი მივიდა, ისეთივე ცნობისმოყვარეობით უმზერდა ოქროს თევზს, როგორც — მაშინ ოლონდ ახლა თვალეზში სხვა ცეცხლი უღვავოდა პატარა ბიჭს. საშიში ცეცხლი. თევზი დაბლა დაეშვა და თავი ნიჟარაში დამალა.

— ძალიან მომწონს. ძია დათო!... ძალიან მომწონს.

— ეგ არის, რაც უნდა მეჩუქებიან... მეჩუქებიან.

ოქროს თევზი მიხვდა — ამიერიდან მისი პატრონი იქნებოდა ეს პატარა ბიჭი. უსიამოვნო თრთოლვამ აიტანა. გულის გამაგრება მოიწადინა. ვერ შესძლო, მერმე მოეჩვენა, რომ დაღამდა. მერმე მოეჩვენა რომ მარტო არ იყო, სხვა თევზებთან ერთად ცხოვრობ-

და ოლონდ წყალში კი არა, დამეულ სივრცეში, ისე, როგორც ოქროს ვარსკვლავები ცხოვრობენ.

— ძია დათო, წაიყვან... ძია დათო...

— წაიყვანე, ზურიკო... ზურიკო.

ზურიკომ ქილას ორივე ხელი მოხვია.

— მოიცადე, ზურიკო... მოიცადე...

წყალი მოვაკლოთ... ისე ვერ მოერევა, ვერ მოერევი... მინის ქილიდან წყალი გადაღვარეს, სულ ცოტა დატოვეს. სულ ცოტა. ოქროს თევზს ცურვა აღარ შეეძლო... აღარც პაერი ჰყოფნიდა. შეშინებული ცდილობდა, ნიჟარის უკან დამალულიყო, მაგრამ ნიჟარა ქანაობდა, ფერდებში ხედებოდა და აუტანელ ტკივილს აყენებდა.

პატარა ბიჭმა ისევ მთავლო ორივე ხელი ქილას და წაიღო. ქილაში წყალი ტორტმანებდა, ოქროს თევზს მინის კედლებს ახეტებდა.

„მე უნდა გავუძლო ყველაფერს, — ფიქრობდა ოქროს თევზი, — მე უნდა გავუძლო...“

მერმე ლურჯი ცა და თეთრი ღრუბლები დაინახა. სახლები. სახურავები, მერმე კიბის ხის რიკულებიან მოაჯირსაც მოჰკრა თვალი.

პატარა ბიჭი ხის კიბეებზე ჩადიოდა. ეზოში პატარა ბიჭი გაიქცა.

— ნუ მირბიხარ, ზურიკო! ნუ მირბიხარ!... — გაიგონა ოქროს თევზმა დათოს ხმა.

პატარა ბიჭი მიინც გარბოდა.

უცებ ყვირილი შემოესმა... წყლის ტორტმანით იგრძნო — პატარა ბიჭმა რაღაცას წამოჰკრა ფეხი. ისიც იგრძნო, რომ მინის ქილას შეუშვა ხელები.

მერმე იგრძნო, როგორ დაიმსხვრა მინა.

ოქროს თევზი ცივ ასფალტზე ფართხალბდა. ხტოდა. საშველს ეძებდა... სუნთქვა აღარ შეეძლო...

„ღირსეულად უნდა მოგკვდე, — გაიფიქრა ოქროს თევზმა — მე უკვდავი ვარ, ჩემი სული ადამიანში იცოცხლებს...“

ოქროს თევზი აღარ სუნთქავდა.

## პარო ქაღაძე

### მთვარე, პარსკვლავები და ავთანდილი

ან შორი საღამო რა იყო, ან დილა, —  
ზღვა გასჭრა, ცა გასჭრა, მთა გადინადირა!

ამ დილით კი არა — რვაასი წლის წინათ,  
და ახლა სიშორეც არ ჰყოფნის სიცილად!

თავს ადგა მზე, მაგრამ გაჰქრა ის წამი და  
მისი ხმა სიერციდან — სიერცეში წავიდა...

და თვითონ სამყაროც — ყრუ მოწმე ამ დარდის,  
სიმღერა ეგონა. სიმღერა, ავთანდილს.

ვაი თუ იმავე ოცნებით ვერთობი:  
ვღგევარ აქ, და თუბთქვეშ მივია ფერდობი,

ვღგევარ აქ, და ქაჯთა ნაკვალევს ჩავცქერი,  
უფსკრულში ვაებით ვარდება ჩანჩქერი!

მიტაცებს მით უფრო მაღალი ცის კიდე,  
ვერ იქნა, ეს ცოდვა ვერ გამოვისყიდე!

ვინ იცის, რამდენჯერ ღრუბლების ხუხულა  
ქარით დანგრეულა, მზით გადაბუგულა.

და მაინც დამეში ჩაგუბულ ჯავრს ჰკლავდა  
ყოველთვის ციმციმი შორეულ ვარსკვლავთა!..

და აი, მაღლობზე ჩანს ტოტებ-აშლილი  
ჩემი და განაბულ ხეების აჩრდილი,

გზა იცის მთვარემაც ამ გორის, ამ ოდის, —  
ყოველთვის ამ დამის ბინდ-ბუნდში ამოდის!

არ დაგხვდებ — უეცროვ თვალს ვინღა შეავლემს,  
წუთი რომ ტოტებში კვლავ გაიშრიალებს!

მეც ერთი წყვილი ფრთა როგორ არ ვინატრო,  
გულისთქმა ღრუბლებში მსურს დავაბინადრო,

იქნებ, იქ მივაწყდებ ქინსა და სიყვარულს,  
ერთხელ ავთანდილის სიმღერით მიკვალულს!..

არ გახსოვთ? რამდენი შიკრიკი ვაფრინეთ,  
რამდენი კაშკაშა ცა გავინაპირეთ! —

იქნებ, ეს უჭრობი სწრაფვია თვალისა,  
სიშორით მომხიბლავ სიშორეს რომ ელტვის!..

მე ფოტოსურათი ჩოფურა მთვარისა  
მაქვს გულის-ჭიბეში, ისე ვით ყოველთვის.

## რეპეზ ჯაჟარიძე

# ახლო არს ზაფხული

ქმედება მეგობარს — პოეტ ოთ. კელიძეს

### მოთხრობა

1

მოსკოვის გზით მხოლოდ ორნი წამოვედით. სხვებმა ხარკოვისაკენ არჩიეს წასვლა. ხარკოვისაკენ წასვლით, მართალია, გზას გვარიანად მოკვრივით და დროსაც ბლომად მოვიგებდით, მაგრამ სხვა მატარებელში გადაჯდომას მაინც ვერ ასცდებოდით.

ხარკოვში შესაძლოა უფროც ვაგვირგებოდა ბილეთების დამოწმება. გუშინდელ მოქმედ არმიიდან დემობილიზებულთ ბილეთები, რასაკვირველია, ბოლო სადგურამდე გვექონდა, მაგრამ, თუ ერთი მატარებლიდან მეორეში გადაჯდებოდით, გადაჯდომის სადგურში ბილეთი უსათუოდ უნდა შეგემოწმებინა და ახალი ტალონიც აგველო.

ტალონის აღება ჭირდა. გზებზე გაკრულ ხალხს არც თავი უჩანდა, არც ბოლო. ვერ შეიტყობდით, ვინ საით და რა აუცილებელი მიზეზის გამო მიდიოდა. კაცს იმნაირი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს მთელი ცისქვეშეთი დედაბუდიანად აყრილიყო, შეჩვეულ ადგილებს სამუდამოდ სტოვებდა და სადღაც შორს, ალტყმულ ქვეყანაში მიემგზავრებოდა...

დამწვარ-დანგრეული და ჯერ კიდევ აღუდგენელი სადგურების ახლომახლო მოედნებზე, ქუჩებში და თვით ვაგზონის ბაქნებზე მატარებლის მომლოდინე უსახლკარო ოჯახები დამეს ცისქვეშეთევენ. ვის ჭუჭყიან ტომარაზე მიე-

დო თავი და ეძინა, ვინ კონკებს აფარებდა შიშველ-ტიტველ წვრილშვილს და სიცივისაგან ფერწასული ბავშვების ვათბობას საკუთარი სხეულის სითბოთი ლამობდა.

ყოველ ნაბიჯზე და დღე-ღამის ყოველ დროს ისმოდა სტვენა, გინება და ცხოველური ყვირილი. აღამიანებმა თავი ერთმანეთს დიდი ხანია მოაბეზრეს და თითქოს ყოველი მეორე კაცი ქვეყნად მხოლოდ იმისთვის გაჩნდა, რომ წინამავალს კრიკაში ჩაუდგეს და სიცოცხლე გაუმწაროს...

თანამგზავრი, ვინც მხარი ამიბა და ხარკოვის მატარებლით გზის მოჭრას ჩემთან ერთად მოსკოვში გავლა არჩია, რუსის გოგო იყო, გვარად რიბოშაპკა. ომში მოხალისედ წამოსულ ალექსანდრას, რომელსაც ამ სახელის ყველა მოზიარის მსგავსად, შინაურობაში საშას ვეძახდით, ჩვენს ბრიგადაში სამსახური სულ ბოლო დროს მოუწია. ჯერტყვიამტრქვევზე იყო ვაზნების მიმტანად, შემდეგ, დაიჭრა, მგონი ლაიფტანტის მახლობლად, საველე პოსპიტალი მოიარა და კვირის თავზე ისევ უკან დაგვიბრუნდა. ამჯერად მეგეტომატეთა ოცეულში გაემწესებინათ.

საშა ერთი ჩუმი და უთქმელი გოგო იყო. შესაბნედავად არცთუ ჯანმავარი. გეგონებოდა, სული რომ შევეუბერო, წაიქცევაო. ვერც კი წარმოიდგენდი, თუ მართლა რაიმე შეეძლო. ეცვა ისევე, როგორც ყველა ჯარისკაცს აცვია: კირ-

ზის ბრახუნა ჩექმა, ხაყისფერი გალი-ფე-შარვალი, ტომარასავით უშნო, ტანზე მოურგებელი რუხი მაზარა, ხოლო ზემოთ თითბრის ბრჭყვია-ლა ფოლაქებით ნიკაპამდე შებ-ნეული გიმნასტურა. ყოველივე ამას ღირსეულად აგვირგვინებდა ვარსკვლავ-მიმაგრებული ცინცხალი ქუდი, ყუ-რებიანი, რასაკვირველია...

თუ საგანგებოდ არ დაუქვირდებოდი, იქნებ ვერც კი შეგეტყო, თუ მართლა ქალი იყო. კაფანდარა ბიჭს უფრო ჩა-მოჰგავდა, პირტიტველას, ულვაშების მაგივრად საუღვაშეზე ქერა ღინღლი რომ წამოსვლია, ხმა კი ისევე ბავშვისა აქვს...

ასეულში გოგოები ამის გარდა სხვე-ბიც მსახურობდნენ. სალდათის უხეშ ტანსაცმელში გამოწყობილ ქალიშვი-ლებს იშვიათად თუ ვინმე ამჩნევდა. მათ მგონი თავდაც დაიწყებოდათ, რომ ქალები იყვნენ, შედარებით სუსტ-ნი და აზიზნი, და ჭარისკაცური ცხოვ-რების ყოველ სიმძელეს მამაკაცების მხარდამხარ მშურად ინაწილებდნენ.

საშას ბავშვობა ვორონეჟში გაეტარე-ბინა. მშობლები ოდესღაც იქა ჰყავდა. მერე ომმა ყველაფერი თავდაყირა და-აყენა და საწყალ გოგოს ხან საიდან მონადირაა შინაურების ამბავი და ხან საიდან.

სულ ბოლო წერილი წვერმალა-დან მოუვიდა. ახლა აქეთ გადმოგვყარა ბედმა და, თუ ღმერთი შეგვეწია და ჭარიდან დაგითხოვონ, პირდაპირ აქ ჩამოგვაკითხე, სხვაგან ნურსად გვეძე-ბო.

წვერმალა ერთი პაწია სადგურია ნატანებთან, სამტრედიიდან ბათუმისა-კენ მიმავალ გზაზე. სადგური არც კია. მატარებელი ორიოდე წამით ჩერდება სახელდახელოდ მოსწორებულ ბაქან-თან და, სანამ მთლიანად გაჩერდებო-დეს, სიჩქარეს უეცრად მოუმატებს და უკვე წააუღია.

საშა დაღვრემილი და შემფოთებუ-ლი იყო. ერთხელ ნამტირალეხაც კი მივუსწარი. რაკი მე იმ კუთხის ღვიძ-

ლი შვილი ვიყავი, სადაც მას თავისი-ნები ეგულებოდა, ნამდვილ მხსნელად შემრაცხა, გვერდიდან აღარ მშორდებო-და და დღიან-ღამიანა თვალბში შე-მომყურებდა.

ამჟამად ვერ მიმხელდა, მაგრამ ვატ-ყობდი: გულში რატომღაც დაწმუნე-ბული იყო, რომ სწეულ დედ-მამას და პატარა დას, ულიანას, რომელიც ახლა ვასათხოვარი გოგო იქნებოდა, ძალიან უჭირდათ ცხოვრება წვერმალაში. უცხო მიწაზე, უცხო აღამიანებს შო-რის, როცა ყველას თავიანი ვასაქირი აღვას და ორიოდე შაურისა და ლუქმა პურის შოვნა ასე ძნელია, აბა, რის იმედი უნდა ჰქონოდათ!

რიაბოშაჰა, ეს ჭორფლიანი, სუსტი აგებულების მწითური გოგო, სულითა და გულით უკვე იქ იყო, იმ უცნობ და იღუმალ წვერმალაში და, ალბათ, არამცდარამც არ მოიწადინებდა გზის გამრულებას, მოსკოვ-ქალაქში გამოვ-ლა და ორი-სამი საათით იქ დაყოვნება მე რომ არ ამეჩემებინა.

აღრიან დილიდან მოკიდებული ტა-ლანის ფანჯარასთან ჩამოვშედით. ტა-ლანის კარი მალიმალ იღებოდა და მა-შინ ტამბურიდან სუსხიანი სუფთა ჰაე-რი და თვლებისა და ბუფერების გრგვინვა-ღრქილი შემოიჭრებოდა ხო-ლმე.

მატარებელი არყის მეჩხერ ტყეში მიექანებოდა.

გარინდებულ რიაბოშაჰას წამით თავისი წვერმალა მიავიწყდა და ჩუ-მი ღილინი წამოიწყო. ის ძველისძველ რუსულ სიმღერას ამბობდა, რომელიც ამნაირ რუხ ტყეში, გაუთავებელ გზებზე იყო შეთხზული და პირველად ნამდერი.

გარეთ რთვილი ედო ქარ-წვიმისაგან გაშავებულ კუნძებს, ნავზაურებს, უპა-ტრონოდ მიტოვებულ სატვირთო მან-ქანის თუ ჯავშანტრანსპორტიორის და-გლეჯილ საბურავებს, ველის მდინარე-ზე გადებული ბოგირის ოკრობოკრო მოაჯირს და თვით წყალსაც, მღორედ

რომ მოედინებოდა ორთავე მხრიდან ჩამოშლილ კალაპოტში...

ფანჯარასთან სულ ახლოს მივიკუთხვე და ოცნების ბურუსში გახვეულ თანამგზავრს ბანი დავაწიე. მოგუდული სიმღერა, მატარებლის შემპარავი რწევა, თვლების ყრუ კაკუნი და ზამთრის პირას ნირშეცვლილი რუსული ტყის სიჩუმე ერთიმეორეს ავსებდა, საყვირველი ჯადოსნობით ეხამებოდა და ველარც კი ვგრძნობდით, როგორ ვტოვებდით მყრალი თუთუნის კვამლთა და ოფლის სუნით აშშორებულ ვაგონს და სულ სხვა, ყოველივე ამქვეყნიურისაგან განწმენდილ სამყაროში შევდიოდით.

რიაბოშაქა უეცრად ჩაჩუმდა და ქორფლიანი, პაქუა ცხვირი ქუქყისა და ორთქლმავლის ბოლისაგან გაყვითლებულ ფანჯარას მიაქყლიტა.

მატარებელს სვლა შეენელებინა და უკვე ჩერდებოდა. გასასვლელებთან ჰედვა იყო. დამისთევითა და ვაგონის ჩახუთული ჰაერით გაბურბუსალებული მგზავრები, რომელთაც ზურგზე ჯვალს ტომრები, მუშაშმაშემოტყავებელი ჩემოდნები და მანუთში ამოხუზნული ჰრელი ფუთები წამოეკიდათ, გულდაგულ და შეუპოვრად მოიწევდნენ გასასვლელი ტალანისაკენ.

## 2

კურსკის ვაგზალმა იმედი გაგვიცრუა. სადღაც მიმავალ უთვალავ ხალხს, მოსაცდელ დარბაზებსა და ბაქნებზე რომ ვერ დატეულიყო, უზარმაზარი მოედანი და ახლომახლო ქუჩები დაეკავებინა. კითხვა რად გინდოდა — გზა ყველას სამხრეთისაკენ ედო. კურსკის გზა მოსკოვს ქვეყნის სამხრეთ კუთხეებთან — ყუბანთან, ამიერ და იმიერ კავკასიასთან აკავშირებს. აქედანვე მიდიან შორი მიმოსვლის მატარებლები ყირიმისა და კასპის მიმართულებით.

მეტროს ზედა სადგური და მარმარილოს ვესტიბულიც დაუსრულებული ლოდინით გასავათებულ მგზავრებს

ეჭირა. დღე-ღამის განმავლობაში ნეტარამდენ მატარებელს უნდა ევლო, რომ მარტო კურსკის ვაგზალს გარეშემოდოდა თვით ვაგზალში თავშეყრილი ხალხი მოსკოვიდან გაეყრიდა.

უზღვავი ხალხის დანახვამ ისედაც გულაკანკალებული რიაბოშაქა სულ წაახდინა.

— აქ სად ჩამოვეხირეთ, სერგო, ბიქო! — წამჩურჩულა მან და მკლავში ხელი მაგრად ჩამჭიდა, — ჯერ ბილეთების საქმე მოვაგვაროთ, თუ ძმა ხარ. სალაროები ნეტა სად უნდა იყოს?

ახლა მეც ვნანობდი, რომ მონატრებულ სამშობლოში დასაბრუნებლად მოსკოვის გზა ვარჩიე და უფრო წინდახედულ ამხანაგებს ხარკოვში არ გავყევი. ამ წუთს ისინი, ვინ იცის, გადაშხნდარიც არიან თბილისის მატარებელში და რთვლით შეჰორხლეული ყვითელი ფანჯრების იქით დონბასის მურა ბორცვებს არხეინად ვაპყურებენ...

კომენდანტის თანაშემწის სარკმელს ძლივსძლივობით მივალწიეთ. აქ შევიტყეთ სწორედ თავზარდამცემ ამბავი: დღევანდელი ადგილები ორი-სამი დღით ადრე იყო დაბეგვებული და ახალ მგზავრებს, გარდა მივლანებაში ვაგზავნილებსა, სულ ცოტა, ამდენავე დღე მაინც უნდა მოეცადათ.

— რა ვქნათ? — მკითხა ელდისაგან ფერწასულმა რიაბოშაქამ.

— ვიზამთ რალაცას! — ჯიუტად მივუხმე მე და ამ სიტყვებით უფრო საკუთარი თავი ვავიშხნევე, — შეიძლება ნაცნობი ვნახოთ ვინმე.

— ამოდენა ქალაქში ვინ ნაცნობი უნდა შეგხედეს!

— არ გჯერა, ხომ? — ჩემი ნათქვამისა თავადაც არ მჯეროდა, მაგრამ იხტიბარი აღარ გავიტყე.

რაკი მე თავდაჯერებული და იმედიანი დამიგულა, საშა თითქოს მოსულეირდა, მხოლოდ მოუთმენლობა ემჩნეოდა — როდისღა შეგხვდებიან მხსნელი ნაცნობებიო.

— მე მომშივდა, — მითხრა მან ცო-

ტა ხნის შემდეგ. — გინდა, ჩამოვჯდეთ სადმე?

— აქ სად ჩამოვჯდეთ, ხომ ხედავ, ნემსი არსად ჩავარდება!

— აგერ მივდგეთ, კარსუკან. ისე მშობი, გული მიწუნს. ამ დილას მე კი არაფერი მიჭამია.

— ვინ დაგიშალა!

— მე ვთქვი, მოსკოვში შევალთქო და...

— მოსკოვში თორემ სადილად ჩვენ გვიციდინენ. აბა, დაიქი!

— აქვე ვჭამოთ, ბიჭო? ცხელი წყალი მაინც მიგვაგნებინა სადმე.

— წყალი მგონი ბაქანზეა, ცხელიც და ცივიც.

— რა იცი?

— წელან მოქონდათ.

— წამო, აბა, ავიღოთ!

წყლის ონკანი ვილაც ყავარჭნიანმა ბიჭმა მიგვასწავლა და თვითონაც ხის ფეხის კაკა-კუკით უკან გამოვედი. თავისუფალი ხელით ცარიელ კარდალს მოაქანავენდა და ყოველი ნაბიჯის გადმოდგამაზე ღვარძლიანად იგინებოდა. გამოწეილი ჭაშაყებივით ბაქანზე დაყრილი მგზავრების შემოვლა და წინ გამოსვლა უჭირდა. ონკანთან გზა ყავარჭნით გაიკვლია და, თვალში მოვუვვდით თუ რა იყო, აღუღებული წყალი ურიგოდ აგვიღო.

ხალხი აყაყანდა. ქაფქაფა წყალი კინალამ ხელებში ჩაგვაქციეს. ხეიბარმა ყრუ-მუნჯის ვაფთხრებით დაიზმუვლა, კბილები დაკრიჭა და ბრბოს ყავარჭენი მოუღირა.

— კაცო! — ბოლოს მე მომიტრიალდა და ამ სიტყვის წარმოთქმისას მახვილი უკანასკნელ მარცვალზე დასვა. — ფული გაქვს?

შეკითხვა მოულოდნელი იყო და ხეიბარს უაზროდ მივაჩერდი.

— ამოიღე! გატყობ, უფულოდ არ იქნები. ერთი შენი ძმა მსახურობდა ჩემთან, თბილისელი... — ნასაღდათარი ხეიბარი აქ შეჩერდა, რაღაცის მოგონება დააპირა, მაგრამ ვერ მოიგონა და ისევ დაიღრინა: — ბილეთს ვერ ვყი-

დულობ. ოცდაერთი მანეთი მაქვს. მთელი ფული შარვლის უკან ჯიბეში მდებ. ჯიბეშია სამართებლით ამაქრო. გგონია, შენ თავზე ხელს მოგისვამენ?

ხელი უმაღვე ჯიბეზე ვიკარი. სა-

შამ დამიბღვირა, მხარიც გამკრა

— ხომ არ გადარეულხარო. უკვე გვიანი იყო, მთელ ქვეყნიერებაზე შემომწყ-

ყრალი გაგარწამოზრდილი ხეიბარი თვალს მადევნებდა და, თუ ფულის

ამოსაღებად ჯიბესთან მიტანილ ხელს უკანვე წამოვიღებდი, მზად იყო სიბინ-

ძურეში ნაგდები ყავარჭენი თავზე გადმოგეტვრია, ხუთ სამანეთთანა და ექვს

თუ შვიდ ჩალისფერ მანეთთან ხარ-

ბად ეცა, ხელიდან წამგლიჯა, მაშინვე ჯიბეში ჩაიხურთა და მადლობის უთქ-

მელად გატრიალდა. ხის ფეხს მარჯვედ ხმარობდა, ყავარჭენს განზე იდგამდა

და აურაცხელ თავებს, ფეხებსა და ხელებსშუა სადღაც მიიჩქაროდა.

— ახლა მივა, დაღვეს და გასკდებ!

— თქვა სამამ და თვალეში შეურიგებელი ზიზღის ნაპერწყლები გაუკრო-

თა, — მე წელანვე შევნიშნე: არყის სუნად ყარდა!

— ჯანაბას მაგის თავი! — დარცხვე-

ნილად გავიღიმე მე, სამას თავ-

ლი მოვარიდე და ჯიბე შევაბნიე, — როდემდე ეყოფა!

კიდევ ბევრია ჩემნაირი სულელი?

— ჩვენ რომ დაგვაკლდეს და აღარ გვექნეს?

— რიბოშაპკა უჩვეულოდ წამოჭარხლებული იყო, — შენც ით-

ხოვ? გგონია, ვინმე დაგიჭერებს? მე მკითხე!

ახლა მაგისთანა გაოხრებული

ლოთი და ჯიბეირი ათასობით დაეთ-

რევა გზებზე. მაგათ იომეს. სისხლიც მარტო მაგათ დაღვარეს. სხვას არავის უომია. ჩვენი ბედი, დღე იყო. სხვა დროს, თუ ფული შეგაგულა, დანას გამოგისვამს ყელში, წადი მერე და უყარე კაკალი!

— მართლა გაგვაცურა მაგ ძაღ-

ლიშვილმა! ზოგი ჭირი მარგებელიათ. არა უშავს, სამაგიეროდ; კეტა ვისწავ-

ლეთ.

— ეს გაცივდა, აღარ დაიღვდა.

— დაეჭვა მაგას ოჯახი! გაგვიყეთ საქმე...

— ასე გამო, ხელახლა მაინც ავიღებ წყალს.

— რიგში დადგები?

— აბა, ურიგოდ ვინ რას მოგეცეს!

— როგორ არ გეზარება ამდენი დავიდარაბა! ამოალაგე, რაც არის და შევქამოთ. წყალს შენ მიუღდები ახლა? აქ ხომ არ გინდა დალაშო?

ბაქნის კიდევ მოხერხებული ადგილი ავირჩიეთ და დასხდომისაც ვაპირებდით, რომ სადღაც სულ ახლოს ვაგზლის მორიგე დაუსტენინა და მთელ ბაქანზე ხალხი დამფრთხალი ბელურების გუნდით წამოიშალა.

მერე დავიინახეთ: პლატფორმაზე გრძელი სამგზავრო მატარებელი შემოდის. გადაუღებელ თოვაში თუ ცემენტის ქარხნების წინ ნარბენი ორთქლმავალი თავმწმონედ მოსრიანებად ლიანდაგზე, ბოხი ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტად ღრიალებდა, ჩამომეცალეთო და სიჩქარეს თანდათან უკლებდა.

მატარებელი დინჯად ჩამოდა და იჭურობა დააბნელა.

## 3

— სად მიდიხარ? — მომძახა საბტად დარჩენილმა საშამ.

— ერთ წუთს აქ დამიცადე!

— ნაცნობია ვინმე?

ბასუხი აღარ გამოიცია. მომეყურა თუ მართლა შემომესმა — ბაქანზე ქართული სიტყვა გავიგონე. თვალის მოვატანე მთქმელს — წითელყელსახვევიან, ტანმორჩილ ახალგაზრდას, რომელსაც, სიცივის მიუხედავად, მოკლე პიჯაკი ეცვა და ქუდის მაგიერ თავზე გრუზა, ხუჭუჭი ქოჩორი დასდგომოდა.

„მარტო ხარ?“ — ჰკითხა პიჯაკიანმა ახალგაზრდამ ვილაცას. ის „ვილაცა“ უწვერული თუ სუფთად გაპარსული ყმაწვილი კაცი იყო და ვაგონის მოს-

რიალეზე კიბეზე ფრთხილად ჩამოდიოდა.

## ეკონომიკა

მე მინდოდა შემეტყუო საბაზისში და ეს მატარებელი, მაგრამ დრო აღარ მყოფნიდა — იმათ, ვისაც ამდენ ხანს ვეძებდი, თვალთაგან დავკარგავდი და ჯობდა დაუყოვნებლივ გამოვდგომოდი, სანამ ჯერ კიდევ ვაგზალში იყვნენ, თორემ მოედანზე გასულთ ეშმაკიც ველარ მიაგნებდა.

ხალხის ტალღა როგორღაც გავარღვიე და მალე შუაგულ ბაქანზე აღმოვჩნდი. იქ სიმპიდროვე მეტი იყო. მხოლოდ კარის მოპირდაპირე ვიწრო ფენა მოძრაობდა ძალიან მდორედ. ბიჭები სწორედ იმ მოძრაე ფენაში მოხედნენ. კინალამ დავიყვირე. ხალხის დამდგარი მორევიდან თავის დახსნა ყოვლად შეუძლებელი იყო. მხოლოდ ისლა შევძელი, რომ ფეხისწვერებზე ავიწიე და ყურებიანი ქუდების, ხილბანდების და ქერა თავების ზემოთ ორი ნაცნობი თავი დავიინახე.

ახალჩამოსული წინ მიდიოდა. მას გაწვილი ხელის მანძილზე მისდევდა თმახუჭუჭი. დაწვევა უკვე შეუძლებელი იყო...

სწორედ ამ დროს თოვლსა თუ ცემენტის მტვერში ამოხუმბულღმა ორთქლმავალმა გაბმულად დაიღრიალა და ხუთიოდე წუთის წინ დაცარიელებულ შემადგენლობას უკან მიაწვა. ხალხი ნელ-ნელა დაცხრა. მაშინვე წინ გავქანდი. დარბაზში ისევ ქედვა იყო. ბაქნის ხალვათობას ჯერ აქამდე ვერ მოვლწია. გაოცებულმა უკებ თვალეში დავაჭყიტე და, ვინაიდან არც კი მჯეროდა, რომ მიწაყელიშვილებს ნამდვილად დავეწიე, უანგარიშოდ, თითქმის ტირილნარევი ხმით დავიღრიალე:

— ბიჭებო... ქართველებო... მომიცადეთ!

ათი თუ თორმეტი გულგრილი სახე ჩემკენ შემობრუნდა. ზოგს დამკინავი ღიმილი ჩაუდგა თვალეში, ზოგი სულაც ვერ მიხვდა, თუ რა ჯანაბა და დოზანა მაყვირებდა.

დაძახილმა ორივე ახალგაზრდა მოა-

ხედა, მაგრამ შეჩერება და პასუხის გაცემა კი ვერცერთმა ვერ შესძლო. უკანინდან ხალხის ტალღა გვაწვებოდა და მოსაცდელი დარბაზის გასავალ კარისაკენ მიგვაქანებდა, წავთამამდი. ტომარაწამოკიდებულ დედაბერს წინ ვაგუზსლტი. მგონი ფეხზე ფეხიც დავადგი. მერე მივხვდი — ფეხი სხვისი იყო. ვილაკამ შემავანა და ჭლიკვი მომაცოლა, მაგრამ მე ყურბი მოვიყრუე და თვალბი დავიბრმავე, რადგან უკვე პიჯაკიანის გვერდით ვიყავი.

— გამარჯობა შენი — მივესალმე მთელი სულით და გულით და, ალბათ, კიდევაც გადავოცნიდი, ამის ოდნავი საშუალება რომ ყოფილიყო, — სიდან სადაო?

— ვსწავლობთ აქ, — მიპასუხა პიჯაკიანმა და ხელი მეგობრულად ჩამოშარტვა, — ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი გავიგონია?

— თქვენ ავამენათ ღმერთმა! რანაირად გამახარეთ, იცით? ცხრა მთას გღმოდლა ქართველი კაცის ნახვა აგრე ადვილია?

— მოსკოვი საესეა ქართველებით. ჯოხი რომ მოიქნო, ქართველს მოხვდება.

— მე ერთიც არავინ შემხვედრია. რა უნდათ, სახლი, კარი არა აქვთ?

— ზოგი აქ ცხოვრობს, ჩვენსავით, ზოგი მიდის, ზოგი მოდის. ხომ იცი, ვისაც როგორ ჰირდება. სახელი რა გქვია?

— სერგო.

— მე — ვლადიმერი. ლადისაც მეტახიან. მომყე, როგორმე ფანჯარასთან გავიდეთ. უშანგი! — გასძახა მან დაწინაურებულ ამხანაგს, — გესმის, ბიჭო? ასე გამო, ფანჯარისკენ მივდივართ. კართან მოუხვიე, მერე კედელს გამოყვები.

უშანგიმ იმარჯვა. ბრბოს უფრო ადრე და უდავიდარაბოდ მოწყდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა და სწორედ ფანჯარასთან შემოგვიერთდა.

— სადაური ხარ, სერგო? — მკითხა

ლადიმ, — ქართლელი იქნები. გაიცანი, ეს ჩემი მეგობარია.

— დედა-მამა უშამთაში მყოფს, მიუფგე და უშანგის ხელი ჩამოვართვი, — მეც იქ დავიბადე.

— უშამთა ქართლია თუ კახეთი?

— იმერეთია. სამტრედიასთან რიონის ხიდზე გადავივლია?

— მოიცა, კაცო, უშამთა ხომ კახეთშია!

— კახეთში კი არა... სოფელი დაფნარი იცი? იქ არის გადასახვევი. ერთი გზა მარჯვნივ მიდის — ბერძნის წყაროსკენ, ერთიც მარცხნივ — ვანისკენ. სანამ ვანში შეხვიდოდე, უშამთას გაივლი. თუ როდისმე მოხვდეთ იმ მხარეს, ჩემი სახელი ახსენეთ, არაფერი არ გინდათ მეტი! მკვდარიც რომ ვიყო, გელაპარაკები, ავღებში! დაუვიწყარ დროს ვაგატარებინებთ. კი და პირქინებული ქალები, ჰყინტი ყველი, ცოცხალი ტარხუნა და კოდის წყაროში ჩაიცეებული ქუკისფერი ღვინო. მეტი კი არაფერი გვექნება. შეიძლება, ნედლი თევზი შემოვამატო...

— რას ამბობ, ბიჭო, გინდა, გადაგვირიო? — ლადიმ უშანგის გაუცინა, მერე მე მომხვია მხარზე ხელი და შემანჯღრია, — მართლა უნდა დავეცეთ ამას უშამთაში. ენახოთ ერთი, რას იკისრებს!

— ნეტა ახლა გქვია იქ! — საწყლად ინატრა უშანგიმ, — თევზი აღარ არის ჩვენს მდინარეებშიო, ასე ამბობენ.

— ეინ გითხრა, კაცო, რიონში თევზს რა გამოლევს! — შორს დავიჭირე მე.

— წამლავენ! ზოგი შაბიამანს ყრის, ზოგი — კირს, ზოგი — ორივეს ერთად. ხალხი დაიშა. ისე კი აღარ არის, შენ რომ გახსოვს.

— რა სასიხარულო ამბავი უთხარი! — დაუბღვირა ამხანაგს ლადიმ, — სამი თუ ოთხი წელიწადია, ბიჭო, კაცს თავისი ეზო-კარშიდამო თვალბით არ უნახავს და გულის გაკეთების მაგიერ აგრე უნდა უთხარა?

— მე რა ვუთხარი! იმას ვეუბნები, რაც ვიცი...

— ჰოდა, იცოდე, მოგვცა შენმა ცოდნამ! სერგო, მარტო მოლიხარ?

— ამხანაგი მახლავს.

— ისიც სადგურშია?

— ბაქანზე დავტოვე.

— იქნება წავიდა!

— სად წავიდოდა, მე მიცდის!

— მოსკოვში ახლა ჩამოხვედით თუ მოლიხართ?

— რის წასვლა, კაცო, ვინ გიშვებს! ვინდათ თუ არა, დღესასწაულებამდე უნდა მოიცადოთო.

— რაო?

— ისე ვთქვი, — გავიკრიჭე მე, — კომუნდანტის თანაშემწემ ვერაფერი კი ამბავი გვიტხრა: სამი დღე მაინც უნდა ელოდოთ ტალონსო. მივლინებულებს უპირატესობას აძლევენ. მაგათ გარდა კიდევ იმდენი წამსვლელია...

— აბა, დღეს ჩამოსულხართ.

— კი, ახლა, ა, ნაშუადღევს.

— საიდან?

— ბრაუნშვაიგი. გერმანია. ბერლინს იქით არის.

— მისდევთ ფაშისტ მხეცს საკუთარ ბუნავში, უხრჩოლეთ ფუტურო და ამოგულდეთ?

— რას იზამ...

— ჩვენ ვბუმრობთ და მართლა ძალიან დიდი ამბავი მოხდა. ყოჩაღ, ძმომ! საიდან მოლიხართ, საიდან?

— ბრაუნშვაიგი. გერმანია, — გავიმეორე მე.

— იცით, მაგ ქალაქში ვინ დაიბადა? — გვკითხა უცებ უშანგომ და, როცა ორივე შევეყოყმანდით, შეკითხვას თავადვე უპასუხა: — ანა ამილია!

— რომელი? — ლადიმ წარბი შეიკრა და ამხანაგს ზემოდან დაჰხედა.

— კარლ ავგუსტის დედა.

— ჩვენ იმისთანა დროს მოგვიწია გერმანიაში ყოფნა... — თავი ვიშართლე მე, — ეპ, ნეტა იცოდეთ, რა ბედნიერები ხართ!

— ნახა ამანაც ბედნიერი ხალხი! —

ლადიმ ხმამაღლა გაიცინა, — რა შეგეტყვე, ბიჭო, სამაგისო?

— რასაც მიალწიეთ, გგონიათ, უბრალოა?

— რას მივალწიეთ მაინც?

— კიდევ მეკითხება! სტუდენტები ხართ. გზაზე ადგიხართ. ეე... თქვენს დღეში მქნა და მერე მე ვიცი.

— რას იზამ?

— ახლა რაღა უნდა ვქნა, ახალგაზრდობა თვალსა და ხელს შუა გამიქრა.

— რამდენი წლის ხართ?

— ოცდაოთხის, ოცდამეხუთეში გადავდექი.

— მერე ეგ ბევრია?

— ჩემთვის ბევრია და... მართლაც ბაქანზე გავალთ თუ აქ მოუყვანო?

— ჰო, სულ არ დავგავიწყდა? — აწრიალდა ლადი, — ჩვენი მიწა-წყლის კაცია?

— აქაური. რიბოშაპკა. ვორონეჟელი.

— რა უქვანურ გვარს არ გაიგონებ მაინც... იქით მოდის ისიც?

— წვერმაღალაში.

— ჩასასიძებლად მიგყავს თუ?

— ქალია, ბიჭო, რის ჩასიძება...

— ქალიაო? გერმანიიდან მოგყავს ბიჭო, ქალი, აქ გამოილია?

— მე როდის მომყავს, თვითონ მოდის.

— აგეკიდა?

— ჯარისკაცია. რად გინდა ახლა მაგისთანა... ერთად ვმოძობდით.

— ჰო, რა იქნება, ბიჭო! — ლადი დაიწყანა, შემომხედა და მერე ამხანაგს მიაპყრო მხერა, — ეს შეყვარებულია. თუ გინდა, დავნაძლევეთ!

— შეყვარებული კი არა... — ავიმრიზე მე და გავწითლდი, რადგან დაწვებატყეცილი ყირმიზა ქალიშვილის მაგივრად თვალწინ საშას მამაკაცური ბრაბუნა ჩექმები და მოფუშული მაზარა დამიდგა.

— აბა, წამო, გვაჩვენე შენი მშვენიერი! — ლადიმ ჩემი უადგილო წამოჭარხლედა მორცხვობად მიიღო და კარისაკენ სასწრაფოდ გამიძღვა.

საშამ უბადრული შთაბეჭდილება მოახდინა. ის არასოდეს ისე არ ჰგვანებია კორფლით სახედარწინწკლულ პირტიტველა ბიჭს, როგორც ახლა. მეც რაღაც უნერხულად ვიგრძენი თავი. მხოლოდ საშა ჰკვლობინებდა და ისედაც ნამოგრძელებულ სახელოში მექაჩებოდა: წენ რომ ისე დამდულრულივით გაიქცეო, მე მაშინვე მივხვდი, ჩვენი საქმე კარგად იყო. ბიჭებს; თუმც ისინი იბღვირებოდნენ, გახარებული შეხვდა. მე ორივე გავაცანი და თვალი დარღმინდულად ჩავეყარი — ვიდრე ჩემთანა ხარ, ნუ გეშინია, არ დაიკარგები მეთქი.

— სერგო, ბარგი კიდევ გაქვთ რამე თუ ეს არის სულ? — მკითხა ლადიმ და ჩვენი სალაშქრო ხალხები დაკვირვებით შეათვალიერა.

— რასაც ხედავ!

— ამის ამარა მოდიხართ, ბიჭო, გერმანიიდან?

— როგორ ამის ამარა?..

— ხალხი გაკეთდა იქ...

— ჩვენ ომში ვიყავით, ლადი.

— არც სხვები იყვნენ სარიკაოდ! მართლა მეტი არაფერი წამოგიღიათ თუ ხუმრობთ?

— ვერ გამიგია, ლადი, კიდევ რა უნდა წამოგველო. ჩვენ ჯარისკაცები ვართ.

— კარგი, იყავით ჯარისკაცები! თუმცა... ჰო, ნულარ ვაყოვნებთ ახლა. ჩავაბაროთ ეგ პარკები შემნახველ საკანს თუ...

— გეჰონდეს ზურგზე მოკიდებულაო, რას გვიშლის!

— მე თქვენთვის გეუბნებით თუარა.

— იყოს, იყოს. ვიშოვნით ვითომ ადგალვებს?

— იმედი მტერს დაუკარგოს ღმერთმა ისე, რა დავიმალო, საქმელო საქმეა. თუმცა არც იმდენი! ორი ადგილი გვიანდა, შეკაცო, თბილისამდე, მთელი მატარებელი ზომ არა. საქმე საქმეზე რომ

მიდგეს, კაცი მატარებელსაც იშოვნოს.

— რანაირად?

— მოიპოვება მაგის ხალხიც, ამჯერად მატარებელი არ გვეკირდება და ამიტომ ნურც აუტკივარ თავს ავიტყენთ მაგაზე მსჯელობით. თუ აქ, კურსკის ვაგზალში, საქმე ვერ გაიხარბა, ყაზანის ვაგზალში წავიდეთ. იმას გარდა კიდევ მეგულება ერთი ადგილი, იქ კი აუცილებლად უნდა ვიშოვნოთ.

— პირდაპირ მესამე, ადგილას წავსულიყავით?

— არა, იმას ყველაზე ბოლოს მივადგებოთ ხოლმე.

— ვინ იცის, ჩვენს გარდა კიდევ რამდენი ვინმე გაწუხებთ და სულ სხვის საქმეზე დარბიხართ.

— რას იზამ, ჩემო სერგო, ასეა ცხოვრება. ერთიმეორის გულსათვის თავი უნდა შევიწუხოთ. დღეს მე გვირდები, ხვალ შეიძლება შენ დამვირდო. ერთი ეს მითხარი ახლა, მოსკოვი იცით რომელიმე?

— ვიცით კი არა! დღეს პირველად ვართ აქ. რამხელა ქალაქი ყოფილა მაინც ეს დალოცვილი!

— ჰმ, თქვენ რა ნახეთ ჯერ. ველარ გადამიწყვეტია ახლა. წავიდეთ ყაზანის ვაგზალში?

— წავიდეთ, თუ საჭიროა. სადაც გვეტყვი, იქ წავიდეთ!

— ფული გაქვს რამე? — ლადიმ ახლა უშანგის მიმართა.

— ფული რად გინდა? — ვიდრე მეგობრის წედანდელი შემოჯაჭდანებით ნაწყენი უშანგი რაიმეს იტყოდა, ლაპარაკში მე ჩავერდი.

პასუხის მაგიერ ლადიმ ჯიბეები მოიხზრია და პიჯაკის წინა გარეთა ჯიბედან ორი დაკმუქნული მანეთიანი და ერთიაც ხუთმანეთიანი ამოიღო.

ამ თანხათუ ცოტა მეტი — თერძმეტი მანეთი — უშანგისაც აღმოაჩნდა.

საშა უსიტყვოდ მიმხვდარიყო, საქმე, იტყობა, უკვე ფულზე მიდგაო, იმასაც ჯიბეზე გაეხვა ხელი და ბრესტის საბაჟოში მიღებული ცინცხალი სამმანეთიანების დასტა ამოეღო.

— რად გინდათ, რად, აღარ იტყვიან? — მე ღიმი მომერია და თავდაც ჯიბე გავიხსენი, — თუ ფულია საჭირო, თქვენ როგორ დაგახარჯენებთ, ისიც ჩვენი საქმის გულისთვის! ამის ხალხი გენახეთ? ვკამოთ რამე?

— ჰამის დროა, შეკაცო? — მისაყვედურა ლადიმ.

— აბა, დავლიოთ?

— წვეთს ჩაუშვებ პირში, სანამ ბილეთის ამბავი მოგვარდებოდეს? ყაზანის ვაგზლამდე ტაქსი დაგვიტარდება. მეტროთი როდის მივალთ!

— ა, ფული! მაგან შეგაწუხათ მერე? ახლა ის გვაკლია, სტუდენტებს ტრამვაის ფული შეგიკამოთ. რას დაწერს მინც ასე უზომოს ის დალოცვილი ტაქსი!

— თუ აგრეა, აბა, წავედით!

## 5.

შოფერმა ჩიღჭვეშ გადმოგვსნა. აქედან წინ მანქანით ველარ გახვიდოდნი. მოედნის შუაგულისაკენ, სადაც შეფუთულ თავშლიან ქალებსა და ბავშვებს დაედოთ ბინა, შავი ტალახით მოსვრილი ტრამვაის ხაზი მიდიოდა. ისიც, ალბათ, ამ გაუგონარ ხალხმრავლობას დაეუქმებინა.

მეტროს სადგური მოედნის შემადლებულ ადგილზე მოჩანდა. იაროსლავლისა და ლენინგრადის ვაგზლებიც იქვე იყო. მოედნის მოპირდაპირე მხარეს, ჩვენგან მარჯვნივ, წიწიბოიან სახურავებამდე დადაბლებულ ცაში აჭრილიყო ყაზანის ვაგზლის რუხი კოშკურები.

— ვითომ საჭიროა ყველას წასვლა? — მანქანის გაშვებისთანავე თქვა ლადიმ.

— აბა? — მორჩილად შევაჩერდი მე.

— უშანგიმ შეირბინოს ვაგზალში. ჩვენ აგერ დაუტყდით. გესმის, უშანგი? აგერ მოგიცდით, ჩიღჭვეშ. ჩქარა იარე, არსად დაიკარგო ახლა!

— ვინ იცის, რამდენი სამეცადინო აქვს საწყალ ბიჭს და ჩვენ კი ქუჩა-

ქუჩა ვარბენინებთ! — მხოლოდ უშანგის წასვლის შემდეგ გამოვთქვი, მე ჩემი გულისტყვილი.

— ვიჩს რომ საბალნე მოენატრება, სასახლეს მიადგებაო, ხომ გაგიგონია?

— მაგას რაზე ამბობ?

— მე და უშანგიზეა ზედგამოჭრილი. თუ ქუჩა-ქუჩა წანწალი არ გვინდოდა, ამ სიცივეში სადგურზე რამ გამოგიყვანა!

— რა გქნა, ლადი, ბოდიში რომ მოგიხადოთ ახლა...

— ბოდიში კი არა, ის დაიწყე კიდევ!

— კაცი შეუხვედრელი არ არის...

— ამ მოედანზე სხვა დროს გაგივლიათ?

— როდის გავივლიდით, ლადი, ხომ გითხარი, მოსკოვში დღეს პირველად ვართ-მეთქი.

— შენც? — ლადი რიაბოშაპკის მიუბრუნდა და რუსულად ჰკითხა.

— ეგეც პირველად არის, — ამხანავს დავასწარი და მის მაგივრად ვუბაღსუხე, — ახლაც არ მოდიოდა, მაგრამ შეუქნდი და ძალით წამოვიყვანე.

— ბარაქალა შენს ბიჭობას! — ლადიმ დამცინავად ჩაიცინა და თვალი რიაბოშაპკის გადაპკრა, — ძალით წამოვიყვანა? ისე, რუსს, თუ კარგი რუსი ხარ, საკუთარი ქვეყნის დედაქალაქი კი უნდა გქონდეს ნანახი და ფეხით შემოვილილი.

რიაბოშაპკა ახლდა მიხვდა, რაზედაც ვიცინოდით და უცნაურად დაპატარავებულ, ჭორფლიან სახეზე რაღაც ღიმილისმაგვარი გამოეხატა.

გზაზე დამდგარი უსახლკარო ხალხის დანახვა მას ერთბაშად ანალგლიანებდა და, თუმცა ახლადშეძენილი მეგობრების წყალობით მალე სამშვიდობოს უნდა გავსულიყავით, გულზე მოწოლილ ჯავრს მაინც დიდი ვაჭირვებით მალავდა და მხოლოდ გარეგნულად თუ იზიარებდა თანატოლების უსაგნო მხიარულებას.

— ამ ადგილს სამი ვაგზლის მოედანს ვეძახით, — ლადი მიხვდა, ფარა-

ჯიანი ცხვირბაქუა გოგო ოხუნჯობის გუნებაზე არ არისო და უმაღლე დაეხსნა, ოღონდ ლაპარაკი რუსულად განაგრძო, — სამი ვაჭლის მოედანი! ლამაზად ელერს, არა? სხვა სახელიც ქვია, მაგრამ ეს უფრო უღებდა. ბუნებრივია. მე თუ მკითხავ, თავისებურიც. რაც დილიდან საღამომდე აქ ხალხი ვაივლის, ახლა მაინც, ევროპისა და აზიის ზოგიერთი სახელმწიფოს დედაქალაქში სულ არ ცხოვრობს იმდენი.

— ნამდვილად! — კვერი დავუქარი მე.

— მთელი ურალი, ვოლგისპირეთი, ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი აქედან შემოდის. გასაკვირია სწორედ: ამოდენა ომი იყო, ქვეყანა დაიქცა და ხალხი მაინც ასე ბევრი დარჩა.

— აბა, სულ ხომ არ დაიხოცებოდან!

— ცოტა დაიხოცა? ათეული მილიონობით. ქვეყანას კი თითქოს მაინც არაფერი აკლია!

— შენ ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ ნახე. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ომამდე იყო. შეიძლება უკეთესადაც. ქვეყანაზე ახალი ხალხი მოვა. ვინც ახლა აკვანში წევს, ანდა ვინც ხვალ და ზეგ დაიბადება. ბევრმა იქნება ველარც კი წარმოიღვინოს, რაც ჩვენ თავს გადაგვხდა.

— მაშ, მაშ! — ლადიმ პიჯაკის სახელო გადაიწია და შვეციფერბლატთან შევიცარიულ საათს მოუსვენრად დაძახედა, — უკუღმართია ეს ოხერი ცხოვრება!

— რომელი საათია?

— ექვსს უკლია ოცი.

— ასე ადრე დამდება?

— ზამთარი მოგვადგა. შემოდგომის სიცივე როგორც კი დაიწყება, მშვიდობით, მოსკოვში ცას ველარ დაინახავ კაცი!

— ნეტა რამდენი მოიკლო დღემ?

— დაახლოებით ორი საათი, ორსაათ-ნახევარი.

— ჩვენში ახლა რა ამინდია!

— ზღვაზე, დარწმუნებულად ვარ, ხალხი ბანაობს.

— ეჰ! — მზის სხივებზე მოლაპლანკ ზღვის წარმოდგენით ამჩატებულმა საშას ჯლიკვი გაეკარი და მოუწმუნდა: იცი, ახლა საქართველოში რა ამინდია? მზეა. თბილა.

— ახლა თბილა? — გაჩინდებულნი საშა ძლივს გამოერკვა და შემომხედა.

— უნდა ვიბანაო! — უფრო მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად დავუმატე მე, — აი, ნახე! მატარებელს გავაჩერებინებ და ზღვაში გადავხტები!

— მატარებლის გაჩერებისა რა მოგახსენო, მაგრამ ისე კი შეიძლება მართლა იბანაოთ, — კვლავ რუსულად თქვა ლადიმ, — ზოგ სადგურში მატარებელი მთელი ორმოცი წუთი დგას. ლიანდაგი ახალი დაგებულა. ზემოდან ლოდები მოგორავს. სანამ გზა მოწესრიგდებოდეს, ცოტა საშიში კი არის მგზავრობა. მე რომ თქვენს ადგილზე ვიყო, ბაქოზე მოვივლიდი.

— რას ამბობ, კაცო, ძლივს აქამდე ჩამოგვიღწევი და გზა ახლა გავიგრძელო? მოსახდენს მაინც ვერ ასცდები!

— ნუ გაიგრძელებ, ვინ გაძალბებს!

— თუ ხდება იმისთანა შემთხვევა, რომ ზემოდან დაგორებულმა ლოდებმა მატარებელს გზა გადაულობონ? — ფრთხილად ჰკითხა ლადის საშამ.

— რამდენიც გინდა! ხანდახან მატარებელი ორი-სამი დღე გზაში დგას.

— მერე მგზავრები? — საშას ტუჩები აუქანქალდა და მზერა გაუჩერდა.

— მგზავრები რა... ვისაც მოცდა შეუძლია, იცდის, სხვები უკან ბრუნდებიან, ან ფეხით მიდიან მეზობელ სადგურამდე.

— მეზობელი სადგური შორს არის?

— ძნელია მაგის თქმა, გააჩნია, სად გაჩერდება მატარებელი.

— შენ რას იზამ, გზა რომ გაფუჭდეს? — სასაცილოდ ვკითხე თვალეზზე კურცხალმოდგარ მეგობარს და ლადის წარბების აწევით ვანიშნე, ყური დაუგდე, რას მიპასუხებს მეთქი.

— ფეხით წავალ! — მტკიცედ თქვა საშამ და მე მივხვდი: ამ საგანზე მასთან ხუმრობა სახიფათო იყო.

## 6

— ამ ბიჭს ნეტა წყალი ჩაუღდა მუხლებში? — უკმაყოფილოდ თქვა ლადიმ და საათა კიდევ დაჰხედა, — ირმოცდათხუთმეტი წუთია, რაც წავიდა.

— შენ მაშინ ნახე, თუ ის თქვენი ნაცნობი არ მორიგეობს დღეს. ვაგხალსი რომ შევსულიყავით, ვერ ვიპოვინდით?

— ვაგხალი დიღია, იქ ვის იპოვნი! ამ აღგილს ნუ მივატოვებთ. ვთქვათ, მოვიდეს და არ დაგხვდეთ, მერე? ანდა, რა გქნათ, იცი? შენ და მაგან აქ მოიცადეთ. უშანგი აგერ-აგერ გაჩნდება. მე შევალ ვაგხალში. იქნება ვნახო ვინმე. აქედან, თუ ხათრი გაქვს, ფეხი არ მოიცივალოთ, თორემ ერთმანეთს დავეკარგებით და მერე გინდ ნემსი გიპოვინია ზღვაში და გინდ კაცი მოსკოვში.

— მალე მოხვალ?

მაგრამ ლადის ზედმეტი გაფრთხილება აბა რად უნდოდა.

— ნეტა ეგენიც იქით მოდიოდნენ, — თქვა საშამ. როცა მარტო დავრჩით და სუსხიან ქარს ზურგი მიუშვირა, — ერთად ვიპოვებდით.

— შენ პირს შაქარი! მაგას რალა აჯობებდა.

— ჩვენთან მივიდოდით, წვერმაღალაში. მოხუცებს გაეზარებდი. ულიანა სულ გაგიჟდებოდა.

— ჩემი სახლი უფრო ადრე არ შეგვხვდებოდა?

— შენი უფრო ადრეა?

— რამდენჯერ გითხარია!

— სულ ერთია. ჯერ შენსას მივიდოდით, მერე ჩემსას. წარმოდგენილი მაქვს, როგორ ჩამოგბტებით ვაკონიდან და ავყვებით აღმართს. ნეტა იქაც თუ გორდება ქვები? — საშამ უცებ სერიოზულა გამომეტყველება მიიღო და შეშფოთებულმა შემომხედა.

— ია, ერთი შენც! — გავუტრიხავე მე, — წვერმაღალაში ქვას რა უნდა! თხილის გასატეხადაც ვერ იშოვნი.

— მე ხომ დაჩვეული არა ვარ, სერ-

გო, აღმართებზე სიარულს. დავნალევედეთ: სააღამდე ისე მივალ, ერთხელაც არ დავისვენებ.

— მაგას იქ ვნახავთ.

— დეპეშები გავგზავნოთ?

— მე, პირადად, მოულოდნელი მისვლა მირჩევნია.

— აგრე აჯობებს. თუ მაინცდამაინც, საქართველოს ფარგლებში რომ შევალთ, მაშინ ვაფრინოთ. მაინც მიგვასწრებს...

— სუ, მგონი ვიღაცა გვიძახის!

რიაბოშაქამ ჭორფლიანი შუბლი მოიჭმუნა და სმენად გადაიქცა.

— სერგო! — სწორედ ამ დროს მომესმა საღდაც ზემოდან, — დაყრუვდით, კაცო?

რკინა-ბეტონის ნაცრისფერი ხიდის მოაჯირზე, რომლის ქვეშაც სუსხიან ქარს თავს ვაფარებდით, თმახუქუქა ლადი გადმომდგარიყო და გულმოსული ხელს გვიქნევდა. უმწეოდ მივიხედ-მოვიხედე. მე და საშა რომ დობე-ყორეს ვედებოდით და სტუმრობის დღეებს ვინაწილებდით, ვინ უცის, ლადი მაშინაც ხილზე იღვა და გვიძახდა.

რიაბოშაქა, ასეა თუ ისე, მაინც გოგო იყო. გავასწარი, რკინის კიბე ვიპოვნე და ხილზე პირველმა ავირბინე. ლადი და უშანგი მოაჯირთან იდგნენ და ცივი ქარისაგან თავის დასაცავად ბრინჯაოს სვეტს ეფარებოდნენ.

— საქმე ასეა, — ჩემი მისვლის უმაღლეს დანიშნო სიცივისაგან მთლად გალურჯებულმა ლადიმ და წამით შეიცადა, სანამ კიბეზე ამორბენით სუნთქვამოხშარებული საშაც შემოგვიერთდებოდა, — კაცი ვნახეთ. უშანგი უკვე მოელაპარაკა. სამხედრო ლიტერების დამოწმება გაუჭირდება. ჩვეულებრივი ბილეთები უნდა იყიდოთ.

— გაუჭირდება თუ არ შეუძლია?

— დაუფიქრებლივ წამომცდა მე.

— როცა ამბობს, გამიჭირდებაო, ესე იგი, არ შეუძლია.

— მაგას ეჩივი, კაცო? ბილეთს ხომ მოულობს?

— ახალი ბილეთებია საქირო, —



რიო. ფული ოხერია: თუ კარგად არ დააწყვე, უსათუოდ გადააყოლებ.

— აგრე მომცეს, — ქვეშ-ქვეშ გაიღიმა შექვებით ნასიამოვნებმა რიბაბოშაკამ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ლადის მოქნილ თითებს მისჩერებოდა, მისჩერებოდა და უცნაურად გაუყრებულ, რაღაც საფიქრალს ფიქრობდა. — მე აღარ გადამიწყვია.

— აქ შეტია, მგონი: ექვსას სამოც-დათექვსმეტი! მოიცა, კიდევ გადავთვალო...

— საშა წვრილი მესაყუთრეა, სხვაც ექნებოდა ჩაკუჭული, — სიცილით ვთქვი მე და რიბაბოშაკას მხარზე ხელი დავარტყი, — ვითომ ვერ გაიგოს რაც არ უნდა, იმას, რომც მოკვდე, ვერ გააგებინებ. ვინ მოგცა, საშა, ეს ზედმეტი თექვსმეტი თუშანი?

— მქონდა... — თითქოს ნამდვილ დანაშაულზე წაასწრესო, უხალისოდ მიპასუხა რიბაბოშაკამ და ისედაც მწითური ყურები სულ გაუფინელიდა, — იქ მქონდა...

— კარგი, დანებე თავი. მაგას ჰგონია, მართლა ეუბნები, — გესლიანი ღიმილით შენიშნა ლადიმ და მამინევე უშანგის მიუბრუნდა, — ხომ სწორია, ბიჭო?

უშანგიმ პასუხი არ გასცა. ფულს უგულოდ ითვლიდა. უცებ ერთბაშად დანებდა თვლას თავი, თუმნიანებისა და სამმანეთიანების მთელი ბლუჯა მე გამომიწოდა, დანარჩენი კი მისი უცნაური საქციელით განცვიფრებულ ლადის დაუბრუნა.

— რას შერები, კაცო? — ჰკითხა ლადიმ, — გინდა, ამ პატიოსან ხალხს გლახა რამე აფიქრებინო?

— უკაპიკოდ რჩებიან, — ძლივს ამოქაჩა ეს ორად ორი სიტყვა უშანგიმ, — მე არ შემძლია.

— რა არ შეგიძლია, ადამიანო, ვაგიყდი?

— შენ თვითონ დაითვალე და რაც გინდა ის ჰქენი!

— მომეცი, სერგო, თუ ძმა ხარ, ეგ ფული, — პირველ მანაგს თავი

დანება და ისევ მე მომმართა ლადიმ. — ამას თუ უყურე, ქვეზე შეგშლის. გამომივიდა ნახი გულის პატრონი! ვითომ სხვას უხაროდეს ამათი უკაპიკოდ დატოვება! სულაც ნუ გამოართმევ, თუკი ჭიბეში გიჭყავის რამე! — ლადიმ კვლავ გაბუტულ და სანახევროდ განზე გამდგარ უშანგის შეუტია, — აი, ეს იქნებოდა ნამდვილი ეპეკაცობა. უკაპიკოდ რჩებიან!

— კარგი ახლა, ლადი, — გავბედე და უსიამოვნო შენლა-შემოხლაში ცოტა ყოყმანის შემდეგ ჩავერიე, — თუ ჩვენი გულისთვის წაიკიდეთ, ეგ რაღა გამოვიდა!

— ნუ წაეკიდები ამისთანას! — ლადი მართლაც ბოღმაზე იყო მოსული და ჩიუტად ხმაგაქმნილ უშანგისათვის, რომელიც სადღაც იყურებოდა, გამანადგურებელი მზერა მიეპყრო.

— გვეყოფა, დავივიწყოთ, რაც მოხდა, — ხელახლა ვცადე მე მათი შერიგება, — უკაპიკოდ დარჩენა ვის უხარია, მაგრამ თუ სხვა გზა არ არის? მაგის ჯავრი ნუ გაქვთ თქვენ, უშანგი. სამშობლოში ვართ, შეკაცო, წიშშილით არ მოგვედებით. აჰა, ლადი, ფული!

ბრაზისაგან მთლად აკანკალბულმა ლადიმ თავს ძალა დაატანა, ნაძალადევი გაიღიმა ნიშნად იმისა, რომ პირველ ამხანაგს ხათრით ურიგდებოდა, ფული გამომართვა და ზელახლა შეუდგა დაქმუნული თუმნიანებისა და სამმანეთიანების წყობისად დალაგებას.

## 7

ერთხანს ტრამვით ვიარეთ. ვაგონს ფანჯარა ჰქონდა ჩალეწილი, მაგრამ შიგ ბევრი ხალხი იყო და სუსხიანი ქარი, დაღამებისთანავე სულ რომ გაგიყვდა, ჩვენამდე ვერ აღწევდა. თვლების გამბმულ ღრჭიალსა და ხალხის წაბორძიკებაზე მივხვდით: ტრამვას ვაგონმა რამდენჯერმე მოუხვია და მგონი შექნიშნათან გაჩერდა. ვატმანმა მოგვიანებით გააღო უკანა კარი. იქ ხალხი კიდევ ამოვიდა. ყოველ ახალ გაჩერებაზე

ხალხი სულ ემატებოდა და ემატებოდა.

— მოემზადეთ, შემდეგ გაჩერებაზე ჩავალთ! — წინა ბაქნიდან მოგვაწვდინა ხმა ლადიმ.

მომდევნო გაჩერებაზე ხალხი ბლომად ჩავიდა. აღარც ტრამვაი ჩქარობდა დაძვრას. ეს უთუოდ ბოლო გაჩერება იყო.

— რომელი უბანია? — შინაურულად მივეხალისე ლადის, როგორც კი ოღროჩოღრო ფილაქანზე ჩავაბიჯე და მივიხედ-მოვიხედე.

ტრამვაის ხაზის აქეთ და იქით ხუთი თუ ექვსი ფოთლებშემოძარცვული ხე იდგა. ხეების უკან, სამ მხარეს, უხეზაროდ აწოწილი, სხვადასხვა სიმაღლის ძველი სახლები მოჩანდა, ყველა პირქუში და ჩაბნელებული, ხოლო მეოთხე მხარეს სოროსმაგვარი ვიწრო ქუჩა სახლებსა და სახლებსშუა მიიკლავებოდა.

— გუეცხოება? — ღიმილით მკითხა ლადიმ და მკლავში ხელი გამომდო.

— მოსკოვი და ამისთანა მიყრუებულა ადგილები?

— უარესადაც ნახავ. მოსკოვი კონტრასტების ქალაქია. ყველაფერს ხომ ძველები ვერ ააშენებდნენ. ზოგი საქმე ახალმა თაობებმაც უნდა გააკეთონ. ხედავ? ეს ადამისკამინდელი აგურის სახლები უკვე დაცარიელებულია. ანგრევენ. კარ-ფანჯრები ჩამოუხსნიათ. ხვალ-ხევ ბუდლოზერები მოვლენ და ჰაიდა! სახლის დანგრევა წუთის საქმეა. შენ აშენება თქვი...

ოდესღაც გაჯით შელესილი, მაგრამ სხვადასხვა ფერის სამ-ოთხ-სართულიანი სახლები ბინდბუნდში თვალმდათხრილებივით გამოიყურებოდნენ. იმ ადგილებში, სადაც გუშინ სათოფურისმაგვარი ვიწრო ფანჯრები და აივნებზე გამოშავალი კარები იყო, ჯერ კიდევ დღისულ დაყენებული მტვრის ბული იდგა, მთელ მოედანზე კი ტრუსისა და დამპალი კომპოსტის მყრალი სუნე ტრიალებდა.

— გიყურებია, რა ამბით ინგრევა? —

სასხეთაშორისოდ თქვა ლადიმ, — წამოვა, წამოვა და ბრარ... დედამიწა შეიძვრის! მერე ავარდება მტვერი და ბული. გვეცნება, მიწიდან ამოხეთქაო...

— მაგის მეტი რა მინახავს. დაგავიწყდა, საიდან მოვდივარ? რამდენი სახლი სწორედ მაშინ ჩამონგრეულა, როცა ჩვენ ისევ შიგ ვიყავით. უმეტესობა დანადმული იყო. ფეხს შედგამ და...

— როგორ ასწრებდით გამოსვლას?

— სხვა რა გზა იყო. ზოგი ასწრებდა, ზოგი ვერა. ვერ მოასწრებდი და... მტვერი გვახრჩობდა. რამდენჯერ მომეჩვენა, ჰაერი მოწამლეს-მეთქი.

— ნელა, აქ მარჯვნივ უნდა მოვუხვიოთ!

— უშანგი რა უყავი?

— წინ გავუშვი. სანამ ჩვენ მივიდოდეთ, ის კიდევაც გამოაწერიანებს ბილეთებს.

— ერთად გვევლო, არ ჯობდა?

— შეგავგიანდათ ტრამვაიდან ჩამოსვლა და აღარ მოიცადა.

ლადი შესამჩნევად მოუსვენრობდა, ფეხს ითრევედა და მალიძალ უკან იხედებოდა.

— რას უყურებ? — ვკითხე მე დათვადაც უკან მოვიხედე.

— ის შენი მშვენიერი რა იქნა?

— მოდის ეგერ... საშა!

— აჟ!

— გამოადგი ფეხი, დაგძინა?

— მოვდივარ!

— ძალიან დაიღალა საწყალი. ექვსი დღე სრულდება, ექვსი კი არა, შვიდი, პო, შვიდი, სრული შვიდი დღე, რაც გზას ვადგივართ. ჰქუა გვექნა და ხარკოვზე წამოვსულიყავით, ხომ კარგი იქნებოდა, მაგრამ ახლა რაღა გაეწყობა-გაგებით! ორი დღე ვაისენზეში გვაყურაუტეს. უშველებელი ეშელონი დავტვირთეთ რაღაცა მძიმე ყუთებით. საავიაციო ქარხნის მოწყობილობა თუ იყო. წუხელ საცოდავ საშას მთელი ღამე არ უძინია. არც წინა ღამეს. ფანჯარასთან გაათენა. თან მოშვიდა. წელან ვაპირებდით წახმსებას. თქვენ მოგვისწარით. გუშინ საღამოს მინსკში თითო

ფათქა ჩიი დავლიეთ და აქამდე იმის ამა-  
რა ვართ.

— წვერმაღალაში რაზე მობრძანდე-  
ბა, რა მინდაო?

— საშა? დედ-მამა და და ყავს იქ.  
ვეფერიებული არიან.

— დაც ჭარისკაცია?

— პატარა გოგოა, ბიჭო, თხუთმეტი  
წლის.

— თუ მაგას ჰგავს ისიც... კაი გაძლე-  
ბა გქონია, მე და ჩემმა ღმერთმა.  
ბი, გავედით კიდეც! იცნობდე: ძერყინ-  
სკის მოედანი!

## 8

პროექტორების შუქმა თვალები მო-  
მახუჭვინა. რამდენიმე წუთის განმავ-  
ლობაში ლადის ბრძანებით მივდევდი  
და სინათლის ჩქერს ნელ-ნელა ვეჩვეო-  
დი.

— იქნებ არც ეს მოგეწონოს! —  
ამჯერად ნიშნისმოგებით მითხრა ლა-  
დიმ, ზემოდან აღმაცერად გადმოხე-  
და და მარჯვენა წარბი შებლზე აიქა-  
ჩა.

— ეუჰ, ეს კია სანახავი! — გულის  
სიღრმიდან აღმომხდა მე, — მართლა  
მშვენიერია! ის რა მოჩანს ქვემოთ?

— სასტუმრო „მეტროპოლი“. უფ-  
რო იქით, მარჯვნივ, მწვანედ შეღები-  
ლი, კავშირების სახლია. თუმცა ქვე-  
მოთ რას იყურები, ჯერ აქ მიიხედ-მო-  
იხედე. საშა — დაიძახა ლადიმ ხმა-  
მალლა და ისევ მე მომიბრუნდა, — საშა  
არ ქვია?

— კი, კი, საშა...

— გამოიქეცე, კაცო!

თვლისმომჭრელი სინათლითა და  
სასახლეების ბრწყინვალეებით გამო-  
ცოცხლებული რიბოშაპკა სირბილით  
დაგვეწია.

— კიდეც გაამხელ, ნეტა არ გამოვ-  
ყოლოდიო? — ეუთხარი მე და ლადის  
წვდანილი ნათქვამი გავიმეორე: —  
როგორ შეიძლება კარგ რუსს თავისი  
ქვეყნის დედაქალაქი არ ქონდეს ნანა-  
ხი!

— მერე როგორი დედაქალაქი!  
დამემოწმა ლადი, — ავის თვალს არ  
ენახვის!

— მოგეწონს, საშა?

— Еще бы! — მხოლოდ ეს თქვა მან  
და ნეონის ბრდღვილა ლამპიონებით  
გაჩახჩახებულ პროსპექტს ხარბად და-  
აკვირდა.

— ეს გირჩენია თუ ვორონევი? —  
აღარ ეშვებოდა და მოსკოვის შუაგუ-  
ლის სილამაზით თავს იწონებდა ლადი.  
თითქოს ეს ამოდენა ქალაქი სწორედ  
მისი ხელით აშენებული ყოფილიყოს.

— Скажешь еще!

პროსპექტზე თავბრულამხვევი მოძ-  
რაობა იყო, აპყრიალებული მანქანების  
უწყვეტი ნაკადი ნიკელისა და სამზერი  
მინების ციმციმით მიეჭანებოდა პროს-  
პექტის ორივე მიმართულებით და  
კაცს გრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ  
ქვეყნიერებაზე არ მოიძვეებოდა ძალა,  
რომელსაც ამ სულჩადგმული ნიაღვრის  
შეჩერება წამიერად მაინც შეეძლო.

ფართო ტროტუარებზე ზღვა ხალხი  
ზომიზიმებდა, ყველა სადღაც მიიჩქარო-  
და, ყველას თავისი გზა ჰქონდა. მიიჩ-  
ქაროდა გულდაგულ, უკან მოუხედა-  
ვად. თუ ხალხის ამ ნაკადში გადაეშვე-  
ბოდი, მერე უყოყმანოდ უნდა დამორ-  
ჩილებოდი მის ნებას. მიდიოდა —  
შენც უნდა გველო, ნაბიჯს აუჩქარებდა

— შენც უნდა აგეჩქარებინა ნაბიჯი,  
დადგებოდა — შენც უნდა დამდგარიყა-  
ვი...

— თუ გადახვევას აპირებ, ნაბი-  
ნაპირ უნდა იარო, — ამიხსნა ლადიმ,  
— საერთოდ, ცხოვრებაშიც ასე ჯო-  
ბია. ყოველთვის უნდა შეგველოს გან-  
ზე ვადგომა. სატვირთო მანქანით ხომ  
გიმგზავრია? მე, პირადად, ყოველთვის  
ნაპირზე ვდგები. თუ ღმერთი გაწყრა  
და რამე მოხდა, ვიშვერ ფეხს და უკ-  
ვე ძირს ვარ.

— სხვები?

— ვინ სხვები? სხვებზე იმან იზრუ-  
ნოს, ვისაც მანქანა მიყავს. მე პატარა  
კაცი ვარ. მაგდენი მეკითხება?

— თანდათანობით გამაგიჟებ. რას ლაპარაკობ, ბიჭო?

— ნუ დამიწყებ ახლა. ავტიტუენტში ხომ არა ხარ! სისულელეა ეგ ყველაფერი! შენ, ვატყობ, მწარე სიმაართეს ტყბილი ტყუილი გირჩევენია. ყლაპე, მე არ გიშლი. აქ დავიცადოთ, თუ ცოტა გავიარ-გამოვიაროთ? უშანგის ვაითუ შეიგვიანდეს.

— როგორც ავობებს. ჩვენთვის სულ ერთია. — მივუგე მე შეფიქრებულმა და გამეხარდა, რომ ლადიმ თვითვე შეცვალა საუბრის საგანი. ის უთუოდ სხვის როლს თამაშობდა. შეუძლებელია, ამნაირი ზრახვები თავად სდებოდა გულში.

— მოვიცადოთ. უშანგი ამ კარიდან უნდა გამოვიდეს.

— ეს არის დიდი თეატრი?!

— ზუსტად გამოიცანი!

— ძალიან დიდი ყოფილა.

— უზარმაზარი. აქ, საერთოდ, ყველაფერი უზარმაზარია.

— ეს ბრინჯაოს ეტლი და ცხენები ნეტა მოხსნილი იყო თმის დროს?

— რატომ უნდა მოეხსნათ?

— ხომ შეიძლებოდა, ბოში ჩამოვარდნილიყო. თეატრთან ერთად ეგეც არ დაიღუპებოდა?

— რაჰველს რომ სახლი ეწვოდა. იცი?

— არა?

— გამოვარდა უბედური და ყვირის: მიშველეთ, ხალხო, ლორუკები დამეწვა-ში, ლორუკებით.

— ვერ გავიგე.

— სახლი ჩაფუჟა და ლორებს ტიროდა. აგრე მოგდის შენც. თუ ამოდენა თეატრი დანებრა, შეკაცო, ეს ეტლი და ცხენები რაღა სახსენებელია.

— პირდაპირ რა ქუჩა გადის?

— მონადირეთა რიგი. „ოხოტნი რიად“...

— რა უცნაური სახელი რქმევია!

— ოდესღაც ბაზარი იყო. ნანადირევს ყიდდნენ. ძველი სახელი შემორჩა.

— ახლა პირდაპირ სასაცილოდ მის მის ვგ სახელი.

— შეიძლება. იი, იმ წვეტიანა-სახურავების გადღმა ქუჩას „მშველლების ხიდი“ ჰქვია. „კუნეცკი მოსტი“ ეს უფრო უცნაური არ არის? წინათ მართლა ყოფილა ხიდი მდინარე ნეგლინ-ნაიაზე. იქით და აქეთ — სამშველლოები. ამჟამად მდინარე გადახურულია. აგერ, ჩვენს ქვეშ გადის.

— ჩვენს ქვეშ — მდინარე? საშა, გესმის?

ლადიმ განცვიფრებულ რიბოშაპკას შევლო ოდნავ დამცინავე მხერა და ორივეს რუსულად გვიოხა:

— ვითომ ასე საკვირველია? ამ ადგილზე, სადაც ახლა მთელი ეს მოედანია, წინათ დიდი საგუბარი იყო. საგუბარი კი არა, ხელოვნური ტბა. აქედან წყალი არხებით გადიოდა და წითელ მოედანზე, კრემლის კედლის წინ, თბრილებს აესებდა. ბიჭი იყავი და კედელს მიდგომოდი!

— დარჩა რაიმე ნაშთი იმ თბრილების?

— აჰ, თბრილები რაღა საჰიროს!

— ლამაზი იყო, ელბათ, აქ ტბა. სახლები წყალში გამოჩნდებოდა.

— ვენეციას Palazzo Ducale — გაბრტყელებულად წარმოთქვა ლადიმ და უცებ ხმამალა დაიძახა: — ბიჭო, უშანგი!

მე და საშა შევკრით. ორივემ მოუთმენლად გაეხედეთ იქით, საითაც ლადი იყურებოდა და უშანგის ეძახდა.

— სად დაინახე? — ვეღარ მოვიბინე და ვკითხე მე.

— ფუ! — ლადიმ უწყინრად შეიგინა და თვალი საშას გადაჰკრა, ხომ არ გაიგონაო, — ეს დოყლაპია ბიჭი უშანგი არ მეგონა? ხომ ჰგავს? სიარულიც რომ მისებური ცოდნია? შეხედე, რანაირად მიათრევს მარცხენა ფეხს!

— ნეტა შენ თვითონ შესულიყავი.

— სასტუმროში? სულ ერთი არ არის?

— უშანგი, რაც უნდა იყოს, ბავშვი

კაცია. მე მგონი, შენ უფრო გაგიწევდნენ ანგარიშს.

ლადის გაეცინა:

-- ხელის ქუჩები ბავშვსა და კაცს არჩევს?

— ეგეც მართალია.

— ჰეი, რუხანა!

გადაასვლელის ფარნიან ბოძთან მაღალ ქუსლებზე შემდგარი შავგვრემანი ქალიშვილი გაჩერდა და უკან მოიხედა.

— ბოდიში, რა, ამ წუთში მოვალ!

ლადიმ თოშით შექირხლულ გრუზა თმაზე ხელი გადაისვა და მისი დანახვით გახარებულ ქალიშვილისაკენ აჩქარებული ნაბიჯით წავიდა. ქალიშვილი თავს იფასებდა. ერთი ნაბიჯიც არ გადმოუდგამს მის შესახვედრად. ცალ ფეხზე დაყრდნობილი იდგა, წელს ოდნავ არწევდა და იღიმებოდა.

— აი გოგო! — ერთბაშად აღმოხდა ალტაცებისაგან თვალგაბრწყინებულ რიამოშაპას.

— ვერ უყურებ, რა ჩუმჩუმელა ყოფილა! — სიცილი ველარ შევიმაგრე მე, — მართლა მოგწონს?

— ნამდვილად. აი, ასეთი უნდა იყოს ქალი!

— გამხდარი რომ არის ძალიან?

— მე სწორედ გამხდარ ქალზე ვიჩივებ. სწორედ ეს სიგამხდრე უხდება.

— გინდა, დაეუძახო ლადის? გაგვაცნობს.

— იცი რა, სერგო? მე მგონია, ულიანა სწორედ ასეთი იქნება ახლა.

— ასეთი? ასეთი თუკი არის, მშვენიერი გოგო ყოფილა.

— ისიც შეგვგრემანია. თათარს ჰგავს. ნეტა ვის გამოემგვანა! ჩვენ ყველა — მეც, მამაჩემიც და დედაჩემიც — მწითლები და კორფლიანები ვართ. სამი წლის იყო, თმა და თვალწარბი რომ გაუმუქდა.

— გოგოები ახლა თმას იღებავენ

— არა, ის არ შეიღებავს!

— რათაო, ვითომ?

— იცის, მე არ მიყვარს.

— შენ თუ გიყურა... მე და შენ, სიმა, ჩამოვრჩით. ეეე! სანამ ჩვენ ვერმოდით და მუხლამდე ტალახში დავტლებუნობდით, დრო შეჩერებული იყო, გგონია? ხალხი ცხოვრობდა. ახლა, ალბათ, სულ სხვა მოთხოვნილებები გაუჩნდა ადამიანებს, ვიდრე ომამდე ჰქონდათ.

— თმის შეღებვა ვითომ რა ახალი მოთხოვნილებაა!

— ახალი მოთხოვნილების ნაწილია. ცხოვრების ახლებური ელფერი ბევრი ამისთანა ზედმეტსაქლები მნიშვნელობის მქონე წერილმანისაგან შესდგება. ვაი! ლადი და ის გოგო სად წავიდნენ?

— ბოძთან არ იდგნენ ახლა? აი, აი, ეგერ მიდიანი! — ნაღვლიანი თვალები საშას ისევ გაუბრწყინდა, როცა კინოთეატრის ვიტრინის წინ მობორიალე ხალხში ნაცნობი წყვილი დაინახა, — მოიცა, სირცხვილია, ნუ შევამჩნევინებთ, თუ იქით ვიყურებით.

ჩვენდა ბედად, ლადიმ სწორედ ამ დროს მოიხედა და თვალის შეგვასწრო.

— იქ იდგქით, იქ! — ხელებზე მოძრაობით გვანიშნა და ამაყ, ტანწერწეტა რუხანას, რომელიც დინჯი ნაბიჯით მიჰყვებოდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას წვირლ წელს ძლივს შესამჩნევად არწევდა, მგონი ბოდიში მოუხება.

— ახლა მოუნდა მავ გოგოსაც გამოვლა? — ავბუზღუნდი მე.

— ხელი ჩამოართვა, მოდის! — მახარა საშამ.

ლადი და ის ქალიშვილი მართლაც გაჩერდნენ ბუკინისტური მაღაზიის კარის წინ და ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. მაღალ ქუსლებზე შემდგარმა რუხანამ წელის ძლივს შესამჩნევი რწევით განაგრძო გზა. ლადი ერთხანს იმავე ადგილზე იდგა, სადაც ქალმა დასტოვა და მიმავალს გაჰყურებდა, მერე უცებ შემოტრიალდა და ჩვენკენ წამოვიდა.

— თქვენ ისევ მართო ხართ? — შორიდანვე მოგვაძახა მან, — არ გამოსულა?

— რა ვიცი, დავინახავდიო, რომ გამოსულიყო, ხომ არ დააეწყებოდა, სად ველოდებით?

— როგორ დააეწყებოდა, კაცო, სამჯერ ვუთხარი. გადამრევს ეს ბიჭი პირდაპირ! ჯერ იყო და ყაზანის ვაგზლის წინ ჩამოგვაშეშა ფეხზე...

— რა ვქნათ, ლადი?

— რას ვიზამთ, მოვეუცადოთ კიდევ ცოტა ხანს.

— ეთქვათ, არ მოვიდეს?

— როგორ თუ არ მოვიდეს, გადაიარა ჩემი მტერი?

— ლადი, შენ რომ შესულიყავი და მიგვეითხა?

— არ მინდა ახლა ორივე გამოვჩინდეთ.

— შეიძლება, უცდის იმ კაცს.

— მერე გარეთ ვერ გამოვა და ვერ შეგვატყობინებს?

— რა ვიცი, ამხანაგებო თქვენ ხართ, თქვენი საქმისა თქვენ იცით. ვინ იყო ის ქალი?

— ქალი? ჰო... იყო ერთი.

— გათხოვილია?

— რა შენი საქმეა, გათხოვილია თუ გაუთხოვარი?

— ამას მოეწონა...

— მაგ უბედურს სულ დაებნა გზაკალი, გოგოებს უპრაფავს თვალებს?

— რა მოხდა, არ შეიძლება ქალს ქალი მოეწონოს?

— ნახე შენც ქალი! ჰო, ლაყობობს დრო გვაქვს ახლა? — ლადიმ მოუსვენრად მიიხედ-მოიხედა, შეკირბლულ გრუხა თმაზე ორივე ხელი გადაისვა და ისევ მომიბრუნდა, — მართლა აგრე უნდა მოვიქცე, როგორც შენ მიჩივი. შევალ და მოვძებნი. ხომ იცი, რანაირი დროა. ვაითუ გზაში შეემთხვა რამე და აქამდე სულ არ მისულა? ბილეთებიც მომეცი, იქნება გახერხდეს დამოწმება.

— აბა, შენ იცი! — მიუღუე გახარებულმა და უმაღლე უბე გავიხსენი, — დამოწმება აჯობებს, რასაკვირველია. თუ ძმა ხარ, ბევრს ნუ გვალოდინებ, წაგვეინა ხელ-ფეხი...

9

— სერგო, შეხედე, ფრანგი გენერალი! — პირზე ხელი მიიფარა და ისე წამჩურჩულა საშამი.

— რა გიცივარს, უცხოელი სამხედროები წელანაც დავინახე. ეგ ფრანგი კი არა, პოლონელი უნდა იყოს. ფორმა ფორმას ჰგავს.

— დამენაძლევე, ფრანგია!

— ვის ვკითხოთ მერე?

გენერალმა თუ უმაღლესი ჩინის უცხოელმა ოფიცერმა, ჩაუხსენილმა, დაბალ-დაბალმა კაცმა, მგონი შეგვნიშნა, ყურადღება მომაქციესო და, როდესაც მხედრულად მივესალმეთ, იმ გულკეთილი შალაღვარდოვნებით გავეიღიმა, რომლითაც წოდებით უმტროს სამხედროებს გაუღიამებენ ხოლმე.

— აი, ხომ ხედავ! — თქვა საშამი და თავდაჯერებულად კაცის მტკიცე ნაბიჯით მიმავალ უცხოელს აღტაცებული მხერა გააყოლა, — რომ დამნაძლევებოდი, ხომ წააგებდი!

— ვითომ რამე შეიტყე?

— აგრე ხომ მართო ფრანგი სამხედრო მოსამსახურეები იღებენ ხელს! — რიბოშაპკამ მარჯვენა ხელი სწორედ იმ გენერლისებურად აიქნია.

— გეჩვენება.

— უუურე ამას, გეჩვენებაო!..

სამხედრო პირი მეტროპოლისსა-დარბაზო კარში შევიდა. თბუთმეტიოდე წუთის წინ აქვე შევიდა ლადიც და ამავე კარით უნდა გამობრუნებულიყო უშანგისთან ერთად. სადარბაზო შესასვლელს კიდევ მეორე, სახელურმოთქროვილი შიგა კარი ჰქონდა. ორ კარს შუა მკაცრი შესახედაობის თეთრწყვრა ბერიკაცი იღგა და საცირისტოლა თვალებს ზანტად აბრიალებდა. ბერიკაცს მოსირმული მწვენი მუნდირი ეცვა, კაქარდიანი ქუდი ეხურა და სამსახურიდან გადამდგარ მეფის აღმირალს ჰგავდა.

— ჩვენც რომ მივიდეთ, შეგვიშვებენ? — ოდნავ ნირშეცვლილი ხმით მკითხა საშამი.

— სინჯე! — მიუხედავად მე და წამით თვალი გაუხსნორე. რიბოშაქას ქვედა ბაგე უკანკალებდა, — აქ, ისე ვატყობ, სულ უცხოელები არიან. ხედავ ამ დედაბერს და ახმას კაცს?

— რა ენაღვლებათ, ფული აქვთ და მოგზაურობენ.

— რაღა დროს მაგის მოგზაურობაა, თუ ღმერთი გწამს, ვერ დაეგდებთ სახლში?

— ახლა მაგას კითხე! — ნაღვლიანად თქვა საშამ და მთელი დღის განმავლობაში პიტველად გაიციან ხმადალა ასე მხოლოდ გონიერა ბავშვები იციან, როცა უნდათ უსახსროდ და უიშელოდ დარჩენილ მშობელს გული გაუკეთონ. მიუხედავად მთელი ყურადღება სახელმწიფოპროვიდენტ კარზე და წარბებგადმოჩაჩულ, მკაცრი შესახედობის ბერიკაცზე პქონდა მიყრობილი.

სასტუმროს კარი წამდაუქუმი იღებოდა და იცეტებოდა. მკაცრი ბერიკაცი ხანდახან თავად უღებდა შემსვლელთ კარს, რადგან, ეტყობოდა, კარი მიძინებ იხურებოდა და ძნელი გასაღები იყო.

თავში ერთადერთი აზრი მიტრიალებდა: რა პქნეს ამდენს ხანს? ნუთუ უშანგის მართლა რაიმე უსიამოვნება შეემთხვა და ამხანაგის დაკარგვით შეშფოთებული ლადი ახლა ტელეფონით ურეკავს სხვა ამხანაგებს? მამ სხვა რით უნდა აიხსნას ამდენი დავგიანება?

მოედნის კუთხეში, მწვანე ბოძზე შემოდგმულ ელექტროსაათს მალულად ვაგხედე. ცხრას თითქმის აღარადფერი აკლდა, როცა ლადი სასტუმროში შევიდა, მგონი რეაც არ იყო შესრულებული.

ვთქვით, ვერ ნახეს ის კაცი, ვისაც ეძებდნენ? მერე ორივე რაღას უცდის იქ! ერთ-ერთი ვერ წამოვა? გარეთ გამოსვლას და ამბის შეტყობინებას წინ რაღა უღგია! ხომ იციან, რომ ქუჩაში ვდგავართ და აგერ რამდენი ხანია, ველოდებით.

— რად გაჩუმი? — ექვიანად შეითხა საშამ.

— სულ მე უნდა ვილაპარაკო? ძალიან შეგვიცადა?

— ხელ-ფეხი ჩემი აღარ არის! რაღა დაგიმალა... — საშამ ნაძალადევად ვამიციანა.

— ხუთი-ექვსი წუთი კიდევ და მოვდებთ ბოლო ჩვენს ტანჯვას. აქედან პირდაპირ კურსკის ვაგზალში წავიდეთ?

— ცოტა აღრე რომ იყოს, დიდი თეატრის წარმოდგენას დავესწრებოდით. აქაური ბალეტის ნახვა მინდა. მე შენ გეტყვი, გაისად კიდევ ჩამოვალდა..

— აი, ეს მომწონს. მაგრამ უკვე გვიანია. მე მგონია, ახლა დაწყებულიც იქნება.

— სერგო... ძალიან აგვიანდებთ და. გულში რაღაც ყრულ ჩამწყდა და მომეჩვენა, რომ თვალთ მიზნელდებოდა. ნუთუ შიმშილის ბრალი იყო? პირში სისხლის მოტეხო გემო მქონდა. ვერც კი ვაგიგე, ტუჩზე როდის ვიკბინე და სისხლი როდის გამომივიდა.

— წამო, შევიდეთ სასტუმროში! — ვუთხარა საშამს.

— ვთქვით, გამოვიდნენ და არ დაგხვდეთ, მერე? ერთი და ერთი უნდა დავრჩეთ.

— შედი. მე დაგიცილი.

— შენი შესვლა ჯობს. კაცო ხარ, უფრო თამამად გამოიკითხავ. გვარები გახსოვს?

დამცეცხლა. გულში ისე ძალუმიად დამიწყო ძგერა, ხმა გარკვევით ვაგიგონე. გვარები? იმდენ ლაქლაქში გვარები და სადაურობა მაინც მეკითხა!

მეკარემ თავი გამოიდიო. ადგილიდან ფეხი ვერ მოვაცვლევი. ნაბრძანები მაქვს, არავინ შევეუშვა, ვინც აქ არ ცხოვრობს, ხოლო ბრძანებას რაც შეეხება, მე ვერ შევეცვლიო. მაინც არ შევეპუე. ვაცეცხლებულმა ძალით დავაპირე ვესტიბიულში შევარდნა.

კარს კიდევ ორმა მწვანემუნდირიანმა კაცმა მოაშურა. ესენი ბერიკაცის

მოსაშველებლად მოვიდნენ. შევატყე, კინწისკერით გამომაგდებდნენ ქუჩაში, მაგრამ ჩემი სამხრეების დანახვამ წამით ორივე შეაყოვნა.

— მაცალეთ, ჯერ ვაიგეთ, რა მინდა — გულის სიღრმიდან ამოთქვი მე.

გაგულისებული ბერიკაცი წინ ვადამიღგა და ორიოდ სიტყვით მოუყვა თანამშრომლებს, რისთვისაც ვეძალე-ბოდი.

— ვერ შეხვალთ, — წყნარად მითხრა ერთ-ერთმა ახალმოსულმა, — გაბრუნდით უკან. აქ ნუ დგახართ. ხალხს გაელას უშლით.

— ყოველ ავაზაკს შეუძლია შემოვიდეს და მხოლოდ ჩემთვის არის კარი დაკეტილი?

— მე არ ვიცი, ვის გულისხმობთ, მოქალაქე. გირჩევთ, ცოტა დაფიქრდეთ და წინდახედულად ილაპარაკოთ.

— შეკითხვაზე მაინც მიპასუხეთ.

— შეკითხვა — ცნობათა ბიუროში. ნეგლინაია, 31

— სხვა კარი აქვს ამ დასაქცევ შემობას?

— მირჩევია თქვენთვის: მოშორდით აქაურობას. ასი კარიც რომ ქონდეს, სულ ერთია, თქვენ არავინ შეგიშვებთ შიგ. მოვრჩით? აქ არ ცხოვრობთ და იმიტომ!

— აქვს თუ არა სხვა კარი, მე თქვენ გეკითხებითი თუ შეიძლება ამ კარით ვინმე შევიდეს და სხვა კარით გამოვიდეს? ერთ ნაცნობს ვუცდილი... აი, ამხანაგი მელოდება გარეთ. ქალია!

— კე, ქალი — მწვანემუნდირიანმა მარტორქასავით ღონიერ ამხანაგს თვალი ჩაუკრა და მერე მე მომიგღო: — არის მეორე კარი. რა გინდა მერე? ეზოში გადის.

— ეზოდან ქუჩაში შეიძლება გასვლა?

— რასაკვირველია.

მე უხმოდ გამოეტრიალდი და სპილენძით შეჭედილი მუხის ვეება კარი ზურგსუკან მიმიმედ დაიკეტა. კართან დადარჯებულნი საშა, რომელსაც ყვე-

ლაფერი გაეგონა, მაშინვე მომეარდა და მკლავში ხელი ჩამჭიდა:

— წამო! ბერიკაცი პატრულებს დაუძახებს...

— დაუძახოს, მე მაგისი... არსად არ მივდივარ, აგერ ვარ და მომთხოვე პასუხი!

— შენ რა პასუხი უნდა მოგთხოვოს სერგო, შენი რა ბრალია!

— მცემე, თავ-პირი დამამტკრიე. სისხლი ღვირად მადენინე. დედა მომიკვდეს, თუ მადლობა არ გითხრა, თუ არ შეგხეხეწო, ნუ დამზოგავ, უფრო მეტის ღირსი ვარ მეტქა...!

— წამო, გეუბნები, ბებერი პატრულებს მოიყვანს!

— ამას ვიფიქრებდი? ოხ მე...

— რა გატირებს, ბავშვი ხომ არა ხარ. ხალხი გვიყურებს. წამო, წამოდი ახლა! — თავადაც თვალემაწყლიანებული საშამ ბოლოს უკვე ბრძანების კილოზე მითხრა და მეტროს სადგურისაკენ, რომელიც იქვე ახლო ყოფილყო, ჭიკავ-ჭიკავით წამიყვანა.

## 10

ხალხით დახუნძლული ესკალატორი განახჩახებულ ქვესკნელში დინჯად და უხმაროდ ეშვებოდა. ხელმარცხნივ ასევე უთვალავი ლიანგით გაჭედილი ორი ესკალატორი ამოდიოდა ზემოთ. შემხვედრი აღამიანები ერთმანეთს მოწყენილება უყურებდნენ და დანახვით კი ვერ ხედავდნენ. ქვემოდან მომავალთა გულგრილ სახეებს გაშმაგებული ვუთვალთვალეზღი. სულის სიღრმეში დაარწმუნებული ვიყავი, ხალხის ზურგსუკან დამალულ ლადის სადმე თვალს მოვკრავ-მეტქი და ჭავრის ამოსაყრელად მეტიც არაფერი მიწოდდა.

ვიღაც იდგება და აქნავლდება — კაცმა კაცი რისთვის მოკლაო! ამ სირცხვილს ათი წლის კატორღა მერჩია. ნეტა ტყვედ ჩაგვარდნილიყავი და სამუდამოდ ციმბირში გადავესახლებინე. მხოლოდ ეს არ მენახა... აი, თურმე რატომ ჩამაცივდა, სხვა ღრთს თუ

ყოფილხარ მოსკოვში, მოსკოვი თუ იცო. გზებს მიჰრიდა, თავს იმშვიდებდა. მაშინვე როგორ ვერ მივხვდი, თვალეები ასე რამ დამიბრძოვა, ასე რამ გამომატყინა! უშანგიმ პირდაპირ არა თქვა, უკაპოვოდ რჩებოდა, არ შემოდლიო... იმისი ნათქვამის გაგებას რა დიდი ღარი და ხაზი უნდოდა! ფეხსაც არ ვავადგამ აქედან. მთელ მოსკოვს ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვივლი, სადმე უსათუოდ გადავეყრები და ლადის ბინძურ სისხლს დავლეგ. არც უშანგია დასაზოვი. ლობიო! გლახაკი მონა! რაც მოსავალია, მოვივლი. თურმე რა მელოდა, თურმე ვისი წერა ვყოფილვარ! სტუდენტები ვართო. ისეც რა ვუთხრა. ჯიბის ქურდები არიან, ოხრები, კაციქამიები, მამის ძვლების გამყიდველები...

მაგრამ ყველა სახე უცხო იყო. ჩემს წარმოდგენაში ყველა ერთმანეთს ჰგავდა და სულსა და გულს არაფერს ვუბნებოდა.

მეტროს მატარებელმა საათზე მეტ ხანს გვატარა, სულ ბოლო სადგურში ვაგონები მთლიანად დაიცალა. იმულებული ვავხდით მატარებელი დაგვეტოვებინა და უკან დასაბრუნებლად მოპირდაპირე მხარეს გადავმჯდარიყავით.

მეტროში ძარღვების მომთენთავი სითბო იყო და, ამავე დროს, საიდანდაც მონაბერი სუფთა ჰაერის ნაკადი ჰქროდა. მრგვალ გვირაბებში გრუხუნით მიიჩქაროდნენ გრძელი მატარებლები და სადგურთან მიახლოებისას მუხრუჭების კივილით იწყებდნენ შეჩერებას. ხალხი ყველა ვაგონიდან ერთბაშად გამოდიოდა. ამათ ადგილებს სხვები იკავებდნენ. რეზინისკიდეებიანი კარებები უეცარი ბრაგუნით იკეტებოდა და მეწინავე ვაგონი, სადაც, ალბათ, ვატმანი იჯდა, თავს ისევ ნახევრადჩაბნელებულ გვირაბში შერგავდა.

— პირველი დაიწყო! — შიმშილისა და დაღლილობისაგან მისუსტებული ხმით მითხრა საშამ და, ვარაუდის შესამოწმებლად, გვირაბის ყელში ჩამაგრებულ

ელექტროსაათს აჰხედა, — ორმოცდახუთი წუთის შემდეგ მეტროს დაკეტავენ.

— რა იცი?

— შემოსვლისას წაგიკითხე, პირველ საათამდე მუშაობსო.

— გარეთ, ალბათ, ყინავს.

— მაინც უნდა ავიდეთ. აქ არ გაგვაჩერებენ.

— ისევ ვაგზალში?

— ვაითუ დამ-დამობით ისიც იკეტება.

— შეუძლებელია. ამდენ ხალხს ქუჩაში ხომ არ გამოყრიან!

— სერგო. მე მგონია, მეტროს სადგურებში ძებნით ვერაფერს ვაგებდებით. ასე ალაღბედად ამდენ ხალხში ვის იპოვნე!

— მამ შერჩეთ ასე ჩვენი გამეტება?

— შერჩათ და ეგ არის. ახლა სად ვართ ნეტა? მგონი, არბატის მოედანია. წამოდი. სქემას შეეხედოთ. «ქურსკაია» არ გეინდა?

ქურსკის მიწისქვეშა სადგურამდე მეტროს უკანასკნელმა მატარებელმა მიგვიყვანა. ესკალატორის ვიწრო კიბეზე მარტოდმარტო დავექით და ზემოდან მომავალ ასეთსავე ცარიელ კიბეს თვალეამომშრალი მივაჩერდი.

მოედანზე ხალხს მოეკლო, ზოლო თვიდ ვაგზლის უხარზნარ დაარბაზებში ისევ შედგა იყო. ქაქანი, ქოთქოთი და ძუძუთა ბავშვების განუწყვეტელი ზიჰკი იდგა. წყკოს მოლურჯო კვამლს დაარბაზები დიდი ხნის შეუფეთებე ქვამდე აეგსო. ერთიმეორისაკენ პირით მიქცეულ ზურგმოხარატებულ სკამებზე მჯდომარე და სკამებს შუა ჩახერგილ ბარგზე მიწოლილი თვალეგამოღამებული მგზავრების დანახვისას აღამაინი ვერც კი გაარჩევდი, რომელი თავი. ხელი ან ფეხი რომელ ტანს ეხა.

პირველყოელისა, მოფარებული ადგილი მოვძებნეთ და ხალთებს თავი მოვხსენით.

სახელდახელოდ დანაყრებამ ძალღონე მოგვიმატა და სულში იმედის ნა-

პერწყალი აკიაფდა. ისიც კი ვიფიქრე, ლაღი და უშანგი უსათუოდ გამოჩნდებიან და დაპირებულ ბილეთებს მოგვიტანენ მეთქი.

მართლაც და, რატომ არ შეიძლება, ასე მომხდარიყო? იქნებ ახლაც უკვე აქ იყვნენ და გვეძებდნენ.

მაგრამ სად ჯობდა დაცდა, ძირს, თუ ზემოთ, რომელიმე მისაცდელ დარბაზში? რომელი უფრო თვალსაჩინო და ადვილად მისაგნები ადგილია?

ვთქვათ, მოსულიყვნენ, მოვეძებნეთ, ვეპოვნეთ და ბილეთები მართლა მოეტანათ? როგორღა შეგმეხდა ბიჭებისათვის თვალბეჭდში? განა იმათი ბრალი იყო, თუ მე და საშამ სასატუმრო „მეტროპოლის“ კართან დრომდე ვერ მოვიცადეთ და დამდურულუბივით ნაადრევად გამოვიქცეთ?

ნეტა ჭკუა სად მქონდა, წელან, ამ უცხო ადამიანის წინაშე, ისე თავშეუკაებლად რომ ავფეთქდი? მოვიდნენ, თუ გინდა. ამის შემდეგ, რაც საკუთარი თვალით ნახა და ყურით გაიგონა, საშას მაინც ჩარჩება გულში ზინჯი — შესაძლო იყო, არც მოსულიყვნენო.

ახლა თავი ლადისა და უშანგიზე უფრო დამნაშავედ მიმაჩნდა და ზიზღით ვიღმეძებოდი. ტკივილის ჩასაჩუმებლად წინ გავილაჯე და სამხედროების დარბაზში შევედი. ესეც გაქედილი და გვხვდა. ბოლოს, დედათა და ბავშვთა ოთახში, ზედ ბაქანზე გამაეღალ ფანჯარასთან ვიპოვნეთ თავისუფალი ადგილი. გადავწყვიტეთ, რიგრიგობით დავმჯდარიყავით და დამე ასე გავგეთენებინა.

მეზობლად ბავშვიანი ქალი იჯდა. წინ დალაგებულ თავის ბარჯს ზედ ქორივით გადააფოფრებოდა და თან წლინახერის თუ ორი წლის გოგოს თუ ბიჭუნას ძუძუს აწოვებდა. კი არ აწოვებდა, ბავშვს დედის მკლავზე ეძინა და ძუძუ პირში ედო. როგორც კი დედა ძუძუს მოაცილებდა და გაღვლილ საკინძეს შეისკვნიდა, ბავშვს ეღვიბოდა და ტირილს იწყებდა. ქალი უმალვე გაიხსნიდა საკინძეს, ბავშვს პირ-

ში ძუძუს ჩაუდებდა და მხოლოდ ამ ორისათვის გასაგებ რაღაც სიტყვებს ჩაქლურტულებდა.

— ბიჭებო, თქვენ აქ იქნებით? — ახლავარდა დედა მცირე ყოყმანის შემდეგ მოგვიბრუნდა და შეწუხებული, ოფლიანი სახე მთლად უღიმგილოდ მოგვაპყრო.

— კი, როგორ არა! — რიბოშაპკამ, თითქოს ამ შეკითხვას დიდი ხანია ელოდაო, დაუყოვნებლივ უპასუხა და ზეზე წამოიჭრა, — გინდათ რამე?

— ცოტა ხნით უნდა წავიდე. დავიტოვებთ ბარჯს?

— დავიტოვებთ, მაშ როგორ! არ შეიძლება მე წავიდე თქვენს მაგივრად?

— გმადლობთ, — დედა ერთბაშად მიხვდა, ქალს ველაპარაკებო, ძლივს შესამჩნევად წელანდელი „ბიჭებოს“ გამო გაიღიმა და სხაპასუხობით განაგრძო: — ბილეთის რიგში ვდგევარ. ახლა უნდა ავიდო. ჩემს ბილეთს თქვენ არ მოგცემენ.

— ოღონდ მალე მოდით, — უთხრა საშამ და თითქოს ამავე სიტყვებით აგრძნობინა, ის, რაც წელან თქვით, სრულუბით არა მწყენია, მიჩვეული ვარო.

— წახვალთ სადმე? — დედა აწრიალდა.

— არა, წასვლით არა, მაგრამ...

— თქვენი ამხანაგი აგერ დაჯდეს. ეს ფუთა ძირს ჩამოდეთ და უფრო თავისუფლად მოთავსდებით. ასე!

— საწყალი! ვინ იცის, საიდან სად მიდის და რა დღეშია, — თავისთვის თქვა საკუთარ ფიქრებში წასულმა რიბოშაპკამ, როცა ბავშვიანმა ქალმა დიდის გაჭირვებით გაიარა ბარჯითა და მძინარე მგზავრებით ჩახერგილი ვიწრო გასასვლელი და მოლურჯო კვამლში მოფარფატე ხალხს შეეჩია, — ალბათ, სადმე თავს აფარებდა და ახლა შინ ბრუნდება. სასლი მაინც დახედობოდეს...

— მაინც იქნება?

— შენ რატას ჩაგიღუნია თავი?

— იცი, საშა, რას ვფიქრობ? ჩვენი აფორიაქება, მგონი, ნაადრევია.

— როგორ?

— ბიჭები მოვლენ. შენი არ იყოს, შემიძლია სანაძლეო დავდო.

— არ გედავები, მაგრამ ეგ აზრი საადან დაგებადა?

— ვერძნობ... წინათგრძნობა მე არასოდეს არ მღალატობს.

— მაგ საქმეში მე და შენ ზუსტად ერთნაირები ვართ! — საშამ უფერული წამწამები აახამხამა და წამით თვალეში შემოშხედა, — მე მეგონა, სხვა რამე სარწმუნო საბუთი გქონდა.

— შეიძლება კიდევაც გექებენ!

— რა ღრო იყო, რომ წამოვედით?

— აღარც კი მახსოვს ზუსტად. ათი იყო თუ თერთმეტის ნახევარი.

— საათზე მეტი ველოდეთ. სხვა რაღა გექქნა!

— უნდა მოგვეცადა.

— როდემდე? სანამ ბერიკაცი პატრულებს მოიყვანდა?

— თუ მოისაზრეს მაინც, რომ აქა ვართ და ვუცდით.

— იხინი სამხედროების დარბაზში მოგვეტანა.

— როცა იქ არ დავუხვდებით, აქაც არ მოგვაკითხონ, არ შეიძლება.

— მეც აგრე მეუბნება, ხომ იცი, გული. შეიძლება მართლა მოვიდნენ.

— ოღონდ ისინი მოვიდნენ, საშა, ოღონდ ნუ გამაწილებენ და, რა გინდა, ასი კაცის პურმარილს ვიკისრებ!

— რით, ბიჭო? — საშას თვალები ისე გაუბრწყინდა, თითქოს ასი კაცის გასამაჰმინძლებელი პურმარილი უკვე გაშლილი ყოფილიყო.

— აქ კი არა, იქ—საქართველოში! — დავაზუსტე მე, — რა გინდა, მამაჩემს მთელი წლის სარჩოს გავაყადვინებ. მერე სამ წელიწადს ღვინოს არ დავლევე. ღვთის მორწმუნესავით მარხვას შევინახავ!

— სულელი!

— გაისად, ნართვლევეს, ახლო ნათესავივით ჩამოვაკითხავ. პურმარილს ხურჩინით ჩამოვუტან, ღვინოს — ტიკით. დავუპატიებ ამხანაგებს და იმის-

თანა დროს გავატარებინებ, სამასს როდ დარჩეთ!

— ნეტავი ერთი მე და შენც დაგვევა მაგ პურმარილზე!

— ორივე წამოვალთ, აბა რა, გზის ხარჯი, აქედანაც და იქიდანაც, ჩემს კისერზე იყოს!

საშას მოულოდნელმა წამოდგომამ მეც უნებლიედ ზეზე წამომაგლო. სიხარულის მოზღვავებისაგან კინალამ თავბრუ დამესხა.

ნუთუ...

მოსული ბავშვიანი ქალი იყო. ბილეთი უკვე აეღო, მძინარე პატარასათვის, ნაქსოვი გრძელი შარვალი გზადაგზა ჩაეცმია და ახლა ბარჯს უყრიდა თავს.

— სულზე მოვასწარო, — თქვა ქალმა და ბავშვს კიდევ რაღაც ნაქსოვი გადააცვა ზემოდან.

— უკვე ღროა? — საშა მოხმარებას ლამობდა. მისი ხელები უკვე გადაჩვეოდნენ საქალო საქმეს. ტანზეც შეუფერებლად ეცვა. მაზარის გრძელი და უზეში სახელოები ხელებში ებლანდებოდა...

— ნახევარ საათში, — მიუგო ქალმა, — ვაითუ გამასწროს. ბარგი ბევრი მაქვს...

— რამ შეგაშინათ, მოგეხმარებით აგერ!

— როგორ შეგაწუხოთ... — ქალს წამიერმა ღიმილმა გაუტანა ბაგე და მის მიუქარებელ, დედობრივ სახეს ღიმილი უზომოდ დაშვენდა, — ისედაც გავსარჯეთ.

რიაზოშაკამ თავგადაყერილი ტომარა ამოიღლია, რადგან ეს საქმე ბევრად უფრო ემარჯვებოდა, და ჩემოდანს დასწვდა.

— საით? წინ გაგვიძეხი, დაო, ჩვენ ნელ-ნელა მოგვებით.

— არა, ორივე ნუ წამოხვალთ. დასაჯდომი აღვილი დაგეკარგებათ.

— გაგვიძეხი, გავგასწრებს მატარებელა, ჩვენ კი არ მოგვიცდის!

— ორი მომხმარე არ არის საქირო, — უფრო დამაჭერებლად იმეორებდა ქალი და თავსა და ბეჭებზე შემოხვეული თბი-

ლი შალის ბოლოებს ნიკაპთან ისკენი-  
და. — ერთი აქ დარჩეს. ადგილს დაი-  
კავენს.

უსიეტყვოდ წილი ვყარეთ. ბაჭანზე დე-  
და-შვილის გაყოლა საშამ დაინარჩუნა.  
მე ზურგზე წამოკიდებული ზალთა მო-  
ვისხენი, რიაბოშაპკას ზალთასთან ერთად  
სკამზე დავუდე, რათა ადგილი შემენახა,  
და საზურგეს მივენდე.

დარბაზი განწყვიტლად და ყრუდ  
გულუნებდა. რული მომერია. თვალები  
თავისით მეხუჭებოდა. მატარებელი და-  
მესიზმრა. მე და საშა ვითომ ტამბუ-  
რის ფანჯარასთან ვიდექით და გარეთ  
ვიყურებოდით. მდუმარე რუსული  
ტყის მაგიერ იქ უწყალო დაბომბვის შე-  
მდეგ მიწასთან გასწორებული ქუჩა იყო.  
ორი ფეხშიშველა ქერა ბავშვი, ბიჭი და  
გოგონა, ჩამოქცეული კედლის კუთხეს  
აწევბოდნენ და მის ადგილიდან დაძვრას  
ლამობდნენ. შეღუბნებულ კუთხის ნა-  
წილი ბათქაშისა და აგურის ნამსხვრე-  
ვებში ეგდო. ტირილით გულამომჭდარი  
ბავშვები გამვლელებს მოუხმობდნენ,  
გვიშველეთო, მაგრამ ნანგრევებით ჩა-  
ჩხილ ქუჩაში მათ მეტი არავინ ჩანდა,  
ხოლო მატარებელი, საიდანაც ამ ამბავს  
ორნი ვუყურებდით, გრუხუნით მიექა-  
ნებოდა მრგვალ გვირაბში.

დიქტორის ხმამ გამომაღვიძა. თვალე-  
ბი მოვიფშვინტე და სკამზე გაეწორდი.  
საშა მოსულიყო, ხალხთა მუხლებ-  
ზე დაეღო და გვერდში მომჯდომოდა.  
ნუთუ ისე ღრმად ჩამეძინა, რომ მისი  
მოსვლაც ვერ დავიგე? ისიც ჩემებრ მო-  
ქანცული და კიდევ უფრო უძილო იყო,  
მაგრამ თვალები ფართოდ გაეხილა და  
სადღაც წინ იყურებოდა.

— შენ როდის მოხვედი? — უმალვე  
გამოველაპარაკე და მარჯვნივ ჩავი-  
წიე, — უკვე წავიდა მატარებელი?

— რა ხანია!

— ზომ არავინ გაწყენინა?

— ეს მოკცა... — რიაბოშაპკამ მომშ-  
ველი ხელი გაშალა და ორი დაქმუქ-  
ნული ხუთმანეთიანი მანქანა.

— ვინ?

— იმ ქალმა, ბავშვიანმა...

— რატომ გამოართვი?

— იმისთანა დროს ჩამიღო ჯიბეში,  
ველარაფერი მოვანერხე. მატარებელი  
უკვე დაძრული იყო. კინაღამ ქვეშ ჩა-  
ვუვარდი...

საშამ უკანასკნელი სიტყვის დამ-  
თავრება ძლივს მოასწრო, რომ  
უკან ვიღაცამ ჩაბეირებულად დააბველა  
და სკამის ზურგზე ჯობი დააჩაბუნა.  
ტომრებზე თავმიდებულმა მძინარე ადა-  
მიანებმა წამოიწიეს. ყველას გამოედ-  
ვიძა. ასე სადგურის დამლაგებლები არა-  
ხუნებენ ხოლმე, როცა ნაშუალამეგს ან  
სისხამ დილით მოსაცდელი დარბაზის  
დასახვეტად და მოსარწყავად შემო-  
დინან.

გველნაკბენივით მიეტრიალდით.

სკამის საზურგესთან ნაცნობი ზეიბა-  
რი იდგა, ჯაგარწამოზრდილი და უქუ-  
ლო. წყლიანი, უზარო თვალებით მოგე-  
შტერებოდა და სიბინძურეში ნაგლებ  
ყავარჯენზე იღლით დაყრდნობილი  
ძლივს ლულულუნებდა:

— ძმებო... დაეხმარეთ თქვენს უბე-  
ღურ ძმას...

— რა გინდა? მოგეშორდი ახლაც!  
— მოთმინებიდან გამოსულმა ყელს მო-  
წოლილი ბოღმა ვედარ შევიკავე და  
დაეუწყარე.

— შენ... შენ... დაექი! — მხარზე  
აჯანკლებული ზელი დამაღო ზეიბარმა  
და ქვედა ყბა აამოძრავა, თითქოს რა-  
ღაცას ლექავსო, — ნუ ღრიალებ! გვინა-  
ხავს შენისთანა გმირბიცი. ვის აგდებ?  
შენია სადგური? მე სისხლი დავღვარე...  
კონტუზია... ხედავ? მოთრეულხარ... ბი-  
ლითხე... ოცი მანეთი მაკლია. მთელი  
ფული... შარვლის უკანა ჯიბეში მეღო.  
აი, ჯიბე... ჯიბგირმა სამართებლით ამა-  
ქრა. შენ გგონია...

ზეიბარი ერთბაშად მოსხლტა, სკა-  
მის სახელღრზე უღონოდ დაეშვა, მერე  
მე გადმომაწეა და იმ წამსვე ზვრინვა  
ამოუშვა.

საშა წამოვარდა. ზალთას ხე-  
ლი დასტაცა. დიდი ძეხნის შემდეგ ნა-  
შოენი დასაჯდომი ადგილი უბალისოდ

მივატოვეთ და კარისავენ წავლასლას-  
დით.

უპატრონოდ მიტოვებულ სკამზე ყა-  
ვარჯნიანი ზეიბარი გაშლართულოყო,  
პირი გაეღო და მთელი დარბაზის გასა-  
ვონად ზვრინავდა.

11

— გინდათ, ბარგი გაგიტანოთ?

— მე თვითონ გავიტან!

უნდობლობით ამრეხილ ტყავისპალ-  
ტოიან მგზავრს მაინც მოვეხმარეთ  
და ჭამრით გადაბმული ტომარა და ჩე-  
მოღანი მხარზე გადავკიდეთ.

— გმადლობთ!— კიდევ უფრო გულ-  
მოსულად წაიღუდლუნა მგზავრმა და  
პლატფორმაზე გასასვლელ გვირაბს კე-  
დელ-კედელ გაყავა.

— ასე არაფერი გამოვა, — იმედი  
გადაწურა საშამ და ნაღვლიანი მზერა  
მიმავალს გააყოლა.

— მაშ რა ექნათ? დეპეშას გავუგზა-  
ვნიდი მამაჩემს, ვინღა წუხს სირცხვილ-  
ნამუსს. მაგრამ მისამართი? ვის სახელ-  
ზე მოგვაწველოს ფული!

— გაგვეყიდა რამე?

— ჩექმას გაყიდი და ფეხშიშველი  
წახვალ, თუ მაზარას გაიმეტებ! რა  
გაქვს გასაყიდი!

— მაქვს...

— მართლა თუ ხუმრობ?

საშამ მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვე-  
ნახს ქიშკარში შეპარვას აპირებსო,  
განზე გადაგა, რათა ზედ არავინ წაგემ-  
ტერეოდა და სამხრეთული წაყრონქილ  
ხალთას თავი მოხსნა.

თვალეზად გადავიქეცი. მოუთმენლად  
ვუყურებდი, რას ამოიღებდა. ხალთაში  
ხელი კარგახანს აფათურა, იპოვნა სა-  
სურველი ნივთი, მაგრამ ამოღებით არ  
ამოუღია. მე შევიმჩვლედა და თვალი  
თვალში გამიყარა. ეტყობოდა, შავი  
დღისათვის შემონახულ ნივთს გასაყი-  
დად ვერ იმეტებდა და, თუმცა უკვე  
თქვა, ასე და ასე ვიზამო, უკანასკნელ  
წამს მაინც ყოყმანმა ხსლია და საბო-  
ლოოდ ვერ გადაწყვიტა, მართლა ამოე-  
ღო და ეჩვენებინა თუ არა.

ბოლოს, ხალთაში ღრმად ჩარეულნი  
ხელი მკვეთრად ამოსწია და ქაუთული  
შეხვეული რაღაც პატარა ნივთი ამოი-  
ღო. ნივთი ძალზე პაწაწინა და ნაზი ჩა-  
ნდა. გულისჭიბვე მიც კი ჩაიდებოდა.

„რამე ქსოვილია“? — ვფიქრობდი  
მე და ცნობისმოყვარეობას ძლივს ვუმ-  
კლავდებოდი.

სად იყიდა? როდის? რით? როგორ  
გაუძლო გულმა, რომ აქამდე არ გამიზ-  
ხილა?

საშა თვითონვე მიმხედა, რა ფიქრიც  
მწვალებდა და საქციელწამხდარი ალ-  
უღლულდა:

— ვაისენფელდში ვიყიდე. გახსოვს,  
ხილზე რომ ვაღმოვედით და ძველი ეკ-  
ლესიის წინ ცალფეხა იტალიელის მი-  
ლაზია იყო?

— რა არის მაინც, არ იტყვი?

— ზედაწელია, ნეილონის...

— ულიანას უყიდე?

— აბა, ვის... გავშალო, ნაზავ?

— შენი ნებაა.

საშამ ათრთოლებული ხელებით გა-  
ხსნა სახვევი ქაღალდი, კიდევ მიი-  
ხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვითვალ-  
თვალებო და უნახვისი ძაფით ნაქსო-  
ვი, სადაფის ძვირფასიღებებიანი და  
გულისპირამოქარგული, ფაფუკი თოვ-  
ლივით ქათქათა ზედაწელი ხელის-  
გულზე გადაიფინა, გადაიფინა და უნ-  
დობლად შემომბედა, მოწონს თუ არაო.

— ახლავე შეინახე! — თვალები და  
ვუბრაილე მე.

საშა შეკრა, საშიშროება ხომ არა-  
ფერი გვემუქრებო, საჩუქარი უბეში  
ჩაიტენა და მიიხედ-მოიხედა.

— ნუ გაყიდით მაგას, — მივხედი  
ზედმეტი მომივიდა და ახლა ლმობიე-  
რად ვუთხარი, — მაგის გაყიდვას ჯობს.  
მიწისქვეშ ჩახვიდე და სამ თვეს ნახს-  
რი თხარო.

— კარგი ფასი ღირს, სერგო. იცი,  
რამდენი მარკა მივეცი? თითქმის  
მიგვიყვანს სახლამდე. ცოტა დამა-  
ტება დაგვირდება. მეც ბევრი ვიყოყ-

მანე, მაგრამ რა ვქნა, თუ სხვა არაფერი გავგეჰინია?

— თუ გინდა, შიმშილით ვინოცებოდეთ, მაგისი საფასურით ნაყიდი პური შეიჭებება?

უხალისოდ შეახვია თავისი ხალღიანეები საჩუქარი და თავჩაღუნულმა ხალთაში ჩასდო. შესანახად როდი ემეტებოდა. უნდოდა, ერთხანს კვლავ ხელში სტეროდა და ცქერით დამტკბარიყო. ქვედა ბაგე ციებიანივით აუკანკალდა. შევატყე, წამოჭარხლებულ სახეს მიმალავდა...

შევბრუნდი მოსაცდელ დარბაზში და იქ კვლავ ბარგიან მგზავრებს ავეტუზე. მალე საშაც შემოვიდა. ის ახლა დამშვიდებული მომჩვენა. ბარგიანი მგზავრების შორიასლო ყურყურტი ნამდვილად ტყუილი გარჯა იყო. ერთნი გამტკავნებელი უნდობლობით გვაყურებდნენ და ხიბაკ-სუბაკს ეჭვიანი მოუთმენლობით დარაჯობდნენ, ხოლო მეორენი ბარგის გატანის დროს გაწვეულ დახმარებას თავაზიანობის გამოჩენად გვითვლიდნენ და ვაგონის კიბეზე ასულნი მხოლოდ გულითადაი ძაღლობით კმაყოფილდებოდნენ.

ახალ დაბინდებულზე შეუღლავშეზიანდა როზაროზა ზემდეგმა მიგვიბოიერით თუშ მეცხვარეს ჰგავდა. ვარაუდის შესამოწმებლად კინაღამ კითხვაც შევბედე, მაგრამ გვირბაში გავლისას უცებ იმნაირი, მხოლოდ პირწავარდნილი რუსისათვის დამახასიათებელი გამოთქმით დაილაპარაკა, რომ ვინაობის გამოძიება უკვე საჭირო აღარ იყო.

ზემდეგს ჭარისკაცების მთელი ოცეული ახლდა. ვაგზლის მოედანზე სამხედრო ავტობუსით მოვიდნენ და წამი რაა, წამითაც არ შეჩერებულან, მაშინვე გვირბას მიამტრეს. მატარებელზე თუ აგვიანდებოდათ.

სანამ ჭარისკაცები თავთავიანთ ბარგს დაბინავებდნენ და ზემდეგს მოაკითხავდნენ, ამ უკანასკნელს, აღბათ,

ავტობუსის ნადგომ ადგილზე მოცდა დასჭირდებოდა.

ბევრი ლოდინი არ დაგვიწერია თვალის დახამამებაში ზემდეგის ჩემოდნებთან გაგზნდით. სამი კაცი ბარგს თავისუფლად მოვერით.

საერთო ვაგონის კიბესთან ჭარისკაცების გრძელი რიგი იდგა.

ვალრე ბრჭყვიალაღილებიან მზარას ვაიხსნიდა და უბიჯან საბუთებს ამოიღებდა, ზემდეგმა მე და რიბაშაპკა თვალთ გვანიშნა, ბარგი ზემოთ აიტანეთო.

როგორ მეუცხოვა მატარებელი! ასე მეგონა, ვაგონის კიბეზე პირველად ავდიოული და, ამგვარად, დიდი ხნის აუხდენელი ნატერა — როგორმე მატარებელი შეგინიდანაც მენახა, ახლა მისრულდებოდა.

აბანოსავით გაღულუნებული ვიწრო ტალანი ჩემოდნებს აქეთ-იქით ზეთქებით გავიარეთ და ცარიელ ვაგონში შევედით. მოპირდაპირე მხრიდან ლურჯკიტელიანი გამყოლი მოდიოდა და ზედა თაროებზე შემოლაგებულ ლეიბებს ითვლიდა.

ჭარისკაცები ქუსლებდაჭედილი ჩექმების ბრახუნით ამოზავდნენ, ვაგონში შემოცვივდნენ და უკეთესი ადგილების დასასაჯუთრებლად კუბეებს მოედნენ. კიბისთავში ვაგონის მეორე გამყოლი იდგა და მგზავრებს ხამაძლა ითვლიდა.

ძირა თაროზე შემოდგმულ ჩემოდნებს საშა მუხლით მიაწვა და უმაღლე გასასვლელისაკენ გატრიალდა. მაგრამ იქამდე მიღწევა უკვე ძალღონის დიდ დაძაბვას მოითხოვდა. ტალანი მთლიანად ჭარისკაცებს დაეკავებინათ. უკანიდან ერთმანეთს აწებოდნენ და სანამ ყველა არ შემოვიდოდა, აქედან ფეხსაც ვერ მოიცვლიდი.

ოღნავი, სულ ოღნავი თავბრუსხვევა ვიგრძენი. ამ უსიამოვნო გრძობამ წამსვე გამიარა და ყურს უეცრად თვლებს ყრუ და თანაბარი პაკაპუკი მოსწვდა.

— დაიძრა! — ჩემზე აღრე რიბო-

შაკა მოეგო გონს და ეს ისე ხმამაღლა დაიყვირა, ვინც ახლო იდგა, ყველამ მოიხედა, ვინ იყო.

ჯარისკაცები მიხედნენ, რაც მოხდა და სიცილი დაგვყარეს, თან სასწრაფოდ მიიწ-მოიწიეს, არიქა გავატაროთო. უკვე გვიანი იყო. ვიდრე კარამლე მივიღოდი, ქარივით გამსუბუქებულმა მატარებელმა ისრები გადაკვეთა და თითქოს ფრთები გამოისხა.

ტალანში ზემდეგი შემოგვეყარა.

— თქვენ კიდევ აქ ხართ?

— დაერჩით... — ერთხმად აღმოგვხდა სიმწრის ოფლში გაწურულებს. — მომდევნო სადგურიში მაინც ჩავალთ. ვეღარ გამოვატანეთ ხალხში!

— მომდევნო სადგური სამი საათის სავალზეა!

თვალებგაფართოებულმა რიაბოშაკამ მე ჯადმოხებდა და მერე ისევ ზემდეგს მიაჩერდა:

— რა ქვია სადგურს?

— სერაპუხოვი. შენ ვინა ხარ? ქალია? — ზემდეგი მე მომიბრუნდა.

— ქალი იყოს თუნდაც! — ვიწყინე მე, — არ გინახავთ ქალი-ჯარისკაცი?

— როგორ არა... — ზემდეგი წამით დაიბნა, მაგრამ მალე ისევ დაიბრუნა ოდნავ გამკილავი უფროსული კილო, — შედით ვაგონში! აქ არავენ დაგინახოთ, თორემ ვირის აბანოში გიკრავენ თავს და მეც საყვედურს მერტყვიან. ისე, საერთოდ, სად მიდისხართ? — ზემდეგმა როხროხა ხმას დაუწია და ისევ მე შეითხა.

— იპ, ჩენი ამბის მოყოლა...

— სად მიდისხართ-მეთქი, გეკითხები! თუ მაწანწალები ხართ?

— მაწანწალები რად ვიქნებით? — მე შეურაცხყოფისაგან ავიღეწე და უფროსობის გამო თავგასულ ზემდეგს თვალი გაუღსწორე, — რა გვიავს მაწანწალებს?

— გეკითხები, სად მიდისხართ? რატომ არ ამბობ!

— ვინ თქვა, არ ვიტყვიო!

— თქვი!

— საქართველოში გვინდოდა წასვლა...

— რომელ ქალაქში?

— სამტრედია არის ერთი...

— მერე რამ შეგიშალათ ხელი? მატარებელი ნახევარი საათის წინ გავიდა. ვერ გაყევით?

— მატარებელი გუშინ ამ დროსაც გავიდა. ლიტერები დავკარგეთ.

— ლიტერები დავკარგეთო? — ზემდეგს სულ შეეცვალა სახე, — თქვენ იქნებ არც საბუთები გაგაჩნიათ.

მე და სამამ ჩიბუები მოვიქექეთ და უმაღლრი ზემდეგის გასამტყუნებლად საბუთები ამოვიღეთ. ზემდეგმა საბუთები დაათვალიერა, სინათლეზეც გახედა, ყალბი არ შემომამტყუონო, და ამჯერად უფრო ამხანაგურად და რბილად მითხრა:

— გერმანიიდან მოდიხართ? — სამსას, ეტყობოდა, ლაპარაკის ღირსად არ თვლიდა.

— დიახ! — გაბედულად ვუპასუხე.

— რომელ ნაწილში მსახურობდით?

— გვარდიის ოცდამეექვსე მოტომსროლელი ბრიგადა, მეშვიდე არმია. ბელორუსიის პირველი ფრონტი!

— ეს ბოლო საბუთი სად მიაღეთ?

— ვაისენზეში. ბერლინის გარეუბანია...

— ვიცი. მატარებელი როსტოვში მიდის. წამოხვალთ როსტოვამდე? აღით და მოთავსდით ზედა თაროზე. თუ ვინმემ რამე გკითხოთ, უთხარიოთ, ზემდეგის რაზმში ვართოქო. გასაკებია? რა უყავით ჩემი ჩემოდნები?

— მეორე კუბეში დავაწყეთ. ბიჭებმა ზემოთ შეაღაგეს.

ზემდეგმა გვერდი აგვიქცია და კუბეში შევიდა. მე და რიაბოშაკას ზეგრი როლი გვიყოყმანია. ოფლის წვეთებით შეწინწყლული ჭერის ქვეშ ორი შედარებით თავისუფალი თარო მოვებნეთ და, თუმცა სახუარავსა და თაროს შუა მხოლოდ წაქვეული ტომარა თუ მოთავსდებოდა, ჯერ ხალთები ავაგდეთ და მერე თავადაც ავიდევით.

ნაშუალამევეს კონსუქტორების ბრ-  
გადამ ჩამოიარა. კარები ჩაკეტეს და  
ბილეთების გასინჯვა ვეგონის ორივე  
ბოლოდან წამოიწყეს. ამ საქმეს ნახე-  
ვარ საათზე მეტი დასჭირდა. ზემდეგის  
საბუთებში ჩაწერილი ხალხი გადათვა-  
ლეს, ერთხანს კიდევ იბორიალეს, ხომ  
არავენ დაგვჩა ბილეთგაუსინჯავით და  
წავიდნენ.

დილაადრიან მატარებელი ტულაში  
თუ კურსკში გაჩერდა. ჭარისკაცები  
ხმურაობდნენ. სწორედ ჩვენი თაროს  
ქვეშ ქალაღლის თამაში გააჩაღეს. ვერ  
ოცდაერთი ითამაშეს და წითელ-წი-  
თელი სამთუმნიანები ატრიალეს, მე-  
რე, ეტყობა, ერთნი გაკოტრდნენ, მეო-  
რეთ მოგებული თანხის განიავება დაე-  
ნანათ და ფურთზე გადავიდნენ. წაგე-  
ბულს კიქა წყალს ასმევდნენ და სიცი-  
ლით იხოცებოდნენ.

გვერდი ვიცვალე და მეზობელ თა-  
როზე ცინდალივით მოკუნტულ საშას  
გაგებდე. ძილით მგონი არც მას ეძინა,  
მაგრამ გაყუჩებული იყო. ახლა ყველა-  
ფერს ძილი ჯობდა. ძილში ასობით კი-  
ლომეტრს ჩამოიტოვებდი და უკანას-  
კნელ სადგურამდე სულ ცოტა და ცო-  
ტა მანძილი დარჩებოდა. მოსკოვიდან  
საქართველომდე როსტოვი სწორედ  
შუაგზაა. აქედან გზის გაგრძელება გა-  
ცილებით უფრო იოლი საქმე იქნებოდა  
და ზემდეგის პატივისცემას, ალბათ,  
ვერასდროს ვერ გადავიხდიდით.

— საშა! — თავი ოდნავ წამოვწიე და  
თანამგზავრის გამომწერილ ნიდაყს  
ფრთხილად მოვეჩაჩგურე.

— რა იყო?

იმას მართლა არ სძინებოდა. წამსვე  
გამოჩებოურა, მხოლოდ სახე ისევ  
მკლავებში ჰქონდა ჩარგული.

— რომელი სადგურია, ტულა თუ  
კურსკი?

— ტულა წუხელ გავიარეთ — დაბე-  
ჯითებით მითხრა, — მატარებელი მთელ  
საათს იღვა.

— რაღაც დიდი სადგურია. — მე შე-  
ინე ჩემს აზრზე ვიდექი.

— გაიხედე! — რატომღაც უკმაყოფი-  
ლოდ მითხრა საშამ.

— ფანჯარაში არაფერი ჩანს. ნეტა  
ხარკოვი როდისღა იქნება?

— ალბათ, ამ საღამოს.

— იქაც დიდხანს გაჩერდება.

— წინასწარ რას გაიგებ. ზუსტი გან-  
რიგის მიხედვით ახლა რომელი მატა-  
რებელი დადის!

— ძირს რომ ჩავიდეთ, ვითომ საში-  
შია? დავიხუთე. წამოჯდომა მაინც შე-  
იძლებოდა.

— როგორმე უნდა მოვითმინოთ.

როსტოვს მხოლოდ მესამე დღეს,  
საღამოს შვიდის ნახევარზე მივადექით.

რეზონანსი წინდახედულ სიფრთხი-  
ლეს იჩენდა: ძირს მანამ არ ჩაველ, ვი-  
დრე გამყოლი სადგურს არ გამოაცხა-  
დებს და ბაქანთან მიახლოებისას მატა-  
რებელი სელას არ შეანელებსო.

ჭარისკაცები გამოეწყვენ. ბარგიც  
შოაგროვეს.

— ვინ წევს ზევით, გააღვიძეთ! —  
ვაგონიდან გასვლის წინ ზემდეგმა კუ-  
ბეები ჩამოიარა და ართხრობდა. ჩემი  
მაზარის კალთას თუ მოლანდა თვალი.

— მე ვარ... — თავი გაღმოვეყავი და  
თაროზე დაგებული მაზარის კალთა  
პასწარფოდ ავიციეე.

— აა, ვასენზევლები? მივედით, ბი-  
ძია, როსტოვში. ადქით ახლა! ფრო-  
ლან ზოლდატ რა იქნა, ჩავიდა უკვე?

— აგერ წევს...

— გააღვიძე! ვერ ხედავ, მატარებე-  
ლი გაჩერებას აპირებს?

— მენმის!..

— სამტრედიაში რომ ჩაზვალ, იყო-  
დე, დიდი ჭიხაიში მომიკითხე!

რაო? მკლავები ამიძვიძვიგდა და კი-  
ნალამ თაროდან გაღმოვეყარდი. ზემ-  
დეგმა ეს სიტყვები ისეთივე წმინდა  
ქართულით თქვა, როგორი წმინდა რუ-  
სულითაც იმ ღამეს ვინაობის გამოკი-  
თვის ყოველგვარი სურვილი გამი-  
ქარწყლა. პასუხისათვის აღარ დაუც-  
დია — ჩემოდნები დაითრია და, რო-

გორც კი დარწმუნდა, ყველა უკვე ჩასულიაო, ჩექმების მძიმე ბრაგანტუგით ტალანში გავიდა.

— ვინმე, ბიჭო, ქართველი არ ყოფილა ეს ღმერთადილო? — აღმოჩნდა მე და სახარულისაგან ცრემლები ისე მომეტდა, ცოტადა აკლდა, ხმამიღლა არ ავტირდი.

— რა მოგდის? — მკითხა შემფოთებულმა საშამ. ამ ბოლო დროს მას ყველაფერი ამინებდა და წონასწორობას ურღვევდა.

— ქართველი ყოფილა, დიდჯიბიაშელი, ვერ ხედავ?

— ვინ?

— ზემდეგი! შენი ჭირიმი, ბიჭო, რა დროს გამოგვიჩნდა! კიდევ იტყვი...

მაგრამ საშა არც ავს ამბობდა და არც კარგს: ის ჩემებრ გახარებული იყო გახარებული და ოდნავ შეშინებული. წინ გვედო როსტოვი — ნაომარი უცხო ქალაქი...

ვაგონის კიბეზე ყველაზე ბოლოს ჩავევით. ზემდეგს ორმწკრივად დაეყუენებინა თავისი რაზმი და ახალ ვანკარგულებას უცხადებდა. მადლობის სათქმელად მისვლა ახლა უზერბული იყო. დროც არ ითმენდა. შესაძლოა, ორასამი წუთის დაკარგვას აქ მთელი დღეღამით დარჩენა და უაზრო ყურყუტი გამოეწვია.

სადგურში შესასვლელი გზა პირველღიანდაგზე ჩამომდგარმა მატარებელმა გადავიცილობა. მატარებელი ახალი მოსული ჩანდა. ვაგონების გასწვრივ მოკუნტული ზეინკლები დაფანდალებდნენ, ვალაპლაპებულ თვლებს გრძელტარიან ჩაქუჩებს ურაკუნებდნენ და ღერძის საზეთებებს ამოწმებდნენ. სხვები ვაგონის სახურავზე ამობლებულიყვნენ, რეზინის მილის ბოლო აიტანათ და დაცარიელებულ ავზებს წყლით ავსებდნენ. წყალი თქრიალით მოედინებოდა სახურავზე, შემდეგ კედელს რამდენიმე ბრტყელ ნაკადად მოსდევდა და მარუთით მოზუნულ ქვიშაზე იღვრებოდა.

ტოლით გადახურული სახელდახე-

ლო ფარდულები, რომლებიც ახლანანგრევეზად ქცეული ვაგზლის მოვალეობას ასრულებდნენ, წამსვლელ და მომსვლელ, გამეღულ და გამჩმულელ ხალხს აევსო. ბაქანზე გროვა-გროვა ეყარა ბარგი — ტომრები, ყუთები, კონკეზში გამოკრული და ათასჯერ ორთქლის ჭავლში გატარებული ქვეშაგებელი. ფიცრული კედლის წინ დაკიდებული ელექტროსათის ქვეშ, სადაც უზარმაზარ ბრბოს მოეყარა თავი, ქედვა და ჭიკაც-ჭიკაევი იყო.

რა ზღემა მეთქი, მინდოდა მეკითხა, მაგრამ ვინ რას გიპასუხებდა. ახლო ვაგონისას დავინახე: აქ თურმე აღუღებული წყლის ონკანი იყო. წყალი წურწურით გაღმოდრიოდა. წინ მდგომები ძლივს ჩანდნენ ორთქლში. მიდგმული ჭურჭელი ნელა ივსებოდა. ათობით ადამიანი მოუთმენლად ადევნებდა თვალს მის ავსებას. ხალხი დრტვინვას იწყებდა, თუ ვისმე ხელში წყლის დიდ ჭურჭელს დაუნახავდა. ჭურჭლის პატარონი ვაფთრებით იცავდა თავის კონიერი უფლებას. აღუღებული წყლის ადგმა, დიდი ჭურჭლით იჭმებოდა თუ პატარა ჭურჭლით, მადლობა ღმერთს, ვერ არავის აუკრძალავს. თანაც ეს რასე დიდი ჭურჭელია...

სადგურის უკან, მოედანზე, ხის მალალო დარაბის გასწვრივ, რომლის უკანაც ნანგრევეზსშუა ამოზრდილი შერუჭული საკვამურები და ალაგ-ალაგ შიგნიდან სხვადასხვა ფერად შეღებილი კედლები მოჩანდა, გრძელი, მიხვეულ მოხვეული და კუდგამსხვილებული რიგი იდგა.

ხალხის მოულოდნელმა შემობახებამ სწორედ სალაროს წინ გავგაჩერა. აქ, ბოძიდან ბოძამდე, მსხვილი თოკი იყო გაბმული, როგორც მოკრივეთა რინგზე თოკს გადაღმა თითო-ორიოლა მგზავრს რიგრიგობით უშვებდნენ.

მე მხოლოდ კითხვა მინდა მეთქი. გავბედე და ავხსენი, აქ რისთვისაც მოვედი.

დაუსრულებელი ლოდინით და მოთ-

მინებით ვაღიზიანებული ხალხი აყაყანდა:

— ჩვენი საკითხავად ვღვაერთ! ვინა გგონიათ აქ უსაქმო! ხედავ, რამდენი ელოდება? თქვენ ვიზე უკეთესად მიგანიათ თავი!

— ტყუილა დავდევ? ჯერ გავიგო...  
 — გაგება ყველას გინდა!  
 — ხომ ხედავთ, სამხედროები ვართ.  
 — ჰმ, სამხედროები! როგორ გაგვიკვირდა! აი, თქვენი ამბანაგები სად დგანან. მიდით და ამოუდევით ზურგში!

მოვხედვით და მართლაც დავინახეთ მეორე რიგი, რომელიც მხოლოდ უმცროსი წოდების სამხედრო მოსამსახურეებისაგან შესდგებოდა. ეტყობოდა, ხალხი დიდი ხნის ნადგომი იყო. უმეტესობას ღამეც რიგში გაეთენებინა და, მიუხედავად გულის შემადონებელი ნესტიანი სიცივისა, ფეხზე ეძინა.

— კითხვა ხომ იცი? — თავი წამოჰყო აქამდე სმაგაკმენდილმა ჯმუხში სერჯანტმა, — შეხედე აგერ და წაიციოხე! დარბაზზე წითლად შეღებილი უჩარხოო დაფა იყო მიჭედებული. მე ის მხოლოდ ახლა დავინახე. დაფაზე რაღაც მიეჭაბნათ ცარკით. ბაჭოში მიმავალ მატარებელზე შეიღი მაგარი და სამიცი დასაწოლი ვაგონის ბილეთები უნდა გაეცათ. სოჭის მატარებელზე, რომელიც მოსკოვიდან გამოივლიდა, არცერთი ბილეთი არ გაიცივოდა. სულ ბოლოს ბეჭდური ასოებით გამოეყვანათ, საერთო რიგის გარეშე ბილეთების აღება მართო უმადლესი საბჭოს დეპუტატებს, გენერლებს, აღმირალებს, საბჭოთა კავშირის გმირებს და შესამე ჯგუფის ინვალიდებს ეკუთვნითო.

ყოველივე ამას სალარო იტყობინებოდა.

— მხოლოდ ეს ორი სალაროა? — კითხა რიბოშაპკამ სერჯანტს, იმას კი თავი ისე გამომწვევად ეჭირა, თითქოს მთელი ამ ხალხის მოსისხლე მტრები ეყოფილიყავით.

— კილევ რამდენი გინდა! — მის მაგიერად მოქალაქეთა რიგიდან გვიბასუ-

ხა ვილაც სათელიანმა ჩია კაცით. სადგურს მესამე სალარო არა აქვს!

— იქ რომ იყო? — საშამ ტელეფონდენის მოპირდაპირე მხარეს გაჩნდნა...

— ციდან ჩამოვარდი? ბევრი რამ იყო... დაინგრა! ეი, ფრთხილად მანდ, მაღალო, ურიგოდ არავინ გაუშვას!

ფეხი ავითრით და ისევე ბაქანზე გამოვბრუნდით. პირველი ლიანდაგი თავისუფალი იყო. საიდანღაც მოსულ გრძელ მატარებელს, წელან რომ გზა გადაგვიღობა, უკვე გაეცლო...

— ნეტა სადმე პატარა სადგურში ჩამოვმტარიყავით, — თავისთვის თქვა უსიამოვნო ფიქრებში გახლართულმა საშამ.

— ეგ რას გიშველიდა! — მიფუგე მე და გზას გაცხედე.

— ვითომ რატომ არ გვიშველიდა?

— პატარა სადგურებზე შორი მიმოსვლის არცერთი მატარებელი არ ჩერდება.

— ეგეც მართალია, — საშა უხალი-სოდ დამეთანხმა.

— როსტოვში ნამყოფი ხარ? — კითხე მცირე ღუმულის შემდეგ, — რა იცი, სად ყიდდნენ ადრე ბილეთებს?

— ერთხელ ვიყავი, პატარაობისას. ბიძაშვილმა წამომიყვანა. აქ, ქალაქის კავშირგაბმულობაში მუშაობდა.

— როსტოვში? აქამდე ვერ თქვი მეტრე?

— ახლა გამახსენდა.

— წავიდა თუ აქ არის ისევე?

— ომის პირველსავე თვეებში დაიკარგნენ, ცოლიც და ქმარიც. თვითონ, მგონი; ლენინგრადის ალყაში მოხვდა და იქ დაიღუპა. ცოლი გერმანიაში წაიყვანეს. ლამაზი ქალი იყო. ვინ გაახარებდა!

— შეიძლება, დარჩათ ვინმე!

— ვინ დარჩებოდათ, შეილი იმათ არ ყავდათ და ძირი.

— სახლი გახსოვს?

— თუ არ ვცდები, აქვე ცხოვრობდნენ, რკინიგზის გადაღობა. მაშინ აქ ხიდი იყო. პლატფორმების თავზე გადადიოდა. პატარა ბაღია ქვეყნდათ და

ალაყაფის ქიშკარი, წითლად შეღებო-  
ლი...

— მივიდეთ! გული მიგრძნობს, ვი-  
ლაცა დაგვხვდება. იქნებ მოგვეხმაროს  
და როგორმე გავვიშვას აქედან! საიდან  
მოვუაროთ?

— ლიანდაგებზე თუ გადავალთ. ხიდი  
ხომ ხედავ, დანგრეულია. შემოდგომა  
იყო, რომ ჩამოვვლით. ქანჭური ჩამო-  
ვიტანეთ.

— ქანჭური ვიცი. ჩვენშიაც უამრა-  
ვია.

— ტკბილია, ოდნავ მომკვავო, რძალს  
გაეხარდა. თურმე ძალიან ყვარებია  
ქანჭური...

— ორსულად თუ იყო.

— შეიძლება...

თავისუფალი პირველი ლიანდაგი  
მკვიტრებლად გადავირბინეთ. მეორე და  
მესამე ლიანდაგები დაკავებული იყო.  
მეორეზე მინერალური წყლებიდან წუ-  
თის წინ მოსული თუ მინერალურ  
წყლებში მიმავალი სამგზავრო მატარე-  
ბელი იდგა. მესამეზე ნავთის ცისტერ-  
ნებისაგან შემდგარი ეშელონი ჩამო-  
ეყენებინათ. ის იყო, ქვეშ გავძვერით,  
ეშელონი ბუფერების ჯახუნით, ცის-  
ტერნების ყრუ ჯუგუნითა და ბრიგინ-  
ბრიგინით დაიძრა.

— ხედავ, საშა?

— რას?

— ეს მატარებელი ბაქოში მიდის!

— მერე ჩვენ რა!

— ბაქოდან თბილისამდე თერამეტი  
საათის საეალია. თითქმის შინ ვიქნე-  
ბით...

— რას ამბობ, ბიჭო, მაგაზე რომ ვი-  
ნმემ დაგვიჭიროს, ორი წლის ციხეს ვაჯ-  
მარებენ? ციხე მინდა ახლა მე? ომი კი  
აღარ არის, ცხვირიდან ძმარს გადენენ!

— მართო ვიყო...

— ნუ სულელობ, ერთი თუ გინდა,  
ხმაც არ გააცეს არავინ. ქარი გაგბე-  
რავს. მე შენ გეტყვი, სადმე მოეფა-  
რები. ღამ-ღამობით უღმერთოდ ყი-  
ნავს...

— წუხელ გაიგონე?

— რა?

— ტულაში თუ კურსკში ვიდექათ.  
ვილაცა ფანჯარას მოებლაუჭა გარედან.  
ხომ იცი, ფანჯრები რამდენად და-  
გული გადმომიტრიალდა, ვაითუ ჯიბ-  
ვირია მეთქი. კინალამ გაგაღვიძე.

— რის გეშინოდა, ვაგონი ჯარისკა-  
ციებით იყო სავსე.

— ყველას ეძინა. ჯერ ებლაუჭა, ებ-  
ლაუჭა ფანჯარას, მერე ფრთხილად, ძა-  
ლიან ფრთხილად დააკაუნა. მაშინ მივ-  
ხვდი: ბავშვი იყო.

— რა უნდოდა?

— პურს ითხოვდა. გარეთ ქარი იყო.  
იქაურობას გლეჯდა- პურიო... ცოტა პუ-  
რიო... კიდეცა რომ გვეჭონოდა, მიცე-  
მას ვერ მოვასწრებდი. მატარებელი  
დაიძრა. ბავშვს, ალბათ, შეეშინდა და  
ძირს ჩახტა. არ გაგიგია?

— შე მეძინა.

— ყველას ეძინა... კაცებს სულ გძი-  
ნათ.

— ახლა საით?

— იარე, იარე პირდაპირ!

### 13.

სამამ ყურებუიანი ქლდი ორივე ხე-  
ლით მოიხადა. ერთხანს გაშტერებული  
იდგა. ქარამ კეფაზე აკრფილი ჩაღო-  
ფერი თმა გაუწეწა და სახეზე მიაყარა.  
ის მაინც გაუნძრევლად იდგა და, თით-  
ქოს აღთქმა დაუდევს, თვალს არ დავი-  
ფახურებო, წინ იყურებოდა.

ნანგრევები, ვინ მოსთვლის, რამდენ-  
ი გვენახა, მაგრამ ეს, რასაც ახლა ვხე-  
დავდით, ნამეტნავად გულსაკლავი სა-  
ყურებელი იყო.

არამცთუ ამ ადგილზე, სადაც ოდეს-  
ლაც წითლად შეღებოილი ალაყაფის ქიშ-  
კარი და ქიშკრის გადაღმა სამთვლიანი  
აგურის სახლი მდგარა, ახლომანლო.  
სადამდეც კი თვალს მიაწვდენდი, სი-  
ცოცხლის ნიშანწყალიც არაფერს ემი-  
ნეოდა.

ქალაქის ამ კუთხეს თავს თითქოს  
ყოვლის გამჩანაგებელი გრიგალი დას-  
ტყდომოდა და თვალგასახარად აყვა-  
ვებული ბაღია-ბაღები, სახლები, სკვე-

რები და მალღობებზე უხსოვარ დროს აშენებული თეთრი ეკლესიები მიწასთან გაესწორებინა. მხოლოდ ალაგ-ალაგ აყუდებულყენენ მეორეთმოსვლის შემდეგ გადაარჩენილი შიშველი კედლები და საკვამურები. თვით სახლები ხანძარს შთაენთქა და მარტო ეს ნატყვიარი, გარუჯული და ჰვარტლით ჩამოღვენილი კედლები თუ შეგახსენებდნენ, რა იყო აქ და შემდეგ რა მოხდა...

— ცნობ რასმე? — ზმადებლა ვკითხვ მთლად მოგონებაში გადასულ საშას და თანაგრძნობის ნიშნად მხარზე ხელი მოვხვიე.

— სადაღაც აქ იყო...

— მივიდეთ ახლო?

— რაღა გვიჩიდა... ახლა, რომ ვუკვირდები, ჩვენ ზედმეტად გულმოდრინად ხალხი ვართ, სერგო.

— ვინ ჩვენ?

— ვისაც გერმანიამ ომი აუტეხა. გერმანია იმის ღირსი იყო, მიწასთან გაგვესწორებინა. უნდა აგვეკლო, გადაგვეწვა და სულ სისხლით მოგვეწყო, როგორც აქაურობა მოიწყო სისხლით... შენ ახლა მეტყვი, ხალხმა რა დაგიშავაო. გაზეპირებული ფრაზებია ის ხალხი პიტლერს უდგა ზურგს უკან. უიმხალხოდ პიტლერი ვერაფერს გახდებოდა. ახლა „ხალხი“ მამა აბრამის ბატკანია. დამარცხდა და იმიტომ აბა, ღმერთი გამწყარალიყო და გაემარჯვა...

— არ ვიცი, საშა. მე მგონია, მაგის ფიქრიც არ შეიძლება.

— აბა, უყურე ამას! — რიბოშაკამ თვალი დანგრეულ ქალაქს მოავლო და ფეხი მგონი მწვანედ შენაღები გაჯის ნატყეს გაჰკრა, — რას გვერჩოდამ სახლში ვუბტებოდით? ასე როგორ უნდა გაიმეტო ადამიანი!

— ამ საგანზე კამათი, საშა, ბეწვის ხიდზე სიარულია...

რიბოშაკამ ხმა აღარ გამცა, ქუდი დაიხურა და ყორის ნანგრევს გვერდი აუარა, რათა აგურისა და ბათქაშის ნაფშვენებს რკინიგზის პირამდე ჩავყოლოდით. მას შეეძლო ეთქვა, რომ არ

ემინოდა ბეწვის ხიდზე სიარულია, რადგან ცხოვრებას უფრო გაუვალად გილეშვიცი უტარებია, შეეძლოთ ეთქვა და ეს მართალიც იქნებოდა, მაგრამ საფასი ჰქონდა ლიტონ სიტყვას! — და მანაც დუმილი არჩია.

იმისთვის, ვინც აქაურობას პირველად ხედავდა, სადგური აქედან ძნელი მისაქნები იყო. რკინიგზის გასწვრივ გამწკრივებული დიდი და მცირე ქოხმხემისაგან ის თითქმის არაფრით გამოირჩეოდა, ხოლო მატარებლები, სამგზავრო თუ სატვირთო, ყველგან იდგა, საითაც კი გაიხედავდი.

რიბოშაკას თავჩაღუნული მივიღვედი და თვალწინ კვლავ უმოწყალოდ დანგრეული ქალაქი შიტირიალებდა. თვეში მდგმური ლამაზი ქალი. ჰანჭური. მყუდრო საფოსტო განყოფილება მივარდნილ ქუჩის კუთხეში. ახლა არაფერი აღარ იყო არც ვენბათაღელვა, არც სურვილები, არც მისწრაფებები. ყოველივე ნანგრევების ქვეშ მოჰყვა...

მესამე ლიანდაგზე ამჯერად სატვირთო მატარებელი დაგვიხვდა. მადაროელებივით გამურული ზეინკლები და გზის ოსტატები მატარებელს ორივე მხრიდან უტრიალებდნენ და წასასვლელად ამზადებდნენ. იქვე, ქეჩკეშებმული სასტვენით შეიარაღებული ჰადარა ობერკონდუქტორი იდგა და სამზადისს თვალყურს ადევნებდა.

— სად მიდის? — მიუთახლოვდი და მორიდებულად ვკითხე.

— ვიტებსკი! — ობერმა არც კი შემომხედა, ფეხი ვაგონის კიბეზე შედგა და სასტვენს სული ჩაჰკრა.

საშამ პასუხი ვერ გაიგონა. სახელო დაჰქაჩა:

— სადაო?

— ვიტებსკში მიდის. ხარკოვთან მარცხნივ გადაუხვევს. ბიჭებმა სწორედ ის გზა გამოიარეს. ჭკუა გვენხმარა და თავსავე იმით ამოოცყოლოდით, რა ხნის მისულები ვიქნებოდით ახლა შინ!

— ეგ მეც ვიცი.

— ავიტებს... მაინც რა ეშმაკად ავიტებს! თხა რომ დასაკლავად ატროვ-

ღება... მე თუ მოსკოვს არ ვნახავდი, ისიც საჩქაროდ და გადაუღებლად, ეგ არის, დაიქცეოდა ქვეყანა!

— ბატონო ველახაფერი ვითხარი, სერგო...

— თორემ წინასწარ იცოდი, რაც მოხდებოდა!

— რატომ მიწყრები, მე მხოლოდ კვერს უნდა ვიკრავდე?

— არ მიყვარს, როდესაც ადამიანი იმაზე მეტს კისრულობს, ვიდრე შეუძლია.

— იქნებ მეც ბევრი რამ არ მიყვარს, არ მესიამოვნება, მაგრამ ვითმენ.

— ნუ მოითმენ, ვინ გეხვეწება!

— სხვანაირად ცხოვრება არ მოხერხდება, სერგო... — საშას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მისი ყურადღება უცებ სხვა რამემ მიიქცია და სათქმელიც უმაღლეს შესცვალა: — ეს რა მატარებელი ჩამოდგა პირველ ლიანდაგზე?

ვაგზლის ფარდელისაკენ გავიხედე. მატარებელი თითქმის უხმაუროდ შემოსრიალდა და ბაქნის წინ მუჩუქების ღრქილით გაჩერდა. ვაგონები ყველა ერთი ფერისა ება. მოყავისფრო-თეთუნისფერი. კიბეები ცარიელი მოჰყვდა არც სახურავზე იყო ვინმე.

„ექსპრესი თუა!“ — გავიფიქრე და თვალი ფანჯრის ქვემოთ მიმაგრებულ თეთრ ფირფიტას დავადგი.

„მოსკოვი — თბილისი!“

უთუოდ წავებარბაცდებოდი და რაღაც დამემართებოდა, მოუთმენლობისაგან სუნთქვაშეგუებებულ საშას რომ ხელი არ წაეტანებინა და ლიანდაგზე დაყინული მატარებლის შემოსასვლელად წყალსატუმში კომისიისაკენ არ წავეყვანე.

ვაგონები ორივე მხრიდან ჩაკეტილი იყო. ფარდებჩამოფარებული ფართო ფანჯრების უკან, კუბეებში, მოჩანდა თართებზე გაშლილი ქათქათა ლივინები. აქა-იქ, ფანჯრებთან მოდგმულ მაგიდებზე, ვარდისფერი ან მწვანე შუქფარით თავდახურული ელექტროლამ-

ფები ენთო. ვის ეკავა კუბე? ვინ იყო ასე ბედნიერი?

— ნეტა მალე უნდა დაიქრას? — სულწასულად ვიკითხე მე, ვინმეც კი ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, — რას ჩაკეტილან, ვერ ვააღებენ კარს?

— დაეარახუნოთ, იქნება გააღოს ვინმემ!

— გააღოს, თუ გინდა, ბილეთი არ მიაწოდო ერთბაშად! რაღა ეს და რაღა სასტუმრო „მეტროპოლი“!

— ამის ბილეთი გვარიანი თანხა ეღირება.

— მა როგორ გგონია, ყველა ვაგონი რბილია!

— ერთი მაგამი ჩაგვსვა ახლა! — ინატრა საშამ და უცებ როგორღაც დაბნეულად წამოიძახა: — მიდის! მიდის, სერგო...

— არა, ვერ არ წავა. ორთქლმავალი მოაბეს. აქ ბრიგადა იცვლება. მოიცა, მოიცა! მგონია, მართლა მიდის! მიდის მართლა?

— მიდის. ვერ უყურებ, როგორ მოუშატა?

წუთით რიბოშაპკას გაბრწყინებულ სახეს შევხედე და მის ფართოდ გახედილ თვალებში დაძრული მატარებელი დავინახე. ნეტა ასე რა უხაროდა! მატარებელი თანდათან უმატებდა სიჩქარეს. ფანჯარა ფანჯარას სცვლიდა. კარი — კარს, ვაგონი — ვაგონს.

— რანაირად მოკურცხლა! — წავილულულდე და მუხლებში ხელახლა ვიგრძენი სისუსტე. — აჰ, შენ გენაცვალე!

კულის ვაგონმა საოცარი სიმსუბუქით გაირბინა, ბაქანი განათდა და ერთბაშად სამართისებრი სიჩქმე ჩამოვარდა. მხოლოდ ყურებში გვედგა წამის წინ თვლების ქახაჭხითა და ბუფერების ყრუ დგაფუნით გავლილი მატარებლის ხმაური.

— როდემდე ვიდგით ასე? — მკითხა ერთბაშად დანადვლიანებულმა საშამ და, თითქოს რაღაც დაკარგვიაო, ძირს დაიხედა, — ხელი არ უნდა გავანძ-

რიოთ? მივდგეთ-მოვდგეთ. ვიღონოთ რაღაცა. სულ ასე უქმად დგომა შეიძლება?

— მე გითხარი წელან და არ დამიჭერე.

— რა მითხარი?

— მოიგონე და გაგახსენდებია.

— ნავთის ცისტერნებს გავყვეთ ბაქოში? ეგ ზღაპარია, სერგო. ვის გაუგონია ამისთანა სიცივეში ნავთის ცისტერნებით მგზავრობა. ზაფხული მაინც იყო.

— თუ არ გინდა, დაჭექი და უცაღე. სანამ ზღვაზე ამინდი გამოვიდოდეს. ხეალ დათბება? სულ ერთია, ხეალაც ის იქნება, რაც დღეს არის. შეიძლება უარესიც იქნეს.

— მივიღეთ კომენდანტთან.

— კომენდანტთან! ჩვენს მეტი არავინ ყავს შემაწუხებელი!

— ვეტყვიო. აღამიანია. გაგვიგებს.

— საკუთარ ფულს მოგცემს? სადა აქვს! უფულობით და გაჭირვებით ახლა ვერავის გააკვირვებ.

— შენ, როგორც გატყობ, უკვე გადაგიწყვეტია რაღაცა.

— ზღვას გადავტარე და წვეთ წყალს თავს ვერ დავახრჩობინებ.

— თქვი, რა გადაწყვიტე?

— დამის ათი საათის შემდეგ, გინდ ასე იფიქრე და გინდ ისე, აქ გამჩერებელი არა ვარ!

— რის იმედით ამბობ მაგას?

— იმედით... დავჯდები და წავალ!

— ვინ დავსვამს მერე!

— კიბეს დავეცილები. თუ არა და, სახურავზე გავათენებ ღამეს. ქვეყანა ასე მგზავრობს. დავიჭერო, მაინც დამაინც მე მომივა რამე?

— დავვიტერენ, სერგო.

— დავვიტერენ? მთელ ქვეყანას დავიტერენ?

— მთელი ქვეყანა არა ვართ მე და შენ.

— თუ არა ვართ, აქ დარჩი. მე მივდივარ!

— როგორც გინებოს...

— აბა, რა გააჭირე საქმე! — სატირ-

ლად გულამომჯდარი ქალის სიბრძნეულმა მძლია და ნათქვამის შერაცხება ცაღე, — დავიყინია, დავეჭვირენ, და გვიტერენო. რის გულისთვის უღეს და გვიტერონ? მოვპარეთ ვისმე რამე თუ? ბანკი გავტეხეთ? ჯაშუშები ვართ? ვინ უნდა დამიჭიროს ჩემს ქვეყანაში! დამიჭერს და...

— კარგი, თანახმა ვარ, მაგრამ როდის?

— პირველსავე შემთხვევას ვიხელთებთ და ჰაიდა!

— უსათუოდ სატვირთო მატარებლით?

— რატომ უსათუოდ! სულ ერთია. რომელსაც უფრო მოსახერხებლად მივიჩნევთ, იმით წავიდეთ.

— გაფსულიყავით მაინც სალაროსთან?

— იქ რა დამჩენია!

— გვენახა. რა იცი. იქნება...

— შენ წაღი. მე აქ დავჩეხები.

— ორივე წავიდეთ.

საშას ხმა უთროთდა. მან სწორედ ამ ხმით გამცა პასუხი, როცა ერთხელ ატირებულს მივუსწარი. ახლაც ძლივს იკავებდა მოძალბებულ ცრემლებს. ნიკაბი ციებიაჩივით უკანკალებდა და სახეს მარიდებდა.

— კარგი ახლა! — ფარდღლის კარში შესვლისას გზა გადავტყუერი და მეგობრულად შეთამამებულმა, როგორც ასეთულში გჩვენეოდა, მხარი გავკარი, — ხუმრობა ვერ უნდა გაიგო?

თანაგრძნობის გამოცხადებამ საშას ვული კიდევ უფრო აუჩუყა და წინ გამეტებულად გაიწია.

— შევარცხვინე შენისთანა ამხანაგი! — ეიცოდი, წელან ზელმეტი მომივიდა და აღარ მოვეშივე მე, — ვერ უნდა გაიგო ხუმრობა? მე ვისიმე დამტოვებელი და აქედან მართო წამსვლელი ვარ? ამდენს ვერ უნდა მიხვდებ? ვაი, შე... საშამ პასუხი არ გამცა. მას სუნთქვა შეკრული ჰქონდა და ხალხის მორევს გაჭირვებით მიარღვეოდა.

რიგი უძრავად იდგა იმავე აღვილზე. ხალხი იგივე იყო. ერთი კაციც არ მო-

პკლებოდა. ნუთუ ბილეთები სულ არ გაეცათ?

რიაბოშაპკა განცხადებების დაფას მი-  
აჩერდა. იქ უკვე წაშალათ ძველი ცნო-  
ბა. ცარკით დაღდაბნილი დაფა ახალი  
მრუდე მწკარებით იყო აჭრელებული.  
კრასნოდარის მატარებელზე ბილეთები  
არ იყიდებოდა. ყველა ადგილი დაკავე-  
ბულიყო. დანიშნული იყო დამატებითი  
მატარებელი დნებროპეტროვსკის მიმა-  
რთულებით. ბილეთების გაყიდვის  
დრო ცალკე უნდა გამოეცხადებინათ.

ბოლო წარწერამ უეცრად გამომა-  
ცოცხლა.

— საშა! — წაგჩურჩულე ამხანაგს, —  
ხედავ ამას? ეს ჩვენი მატარებელი!

— რომელი?

— აი, ეს ნომერი ცამეტი!

— ვინ ვითბრა?

— ცამეტი ნომერი ხომ თბილისში  
მიდის? — უცებ თავდაც ეპვი შეშე-  
პარა, მართლა ასე იყო თუ არა და ნათ-  
ქვამის შესამოწმებლად ხალხს მივუბ-  
რუნდი.

— ტყუილა ვინახათ! — თვლების  
მტრული ბრალით გვითბრა ჯმუხმა  
სერჯანტმა, — მაგ ბილეთებს წუხან-  
დელს აქეთ უცდის ხალხი. ორი ბავშ-  
ვიან ქალებს მისცეს. ორი მოქალაქეებ-  
მა წაიღეს, სამი — ჩვენ. სამი დაჯავშ-  
ნულია.

სათვლიანმა ჩია კაცმა რაღაცის და-  
მატება დააპირა, მაგრამ მე ამ დროს  
რიაბოშაპკას ეანიშნე, შიგნით შევიდეთ  
მეთქი და თოკს ხელი მოვავლე. სულ  
გაღამავიწყდა, რომ აქ სხვებიც იყვნენ  
და შიგნით შესვლას არანაკლები მოუთ-  
მენლობით ელოდნენ.

ვიდრე წესრიგის დასაცავად თოკ-  
თან დაყენებული სერჯანტი გონს მო-  
ვიღოდა, სათვლიანი ჩია კაცი რიგში  
მდგომთ საოცარი სიმკვირცხლით გა-  
მოეყო, წინ გადაგვეღობა და თოკის  
აქეთა ბოლოში ატუხოლ ვიდაც ახმასს  
დაუფარავი ზიზღით შეუტია:

— მაღალო, ეგ არის, ურიგოდ არა-  
ვის შევეუშვებო?

ჯავრისაგან გულგასიებულმა საშამ

კორფლიანი ხელი ჩაიქნია, აღმათ, ვაას-  
სენდა, რომ უფულოდ ბილეთს არავინ  
მისცემდა.

— წავიდეთ აქედან! რაც მოსავალა,  
მოგვივიდეს! — მტკიცედ წარმოთქვა მან  
და უსაბართლობის დასათრგუთავად  
ამხედრებულ ლიანგს ზურგი უჩვენა.

14

თბილისის მატარებელმა გვიან და-  
მით გამოიარა. მატარებლის ჩამოდგო-  
მის წინ ვაგზლის მილიციამ ხალხი უკან  
დასწია და ვაგონებისაკენ მხოლოდ ერ-  
თი გასასვლელი დასტოვა, სადაც ბაქ-  
ნის კონტროლიორები დადგნენ და იმ  
ათიოდე ბილეთის გასინჯვა დაიწყე-  
ნ, რომლებიც დღის განმავლობაში სალა-  
როს გავეცა. მატარებელი მოულოდნე-  
ლად ჩამოდგა და ხალხმაც იხუვლა —  
ვაგონებს მიაწყდა. ვაგზლის მილიცია  
მოშხადებული დაუხვდა ამ ამბავს. მა-  
შინვე სტვენა ატეხეს და კიბეებს აქეთ-  
იქით დაუდგნენ, თან ყვიროდნენ:

— გაატარეთ, მოქალაქენო, ჩამომს-  
ვლელები გაატარეთ!

მაგრამ მათ ძახილს ყურს ვინ უგ-  
დებდა! ყველა ვაგონებისაკენ მიიწე-  
და და კიბის სახელურისათვის ხელის  
ჩაღვლებას ლამობდა.

გასაჭირის წუთებში რიაბოშაპკა  
წარმოუდგენლად მოხერხებული და შე-  
უპოვარი გამოდგა. უცებ მიხვდა, წინა  
ბაქნიდან მატარებელამდე მიღწევა თით-  
ქმის უიმედო საქმეაო და პირველი ვა-  
გონისაკენ გაიქცა. გზადაგზა ხალხს  
ეჭახებოდა, ერთი-ორი უცაბედად კინა-  
ლამ წააქცია, მაგრამ წინ ისე დაჟინე-  
ბულად მიიწედა, ეს არც კი შეუტყ-  
ვია.

სათოსტო ვაგონს — ლოკომოტივი  
მოხსნილი იყო — წინ გადაეღრბინეთ  
და პირველსა და მეორე ლიანდაგს შუა  
კვლავ უკან გამოებრუნდით.

საიდანაც მოსული და სადღაც მი-  
მავალი მატარებელი მეორე ლიანდაგ-  
ზეც იღვია. ჩაბნელებულ ვიწრო ტალან-  
ში ფეხაკრეფით მივაბიჯებდით, მახუ-

თის ვუბნებს ფეხს ვარიღებდით, ხოლო თვალი მატარებლებზე გვეჭირა — რომელიმე არ დაძრულიყო და მოულოდნელად წამოგორებულ ვაჟაკის სიმაღლე თვლებს ქვეშ არ შევეთრით.

— აქ ვიღაცები! — წამსურჩულა საშამ, როცა სიბნელეს თვალი ასეთუნი შევაჩვიეთ და მეოთხე თუ მეხუთე ვაგონსაც ჩავცილდით — ხელავ?

— სად? — ვკითხე მე და მხედველობა დავძაბე.

— ვერ უყურებ? კიბეებზე სიცივანაგან მოკუხული ადამიანები ისხდნენ და გათოშილი სახსრების გასათბობად ერთმანეთს ეხუტებოდნენ. ყველა გულმოღვინედ ცდილობდა ჩემად ყოფილიყო, თავისი აქ ყოფნა არაფრით გაემკლავებინა და საშომ დიდ საღებურს, საღაც ადგილობრივი და რკინიგზის ხელისუფალნი მატარებლის მთლიან შემოდგენლობას გულდასმით ამოწმებდნენ, როგორმე გასცდნოდა.

— სადღა მივდივართ, აქ ავიდეთ, — შევთავაზე საშამს.

— ხალხი ბევრია. სად დადგები!

— ხალხი სხვაგანაც ბევრია. მოვთავსდებით როგორმე.

— სუ! — ჩამოვძვახა ვიღაცამ კიბიდან, — გააბეს მასლაათი! ამოსვლა გინდათ?

— ჰო, — მორჩილად უპასუხა საშამ.

— ამოდით მერე!

თავბატივი აღარ გავციდვია. საშამს ხელი წავაშველე და კიბის პირველ საფეხურზე ავატყუნე.

— არის კიდეც ადგილი? — თან ვკითხე.

— ამოდი, ამოდი, არის! — მიპასუხა წელანდელმა ხმამ, რომელიც ახალგაზრდა კაცისა უნდა ყოფილიყო.

ის მართლაც ახალგაზრდა აღმოჩნდა. კიბეზე ლოკომოტივის მხარეს იდგა და პირქარისაგან ვიღაცას იფარავდა.

საზე ახლოს მივუტანე.

კიბის შუა საფეხურზე თავშალმოხვე-

ული ქალიშვილი იჯდა და მუხლებს ქაბუკის ბარძაყებში მალავდა. ქალიშვილმა მალულად ამოგუხედა, მერე სახე მიიბრუნა და საქმაოდ მოურიდებლად თმაქოჩორა ვაჟის ალერსი განაგრძო.

ბიჭი გაშმაგებული კოცნიდა გოგოს. სხეულის მთელი სიმძიმით ეკვროდა და გასაკვირი იყო, თავდავიწყებულები კიბიდან როგორ არ ვარდებოდნენ.

მატარებელი შეუშინეულად დაიძრა. სიცივემ ხერეული მოძებნა მაზარის საყელოში. წონასწორობის შესანარჩუნებლად სახელურს მკლავი გაუფყარე და მაზარის საყელო ავიწიე. მარჯვნივ სისხლისფრად გაბრუნდვიალებულმა ფარანმა ჩავვარა და ამით მივხვდი, რომ როსტოვიდან ნამდვილად გავდიოდით.

ნელ-ნელა მოვტრიალდი. აბუბურნებულ ქარს ზურგი მივეუშვირე. საშამს უფრო ადრე მოსვლოდა ეს გონიერული აზრი. პირი ყრუდ ჩაგმანულ კარისაკენ მიექცია, რათა მოალერსე ქალვაჟისათვის თვალი მოერიდებინა და საფეხურზე მოხერხებულად ეწყობოდა.

ცნობისმოყვარეობამ თუ რაღაც სხვა ძალამ უკან მომანედა. ბიჭი და გოგო ტუჩებით მიწებებოდნენ ერთმანეთს. მათთვის არც ეს ძვალ-რბილის გამოთმავი სიცივე ნიშნავდა რამეს, არც ღამის წყვილიაღში მიშქროლავი მატარებელი და არც ეს ამოდენა ხალხი, ორივე მოსახლერე ვაგონის კიბეებზე რომ ვიდექით...

გოგო ბატონკში ჩავიდა და ფეხარეული უკანმოუხედავად გაჰყვა ლიანდას. ქარი თავსაფარს აგლეჯდა და ხილბანდით გაქრულ თმას უწეწავდა. კიბეზე კენტად დარჩენილი ბიჭი ერთხანს ისევ გულმოღვინილი იყო. მერე, ეტყობა, სიცივემ თავი იმასაც შეახსენა და გული შეიბნია.

— რატომ გაუშვი? — ვკითხე მე.

ბიჭმა ხელი ჩაიქნია, პასუხი არ გამცა და ტანის ერთი მოქნევით კიბის სულზედა საფეხურზე გაჩნდა. იქ ფრთხილად აუარა გვერდი მწყეროვით განაბულ საშამს, ხელი საღდაც ზევით შეასროლა

და თვალს მიეფარა. რამდენიმე წუთს ველოდი. მეგონა, ბიჭი ისევ გამოჩნდებოდა, ადგილსაც ვუნახავდი, მაგრამ ის აღარ დაბრუნებულა.

თავშლიანი გოგო, მკრთალად განათებულ ბაქანზე მობორილად ხალხს შეეჩია, ან სადღაც უკან დარჩა და, თუმცა მისი სახისათვის თვალის შევლება რატომღაც ძალიან შინდოდა, ვეღარ დავინახე.

— მოდი, ჩვენც ავიდეთ! — უკახიდან საშას ათრთოლებული ხმა მომესმა.

— სად მეპატიები?

— სახურავზე.

შხარმარჯენი ვილაც ხანშიშესული კაცი აბუზღუნდა:

— ახლა საშიშია. გაჩერდება და მეჩერე.

კაცს ცხვრის ტყავის უხარმაზარი ქურჭი ეცვა და კიბეზე სამი ადამიანის ადგილი ეკავა.

— ეს როდის გაჩერდება! — შევედავე მე.

— კაცკასკაიამდე მოითმინეთ.

— გეტყობა, ახლოს მიდისარ.

— არმავირში უნდა ჩავიდე.

— შორია?

— გამთენიისას ვიქნებით. გაიყინებით, ბიძია, მაგ სიცივეში. სახურავზე ახლა თეთრი დათვი ვერ გაძლებს!

— საშა! — ძლივს გაუხსენი კრიჭა მე.

— ჰო.

— გადაძვერი, თუ შეგიძლია. აქ ნამეტანი მჭიდროდ ედგაეართ. ვინმე გადავარდება.

საშა ვაგონის შუბლზე გადავიდა. ხელები მოინაცვლა და ლითონის კედელზე მიღუღებულ კიბეს სულ ზევით და ზევით იძყვა.

უნებლიედ ძირს ჩავიხედე.

ბინდებულში ავად ელაფრა თითქოსდა ჩარბზე აღესილი ლიანდაგი. მომეჩვენა რომ მატარებელი ერთ ადგილზე იდგა, ხოლო ყურისწამლებად აჭახახებულ რკინიგზა საუბრად უკან თავბირის მტვრევით გარბოდა...

ვთქვით, ფეხი დაგიცდეს და ჩავარდე?

მატარებელი აქვე დარჩებოდა, სხვა დგას, ხოლო ჩარბზე აღესილი რკინიგზა ბორბლებს ქვეშ გაგატარებს და თვალის დახამხამებაში ქვეყნის კადისაკენ გაქანდება.

კიბეს თვალი ავადვენე. საშა უკვე აღარ ჩანდა. უთუოდ სახურავზე გადავიდა. ახლა ჩემი ჯერი იყო. გაყინულ რკინას ხელები ჩავჭიდე და აკანკალებული მარჯვენა ფეხით ბნელაში მომდევნო საფეხური მოვძებნე. ქვემოდან თხუთმეტი თუ ოცი წყვილი თვალი შემომჩერებოდა. ამან როგორღაც სიმხნევე მომიმატა. სახურავზე ასული საშა სწორედ დროზე მომეშველა. ჩამოწვილ პაწია ხელს ხელი მოვავლე და ვაგონის მომრგვალებულ სახურავზე მუცლით გადავფოფხდი.

წინ თითქმის ვერაფერს ვხედავდი. სიბნელეში ძლივსაღივობით იცვეთებოდა რთვლით გადაღესილი უძრავი სახურავები და ორთქლმავალი, რომელიც საკვამური მილიდან ნაბერწყლებს პყრიდა და ღამის უქუნეთში აბნევდა.

— იმ მილთან მაინც ვიყოთ! — თქვა სიცივისაგან აბუზღუნმა საშამ. — ხელებს გავითბობდი. მართლა ძალიან ცივია ტიალი. ნეტავი იმ არმავირელი ძიაკაცისათვის დაგვეჯერებინა. ხომ არ გეშინია?

— რაღა დაგიმალო... — გამოვტყდო მე და ვითომ კიდევაც გავიცინე.

— გაუშვი სახურავს ხელი, წაგყინავს!

— რომ აცურადეთ? მოსახვევში საშინელი მოქნევა იცის.

— სად ხელავ აქ მოსახვევებს, ლარით სწორი გზა!

— არა, ბიძი, რაც გინდა, ისა თქვი. ხელს მაინც ვერ გაუშვებ. ვერც ფეხს მოვიცვლი აქედან. ორი თავი კი არ მამბია!

თითქოსდა ჩემი გამტყუნება მოუწყინებიათ, ვაგონის სამერცხულთან ჩაცუცქოლი საშა ქარივით უშიშრად წამოდგა. წელში გაიმართა და მძიმე-მძიმე

რწევითა და ბარბაც-ბარბაცით ვაგონის სახურავზე იმ მხარეს წავიდა, საითაც მატარებელი მიექანებოდა.

თვალები მოვიფშვინტე, სიხმარში ხომ არა ვარ, ან ხომ არ მელანდება მეტიქი.

— რას შერები, წერამ აგიტანა? — დავიყვირე რაც ძალა და ღონე გამაჩნდა, — დაჯექი ჩქარა! დაჯე, არ გესმის?

თავისივე გაბედულებით წათამამებული საშა, ალბათ, იღიმებოდა და ჩემს გასაბრაზებლად კიდევ უფრო უშატებდა ნაბიჯს. პირქარი ფრიალო კლდის წვერიდან გადმოვარდნილი ჩანჩქერის ძალით სცემდა და ყოველ წაშს სახურავიდან მოსხლეტას უქაღდა. ის კი მიდიოდა, მიდიოდა კი არა, ცეკვავდა. მოქნილი ტანის მოძრაობას თვლებისა და ბუფერების გამაყრუებელ ჯახჯახს აყოლებდა, თითქოსდა გაქანებული მატარებლის მოყინული სახურავის ნაცვლად სასოფლო კლუბის სცენაზე ყოფილიყოს.

თვალეზე ხელები ავიფარე. ამ ოხერმა ოპმა რა არ მაჩვენა და ასე ერთხელაც არ შემშინებია. მეგონა, თვალს გავახელდი და საშა რააბოშაჰკა სახურავზე აღარ იქნებოდა. გადარეული დამე მოიტაცებდა ქალის შემზარავ კივილს და მერე ყოველივე უცბადვე მიწყნარდებოდა. არც ის მიფიქრია, თუ ასე დიდ უბედურებად მივიჩნევდი საშას მოსალოდნელ დაღუპვას...

— გადავარდი და იტეხე კისერი! — ხმამალლა კი მხოლოდ ეს დავიძახე, დავიძახე და გული კიდევ უფრო მომივიდა. — სულაც დანებნებლხარ, მე ეგ არ ვიწუხო!

სახურავზე სხვებიც იყვნენ. აღრე ამოსულეხს ერთადერთი ღუმელის მილთან მოეკალათნათ და, თუმცა ახრჩოლებული ქვანახშირის მყარალი კვამლი შიგ სახეში სცემდათ, მილს მაინც ვერ თმობდნენ. ყვირილი ამათაც ვაიგონეს და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულები სახურავზე პროკავ ჯარისკაცს დააკვირდნენ. აბა, ვინ წარმოიდგენდა, თუ ჯა-

რისკაცის მძიმე მანარა; რომლის კალთებსაც ქარი აფრიალებდა, ქალს ეცემა ვაგონის ბოლოს საშამ ჩაიღწნა ჩაიღწნა მიადწია. იქ მოტრიალდა და კვლავ ცეკვა-ცეკვით უკან წამოვიდა. დროდადრო პარტნიორის მაგივრად უსტევენდა, სახურავზე ფეხებს აბაკუნებდა, ხტოდა და ხელებს პაერში ისროდა.

ერთი სიკვდილი, რომ იტყვიან, გავათავე. საშას, როგორც კი მომიახლოვდა, ხელი ვტაცე და ვაგონის სახურავზე ძალისძალად დავსვი, თან ბრაზიანად გებულუნებდი:

— სულელი! შტერა! ცოდვის დღეს გაჩენილი! შენ ეგ დიდი რამე გგონია? ყველაფერი წუთის საქმეა! მომენტის!

— არა! არა! არა! — ჭიუტი ბავშვივით გაიძახოდა საშა ყოველი სალანძღავი სიტყვის გაგონებაზე, ბუქნავდა და ისევ სატილინჯაოდ მიიწევდა.

— იცოდე, სილას გაგაწნავ! — დავემუქრე ბოლოს, სხვა რომ ველარაფერი მოვახერხე. — ჯობს ისევ ჩემი ხელით მოკვდე, ვიდრე აქედან გადავარდე! ჩავიდეთ ახლავე ძირს!

— იქ სად დაღვები?

— თუ ვერ დავღვები, სულ ჩამოვრჩები მატარებელს. ამისთანა არც მგზავრობა მინდა და არც...

— აბა, ჩემი ხელთათმანები!

— რა თავში ვიხლი!

— ქვეშ დაიფინე, ზედ დაჯდები.

— მერე შენ?

— მე არ მცივა.

— მომიცლიდი, გეუბნები!

რაკი შემატყო, მართლა არ მთანხმდებარ, საშამ თავად დამიფინა ბამბის დიდრონი ხელთათმანები სახურავის ყველაზე მაღალ ადგილას, ვითომ ეს სხვაზე უფრო უშიშარი ადგილიაო და ზედ ძალით დამსვა.

— ვერ შეეჩვიე? — მკითხა შემდეგ.

— ათი წელიწადიც რომ ვიმგზავრო, ამას მაინც ვერ შევეჩვიე. ვავგოქიდ პირდაპირ: რა ეშმაკმა მიგიყვანა აქედან იქ! გრძნობ, როგორ ქანაობს მატარებელი? ან ფეხი აგიცურდეს ან...

— აბა, თუ მიხვდები, რად ვქენი...

— მე რა უნდა მივხვედე! გიყის მეტი მაგას ვინ იზამდა!

— მართლა ვერ ხედეები?

— რა არის აქ მისახვედრი, თავქარიანობის და დამთხვეულობის გარდა!

— შენ აგრე გგონია? — საშამ ნაღვლიანად გაიღიმა, თავი ჩაღუნა და დაუმატა: — კაცებმა არაფერი არ იცით...

— ხედავ? — მე უცებ წამოვიწიე, მაგრამ ამ დროს ვაგონი საგრძნობლად შეირყა და ისევ სახურავს დავეკარი, — წინ სინათლეები მოჩანს!

— ქალაქია, — მშვიდად თქვა საშამ.

— ვიფრმ ჩვენს გზაზე დევს?

— მე გგონია, ოდნავ მარჯვნივ რჩება.

ქალაქი თანდათან გადიდდა, ნისლიდან და ღამის წყვდიადიდან გამოვიდა მატარებელმა კისერი მოიღრჩვა, პირველად დავინახეთ მახუთის ცეცხლოთ აპარბალეზული ორთქლმავლის მარჯვენა ფერდი და რკინიგზა, რომელსაც აკვამური მილის ძირში ჩადგმული მძლავრი პროექტორი ანათებდა.

მატარებლის თავი ღია სემფორას გასცდა და ქალაქის თუ დიდი დაბის განაპირა სახლებიც უკან მოიტოვა.

მინდვრებისაკენ წაგრძელებულ უკაცრიელ ქუჩებში ღამის ნათურები ენთო. ყოველივე ცოცხალი ჩამკვდარიყო თუ ძილს მისცემოდა.

ყურთაშენის წამლები გრუხუნით ჩავუჭროლეთ რაღაც გრძელი შენობის ნანგრევებს, კიდევ ნანგრევებს, თლილი ქვით აშენებულ და დაბომბვის დროს რაღაც საცვირველებით გადაარჩენილ პაკაუზს, ყვითლად შეღებილ სადგურის პაწაწინა შენობას, რომლის წინაც, თითბრის ზართან, წითელქუდიანი მორიგე იდგა, და შემდეგ ისევ ჩამობნელებულ მინდორში გავიჭერით.

— ნეტა რა სადგური იყო? — სიცივისაგან შეცვლილი ხმით წაილაპარაკა რიაბოშაპკამ.

— ვერ მოვასწარი წაკითხვა. მე აღარ შემიძლია, საშამ, უნდა ჩავიდე. ნეტა ამით არ ცივათ?

— ალბათ, თბილად აცვიათ. ახლავე

ჩავიდეთ? თუ დაუტყალოთ გაჩერებას?

— ახლა ჭობს. სადმე ჩავეყვებებით. ტამბურში რომ როგორმე შეგვგამჭრინას აბა, დაიჭი ხელთათმანები! ფრთხილად, ჯერ მარჯვენა ფეხი ჩაადგი!

15

ვიწრო გადასასვლელზე, ვაგონების შუა, საიდანაც ბუფერების ყრუ დგანდგარი ამოდიოდა, ფეხის მოსაკიდებელი ადგილიც არსად იყო. ისევ კიბეზე გადაფოფება მოგვიწია, ოღონდ ამჯერად მარცხენა მხარე ვარჩიეთ. რიაბოშაპკამ პირველმა ჩააბიჯა და მაშინვე მე მომიტრიალდა, მოდის თუ არაო.

ბელად კიბე სულ ცარიელი იყო.

— მაინც აქ გვირჩევენია, — საშამ მაზარის გრძელი კალთები მუხლგბთან ამოიკეცა და საფეხურზე ჩამოჭდა, — ყოჩაღ შენ, უძლებ სიცივეს!

— ნუ გაუძლებ, თუ ბიჭი ხარ! გერმანიაში ნაკლები სიცივე იყო?

— გერმანიაც ჩრდილოეთის ქვეყანაა, რა გგონია შენ! ახლა გგონი მალე უნდა გათენდეს.

— მერე ვიხარია?

— რატომაც არა. დავინახავთ მაინც, სადა ვართ.

— თუ ჩამოვებრძანეს რომელიმე სადგურში, მერე დაინახავ.

— აბა, კარგად დაუტვირდი: თითქოს თენდებო...

— მოიწმინდა. როგორ ნელ-ნელა ჩნდება სტები. შეიძლება, დრუბლებიდან მთვარე გამოდის...

Ste - ешь да ste - ешь кру - го-м. სასიამოვნო კრინით წამოიწყო უცებ საშამ და უკანასკნელი სიტყვა ერთ განუწყვეტელ კვნესად გაავრძელა.

ჯერ ვიფიქრე, ახლა რა დროს სიმღერაა, ვილაცას გიყები ვეგონებით მეთქი და ტყვიისფრად შეფერილი ცის დასალიერს უკმაყოფილოდ მივაშტერდი. მაგრამ როდესაც თანამგზავრმა მუხლი აუჩქარებლივ ჩაათავა და შემდეგ ღონივრად მიბიძგა, ჰე, რაღას გაჩუმებულხარო, სიმღერის სურვილი მეც მომერია

და ამ თვალუწვდენელი მინდვრების შესაფერისი საგალობლით ატაცებულ ამხანაგს მხარი ავუბი.

რიბოზაშაკა ვაფიცხდა. ხმას აუწია. ამან მეც წამათამამა. თითქოს ეს ცივი ღამეც მიმავიწყდა და კისრისტეხით მიმავალი მატარებელიც. თავადადგებულ ვმდგროდით და თვლების ზომიერი დაგადუგი და ბუფერების ღრქიალი უკვე აღარ გვესმოდა.

А в ст-еп-ни гла-хой  
за-мер-заял ямщик...

გადასასვლელიდან ვილაცამ გამოპყო თავი და გამოიხედა. იმას მერე სხვამ მიბაძა. მომდევნო ვავონის კიბეზე, რომელიც აქამდე ცარიელი იყო, რამდენიმე მგზავრი გადმოძვრა და ერთხანს ისე ხმაგაკმენდილი გვისმენდა, თითქოს ვერა და ვერ დაუჭერებიათ, რაც მათს თვალწინ ხდებოდა.

რიბოზაშაკა ვერავის და ვედარაფერს ამჩნევდა. ტყვიისფერი ცის დასალიერს თვალმოუშორებლივ გაპყურებდა და უფრო და უფრო შედიოდა სიმღერის ეშხში. მესამე ხმა ვაიგონა და ვალიმბებულმა თვალი ვადმომკრა. მომდევნო ვავონის კიბიდან თუ გადასასვლელიდან ვილაც გვეხმარებოდა.

А же-не ска-жи-и  
Пусть не пе-чалится-за...

კიდევ ორი-სამი წამიც და სიმღერა ოცდაათიოდე ხმამ აიტაცა. იგი სულისა და გულის შემძვრელ ვმინვად მოისმოდა მატარებლის ჯახჯახით უწყალოდ დაბლენილი ღამის სიჩუმეში. რიბოზაშაკას მალალი კრინი მკაფიოდ იკვეთებოდა და სივრცეში მძიმედ აფრენილ გუგუნს უსასრულობისაკენ მიუძღვოდა.

ალბათ, გამოგვებარა წუთი, როდის ვაიღო ვავონის ფანჯრები. გათენებამდე დიდი დრო აღარ იყო დარჩენილი და თავიანთ თბილ კუბეებში დარბილი საბნების ქვეშ შემძვრალ მგზავრებს უთუოდ გულისძილით ეძინათ. მით უფრო ვამიკვირდა, როცა სავსებით მოულოდნელად ღია ფანჯრებში ვადმოყოფილი თავები დავინახე. ზურგსუკან ლითონის საკეტების ჩხაკუნი მოისმა, უმაღვე მივ-

ტრიალდი, ეს ვინ მოდის მეთქი, მაგრამ საშამ მაჯაში ხელი ჩამავლო და მომაბრუნა.

სიმღერა ზევით და ზევით იწვედა. ქარბუქთან მორკინალი ღონემიხილი მეეტლე უდაბურ სტეპში სანიშნო ბეჭედს ასხენებს, დედას და ყმაწვილ ცოლს უკანასკნელ სალამს უგზავნის, ტოლ-ამხანაგებს კი ემუდარება, ჩემს ობლად დარჩენილ ცხენებს თვალის ჩინივით მოუარეთო...

ახალმა ჩხაკუნმა და გასაღების ვადიტრიალები ხმამ ერთხელ კიდევ მიმაბრუნა კარისაკენ. საშასი მომხებოდა და სიმღერა არ შემიწყვეტია, მხოლოდ სახე მივატრიალე.

თეთრწვერა ვამყოლს, რომლის დანახვამ შემკართო კიდევ, რადგანაც „მეტროპოლის“ მეკარეს მივამგვანე, კარი ვაეღო, კიბის სულ ზედა საფეხურზე იდგა და სახეებს მბუტბავი ფარნით გვინათებდა.

სიმღერას ძალაუნებურად ვამოვეთიშე და ბერეკაცი, რომელიც თავადაც ფარნის მოწითალო შუქით იყო განათებული, ბევრად უფრო თამამად შევათვალე, ვიდრე ამას სხვა დროს შევძლებდი.

ვამყოლი კისერზე შემოხვეულ კაზაკურ ყაბალანს ისწორებდა და ცალყბად ილიმებოდა. სიმღერა კვლავინდებური ძალით ეღერდა და ისიც მოთმინებით უცდიდა მის დასრულებას. როგორც კი უკანასკნელი ჰანგი ჰაერში ვანიბნა და ირგვლივ ლითონის განუწყვეტელმა ჯახჯახმა ააქსო ყოველივე. ბერეკაცმა ფარანი თავსზემოდ ასწია და მე და საშას, რადგან მისი ვავონის კიბეზე მხოლოდ ეს ორნი ვიდექით, მკაცრად გვითხრა:

— ამოდით ზევით!

— ჩავდივართ შემდეგ გაჩერებაზე, — მეტი ვედარაფერი მოვიგონე და თავის დაძვრენის მიზნით პასუხად ესლა ვუთხარი.

— ამოდით, არ გვეყურებათ? თუ მილიციას დავუძახხო!

— მოეშვი, რა გინდა, იყვნენ! — დაი-

ძახა რამდენიმე ხმამ მომდევნო ვაგონის კიბეზე, — მაგათ მეტი ველარავინ დაინახე?

— თქვენ, გაჩუმდით მან! — ბერიკაცმა ფარნის მოწითალო შუქით შეფერადებულ თეთრი წარბები შეიკრა და ისევ ჩვენ მოგვმართა: — ამოდით ახლავე ზევით!

— ჩავლივართ, ბატონო... — ისევ უსასოოდ წავილულულე მე.

— მე ვიცი, სადაც ჩადიხართ. ამოდით ახლავე ზევით!

— რას გვერჩი, ადამიანო, კიბეზე ვკიდივართ, ვაგონში შემოგვივარდით რომელიმე?

— ნუ ლაპარაკობ ბევრს, ბიჭო, ამოდით ჩქარა, ვაცივდა ვაგონი!

— ამოვედი, ჰე!

— ეგეც ამოვიდეს, შენი ამხანაგი!

— ამოდი, საშა!

— საიდან მოდიხართ?

— ახლა?

— ახლა, აბა, როდის?

— ბრატუნშვიდი, ვერმანია.

— ვერმანიიდან აქამდე კიბეზე დაკიდებული მგზავრობთ? რა უყავით ლიტერი?

— დავეკარგა.

— როგორ თუ დავეკარგათ!

— თუ ღმერთი გწამს, ნუ მომავლებ. მაინც არ დაიჭერებ. ჩვენი ვაჭირვება გვეყოფნის, მოხურე ეგ კარი, გაჩერდება მატარებელი და ჩავალთ, ანდა სხვა ვაგონის კიბეს დავეკიდებით.

— უყურე ამას! — გამყოლმა მყივანა ხმას აუწია და მოხურვის მაგიერ კარი უფრო ფართოდ გააღო, — აქეთ მიწყრება! თუ რამე კადრე, შენ თვითონ გამოხვალ დამნაშავეს! რა არის ეს შენი?

— ვინა? — მე უცებ მართლა ვერ მივხვდი, ვიხე შეკითხებოდა.

— ბიჭი ხარ თუ გოგო? — გამყოლმა მე თავი დამანება და საშას ახედ-დახედ და გამოცდილი თვალთ.

— რკანიგზისათვის სულ ერთი არ არის? — თანამგზავრს დავასწარი. და წინ გადავუდექი. — მგზავრი მგზავრია!

გამყოლი რბილი კაცი ჩანდა ბეზლუნით ბუზლუნებდა, რომელი გამყოლი არ იბუზლუნებს, თუ ვაგონში უბუნლეთოდ შეუხვედრი მაგრამ ტამბურში მაინც გვიპირებდა დატოვებას.

სწორედ ამ დროს ვაგონის გრძელ დერეფანში ცნობისმოყვარე სახეები გამოჩნდნენ და შორიდან თვალიერება დაგვიწყეს.

— ეგენი არიან? — იკითხა ვიღაც მელოტმა, დაბალ-დაბალმა კაცმა. ის სულ უკან იდგა, ვაგონის შუაგულში და ახალი მგზავრების დასანახად ფეხისწევრებზე დგებოდა.

— ძლივს ამოვყარე! — ჯუჯუნით თქვა გამყოლმა და ტამბურის კარი მიაჯახუნა.

— შემოიყვანე ვაგონში, აქ იმღერონ.

— იმღერონ! იმღერონ! — სიხარულით დაეთანხმა მელოტს რამდენიმე ხმა.

გაოგნებულმა საშამ მე გადმომხედა, მე კი მას მივჩერებოდი. აბა, ჩვენ რა უნდა გვემღერა! რომელი მომღერლები ჩვენა გვენახეს! შუბლზე სიმწერის ოფლმა გამომეონა. თანდათან ვგრძნობდი, ვაგონში რა აუტანელი სიცხე და სიჩუმე იყო. თვლების დაგადუგი უკვე ძალიან შორიდან, თითქოს დემიწის გულიდან ამოდიოდა.

სუფთა ჰაერზე, ფერდების გამყოლ ცივ ქარში დიდი ხნის ნამყოფი სხეული მომიდუნდა და ეს ისე სწრაფად მოხდა, ფეხზე ძლივს ვმაგრდებოდი. დამძიმებულ ქუთუთოებზე რული ჩამომაწვა. კიდევ ცოტაც და შეიძლება ამდენი ხალხის წინაშე მუხლი მომკვეთოდა, იატაკზე გაეშლართულიყავი და, ყველასდა გასაოცრად, მაშინვე დამძინებოდა.

ვატყობდი: ველარც საბარალო საშა ერეოდა თავს. გამყოლს მუდარით შეეხედე. მინდოდა რაღაც მეთქვა. ძალა აღარ მეყო, თუ ველარ მოვიგონე, რის თქმასაც ვაპირებდი, ვავიდიმე და გასავალ კარისაკენ კი არა, მოცისფრო შუქით განათებულ დერეფნისაკენ წავებარბაცდი.

მგზავრები გამოცოცხლდნენ. რამდენიმე კუპის კარი ერთბაშად გაიღო.

— აქ მოდით, აქ!

— არა, აქ ჯობია!

მაგრამ მე და საშამ ბარბაც-ბარბაციტ გავუარეთ ერთ კუბესაც, მეორესაც, რითაც იქ მყოფთ, ალბათ, გული დავწყვიტეთ და მხოლოდ მაშინ შევჩერდით, როცა არაადამიანურმა დაღლილობამ თავისი გაიტანა და კუბის ღია კარში თითქოს ხელის კვრით შეგვაგდო.

დაჯდომისას ენა მოვიწმენვე და კენესა აღმოვხსნა. მხარზე რაღაც სიმძიმე მაწვა მოვიხედე.

— საშამ!

— უ!

— ადე, გავიდეთ გარეთ. აქ ამოვიგულებით!

მან რაღაც თქვა თუ მანიშნა. ეს არც უარი იყო და არც თანხმობა. ამოდ წამოვიწიე. ტანს ვეღარ ვეროდი. მუხლებში ნატამალი ღონე აღარ მქონდა. ვგრძნობდი, ჯერ კიდევ არ მეძინა, მაგრამ ხმებსა და სახეებს დიდი გაჭირვებით ვარჩევდი. ყველა და ყველაფერი ერთმანეთს ჰგავდა.

„ახლა რომ შემოვიდეს ვინმე და გავკაროს? — გამიბრინა გუნებაში, — აღვმას ვეღარ შევიძლებ. დავეცევი!“

— რაღას აჭიანურებენ, ბარემ დაიწყონ! — დერეფნიდან ჩასუქებული მელოტის ნაცნობი ხმა შემოიჭრა. მელოტს მხარზე ზოლებიანი პირსახოცი გადაედო და კონცერტის მოსმენის შემდეგ პირის დასაბანად წასვლას აპირებდა.

— სუ! ძინავთ!

— როგორ თუ ძინავთ!

— დასხდნენ თუ არა, ჩაეძინათ.

— ეე! — გაწყრა მელოტი და კართან მოსაახლოებლად ვიღაც-ვიღაცები დაურიდებლად მისწი-მოსწია, — ახლოს მაინც დამანახეთ, ვინ არიან, რას გვანანს!

დერეფანში შეჩვეუებულმა ნამძინარეებმა მგზავრებმა ფეხი მოინაცვლეს. ღიად დარჩენილ კარში ვიღაც ჩამოდგა და მკრთალი, მოცისფრო შუქი, რომე-

ლიც დერეფნიდან ვიწრო ზოლად შემოდიოდა, დააბნელა.

...თვალები ფრთხილად გაეახილე. მხარზე ისევ სიმძიმე მაწვა. ამას ძალშიაც ვგრძნობდი და სუნთქვა მიჭირდა. თავი ოდნავ მოვაბრუნე კარის მხარეს და ახლად ვიცანი საშას აბრეშუმივით რბილი ჩალისფერი თმა და ქორფლიანი ყვრიშალი.

განა ასე მოსხლეტა და მკვდარივით ძილი შეიძლება?

ნეტა რამდენი საათი იქნებოდა გასული, რაც ვაგონში ამოვედით, რომელი სადგურები გავიარეთ და კ დევ რომელი დაგვრჩა გასაველელი?

იატაკქვეშიდან თვლების სუსტი კაკუნი ისმოდა. მატარებელი მგონი იღგა და მხოლოდ ახლა დაიძრა.

ვინ იცის, რამდენ ხანს ვიდექით! ლაღი ამბობდა, გზა ფუჭდება ხოლმეთ. ოჰ, ლაღი!.. ოღონდ ახლა ნურაფერი მოხდება...

მაგრამ ადგილის პატრონი არ მოვიდა?

— საშამ!

ქალი შეკრთა, მაშინვე გულისპირზე იტაცა ხელი და, როცა დარწმუნდა თითბრის ღილები კვლავინდებურად შებნეულიაო, იატაკზე გადმოვარდნილი ქუდი ფეხით მოძებნა.

— სად ვართ? — ჩურჩულით ვკითხე, თუმცა ვიცოდი, ვერაფერს მეტყოდა და ქუდი მივაჩიე. პასუხი არ გამცა. ქუდი მუხლებზე დაიდო, ისევ მხარზე მომაყრდნო ქორფლიანი მხურვალე ყვრიშალი, მოეწყო და უდარდელად დაიძინა.

თვალები დავხუჭე. დაწვზე საშას ყვრიშალის სიმხურვალეს ვგრძნობდი და მთელი არსება აქამდე განუცდელი და ენით გამოუთქმელი სიამოვნებით შევსებოდა. ნუთუ საშას ძალუძდა ამ უზენაესი სიამოვნების მონიჭება?

თვლების ყრუ დგანდგარი კარგა ხანს ისმოდა იატაკქვეშიდან. ბოლოს, ოწინარმა გაიჭრიალა და წყალში ჩაშვებულ სათლის ამოსაღებად ჭის სარქველ-

ზე გადახრილი ჩექმებიანი გოგო და-  
ვინახე.

სახეზე ალმური მომეკიდა.

ეიცოდი, სიზმარი იყო გოგოს მაინც  
ხარბად მივაჩერდი.

სად მენახა?

ვინ იყო?

უეცრად მომაგონდა: ეს ხომ... ვაგო-  
ნის კიბეზე იჯდა და თავშლით სახემო-  
ბუნდული მუხლებს ვაეკაცის ბარძა-  
ყებში მალავდა. მერე ბატაისკში ჩაეი-  
და და ბაქანზე მობორიალე ხალხში და-  
იკარგა.

გოგოს თეთრი ნეილონის ზედაწელი  
ეცვა, სადაფის ღილებიანი. დაწვებსა  
და მოშიშველებულ ყელ-კისერზე ჭორფ-  
ლის წვრილ-წვრილი წინწკლები ეყარა...

„საშა! საშა!“ — მინდოდა დამეყვირა,  
შუბლზე სიმწრის ოფლი მასხამდა, მაგ-

რამ მეძინა და პირიდან ხმა არ ამომ-  
დიოდა.

ჭის სარქველზე გადანიჩლი ქა-  
ლიშვილი გაუჩინარდა. თითქოს ჰაერი არ  
მყოფნიდა. მინდოდა ფანჯარა გაელო-  
ვისმე, ან მე თვითონ მიესულიყავი ფან-  
ჯარასთან და, თუ ვერ გავალბდი, მინა-  
მუშტის დარტყმით ჩამემსხვრია.

აუდექი კიდეც და მაგიდას ხელი  
მოვაღლე, რათა ფეხზე დავმდგარიყა-  
ვი. მატარებლის მოულოდნელმა მოხვე-  
ვამ უკან მიმახეთქა და ფანჯარასთან მი-  
სვლის მაგიერ თაროზე მძიმედ დავეშვი.

ქვეშ რაღაც მომყვა — ხალთა თუ ქუ-  
დი. ხელახლა წამოსაწევად ღონე უკვე  
ალარ მყოფნიდა. კედელს მივეინდი,  
რაღაც უაზროდ წავიბუტბუტე და იმ  
წამსვე ყოველივე გაქრა.



პირობა ყოველი

## მთელი ზენი სიცოცხლე

მოთხრობა

ბუჩქებში რაღაც გაშლივინდა. იაგო სწრაფად შეტრიალდა, წონასწორობა დაკარგა და წაიფორხილა. უკანასკნელ წამს ფლატედან თოკივით ჩამოშვებულ შვერის ტოტს ჩაავლო ხელი და თავი შეიმაგრა. სუნთქვა შეეკრა, გაშეშდა, მხოლოდ გადიდებულ თვალებს აცეცეზდა და ხრამს ზემოთ, მაღალი ბუჩქების გათქვეფილ სიმწვანეში ეძებდა სხვა ფერს. ეს უნდა ყოფილიყო მოძრავი ფერი მისკენ მცოცავი ნადირისა.

უეცრად ბლაგილი გაისმა. ხმა მარცხნიდან იყო და იაგოს სხეულის მარცხენა ნახევარი წამით წაერთვა, თითქოს ნადირი დააცხრა თავს და მთელი მხარე ჩამოაფატრა.

ბუჩქებიდან თავლისფერი მოზვერი გამოვიდა, ხრამის ნაპირზე გადმოდგა და თეთრი, სველი ქვებივით მზინავი გუგები მიაპყრო ადამიანს. გვერდზე მოქცეული, საღებოდ მომართული ქვედა ყბა გაშეშებოდა, თეთრი ქაფის ზოლი უმშვენებდა შავ დრუნჩს. თანდათან უჭრებოდა თვალებში ცნობისმოყვარეობა, თითქოს თანდათან შრებოდა ის სველი ქვები. მერე თავი დახარა, დაქშინა მიწას და ბალახი წაწიწნა.

იაგომ მეორე ხელიც წაატანა შვერის ტოტს, ფეხისწვერებზე აიწია და ტოტი გადალუნა, გადატეხვა სცადა, შვერი დაიტყეჩა, აქ-იქ ძაფები დაეფლითა, მაგრამ არ გადატყედა, დიდხანს დვლარქნა, მერე თავი მიანება და ბილიკზე ჩამოაბიჯა. სტვენა-სტვენით აპყვა აღმართს, გული კი კვლავინდებურად უძგერდა, ჯერ ვერ დამშვიდებულყო.

ბილიკი ხრამში ეგდო. ხან ფლატეს ერთ კედელს მისდევდა, ხან უეცრად ჩა-

ირბენდა ხრამის ფსკერზე და მეორე კედელზე ისკუებდა. ხრამი წითელი იყო, სოფლიდან ჩაენგულ ჭრილობასავით აჩნდა მცხეთიჯვრის მთას. სოფლიდან დაბალიც მოჩანდა ხრამი, ბუჩქებიც დაბალი, მთაც. იაგო კი, რამდენი ხანია, ამ წითელ აღმართს მოპყვება, რამდენი ხანია, თვალთავან დაეკარგა სოფელი, პურისადა მზესუმზირის ჩაყვითლებულა ყანები, ველარც ციხის ნანგრევებსა და ელიას ეკლესიას ხედავს. ირგვლივ მთებია, უფრო სწორად, მხოლოდ წინ ჩანს ახლა მთა, ის — რომელზეც იაგო ადის. როცა ხრამის ფსკერი მაღლა ამოიბურცება და ბილიკსაც მაღლა ამოათრევს, მხოლოდ მაშინ თუ ამოიწვერება უკან დარჩენილი გორები. ზემოთ კა ლურჯი, უძირთ ცაა, თეთრ, აყირავებულ ღრუბელთა შორის უფრო ვალრმავებული და გალურჯებული. მხოლოდ მუდამ უკან ჩამორჩენილი და მუდამ წინ მიმავალი ბილიკი ახსენებს იაგოს, რომ ადრე აქ სხვა ადამიანი იყო, იაგოზე ადრე და იმ ნიაღვარზე გვიან, რომელმაც ეს მთა დახრამა.

როგორ შეშინდა! სულ იმ სოფლებების ბრალია. წუხელ ესმარებოდნენ დეიდა ტასოს ეზოს შემოღობვაში — შარშან ზაფხულს არ დააყენეს კიტრი და ვაშლი ბავშვებმა. ჯერ დაბალია ეზოში სიმინდი, დეიდა ტასოს წელამდე ძლივს სწვდება. ამიტომ ონავრების მოგერიებაც ადვილია — ვერსად ჩაესაფრებიან. მაგრამ მალე ტანს აიყრის სიმინდის ღეროები, მწვანედ აეკედლება დეიდა ტასოს და ყველაფერს დაფარავს, ქურდ-

ბაცაცა ბავშვებს, კიტრის ბარდებს, მიწამდე დაზნეილ შაფრანის ტოტებს და დეიდა ტასოსაც.

ამიტომ შემოარაგვინა ეზო და მერე მეზობლებს ვახშამი გაუმართა. ნივრის წნილი და თონეში გამომცხვარი პური, მოხარული კარტოფილი და ვარდისა და პიტნის ნაყენი მოართვა, იღბლად ძროხა დაკლეს გაღმა უბანში და სამი კილო ხორცი ააწონინა სტუმრებისათვის.

სწორედ ამ წვეულებას შემოესწრო იავო. თბილისიდან ცოლშვილი ჩამოიყვანა სხაფხულად. ვახანა დეიდა ტასომ, დაკოცნა ბავშვები, ბავშვებმაც ნაზი ტუჩებით დაუღბეს მზით დალაქავებული ლოყები. დღი ამბით გაცნო მეზობლებს სიძე — რედაქციაში მსახურობსო — იავომაც შეიფერა, რადგან მუშაობით დაღლილი გლეხები ფეხზე დგებოდნენ, ქალღმის ხელსახოცებით რატომღაც ტუჩებს იწმენდნენ და მერე მოწინებით ართმევდნენ ხელს ქალაქელ სტუმარს.

სამი წლის წინათაც ჰყავდა აქ ცოლშვილი. ძლიან მოეწონა სოფელი იავოს, მაშინაც, როგორც ახლა, ერთი დღე ჰქონდა თავისუფალი და დარჩა. მარტოდმარტომ მოიარა ბორცვებზე გადმომდგარი, ნახევრადანგრეული ციხეები, და პატარა, ჩუქურთმებით შეძოკხბავებული ელიას უძველესი ეკლესია. ათჯერ მაინც შემოუარა გარშემო, იქნებ სადმე წარწერა იყოსო. ეგონა, რადგან სოფელი შორს იყო მთავარი გზიდან და რადგან ეკლესიაც განმარტოვებოდა სოფელს, მისი არსებობა, იქნებ, არც იციან ისტორიკოსებმაო. ეკლესია სამი მხრიდან მთებით იყო გარშემორტყმული, ხევისპირს იდგა ძუძუსავით მრგვალ გორაკზე და მხოლოდ სამხრეთი მისასვლელი ჰქონდა ღია, ისე მოშიშვლებული იყო ირგვლივ ყველაფერი, ისე განმარტოვებული ჩანდა ეკლესია და ჩრდილიც ისეთი მუქი მოღვარა ხრიოვ მიწაზე, თითქოს მზე მხოლოდ ამ ეკლესიისათვის ანათებდა ციდან და ეკლესიაც მხოლოდ მზის გა-

მოსამზებურებლად აღმომართულიყო მიწიდან. იქნებ სწორედ ეს ფიქრები იყო სათავე იმ აზრისა, რომელიც შემდეგ იავოს დაეზადა.

სამხრეთ კედლის შესასვლელთან. ერთ მთლიან ქვაზე, ორი წრე იყო ამოჩუქურთმებული. წრეების ცენტრიდან მარაოსავით იშლებოდა წითელი ქვის სხივები. რატომღაც დათვალი. მარჯვენა წრეში თორმეტი სხივი ამოეკვეთა ოსტატს, მარცხენაში — ცამეტი. და რადგან ჩუქურთმა სამხრეთ კედელზე იყო და რადგან მზე ჩრდილს დევნიდა ჩუქურთმიდან, მზის საათი მოაგონდა. საათმა კი კალენდრების შესახებ დაწერილი წიგნი გაახსენა. გონებამ თავისთავად ერთმანეთს დაუკავშირა, თითქოს დაუკავშირებელი ამბები — წიგნში ქალღმის ასტრონომები იყო მოხსენებული, რომლებმაც შეეძგეს საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეტად გონებასახვერლური კალენდარი შეექმნათ, პირველუბს შეეთავსებინათ ერთმანეთთან მთვარისა და მზის წელიწადი, ყოველი თვე ახალი მთვარით იწყებოდა. ყოველი წლის პირველი დღე გაზაფხულის დღესასწაულს — ტიჯრისა და ეფერატის წყალდიდობას ემთხვევოდა. მაგრამ ამ სიკეთეს ნაკლიც ხლებია — ქურუმები იძულებულნი გამხდარან ელაღატათ. წმიდა რიცხვის — 12-ათვის, რადგან დროის გასათანაბრებლად ზოგიერთ წელიწადს მე-13 თვეც უნდა დამატებოდა. იავოს ისიც გაახსენდა, რომ ქართული „არადღევი“, სიტყვასიტყვით მზის დგომის ნიშნავდა, კირჩხიბში დგომას, რომელიც 20 ივლისიდან იწყებოდა. ელიას უძველეს ეკლესიაშიც 20 ივლისს იხდიდა ხალხი დღეობას. ელია კი ქართველების წარმართული ღმერთი იყო — წვიმა-სეტყვისა და გვალვის... გვალვის, რაც მთავარია! სადღაც ამოკითხული, თუ გაგონილი სიტყვებიც მოფრინდა უეცრად — მოაგონდა, რომ ქალღმურ წარწერებშიც მზეს „არდი“ ეწოდებოდა. ხომ არ იყო ამ წითელ ქვაზე ამოკვეთილი თორმეტი და ცამეტსხივიანი

წრეები იმ ქალღმერთ კალენდრის ნაშთი? იქნებ, ძველმა ქართველებმა გადმოიღეს ეს კალენდარი? ანდა, თვითონ წამოვიდნენ იმ ქვეყნებიდან და თან წამოიყოლეს ახალ მიწაზე? რამდენი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, ეს ყველაფერი რომ მართალი გამომდგარიყო.

„ნამდვილად რაღაც აღმოვაჩინე“, — ფიქრობდა იაგო.

ერთი სული დალია, სანამ თბილისში არ ჩავიდა და პროფესორ ბერიშვილს, ძველი ქართული ხელოვნების დიდ მკოდნეს, წერილი არ გაუგზავნა. მოთმინებით ელოდა პასუხს, ბოლოს მიიღო. არაფერი მავის მსგავსიო, სწერდა პროფესორი, ეს, უბრალოდ, ასიმეტრიაა, რომელიც დამახასიათებელია ქართული ხელოვნებისათვის. ამას გარდა, ძველი ოსტატები შემოქმედები უფრო იყვნენ, ვიდრე ხელოსნებიო, — წინასწარ არასოდეს ჩაუთქვამდნენ, რამდენი სხავი ამოუკვეთათ ისეთ ჩუქურთმებზე. როგორც თქვენ გინახავთო.

დაჯერება არ უნდოდა იმდენად მართალს ჰგავდა მისი ნაფიქრი, ეგონა, პროფესორმა ვერ გაიგო, ალბათ, წერილით ვერ აუუხსენი წესიერადო, და ისევ გაუღვივდა იმედი. დაიწყო ოცნება იმ დღეზე, როდესაც მთელი საქართველო ილაპარაკებდა ახალი აღმოჩენის გამო, შეიძლება უცხოელი მეცნიერებიც გამოხმაურებოდნენ ამ ამბავს, და, რაც მთავარია, ყველას გააკვირვებდა ის, რომ ძეგლის აღმოჩენელი ერთი უბრალო ქართველი ახალგაზრდა იყო, არც მეცნიერი, არც ისტორიკოსი, ერთი უბრალო ქართველი...

ტელეფონით დაუკავშირდა პროფესორ ბერიშვილს, დიდი მოწიწებით, შეახსენა თავი, იმ წერილის ავტორი ვარო, და თხოვა, „ორი წუთით, მხოლოდ ორი წუთით შეგაწუხებთო“.

იმ „ორწუთიან“ შეხვედრაზე მთელი ორი თვე ფიქრობდა მერე იაგო. იმ შეხვედრამ დაარწმუნა, რომ არაფერი არ იცოდა, მეტად ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდა ისტორიასა და ხელოვნე-

ბაზე, წარსული მისთვის ქათსი აღმოჩნდა, სადაც წყალამომშრალ ოაზისივით თუ ამოტივტივდებოდა ხოლმე ცალკეული ფაქტები. პროფესორის ცოდნამ შეაკრთო, მისი გონება თითქოს ბურღივით ჩახრახნოდა გარდასულ საუკუნეთა შრეებს, თანდათან ღრმად იჭრებოდა გულში, ზემოთ კი, იავოსათვის სათვალსაჩინოდ, ნაბურღივით ამოდოდა და ამოდოდა დაშლილი, ადვილად შესაცნობი ნიმუშები იმ შრეებისა.

მაშინ შერცხვა იაგოს და შეჰფიცა თავისთავს, რომ არასოდეს ასე აღარ შერცხვნილიყო.

წუხელ, დედა ტასოს ნადის ერთმა მონაწილემ, ახალგაზრდა გლეხმა, მოულოდნელად ჰკითხა იაგოს: შარშანწინ რომ რაღაცას იხატავდით ელიას ეკლესიიდან, რამე საინტერესო ხომ არ აღმოჩნდაო. იაგო ისე გააკვირვა შეკითხვამ, პასუხის გაცემაც დაავიწყდა. ეგონა, არავინ იცოდა მისი შარშანწინდელი ხეტილის ამბავი ამ მიდამოებში. შეკითხვამ გაახსენა სასიამოვნო თართოვლის წუთები, როდესაც ფიქრობდა, მნიშვნელოვანი რაღაც აღმოვაჩინეო. ახლაც აუძგერდა გული, ახლაც გაუელვა იმედმა, იქნებ პროფესორი ცდებოდა, იქნებ, ჩემი უცოდინარობის გამო ვერ შევძელი სიმართლის დამტკიცებაო, კიდევ ერთი რომ იყოს სადმე მსგავსი ძეგლი, კიდევ სადმე...

მცხეთიკვარზე თუ ყოფილხართო, ჰკითხეს გლეხებმა, არაო, საითაა მცხეთიკვარიო? ხვალ თუ გვეცლება, აგვევბითო, პატარა, კოხტა ეკლესიაო, ჩუქურთმებიც ბლომად აქვსო. ნამდვილად ვიცი, ზედ არაფერი ჩუქურთმა არ არისო, შეესიტყვა მეორე გლეხი. მარტო წავალ, ოღონდ გზა მიმასწავლეთ, თქვენ არ შეგაწუხებთო, თქვა იაგომ. გზას რა მისწავლება უნდა. აი, პირდაპირ რომ მთაა, იმაზე უნდა ახვიდე, მაგრამ მარტო არ გირჩევთ წასვლას, ნადირიაო, შარშან ზამთარს ტიდანთ სანდრო დაგლიჯა დათვმაო. ეჰ, საწყალი, საწყალი, მისი შეილების

ცოდვამ დამაბრმავაო, წაუკვნესა დე-  
იდა ტასომ...

ამ გაფრთხილებამ მოახვეწა მოზვერი  
ნადირად. ამ გაფრთხილებამ და პირველ-  
ყოფილმა სიჩუმემ. ეძებდა ადამიანის  
ნაკვალევს, თვალებს აცეცებდა — გადა-  
ვლებულ ასანთის კოლოფს, პაპიროსის  
ნაწილებს, ან უბრალო ქაღალდის ნაგ-  
ლეჯს წაწყდომოდა სადმე. მაგრამ ხრამ-  
ის ფლატეებიდან გველებივით გამომ-  
ძვრალ ხის ფესვების, მოწითალო, ჭერ  
მოუგლუტეებელი ქვებისა და ამ ქვებზე  
სწრაფად გადასრიალებულ, მოვარდის-  
ფრო ხვლიკების გარდა, არაფერი ხვდე-  
ბოდა. ისმოდა ბუჩქებიდან წამოფრე-  
ნილი შაშვების ჭახჭახი, ერთხელ ისე  
ახლოს ჩაუქროლა, ფრთებისგან დარბე-  
ული ნიავი იგრძნო. ჩაიკარგებოდა შა-  
შვი საღაც და ისევ სიჩუმე ამოყოფდა  
თავს, გადაეცლებოდა ხრამს, ამოავსე-  
ბდა, გადასწვდებოდა მთას და მალა,  
ცაშიც გაავრცელებდა თავის ბატონობას.  
და ძნელი იყო ბუნების ამ დიდი სურვი-  
ლის, დიდი მისწრაფების დარღვევა, მისი  
ნების წინააღმდეგ გალაშქრება. თითქოს  
ოდნავ გაფაჩუნებაზე, ხმაილადა სუნ-  
თქვის დროსაც კი, ყოველი მხრიდან  
წამოიშლებოდა სიჩუმე, ჩამოვიდოდა  
ციდან, გადმოირბენდა ბუჩქებიდან,  
ამოფრინდებოდა ქვემოდან და მოგრო-  
ვდებოდა იქ, საღაც ხმაური გაისმა,  
რომ მაშინვე მოესპო იგი და განმეორე-  
ბის საშუალება არ მიეცა.

იაგო ქურდივით ზომავდა ყოველ ნა-  
ბიჯს და ყოველ გახმაურებაზე ქურდი-  
ვით გაისუსებოდა. თითქოს ის, ვინც  
ხმაურობდა, სხვა იყო, და ვინც ამ ხმა-  
ურს უფრთხოდა — კადევ სხვა. მას  
აღარ ეშინოდა, მოჯადოებული იყო თა-  
ვისი მარტოობით, ხანდახან თუ გაახსენ-  
დებოდა ქვემოთ, სოფელში დარჩენილი  
შვილები, რომლებიც ახლა სოფელს  
ბავშვებთან თამაშობენ, ალბათ, და ჰგო-  
ნიათ, — მამა შინ ზის და გაზეთებს კით-  
ხულობს.

უეცრად ბილიკი გათავდა. თითქოს დაბ-  
ნეულიყო ბილიკი და აღარ იცოდა საით-

კენ გაგრძელებულიყო. იაგომ მალა  
ასწია თავი. სახე ნოტიო პაერმა დაუგ-  
რილა. შიშველ მკლავებზე სიგბრულე  
იგრძნო და უნებურად ხელში მისისა.  
უკანასკნელი ბუჩქის წინ ცაში ატყორ-  
ცნილი ხე იდგა, იმ ხის უკან კიდევ ხე.  
იაგომ თვალები მოქუტა, თითქოს ტას-  
მა უგრძნო, რომ რაღაცას ვერ ხედავ-  
და, რაღაც რჩებოდა შეუმჩნეველ  
თანდათან გამოიკვეთა, გამოშლავნდა  
ჩაბნელებული ტყის სიღრმე — უზარ-  
მაზარი, უსოვარდროინდელი მუხის  
ხეები შორიშორ იდგნენ ერთმანეთი-  
საგან, სხვა არცერთი მცენარე, არავი-  
თარი ბალახი არ ხარობდა მათ შორის.  
სვეტებივით აღმართულიყვნენ და შედ-  
გომოდნენ ტოტებისა და ფოთლების  
ჭერს, გამოქვამულს ჰგავდა ჩაბნე-  
ლებული ტყე, რომლის შესასვლელს შემ-  
თხვევით თავს წადგომოდა იაგო და  
თითქოს კიდევ უფრო ჩაბნელებინა.  
ტყეში არცერთი ბილიკი არ იყო, დამ-  
კვანარი, გაშვებული ფოთლების დამბალ  
ხალიჩაზე აქა-იქ ეგდო საკუთარი სი-  
ძიმით ხიდან ჩამოგლეჯილი ვეება ტოტი.  
ან მიწიდან ფესვებიანად შორტრიალე-  
ბული ბებერი ხე. როცა თვალი კიდევ  
უფრო შეეჩვია სიბნელეს, ტყე გაიზარ-  
და, გაიშალა, თითქოს გაიქცა და თვალ-  
მიუწვდენელი გახდა.

თავისუფლად ცხოვრობდნენ მუხები,  
თითქოს ქვეყნის ყოველი მხრიდან წა-  
მოსულიყვნენ, თავი მოეყარათ აქ, რომ  
სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაე-  
ტარებინათ და აქვე მომკვდარიყვნენ.  
ყველა თანაბრად გაზრდილიყო, გაზრ-  
დილიყო იმ სიმაღლემდე, სადამდეც  
იზრდება მუხა. ასეთი მეჩხერი და, ამავე  
დროს, ხეებით საესე ტყე, არასოდეს არ  
ენახა იაგოს. არცერთი ტოტი არ გამო-  
ესხათ, არცერთი კორძი არ ემჩნეოდათ  
შვიდი-რვა საყენის სიმაღლემდე, მხო-  
ლოდ მერე გაეშალათ ტოტები, გაეფუ-  
რჩნენათ ხშირი ვარჯი და ერთ მთლიან  
ჭერად გადმოეხურათ თავზე.

ხეები იდგნენ მდუმარედ და ქვემოთ  
არ იყურებოდნენ, თითქოს ოდესღაც  
მიწაზე მომხდარ რაღაც საოცრებას სა-

ბტად დაეტოვებინა და გაეშეშებინა ისინი. თითქოს დაეწიყებოდათ შრიალო, ჩურჩული, ფოთლების შარიშური, დაეწიყებოდათ, ან საგანგებოდ დაეწიყებინათ, რომ ყური ეგდოთ დიდი სიჩუმიისათვის. მაგრამ ახლა, დაბერებულებს, უკვე აღარ ახსოვდათ იმ გაცუბისა და სამარისებური სიჩუმის მიზეზი.

იავო შემოტრიალდა, ზურგი შეუშვირა ტყეს, სინათლემ შემოაშუქა თვლებში, მოჩანდა მთის დაფერდების დასაწყისი და რამდენიმე ბუჩქი, რომლებიც ერთბაშად ჭუჭუბად ქცეულიყვნენ. იავომ უკან დაიხია და ტყესთან შემდგარი ბილიკი გაქრა; გამობრუნებისას ძნელი იქნებოდა მისი პოვნა. ტყე ერთნაირი იყო — თანაბარი სიმალლის, თანაბრად დაშორებული, თანაბარი სისქის უთვალავ ხეებს შორის ადვილად დაიხნეოდა ადამიანი, შეიძლება აქ სხვა ბილიკებიც ამოდიოდა სხვა სოფლებიდან. იავომ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, რამდენიმე ღერი-და დარჩენილიყო, ჯიბეში ჩაიყარა, დაცარიელებული წითელი კლოფი ბილიკის დასაწყისთან დადო და ხველი ჩხირით მიწაზე დაალურსმნა, რომ ნიავს არ წაედო. მერე წელში გაიმართა და კვლავ უკან დაიხია. ამ უბილიკო, ფენა-ფენად ჩამპალი ფოთლებით საგვე ტყეში, იქ, სადაც ქვეყნის დასაბამიდან თითქოს ფეხი არ დაედგა ადამის ძეს, ამ გოლიათური, მუნჯი ხეების ფეხთით წითელმა კოლოფმა თითქოს ყვირილი დაიწყო. ეს უხეში ქალღიდი, ადამიანის ხელიდან გამოსული წითელი ქალღიდი, საოცრებად მოჩანდა, არღვევდა ყველაფერს, ტყის აზრსა და შინაარსს, გარემოს ნათესაობას. ვერ ეგუებოდა თვალს, ეს ზემოდან დარქობილი ჩხირი ხომ სულ უმეცრული იყო.

იავო ტყეს გაჰყურებდა, მისგან უთვალავ გვირაბად დაძრულს და სადღაც, უსასრულობაში გაწყვედიადებულს. თვალდათვალ ვერ არკვევდა მყარი იყო თუ არა ჩამავეებული ფოთლებით მოფარული ნიადაგი. მუხლამდე ჩაეფლო-

ბოდა შიგ, თუ სულ ჩაინთქმებოდა. ასეთ ტყეს ვერასოდეს წარმოიდგენდა იავო, ახლა კი, როცა მის წინ იდგა, ვერაფერს ამატებდა 'ფანტაზია—ვერც სიჭრეტის აღიდებდა, ხეებსაც ვერ ამალღებდა უფრო მეტად, იღუმალებაც და გაურკვევლობაც აღარ სურდა ამაზე მეტი: ტყე თითქოს ადამიანისათვის არ იყო განკუთვნილი.

ფრთხილად გადადგა პირველი ნაბიჯი. ნიადაგი ჩაიხნიქა და, სანამ სიმყარეს იგრძნობდა ტერფი, ისევ ამოიხნიქა, ააქანავა იავო.

თვალყურგამახვილებული მიიწევდა, ელოდა ყოველგვარ მოულოდნელობას —ველური ფრინველების უეცარ აყივლებას და გუნდ-გუნდად წამოშლას, ნადირის თავდასხმას, უცნაური ჯოჯოს მიწიდან ამოძრომას.

ალმართი შენელებულიყო და გავაკებისაკენ მიისწრაფოდა.

რადაკით დამფრთხალმა, უკან მოიხედა. წითელი კოლოფი აღარ ჩანდა. დიდხანს ათვალეირა გამოვლილი გზა. კიდევ სხვა ნიშანიც უნდა დამეახსოვრებინა რამე, გამობრუნებისას რომ ეცნო და ბილიკისათვის მიეგნო.

ბებერი ხე წელში ნახევრადგადახლეჩილიყო, დაღმართისაკენ გადაშვავებულიყო, მაგრამ ქვემოთ, თითქოს მისკენ გამოქცეულ მერე ხეს შეეშველებინა თავისი ტოტები, თვითონ დაზიანებულიყო, მაგრამ ბებერი ხე სიკვდილს გადაერჩინა.

ამას დაიმახსოვრებს, ამ ხეებს.

სოკოების მძაფრი სუნი ეცა. უეცრად მუხლამდე ჩაეფლო მიწაში. წაიქცა, ძლივს ამოათრია ფეხი. არც შარვალი დასვრილიყო, არც ფეხსაცმელი, ალბათ, სორო იყო წვრილ-ფეხა ნადირის.

დიდხანს იარა. ერთი-ორჯერ შესასვენებლად წაიწია სხეულმა, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ახალი და ახალი სივრცე ამოიწვერებოდა და თვალს აცოცხლებდა.

მოულოდნელად სიბზოს შეეფეთა, ნამდვილად შეეფეთა, რადგან მკვეთრი იყო სუსხიანისა და თბილი ჰაერის

ზღვარი. სინათლემაც იმატა თითქოს. მაღლა აიხედა. ტყის მუქი, მწვანე გუმბათი ალაგ-ალაგ გადახსნილიყო და ვეება, ლურჯ ფოთლებად მოჩანდა დანაკუწებული ცა.

გზა შეუმჩნეველად გავაკდა. იავო მთის თხემზე მიაბიჯებდა. აღმართთან ნაბრძოლი სხეულის სიმძიმე ახლა თვითონ მიაბენინებდა წინ.

შორს ხეებს შორის, პატარა ეკლესია დაინახა, კი არ დაინახა, ივრძნო—თითქოს ვიღაც უყურებდა, და თავი მიაბრუნა. ჩამავალი ფოთლების ათასწლოვან შრეებზე მდგარმა, საუკუნოობით ველური ტოტების ცქერას შეგუებულმა, მიტოვებულმა ეკლესიამ თითქოს იცნო თავისი შემქმნელი, და დაუძახა.

ეკლესია მართლაც პატარა იყო. იავომ გარსშემოუარა, მერე წელში მოიხარა და ძლივს შეძგრა დაბალ კარში. სამი ღამურა ეკიდა ჭერზე. წარწერა არსად ჩანდა, არც ჩუქურთმებით გაენებივრებინათ მცხეთიჯვარი. ასანთს გაჰკრა, კიდევ ერთხელ მოათვალიერა კედლები და ჭერიდან თავგადმომოხობილა საკუთარი ჩრდილი. ისევ გარეთ გამოვიდა და გადაწყვიტა სათითაოდ შეემოწმებინა ყოველი ქვა—იქნებ გადატრეცილი იყო ის ორი წრე...

რა იმედი ჰქონდა, ამ ეკლესიის კედლებზე ნახავდა თორმეტ და ცამეტსხივიან ჩუქურთმებს. მაშინ ნამდვილად დაიჯვრებდა, რომ მართალი იყო, გახმურდებოდა ეს ამბავი, განცვიფრდებოდა პროფესორი ბერიშვილი, ყველა ქვეყნის ჟურნალები დაწერდნენ საქართველოში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლის აღმოჩენის შესახებ... და იავოს შესახებაც...

უეცრად მუხლები მოეკვეთა.

მისკენ კაცი მოდიოდა.

თითქოს მიწიდან ამოძვრაო. მოდიოდა ჭიქურ, თვალს არ აცილებდა.

ნადირის დანახვა არ შეაშინებდა ისე, როგორც ამ კაცის გაჩენამ შეაშინა. ეს მართლაც გაჩენას ჰგავდა.

ცალ ხელში თოფი ეჭირა, ლულით მიწისკენ დაყირავებული.

მოდიოდა პირდაპირ, რავგორც ისარი, და თითქოს უკვე გვიან იყო—ველარ აიცილენდი ამ ისარს.

ეკლესია

იავოს რაღაც ძალამ მისკენ გადასადგმევინა ნაბიჯი, თითქოს დაიმორჩილა იმ კაცმა და თავისკენ მიიზიდა. მერე შეჩერდა, და ხეებს ახედა უდარდელივით. ეს იყო შეუგნებლად გამოხატული დიდი სურვილი, რომ წუთი, რომელიც სულ მალე დადგებოდა, ასევე უდარდელი ყოფილიყო.

კაცი თითქოს ისწრაფოდა იმ ადგილამდე მისვლას, საიდანაც ხმის მოწვევინა შეიძლებოდა. თითქოს ძლივს ივებებდა ყელში ათას მვრგვინავ სიტყვას. მაგრამ უკვე ახლოს იყო, სულ ახლოს და ხმას არ იღებდა. გაუპარსავი. მოღრუბლული სახე ჰქონდა, გახუნებული, ნაცრისფერი ხალათ-შარვალი ეცვა, სამოც წელს იქნებოდა მიღწეული.

ერთბაშად შედგა იავოს წინ, ეკვითსავსე ჭროდა თვალებით ტვინი გაუხვრიტა.

—საიდანა ხარ?!—კილო მკვახე იყო, თითქოს თავში ჩაარტყეს იავოს.

სადაც, სულის სიდრემში, შეურაცხყოფის გრძობა ჩაისახა. სისხლს გაჰყვა და თვალისდახამხამებაში მოედო სხეულს, მერე სიბრაზედ იქცა და გამოტყვრა:

—საქართველოდან!

პასუხი სასაცილოც იყო, დამცინავიც და ეჭვოს გამამღიერებელიც. იავო მიხვდა, რა ეჭვიც აღძვროდა ამ კაცს—ესეწყინა სწორედ, ამიტომ უბასუხა ადგებულად.

კაცს ზიზღიანად მოებლაშა ქვედატუჩი, გრძელი, ფართო კბილები გამოჩინა, მოუტიდებლად აათვალ-ჩაათვალიერა იავო. უნებურად იავომაც დაიხედა ტანისამოსზე; წითელი და ლურჯი პატარა კუბიკებით აჭრელებული კოვბოური პერანგი ეცვა, რომლის გულისჩიბიდან რქის ჩარჩოში ჩასმული შავი სათვალე მოუჩანდა.

კაცმა ეკლესიის კარებში შეჰყო თავი და სწრაფადვე წელში გაიმართა. მერე ხეების ძირებს დაადგა თვალი, ტოტებ-

ში გაიჭვრიტა, თითქოს რამეს, ან ვინმეს ეძებდა ზედ. მერე კოშკივით აიშარტა იაგოს წინ და ხელში თავისა ორლულიანი თოფი შეათამაშა. იაგოს მოეჩვენა, რომ კაცი დღავდა.

— საქართველოდან, არა?! ჰმ...—ბოროტად ჩაიღიმა,—კეთილი და პატიოსანი... რომელ რაიონში ვართ ეხლა?—მოულოდნელად მიახალა, თითქოს იაგოს დაბნევა უნდოდა.

—ცხინვალის... ალბათ, — ხელები გაშალა იაგომ.

— ალბათ?! რატომ, ალბათ?—კაცმა ფეხები გაჩაჩხა და თოფის ლულას ოდნავ თავი აუწია.

— რა ვიცი.. იქნებ, ეს მთა ცხინვალის რაიონს არ ეკუთვნის...

იაგო ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა, კაცის თვალებში ეძებდა ღიმილს, რომელსაც უნდა გაემდღავებინა, რომ ეს თოფიანი მიხვდა თავის უნებურ შეცდომას.

„ამას მე ის ვგონივარ,—გაიფიქრა იაგომ,—ამას გონია, რომ მე...ისა ვარ“

— რას აკეთებდი აქ?!

— ეკლესიის სანახავად ამოვედი... მითხრეს, ეკლესიააო...

— ვინ გითხრა?!

— სოფელში მითხრეს.

— რომელ სოფელში?!

— ერ... ერედვში!—ენა დაება იაგოს.

— აბა, გაიმეორე!—კისერი მოღრიაცა კაცმა.

— ერედვში! — ცივად თქვა იაგომ. თოფის ლულა გაშეშებულიყო, თითქოს ქანდაკებას ეჭირა ხელში.

„ ამას მართლა... ის ვგონივარ.“

— მერე აქ მარტო როგორ ამოხვედი უიარაღოდ, შენზე კარგ ვაქაცებს ეშინიათ აქ მარტო ამოსვლა,—და მოულოდნელად შესძახა, — სად დამალე იარაღი?!

იაგოს თითქოს ლოყები დაუშვამია მოვარდნილმა სისხლმა.

— თქვენ... თქვენ ვინ ვგონივართ მე!

— ვინცა მგონიხარ... სად ისწავლე... სად გასწავლეს ქართული?!

— სადაც თქვენ გასწავლეს, გასწითიქით თოფი ..

იაგოს ფერი აღარ ედო სახეზე. იმდენად იმით კი არ იყო შეუტრაცხყოფილი, რომ ამ კაცმა საზღვრის გადმომლახავ, თუ თვითმფრინავიდან ჩამომხტარ ვაშუშად მიიჩნია, სწყინდა ის, რომ ქართველად არ შეიცნო. ასე ნაღდი—ცხვირ—ბრტყელა, უღვაშა ქართველი, ასე ნაღ თბილისურ კილოკავზე მოლაპარაკე.

„აბა, ვის ვგავარ?“

— რა გქვია, რა გვარი ხარ?!—ისეთი მკახე ხმა ჰქონდა კაცს, კი არ ჰკითხა, თითქოს შოლტი გაუტლამუნა იაგოს ყურებთან.

ფიქრით და ეჭვით საცეც ორი ჰროლა თვალი ფხიზლად უდარაჯებდა იაგოს სახის ყოველ ცვლილებას, იაგოს ხელებს. ამ სიბერესმიღწეული კაცის ჩაფხვნილი, ჩაქირული სხეული, თითქოს მისი ჰროლა თვალების თავშესაფარ კოშკად იყო შექმნილი და ყოველ საგანგაშო წუთს სათოფურებიდან იხედებოდა ორი თეთრი გუგა.

იაგოს უნდოდა ეთქვა, რა გვარისაც იყო, უნდოდა ეთქვა, რომ ცოლშვილი ჩამოიყვანა საზაფხლოდ ტასო ფავლიანიძესთან, ცოლის დეიდასთან, ვაგონილი ექნებოდა, ალბათ, ამ კაცს დეიდა ტასოს სახელი. უნდოდა ეთქვა, რომ თბილისში მსახურობს, რედაქციაში, და მოწმობაც ამოელო ჯიბიდან, ჩამოეთვალა საქართველოს ყველა ქალაქი და სოფელი, ეთქვა თუნდაც, კოლმეურნეობა როგორ უხდის შრომადღეებს ტყისმცველებს... ტყისმცველი იყო, ალბათ, ეს კაცი. ისიც წაემატებინა ნიშნისმოგებით, თუ ამ ტყეში როგორ დაგლიჯა ტილიანთ სანდრო დათემა. მაშინ ხომ დამშვიდდებოდა, ხომ გაუქრებოდა ეჭვი, ხომ დარწმუნდებოდა, რომ შეცდა და ბოდიშსაც მოუხდიდა ალბათ. მაგრამ იაგოს რატომღაც არ უნდოდა ამრიგად თავის გამართლება, წინასწარ გრძნობდა, ასე რომ მოქცეულიყო, უკმაყოფილება დაეუფლებოდა, რაღაც ნაღქი ჩარჩებოდა გულში, ამ კაცისაც შერცხ-

ვებოდა და თავისი თავისაც. მაგრამ სხვა რა ეთქვა და როგორ ეთქვა, არ იცოდა, და უყვირდა, რომ არ იცოდა. თითქოს პირველად დაფიქრდა ამაზე, თავის სიცოცხლეში თითქოს პირველად მოსთხოვეს დამტკიცებინა, რომ აქაური იყო, ამ მიწაზე დაბადებული და გაზრდილი, ამ მიწის ერთგული... სასაცილო იყო პირდაპირ—იავოს უნდა დამტკიცებინა, რომ იავო იყო, რომ მისი სამშობლო ნამდვილად მისი სამშობლო იყო. ამის დადასტურება კი საქართველოს ყველა ქალაქისა და სოფლის ჩამოთვლით, ანდა, რედაქციის მოწმობის ჩვენებით საშინლად დამამტკიცებელი ეჩვენებოდა. რაღაც სხვა უნდა მოეძებნა იავოს, რაღაც სხვა სიტყვა, იქნებ, ბრძნული, იქნებ, გულუბრყვილოც, მაგრამ მართალი, ნაღდი სიტყვა. ანდა, იქნებ სიტყვით კი არა, რაიმე საქციელით უნდა გამოხატულიყო ეს, უბრალო მოძრაობით, უბრალო გამოხედვით, რომელიც ათას სიტყვაზე მეტს ეტყოდა მოხუცს...

იავოს ხმამალა გაეცინა. ეს საინტერესო თამაშობას ჰგავდა. თითქოს მოხუცმა შესთავაზა, ჯაშუშობანა, თუ შესაზღვრებანა ეთამაშათ, ოღონდ სერიოზულად, ეთამაშათ, არ გასცინებოდათ, გაიფიქრა ეს და გაეცინა.

— რა, ვერ გამოიგონე საკუთარი გვარი? რა გაციენებს?!

იავომ ტყისმცველს შეხედა. ახლა უკვე აღარაფრად ჩაავლო მისკენ მოშვერილი თოფის მეტყველი ლულა.

— გამოიგონე... მაგრამ არ ვიტყვი!

— რატომ?

— იმიტომ, რომ სისულელეა, განა ვერ მიხვდით, რომ აქაური ვარ? აქამდე ვერ შემატყვევთ?

— არაფერი გეტყობა...

— თქვენ რა გვარი ბრძანდებით?

— მე ვინცა ვარ, გაიგებ, ცხინვალში რომ მიგვარი!

იავომ იგრძნო, რომ თავს ველარ შეიკავებდა.

— თქვენ თუ ნამდვილად ეჭვი გებათ რებათ ჩემში,—თქვა მან და ნერწყვი

გადაუღალა,—მკითხეთ ისეთი რამე, რომ დარწმუნდეთ—მართლა მტერი ვარ, თუ მოყვარე. მკითხეთ! *ერქანულში*  
როგორ უნდოდა იავოს, ასეთი შეკითხვა მოეფიქრებინა ტყისმცველს.

— ეგეთი შეკითხვა არ არსებობს — თქვა კაცმა,—ეგრე რომ იყოს, იოლად წავიდოდა ქვეყნის საქმე...

— მაშინ მკითხეთ, რაც გნებათ, ოღონდ მკითხეთ.

— ჰოდა, მეც გეკითხები,—ინჟინერობებით ჩაიღიმა მოხუცმა,— რა გქვია, რა გვარი ხარ-მეთქი.

იავომ შუბლზე ოფლი გადაიწმინდა ხელისგულით. შეამჩნია, როგორ დაძაბა და ერთბაშად მომართა ამ მოძრაობამ ტყისმცველი.

— იავო მქვია, ვაშაქიძე ვარ გვარად.

— სადაური ხარ?

— თბილისში ვცხოვრობ.

— რომელ ქუჩაზე?

— ძნელადის სამოცდაერთში...—იავო მიხვდა, რომ მოხუცი თავის ყველაზე „რთულ“ შეკითხვებს იძლეოდა.

— სად მსახურობ?

— რედაქციაში, სადამოს გავხეთის რედაქციაში, მეოთხე გვერდზე რომ მიცვალებულებს აცხადებენ... ტიღანთ სანდრო რომ დაავმა დაგლიჯა, ალბათ, ისიც ჩვენს გავხეთში იყო გამოცხადებული,—იავოს უეცრად შესძულდა საკუთარი თავი.

„მაინც ისე გამოვიდა, — გაიფიქრა მან,—მაინც ისე, ბავშვურად“.

სიძულელიღმა თითქოს ისკუბა და მოხუცს დააცხრა თავს. ზიზღით აივსო იავოს გული... ამას, ამ ბებერს არ სჯერა არაფერი... ამცირებს იავოს, მიწასთან ასწორებს ამ უმეცარი შეკითხვებით. ალბათ, არაფერს არასოდეს არ დამცირებულა ასე, არავის არასოდეს დასჭირებია ამის მტკიცება... სისულელეა, რამხელა სისულელეა... ეს ბებერი უბოდიშოდ მოითხოვს მისგან საბუთებს, ისიც ხელში თოდმომარჯვებული, და თვითონაც არ გაეგება, როგორი უნდა იყოს ეს საბუთები... არა, არ თამაშობს, ნამდვილად მოითხოვს.

ტყისმცველს ტუჩები მოკუმვოდა, სა-  
თოფურებიდან გადომოდგარი ორი ჭრო-  
ლა გუშავი თრთქოს შეეცვალა, ახლა  
უფრო ეჭვიანი, უფრო სასტიკი გუშა-  
გები დაეყენებინა.

— გამიძებ წინა!—თოფის ლუღით  
მიანიშნა,—დანარჩენს იქ გეითხავენ!

იავო დაუძღვევლმა, აზარტულმა  
ქინმა შეიბყრო,—უნდოდა შური ეძია,  
სასტიკად დაეცინა ამ ბებრისათვის, გა-  
ეზიბარებინა მისი ესოდენ დიდი გარ-  
ჯილობა, ხელის ერთი წაყვრით ხუხუ-  
ლასავით დაენგრია მისი სიამაყე, შური  
ეძია ასეთი უადგილო სიფხიზლისათ-  
ვის.

„არაფრად ჩაგდებ!“

ეს იყო მისი ფიქრით ყველაზე დი-  
დი საყვედური, ყველაზე დიდი არზა.  
სხვა იარაღი იავოს არ გააჩნდა.

თავი მალა ასწია და, ვითომც აქ  
არაფერი, ეკლესიის კედელს დაუწყო  
თვალიერება, მერე ტანიც კედლისკენ  
შეაბრუნა, ორი ნაბიჯით მიუახლოვდა,  
რომ ვითომ უფრო კარგად დაენახა.

— გამიძებ-მეთქი!—გაკვირვების ელ-  
ფერი შეერაა ტყისმცველის ხმას.

თითქოს არც გაუგონიაო—იავო ნელ-  
ნელა, სვენებ-სვენებით მიაბიჯებდა  
კედლის გასწვრივ.

— შეჩერდი!—დაიგრგვინა კაცმა.

იავოს აღმურივით ედებოდა ის აზარ-  
ტული ქინი. მის შეტრაცხყოფილ სულს  
დაკმაყოფილება სწყუროდა, ამ წყურ-  
ვილით ისჩრბოდა თითქოს. ეს უნდა  
ყოფილიყო უტიფრული, მყვირალა შუ-  
რისძიება. აშკარად უნდა ეჩვენებინა  
თავისი სიძულვილი, და გრძნობდა—  
რაც უფრო მეტად შეშფოთდებოდა  
ტყისმცველი, მით უფრო შეიბყრობდა  
ჯიბრი იავოს და მით უფრო გამომწვე-  
ვად მოიქცეოდა.

„არაფრად ჩაგდებ!“

ჯიბიდან ფანჯარი და უბის წიგნაკი  
ამოიღო, გაშალა, და ვითომ რაღაცის  
ჩახატვა დაიწყო. ხან ეკლესიას ახედავ-  
და, ხან წიგნაკში ჩარგავდა თავს, ერთი  
კედელი განვლო და მარჯვნივ გაუხვია.

— შეჩერდი-მეთქი... გესვრი!—განგა-  
ში გამოტყვრა მოხუცის ხმა. იავო  
იავომ ღიღინი დაიწყო, გრძნობდა, რო-  
გორ უთრთოდა ხმა, მაგრამ არ გაჩუ-  
მებულა... მხოლოდ ასე, მხოლოდ ასე  
შეიძლებოდა ამ მოხუცის მოტყვება...

უეცრად აფეთქდა მთელი სამყარო,  
ჩამოინგრა ცა, შეიკუმშა გარინდული ჰა-  
ერი, იავოს ეძგერა და შეაბარბაცა.  
დიდხანს, დიდხანს მოუნდა ტყე ამ გუ-  
ლისგამხეთქი ხმაურის მიჩქმალვას.

სახეგაფითრებული იავო ეკლესიის  
კედელს მიყრდნობოდა, ტყისმცველს  
ხელი ჩაეველო მკლავში და ისე უჭერდა.  
თითქოს გადამოტყვევას ცდილობდა.  
დენთის მხრჩოლავი სუნი ასდიოდა ტა-  
ნისამოსიდან, მარცხენა ხელში თოფი  
ეჭირა ცალჩახახხადაცემული...

— სად მიდიხარ?!

იავო განცვიფრებული თვალებით  
შეჰყურებდა ტყისმცველს, კი არ შეჰ-  
ყურებდა, ათვალაიერებდა, როგორც  
უცხო ნივთს, რაღაც უცხო ნაკეთობას.

„როდის გააკეთეს ნეტავ ეს კაცი?“

— სად მიიზარებოდი-მეთქი!

იავოს რაღაც დაეცა მხარზე, დაიხე-  
და, საფანტისაგან დაგლუჯილი ფოთო-  
ლი იყო.

— ვასწი!

— ეკლესიას ვათვალაიერებდი...—წა-  
ილღულულა იავომ.

— რა დროს ეკლესიის დათვალაიერე-  
ბა იყო. ამხელა კაცი თოფით გადგა-  
ვარ თავზე.

— ტყუილად მადგახართ და იმი-  
ტომ, სულ ტყუილად. ამხელა კაცი რომ  
ხართ, უნდა იცოდეთ, რომ...

— გამიძებ, გამიძებ! მავას ცხინვალ-  
ში გავიგებთ... ეგ... ეგ... ეგეთი პასუხე-  
ბი შეიძლება ყველამ თქვას, ყველამ  
დაისწავლოს საჭიროების შემთხვევი-  
სათვის... მე ჩემს საქმეს ვაკეთებ...

მიაბიჯებდნენ ჩუმად, ნეშომპალა აქ-  
რობდა მათი ნაბიჯების ხმას. ტყის  
მწვანე ჰერა თანდათან იხურებოდა,  
თანდათან იმღვრეოდა სინათლე. იავოს  
ნაბიჯი გაუბრბოდა დაღმართში, შეგნე-  
ბულად ანელებდა სვლას.

...მილასლასებდნენ უდაბნოში ხახვა-გამომწარალი, გაძვალტყავებულნი... სამხრეთით დარჩენილიყო მრისხანე მეფე, ცხიერი ქურუმები, ძლიერი ქალდეა. მთელი ოჯახი განდევნეს, ბრძენი ვარსკვლავთმრიცხველის ოჯახი, ახალმა კალენდარმა თავხარი დასცა ქურუმებს, მოხუცმა ასტრონომმა წმიდა რიცხვი შეურაცხყო, ღვთიური რიცხვი—თორმეტი! ცამეტით წარყვნა იგი, წარყვნა რწმენა... ახლა ვედარასოდეს ავა მაღალ მთაზე, მაღალ კოშკში, რომ ყველაზე პირველმა დაინახოს ახალი მთვარის ძეწვევით ვიწრო ზოლი და ქვეყანას ამცნოს ახალი თვის დაბადება, ვედარასოდეს იღვსასწაულებს პირველ ნისანუს, ვედარც თვითონ, ვედარც მისი შვილები... ხელით ატარეს შვილებმა მამა, ზურგით ატარეს, და ერთ საღამოს თვალი მოჰკრეს ჩრდილოეთის შემზღულად დიდებულ მთებს. ასეთი მაღალი მთები არასოდეს ენახათ მათ, ამ მთებზე ასული ადამიანი ქვეყნად ყველაზე პირველად მოჰკრავდა თვალს ახალ მთვარეს... ღიმილი უკრთოდა ტუჩებზე მომავლად ვარსკვლავთმრიცხველს, მისი უკანასკნელი სიტყვები თხოვნას კი არა, ბრძანებას ჰგავდა—მრისხანე კოშკებით კიდევ უფრო აემალღებინათ ეს მთები შეალებს და სისხლის ფასად დაეცვათ ადგილი, საიდანაც ქვეყნად ყველაზე პირველად გამოჩნდებოდა ახალი მთვარე...

... იავოს ნაბიჯი გაურბოდა დაღმართში, შეგნებულად ანელებდა სვლას, რომ ტყისმცველს რამე არ მოლანდებოდა.

„რა უნდა ამ მოხუცს, — ფიქრობდა იავო — ნამდვილად რაღაც გაუქირდა — დამსახურება უნდა, სახელის მოხვეჭა. ალბათ, მთელი ცხოვრება შესწირა ამ მთებს, ამ ტყეს და მაინც ჩრდილში დარჩა, არავინ უფასებს, ახლა მაინც დამაინც უნდა ცხინვალში „მიმგვაროს“, ხელისუფლებასთან, თავისი „აქაურობა“ და ერთგულება იმით დაამტკიცოს, რომ მოყვარე შეიპყრო. მერე რა, რომ შეპყრობილი, ბოლოს, მტერი არ გამოდგება, მან ხომ „თავისი საქმე“ გა-

ავტო! მხარზე ხელს დაჰკრავენ და მოუწონებენ სიფხიზლეს... არა, ნამდვილად ცილს ვწამებ ამ ბებერს, ახლა მე ვწამებ ცილს“...

უეცრად უკან მოიხედა. შეჩერდა. თოფს რომ თვალი მოჰკრა, გაყინული სიბრაზე ერთბაშად გადნა და გადმოიღვარა:

— კი მაგრამ, რომ მომხვედროდა, რას ფიქრობდი?

— მოსახვედრად არ მისროლნია, თორემა... — თითქოს ელოდა ამ კითხვას ტყისმცველი.

„ახლა ხელიდან უნდა წაგლიჯო თოფი და გულზე დაადო, ვნახოთ, თვითონ როგორ დამიმტკიცებს“, გაიფიქრა იავომ, მერე ხმაშლიდა თქვა:

— ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავით, რას იტყოდით, როგორ იმართლებდით თავს?

— მე ვიცი, რასაც ვიტყოდი...

— რას იტყოდით?!

— მე ვიცი—მეთქი, რასაც ვიტყოდი! „რას იტყოდი? ვერაფერს...“ — გაიფიქრა იავომ და გზა განაგრძო.

„იტყოდი, კარგადაც ვიტყოდი, — გაიფიქრა ტყისმცველმა.

„განა მაგის თქმა ერთი სიტყვით შეიძლება? ერთი პასუხით?“

„შენ მე თავი გამანებე, მე ვიცი, რაც შეიძლება...“

„ამის დამტკიცებას მთელი სიცოცხლე უნდა!“ — გაუელვა იავოს. და თითქოს რაღაც აღმოაჩინა, ახლა ნამდვილად აღმოაჩინა.

„ერთ დღეშიც შეიძლება, ერთ წუთშიც. შენ მე თავი გამანებე...“

„მთელი შენი სიცოცხლე!“

— რას ამბობ? — გამოეხმაურა ტყისმცველი.

— არაფერს! — მოიხედა იავომ.

„ხმაშლიდა წამომცდა?“

მოხუცი სულ სხვანაირი ეჩვენა ახლა — წარბები გახსნოდა, მკაცრი ტუჩები მოდუნებოდა, თვალები ცოცხალი ფიქრით ჰქონდა სავსე, ცოცხალი და მწველებლური ფიქრით—თითქოს ტანჯვით

იბადებოდა ახალი აზრი. და იავოს მოეჩვენა, რომ ტყისმცველიც იგივეს ფიქრობდა, იგივე კითხვა აწუხებდა, ალბათ, თავისივე სიტყვებს ჩაეფიქრებინა—მე ვიცი, რასაც ვიტყოდიო, და აღმოეჩინა, რომ თურმე თვითონაც ვერაფერს უბასუხებდა, ვერაფერს. და თითქოს ტყისმცველიც, იავოს მსგავსად, საკონებელში ჩავარდნილიყო, განეცვიფრებინა ამ მოულოდნელად მოსულ დასკვნას...

ტყე გარინდებულებო, თითქოს თავის ტოტებზემ დაეტყველებინა სიჩუმე, ზედ გადაჰფარებოდა და არ უშვებდა, გაფაციცებით ყურს უგდებდა ყოველ ჩქამს, ყოველ გაფაჩუნებას, რომ მაშინვე შთაენთქა და ისევ მარადიული სიმშვიდე დაემყარებინა...

ათასწლოვანი მუხებში ლაღად აშოლტილიყვინენ ცისკენ და ქვემოთ არ იყურებოდნენ, თითქოს ოდესღაც მიწაზე მომხდარ რაღაც საოცრებას სახტად დაეტოვებინა ისინი.

ყველა თანაბრად გაზრდილიყო, გაზრდილიყო იმ სიმაღლემდე, სადამდეც იზრდება მუხა.

უეცრად რაღაც სითეთრემ მიიტაცა იავოს მხერა. მიიხედა. ხე იყო გადაჭრილი, უზარმაზარი ხე, სამი კაცი ვერ შემოაწვდენდა მკლავებს. შიგ ძირში გადაეჭრათ ცულით. ირგვლივ თეთრ-

გულა ნაფოტები ეყარა.—როგორც სმენას შერჩენილი ყვირილი. მოშორებით წაქცეული ხე იწვია, ტოტებმაჩინებელი, ბოლოში სამარყუეო ჯაჭვის ჩასაბმელად ამოღარული.

იავო შეჩერდა.

—რა უქნია, ვიღაცა ყოფილა...—ხელი ვაიშვირა წაქცეული ხისაკენ,—წადლო მაინც, რაღას ქრიდა!

—წაილო!—მოესმა იავოს.

—წაილო? მერე აქ...—სწრაფად შებრუნდა ტყისმცველისაკენ.

ისიც შეჩერებულებოდა თავს აკანტურებოდა.

—ჰო... მაგრამ ბავშვი გაუხედა ავად და შეშინდა... ისევ უკან ამოათრია.

—რისი შეეშინდა?

—ხატის... ეს წმინდა ადგილია, რიდი და პატივისცემა აქვს ხალხსა, თორემ აქამდე ტყეს რა გადაარჩენდა!

იავომ გზა განაგრძო. თვალებს აცეცებდა, იმ გადატეხილ ხეს ეძებდა, მეზობელ ხეზე მიყრდნობილს და გადაარჩენილს. მის სიახლოეს იწყებოდა სოფლისკენ მიმავალი ბილიკი. არ უნდოდა შემეცდარიყო და სხვა ბილიკს მისდგომოდა.

ყური მიუგდო ნაბიჯების ხმას. მოეჩვენა, რომ ტყისმცველი უხალისოდ მოსდევდა უკან.



პ. ზვარცხელი

შორეთს იქითა შორეთი

თავი X

ფრონტი და ზურგი

ეგებ ეს ჩვენი კამათი გზაზე,  
ხანდისხან ფუჭი სიტყვებით სავსე,  
მაგრამ ცხარე და გულწრფელი ძალზე  
ვაგონში დიდხანს გასტანდა ასე,  
რომ ჩვენს მათორს ღიმილი ოდნავ  
და ჩუმი ოხვრა არ დასცდენოდა.

ეგებ ხელახლა აგზნების ცეცხლი  
თვითონ მინელდა, დაიწყო თვლენა,  
მზადყოფი მუღამ და ყველგან  
შესვლის  
ფრონტზე და ზურგზე კამათის თემა...

დიდხანის წინათ იქუბა ომმა,  
ქვეყანა სულ სხვა საქმეზე ზრუნავს.  
გეგმავს ჰექტარზე მოსავლის ნორმას  
და თითო სულზე — ხორბალს და  
ფოლადს,  
ახევეებს სარჩოს. ახევეებს დოვლათს,  
დანაკლისს იესებს სამშობლო სრულად,  
თითქოს და შვება იგრძნოო სულმაც,  
მტკნარი სიტყუე იქნება,  
რომ ვთქვა...  
სული, წარსულის ვარამით სავსე  
გადახდილ ტანჯვას იხსენებს, შფოთავს,  
ვერ ტოვებს სიწმინის დღეებზე  
მოთქმას.

ისევე დგება იმავე კვალზე  
ვით ზღვა უსაზღვრო, ნაღველის,  
სიმწრის,  
ვარამის, უქრობ დიდების შუქის,

კვლავ იბადება კამათში ფიცხი  
იგივე თემა: ფრონტის და ზურგის.  
თავისით ჩნდება, არ უცდის, არა  
ორგანიზებულ ღონისძიებებს,  
სხვადასხვაგვარად ინთება კვარად,  
ღღისით და ღამით როდი ცივდება,  
გზად. სასტუმროში თუ ჰოსპიტალში,  
ბორანზე, ტყეში, სად არ ბრიალებს,  
სტუმრად თუ სახლში — ცოლის  
წინაშე

თან გვახლავს იგი ადამიანებს.  
დაბაში, ოლქში, დედაქალაქში  
კლუბში, ყამირზე, მინდვრად. ყანაში,  
ყველგან მოგვეყვება ჩვენს ქვეყანაში,  
საგუშაგოზე, ფიცრულ ბარაკში  
აგარაკებზე თუ პოლარეთში  
ყირიმის მხურვალ პლაჟზე, სიცხეში-  
შორს ჩრდილოეთის უკუნ ღამეში,  
ნუ გაიკვირებთ, თვითონ ციხეშიც...  
მაგრამ სჯობია, როცა კამათის  
სათავე თვითონ არის მოსკოვში  
და შესართავი — სადღაც საზღვრამდის,  
შორს აღწევს, წყდება ვლადივოსტოკში.  
ასე, გზადაგზა. სამი თუ ოთხი,  
თუ ხუთი დღეა ბუობა გაგრძელდა.  
წყდება საკითხი ზურგის და

ფრონტის, —  
სად უფრო მეტად ჭირდა გაძლება.  
წმინდა რუსული იღვა საკითხი,  
სად მეტნაკლები დასახარველი  
იყო თვითეულ სულზე დატვირთვით  
პაპანაქება,  
ყინვა,  
საქმელი.  
უზომო გზნება და მხურვალეობა  
გამომწყვდეული გულში უქრობად,  
ფრონტელ ოფიცერს ცეცხლის ალუბად  
ფიჯაკს შიგნიდან გამოუქროდა.

თითქოსდა მტერი იყო აშკარა  
 ზურგში დარჩენილ ადამიანთა,  
 ორატორული ნიჭით ინათა.  
 ქვეყანას თავი რომ შეაყვარა, —  
 თვითონ სურკოვი ძლიერ პატარა  
 გამოჩნდებოდა, ალბათ, იმასთან.

ასე მეგონა ის ორატორი  
 მოხუც მამასაც არ შეარჩენდა,  
 თუ საამჟამოთი ანდა კანტორით  
 თავს აკადრებდა ზურგში დარჩენას,  
 ფრონტზე, ქარცეცხლში თუ არ  
 იბრძოდა.  
 არ გადმოლახა დნებრი და დონი...

მას ერთხელ ცხადად, როცა იწვოდა,  
 წუთით სიკვდილიც უნახავს, მგონი.  
 უსაშინლესი მწარე ჩვენება  
 გზაზე დაყვება, ბევრი წელია,  
 და ყველას მიმართ რისხვად ენთება.  
 ვისაც ის ცეცხლი არ უწვნევია...

მაგრამ მეტოქე მასთან ბჭობაში  
 ხალისით მოხუც მამას იცავდა,  
 შემოვლით უთხრა, მან კანტორაში  
 წლების მანძილზე რაც განიცადა.  
 მოქიშპის მხეცურ პათოსს პირისპირ  
 ხვდებოდა იგი ბრძნულ მოთმინებით,  
 რბილი ღიმილი ჰქონდა მინისტრის,  
 მსგავსად მამაკაც დიდი მდივნების,  
 რომლებსაც ვნების ცხარე წუთებით  
 გული ჩვენსავით არ შეუკრთებათ  
 და მოხსენებით შესვლის უფლებით  
 აქვთ უფროსებზე მეტი უფლება.

მან, ჯერ საგრძნობლად სახედალლილმა  
 თქვა, რომ ატომის ერამ აშკარად  
 უარჰყო ფრონტი, დიდხანია  
 მისი ყოფილი მცნება წაშალა.  
 უარჰყო ზურგის ძველი გაგებაც.  
 მაგრამ გარდასულ დღეთა მიხედვით.  
 ზურგში რომ მეტად ჰქირდა გაძლება,  
 ამას უჩემოდ ყველა მიხვდებით.

მან თან დასძინა:  
 მტერზე შეტევაც,  
 სიკვდილიც დროის მოსაველია;

სამშობლოსათვის თავგამეტება  
 ყველა ჩვენგანის წმინდა კვლევა...  
 არც თავის დროზე გამოარჩენია  
 მას ძველი სიბრძნის მოშველიება:  
 ქვეყნად გმირები არა ჩნდებიან,  
 იზადებიან ომში გმირებად.

კამათში თითქოს ყველა ჩაკეტა,  
 როცა მან ჩუმი ოხვრით დასძინა:  
 — ჰო, მაგრამ...  
 ზურგში ქვეყნის საქმეთა  
 არ შეუძლია ყველას დაძლევა.

უდავო სიბრძნე პაექრობისას  
 მოხაზა ბოლოს და თქვა: ცხადია,  
 დეიძლი ძმა არის ზურგი ფრონტისა,  
 მაგრამ უფროსი ძმაა ნამდვილად.

თქვა უცილობლად და თან ხელახალ  
 ოხვრით წარმოთქვა სიტყვა საჭიროს:  
 ზურგს დაეკისრა ქვეყნის შენახვა  
 და ზურგში სწორედ მისთვის დავრჩიო.  
 ესაც დასძინა, რომ განსაცდელში  
 კანონმა ზურგის დაცვა ურჩია,  
 როცა ითხოვა წასვლა ქარცეცხლში,  
 ხმა აღარავის არ გაუცია...

და ბოლოს იგი ცივად შენიშნავს:  
 უხერხულია აქ შედაგებაც, —  
 თანამედროვე ვითარებისას  
 იწვევს რიგებში არეც-დარეცას...

ამ დროს აღმოხდა ოხვრა ტიალი  
 ჩუმ, მსხვილ მაიორს ღრმა სიმძიმით,  
 თუთუნის წევის, ძილის ტრფიალმა  
 თქვა დამნაშავე კაცის ღიმილით:  
 რიგები რაა — მინდა განვმარტო...  
 რად დაგვაფიქრებ მაგ დარიგებით.  
 რა დაშავდება, რომ ვიკამათოთ,  
 რა გვაქვს ერთურთის მოსარიდები,  
 რადგან ჩვენა ვართ თვითონ რიგები...

ახლა მისმინეთ უმცროს ძმაზედაც...  
 რაც მითქვამს, ტრაზახს ვერ  
 დაუშმატებ.

გზა გამოვილია ჯარისკაცისა  
 ბატალიონის მეთაურამდე.

და მონაწილე რომ ვარ ათასგვარ  
 ბრძოლის, ლაშქრობის, ცეცხლში  
 სადილის,  
 ნება მეძლევა სწორად დავასკვნა:  
 ფრონტზე ყოფნაა ზურგზე აღვილი-

როცა შეატყო მან შეცბუნება  
 მოკამათებს, უთხრა: — ავიხსნით,  
 თქვენგან ნურავინ დამმედღურება,  
 უნდა მიეზლოს მართალს თავისი.

როგორც ამბობდა ჩვენს  
 მებრძოლეთან  
 ერთი ჭარმაგი სათადარიგო, —  
 რომელმაც დასთმო ერთი ცხოვრება,  
 მეორის ყადრი ფრონტზე გაიგო, —  
 სიბრძნეს ამბობდა იგი ნამდვილად:  
 „ომში თან გახლავს, რაც გაბადია“.  
 იღებ ყველაფერს ნორმის მიხედვით;  
 ქვეყანა შენზე ზრუნავს ხელგაშლით,  
 თუ ვერ დანაყრდი. მაშინ მიხედები, —  
 ხარ საგანგებო ვითარებაში.

შენი სახლ-კარი — სანგრად გაჭრილი  
 სიკვდილს პირდაპირ თვალში  
 შესტკერის,  
 და ხოხვით მოაქვთ შენსკენ საკმელი,  
 ხან თერმოსებით — ჩიი ცხელ-ცხელი.

თუთუნს, კილოგრამ პურის დანამატს  
 და სპეცულუფას  
 ერთად, პირწმინდად  
 ციდან გაწვდიან, წესის თანახმად,  
 თუ ვერ მოგართევს დედამიწიდან.

ბინის საკითხი სულ არ განადვლებს,  
 ხან სარდაფს ნახავ და ხან სასახლეს.  
 იქ არც სიდედრის გინდა ჩაწერა,  
 არც მერე მისგან თავის დაღწევა-  
 ყველა სიკეთე მუქთად გერგება,  
 ყველა დანახარჯს იხლის ხაზინა,  
 თუ მოგკლეს, განა ბრალი ვედება?...  
 ფრონტია, ცეცხლის წინახაზია.

ომში ხანგრძლივ თუ მოკლე  
 სიცოცხლეს  
 ახლავს სიკეთეც, ახლავს ცოდვებიც

და შენს გათბობას არყით ცდილობენ.  
 განუგეშებენ ახალ ცნობებით...  
 ახლოს მიმავალ ადამს მიჰყვები  
 თუ ბრძოლაში ხარ, როგორც ალერსი  
 შენზე სიმღერა, ქება-დიდება,  
 ყველგან პროზად თუ ლექსად  
 ჩაგესმის.

ზურგში სრულიად სხვა სურათია,  
 იმავე არსებად რჩები ამჯერად,  
 იგივე კაცი გქვია, ცხადია,  
 მაგრამ, რატომღაც, შენი არ სჯერათ...

ფრონტულ საკმელებს ველარც  
 დაყნოსავ.

ზურგის წესია დაუწერელი, —  
 თუ ტრამეაში წიგნაკს დათესავ,  
 სუფრა მოგელის დაუსწრებელი.

თუ დააშავე რამე ნამდვილად,  
 სანამ მიიტან ფეხებს სახლამდის,  
 სამხედრო კომისარიატიდან  
 მოვა უწყება-  
 მერე — ნახვამდის.

ფრონტზე არასდროს შიშობ ესოდენ,  
 ვი თუ სადმე ზურგში გაცხოვრეს,  
 თუ ასეულში რამე შესტკოდე,  
 ზვალ ოცეულში გამოასწორებ.  
 ან სასამართლოს განსაქიქებლად  
 თუ შეირცხვინე კაცმა უღვაში.  
 ჭკუის სასწავლად, დასარიგებლად  
 არ ღირს ვაგზავნა სადღაც ურალში.  
 არც აღრიცხვიდან მოხსნა, წაღება  
 ატესტატისა არის იოლი.  
 სადაც შესტკოდე, იქვე მახლობლად  
 დგას საჯარიმო ბატალიონი.

და ჩაგეთვლება აუცილებლად  
 სასჯელის ვადა იმავე რიცხვიდან,  
 წარმოებისგან მოუცილებლად,  
 ისევე, როგორც ზურგში იციან.  
 გულმონდობილად უსმენს მაიორს  
 ორი დამწყები დავა-კამათის  
 და თვით კამათი სულ სხვანაირად  
 წარმართა სხვა გზით, სხვა მისამართით.

მოხიბლულები დინჯი საუბრით  
 ახლოს მოუსხდნენ მას მოკრძალებით

ჩვენი სწავლული და მეზღვაური  
სამხედრო თუ სხვა თანამგზავრები...

ორდენოსანმა და თეთრქოჩორა  
მოხუცმა დათმო კუთხის ადგილი,  
თქვა თავმომწონედ და ყოყოჩურად:  
— მაინც ზურგშია ყოფნა ადვილი.

მყის იგულისხმა მან მაიორის  
წელან ნათქვამი და წარმატება, —  
თქვა: — ზურგში ყოფნა არის იოლი,  
სადაც დაბობება მაინც აცდდება.  
შახტში ყუმბარა არ დაგასკდება.

— ჰო, გაჩნია რა ყუმბარაა, —  
ვიღაც უწუნებს მახუცს მსჯელობას.  
ის ამბობს:

— სიტყბო არსად არაა,  
მიწაზე წეკო არ გაქვს — მწარეა.  
როგორც მიწის ქვეშ მოუწევლობა...

— ეჰ, წეკო სულაც არ მენადვლება, —  
გვერდით ვიღაცის ოხვრა მოისმა —  
სული სხეულთან მაშინ თანხმდება,  
როცა გაქრება ხსოვნა ომისა...

და მოწყალობე თვალში ნადველით  
ასეთი აზრის. დასკვნის სისწორეს  
დარბაისლურად თავის დაქნევით  
მედალისანი მღვდელიც იწონებს.  
ერთს აღნიშნავდა იგი დროული  
უხმო დასტურით, თავის დაქნევით,  
რომ ღვთის წყალობით უწყის ყოველი,  
რომ ძალა სხვისთვის შეუცნობელი  
მისთვის ოდითგან არის ნათელი.

და მაიორმა აზრი მებრძოლის  
აუღლევებლად როცა წარმოთქვა.  
კვამლი შემატა ვაგონს შებოლილს,  
თან წამოწოლას და ძილს ლამაზბდა..

ჯარისკაცური. ოდნავ უხეში  
ხუმრობა ღიმილს ანთებს უმაღვე  
და თავისთავად ქრება კუბეში  
ფრონტზე და ზურგზე დავა მხურვალე.

ახალ სივრცეთა სრბოლას მიბარდა  
ქალაქი და გზამ ჩამოარევა  
მთები კლდოვანი, წყება გვირაბთა,

ზემოთ — სარკმელის თავზე — ტაიგა.  
წრეში უვლიან ხან ღრმა ჭრამებზე  
ხან კაეოვანი მთების ქანებზე  
და სულში წელან შემოკრებილი  
სიტყვები მეწვის ცხელი ცრემლივით.

მითი შემცვლელი არც მიძებნია,  
რა მოხდა იყოს ძველად ნათქვამი —  
ფრონტი და ზურგი ღვიძლი ძმებია,  
ღიახ, საღ არის ძმობა მათგვარი.  
ორივ დევგმირი ძმა საამაყო  
ძველი დიდების მოზიარეა,  
ვინ უმცროსია, ვინ ვის კარნახობს,  
ვინ არჩევს — ტყუილი ძმები არიან.  
არც ურჩევიათ — საქმით რომელი  
ვის მორჩილებდა. ვით ხელქვეითი,  
გადასდეს დავა, ბეობა ყოველი  
მშვიდობიანი ჩვენი ღღვისთვის.

მაგრამ ეს თემა როგორ გაქრება,  
სანამ იცოცხლებს ქვეყნად ის კაცი,  
ვინც გადათხარა მიწა სანგრებად,  
იწვინა ფრონტის ყველა სიმკაცრე.  
ვინც აპურებდა და დაბრუნავდა  
ფრონტს ღრმა ზურგიდან — ედემ-  
ბალიდან.

და მოუწყვეტლად ჩარხთან, ქურასთან  
მუდამ თან ახლდა სახლი, მაგიდა.

მათ შემდეგ როგორ ჩაქრეს ხსოვნაში  
ის ვაეკაცობა და ის ღირსება,  
როგორც სიმღერა სხვა თაობაში  
შვილიშვილებში გადაიზრდება...

სიცოცხლისათვის როგორ იბრძოდნენ  
დევგმირი ძმები როგორ იღწვოდნენ,  
როგორ იწვოდნენ, როგორ მომბდნენ  
მაშინ.

მიანამდე.  
ღღემდე.  
ბოლომდე.

## თავი XI

### მოსკოვი გზაზე

როცა გატარებს დიდხანს შორეთში  
თბილი ვაგონი სავსე მგზავრებით,  
ჰგავს კომუნალურ ბინას, რომელშიც  
ცხოვრობენ შენი ნათესაებები.

მას ნათესავი ერქმის ნამდვილად,  
ვისთანაც ძმურად ას წელს იცხოვრებ  
და მას, ვინც გხვდება დილაადრიან,  
მთელ ღღეს ვიშხამავს, არ  
შევიცოდებს.

შემთხვევით შეყრილ ხალხში ბუნებით  
ღვარძლიანია მგზავრი, რომელიც  
შიგ დერეფანში დგას გამუდმებით,  
ხესავით შუქის მანრდილობელი.  
ვერც იმ მძინარასაც იცნობ თავიდან.  
ვერც იმ უძილოს ჯმუხა ტანისას,  
რომელიც ვაგონ-რესტორანიდან  
მოდის-ნაყლაბი შუალამისას.

ერთი მიირთმევს ჩაას უზომოდ,  
თან გათავდაო. წუხს გულნაკლული.  
უღვთოდ ხერინავთო, ძრახავს  
მეზობლებს,  
თვითონ ხრიალებს, როგორც  
დაკლული.

ერთს ეზარება შავი ღღესავით  
რადიაო  
გულით დააქვს მეორეს,  
ერთიც. მეორეც და სხვა მესამეც  
ხალხია,  
ყველას გზა ამეგობრებს.

გზას რომ მივთვლავ ვრცელ  
სამყაროსას,

მიძვირფასდება ასე ცხოვრება...  
მეზობლის ბინის უცბად გამოცვლას  
ჰგავს თანამგზავრის ჩამოშორება...

ღე. არ გაგეცნოს და არც გაეკრას  
მას შენთვის ერთი ღერი ასანთი,  
მაგრამ აჩოჩებს ხელმარგს კარებთან  
ღგება ვადასელის ღელვის საათი.

კართან მოწყენით ჯდება მარტოკა,  
ჩასვლამდე რჩება რალაც მანძილი.  
და მან ვაგონი როცა დასტოვა,  
შენი ცხოვრების წაჰყვა ნაწილი.

მაგრამ სულ სხვაა. როცა შორ გზაში  
ვინმეს პირველად ნახე, გაიცნობ  
და ეს გაცნობა მეგობრობაში  
გადაიზრდება სამარადისოდ.

არ დაავიწყდა მკითხველს, იქნება,  
ცოლქმარი — ახალნაქორწინებუ,  
რომ დაფრინავდნენ ზიარ ფიქრებთან,  
რომ ისხდნენ წყნარად და მოცილებით,  
ცხრამთას იქითვე ფიქრი ათოვდათ,  
ხმისგაუღებლად, ერთად მსჯელობით,  
სადაც პირველად მიისწრაფოდნენ  
საკუთარ კერის შემადგენლობით.

როცა ურალის ახლოს განლაგდნენ,  
მთები კოშკებად ამოწვდილები  
მგზავრებთან ფრთხილად  
ალაპარაკდნენ  
ის ჩვენი ახალნაქორწინებნი.

და, კრიტიკოსო, ცოტაც მოიცა:  
პირველყოფლისა შორს მგზავრობისას  
ასე ვიქცევით, ალბათ. ყველანი,  
მოგვაწყენს ხოლმე შეუჩვევლობა...  
ვანა აგარაკს გასცდნენ ელმავლით.  
უკან დასტოვეს მთელი ეგროპა.

ორივ მიენდო ახალ სივრცეებს.  
რომელიც მათ სულს გზაზე გახსნოდა  
და საიმედო საყრდენს იძენდნენ  
საუბრით მრავალ ახალ ნაცნობთან.

ღღის სინათლეზე, ცხადად, გარჩევით  
წვდებოდნენ ორნი ახალ მხარეში,  
რომ არ არიან ისევ ბავშვები  
და რომ დაიწყო სხვა ანგარიში.

კითხვები, მითქმა-მოთქმა, მსჯელობა  
დერეფანს აგსებს ძლივს გასაგონი.  
წყვილის გარშემო უკვე შემოკრბა  
მთელი აქტივი ჩვენი ვაგონის.

თანამგზავრებმა გზაზე შემთხვევით  
თითქოს სხვა დროის იგრძნეს  
სურნელი  
და შეურცხვენლად მასთან შეხვედრის  
ყველას აღეძრა წრფელი სურვილი:

არ დაუფრთხიათ მათ დრო ტრამბაზით,  
რომ იგი წარსულ დროს ვერ ედრება,  
არ დაუწყვიათ კენესა, ვაგლაზი,  
როგორც იციან ზოგჯერ ღედებმა.

რომელთა მოთქმა, რჩევა ჩიჩინი  
ყელში ეჩრებათ ბავშვებს საგზაოდ,

ვაითუ სადმე შეგხვდათ შიმშილი,  
ვაითუ უცხო ჰავამ დაგკადოთ.

მაგრამ დრომ, გზაში თავხესაყრელმა  
ჩვენც გვაიძულა გველაპარაკა.  
გვსურდა თემისთვის ხარკის ვადება,  
რომელიც თან აქვს ყველას მარაგად.

ითქვა: სატრფოსთან ცხრა თვის  
სავალზე  
ქობში ცხოვრებით ვინ არ იხარებს,  
მაგრამ მოხედრა ისევ არბატზე  
უფრო ძნელია, ვიდრე იმ მხარეს.  
ხო, ხო, სუყველას ასპირანტურა  
ვერ იტევს. მათ ჯერ რა უცხოვრიათ...  
დასაზღდნენ თუნდაც კალინინს.

ტულას,  
მათგან მოსკოვი არც თუ შორია.

ყველა თავლისკენ იწევეს მაშინვე,  
იმ მოხერხებულ კაცის მაგვარად,  
ვინც კამჩატკაზე ქალაქს აშენებს,  
ხოლო მოსკოვის ახლო — აგარაკს.  
ზოგს ციმბირისთვის თავდადებულის  
სახელი შერჩა. ხალხის წინაშე  
ხოლო მოსკოვში ცოლი ერთგული  
დარაჯად უზის თავის ბინაში.

სიტყვა ცოლებზე რადგან წამოგვეცდა...  
სადაც არ უნდა შეხვდეთ ცხოვრება,  
ჰო, მათ მოსკოვი უყვართ საოცრად,  
მხოლოდ ის არის მათი ოცნება,  
და შორს როდესაც გაიკიაფებს  
ლამაზ ოცნებად. გზის დამლოცავად,  
მოსკოვი ჩნდება, ვით ამოცანა,  
მოსკოვი — ჩვენი დედაქალაქი,  
მოსკოვი — ჩვენი თვალის სინათლე,  
მოსკოვი — ჯილდო ჩვენი ამავის.

არც დამნაშავე არის რამეში,  
ჩვენს მოსკოვს ბრალად ვერ დაედება,  
ერთი რომ არის და მის სახლებში  
სუყველა ერთად ვერ დაეტივა.

სამგზის გაშლილიც განა გაგვეწდება,  
სუყველას მაინც ვერ მოგვთავაზებს,  
თქვენი დრო დადგა, ახალგაზრდებმა  
განავრცოთ იგი მთელ ქვეყანაზე.

უღრან ტყეებში, ვრცელ ტრამპლებზე  
გასწოთ მასთან შეკავშირებით.  
თქვენი საქმეა! ყველას გაქმნენ,  
რადგან მომავლის თქვენ ხართ  
შვილები.

თქვენი საქმეა!  
წესით, უფლებით  
და ხმების რიცხვით თქვენ  
გეკისრებათ —  
გესმით ძახილი დედაბუნების,  
იგრძნოთ შშობელი მიწის ღირსება.

განა იმისთვის გზარდეთ, ვიარეთ,  
შეძლებს გვარად გიფრთხილდებოდით,  
რომ ჯანსაყვანი, სამაგიეროდ,  
მიწას გაუქცეთ, მისით ფრთხილდეთ.

ფეხდაუდგმელი, გადაუთხრელი  
გულში საჩუქარს მიწა გინახავთ,  
ჯერ უდაბური, გადაუხენელი  
გადაგებსნებათ ძვირფას წიაღად.  
თქვენ ვიხმობთ ქარი ტრიალტრამალთა.  
თქვენი ჯერია, იასპარეხეთ.  
და თქვენვე პასუხს აგებთ თამამად  
სამშობლოს ყველა წინა მხარეზე.

ჩვენი ბუნება ვრცელი, დიადი  
თქვენ გებარებათ, თქვენმიერია,  
პურით და წყალით, სითბო-სინათლით,  
რითაც სიცოცხლე მშვენიერია.

მკაცრო მკითხველო. თვითონ  
მიხვდები,  
ლექსი უფლებას ითხოვს თავისას,  
დე, არ თქმულიყოს გზაზე სიტყვები,  
ისეთი, როგორც ახლა გაისმა.  
ხალხიც, ტრამპუნა რადგან არ ჰქონდა,  
ორგზის უბრალოდ ლაპარაკობდა...  
და აი, ქმარმა, ჩემმა ყმაწვილმა  
მარჯვენა მალლა უცბად ასწია...  
— მეც ვიტყვი, —

თქვა და ცოლზე უფროსად,  
თანაც თავიან კაცად გამოჩნდა,  
ვისაც ბუნებამ გზა დაულოცა,  
რომ ჩააბაროს მკაცრი გამოცდა.

— ნება მიბოძეთ, — თქვა მან  
ხმადაბლა. —  
თვითონ ვისურვებ აქეთ წამოსვლა,  
ვიციტ რა გველის, რა ხათაბალა,

მაგრამ სირცხვილმა დაგვანამუსა.  
ყველა სიმღერა ფუჭად დარჩება,  
ყველა წერილი, ყველა მსჯელობა,  
თუ მსურს, ტულაში უცხად ჩამჭედდეს  
მე ნათესავე ხელმძღვანელობა.

რა საჭიროა გითხრათ სიცრუე,  
თითქოს მოსკოვი მიყვარს ნაკლებად,  
თითქოს შემჯავრდა ან მოვიძულე  
და მასთან გაყრა არ მენადლევა.  
თავს არც ამაოდ დავიმიმდებ,  
შორიდან უფრო მოჩანს ედემად.  
მაგრამ ყოველი მისი სიკეთე  
ჩემს სინდის-ნამუსს ვერ შეედრება.  
გვევლო განდაგან, თვალთა ცეცებით,  
შეგვძულდებოდა ჩვენი სიცოცხლე.  
ამიტომ სულ სხვა გზას დავეძებდით,  
ქალო, თქვე რამე, რად დაიმორცხვე?

ერთად ვისხედით მათთან კუბეში  
და ცოლი ჭაბუკს დაბლა კუთხიდან  
შესციციინებდა თვალის გუგებში,  
თითქოს სიყვარულს ახლად უხსნიდა.  
ყმაწვილ ქალს განა უთქვამს პირველად  
ჩაბუდებული გულთამბილველად  
მათი ზიარი ფიქრი: — სწორია,  
სადაც ჩვენა ვართ, იქ მოსკოვია...  
თქვა მან და მზრები ოდნავ აწურა,  
თითქოს ანიშნა — დღეს მეკითხები?  
და ყველამ ერთად დაადისტურა,  
რამ ითქვა წრფელზე წრფელი  
სიტყვები.

მათი ნათქვამი, დაე, ცხოვრებამ  
არწყოს თავისი მკაცრი სარწყულით,  
მძლე სიყვარულიც ხვალ შემოწმდება,  
ახალ ოჯახის კვამლად დაძრული.

იმ ახალ ოჯახს ჩვენი მსჯელობა  
დარჩეს საწინდრად კერის, სიკეთის  
და მოუხდება მათ ჭანჭრთელობას  
თვით შორეული ცხრამთასიქეთიც.

მზარე უცნობი, ვერ უხილავი  
ვადანე ადრე არ გარდაგვშლია  
და მოსკოვიდან თუმც შორს ვიყავით,  
მოსკოვი იდგა გზაზე მაშინაც.

მოსკოვი კვეთდა ახალ სივრცეებს,  
ჭრიდა ფოლადის ხაზით ამაყად,  
ტაიგას, ველებს, კლდეებს ისევე

ტოვებდა იგი სარკმლის ვადანე,  
ყველას სარკმლის იქით ტოვებდა  
თვითონ კი — თემა ამ მასწავლებლის  
ვაგონში გვედგა თბილ მუხურობად  
გრძელი რკინიგზის ბოლო შპალამდის.

აქ იყო ქვეყნის თავით ბოლომდის.  
არად აგდებდა ავდრის მოლოდინს;  
თან ახლდა სითბო, წესი თავისი,  
დედაქალაქის შესაკადრისი.

და ელმავალი დიდხანს ნამგზავრი  
თუ სადმე წუთით შეჩერდებოდა,  
მცირე ქალაქი, თუნდაც ვაგზალი,  
მოსკოვის მსგავსად გვეჩვენებოდა.  
წყალსატუმბავსაც — მასთან საერთო  
ძველი კულტურა ეტყო ხანდაზმულს,  
როგორც „ლუდს და წყალს“ და  
სავაზეთო  
ჭინურს. რემონტის გამო ჩარაზულს.

თანდათანობით ასე არღვია,  
მოსკოვმა სივრცე ძაფად დაქსაქსა,  
დამშვიდობება მასთან აღრეა —  
მისი კიბიდან გზაზე გადასვლა.  
ციმბირში უცხად როცა გაჩნდები,  
შენთვის ნახევრად უცნობ წერტილზე.  
ქვეყნად მთვარის ქვეშ როცა დარჩები,  
სადაც მოყვასი მოგწერს წერილებს,  
სადაც იცხოვრებ და დაიმკვიდრებ  
მიწას და მისას ნახავ სიმდიდრეს,  
გაათბობ შენი გულის სითბოთი,  
მაშინ უთხარი მოსკოვს: — მშვიდობით!

იგი ცოტახანს რიდით დავიცდის,  
ელმავალს დაძრავს ნელი შერხვეით  
და გაგშორდება, მაგრამ რა ვიცი...  
...

ეგებ ჩამორჩა გზაზე შემთხვევით?  
ეგებ კიბეზე ჩამოკიდდება  
შესძლო როგორმე... მიდი, შესძელი...  
არა?

დაწვევა არ მოვინდება?  
მაშ გავიმარჯოს. იყავ დღეგრძელი.

ღრო დადგა მათი გაიკოვებისა,  
ჩადიან ახალნაქორწინებნი,  
მთელმა ვაგონმა გაჩერებაზე  
დავლოცეთ ცხრაგზის დალოცვილები.

თითქოს ცოლ-ქმარი ჩვენვე გაეზარდეთ  
და ვაცილებდით მათ საგანგებოდ,

თითქოს პირველად ჩვენ შევამზადეთ,  
შორი მიზნისკენ ვზა რომ გავგნოთ.

თითქოს ესაა ჩვენი ამაგი,  
ასაკით მათზე რომ ვართ ხნიერნი,  
თითქოს ერთმანეთს ჩვენ გავაცანით,  
დავაქორწინეთ დღებდენიერნი...

აი. ისინი ჩანან საღვურში,  
ხალხის ტალღაში თვალი აცილებს,  
თითქოს ვუმზერდეთ ვაგზლის

ხმაურში

გარდასულ დღეებს და სიყმაწვილეს.  
თვალი უმწარეს ხსოვნას აღვიძებს  
და თან ნათდება. ისევ იმედით...  
როცა ახალი დროის ძახილზე  
შორეულ გზების ბილეთს ვიღებდით.

ისევ ის გზაა და სხვა წლებია!  
ნორჩი ცვლისათვის, აღბათ, არ ღირდა,  
რომ გვეთქვა. (კი არ დაგვეწყებია),  
უფროსებს მათი გეშურდა რაჩივად.

ამ ხალხით, — ვისზედ იმდს  
ვამყარებთ,—  
საგსა ჩვენი კობტა მთა-ბარი.  
სივრცე, სიცოცხლე, მთელი სამყარო  
ისევ ისაა და თან — სხვაგვარი.

## თ ა ვ ი XII

### ანგარაზე

დრო იყო მძიმე, ღირსსახსოვარი,  
როცა ვიხილე მგზავრმა ანგარა,  
მშენებლობაზე რთულ ამოცანის  
გადასაწყვეტი ვადა დამდგარა.

იგი ბევრისთვის ახლად ბრწყინავდა,  
ვისაც უნახავს ცეცხლიც, სანგარიც,  
მზად ყველაფერი იყო წინასწარ,  
რომ გადაეჭრათ წელი ანგარის.

ყველა მზად იყო,  
ყველას მიზანი  
წინ გაჭრა იყო მკვირცხლი ნახტომით.

ყველა მანქანას ძარა მზად ჰქონდა.  
რომ მივარდნოდა წყალს ჩასაქოლად,  
მზად იყო ყველა ამწეს ისარი  
და ციცივი ყველა ექსკავატორის.

ვიწროვდებოდა წყალი თანდათან,  
მიწყაროვს ფშვნიდა ძალით ჰარბავი,  
გრძნობდა — მოსდევდა ძლიერ  
ნამატად

ბაიკალიდან წყალის მარაგი.

დიდი მდინარე ტალღებს ჰაველებთან  
აწნავდა ცინცხალ ფერთა ციმციმით.  
ფსკერზე ატანდა გამჟვირვალეზა  
ჩქეფდა ველური, წმინდა, ციცივი.

გლუვ ზედაპირის გადმოშუქებით  
ტალღას ტალღაზე სწრაფად აფენდა,  
თითქოს მდინარე არად აგდებდა,  
წლობით რომ სდევდნენ და  
გამუდმებით

ემუქრებოდნენ მას დაგუბებით.  
მიისწრაფოდნენ მისკენ ხერელებით.  
ქანებს არღვევდნენ მიწის მთხრელები.  
მრავალ მდინარის დამორჩილება  
თან ახლდათ მდიდარ გამოცდილებად.  
და მძლავრი ძალა ზურგით,

ფლანგებით

დღე-დღე იწვევდა მისკენ სანგრებით,  
მუხლი ბელღურად გადაუღობა,  
ფსკერში და ფსკერქვეშ ჩაედუღობა;

ბეტონის ზღვარად ჩაწვა სიღრმეში  
ფოლადის ძარღვებგადახლართული,  
რომ არ შეირყეს იგი მის დღეში  
ზედ ფსკერის სილა, ღორღი და ხრეში  
გადაეყარა მთლად აღმართული;  
ეშმაკურ ფანდით და ანგარაშით  
სივრცე თანდათან გამოაცალა,  
წყალი გაუშვა ვიწრო კარებში,  
რომ გადაეცეტოს ხვალ წყალსაცავად.

უკვე მოჩანდა ხიდი პონტონის —  
ჩქერზე — რგოლიდან რგოლზე  
გამბული,  
და რომ დადგება ქამი დათქმული,  
იქიდან უცბად ათას ტონობით  
ტვირთი ფსკერიდან წაიგდგაფუნით.

იმ საათს უკვე ყველა ელოდა  
დიდი ზეიშით და თადარიგით.  
ჩანან სტუმრები, ხელმძღვანელობა  
სხვადასხვა ჩიხის, რანგის, თანრიგის.

ახალჩამოსულ კორესპონდენტთა მოუსვენარი ურდო ფაქტობრივად, „ცენტრალური“ რომ ეწოდება, ავსილა ერთადერთი სასტუმროც. ბრუნავს, ტრიალებს ხალხის მორევი, წყალთან გროვდება ყველა საექტერლად, გადახედავს ერთიმეორეს:

— ხო-ხო...

მაშინვე ერთხმად დაცდებით. იწყება მითქმა-მოთქმა, ყაყანი, ყოვლისმცოდნეთა ბრძნული

მსჯელობა.

ვარაუდობენ, რომ ცოცხალი ხანი არ ეყოფოდა რთულ მშენებლობას, ახსენეს რისკი, თავმჯდომეობა და მითითება — სადღაც ზემოდან. თქვეს, რომ ახალი დენის ნაკადი, მსგავსად ვოლგისა და სხვა მრავალის, ძღვენი არ არის თავისთავადი.

ესაა დიდი ხარკი ბუნების და ივლის ხალხის განკარგულებით.

ცენტრი შემოკრებს კელებს უსიერს, ციმიბირს უმღერენ ერთი ოჯახით, აგუგუნდება ბრატსკი, უსტიე, ხვალ ენისეი ეტყვიით მოძახილს.

აქ კი,

ზამთარზე არანაკლებად მკაცრია სიცხე, პაპანაქება, ხანძარი თითქოს ცხვირწინ მინთია, — ოდითგან უღრან ტყეთა ვარამი, წებოვან ხიდან ხეზე თრითინად დახტის ალმური გულშემხუთავი, თითქოს ხშირ ფოთლებს ახვევს

მიღებად

და შორ სივრცეებს არ ეძინებათ, ხანძრის გარშემო ჭარი მწყრივდება, თვითმფრინავების რაზმი განგაშით შემფოთებული დაქრის ლაქვარდში.

ამ დროს შმაშურით მოდის ანგარა, ქაელების დაწვნი ალარ სწყინდება და ბაიკალის წყალი ანკარა სიცხეში თითქოს ათმაგ ცივდება. მოდის, ვილური ძალით ლამაზობს მკერდგაქაფული, წმინდა, უდრეკი,

ყველა მზადა.

უნდა ჩარაზონ.

აბა მიდი და წინ აღუდგები.

ხალხი ვიდოდა კვირა დილიდან შეძლებისამებრ გამოწყობილი. და თავს მდინარის პირას იყრიდა ცოლ-შვილით, თავის დობილ-

მობილით,

უცნობ ქალაქელ მუშას ზეიმზე, აქაურ მუშას, ვის არ ნახავდი, როგორც მოსკოვის გუშში ზედიზედ მკერდით მიიწევს ხალხის ნაკადი. ერთია მათი სწრაფვა, წადილი: ეგება ხილთან ერგოთ ადგილი.

შუადღე ენთო, როგორც ხანძარი, ხალხის ზღვა უფრო ატალღებულია, გეგონებოდათ ქრელი ბაზარი, მაგრამ წესრიგი არ დარღვეულა. ზოგი მათგანი — ყრმა თუ ბებერი. იყო სეირის მაყურებელი, მძლოლებიც ჩანდნენ. ესეც ზედრია. სწორედ ამ ცვლაში ვერ მოხვედრილან. ზოგი მოსულა, შვილის შეხედვა ან ქმრის დანახვა უნდა იმ წაშში, როცა მანქანით წყალს შეეხლება იგი ათასი თვალის წინაშე. გზის მახვენებელ ქალთა შორისაც, ხიდზე რომ წევდნენ მორიგეობას, ზოგი თავსაფრის ფერით შენიშნავს თავის ქალიშვილს, ზოგი — მეგობარს.

და უნებურად ხალხს თადარიგი ახლდა, როგორც ზეიმს ეკუთვნის, იცოდნენ; იდგა სულ სხვა თარიღი. არ ტარდებოდა მატჩი ფეხბურთის. ხალხი სხვარიგად. სხვას საუბრობდა, სხვა ეშხი ჰქონდა სიცილს. ხუმრობას. იქვე, მდინარის დათხრილ ნაპირთან, როგორც ჩახუთულ სკაში, ჩამგდარა ფიცრულ ჭიხურში შტაბი თათბირად

მშენებლობაზე მათ აბარიათ: წყალი, ხმელეთი, თვლები. გზაშარა. ყველამ თავისი თქვა. დაამთავრა, საიერიშო ვადა დამდგარა.

სიტყვები შეწყდა.  
უცდით ანგარა.

წრე თვალდათვალვე მოიხაზება,  
ხელმძღვანელობის შესამოწმებლად,  
უფროსი ჩუმად საათს დახედავს  
და მაგიდიდან მხნედ წამოდგება.  
იგი გემრიელ ბოლო ნაფაზით  
თითქოს მხრებიდან გაღისვრის გორას,  
თან ძველი ქუდით, როგორც ფალასით.  
მოწმენდს მაგიდას და იტყვის:  
— დროა!

დროა!  
ღრიალი ატყდა ძრავათა  
და მტერის ბოლქვებში, იმწამს,  
ზედიზედ  
თვითმცლელთა რაზმი ტვირთით  
აეარდა  
ათამაშებულ ფიცარფენილზე,  
ფართოდ, პირუკუ აპყვენენ დინებას  
ჩამწკრივდნენ მთელი ხილის სიგრძეზე,  
როგორც ვარჯიშზე, გაჩნდნენ რიგებად,  
ყალბზე შემდგარნი ფიცრის კიდებზე.  
უცბად ჩამოსხლტა ალამ-სიგნალი  
და, თითქოს საღდაც აფეთქებული,  
სალი კლდეების გრუხუნ-გრაილი  
ნაპირს მოაწყდა დაფეთებული.

რკინა-ბეტონის მძიმე კუბები,  
ათტონიანი ქვის ზანდუკები,  
პირველად როცა ხედება ანგარას,  
ხნულებს აქაფებს თეთრ ნიაღვარად.  
წამს ცისარტყელას ათინათებით  
გამოკრთის, ისვრის ტალღას  
დაფლეთილს.

ისევ იცვრება.  
თანაც ეტყობა, —  
ტვირთი, რომელიც გადაეღობა,  
მოაქვს მდინარეს, ნელა აგორებს.  
და ფიჭალოვან ფსკერზე აგროვებს.

მბრუნავი ტალღის თავზე ფოლადის  
აღჭურვილობით ახრიგინდება  
და შეირხევა ხიდი ხალვათად,  
შემსუბუქდება, მაგრამ მოვარდნილ  
ტვირთის სიმძიმით კვლავ იდრეკება,  
ისევ იხრება იგი ტალღასთან.

ტვირთქვეშ დადგომა დახედებით,  
ისევ მწკრივდება რაზმი

თვითმცლელთა  
შუაგულიდან და გვერდებიდან  
მიზნისკენ ყველა ერთად იწევდა.

დატვირთვის შემდეგ — ხიდი,  
დატვირთვა  
და ისევ ხიდი ბრუნავს ბორბალი.  
შოფერი შოფერს იმედს აწვდიდა  
როგორც ღვიძლი ძმა და მეგობარი.

თანაზიარი ნდობით, ღირსებით  
ასე მხარამხარ, შეთანხმებულად,  
სვლა, მოძრაობა წრეხაზისებრი  
ხილზე წამითაც არ დარღვეულა.  
ჭერ ამოცანა, ღელვით აღსავეს,  
გზნებას შინაგანს არ ამქლავებდა,  
კარგად დაწყებულ იმ ბრძოლასავით,  
ღრო რომ აკლია გასაჩაღებლად.  
ვიხსენებ მძიმე საათს მაშინდელს:  
მწარე წამს ცხარე წამი აცხრება —  
თუ საჭურველი არ მიაშველეს.  
ბრძოლა უცეცხლოდ ჩაინაცრება.  
წინ მანქანები მიჯრით იწევენ  
წყალზე გაჭიმულ სიმზე შემდგარნი;  
სვლას არ უქლებენ, თავს არ  
ირცხვენენ,  
არ უდრკებიან ხიფათს მელგარნი.

მათში არტელის სულისკვეთებად  
თავდავიწყების წუთი მეფდება,  
რომელიც კრებდა და იერთებდა  
სამხედრო წესრიგს. თავგამებტებას,  
სილაღეს მშრომელ რუსი ხალხისას  
ქარხნის მუშათა ჩვევა-ხასიათს,  
უმცდარ ანგარიშს და სწორ  
თვალზომას,  
საქმის განჭვრეტას, საზრიანობას.

ციმბირელებზე სწორად ამბობენ, —  
ტყის ხალხიაო, ტყეს შეჩვეული,  
თუმც ტყის ხალხია, მაგრამ რჩეული—  
არწივი ხალხი და არასოდეს  
არ გილაღატებს, არ მიგატოვებს,  
აქვს ძმობის ყადრი მინიჭებული.

ეამაყებათ მათ ციმბირელის  
სახელი,

თუმცა ყველას სხედასხვა  
 აქვს თვალის კრილი, ენა, იერი,  
 მაგრამ ერთმანეთს მზემ დაამსგავსა  
 ხალხი მებრძოლი და ჰირნახული...  
 ჯილდოდ ართმევენ ციმბირს

განძეულს, —  
 მათ სახეებზე ზამთრის ნამზეურს  
 ზედ გადაკვერია ფენა ზაფხულის.

იღწვის შორეულ უკრაინელთან  
 მოძმე ყაზახი და ბურიატი,  
 მაცხოვრებლები აქვე, მეზობლად  
 ყაბარდოელთა და ლატვიელთა  
 სახეებს ვარჩევ, მაგრამ იმათი  
 უფროსი ქმაა უმრავლესობა.

მშენებლობაზე პატივისცემით  
 საგზურით ბევრი მოუწვევიათ,  
 ზოგიერთები სულ სხვა მიზეზით  
 მოსულან — მწარე დრო უწვევიათ...  
 ვადა შრომაში გასთავებიათ,  
 მკაცრი უნახავთ მათ გაკვეთილი,

რასაც იწვევდნენ, გასაგებია,  
 ანგარის ვაღმა კარჩაკეტილნი.  
 ახლა კი, თითქოს სასწაულებრივ,  
 დღევანდელ ხედრით, სწრაფვა-

კვეთებით  
 იბრძვიან ცეცხლში განსწავლულები,  
 ერთ ძმურ ოჯახად, თავგამეტებით.

ჭაფით იხევიან ფულსაც, სახელსაც,  
 შვილის ამაგიტ, განა გაქცევიტ,  
 უმთავრეს მიზნად მათ ესახებათ  
 და ეს აშრომებთ სხვა გატაცებით,  
 კეთილი საქმით სურთ დაძახება:

„ერთ თუ არა ვართ ჩვენ ვაჟკაცები?“  
 სიცოცხლედ მიღირს ჩემი მშობელი  
 ხალხის კვეთება ახალგაზრდული, —  
 თავისუფლების მარად მშობელი  
 უკვდავ ოცნების ტალღად დამარული.  
 შემყვარებია კუბოს კარამდის  
 მხნე შემართება, გაბედულება  
 შრომაში,  
 ომში.

ყველგან, სადაც ის

გზნება გიზგიზებს და გეუბნება:  
 თუ გეჩხუბება — მიდი მუშტებით,  
 თუ გემღერება — ნუ დამტყდები...  
 გიზგიზებდა

გულში უქრობლად ენთოს გიზგიზა  
 გზნება, აღმური კეთილმყოფელი,  
 დრო ჩვენთანაა და შეგვიძლია  
 მხრებით აფვიოთ, ხვალ რაც მოგველის.

ბევრი ვიწვნიე სიციხეც, სიცივეც,  
 მოდი, დაგზედები, დღევ, მოსასვლელო,  
 მე გარკმევ ლამაზ გვირგვინს მიწიერს  
 ჩემო საყრდენო,  
 ჩემო დამცველო,  
 სიმღერავ ჩემო  
 და ხალხო ჩემო.

მდინარის მუხლზე დღე იწვებოდა  
 თან მიაკვებოდა ხვატი მზის სხივებს,  
 ხის ხიდი მაინც ეზიდებოდა  
 ბორბლების, ტვირთის, ზღაპრულ  
 სიმძიმეს.

ვეება ლოდთა წყალში ჩინთქმამდე  
 მეგონა გორას წამომართავდნენ,  
 მაგრამ უფსკრულად იქცა ანგარა,  
 მძიმე ლოდები იმ წაშს დაფარა,  
 შრომა თითქოსდა წყალში ჩაყარა,  
 კვლავ ძველებურად გაიმთაბარა...

ოლონდ... ასეთი ბრწყინვა-კაშკაშით,  
 პროექტორების სხივთა თამაშით  
 ჯერ არ უვლია, მიეშურება  
 სხვა მდინარეთა შესაშურებლად

სხივებში კრთოდა წყალთან ბუნება  
 ბრწყინავდა. როგორც ბალი სასახლის,  
 შინ არ ეწადა ხალხს დაბრუნება.  
 მინდორს ტოვებდა გულის ცახცახით.

ლამე მშენებლებს ვერ გადებოდა,  
 თავს არ ზოგავდნენ მშვიტ-  
 მწყურვალნი,  
 ცვლას შემდგომ ცვლისთვის  
 ენანებოდა  
 დაეთმო თავის ნებით შტურვალი.

ღამეც მოთავდა.

ღელვით აღსავსე  
 მორიგედ დაღვა დღე ანგარაზე,  
 კვლავ ძველებურად გაიხალისა,  
 ისევე ჩააწნა ტალღა ტალღაზე  
 უცვლელმა ზურგმა  
 ბაიკალისამ.

მხოლოდ შეადღეს,  
 სწორედ ვადაზე,  
 როგორც თავიდან იყო დათქმული,  
 თითქოს უჩინარ ზღურბლით ჩარაზეს,  
 წყალი შეგუბდა ხილთან დგაფუნით.

უფრო აქაფდა იგი საოცრად,  
 ტოტებად იქცა. უკლო სიჩქარეს,  
 წყლის სითეთრეში რაოცა გამოჩნდა  
 მძიმე ლოდების ცივი სიშავე.

დულდა მდინარე რისხევით, მუქარით,  
 არყევდა მძიმე ლოდთა დგარუნნი,  
 ხიდი ხედებოდა ჩქერებს მქუხარეს,  
 იწელებოდა, როგორც გარმონი.

ყრიდნენ ბეტონის მძიმე ზანდუკებს  
 და ლოდებიდან მთა შენდებოდა,  
 მაგრამ ტბორივით რა შეაგუბებს  
 წყალს ათასწლობით ამ გზით  
 მარბენალს,  
 არა. ანგარა კაცის მარჯვენას  
 გაუბრძოლებლად არ ნებდებოდა...

მე მახსოვს წუთი, როცა ნაპირთან  
 ხელმძღვანელობა უცბად ჩაფიქრდა...  
 სახეზე ჩრდილმა გადაურბინათ

ვერ მოისვენებს წყალთან გულგრილად  
 აღამიანის თვალი ფხიზელი...  
 უცბად ეცემა ნაპირს მარცხენას,  
 მყის გადაარღვევს და მიაცხრება  
 ვიწრო განარღვევს ღვარი ფიცხელი.

სხარტი ბრძანებაც იმ წამს გაისმა  
 და აღმის ერთი გაჭანებისას,

მძიმე ტანკების მსგავსად დაიძრა  
 რაზმი ზემძიმე მანქანებისა.

უცბად — ფოლადის მხრების შერბევა  
 და ტვირთით დაძვრა მტრისკენ  
 ფიცხელი.—

არსად შედგომა და შეფერხება —  
 სწრაფად მიჰყვება

თვითმცლელს  
 თვითმცლელი.  
 ერთია მათი მიზან-წერტილი,  
 სწორედ ასეა გადაწყვეტილი:  
 შედგეს ანგარა წყალდაწრტილი!

ღვარს გადმოვარდნილს, დროზე და-  
 ტორილს,

ღრიალის, შფოთის ყადრი გაუწყდა  
 და კინოკოშკზე ოპერატორი  
 გვიან გაერკვა — კადრი გაუცდა.

მსგავსი ამბავი მხატვართ კავშირის  
 წევრსაც შეემთხვა:

კაცი მშრომელი  
 ხის კენწეროზე იჯდა შაშვივით,  
 ფუნჯზე საღებავშეუშრობელი.  
 ზეშთაგონებით. ვანა სხვა მიზნით  
 იჯდა ქურუმის მშვენიერების,  
 გულით ეწადა. რომ ანგარისთვის  
 გამოეტაცა ეშხი, ფერები.

მაგრამ უმწეო ჩანდა ნახატი...  
 ფუნჯი მოხაზვას რას მოასწრებდა,  
 როცა მდინარე ახალ ნაკადით  
 ტალღებს იცვლიდა წაშში ასფერად...

მეც წყალთან ვიდექ  
 მილუტსმნულივით,  
 ვჭკრეტდი უსაქმო მაყურებელი,  
 მისი ქუხილით, ცივი დულილით  
 მისი ღრიალით გაყრუებული.

მკითხა უფროსმა, მოსვლისთანავე:  
 აბა, რას იტყვი?  
 დასწერ პოემას?  
 თემა საკმაო მოგებოვება!  
 მეყო სიტყვები და სითამამე,

არც მე დაუხვდით ვით მიამიტი,  
ხელი გაეშალა: — აი პოემა!  
მან გაიციინა:  
— ხო, ეგ ევრეა,  
მაგრამ... აღრეა...

ჩვენ ქვეშ ცხრებოდა წყლის  
გაბრძოლება  
და ორს მოგვადგა სიტყვა სათქმელი:  
— მართლაც რომ კარგი არის პოემა,  
მაგრამ ჯერ ჩვენად არ იწოდება,  
კიდევ ბევრია წინ განსაცდელი...

ხიდი თვითმცლელებს აღმებს  
უქნევდა.  
არ ნელდებოდა ბრძოლა წამითაც,  
ერთად კუბებთან — ამ ზანდუკებთან  
წყლის საიმედოდ დასაგუბებლად  
ქვა და აგური გროვად წავიდა...

ბულღოზერები გაწვდილ სახნისით  
ზღუდარისაკენ ლაღად დაიძრნენ,  
ახეცტეს ქვიშა, ღორღი ხალისით,  
გზის გადაყვანა უნდათ ხვალისთვის  
ამ ნაპირიდან გაღმა ნაპირზე.

აღარ ბრდღვინავდა წყალი ჩამდგარი,  
მაგრამ... მოსდევსო სიტხეს ავღარი,—  
ამას ამბობდა ცა მოღრუბლული...  
ჩქარობდნენ. თითქოს გამოსატანი  
სათბობში დარჩათ ბოლო ბულღუღი.

წყალს ჩასცქეროდა, წვედა უფროსი...  
რას არ ფიქრობდა, ალბათ. ვინ იცის,—  
განა ამინდის ცენტრალ-ბიუროს,  
მას მოკითხავენ პასუხს წვიმისთვის.

და თადარიგის მხნე მთორა —  
ჭალარა. ჯმუხი, მკერივად ნაკერი  
არ შედრკებოდა ტვირთქვეშ იოლად,  
ჯარისკაცისთვის არა იყო რა  
წვიმა კი არა, ცეცხლის ნამჭერი.  
თქმულა: — ავღარში იმან იღონოს,  
ვისაც არ ახსოვს ჯერ არაფერი.

ხანგრძლივად როცა იღვა ზღუდართან  
ბულღოზერების გრუხუნ-გრაილი,  
უცებ იელვა, ციდან მოვარდა

ქექა-ქუხილი უქმი, ტილა  
და თვითმცლელების დაცლილ  
წვიმამ დარეკა ვერცხლის ზარისკეტი

— აბა, ბიჭებო, ახლა გამაგრდით,  
არ დაუხვდებით  
ავღარს ვაგლახად!..  
ხალხიც მაგრობდა ხმაგაუღებლივ.

დააქენჭება წვიმამ დაღმართი,  
აყალო მიწა აატალახა.

ტვირთი ჩაყარა ერთმა მანქანამ  
და უცხად, განა თავის სურვილით,  
დასხლტა. —

წყალისკენ, ძირს დაექანა,  
მორთო მოტორმა გაბძით ზმუილი.  
— აბა, ბიჭებო! — ქექს ბრევიდირი,—  
მოვებათ!..

ერთი!..

ორი!..

ავწიეთ! —

ძმებმა სიმძიმე ერთად დასძლიეს  
ბრძოლებში ბევრჯერ ნაცად ზაგირით.  
ამოიხენეშეს.

ყველას უნდოდა  
მისი მეორედ მოსვლის დალოცვა,  
ვინც კაბინიდან, როგორც კუბოდან  
საღსალამათად, ცოცხლად გამოძევა.

შოფერს ყურები ეწვის სირცხვილით,  
ესმის სიცილი,  
ძმური გინება:

— შე ბოთეე, ეგრე როგორ იქნება!..  
და ბოლოს დასკვნა ესმის უხეში:  
ძმებო, ტექნიკაც გაღის მუცელში...

დაღლილი ხალხი გამზიარულდა,  
თვალეებში თითქოს ენთოთ ჭაღები,  
მაგრამ ის ერთი მაინც არ უთქვამთ:  
«ვართ თუ არა ვართ ჩვენ ყოჩაღები?»

მცირე ხიფათად რომ ჩამოიქცა,  
წვიმა მიწიდან ცაში ავარდა

და ზღვარი მწუხრის საღამოისა  
მანვე წაშალა ლამის საზღვართან...

ამალამდელი თქემით გაუღენთილ  
რიყრაცს მოსდევდა ძმა-გამარჯვება,  
ვიღოდა ხიდის იქით ნაწყვეტი,  
ხიდქვეშ სიჩუმე იდგა ამჯერად.

ეჰე, ანგარა

როგორ დამდგარა!..

ახლა ნიაღვარს ჰგავდა დავარდნილს.  
რომ აღარ შესწევს ძალა ნავარდის  
და ქვის საწოლშიც ველარ ისვენებს...  
შორს ჩანდა მსგავსად მთების ნაკადის,  
რომელზედ მგზავრი ფეხით გადადის  
ფეხგაუხდელი — ფეხს არ ისველებს.

და ორ ბულდოზერს ერთი ნაწყვეტი  
დარჩა ჰვადორღით გადასაწრეტი,  
ორ შოფერს შორის ნელი თქარუნით  
ხაზი გარბოდა ნეიტრალური,  
ორივე ვიღოდა დიდი სიჩქარით.  
რომ ჩაერაზათ ქვეშით ჭიშკარი.

ასე პირისპირ ორი მანქანა

ხან დაიხვედა,

ხან წინ გასწევდა,

მთელი ცვლა იდგა მათ სანახავად. —  
რომელი რომელს გადაასწრებდა.

გეგმის მიხედვით,

ლორდის მიხედვით,

ეკეტებოდა ღვარს გასასვლელი.

მძლოლები მართლაც გავდნენ

მეომრებს.

ერთს ეცვა ძველი სპექტანსაცმელი,  
ლურჯი პერანგი ეცვა შვორეს,  
მთელი ცვლა ხიდზე იდგა, უმზერდა  
გულის ცახცახით მათ შერკინებას.  
სურდათ ენახათ: ვის მოუწევდა  
სწრაფი გადასვლა ზღვარზე პირველად.

ორივე ერთო ერთი სურვილით —

ხრეშზე გარკვეულ გზას ვინ გახსნიდა,  
მაგრამ არ წუნდნენ თითქოს სრულიად,  
მშვიდად ეჭირათ თავი ყასიდად.

წინ, წინ გაქანდა ათხრილ ბეჭობთან,  
ის ლურჯპერანგა წამით აჩქარდა,

უცებ გაქვავდა... და პირველობაც  
სპექტანსაცმილის დარჩა მშვიდად...

ერთად ბტებიან მანქანებიდან.

ერთმანეთისკენ გაქანდებიან.

უნდა გეხილათ მაშინ შეხვედრა  
ორი ვაყაყის მძლავრ მარჯვენისა,  
თითქოსდა მოძმე ჯარი შეერთდა  
მტრის ალყის ერთად გადაჯეგვისას.

ორი არმიის ორი მებრძოლის  
წყვილი მარჯვენა მაგრად ჩაქრულა,  
მინელდა ტაში ვაშას შერწყმული  
და აპარატმაც გაიჩხაკუნა...

რალა ეღონათ — აი გამოცდა.

უცებ

ზემოდან ვიღაც საოცარ  
ძახილს

ტირილის ხმაზე გამოსცემს:

— ქაქებო,

ეგრე რამ დაგამორცხვათ,

გადაეხვეით გადასაკოცნად!..

და მათ ერთმანეთს ძმურად აკოცეს.

მორჩა ეტაპი ღირსსახსოვარი,

სიძნელემ უკან გადაინაცვლა.

ლხინის დრო ქუხდა კარზე მომდგარი,

მეც ვიხუტებდი გულში ვიდაცას,

რის დადლილობა, რა უძილობა!..

სიცილ-ხარხარში უცბად შენიშნეს

ერთი გოგონა სუსტად ცდილობდა,

გამოსხლტომოდა მუსუს მენიშნეს.

და ის რიყრაცისწინა საათი,

შრომის ზეიმი ჯერ არნახული

მაქვს უქრობ ხსოვნად შემონახული...  
იმ დღესასწაულს როგორ დააჯლდი

ძმავო, წასულო აწ და მარდის!

ქვეყნად შენსავით სხვას ვის შეეძლო,  
რომ სახარულის ცრემლით შეეგრძნო  
ცეცხლი თვალების. სითბო სიტყვათა  
ღვაწლი ვალმოხდილ ადამიანთა!  
რისთვის დადუმდი, რა დაგემართა?..

სულ მაღლა, მაღლა, როგორც კიბეზე  
 იწევს ხალისი, ცას ეძალება.  
 ცვლას სპეცსაუზმე უნდა მიეცეს,  
 ზეიმზე მოკლედ გასცეს ბრძანება.  
 ხალხი ხიდიდან უკვე მოჭარდა.

და გულუბრყვილოდ ვმგონიამობდით,  
 თითო ხახზე ას ორმოცდაათს  
 თუ ასს ვასცემდნენ იმ „სპეცს“  
 გრამობით.

ვაეკაცო ხუმრობა. ყმაწვილთ სიმღერა  
 ისმოდა, როცა აღმოსავლეთით  
 ნელა აკვამლდა და შეიღება  
 რიყრაყის ცეცხლით ცას მესამედი.  
 ათას ამწეზე, ესტაკადაზე,  
 მთავარ ქვაყრილზე — შფასებრ  
 მაღალზე,

ფერღობზე ნაგებ  
 ახალ ქალაქზე,  
 და ანგარაზე,  
 ცივ ანგარაზე  
 იდგა რიყრაყი რწმენით აღსავსე.  
 იდგა რიყრაყი,  
 ნელა იწვოდა.  
 დილა სძალავდა შუქით თანდათან  
 და მის კვალდაკვალ წითელ დისკოთი  
 დიდმა მზემ მთიდან ამოანათა.  
 და აბრკეყვიალდა მზისგან ბაღახი,  
 სველი, წუხანდელ წვიმანანახი...

ეკ, რა უწყალოდ, მწარედ დამარცხდა  
 შენი ჭილაჩა და ახალგაზრდა  
 ძირსდაუხრელი თავი ამაყი...  
 მშენებლობაზე დღე ჩვეულებრივ  
 საქმით შემოპყვა ახლა განთიადს,  
 უკვე გვტოვებდნენ ჩამოსულები  
 მრავალ სოფლიდან და ქალაქიდან.

უკვე საგზაოდ გამზადებული  
 ვითვლიდი, დროის ამ მონაკვეთში,  
 შორ გზას რამდენი მატარებელი  
 გაჰყვა შორეულ აღმოსავლეთში,  
 შენს სამშობლოში,  
 შენგან ქებულში,  
 შენი სიმღერით განდიდებულში.  
 და მაპატიე,  
 გზას შორეთისას.  
 დიდ მდინარესთან განშორებისას,  
 მარტო ნალველით  
 რომ არ გავყვევი.

მე საოცნებო გზაზე წუხილთან  
 ერთად ახალი ღელვა ვიგრძენი,  
 დიდი ნუგეშით სავსე ქუხილით  
 მიხმობდნენ შორზე შორი საგრცენი.

და გახსენება — დულაბ-ქვეითკირით  
 დაბმა ანგარის ველურ ჩქერების —  
 უძილო დამის ჩანაფიქრივით  
 შორეთს მიმქონდა შეუჩერებლივ.

თარგმან ოთ. ზელიძემ.

(გაგრძელება იქნება)

მაც) ნუსხიძე

## რუსთაველი და ქართველი მოაზროვნენი

მსოფლიო ლიტერატურამ იცის ფილოსოფიური პოემები, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინოა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და დანტეს „დივინა კომედია“. ამ ორი პოემის ერთიმეორის გვერდით დასახელებას, რაც ვაგებდნენ რუსთაველის პირველ იუბილესთან დაკავშირებით, ვერ შეეგუა დასავლეთის ზოგიერთი ლიტერატურის მცოდნე, მაგალითად, ავსტრიელი დეეტერსი, რომელმაც 1937 წ. „ორიენტალიშე ლიტერატურა ცაიტუნგში“ რუსთაველისა და დანტეს დაახლოვების წინააღმდეგ გაილაშქრა მეტად ნაწყენი ტონით. ჩვენი პოლემიკა გაგრძელდა, რაზედაც უკვე მომიხსენებია ქართველი მეცნიერული საზოგადოებისათვის, და ამაზე დღეს იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ისტორიამ დეეტერსი და მისთანანი, რუსთაველის საკითხთან დაკავშირებით, დაამარცხა.

აღმოსავლეთში კულტურის საკითხებზე იგივე განაცხადა მწერალმა ხაიმ ვარდიმ, რაც დასავლეთში ლუი არაგონმა და რენე ლაკოტმა: ისტორიამ დანტე ერთი საუკუნით ადრე მოუვლინა ქართველ ხალხსაო.

უცხოელების ეს მხატვრულად გადმოცემული აზრი რუსთაველის ადგილის შესახებ კულტურის ისტორიაში, უბრალო ენით რომ ითქვას, იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რას და ვის ემყარებოდა ქართველი გენიოსი, რუსთაველი, როდესაც მხატვრულ ენაზე გადაჰქონდა ეპოქის მოწინავე იდეები, რომლებიც მან თავის მსოფლშეგნებას, ადამიანის როლის და დანიშნულების, მისი ამბოღების ამბის ასახვას მონადრომა.

ამ ისტორიულ-კულტურული ვითარების გასარკვევად არაა საჭირო შორეული ექსკურსები ფილოსოფიის, შემოქმედების, სიყვარულის, გატაცების, სიმპათია-ანტიპათიის, რელიგიურ-მისტიკურ მოვლენათა შორეული ასახვა. წამყვანი და მიმართულების მიმცემი აქ არის აზროვნება, რომელსაც შეიძლება სიბრძნისმოყვარეობა ანუ ფილოსოფია ეწოდოს, რადგან იგი, როგორც კ. მარქსი იტყოდა, „თავია საზოგადოებისა“.

თუ ამ „საზოგადოების თავის“ საგანგებო გამოკვლევის საკითხი დადგებოდა (საამისო კვლევის მეთოდი გათვალისწინებულია დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში), ყველა მიზეზი და საწყისი გაირკვეოდა. მაგრამ იმ შექთხევაში, თუ გასასინჯავია ვის იდეებს გაეცნო რუსთაველი იმდენად, რომ ისინი მხატვრული ასახვის ქარგად გამოიყენა რომ, როგორც ენგელსი ამბობდა, „ღვთის ზეცაიერი მეუფება დედამიწაზე დაედგინა“, მაშინ, ამჟამად, საჭიროა იმ მოსაზრებათა გამოვლენა, რომლებთანაც რუსთაველს ახლო იდეური კავშირი ჰქონდა.

ცხადზე უცხადესია, რომ პოეტი, როგორც მხატვრული ასახვის ოსტატი, ფილოსოფოსი არაა. პოეტები ფილოსოფიურ პრობლემებს არც აყენებენ და არც სწყვეტენ. არაა საჭირო ყოველ ნაბიჯზე იმის განმარტება, რომ პოეტი, თავისი შემოქმედების ფარგლებში, სინამდვილის ცხოველი განსახიერებთ. თავისი დროის ნაზრევიდან შემოქმედებისათვის საჭირო მსოფლგაგებასა და მსოფლშეგნებას იღებს და მისი სა-

შუალებით აგებს წარმოსახულ სინამდვილეს.

რუსთველოლოგია დღეს, რუსთაველის მეორე სათუბილეო ზემის სამზადისში იმ საფეხურზე როდია, რომ არ გვესმოდეს და ვერ ვხედავდეთ რუსთაველის ნააზრევსა და შემოქმედებაში საიდან და როგორ მოდის არა თუ სახელები და კონცეფციები, არამედ სიტყვები, ტერმინები და ცნებებიც კი, რომლებიც ძვირფასი სპეკულივითაა ჩაყოლებული რუსთაველის პოეტურ ნაგებობაში.

დღეს უკვე მტკიცედა აღიარებული, რომ რუსთაველი რენესანსული პოეტია, ხოლო რენესანსის მეტად გაფართოებულ ცნებაში, რომელიც ჩვენმა მეცნიერებამ შეიმუშავა, წამოყენებულია განსხვავება ორგვარ რენესანსს—თვითნაშობსა (ანუ ავტოქთონურსა) და უკუფენილს—შორის. ეს ტერმინები გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს აკადემიკოს კონრადს ეკუთვნის და რუსულად იკითხება როგორც **самородный** (თვითნაშობი) და **отраженный** (უკუფენილი).<sup>1</sup>

აქ არ შევუდგებით ამ კლასიფიკაციის შეფასებას. გასაგებია, რომ იგი მოწოდებულია ავტორის მიერ იმ რთული პროცესის ასახნელად, რომელსაც წარმოადგენს „მსოფლიო რენესანსის“ ცნება და რომელსაც აღმოსავლეთის რენესანსის მეტად ვრცლად განვითარებული ცნება იწვევს, რადგან ახსნილ უნდა იქნას ჩინეთიდან (მეცხრე საუკუნეში) დაწყებული აღმოსავლეთის რენესანსის მთელი განვითარება წყნარი ოკეანიდან ატლანტიკამდე (16—17 სს.). ამ თეორიის თანახმად რენესანსის მსოფლიო პროცესი უნდა აიხსნას აღმოსავლეთის რენესანსის ფაქტით და ერთი დიდი, მთლიანი პროცესის სახით ვებერთელა მანძილზე დასავლეთისაკენ. ცხადია, იგი ყოველთვის ერთნაირად ვერ ახერხებს ამ პროცესის ახსნას. ამიტომ დასჭირდათ ამ კონცეფციის

ავტორს და მის თანამოაზრეთ ზოგიერთი სიძნელის და მრავალსახიანობის გასაგებად და ასახნელად „თვითნაშობი“ და „უკუფენილი“ რენესანსის განსხვავება.

ეს თეორია შემცდარად უნდა შეფასდეს, რადგან, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება არსებობდეს „უკუფენილი რენესანსი“, რადგან იგი შინაგანად გაუმართლებელია. ამ სიძნელიდან თავის დასაღწევად აკად. კონრადი მიმართავს „გაღვიძებულ“ სარენესანსო ძალებს, მაგრამ ეს უფრო ართულებს საქმეს. ცხადია ერთი: უკუფენილი რენესანსი უფრო ნაკლები კულტურული ღირებულების მომასწავებელია.

საქართველოზე აკად. კონრადი არაფერს ლაპარაკობს, მაგრამ სომხეთს მიუთითებს, როგორც „უკუფენილი“ რენესანსის ქვეყანას, რის გასამართლებლადც საბუთები არ მოჰყავს. კონრადის შესწორება საეგზეთ მიუღებელია, და საქართველოზე გაჩუმება შემდეგით უნდა აიხსნებოდეს; ალბათ, შემაჩნია (იმ მასალიდან, რომელიც მას ხელთ ჰქონდა), რომ საქართველოს რენესანსის თვითნაშობობის ხასიათი ემყარება გარკვეულ საბუთებს, რომელთა შორის, სხვა კულტურულ ღირებულებათა შემცველი გარემოებების გარდა, საქართველოს რენესანსის ისეთი თვითნაშობობის მომასწავებელი მოაზროვნეები ჰყავს როგორც არიან პეტრე იბერი (ფსევდო-ლიონისე არეოპაგელი) და იოანე პეტრიწი.

ამათგან იოანე პეტრიწის როლი და მნიშვნელობა დამოკიდებულია პეტრე იბერიის საზროვნო შესაძლებლობათაგან, ხოლო თვით პეტრე, რაც კარგადაა ცნობილი, ანტიკური ფილოსოფიის პირდაპირ მემკვიდრეობას წარმოადგენს. აზრთა წყობა, რომელიც ორივე მოაზროვნის დამახასიათებელია, საფუძვლად დაედო შუა საუკუნეთა პროგრესულ აზროვნებას და იდეოლოგიური ხიდი იყო რენესანსისაკენ. რა თქმა უნდა, იოანე პეტრიწის გავლენის ტევადობა

<sup>1</sup> აკად. კონრადი, „შექსპირი და მისი ეპოქა“, ძველი „Новый мир“, № 9, 1964 წ.

შეზღუდული იყო იმით, რომ მისი ნაშრომები ქართულად იყო დაწერილი, ხოლო პეტრე იბერის ნააზრევი დიდი განწევრობილები იყო და ანტიკური მეგვიდროების ნიადაგზე შექმნილ რენესანსს ასაფუძვლებდა.

ეს არ იყო მსოფლიო რენესანსის ერთ-ერთი მომენტი, აღმოსავლურ რენესანსზე აღმოცენებული, რადგან რენესანსი, თავისი პირდაპირი მნიშვნელობით, შეიძლება ყოფილიყო და იყო კიდევ მხოლოდ თვითნაშობი, გარკვეული რკალის ანუ რეგიონის მიღწევა და ამდენად, თუმცა მსოფლიო რენესანსს არ გამოირიცხავდა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელ ერთ მთლიან რეგიონალურ უჯრედს წარმოადგენდა. თუ ქართული რენესანსი, როგორც აღმოსავლეთის რენესანსის ერთ-ერთი რეგიონი, თავისი ისტორიული ჩასახვანავითარების პროცესში, მისი, ე. ი. საქართველოს კულტურული საზოგადოების მიღმა წვდებოდა, რაც ერთ მთლიან რეგიონს ქმნიდა, მაშინ სრულიად ნათელია, რომ საქართველოს და მასთან კავშირში მყოფი აღმოსავლეთის რენესანსის ეს მონაკვეთი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ავტოქტონური ანუ თვითნაშობი რენესანსი არ ყოფილიყო.

თავის დროზე, როცა გამოვაქვეყნე ნაშრომი „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“, მართალია იდეოლოგიურად წამყვანი როლი ქართულ აზროვნებას მივაკუთვნე, მაგრამ ეს გულისხმობდა მთელი ამ რეგიონის რენესანსის შემადგენლობას, რომელსაც საფუძვლად ამ საკითხზე რუსთაველის წარმოდგენა დავუდე. აკადემიკოსმა კონრადმა ეს გარემოება ვერ შეამჩნია და რუსთაველის როლი აღმოსავლეთის რენესანსის შიშვართ მარტო საქართველოს ფარგლებით განსაზღვრა რადგან სწორედ ქართველ მოაზროვნეთა რენესანსული მნიშვნელობაც შეუმჩნეველი დარჩა.

ნარკვევი „რუსთაველი და ქართველი მოაზროვნენი“ იმ მიზანს ემსახურება,

გაირკვეს, რომ რუსთაველი და მისი იდეური დასაყრდენი — ქართველი მოაზროვნენი — „რეგიონალურ რენესანსს“ ნიშნავს, მის აღმოსავლურ რენესანსს სერეში. ჩემს წერილში „სომხეთის რენესანსი“ (ამა წლის „დროშაში“) მეგობრულად მივუთითე პროფ. ვ. ჩალოიანს, „სომხური რენესანსის“ ავტორს, სომხური რენესანსის ზოგიერთი შეუფასებლობის შესახებ. აკად. კონრადმა არ დააყოვნა და სომხური რენესანსი „უკუფენილ“ რენესანსად გამოაცხადა, რაც იმაზე უარესი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

მხოლოდ იმაზე მივუთითებ, რომ ჩვენ და სომხეთს ზოგი რამ საერთო გვაქვს კულტურულ წარსულშიაც და ვინც არეოპატიკას დიდ სააზროვნო მოვლენად სთვლიდა მაშინ, როცა მისი ქართული წარმოშობა არ იყო გახსნილი, ამის შემდეგაც ამავე ნიადაგზე უნდა დარჩენილიყო, რადგან არეოპატიკის რეცეფციამ, ასე თუ ისე ათვისებამ, ზოგიერთი ერი კულტურულად მაღლა ასწია აღმოსავლეთით დასავლეთამდე.

ეს ყველა — სხვათა შორის, როგორც აუცილებელი შესავალი ჩვენი დღევანდელი ნარკვევისათვის.

ერთი უდიდესი საკითხი აზროვნების მსოფლიო ისტორიისათვის — სახელდობრ, რომ იოანე პეტრიწისა და პეტრე იბერს შორის უდავო კავშირი (შეიძლება ითქვას, დოკუმენტალური) ნათელი ხდება რუსთაველის მეტყველებაში, სიტყვათა და სახეთა ხმარებაში. ერთი მომენტი ამ საკითხისა განხილული მაქვს წერილში — „პეტრე იბერი რუსთაველის სიტყვასმარებაში“, აქ კი ვეხები უფრო ვრცელ საკითხს, რომელსაც მსოფლიო მეცნიერული რეზონანსი აქვს.

მეცნიერებამ მიიღო დებულება, რომ რუსთაველი ემყარებოდა არეოპატიკას და მანიქეელობის აღორძინებამაც კი (12 საუკუნე) ვერ შეარყია იგი კეთილის მონიშნის საკითხში, ამავე დროს, პეტრიწის გავლენამ ვერ მიადწია ასეთ გავრცელებას, რადგან იგი არ იყო და-

წერილი იმ დროის საერთაშორისო უნაზუ, ბერძნულზე. მისმა ადრინდელმა სომხურმა თარგმანმა მხოლოდ ნაწილობრივ გაათართოვა პეტრიწის შესწავლის არე, ხოლო ინგლისური თარგმანი დოდისა ჩვენს საუკუნეს ეკუთვნის.

თვით ფაქტს, რომ ითანე პეტრიწმა კარგად იცოდა პეტრეს ნაშრომები, დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის.

თავისი თხზულების დასკვნით განმარტებაში — „განმარტებაჲ პროკლესა დიადოხოქსისათვის და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“ რომელიც „ბოლოსიტყვაჲში“ — ჩართული, ი. პეტრიწი გვიხსნის, რატომ დაწერა მან განმეორებით („კჳლად“) წიგნი „კავშირნი თეოლოგიურნი“-ს შესახებ. ამ გარემოებას რომ თავისი „მიზეზი“ უნდა ჰქონოდა პეტრიწის აზრით, ესეც ყურადღების ღირსია. რა თქმა უნდა, ყოველი წიგნის დაწერას თავისი საბაბი ანუ საფუძველი უნდა გააჩნდეს. ეს რამდენიმედ უკვე არკვევს ცოტა მეტს, ვიდრე საბაბი ანუ საფუძველი. „მეტს“ იმ მხრივ, რომ რაღაცას უნდა აეძღვებინა პეტრიწი განმეორებით „გარდმოვლო“ „კავშირნი“-ს სწავლა და ისიც ერთ გარკვეულ საკითხზე.

რომელი იყო ეს საგანგებო საკითხი, რომელსაც შეიცავდა „კავშირნი“, და რაზედაც უნდა შეეჩერებია პეტრიწს ყურადღება, უკეთუ იგი ასეთ გარდმოვლებას მიზნად დაისახავდა? ეს საკითხი ეხებოდა „პირველ მიზეზს“ ანუ მოკლედ „პირველს“.

ი. პეტრიწი წერს: „არამედ მიზეზი კჳლად გარდმოვლებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს...“ ეს ადგილი მეტად საპასუხისმგებლოა პეტრიწის დასახელებულ ტექსტში, და ზუსტად უნდა იყოს დადგენილი, რომ „კჳლად“ აქ ნიშნავს: „განმეორებით“, „ხელმეორედ“. სხვანაირად რომ ითქვას, ვიღაცას ადრე დაუწერია ქართულად წიგნი პროკლეს თხზულების „კავშირნი თეოლოგიურნი“-ს შესახებ, რომელშიც ცენტრალური ანუ წამყვანია „პირველ

მიზეზის“ საკითხი, და ახლა, რაღაც ახალ გარემოებათა გამო, მას — პეტრიწს უხდება ამ წიგნის გამო „კჳლად“ წერა.

სიტყვას „კჳლად“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: ა) აქ მოყვანილი, რაც განმეორებითს, ხელმეორედს ნიშნავს; ბ) მეორე მნიშვნელობა ამავე „კჳლადისა“ იქნება — „შემდეგ“, „შემდგომად“; და გ) გამოთქმა „ამის კჳლად“, ე. ი. ამის მსგავსად.

დაეიწყოთ ბოლოდან. მესამე მნიშვნელობა სიტყვა „კჳლადისა“ ჩვენს შემთხვევაში, ე. ი. როდესაც ი. პეტრიწს სურს რაღაც ახალი ამბავი გვითხრას, სრულიად გამოუსადეგარი და გაუმართლებელია, რადგან მას წინ არ უსწრებს ისეთი რამ, რომლის მიმსგავსებით ის აქ თავის მსჯელობას აწარმოებდეს. პეტრიწის შრომების მეორე ტომის 219 გვერდზე აშკარადაა ნათქვამი, რომ მსჯელობის საგანი წინ კი არ არის, არამედ მისდევს ამ ადგილს და ეხება არა პირდაპირ, არამედ შემოვლით დასახელებულ ავტორს იმ წიგნისა, რომელსაც ხელმეორედ გარდმოიღებს ქართულზე ი. პეტრიწი.

მეორე მნიშვნელობა სიტყვა „კჳლადისა“, როგორც შემდეგისა, ასევე გამოუყენებელია აქ, რადგან ი. პეტრიწის ნაშრომი ეხება პროკლეს წიგნისა და პლატონური ფილოსოფიის განმარტებას, მაგრამ არა ისე, როგორც ვაიკეთა პირველმა გარდმომღებელმა, არამედ სხვანაირად, ახლებურად. ეს რომ ასეა, იქედან ჩანს, რომ განმეორებითი ვადმოლება ანუ განმარტება რაღაცა მხრივ განსხვავდება პირველისაგან.

ი. პეტრიწი საინტერესო სააზროვნო სიტუაციას ეხება: ნეოპლატონიზმის მეთაურმა V საუკუნეში — პროკლემ — დაწერა წიგნი „კავშირნი თეოლოგიურნი“ („ღმრთის მეტყველებითნი“), რომელმაც მრავალი განმარტება-გარდმოლება გამოიწვია. ვადმომღებელთა ამ სიმრავლეს გამოუწყევია სათანადო აზრთა სხვაობაც, „პირველ (მიზეზი შ. ნ.) რამეთუ განმრავლდეს გარდმომ-

ლებელი და სხუა აღუჩნდის სხუად“ და ამას ბოლო არ უჩანდათ.

ყურადღების ღირსია ის მკაცრი კრიტიკული მიდგომა, რომლითაც XI—XII საუკუნეთა ქართველი მოაზროვნე იოანე პეტრიწი ორ ბანაკად ჰყოფს პროკლეს განმმართველ-გადმომღებელთ: „რომელნი და უმეცარ იყვნენ — განაგრძობს ის ამ ორი ბანაკის შესახებ — და რომელთაჲმ გარემოხუევეითა დიდებითასა თნებითაჲთა წარეცონა სამხილი უსწავლულობისაჲ“ (იქვე). ესე იგი — პროკლეს „კავშირის“ განმხილველი ზოგი უმეცარ და უსწავლელ იყო. მეორე მხრივ კი ხაზგასმულია კაცი — განმართველის ავტორი, რომელაც უპირისპირდება ი. პეტრიწის კლასიფიკაციაში უმეცარს, ე. ი. მკოდნე იყო, მაგრამ არ შეასრულა, არ ამხილა უეცობა V საუკუნის მწიგნობართა, რომლებიც მწიგნობრობდნენ სახარებასა, სამოციქულოსა „და სხუათა ყოველთა ესე ვითა“.

არ ვინ ჩანდა „ტომითა შორის ჩუენთა“, ვისაც შესძლებოდა განემარტებია „ვითარმედ პირველთაგან იყო სიტყუაჲ“, რადგან „არა უწყიან, რომელი პირველი შემდგომთა არს პირველი“ (იქვე გვ. 219)... და „რომელ არს დასაბამი თჳს შორისისა სიტყუსაჲ, ვითარ დისკოჲ თუალი მზისა შარავანდედთაჲ“ (იქვე). მაშასადამე, ამ ძირითადი საკითხის შესახებ — არის პირველი (მიზეზი) შემდგომთა მიმართ პირველი ანუ შედარებითი, თუ არის იგი „დასაბამი“, დასაწყისი, „თჳსშორისი“ — ანუ სხვებისაგან დამოუკიდებელი, აბსოლუტური — ეს უადრესად მძიმე ფილოსოფიური ტერმინი რომ ვინმართ — ყველა ამის მკოდნე ყოფილა მხოლოდ ერთი კაცი — „ტომითა შორის ჩუენთა“, ე. ი. ქართველი ტომის კაცი, დიდების შარავანდედით მოსილი. ი. პეტრიწს, ცოდნით მოპოებულ ამ დიდების აღნიშვნის გვერდით ქართველი მოაზროვნის მიმართ იმის აღნიშვნაც საჭიროდ დაუნახავს, რომ მან დაიზარა („წარეცონა“ ზმნა „ცონვისაგან“) გასაგე-

ბად და ნათლად ეჩვენებინა ეს თავისი „განმართველის“. თუმცა ქართველთათვის დაწერილ წიგნში.

მაშასადამე, ი. პეტრიწს არ ეეჭვება, რომ პროკლეს „კავშირის“ განსამართავი წიგნის ავტორს შეეძლო გარეკვია პირველის, ანუ პირველი მიზეზის პრობლემა იმ რიგად, რომ პირველი არ ნიშნავდა პირველს სხვების, მაგალითად — მეორის, მესამის და ა. შ. თანრიგობის გამომხატველ გარემოებას, რომ ეს იყო „ურიცხვი“, ე. ი. რიცხვის გარეშე, ანუ „ურადენო“. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ განუსაზღვრელის ანუ უსაზღვრულის ცნების იმ რიგად შეთვისება, რაც პროკლესათვის ჯერ კიდევ ნათელი არ იყო ისე, როგორც საერთოდ მაშინდელი ანტიკური ფილოსოფიისათვის.

გასაგები რომ გახდეს, რაოდენ ვრცლად და გასაგებად განმარტავს ი. პეტრიწი „უსაზღვროსა“ ანუ შემდგომი სიტყვაგანმარებით უსაზღვრულის მნიშვნელობას, და რა აკლდა ამ მომენტს პროკლეს ნააზრევში, უნდა გავიხსენოთ რომელიმე ამასთან დაკავშირებული ადგილი პროკლეს „კავშირისაჲ“.

პროკლეს დებულება: ყოველი ნამდვილ მყოფი საზღვრისაგან არს და უსაზღვროსა“. ი. პეტრიწის განმარტებით „ესე ნამდვილ მყოფი უსაზღვრო არს ძალითა, ვითარცა პირველისა უსაზღვროსა მიერ დაარსებული და ერთ და უნაწილო არს გუარითა ვითარ პირველისა საზღვრისა და გუარისა მიერ ერთ ქმნილი და დამთავრებული“ (იხ. პეტრიწის დას. ნაჭრ. თავი 89).

ამავე აზრს პირველის, როგორც უსაზღვრობისა, მრავალჯერ იმეორებს და განმარტავს ი. პეტრიწი პროკლეს წიგნის „კავშირის“ სათანადო ადგილების გამოყენებით. დიალექტიკა პირველი საზღვრისა და პირველი უსაზღვრობისა მოცემულია პროკლეს ზემოთ დასახელებული თხზულების 90-ე თავში. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი იყო პროკლეს ნააზრევში, მაგრამ საყმაოდ განვითარებულად არ მიიჩნია ი. პეტრიწმა

პირველის ბუნების გასაგებად. ნამდვილი დიალექტიკა, როგორც იგი შემდეგში წარმოსდგება ჰეგელის ნააზრევში, იყო სწორედ იმ მომენტის შეგნება, სადაც პირველში, მის გაუმრავლებლად, ესე იგი პირველად დარჩენილად, მაინც გამოდის ორი გარემოება: პირველში „ორნი წამოიყენეს წყარონი“— წერს პეტრიწი „და მხოლონი ამასთან““. პირველი უნდა დამთავრდეს როგორც „ზესთაჲ გუარო გუართაჲ“ და ეს იქნება ის, რაც გაასაზღვრებს და „გუარ იქმს ყოველივეს თავისი (პირველის) ძალით“.

მაგრამ ეს არაა ყველაფერი. პირველს, როგორც საზღვარს, მხოლოდ შეუძლია იყოს ნამდვილი საზღვარი; ე. ი. „დაუსაზღვრული“ ანუ უსაზღვრო წყარო. ამდენად ნამდვილი დიალექტიკა საზღვრისა და უსაზღვროს შეერთებაშია, რაც შესაძლო ხდება პირველის ამაღლებით ყოველთა საზღვართა უზუშთაესად. აქ გაბედა და იხმარა ი. პეტრიწმა საზღვრისა და უსაზღვროს შესახებ პროკლეს გამოთქმა: „ხოლო ესე ზესთ ღმერთნი პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვრობა“ (ბერძნულად „იუპერთონ“), რომელ გამოთქმასაც მხოლოდ აქ აქვს აზრი და პირდაპირ მიუთითებს იმას, რომ ი. პეტრიწი „პირველის“ საკითხას გაგებამთან დაკავშირებით პროკლეს კითხულობს არეოპაგიტეკულად (იხ. ამის შესახებ ჩემი წიგნი „Петр Ивер и античное философ. наследие“, თავი— „პროკლეს არეოპაგიტეკული წაკითხვა“). საზღვრული და უსაზღვრული, როგორც „ორსახენი მხოლონი“, როგორც საზღვრის გვარი და უსაზღვრო გვარნი, შეერთდებიან და იქცევიან ერთად („ერთ იქმნებიან მიერ მის მიუწვდომელ ერთისა“. დას. ნაშრ. თავი 90).

ასე ღრმად ჩაიხედა ი. პეტრიწმა ნეობლატონიზმის უმაღლესი საფეხურის პროკლესეულ სიღრმეში და პირველი მიზეზის ცნება დიალექტიკურად გაიგო. გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ ჰეგელმა პროკლეს ნააზრევის ამ მხარეს ვერ მიაგნო. იმის ნაცვლად, რომ მას

(ჰეგელს) დიალექტიკის ამბავი სწორედ საზღვრულსა და უსაზღვრულს მთლიანობაში დაენახა, პროკლეს განსჯულთაზე ბული მნიშვნელობა დიალექტიკისათვის დიალექტიკურ ტრიადაში დაინახა.

ი. პეტრიწმა კარგად იცოდა, ვინ მიაგნო პროკლეს ნააზრევში ნამდვილ დიალექტიკას და საზღვრულ და უსაზღვრულს შორის პირველში აღმოჩენა მან მართებულად წამოიწია წინ და პროკლეს სწორად გაგებთა შორის მან იმ მოაზროვნეს მიაპყრო გულისყური, რომელმაც ცენტრში დააყენა საკითხი: „რომელ პირველ არს პირველ“. მართალია, პეტრიწმა უსაყვედურა „დიდებით გარემოხვეულ“ მოაზროვნეს „ტომითთა ჩუენთა“, ე. ი. ქართველს, მაგრამ ორი ვეებერთელა ისტორიულ-ფილოსოფიური ფაქტი გამოიტანა დღის სინათლეზე: ა) რომ ის ქართველი იყო და ბ) მან ვერ დააკმაყოფილა პროკლეს წიგნის თავისი განმარტებით პირველი მიზეზის შესახებ ქართველი მკითხველის მოთხოვნილება.

ესაა ის მიზეზი, რომელიც პეტრიწის მიერ არა მარტო უფრო მკაფიოდ და გასაგებად წიგნის დაწერას ნიშნავდა, არამედ ქართველი მკითხველის მისაწვდომად მან, პეტრიწმა, განმეორებით, იმ მოაზროვნის მსგავსად თავისი წიგნი ქართულად დასწერა.

ი. პეტრიწმა არ დაასახელა პირდაპირ პროკლეს „კავშირის“ კომენტატორი და ამ წიგნის სათაური. მნიშვნელოვანი საკითხია, რატომ მოიქცა ასე ი. პეტრიწი. ამბობენ პეტრე იბერის დასახელება არ იყო მიღებული, რადგან ის მონოფიზიტად ითვლებოდა და საქართველო დიოფიზიტთა ბანაკს ეკუთვნოდა, რასაც როგორც უფრო შფოთვის ეპოქაში, ცხადია, ვადასწვევტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ავტორი წიგნისა „საღმართთა სახელთათვის“ დიონისე (ფსევდო-დიონისე) თვითონ წერს პირველსავე პარაგრაფში ამ წიგნისა, რომ მან ისარგებლა მისი მასწავლებლის—იოანე ლაზის „კრებულით“ პროკლეს „კავშირნიდან“ ამოკრეფილ დებულებათა „პირ-

ველ მიზნის“ შესახებ და ამ მასალის ნიადაგზე, რომელიც მას გადაეცა მასწავლებლისაგან, დაწერა წიგნი „თეოლოგიური პირველ სახენი“.

ეს ის წიგნია, რომელიც მიუხედავად ავტორი-დიონისეს (ფსევდო-დიონისეს) განცხადებისა, მაინც არ შევიდა არეოპაგიტის კორპუსში, რადგან ი. პეტრიწმა გარკვეულად მიგვითითა, რომ ეს წიგნი დაწერილი იყო ქართველებსათვის. ჩანს, იგი მოსწუდა ფსევდო-დიონისეს მიერ ბერძნულად დაწერილ წიგნებს და არაბულად გადათარგმნის შემდეგ არისტოტელეს მიეწერებოდა სხვა სათაურით. „უმალღესი სიკეთისათვის“ („დე სუმმა ბონიტატე“), გამოდიოდა მის თხზულებათა კრებულში XVII ს-მდე. ასეთ პირობებში გასაგებია, რომ ი. პეტრიწმა არ დაასახელა პირდაპირ არც ავტორი პროკლეს „კავშირნი“-ს მეორე გარდამოღებისა და არც წიგნის სათაური.

მთავარი აქ მაინც სხვა არის. გაირკვა, რომ ი. პეტრიწმა წიგნი პროკლეს შესახებ არ ცნო სავსებით დამაკმაყოფილებლად, თუმცა ძირითადი დებულებები, როგორც ეს „განმარტებამ-ს დღესღებების მეთოდიდან ჩანს, მისთვის სახელმძღვანელო იყო; საქმარისია პროკლეს პირველ კომენტარზე უბრალოდ თვალის გადავლება, რომ ნათელი გახდეს შემდეგი: ი. პეტრიწი არა თუ ტექნიკურად მიყვება პროკლეს ტექსტს, არამედ ხაზგასმულად მიყვება მას იდეურადაც. კიდევ მეტი—ი. პეტრიწი მიყვება ფსევდო-დიონისეს წიგნს და მისი პრინციპების ანუ „პირველ სახეების“ თვალსაზრისით კითხულობს და განმარტავს პროკლეს.

მასშალამე, ი. პეტრიწი მიმართავს მეთოდს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იგი მიყვება პროკლეს პირველ განმარტებელს (ანუ გადმომღებს), მაგრამ აგრცელებს და ასრულებს მას იქ, სადაც ის საქმაოდ ცხადად არ ეჩვენება. ეს ძალზე დამახასიათებელი მეთოდია და იმდენად თავისებური, რომ, როდესაც ასეთსავე მეთოდს თავის სიახ-

ლეთა შეტანისას იდეური მასწავლებლის მიმართ ვხვდებით ფსევდო-დიონისეს მთავარ ნაწარმოებში (წიგნში „საღმრთოთა დასახელთათჳს“) არ შეიძლება აღიარებულ არ იქნას, რომ აღნიშნული მეთოდი ი. პეტრიწმა (XI—XII სს). გაიცნო და გადმოიღო სწორედ ფსევდო-დიონისეს (პეტრე იბერის) ნაწარმოებებიდან.

ვიღრე რუსთაველის მიერ ქართველ მოაზროვნეთა—პეტრე იბერის (V ს.) და იოანე პეტრიწისაგან გადმოღებულ აზრებისა და მათი გამოხატების საშუალებების გამოყენებაზე მიდგებოდეს სიტყვა, რაც ამ ორივე მოაზროვნის მიერ პირველისა და საზღვრულ-უსაზღვრულის ცნებას შეეხება, საჭიროა შეუცდომლად იქნას დადგენილი, რომ რუსთაველს ხელში ეჭირა როგორც ი. პეტრიწის, ისე პეტრე იბერის სათანადო ნაწარმოებები. უკანასკნელი კავშირის დასადგენად საჭირო და აუცილებელია აგრეთვე ნათლად იყოს დადგენილი, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდია მასწავლებლის იდეების თავისებური გაშუქებით საკუთარი აზრების გადმოცემისა.

როგორ მოიქცა ი. პეტრიწი პროკლეს იდეების დიდებული ქართველი მოაზროვნისაგან მეტი სინათლით და გარკვეულობით გადმოღების მოთხოვნის დროს, რათა V საუკუნის ქართველ (ე. ი. „ტომითა ჩუენითა“) მწიგნობრებს საშუალება ჰქონოდათ გარკვეულიყვნენ „რომელ პირველ შემდგომთა არს პირველი“ (ციტ. ნაშრ., გვ. 219). მან, პეტრიწმა თვითონ სცადა მის მიერ აღნიშნული ნაკლის შევსება, რომელიც იმის გამო კი არ მოხდა, რომ დიდებული ქართველი „უმეცარი იყო“, არამედ იმის გამო, რომ მან, დიდებით გარემოცულმა, დიზარა, როგორც ითქვა, უსწავლელობის მხილება.

ი. პეტრიწი რომ ამ დიდებულ ქართველში ფსევდო-დიონისეს (პეტრე იბერის) გულისხმობს, ნათელია იქიდან, რომ მას მოჰყავს ფსევდო-დიონისეს თხზულებიდან „საღმრთოთა სახელ-

თათჲს“ — ზუსტად ისეთივე ადგილი, სადაც აღნიშნულია პეტრეს მიერ მისი მასწავლებლის „იეროთეოსის“ (რაც ნიშნავს იოანე ლაზს) შესახებ, დიდი ცოდნის გვერდით, „მოკლებით“ (ე. ი. მოკლედ) თქმა ღმრთისმეტყველებით მსჯელობათა (პეტრე იბერიელი, „შრომები“, გვ. 27, ს. ენუქაშვილის გამოცემა, თბ. 1961 წ.).

ფსევდო-დიონისე (პეტრე იბერი) წერს: შეიძლება ვინმემ გვისაყვედუროს ჩვენ, „ვითარმედ დიდებულსა მას მოძღვარსა ჩუენსა იეროთეოსს შემოეკრიბნენ ღმრთის-მეტყველებითნი თხორობის შენიეტებანი ზეშთაბუნებისა“, ე. ი. ჩვენს დიდებულს მასწავლებელს იეროთეოსს პროკლეს წიგნიდან „კავშირნი ღმრთის-მეტყველებითნი“ მაღალი ბუნების მქონე რაიმე შემოეკრიბა. „ხოლო ჩუენ, ვითარ თუმცა არაჲ იყვნეს იგინი, ამისთვის ავსწერეთ აწინდელსა ამას ღმრთის-მეტყველებასა“, ე. ი. ჩვენს, თითქოს იგი არ იყო საკმაო, დაეწერეთ ახალი ღმრთის-მეტყველება ამ წიგნში („საღმრთოთა სახელთათჲს“, დას. ნაშრ., გვ. 26).

ასეთი სიტყვისგების საპასუხოდ პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე), აცხადებს: მას რომ თანდათანობით, „განვრცელებით“ ეთქვა, კერძო დებულებებიდან განუზოგადებინა ღმრთის-მეტყველების დებულებანი, არც უვიცობას და არც ვერაგობას არ მივეცემოდით, ან მისი ერთხელ ნათქვამის კვალად განმეორებით ცუდად გვემეტყველებია. ამის გარდა უსამართლობაც იქნებოდა ეს ჩვენი მოძღვრისა და მეგობრის მიმართ, რადგან ჩვენი ნათქვამი მიტაცება იქნებოდა მისი მოაზრებულისა და ნათქვამისა. მაგრამ მან (ჩვენმა მასწავლებელმა, ე. ი. იეროთეოსმა) მოკლედ გადმოგვცა ეს და ერთ ცნებაში მრავალი რამ ჩაატია. ამიტომ საჭირო შეიქმნა ჩვენს მიერ, შეძლებისდაგვარად ცხად გვეყო „შემოკლებითნი“ იგი და ნათქვამი (მოგვყავს ახალი ქართულით).

ესაა მთავარი. როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში, ე. ი. ი. პეტრიწთან

გადმოღებული სიტუაცია იგივეა, რაც ფსევდო-დიონისეს მიერ აღნიშნული: საქმე ეხება: ა) მასწავლებლის (იეროთეოსის) ნათქვამს ფსევდო-ღმრთისმეტყველების და ბ) მასწავლებლის (ფსევდო-დიონისეს) ნათქვამს მისი გვიანი (ექვსასი წლის შემდეგ) მკითხველისათვის—ი. პეტრიწისათვის.

არ არსებობს საბუთი იმის წინააღმდეგ, რომ იოანე პეტრიწი თავის „განმარტების“ მესამე ნაწილში (გვ. 219) ლაპარაკობს ფსევდო-დიონისეზე—ანუ იეროთეოსის მოწაფე — პეტრე იბერზე. ორივე შემთხვევაში, მასწავლებლის წიგნისაგან განსხვავებით, „კუალად“ იწერება წიგნი (განმარტება), რომელიც ამოსავალი ავტორის „უსწავლულობით“ კი არაა გამოწვეული, არამედ „მოკლებითი საზღვართ“, ე. ი. მოწოდებულ ცნობათა სიმოკლით. მასადაამე, ანტიკურობის მიჯნაზე მოვლენილი ქართველი მოაზროვნენი — ავტორი არეოპაგატიკული წიგნებისა (V ს.), ვითარცა მემკვიდრე ანტიკური აზროვნების მიერ დასმულ, მაგრამ გადაწყვეტილ საკითხებისა და მათი გადაწყვეტის შედეგად იმ მცდელი—პეტრე იბერი (დიონისე არეოპაგელი) და ექვსასი წლის შემდეგ იმავე საკითხებზე მოაზროვნე, პეტრე იბერის ნიადაგზე მდგომი და მისი ამაღორძინებელი — იოანე პეტრიწი—ასეთია სააზროვნო გზა ანტიკურობიდან რენესანსისაკენ. მისი შინაარსია ადამიანის ამაღლება სრულყოფამდე და ყოველმხრივ სახიერებამდე, რისთვისაც მას, ვიწრო გამოთქმით, ჰუმანიზმი ეწოდა. ღვთაების იდეა, როგორც სრულყოფის გამოხატულება, ადამიანის სრულყოფად უნდა გამხდარიყო და კაცად გამხდარი თანაბრად „ძეს კაცით კაცამდე“, როგორც იტყვის რუსთაველი, „დიდად სახელდებული“, ვითარცა იტყოდა პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე).

„დიდ უკუე სახელ-ედების ღმერთსა... რამეთუ გარე შემოსწერს ყოველსა სიდიდესა... ზეშთა-აღმატების ყოველსა რიცხვსა და ზეშთ-გარდავლის ყოველსა

ურცხვობასა“ (პეტრე იბერი, შრომებო, გვ. 80, ს. ენუქაშვილის გამოცემა). იმავე დროს ღმერთია მცირე, რადგან „არსად ჰპოო სახე მცირესა მოუღებლად“ (იქვე) კაცადქცეულ ლოგოსს მოაქვს სახიერება „პირველისა“ კაცთა შორის და ყოველსა ყოფიერებასა შინა. ამდენად პირველი უსაზღვრულია, როგორც „დიდის“ ისე „მცირეს“ მიმართ და ამდენად პეტრე იბერი უკვე V საუკუნეში მივიდა უსაზღვრო დიდისა და მცირის იდეის ცნებამდე, რომლის აღმოჩენის პრიმატისათვის XVII საუკუნეში გააფთრებით ებრძოდნენ ერთიმეორეს დასავლეთის მოაზროვნენი — ლაიბნიცი და ნიუტონი. XII საუკუნეში კი რუსთაველმა პოეტურად ასახა იგივე აზრი, ე. ი. რომ „დიდი ძეს კაცით კაცამდე“, სადაც დიდის ათვისების ადამიანური უნარის საფეხურების სახით „მცირეც“ იგულისხმებოდა.

ეს იყო პირველი მიზეზის ის იდეა, რომელიც, პოეტურ ენაზე გადატანილი, კაცის ცხოვრების მამოძრავებელ ძალად წარმოსდგა როგორც „მიჯნურობა“ და რომელზედაც უკვე „ვეფხისტყაოსანის“ შესავალში რუსთაველი წერს:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი  
გვარად ზენათა“.

ასე შეიკრა ერთ ზემთაარსებულ სახიერებად ფილოსოფიური „პირველი“ და რომანტიკული „პირველი“ და ამის გარკვევა იქნებოდა რუსთაველისა და ქართველ მოაზროვნეთა რენესანსული კავშირის გახსნა, რომელიც მრავალფეროვანი ჯაჭვის სახით ზეციდან მიწაზე ჩამოუშვა „იერარქიის ოსტატმა“, როგორც დანტე ამბობს ფსევდო-დიონისეს შესახებ, საზღვრის და უსაზღვრულის დიალექტიკის ყალიბში გაატარა ი. პეტრიწმა და კაცის ამაღლების გზად ასახა რუსთაველმა, რადგან „კაცი არ ყველა სწორია—დიდი ძეს კაცით კაცამდე“.

დღეს რუსთაველოლოგიური ძიებანი ის არ შეიძლება იყოს, რაც იყო რამდენიმე ათეული წლის წინ. მას ფილოსოფიური, ფილოლოგიური და ისტო-

რიულ-კულტურული რენესანსული ძიება უნდა ედოს საფუძვლად. ფილოსოფიური არ ნიშნავს რუსთაველის გაფილოსოფოსებას, როგორც ამას ვილაცის უსაყვედურებენ საზღვარგარეთ. ეს იქნებოდა არა მარტო ის, რაზედაც რუსთაველი წერს, როგორც შაირობაზე, რომელიც „სიბრძნისა ერთი დარგი“, არც არისტოტელეს „პოეტიკის“ წესებზე აგებული პოეზია, რომელმაც დასავლეთის შემოქმედება გარკვეულ სოციალ-ისტორიულ პირობებში ფსევდო-კლასიციზმამდე მიიყვანა—არა, ეს იქნებოდა ეპოქალური იდეის, როგორც პროგრესული გზამკვლევის გამოყენება ხელოვნების მიერ, რომელსაც ფილოსოფიის საკითხები ცხოვრების აზრის გაგებისაგან არ გაუყვია, როგორც ამას ჩადის პეტრე იბერი. ზეციერისა და მიწიერის შენაცვლების მიზნით დაახლოვება, კარგად გაიგო ფრიდრიხ ენგელსმა და „ზეციური მეუფების მიწაზე გადმოდგინებად“ გამოიყენა და „გლუბთარეოლოგიის“ გერმანიაში საბრძოლო დროშად მისცა ხელში.

ავტოქთონურს, თვითნაშობს და არა უკუფენილს ქართულ რენესანსს თავისი საკუთარი ფილოსოფიური ფონდი აქვს, ქართველ მოაზროვნეთა მიერ შექმნილი. პეტრე იბერის და ი. პეტრიწის საქმე, რომელიც ანტიკური აზროვნების მთელს შუა საუკუნეებზე გადავლის მაუწყებელია ვიდრე რენესანსის შემზადებამდე, მძივებივით უნდა ამოიკრიფოს რუსთაველის აზროვნებასა და შემოქმედებაში. დღესდღეობით ჩვენი მიზანია ზოგიერთ მომენტზე მითითება, რაც მომავალი კვლევის მიმართულების მაჩვენებელი უნდა იყოს.

შემთხვევით არ დავიწყეთ ი. პეტრიწის შესანიშნავი განმარტებით, რომ მთავარი საზრუნავი ქართული აზროვნებისათვის V საუკუნეში უნდა ყოფილიყო „პირველის“ გამოკვლევა. აქამდე არსებული ცნობებით ეს საძიებელი „პირველი“ საკმაოდ ნათელყო ნეოპლატონიკოსმა პროკლემ, მაგრამ საქმე მას-

ზე ვერ შეჩერდებოდა, რადგან მასში საზღვრისა და უსაზღვრულის აუცილებელი დამთხვევა მხოლოდ დიალექტიკის სათანადო განვითარებით მიიღწეოდა, რაც შესძლო პეტრე იბერმა (ფსევდო-დიონისემ).

განმაცვიფრებელი ამბავია და რუსთველოლოგიური ძიება მას გვერდს ვერ აუვლის. ი. პეტრიწი რომ არ იდგეს პეტრე იბერის ეპოქალური წვდომის, მაგრამ შემოკლებით გადმოცემულ ცნებების სისტემასა და რუსთაველის მიერ ამ ცნებათა პოეზიის ხერხებითა და გზით სახეობრივი აზროვნების შედევრების შუა, უკანასკნელში არეობა-გატიკული აზროვნების ამოკითხვა ძნელი ამბავი იქნებოდა.

ისტორიამ გაანებივრა ქართული კულტურა და არა მარტო მისცა მას, როგორც დღეს ფრანგები ამბობენ, კრეტიენ დე ტრუას ეპოქაში, ე. ი. საუკუნეზე მეტით ადრე დანტე რუსთაველის სახით, არამედ როდესაც საჭირო გახდა ისტორიულად არეობაგტიკის ნიადაგზე რენესანსის საიდუმლოების სანდო ხელში გადაცემა, საქართველოს მისცა ისტორიამ ი. პეტრიწი, როგორც პეტრე იბერსა და რუსთაველს შორის მესიტყვე. ი. პეტრიწი თანაგრძნობით შედის V საუკუნის ქართველ მწიგნობართა მძიმე მდგომარეობაში, რადგან არავინ ჩანდა „პირველის“ გამსწნელი, ხოლო ვინც ეს იცოდა—პეტრე იბერმა, დიდებით გარემოსილმა, დაიხარა (წარეცონა) „სააზილი უსწაველლობისა“.

ი. პეტრიწს, როგორც ყოველ დიდი საქმის გამკეთებელ კაცს, არ ჰქონდა მთლიანად შეგნებული, რა დიდ საქმეს აკეთებდა, რადგან „მოკლებით“ თქმულის შევსებით მან, ი. პეტრიწმა ნათელი გახადა XII ს. გენიალური რუსთაველისათვის, როგორც დასაყრდენი „პირველი“— „ტომი გვართა ზენათა“, ისე მისი სავალი გზა საზღვრიდან უსაზღვროსაკენ.

ცნობილია რუსთაველის პოეტიკაში მოცემული დახასიათება მიჯნურობისა:

ესტვე მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა  
ზენათა,  
ძნელად სათქმელი, საჭირო გამომცემელი  
მისცა საქმე საზო, მომცემი აღმადრენათა;  
ვინცა ეცდების, თობამცა ჰქონდა მრავალა  
წყენათა.

აქ მოცემულია ფილოსოფიური იდეის მნიშვნელობა პოემის მთელ გზასთან. პირველ ტაეპში გაშლილია ის ძირითადი ცნება მიჯნურობისა, რომლის გამოსახატავად საჭირო შეიქმნა ძირითადი ფილოსოფიური ცნება „პირველისა“, რომელიც ეკუთვნის (ტომი უდრის ნაკვეთს, მონაკვეთს), „გვართა ზენათა“, ე. ი. უზენაეს არსს.

ეს „პირველი“ ი. პეტრიწს თავისი „განმარტება“-ს წინასიტყვაობაში დახასიათებული აქვს როგორც „ნამდვილ ქეშმარიტი მყოფი და არსი“. ეს სინამდვილე გაიზომება მით, რომ უმრავლესობა მოვლენათა დაკავშირებულია „არაობასთან“ და ამდენად სრულ ქეშმარიტებას არ შეიძლება წარმოადგენდეს. „თვთ უმრავლესი. მათე შეყრილ არაობასა თანა“ (ი. პეტრიწი, შრომები, II. გვ. 5).

მაგრამ ქეშმარიტობა არ კმარა პირველისათვის, როგორც განმარტება. ამიტომ იყო, რომ პროკლე—პეტრიწის აზრით—დასტოვა საზღვარი თავის ხედვათა და მძწვედა „პირველთა ვიტყვ პლატონისთა“ (იქვე). უმწვერვალესობა პირველისა ავალებდა მას ყოფილიყო ერთი. როგორც ასეთი პირველი, ცხადია, უნდა ყოფილიყო მიუწვდომელი და ამის გამო მისი თქმა ენით, როგორც „გრძნობით მიუწვდომელისა“, პროკლეს მიხედვით, იყო „ძნელად სათქმელი, საჭირო (ე. ი. ჭირის მომცემი, შ. ნ.) გამოსაკვები ენათა“, როგორც თქვა რუსთაველმა.

მაშასადამე, საკმარისია ამ დაწყებითი განმარტებების ფილოსოფიური გამოთქმის და პოეტური გამოსახვის ოდნევა შედარებაც კი, რომ ნათელი გახდეს განსხვავება (და განსხვავება მნიშვნე-

ლოვანი) ფილოსოფიურად და სახეობითად გადმოცემული აზრებისა.

რუსთაველის საღღისო კვლევის დონე მოითხოვს ფილოსოფიურ და ფილოლოგიურ კვლევას ტექსტებისა, რომლებიც ქართველ მოაზროვნეთ—პეტრე იბერსა და იოანე პეტრიწს მიეკუთვნება. ეს სამუშაო უნდა შესრულდეს „ვეფხისტყაოსნის“ გასწვრივ დასახელებულ ყველა ტექსტზე დამყარებით, მაგრამ აქ ჩვენი მიზანია ასეთი ამოცანის როგორც გადაუდებლობაზე, ისე მისი შესრულების შესაძლებლობაზე მიეკუთვნოთ. ძირითადი ცნებები—პირველისა, როგორც პირველ მიზეზისა და იგივე პირველი—როგორც მიჯნურობის ამავე პირველის ტომისა გვართა ზენათა—ზუნებრივი ამოსავალია რუსთაველისა და ქართველ მოაზროვნეთა მიმართებისათვის.

ი. პეტრიწი პირდაპირ მრუდგვ „პირველის“ განმარტებას და მისი ძნელად თქმა უსაყვედურა პეტრე იბერს. ცხადია, რომ პეტრიწი მართალი იყო და პეტრე იბერის ნააზრევზე მარტივად დამყარება ძნელი საქმე იყო და ამ ნიადაგზე „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ფილოსოფიური პოემა ძნელი გასაშლელი იქნებოდა. არ იყო მართალი ი. პეტრიწი, როცა არ იღო აზრად, რომ პეტრე იბერმა მრავალგზის სცადა ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის განმარტება და ვაადვილება, მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმე ჩანდა.

დღეს მეცნიერებაში დადგენილია, რომ პროკლეს პირველი განმარტებელი იყო ის მოაზროვნე, მოდგმით ქართველი (ლაზი), რომელმაც პროკლეს ნააზრევში სწორედ პირველი მიზეზი აითვალა, როგორც კვლევის საგანი, რადგან აქ იხსნებოდა ღვთაებისა და ადამიანის ის მიმართება, სადაც კაცი გახდა მიზანი ღმერთის ამოქმედებისა და ღმერთი—ადამიანის ამაღლებისა. აქ დაისვა იმდროინდელ აზროვნებაში საკითხი ქვეყნად მაღალი აზრის, ლოკოსის, „სიტყვის“ და სწორედ ეს იყო ის სიტყვა, რომელთან დაკავშირებითაც, პეტრიწის თქმით, V ს. ქართველ მწიგნო-

ბართ ამოცანად დეისახათ განმარტება თქმისა „პირველთაგან იყო სიტყვა“.

ამიტომაც იყო, რომ პეტრე იბერს ამოსავალ წერტილად მიუღია არა პროკლეს „კავშირნი“, არამედ ის, რაც ამ წიგნიდან ამოკრიფა მისმა მასწავლებელმა იოანე ლაზმა, მისგან იეროთეთოსად სახელდებულმა.

ის, რაც რუსთაველს თავდაპირველად აინტერესებდა, მისი პოემის შესავალშია ვაშლია, მაგრამ აქ მთავარი იყო სახიერება „პირველისა“ საერთოდ, და იმავე პირველის როგორც მიჯნურობის ამბავი. ამ ამბის გაშლელი ორი კი არა (პეტრე იბერი და იოანე პეტრიწი) ჩანს რუსთაველის პოემაში, არამედ იქ, სადაც, ძირების წიაღში ისმის ღაღადისი პროკლეს სულ უადრესი განმარტებლისა. ეს იყო სწორედ იეროთეთოსად წოდებული, პეტრეს მასწავლებელი — მითრიდატე გაქრისტიანებამდე, ხოლო შემდეგ იოანე ლაზი. და მისი უდიდესი დამსახურება იყო ის, რომ პროკლეს „კავშირნი“, რომელიც იმ თავითვე შემოიჭრა ქართულ აზროვნებაში როგორც ანტიკური ფილოსოფიის მებაირახტე, სწორედ ის დაინახა და საგანგებოდ ამოკრიფა, რაც ეხებოდა „პირველ მიზეზს“ და მის ნიადაგზე აგებულ დიალექტიკას.

ი. პეტრიწს ჰქონდა უფლება ესაყვედურა პეტრესათვის, რომ მან—პეტრემ—მართალია სცადა და ჩინებულადაც გააკეთა იეროთეთოსის განმარტებიდან მთელი სისტემა, რომელსაც თვითონ უწოდა, როგორც ითქვა, „თეოლოგიური პირველსახენი“ („იუპიტობოზე“ს თეოლოგიკად“) და რასაც დროთა ვითარებაში სხვადასხვა სახელი ეწოდა „უზუშთავესი სიკეთისათვის“ (ლათინურად „დე სუმა ბონიტატე“), „წიგნი მიზეზთა“ (აგრეთვე ლათინურად—„ლიბერ დე კაუზის“), მაგრამ, ვინაიდან ეს „თეოლოგიური პირველსახენი“ ქართულად დაიწერა, ჩანს, პეტრემ ვერ შესძლო მისი ტექსტულურად შეტანა თავის პირველ და მთავარ წიგნიში— „საღმრთოთა სახელთათვის“.

ამავე დროს პეტრე გრძნობდა, რომ მისი პირველი ნაწარმოები, რაღაც სახით მაინც უნდა ყოფილიყო არეობა-გიტყუილ კორპუსში შეტანილი და მან ეს გააკეთა ნარევი ტექსტით: იოანე ლაზის (იეროთეოსის) „კავშირნი“-დან ამოწარეფი ციტატებით და თავისი კომენტარებით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი იეროთეოსის ციტატებიდან არის სწორედ ის, რაც იყო შესავალი პეტრე იბერის „ახალი ღმრთის-მეტყუელებისა“. ეს სიახლე „ღმრთის მეტყუელებისა“ პროკლესგან განსხვავებას ნიშნავდა და ქართული ქრისტიანობის დალაგებას უმიზნებდა.

იეროთეოსის „კავშირნი“-ს ციტატი იწყება იმით, რითაც იწყება პეტრე იბერის „ახალი ღმრთის-მეტყუელება“ და რასაც, როგორც ამოსავალს, დაემყარა რუსთაველი. ეს ადგილი ასეთია:

„ყოველთა მიზეზი და აღმაცხებელი იესუმს ღმრთეებაჲ... არცა კერძო არს, არცა ყოვლობაჲ; და ყოველ არს და კერძო... უპირატესობისა მათ ყოველთასა ჩქონებელი და პირველითაგან მყოფი“.

ამრიგად, შევდივართ თუ არა ამ პირველთაგან მყოფის“ იეროთეოსისებურ განმარტებაში, ვხედავთ, რომ მას პროკლეს გაგება, როგორც ანტიკური ნააზრევის მემკვიდრეობა პ. იბერს უნდა წაიფანოს—პირველის, როგორც არსებობის სავსეობის, ისე მისი დიალექტიკურობის მიმართულებით, ე. ი. სრულისა და უსრულოს დაღვენისაკენ.

ეს ნათელია მომდევნო დებულებიდან: „სრულ არს უკვე უსრულთა შორის, ვითარცა სრულთ—მთავარი, ხოლო უსრულ სრულთა შორის, ვითარცა ზეშთასრული და წინააღმდეგ პირველითგან სრული“.

პირველის დიალექტიკა, ამრიგად, ნათელია იქიდან, რომ იგი სრულსა და უსრულს დაპირისპირებისას მთლიანობას აღწევს, რომ იგი უზეშთაესია ანუ ზეშთასრულია და ამით კიდევ

მოხსნის და კიდევ შეიცავს სრულყოფას. როგორც ვხედავთ, პროკლეს პირველმა ქართველმა კომენტატორებმა, იოანე ლაზმა და პეტრე იბერმა, პროკლეს ნააზრევში გაცილებით უფრო ღრმად დაინახეს დაპირისპირებულთა მთლიანობის ამბავი, ვიდრე ეს შეამჩნია პეველმა, რომელიც პროკლესთან ტრიადის შემჩნევით დაკმაყოფილდა.

ასევეა აგებული იეროთეოსის „კავშირნი“ დებულება „სახეთა“ შესახებ. და აქაც სინთეზის მომენტი ასეთია: „უსახო სახეთა შორის, ვითარცა ზეშთასახეთაჲ“, ე. ი. სახისა და უსახოს დაპირისპირება იხსნება ნეგატიურად „ზეშთასახეთაჲ-ს“ საშუალებით.

თუ აქ გავიხსენებთ პეტრეს მოძღვრებას, რომ ქვეყნის „შორის საცნაუროდ იხილვებიან სამარადისოჲ იგი ძალი ღმერთეებაჲ (პეტრე იბერი. შრომები, გვ. 34, ს. ენუქაშვილის გამოცემა), მაშინ მთელი პირველი სტროფი „ფეფხისტყაოსნისა“ ამოიზრდება იეროთეოსისა და პეტრეს დებულებიდან უნაკლოდ.

აქაღმერთი, რომელსაც ცალკე დასახელება არ ესაქიროება, რადგან ერთია „ღმერთება“ და მის „ძალი“. პირველი სტროფის დასასრულს კი ვკითხულობთ:

„მისგან არს ყოლი ზელწიფე, საბით მის მიერითა“.

„სახის“ ამბავმა მოიტანა რუსთაველის პოემის ძველ რედაქტორთა ხელში ე. წ. მეორე სტროფის პირველი ტაევი: „ჲ ღმერთო ერთი შენ შექმენ სახე ყოლისა ტანისა“

სიტყვა „შექმენა“-მ არ უნდა შეგვიყვანოს აქ შეცდომაში, რადგან ღმერთი თვითონაა „ყოფაჲ“ და ვინ „მის ყოფად არს, ყოფაჲ არსთა ყოველთაჲ არაოდეს მოაკლდების“ (პეტრე იბერი, გვ. 63).

პეტრე იბერს არ ავიწყდება აქ, რომ „თვითყოფაჲცა იგი პირველითგან მყოფისაგან არს და მისი არსყოფაჲ, ხოლო თუთ იგი არა ყოფა არს, და მის შორის არსყოფაჲ, არა თუ იგი ყოფისა შორის“ (იქვე). აქ გამოთქმულია უდიდესი მიღ-

წევა აზროვნების ისტორიისა ნეგატიურის დადებითი ღირებულების შესახებ და ამ ნიადაგზე შენიშნა პირველად პეტრე იბერმა ის მნიშვნელობა უარყოფითი განმარტებისა, რომელიც მან გაბედულად მიუყენა როგორც ღმერთის ცნებას, ისე მის მოქმედებას, რაც არსებითად განსხვავდება საღმრთო წერილის თვალსაზრისისაგან. „უცნაურო“ და „უთქმელო“ და სხვ., როგორც უარყოფითი განმარტება, უცვლელად შევიდა რუსთაველის სიტყვათმარებაში.

მაგრამ ყოველივე ეს ის მოვლენაა, რაც დიდ სიძნელეებს ქმნიდა და შემოკლებულად ითქმოდა, და რაც არ აკმაყოფილებდა ი. პეტრიწს. უკანასკნელმა საჭიროდ დაინახა ვრცელი განმარტებები V ს. მწიგნობართათვის, მაგრამ აშკარა იყო, რომ ამის საჭიროება უფრო იგრძნობოდა XI—XII ს. ს.ათვის. შევეხოთ ორიოდ სიტყვით ამ ამბებსაც.

ზემოთ მოყვანილი ადგილები პირველი მიზეზის შესახებ, დამუშავებული პეტრე იბერის მიერ წიგნში, რომელსაც მან თვითონ უწოდა „თეოლოგიურ პირველსახეთათჳს“, გამოყენებულ იქნა რუსთაველის მიერ მის ცნობილ სტროფში (792).

3. ვინ საზღვარსა დაუსაზღვრავს,  
ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
4. ვგი ვამხდის წამის ყოფით ერთსა ასად,  
ასა ერთად.

შინაგანი კავშირი „პირველისა“ და და უსაზღვრულსა და საზღვრულს შორის, როგორც გაირკვა, საფუძვლად დაედო იმ გამოსავალს ანტიკური მსოფლგაგებიდან, რომელმაც ვერ მოახერხა უსაზღვრულის გამოყენება. თუ „პირველი“ და მიჯნურობა ერთი და იგივე „გვართა ზენათა ტომი“ იყო რუსთაველის გაგებაში, აქ უნდა შეკრულიყო კავშირი „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლგაგებისა და ამასთან დაკავშირებულ ადამიანთა ბედს შორის.

რუსთაველი ვერ მივიდოდა ზემოთ მოყვანილ გამოთქმამდე საზღვრისა და უსაზღვრობის შესახებ, რომ მასა და პეტრე იბერს შორის ი. პეტრიწი არ მდგარიყო, თავისი გამოთქმით, რომ პირველი „გაჰსაზღვრებს ყოველთა“ და იგივე პირველი არის „უსაზღვრო წყარო“.

გამოთქმა რუსთაველისა „ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“ (იქვე) პირდაპირ მომდინარეობს პეტრე იბერის თეზისიდან „პირველის“ საზღვრულ-უსაზღვრულობის შესახებ, რომელიც ი. პეტრიწმა „პირველში“ შერწყმულ მარადიულ ღმერთად წარმოიდგინა (პეტრიწი, II, გვ. 143).

ასეთია მოკლე ნიმუში იმისა, თუ როგორ წარმოვიდგენია ჩვენ რუსთაველოლოგიის სამეცნიერო კვლევის დონე რუსთაველის მეორე იუბილეს სამზადისში“.

## აკაკი მინიძე

# ღმევანდელი ვითარება ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში<sup>1</sup>

### I

„ვეფხის ტყაოსანი“ — თამარ მეფის ქაოქის ძეგლია, მე-12 საუკუნის მიწურულსა ან მე-13 საუკუნის დასაწყისისა. უძველესი ხელნაწერები კი, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ, გვიანდელია, მე-17 ან მე-18 საუკუნისა. პლატონ იოსელიანს უნახავს სამი ძველი ხელნაწერი „ვეფხის ტყაოსნისა“: ერთი, მე-15 საუკუნისა, ქაღალდზე (და, როგორც ჩანს, სრული); მეორე, ამაზე აღრინდელი, ეტრატზე, მაგრამ ნაკლები; მესამე, გვიანდელი, რომელიც გრაფ ვორონცოვისთვის მიუღწევიათ საჩუქრად. ეს ვორონცოვისათვის მიღწეული ცალი აღმოჩნდა არქივში (აღინიშნება D ლიტერით). ამიტომ არა გვაქვს არავითარი საბუთი, ეჭვი შევიტანოთ პლატონის ვანცხადებაში, რომ მას ძველი ხელნაწერები უნახავს, ერთი ეტრატზე დაწერილი, ძველი, უთარილო, ნაკლები (პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთლის კუთვნილება) და მეორე უფრო გვიანდელი. ქაღალდზე, თარიღიანი, ალექსანდრე მეფის დროინდელი, 1443 წ. (მცხეთელ ელიოზიანთ ოჯახის კუთვნილება)<sup>2</sup>.

ჩვენი დროის რუსთველოლოგები დიდი გულის ტკივილით აღნიშნავენ ამ ორი ძველი ხელნაწერის კვალის გაქრობას. მათ რომ მოეღწეათ ჩვენამდე,

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე 1965 წ. 21 ივნისს. აქ იბეჭდება ოდნავ ვაგრობილი სახით.

<sup>2</sup> Шота Руствели (1174—1212), გაბ. Кавказ, 1870, № 13 (30 იანვარი).

სულ სხვა ვითარება გვექნებოდა უკვდავი პოემის ტექსტის დადგენის საქმეში, კერძოდ, ჩანართ-დანართ სტროფთა რთული საკითხის გარკვევაში.

ვამბობთ „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის დადგენაო, მაგრამ რას ნიშნავს ეს? — ეს ნიშნავს, რომ ტექსტი უნდა გაიმართოს დაახლოებით იმგვარად, როგორც იგი გამოვიდა პოეტის ხელიდან. ეს კი ერთობ ძნელი საქმეა, რადგანაც ვეფხის ტყაოსნისა არც დედანი მოსულა ჩვენამდე, არც ისეთი ცალი, რომელიც დედნიდან გადაწერილი იყოს პოემის შეთხზვის უახლოეს ხანებში. გვაქვს მხოლოდ არა ერთხელ გადაწერილისაგან გადაწერალები და ისიც ოთხიოდე საუკუნით დაშორებული რუსთველისაგან. ამ ოთხი საუკუნის განმავლობაში ბევრი უბედურება დაატყდა თავს საქართველოს: ხვარაზმელების შემოსევა და ზედ მოყოლებულმა მონღოლთა დაპყრობამ და არა ერთგზის დალაშქრვამ წელში გატეხა ჩვენი ქვეყანა, გაანადგურა კულტურული მონაპოვარა, გაანახანგა საუკუნოებით დაგროვებული სიმდიდრე; ხალხი გაწყდა, კულტურა დაქვეითდა, განათლებულ პირთა რიგები შეთხვლდა, ძველი ქართული ენის ცოდნამ და ვაგებამ იკლო. მონღოლების რბევას მოჰყვა სპარსელებისა და თურქთა თარეში. საქართველომ ვერ მოიკალა დაუსრულებელი ომებისაგან, რაში წელში გასწორებულიყო და კულტურული საქმიანობისათვის მიეყო ხელი. აღარ იყო მომზადებული პირები, რომ, რაც კი რამ ძველი ძეგლები შემთხვევით გადარჩა, ისინი მაინც დაეცვათ მომავლისათვის და სისწორით გადმოეწერათ. მე-15-17 საუკუნეებში გადაწერილი ძველ

ისტორიული თუ ლიტერატურული ძეგლები ყველა სავალალო მდგომარეობაშია, მათი ტექსტები ერთობ შერყენილია: „ქართლას ცხოვრება“, „ამირან-დარეჯანიანი“, „ვისრამიანი“ — ყველა ამათი ტექსტი შერყენილია ბევრგან სუსტად მომზადებული ვადამწერლებისაგან და დიდი ცოდნა, შრომა და გამჭრიახი გონებაა საჭირო, რომ მათი ტექსტი სათანადოდ გასწორდეს და გაიძარტოს. მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ პოეტური ქმნილებაა, და, მაშასადამე, ნაკლებ მოსალოდნელია მისი ფორმების გადაკეთება და შერყენა, მასაც დიდა ცვლილება განუცდია ვადამწერთა ხელში, რომელთაც გაუგებარი ადგილები თავისებურად გაუაზრიანებიათ, ძველი ფორმები გადაუკეთებიათ და ტექსტი საკმაოდ შეუცვლიათ. ამას კიდევ სხვაც დაერთო: დიდებულ მგოსანს გამოუჩნდა მზაძველები, რომლებიც ცდილან, პოემა გაეცრცოთ თავისი ლექსების შიგა და შიგ ჩართვით ან გაგრძელებათა დართვით პოემის ბოლოს.

ამჟამად ცნობილია სამი მზაძველი:

1) ვინმე მესხი მეღვინე, რომელიც ალბათ, ის სარგის თმოგველია, რომელზედაც ხვარაზმელთა ამბის გამო ნათქვამია პოემაში:

ეს ამბავი დარჩომოლა  
სარგის ლექსთა შეუწყობლად;  
აგრე თმოგვი თმოგველთაგან  
შესავლათურთ დარჩა ობლად.  
ეს სიტყვა მოახსენეს,  
ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად.  
მიბრძანა, თუ: ლექსად თქვიო,  
მკვერ-ჭართლად, დაუშრობლად.

(A 2024).

„ობლად დარჩენა“ გულისხმობს, ალბათ, თმოგვის გავერანებას რაღაც უბედურების თავს დატყულომის გამო.<sup>1</sup>

2) მოყვანილი შაირის მიხედვით ჩანს, რომ ხვარაზმელთა ამბავი, რომელიც მანამდე პოემაში არ ყოფილა, ვიღაცას გაუღელქსავს მეფის (?) ბრძანებით, რომლის სახელი არ არის მოხსენებული. ეს ვიღაცა უნდა იყოს ნანუჩა, რომელიც სხვაგან ამბობს:

ესე ამბავი ნარჩომი  
მათ ლომთა მორკმით მკონეთა,  
გალქსვა ავლა ხვარაზმთა,  
მეტლ ვერ მოვიგონეთა,  
ძნელაა პოვნა, გული ჰკრთა,  
დავეარდი, დაველონეთა,  
კვლავ ვოქვი ლექსი, გავმართე,  
მოსმენით გაიგონეთა.

(A 1869)

აწ, გონიერო, სიტყვანი  
თქვენ ჩემნი შეიწყნარენით;  
ძველნი ნარჩომნი ამბავნი  
ლექსად ვოქვენ, გაიხარენით.  
სარგის დაურჩა უთქმელად,  
მას ესე დავაბარენით;  
ლექსნი მიქენით, ამისთვის  
ენანი მომხმარენით.

(A 1870)

ეს დანართი ლექსები უთუოდ ეკუთვნის ნანუჩას<sup>1</sup>, ანუ მანუჩარ ციციშვილს, რომელიც, კ. კეკელიძის ვარაუდით, დაახლოებით მე-17 საუკუნის პირველ მეხუთედში ცხოვრობდა<sup>2</sup>. რომ ეს მოყვანილი სტროფები ნანუჩასია, ამას გვამცნევს 1671 წ. ვადამწერილი (A) ხელნაწერი, რომელსაც აშიაზე ამ სტროფთა გასწვრივ მიწერილი აქვს ინიციალი ნ ან ნა, რაც უთუოდ ნანუჩას აღნიშნავს.

ამას გარდა, ამ A ხელნაწერის 2030 სტროფის აშიაზე მიწერილი აქვს: „მას

<sup>1</sup> ნანუჩა ისე ნაწარმოები ეგონება კაცს, როგორც მეგრული სახელები: გუგუჩა („გუგუ შვი“, გუგუ სახელია), დუღუჩა („თუგუ შვია“), ტყეღუჩა („ტყეღუ შვია“, „ყანა შვია“), რომელთაგანაც ნაწარმოებია სათანადო ვერაუბო: გუგუჩა-ჟე, დუღუჩა-ჟე, ტყეღუჩა-ჟე, ნამდვილად კი ნანუჩა არის სპ. სახელი მანუჩა რ, რომლის ბოლო თანხმოვანი ჩამოკეცვილია, პირველი კი ნარად ქცეულია (შდრ. მეფენეფე, მეზვი — ნეზვი).

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია. II (1958), გვ. 367.

<sup>1</sup> ც. გაბაშვილს აღნიშნული აქვს მიწისძვრა თმოგვეში 1318 წ., მაგრამ არ ჩანს, რა წყაროდან არის ამოღებული ეს ცნობა („გარამია“, 1948, გვ. 32; იგივე თხზულება რუსულად, 1949, გვ. 30). ამ წიგნზე ვ. დონდუამ მიმოიხილა.

ქვეითაც სულ ნანუჩასი არის და შოთა-სიცი ცოტა რამ<sup>1</sup>.

ავთანდილის ანდერძის სათაური D ხელნაწერში (ზაზასეულში) ასე იკითხება: ანდერძი ავთანდილისა, რომელ თქუა ჟამსა სიყუდილისასა, ნანუჩას ჩამატებული მას უკან (A 2070,0).

ზაზასეული (D) ხელნაწერის ზოგ სტროფსაც მიწერილი აქვს წინ ნ. ამგვარი ინიცილებით აღნიშნულია სულ 21 სტროფი; მაგრამ ამ ხელნაწერს აქვს, და კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ნანუჩას სტროფები, ალბათ, დაკარგულ ფურცლებზედაც იყო<sup>2</sup>.

სულ ანგარიშობენ 32 სტროფს, რომლებიც, ნანუჩას ჩაუმატებია შიგა და შიგ, მაგრამ მე მგონია, რომ მეტი იქნებოდა.

ამ ნანუჩას შესახებ არჩილი ამბობს:

ნანუჩას რუსთველის ნათქვამში  
ბევრი რამ ჩაურევია,  
საბრალოს ვერ შეუწვია,  
წმინდა რამ აღმღერვია.  
რუსთველი სიბრძნის ტბა არის,  
არცა თუ ივ მორევია<sup>3</sup>.

3) მესამე მბაძველ-გამგრძელებელი არის იოსებ ტფილელი (სააკაძე), რომელსაც ტარიელის მეორე ანდერძი გაუღეჭსავს. ამის შესახებ უტყუარ ცნობას გვაწვდის თვით ავტორი მისსავე გადაწერილს ზაზასეულ „ვეფხისტყაოსანში“ (D-ში), სადაც იკითხება: „აქა კიდევ სხვა ანდერძი და სოფლის გმობა ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა, ტფილელის იოსების ნათქვამი“ (A 2063<sup>1</sup>-ის წინ).

ამათ გარდა, იყვნენ აგრეთვე სხვა მბაძველები, რომელთაც პოემაში აქა-იქ ჩაურთავთ თავისი ლექსები.

ბაძვა, გადაკეთება, ჩართვა თუ დამა-

<sup>1</sup> ს. უუბანეიშვილი, წინასიტყვაობა 1956 წ. გამოცემულის „ვეფხისტყაოსანისა“ 1671 წ. ხელნაწერის მიხედვით, გვ. 11, მწკ. 1.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. II (1958), 368.

<sup>3</sup> არჩილი, ვაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა. სტრ. 26 (არჩილიანი, ტ. II, 1937, გვ. 3).

ტება — ეს არ არის ისეთი რამ, რომ მართო „ვეფხისტყაოსანს“ ანასიათებდეს; ასეთი რამ ჩვეულებრივად სხვა რუსული პოეზიის ისტორიაშიც<sup>1</sup>.

დღეს ჩვენს განკარგულებაშია 50-მდე „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, ზოგი მთავანი ნაკლები ან ნაწყვეტი, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ასეთი ისე, ასახვევენ იმ ვითარებას, რომელიც უსწრებდა პოემის პირველ გამოცემას, ვახტანგის ბრძანებით შესრულებულს 1712 წ.<sup>1</sup>. ეს ხელნაწერები ძალიან ჭრელ სურათს გვიჩვენებენ როგორც სტროფების შედგენილობის მხრივ, ისე ცალკეული სიტყვებისა და ფორმების ხმარების მხრივაც.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა გულისხმობს პოემის გაცხრილვას ჩანართ-დანართი სტროფებისაგან, ხოლო რუსთველისად მიჩნეულ ნაწილში შეყვანილი სიტყვების შესწორებას და პოემის აღდგენას დაახლოებით იმ სახით, როგორც იგი გამოვიდა ავტორის ხელიდან. მთლიანად ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება საკმაოდ მივუახლოვდეთ მას.

II

საყურადღებოა, ვიცოდეთ, თუ როგორ მიმდინარეობდა პოემის ბეჭდვა 245 წლის განმავლობაში (1712 წლიდან 1957 წლამდის).

პირველად რომ დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ 1712 წელს, იგი იყო ერთგვარი ცდა მეცნიერული გამოცემისა: პოემა გაცხრილეს, რამდენადაც შეეძლოთ, ჩანართ-დანართი სტროფებისაგან და დატოვეს შავ მხოლოდ 1587 სტროფი. ეს გამოცემა იყო კრიტიკული, შესრულებული, რა თქმა უნდა, ფილოლოგიური კვლევა-ძიების იმ დროინდელ დონეზე. არსაიდან არ ჩანს, რომ ამ გამოცემისათვის ვახტანგს ან მის კო-

<sup>1</sup> ზოგი ხელნაწერი ვახტანგის გამოცემიდან მომდინარეობს, მაგრამ ბოლოს დაურთავთ ძველი ხელნაწერიდან გადაწერილი დამატებითი თავები.

მისიას გამოყენებისის რომელიმე ძველი ხელნაწერი და იგი უცვლელად დაებეჭდოს. პირიქით, ჩანს, რომ ტექსტი გაუცხრიალავთ ჩანართ-დანართებისაგან. სხვათა შორის, ეს იქედანაც ჩანს, რომ პირველ გამოცემას ახლავს თვით ვახტანგის „თარგმანი“ (ე. ი. ახსნა-განმარტება), სადაც ახსნილია შვიდი აშკარად ჩანართი სტროფი. ამას გარდა, პოემაში სხვა სიტყვები ან ფორმები მოიპოვება, ვიდრე იმ „ვეფხის ტყაოსნის“ ხელნაწერში, რომელსაც ვახტანგი თავის ახსნა-განმარტებას უწერდა. ამიტომ სპობოლოდ უნდა უქუყავდოთ მტკიცება, თითქო ვახტანგს რომელიღაც ძველი, ჩვენს დრომდე არ-მოღწეული ვერსია დაებეჭდოს.<sup>1</sup>

„ვეფხის ტყაოსნის“ შემდგომი ბეჭდური გამოცემა ძალიან დაგვიანდა. ეგი მხოლოდ 1841 წ. მოხერხდა. პოემა დაბეჭდა სარედაქციო კოლეგიამ (მ. ბროსემ, ზ. ფალავანდოშვილმა და დ. ჩუბინაშვილმა) ბროსეს წინასიტყვაობით. თუ პირველ გამოცემაში 1587 სტროფი იყო, მთავარმა რედაქტორმა (ბროსემ) საჭიროდ დაინახა, რომ ახალი გამოცემა შეეცხო და ამ მიზნით 48 სტროფი დამატებით შეიტანა პოემაში ხელნაწერებიდან და ეს საქმე მან თავისებურად დაასაბუთა.

ამის შემდეგ დ. ჩუბინაშვილმა ერთპიროვნულად ორჯერ დაბეჭდა „ვეფხის ტყაოსანი“. პირველად (1846 წ.) მან უცვლელად გადაბეჭდა 1841 წლის გამოცემა, მეორედ კი (1860 წ.) საჭიროდ დაინახა, გამოეკლო რამდენიმე სტროფი და შიგ მოქცეულთა რიცხვი 1593-მდე დაეყვანა.

კიდევ მეტად არის გამოკლებული სტროფები ქართველიშვილის გამოცემაში (1888 წ.), რომელზედაც 1881 წლი-

დან მეშობდა კომისია<sup>1</sup> და რომლის უკანასკნელი რედაქცია ივანე მაჩაბელს ეკუთვნის. ამ გამოცემის ბოლოს დაბოლოვებული ცნობაში ვითხოვლობთ „კომისია“ ამ სხვადასხვა ხელნაწერების ერთმანეთთან შედარებით რამდენიმე ბნელი აზრთა გაარკვევა, ძველებური მართლწერა შეძლებისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა, ტექსტს გამოაკლო“. ამ გამოცემაში დატოვებულია მხოლოდ 1576 სტროფი.

ქართველიშვილის გამოცემის სტროფები უკლებლივ გაიმეორა დ. კარიჭაშვილმა (1903 და 1920 წწ.).

ა. სარაჯიშვილმა „ვეფხის ტყაოსნის“ შედგენილობის საკითხს უძღვნა დიდი გამოკვლევა („ვეფხის ტყაოსნის ყალბი აღგილება“), რომელიც იბეჭდებოდა „მოამბეში“ 1895-1901 წლებში. ა. სარაჯიშვილს პოემის ტექსტი არ გამოუცია, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა გვექონოდა, თუ როგორ გაცხრილა მან პოემა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ნაყოფიერად მან ისეთი სტროფებიც მიიჩნია, რომლებიც უდაოდ რუსთველის კალამს ეკუთვნის.

ს. კაკაბაძემ ორჯერ გამოსცა „ვეფხის ტყაოსანი“. პირველ გამოცემაში (1913) ასახულია ხელნაწერთა ვითარება, ხოლო მეორე გამოცემაში (1927) მან 1553 სტროფი შეიტანა. ამასთანავე მან წინასიტყვაობაში აღნიშნა, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ ვაგარძელება და აგრეთვე ჩართულ-დართული სტროფები სრული ვარიანტებითურთ გამოდის ცალკე წიგნად“-ო, მაგრამ, რამდენადაც ვიცო, იგი არ გამოსულა.

იუსტინე აბულაძემაც ორჯერ გამოსცა „ვეფხის ტყაოსანი“: 1914 წ. და 1926 წ. ორსავე გამოცემაში პროლო-

<sup>1</sup> პ. ინგოროვსა დღესაც იმეორებს ამ აზრს. ძველად კი სხვებიც იზიარებდნენ მას (დ. კარიჭაშვილი, ს. კაკაბაძე და სხვ.). ამის შესახებ უფრო ვრცელად ქვემოთ.

<sup>1</sup> კომისიის შედგენილობა: ი. გოგებაშვილი, ნ. დადიანი, დ. ერისთავი, რ. ერისთავი, ი. მაჩაბელი, ს. მესხი, ი. მუხანაჯია, ვ. რ. ორბელიანი, ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, დ. ქორჭაძე და სხვ. (ე. ი. მ. დ. ა. შვილი, „რუსთველოლოგიური ლიტერატურა“, № 173).

გისა და ეპილოგის შესახებ ნათქვამია, რომ ისინი „მიეწერება შოთა რუსთველს“-ო. თვით პოემაში კი I გამოცემით 1519 სტროფია დატოვებული (ამას გარდა, პროლოგშია 31 და ეპილოგში — 5).

მეორე გამოცემაში ი. აბულაძე ამბობს, რომ „გაეწმინდეთ პოემის ტექსტი მხოლოდ ზოგიერთი აშკარა ჩანართების სქოლიოში ჩატანის საშუალებით“. მაშასადამე, ამის მიხედვით გამოდის, რომ ზოგი სტროფი, რომელიც არ არის ძირს ჩატანილი, შეიძლება რუსთველისა ან იუს. პოემის ტექსტში დატოვებულია მხოლოდ 1426 სტროფი (ანუ შიარი, ანუ ხანა).

პოემის ტექსტის გავრცობის მხრით ყველაზე მეტად თავი გამოიღო კ. ჭიჭინაძემ, რომელმაც 1934 წ. გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ და შიგ შეიტანა ხელნაწერებიდან რამდენიმე აშკარად ჩანართი სტროფი და, ამას გარდა, სამი თავი ბოლოში: ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიყვდილის ცნობა (22 შიარი), ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატულთ დამორჩილება (36 შიარი) და ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა (31 შიარი). ამათგან წინა ორი თავი სრულიად არ მოიპოვება ვახტანგის გამოცემაში, შესამიდან კი გამოკრებილია და შეტანილია მხოლოდ 16 შიარი, რომლებიც პოემის დაბოლოვებისათვის მიუჩნევიათ საჭიროდ.

### III

პირველი სერიოზული ნაბიჯი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმეში გადადგმულ იქნა 1935-1936 წლებში, როდესაც მზადება იყო, რომ პოემის დაწერის 750 წლისთავი<sup>1</sup> დიდი ხეიმით აღნიშნულიყო 1937 წელს. ერთ-ერთ ღონისძიებად ამ დიდი ამბისათვის დასახული იყო პოემის ახალი გამოცემა ტექსტის შეჯერების საფუძველზე ძველ ხელნაწერებთან. მთავრობის დადგენი-

ლებით პოემის ტექსტის დასადგენად დანიშნულ იქნა კომისია შემდეგი შედგენილობით: იუსტ. აბულაძე, პ. ბარამიძე, ვუკ. ბერიძე, პ. ინგოროვეცა, ს. იორდანიშვილი (მდივანი), ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე (I თავმჯდომარე), ა. შანიძე (II თავმჯდომარე), კ. ჭიჭინაძე<sup>2</sup>.

ამ დროს თბილისში აღარ მოიპოვებოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომლებიც 1921 წ. გაიტანეს ევროპაში და რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად კვლავ დაუბრუნდა საქართველოს 1945 წ. სხვა გატანილ ნივთებთან ერთად ე. თაყაიშვილი-თურთ, რომელიც ამ სიძველეებს აერბერად გაჰყვა ევროპაში და ისევ მოჰყვა თან. სამაგიეროდ კომისიის განკარგულებაში იყო ზახსეული ხელნაწერი მე-17 საუკუნისა (D), 1935 წ. მიღებული ლენინგრადიდან, და ზოგიერთი სხვა ძველი ხელნაწერი.

კომისიამ ორი წლის მუშაობის შედეგად<sup>3</sup> დაადგინა ტექსტი, ვაცხრილა პოემა, რამდენადაც შეეძლო, ჩანართ-დანართისაგან და დადგენილ ტექსტს გაუკეთა ვარიანტები. სამუშაოდ, 1937 წ. საიუბილეოდ დაიბეჭდა არა ის ტექსტი, რომელიც კომისიამ შეიმუშავა, არამედ იგი რამდენადმე გადააკეთეს და, სხვათა შორის, შიგ შეიტანეს ინდო-ხატულთა ამბის შემცველი თავები (89 შიარი), რომლებიც უარყო ჭერ კიდევ ვახტანგის მიერ პირველად დაბეჭდილმა „ვეფხისტყაოსანმა“, რადგანაც მაშინ უფრო მეტი ცნობები იყო ჩანართ-დანართ-

<sup>1</sup> ამ კომისიის უმმართველდნენ და ხელნაწერებიდან ვარიანტულ მასალას იწერდნენ: ილია აბულაძე, ა. გვირგვინი, მ. დუდუჩაძე, ტარიელაძე და მ. ხუბუა.

<sup>2</sup> ამ კომისიის მუშაობის შესახებ ნახეთ ს. იორდანიშვილის წინასიტყვაობა მისი გამოცემულის „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართ-დანართისა“ (1948) და კ. კეკელიძის О работах Комиссии по установлению критического текста поэмы Веспхисткаосани для юбилейного (1957) издания: ძეგლები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII (1961), გვ. 279-290.

<sup>3</sup> პოემის დაწერის თარიღი ვერაუდით იყო მიღებული.

რთი სტროფების შესახებ, ვიდრე ჩვენ დროს.<sup>1</sup> ეს მოხდა კ. კვიციანიასა და მ. ტოროშელის ჩარევით. უკანასკნელმა, როგორც ჩანს, ეს საკითხი ი. სტალინს შეუთანხმა.<sup>2</sup> ამგვარად, 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში გაიწინა და მას შემდეგ პოემის ყველა გამოცემაში ავტორატურად შეორღებოდა ინდო-ბატაელთა ამბის შემცველი თავები.

საიუბილეო გამოცემას უნდა დაპროტოლა ვარიანტები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. იმ ხანებში მე არ მომიწონეს, რომ სიტყვა შევუბრუნე ერთ პირს, და სარედაქციო საქმეებს ჩამომაშორეს. სამაგიეროდ სარედაქციო კოლეგიის წევრებად გამოაცხადეს ისეთი პირებიც (ე. ბურჭულაძე, გ. კინაძე, კ. ჩარკვიანი), რომელთაც ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ... მე ეს ოდნავადაც არ მწყენია, რადგანაც იმ გამოცემას მე ხელს ვერ მოვაწერდი. მეწყენია მხოლოდ სამეცნიერო საქმის გაფუჭება, რომლის გამოსწორება შემდეგ ძნელი შეიქნა.

ამის შემდეგ ორჯერ იქნა აღიწერა გადხედული „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტი სარედაქციო კოლეგიის მიერ (ე. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე), რაასე მოჰყვა პირველად 1951 წლისა და შემდეგ 1957 წლის გამოცემები. ამ გამოცემებში საკმაოდ წინ იქნა წადგმული ნაბიჯი პოემის ტექსტის გამართვის საქმეში, განსაკუთრებით 1957 წლის გამოცემაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რა თქმა უნდა, ინდო-ბატაელთა ამბავს, რომელიც ორსავე გამოცემაში საიუბილეოდან გადმოჰყვა.

IV

„ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად და მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის მოსამზადებლად საჭირო იყო წინასწარი სამუშაოების ჩატარება, რაც უკვე რამდენადმე შესრულებულია.

ა) უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო, რომ პირველი გამოცემა 1712 წლისა, რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება და ხელნაწერებს ედარება, ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასთვის. ამ მიზნით 1935-1936 წწ. მე აღვადგინე ვახტანგისეული მხედრული შრაფტი და პოემის ორნამენტები და 1937 წ. გამოვეცი ვახტანგისეული „ვეფხის ტყაოსანი“ იმგვარადვე გაფორმებული, როგორც იყო 1712 წელს. გავასწორე მხოლოდ კორექტურული შეცდომები და დაფურთე ჩემი შენიშვნები.<sup>1</sup>

პირველ გამოცემას, 1712 წლისას, ბოლოს ახლავს (გვ. 286-351) ვახტანგის „თარგმანი“, სადაც განმარტებულია, ტექსტის მიყოლებით, ექვსასიოდე სტროფი. ამ თარგმანის შესწავლისას გამოირკვა, რომ ვახტანგი ასსანა-განმარტებას უწერდა ვრცელ „ვეფხის ტყაოსანს“, რომელშიც ყოფილა სხვა პირთაგან ჩამატებული სტროფებიც. ამ ჩამატებულითაგან მან განმარტება დაუწერა შეიღს, რომელთაგან არც ერთი არ შესულა მის გამოცემაში. ამას გარდა,

<sup>1</sup> როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელი თავიდან ვახტანგის გამოცემაში შევიდა მხოლოდ 16 სტროფი (შირი), რომლებიც პოემის დაბოლოებისთვის უცნაოდ საჭიროდ.

<sup>2</sup> ა. ბარამიძემ გადმოშვა, რომ კ. კვიციანეს მისთვის შემდეგი უამბინია: როდესაც აპირებდნენ „ვეფხის ტყაოსნის“ ბალზონისეული რუსული თარგმანის გამოცემას მოსკოვში, მაღაქია ტოროშელის შემწეა ი. სტალინს ჩემი გამოცემა და უთხრა, რომ აი ეს სამი უკანასკნელი თავი აქლია ბოლოს მეგ თარგმანის. სტალინმა შემოხაზა ეს თავები და თანახმა გახდა, ეთარგმნათ და დაემატებინათ. ბალზონისეული თარგმანი დამატებული თავებითურთ გამოვიდა 1936 წელს ა. სვანიძის რედაქციით. წინ წამძღვარებულ სარედაქციო წერილში აღნიშნულია, რომ სამი დამატებითი თავი თარგმნა E. Тарловская-მ (გვ. XIX). ამის შედეგი ის იყო, რომ დამატებითი თავები ქართულ ტექსტშიც შეიტანეს.

<sup>3</sup> პ. ინგროსოვა წევრი იყო კომისიისა, მაგრამ არ ესწრებოდა სხდომებს, რომლებზედაც პოემის ტექსტის დადგენის საკითხები ირჩეოდა. სამაგიეროდ მან მოახერხა, რომ მისი „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ შესავლად წამძღვარებოდა საიუბილეო გამოცემას (1937).

<sup>1</sup> შ. რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფილისს 1937.

მისი გამოცემა დიდად განსხვავდება იმ ხელნაწერისაგან, რომელსაც იგი უწერდა ახსნა-განმარტებას: ახსნა-განმარტებაში სხვა სიტყვებია, გამოცემაში კი — სხვა<sup>1</sup>; მაგალითად, ვახტანგის ხელნაწერში ყოფილა:

მას არა ვიცი შევემართო  
შესხმა ხოტბისა ზმირისა (მკ),

საიდანაც იგი შემართვას იმოწმებს და ამბობს: შევემართვა შებედვას ჰქვიანო. დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანში“ კი იკითხება არა შევემართო, არამედ შევეპყადრო:

მას არა ვიცი შევეპყადრო,  
შესხმა ხოტბისა ზმირისა<sup>2</sup>.

1 ა. შანიძე, ვახტანგის დედანი „ვეფხისტყაოსნისა“ (აღდგენილი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ბოლოს, გვ. 388-394).

2 ამით დაასტურდა აზრი, პირველად ე. თაყაიშვილის მიერ გამოთქმული და შემუშავებული ძველი ხელნაწერების შესწავლის შედეგად, რომ ვახტანგმა დაბეჭდა არა რომელიღაც ძველი ხელნაწერი, არამედ გაეცხრილა ვრცელი ხელნაწერი ჩანართ-დანართისაგან და რომ, მაშასადამე, პირველი გამოცემა არის შექმნილი კრიტიკული გამოცემა. ეს ფაქტი უკვე 1936 წ. იყო აღდგენილი საბოლოოდ (ა. შანიძე, ვახტანგის დედანი ვეფხისტყაოსნისა: „კომუნისტ“, 1936, 17 ნომბ.).

შეუხედავად ამისა, დღესაც შეიძლება გააგონოს კაცმა, ვითომც ვახტანგს უცელვალად დაებეჭდოს რომელიღაც ძველი ხელნაწერი: „ვახტანგს ეს ძველი ხელნაწერი შოთას პოემისა თავიდანვე კი არ ჰქონია ხელთ, არამედ მოუპოვებია „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის მზადების პროცესში...“ — როცა ვახტანგს შესვლილია ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის და შემოუკრებიათ პოემის ხელნაწერები, ამ დროს მოუპოვებიათ პოემის ძველი დედანი, რომელიც საფუძვლად დასდებია ვახტანგისეულ გამოცემას“ (პ. ინგოროს რ. ვეფხისტყაოსნის შედგენილებაში: მისი რედაქციით 1953 წ. გამოსული „ვეფხისტყაოსნისა“ ბოლოს გვ. 506 — 507).

„ინადგება კიბეჯო, — წერს პ. ინგოროს რუსთველიანის მეორე გამოცემაში, — თუ რა ხასიათისაა ის ტექსტი, რომელსაც შეიცავს ვახტანგის გამოცემა: არის თუ არა იგი უცელვლო განმარტება რომელიმე ძველი ხელნაწერისა, რომელიც ვახტანგის დროს ვერ კიდევ არსებულა, ანდა იქნება ვახტანგის დაბეჭდილი დედანი წარმოადგენს კრიტიკულ გამოცემას, ე. ი. ხელოვნურად შემოკლებულ ტექსტს?“ ამ კითხვაზე ავტორი ასეთ პასუხს იძლევა: „კრიტიკული ანალიზი ვახტანგის ტექსტისა არ სტოვებს არაერთარ ეჭვს აღძრული საკითხის შესახებ: ტექს-

ტი საიუბილეო კომისიის მიერ მომზადებული ტექსტი, როგორც ვთქვი, საკმაოდ დიდი ცვლილებით დაიბეჭდა 1937 წ., მას უნდა მოჰყოლოდა ვეფხისტყაოსნის წიგნი და დანართ-ჩანართი სტროფები. ერთიც და მეორეც არ დაბეჭდილა. მხოლოდ 1948 წ. ს. იორდანიშვილმა დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის დანართი და ჩანართი“, რომელშიც აღწესდებოდა 625 სტროფი<sup>1</sup>.

ე) რუსთველის სახელობის ინსტიტუტმა 1956 წ. გამოსცა მთლიანად ერთი ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, რომელიც 1671 წელს არის გადაწერილი. იგია ყველაზე ვრცელი და ამასთანავე სრული და დაუზიანებელი ცალი პოემის უძველეს თარიღიან ხელნაწერებს შორის. სხვათა შორის, მის აშეგებზე ზოგიერთ სტროფს მიწერილი აქვს ასო ნ, რომლის მიხედვით ფიქრობენ, რომ სტროფი მიეწერება ნანუჩას. ს. ყუბანიშვილი აღნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი აბლო დგას ცხრა წლის შემდეგ (1680 წ.) გადაწერილ ხელნაწერთან და რომ ორივე ერთი წყაროდან უნდა მოდიოდეს.

დ) საჭირო იყო აღწესდულიყო ყველა სიტყვა და ყოველი სიტყვის ფორმა, რომლებიც მოიპოვება „ვეფხისტყაოსანში“, ე. ი. საჭირო იყო სათანამებელი ანუ სიმფონია. იგი უკვე შეადგინა კ. ჰეილინგერი, და დაბეჭდა კიდევ მის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოს 1934 წ. (გვ. 419-666). მაგრამ აქ ზმნები დაწყობილია დასაწყისი ასოების მიხედვით, რის გამოც ერთობა

ტის შესწავლიდან უცილობლად მტკიცდება, რომ ვახტანგს არავითარი შესწორება არ შეუტანია „ვეფხისტყაოსნის“ დედანში და მას უცვლელად დაუბეჭდავს რომელიღაც ძველი ხელნაწერი. (პ. ინგოროს რ. ვეფხისტყაოსნის შედგენილებაში: კრებული, ტ. 1. 1963, გვ. 17).

1 ს. იორდანიშვილი ანგარიშობდა 665 სტროფს, მაგრამ ამითგან 20 სტროფი საიუბილეო გამოცემაშიც მოიპოვება, ხოლო 8 სტროფი ორჯერ არის შეტანილი. ს. იორდანიშვილის ჩანართ-დანართი სტროფების კრებულში (ს. ყუბანიშვილი, ვეფხისტყაოსნის ჩანართი და დანართი სტროფები, 1956, გვ. 07).

და იმავე ზმნის ფორმები სულ სხვადასხვა ადგილას მოხვდა: მაგ., ვკადრე (გვ. 497), იკადრებოდა (გვ. 511), ვკადრებს (გვ. 458), ვკადრაო (გვ. 545) და სხვ. ამის გამო მეცნიერული მიზნებისათვის მისი მოხმარება ძნელია. ამიტომ ძველი ქართ. ენის კათედრამ ხელი მიჰყო, ჩემი ხელმძღვანელობით, ჯერ კიდევ 1920 წ. განზრახული სიმფონიის შედგენას სრულყოფილი სისტემით, პოემის 1951 წლის გამოცემის მიხედვით. იგი დაიბეჭდა 1956 წ.<sup>1</sup>

სიმფონიას წამმძღვარა ჩემი გამოკვლევა „პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“ (ცეკლიდან „ვეფხის ტყაოსნის ენის საკითხები“; გვ. 014-037), სადაც აღნიშნულია საკმაოდ დიდი რაოდენობა მცდარი ფორმებისა (1951 წ. გამოცემით). სიმფონია ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი, რომ მიმდინარეობდა გადახედვა პოემის 1951 წ. გამოცემისა სარედაქციო კოლეგიის მიერ (ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე) და პოემის ახალ გამოცემაში (1957) ზოგი შესწორება სწორედ ამ სიმფონიის შედგენისას მოპოებულ ცნობების საშუალებით მოხერხდა.

ე) რუსთველის სახელობის ინსტიტუტმა დაბეჭდა 1957 წ. ვაიოზ იმედაშვილის შედგენილი ვრცელი, 900-ზე მეტ გვერდიანი, ბიბლიოგრაფიული ცნობარი „რუსთველოლოგიური ლიტერატურა 1712-1956 წლებში“, სადაც აღწუსებულია თითქმის ყველაფერი, რაც დაიწერა უკვდავი პოემის შესახებ ვახტანგიდან მოყოლებული 1956 წლამდე. ამ მეტად საჭირო წიგნში თვითველ ნომერს ახლავს ანოტაცია, ზოგჯერ საკმაოდ ვრცელი, საიდანაც მკითხველი ეცნობა წერილის შინაარსს. ავ-

ტორი ამზადებს მეორე წიგნს, სადაც შევა პირველ წიგნში გამოჩენილი ცნობები და უახლესი (1956 წლის შემდეგ დროინდელი) ლიტერატურა.

ვ) იმავე ინსტიტუტმა იმავე 1957 წ. გამოსცა ს. ცაიშვილის გამოკვლევა „ვეფხის ტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“, სადაც ახალი ფაქტებია მოყვანილი იმის საბუთად, რომ პირველი გამოცემა არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა რომელიმე ძველი ხელნაწერის უცვლელი გამეორება, აზრი, რომელსაც, ე. თაყაიშვილისა და ჩემს შემდეგ, კ. კეკელიძე იზიარებდა (ეტიუდები, IV, გვ. 11—15).

ზ) იმავე ინსტიტუტმა 1958 წ. გამოსცა ა. ბარამიძის მონოგრაფიული ნარკვევი „შოთა რუსთველი“ და მერი გუგუშვილის „ვეფხის ტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის“, ხოლო 1957 წელს — ს. ყუბანეიშვილის ცნობათა წიგნი „ვეფხის ტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა“, სადაც 49 ხელნაწერისა და პირველი ბეჭდური გამოცემის სტროფები სათანამებელის სახით არის დალაგებული, თანაც იმის აღნიშვნით, თუ რომელი სტროფი ხელნაწერის რომელ გვერდზეა მოთავსებული, რომელი სტროფი აკლია ხელნაწერს ან დაზიანებულად არის მოღწეული, სად მოხვედრილა სტროფი; ტექსტში თუ აშიაზე და სხვ. ეს არის მეტად სასარგებლო წიგნი ვეფხის ტყაოსნის ტექსტზე მომუშავეთათვის. გამოცემას ახლავს ხელნაწერთა აღწერილობა და დართული აქვს 20 ხელნაწერის ფოტოსურათი: ორი მათგანის ორ-ორი გვერდისა, მესამისა — ოთხი გვერდისა, სხვებისა კი თითო-თითო <sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვეფხის ტყაოსნის სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1956.

<sup>2</sup> უფრო ადრე გ. იმედაშვილმა დაბეჭდა ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა „რუსთველოლოგია“, სადაც ბოლოს (გვ. 201—251) დართულია რუსთველოლოგიის ძირითადი ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია (თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1941).

<sup>1</sup> ერთმა ჩვენებურმა სენამ, რომელიც გამოხატება წინამორბედთა ნამუშავეის უგულვებლყოფასა და საქმის ახლად დაწვევაში, აქაც ირინა თავი: ხელნაწერების აღსანიშნავად დათქმული ნიშნები (ლათინურ ასოებს სახით) იმავე მნიშვნელობით კი არ იქნა გამოყენებულა, როგორც ეს საიუბილეო გამოცემის კომისიის მიერ იყო

მ) იმავე ინსტიტუტში გ. იმედაშვილმა გამოსაცემად მოამზადა თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტება პოემა ვეფხის ტყაოსანისა“, რომელიც დაიბეჭდა 1960 წ. ამ ნაშრომს, რომელიც ვახტანგის შემდეგ მეორე ვრცელი ნაშრომია პოემის ასსნა-განმარტების საქმეში, მკვლევრები მანამდე იცნობდნენ ხელნაწერის სახით, დაბეჭდვის შემდეგ კი იგი ხელმისაწვდომი გახდა ფართო წრეებისათვისაც.

## V

უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში საკმაოდ ინტენსიური მუშაობა წარმოებდა რუსთველის გენიალურ პოემასთან დაკავშირებული საკითხების

მიღებული 1935—36 წლებში (ეს ლიტერები იმავე მნიშვნელობით მხოლოდ ს. იორდანიშვილმა იმპარა მის გამოცემულს „ვეფხის ტყაოსნის ჩინარტა და დანართი“ 1948 წ.), არამედ სხვა მნიშვნელობით; მაგ.,

კონისის სისტემით მიღებული იყო

- A—H 2074 (გე-17 ს.)
- B—H 596 (1646 წ.)
- C—H 757 (1671 წ.)
- D—H 5<sub>a</sub> (1680 წ.)
- E—S 28.9 (1688 წ.)
- F—Q 1092 (ზახსკული, გე-17 ს.)  
და სხვ.

უზნაწიშვილის სისტემით კი ასე ვიტარდა

- A—H 757 (1671 წ.)
- B—H 5<sub>a</sub> (1680 წ.)
- C—H 2674 (გე-17 ს.)
- D—Q 1682 (ზახსკული, გე-17 ს.)
- E—H 596 (1646 წ.)
- F—S 28.9 (1688 წ.)  
და სხვ.

უზნაწიშვილის შემოღებული ინშენები შემდეგ გატარდა „ვეფხის ტყაოსნის ვარიანტების“ წიგნში (1960—1963).

თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ, რომ პ. ინგოროყვას სხვა მნიშვნელობით აქვს ნახშირი ევჯეე ლათინური ასოები (რუსთველიანი, მე-2 გამოც. პ. ინგოროყვა, თბუღლებანი, 1. 1963, გვ. 13—14), ზოლო მ. წერეთელს სულ სხვათი (მ. რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი, 1963, გვ. VI1), აღვიღად წარმოიდგენს მკითხველი, თუ რა არე-დარევა ხელნაწერების შემოკლებით დასახელებაში და რამდენად გამწვანებულია სიწორით გამოცნობა, თუ ვის რომელ ხელნაწერზე აქვს საუბარი.

გასარკვევად რუსთველის ინსტიტუტის გარეშეც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვაგანაც.

1956 წ. დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის „ქართ. ენისა და მწერლობის საკითხები“, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილი ვეფხის ტყაოსნის საკითხებისადმი მიძღვნილი.

კ. კეკელიძის რამდენიმე წერილი რუსთველოლოგიური ხასიათისა დაიბეჭდა მისი ეტიუდების IV წიგნში 1957 წ., მაგრამ უფრო ვრცლად ავტორის შეხედულებანი „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ წარმოდგენილია მისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ II ტომში, რომელიც უკანასკნელად 1958 წელს გამოსცა უნივერსიტეტმა (გვ. 87-212).

საერთო ფერხულში მეც ვიყავ ჩაბმული და სხვადასხვა გამოცემაში დაბეჭდვად რამდენიმე გამოკვლევა, რომლებიც გაერთიანებულია საერთო სათაურით: „ვეფხის ტყაოსნის ენის საკითხები“, ამთავან შეიძლება დაეასახელოთ:

არა მგამა, (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. 17 (1956), № 2).

პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის (ვეფხის ტყაოსნის სიმფონია, 1956).

ორი შესასწორებელი ადგილი (მნათობი 1957, № 2).

ბიძა და ბიძაშვილი, თუ ბიძაშვილები (მნათობი 1957, № 1).

კვლავ მკლავს უგრძესი (მნათობი 1957, № 2).

კვლა და კვლავი (მნათობი 1959, № 1).

„გულ-მხიარული ვიხარებ“ სტროფის მეოთხე ტაქტის გამართვისათვის (მნათობი 1961, № 12).

ვარდისა თუ ვადისა (ლიტ. საქართვე. 1962 წ. 30 ნოემბ.).

ამა ორთა კიდევანთა (ლიტ. საქ. 1963; 22 მარტ).

უკეთესი-უკეთესი (ლიტ. საქ. 1963, 26 აპრ.).

სახლთუხუცესი თუ ზღვათა მინისტრი (ლიტ. საქ. 23 ოქტ. 1964 წ.).

ასული და ჩემი ძეო (ლიტ. საქ. 25 დეკ. 1964).

ს. ციშვილმა დაბეჭდა — „ვეფხის ტყაოსნის რედაქციები და პოემის ზოგიერთი ტექსტუალური საკითხი“ (კ. კეკელიძისადმი მიძღვნილ კრებულში, 1959 წ.).

ი. აბულაძემ დაბეჭდა წერილები საერთო სათაურით: „ვეფხის ტყაოსნის ლექსიკიდან“ თბ. უნივ. შრომები ტტ. 26ბ, 30ბ, 43, კრებული „კ. კეკელიძე“ (1939) და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგად. მეც. განყოფილების მოამბე. 1960. № 1.

ვ. დონდუამ დაბეჭდა „ტერმინოლოგიური თავისებურება ძე სიტყვისა რუსთველის ლექსიკაში“ (აკად. ი. ორბელისადმი მიძღვნილ კრებულში, 1960).

კ. ჭიჭინაძემ 1960 წ. დაბეჭდა რუსთველოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი მეთხე წიგნი „რუსთველი და მისი პოეზია“.

ა. ჭინჭარაულმა დაბეჭდა „ვეფხის ტყაოსნის“ ზოგი ადგილის წაკითხვა და გაგებისათვის“, „ცისკარი“, 1960, № 8.

მ. მახათაძემ ქუთაისში დაბეჭდა წერილი „ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის საკითხები“ (გაზ. „სტალინელი“ 24 ნოემბ. 1961 წ.).

ვეფხის ტყაოსნის საკითხები საერთოდ ბოლო ხანებში მრავალი პირის კვლევა-ძიებების ცენტრში იყო. პოემას ეხებოდნენ სხვადასხვა მხრიდან: მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, ავტორის ფილოსოფიურ იდეათა წარმოჩენის თვალსაზრისით და სხვ.

გ. ნადირაძემ დაბეჭდა „რუსთველის ესთეტიკა“ (1958); შალვა ლლონტმა — „ვეფხის ტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკური როლის პრობლემა“ (ცხუში, 1961).

ზოგ ნაშრომში „ვეფხის ტყაოსანი“ განხილულია ავტორის მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, ასეთია, მაგ., შ. ნუცუბიძის „ქართ. ფილოსოფიის

ისტორია“, II, 1958, თავი მეხუთე, გვ. 159-174) და მისივე „Творчество Руствели“ (1958), რომელშიც იმავთვე ავტორის 1948 წ. გამოსულ „გამოკვლევასთან ერთად („Руствели и восточный ренессанс“) „ვეფხის ტყაოსანს“ ეხებებიან იმ თვალსაზრისით, თუ რა ადგილი უჭირავს ამ პოემას ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში და რა კულტურულ გარემოშია წარმოშობილი.

ამათვე უნდა მივითვალოთ ვ. კერძევის ნაკვლევი „შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხები“ (1960).

ვ. ნოზაძემ წამოიწყო ვრცელი მონოგრაფიების ბეჭდვა, სადაც ვეფხის ტყაოსანი განხილულია სხვადასხვა ასპექტით. უკვე დაიბეჭდა ხუთი ტომი: 1. „ვეფხის ტყაოსნის ფერთა მეტყველება“ (1953), II. „ვეფხის ტყაოსნის ვარსკვლავთ მეტყველება“, რომელსაც აწვავს ნაკვლევი „ვეფხის ტყაოსნის ბუნების მეტყველება“ (1957), III. „ვეფხის ტყაოსნის მზის მეტყველება“ (1958), IV. „ვეფხის ტყაოსნის საზოგადოებათ მეტყველება“ (1958), V. „ვეფხის ტყაოსნის ღმრთის მეტყველება“ (1963).

1963 წელს დაიბეჭდა პ. ინგოროყვას „რუსთველიანას“ მეორე გამოცემა, გადახედულ-შესწორებული (პირვ. გამოცემა გამოვიდა 1926.). მას დაერთო რუსთველიანას ეპილოგი (პ. ინგოროყვა. თხზულებანი, ტ. I), რომელშიც დიდი აურზაური გამოიწვია საზოგადოებაში და რომელსაც კრიტიკული შენიშვნები უძღვნეს: ა. ბარამიძემ („ნარკვევები ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან“, IV, 1964, გვ. 368-437), დ. მუსხელიშვილმა („კახეთ-პერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“. ცისკარი, 1965, № 2) და სხვებმა.

## VI

„ვეფხის ტყაოსნის“ ყოველმხრივი შესწავლა, მისი ტექსტის შერყვნილი ადგილების გამართვა და ცალკეული ადგილების სწორად გაგება ბევრად დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ არის შესწავლილი და გამოცემული

ძველი საისტორიო და სალიტერატურო ძეგლები, განსაკუთრებით შოთას ეპოქისა: სიგელ-გუჯრები, თამარ მეფის ისტორიები, ამირან-დარეჯანიანი, ვისრამიანი, მეხოტბეები და სხვ. მნიშვნელოვანია აგრეთვე ზოგიერთი წინანდელი და მერმინდელი ძეგლიც. ამ მხრივ დღეს გვარია ვითარება გვაქვს.

ჯერ კიდევ 1920 წ. გამოსცა ე. თაყაიშვილმა მის მიერ აღმოჩენილი „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც უაღრესი მნიშვნელობისაა ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების თვალსაზრისით (ძეგლი განეკუთვნება XIII ს-ის მიწურულს ან XIV ს-ის დასაწყისს). მზადდება ახალი გამოცემა.

ივანე ჯავახიშვილმა 1923 წ. მიაკვლია თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებას, მოამზადა გამოსაცემად, მაგრამ ძეგლი დაიბეჭდა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1944 წელს.

კ. კეკელიძე შეეცადა აღედგინა მეტად შერყენილი თხზულება თამარის პირველი ისტორიკოსისა („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), რომელიც მან ჯერ ქართულად გამოსცა<sup>1</sup>, შემდეგ რუსულად თარგმნა და გამოსცა<sup>2</sup>. რა თქმა უნდა, ქართ. ტექსტში ჯერ კიდევ ბევრია ბუნდოვანი და გასარკვევი ადგილი, მაგრამ კ. კეკელიძის ნაშრომი უთუოდ წინ წადგმული ნაბიჯია.

„ქართლის ცხოვრებაში“ შესული ისტორიული ძეგლები (მათ შორის თამარ მეფის ორივე ისტორიკოსის თხზულებანი) უკანასკნელად გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა,<sup>3</sup> რომელმაც საკმაოდ

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცხუ ტექსტის აღდგენის) კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლივით, 1944.

<sup>2</sup> История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил К. С. Кекелидзе, Тбилиси, 1954.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, 1955, ტ. II 1959.

წინ წასწია მათი ტექსტების კრიტიკულად გამოცემის საქმე.

„ამირან-დარეჯანიანის“ ტექსტი 1949 წ. გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათის“ II ტომში, ზოლო მეორედ გამოიცა „საუნჯის“ II ტომში 1960 წ. (გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა).

რაც შეეხება „ვისრამიანს“, რომელიც ენის მიხედვით ყველა ძეგლზე უფრო ახლოს დგას „ვეფხისტყაოსანთან“, სამჯერ იქნა გამოცემული ჩვენ დროს: 1938 წ. (სარედ. კოლეგია: ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, პ. კეკელიძე), 1960 წ. („საუნჯის“ II ტომში. გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა) და 1962 წელს (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარაიამ და მ. თოდუამ). ნოტბები გამოსცა ი. ლოლაშვილმა („ძველი ქართველი მეხოტბენი, წ. I, 1957, წ. II. 1964“).

„ვეფხისტყაოსნის“ გავლენა ყველა მერმინდელ საერო მწერლობის ძეგლზე ვრცელდება, მაგრამ პირველ რიგში ჩვენთვის საყურადღებოა „რუსუდანიანი“ და „მეფეთა წიგნი“.

დიდი ხნის ნანატრ „რუსუდანიანს“ მხოლოდ 1957 წ. ელისა სრული ტექსტის გამოცემა ხელნაწერთა ვარიანტების აღნიშვნით და საკმაოდ ვრცელი ლექსიკონით (გამოსცეს ილია აბულაძემ და ი. გიგინეიშვილმა).

„მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების I ტომი უკვე 1916 წ. გამოსცა იუსტინე აბულაძემ, II ტომი კი გამოვიდა მისი ავტორის დაბადების ათასი წლის თავზე 1934 წ. (სარედ. კოლეგია: იუსტ. აბულაძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე).<sup>1</sup>

<sup>1</sup> აქ მხოლოდ უმოკრესია მოხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული შესწავლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ძველი ქართული ენის ძეგლების გამოცემებიც, მაგრამ მათი ჩამოთვლა და ანოტაცია შორს წაგვიყვანდა.

გიორგი ბარჩხილიძე

სიკეთის პოეზია

ყველა მნიშვნელოვანი პოეტის შემოქმედებაში არის ისეთი პოეტური სახეები და მოტივები, რომლებიც მთელ მას შემოქმედებას გასდევენ. ისინი ლაიტ-მოტივის ღირებულებას იძენენ და ვლინდებიან შემოქმედებითი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ცხადია, ასეთი სახეებისა და მოტივების მულტიფუნქციონალიზაცია არც განმეორების დადასტურებაა და არც შემოქმედებითი არსენალის ამოწურვა. ნიჟიერ პოეტთან იგი მულტიფუნქციონალური საფუძველია, რომელიც ცოცხლად შეესატყვისება თანამედროვეობის წინაშე აღძრულ ყოველ ახალ პრობლემას.

ჩვეულებრივ, რ. მარგიანის პოეზიაში ამ თვალსაზრისით ყურადღებას ამახვილებენ სვანურ მოტივებსა და კოლორიტზე. ამ თავისებურებით შემოვიდა ის ქართულ პოეზიაში. მაგრამ კოლორიტი და რაიმე მოტივი, ცხადია, არაა შემოქმედების არსებითი მომენტი. ისინი მის გარეგნულ მხარეებს მოიცავენ და ნაკლებად განსაზღვრავენ პოეტის შემოქმედებით პოზიციას.

რ. მარგიანის პოეზია თავის სრულყოფილ გამონახულებას სიკეთის დამკვიდრების პათოსში პოულობს. მისი ინტიმი, გულწრფელობა, ან გრძნობის გაზიარების უნარი ყოველთვის ეფუძნება მშვენიერების განცდის სულისკვეთებას. ესაა თავისებური შინაგანი ტრამპლინი, საიდანაც ვადაიშლება სინამდვილის სურათები, ფაქტი, მოვლენა, საგანი, რაც უფრო მეტია სილამაზე და სათნოება, მეტია სიმშვიდის, ზემოთა და სიხარულის განცდა და პირიქით, რაც უფრო იზრდება უარყოფითი ტენდე-

ნციით აღბეჭდილი მოვლენის სფერო, მით უფრო შეუპოვარი და მეტროპოლი ხდება პოეტის შემოქმედებითი პოზიცია. ამ ორ საწყისს შორის როგორც დაბირისპირებულთა მთლიანობაში იშლება რ. მარგიანის პოეტური მრწამსი. ეს საწყისები მისი სულიერი ცხოვრებისა და ზნეობრივი მრწამსის მთავარ შრეებს უკავშირდება.

ამ თვისებითაა აღბეჭდილი მისი ლექსი „აუხდენელი ჩემი სიზმარი“. აქაა იდეალთან, დაუნისლავ ოცნებასთან ცოცხლად შეხების წყურვილი:

შენ თურმე თვალბნელ მღვიმესთან განახეს,  
ფერხითი გეყარა  
ოქრო და ლალი  
და ჟივებს — შთების უტოღველ ბალღებს  
ბალღს აწედიდი ცისფერი დალი.  
შიამბეს, შითხრეს, გამოჩნდი საღდაც  
უაღერსებდი შეციფუნლ იას,  
მიგაცურებდა ნისლევის ტალღა,  
ჩურჩულშიც თურმე ბაძავდი ნიავს.  
ერთხელაც შენი მოსპიათ კენესა  
მიწაში, საღაც გარდასულთ სძინავთ,  
მოსწონებობარ წინაპრებს ჩემსსას,  
მიტოვებულებს დიდი ხნის წინათ.  
და ვიცი, ვიცი...  
აღრე თუ გვიან  
ამოვისუნთქავ, ფრთებს ვავშლი ლაღად.  
სხვაგან თუ არა, ვით შემკრთალ იას  
ჩემს სტრიქონებში ხომ მინც განახავ.

„შემკრთალი ია“, ცხადია, განსხვავებულ მასშტაბებში, აქ ესთეტიური იდეალის ისეთივე სიმბოლური სახეა, როგორც თუნდაც უფსკრულის პირას მდგარი პირიშე ვეყას „სტუმარ-მასპინძელში“. ისინი ნათლად გვაგარძნობინებენ მათი ძლიერების მხოლოდ სილამაზის სფეროში განცდის მომენტს. ვეყასთან იგი ტრაგიკული სინამდვილის ესთეტი-

რი დაძლევის ფორმაა. იგი ტიტანურ ვნებებსა და კოლიზიებს დასრულებულ სახეს, ესთეტურ გარკვეულობას ანიჭებს და „სტუპარ-მასპინძლის“ შემზარავი ფინალის სწორედ ასე წარმოდგენა,

და უფსკრულს დასცქერს პირიშუე მოღერებულის ყელითა.

ნათლად გვაგრძნობინებს, რომ სახის ემოციური და აზრობრივი ტევადობა შორდება კონკრეტული სურათის ტრაგიკულ მორთოლვარებასაც. პოეტური სახე აქ უფრო ფართო მასშტაბებს მოიცავს, სადაც გარკვეულ ჩარჩოებში მოთავსებული სურათოვანი წარმოდგენა მთელი პოეტური კონცეპციის სიმბოლურ სახედ წარმოგვიდგება.

ცხადია, ვაქას პოეზიის კლასიკური მსოფლგანცდის ეს თვისება რომელთანაც რ. მარგიანის ეძებს თავისებური შეხების მომენტს, მის პოეზიაში იძენს განსხვავებულ ელფერს.

ამ თვისებებების დასაბამს რ. მარგიანის პოეზიაში ქმნის სიკეთის განცდის ფაქტორი, რომელიც მისი შემოქმედებითი პოზიციის არსებით მომენტად გვევლინება. მაგრამ სიკეთისა და მშვენიერების იდეალი აქ არ გვევლინება მოპოვებისა და ბრძოლის პირობად. იგი თავისთავად არსებული და ზნეობრივი თვალსაზრისის იმდენად ორგანული ფაქტორია, რომ მისი მოცემულობა არ საჭიროებს არც დაბრკოლებათაგან დაცვას და არც მისი გამარჯვებისათვის საჭირო ბრძოლას. ამდენად იგი გარკვეულ „ილუზიურობის“ სულისკვეთებითაა აღბეჭდილი და მისი დამკვიდრებაც იდილიურ გარემოს მოიცავს.

რ. მარგიანის პოეტური მრწამსი ამ მომენტიდან ყოველგვარი მშფოთვარებისა და დაძაბულობის გარეშე, სიკეთის ქმედით გამოვლენაში პოულობს სულიერი თავისუფლების ყველაზე მყარ საფუძველს:

მე მინდა ვიყო  
შემოდგომა  
ჩემი მალღარიოთ—  
ოქტომბრის ბოლოს

დაბუნძული  
ფოთლებფვითელი,  
რომ ჩიტბივით  
შესვოდნენ  
სოფლის ბაღებზე,  
შავ-შავ თვალბით  
გავესებული  
ქქონდით ვიღელი,  
ჩემი თვალბით,  
უთვალავი,  
ჩემი თვალბით.

ამ პათოსს შეიძლება ასაზრდოებდეს მხოლოდ დიდი შინაგანი სიკეთის ენერჯია. რ. მარგიანის სტრიქონებში იგრძნობა ეროვნული ტრადიციის სიმყარე, რომელიც, ცხადია, გაცილებით უფრო რთულია და ფორმის განცდის უღრმეს ფსიქოლოგიურ შრეებს უკავშირდება. ვიდრე წინაპრებთან მხოლოდ ლექსაღორ სფეროში გამოვლენილი ნათესაობით. ამ თვისებით იძენს რ. მარგიანის პოეზია უაღრესად ეროვნულ ხასიათს და მის ლექსებში მოცემული კოლორიტიც ორგანულ მთლიანობას პოულობს ამ პათოსთან.

მაგრამ სამყაროს მყუდროება არაა რ. მარგიანის შემოქმედებითი ტემპერამენტისათვის დამახასიათებელი. ძლიერი დრამატიზმის წუთებში, მის ლექსებში ფეფქავს დაბრკოლებათა ძლევის, ბუნების უღმობებლობასთან შეზრდილი, სულისკვეთება. ამ მომენტიდან მის ლექსებში ამოტივტივდება ის პირველადი საწყისები, რომლებზეც მისი პოეზიის კოლორიტია დაფუძნებული. სვანური კომეების მღუმარებაში აღბეჭდილი სიმკაცრე, უძირო ნაპარალთა კრთომა, კლდეებზე დაკლავილი ელევა და მწვერვალთა სიზვიადე თითქოს უშუალოდ მონაწილეობენ ამ კონფლიქტის მოწესრიგებაში.

რ. მარგიანის ლირიკულ მე-სათვის არ არსებობს მისი სულიერი სამყაროს მხოლოდ ერთი მომენტის მომცველი რაიმე ფაქტორი.

შენს ელვით დამწვარ ლეჩაქს წავიღებ  
და ჭიხვის რქაზე ავადრიალებ,  
მე შენს ნაწნავეს მკლავზე ვაღიხვევ  
და, როგორც შათახს, დაეატრიალებ...

როცა ბრძოლისგან ვავითანგებში,  
მე და ღრუბელი,

მე და მინდები

სადმე ხევებში ჩავიკარგებით...  
და ბოლოს ისევ შენთან გაგზნდები,  
ჩემი ვარამით, ჩემი ცრემლებით,  
შემოგვხვევი ჩემი არჩევებით  
და დამღვრული შემოგველები.  
მერე უფსკრულში გადავიკარგები  
და სამუდამოდ შეც გავფურღები...


რ. მარგინის პოეზიის ეთიკური მრწა-  
სი დემოკრატიულ საწყისებზეა დაფ-  
უძნებული. მისთვის არსებითია თავი-  
სუფლებისა და სიკეთის ის მდგომარე-  
ობა, რომელიც ადამიანური ყოფის  
სრულყოფილებას ახასიათებს და სა-  
დაც მძაფრად ვლინდება ეროვნული  
სულისკვეთების ტენდენციად. რ. მარგი-  
ანისათვის ეს არაა მხოლოდ მოტივი,  
ან ისეთი თემა, რომელიც პოეტური გა-  
ნჯის საგნად შეიძლება იყოს მიჩნეუ-  
ლი. იგი მთელი პოეტური კონცეფციის  
შემადგენელი ნაწილია და წარმოად-  
გენს თავისებურ ეთიკურ კრიტერიუმს.  
ამიტომია რომ ერის ტრადიციული წა-  
რსულის რომელიმე მომენტის განცდა  
მისთვის არის არა ფაქტის ჩვეულებრი-  
ვი კონსტატაცია ან მხოლოდ დრამატუ-  
ლი პათოსის სათავე, არამედ ესთეტი-  
ური ბილვის ის სფეროც, რომელშიც  
ბრძოლის სიმძიმის სურათოვანი წარ-  
მოდგენა შეცვლილია ხელოვნების  
უფაქიზეს სიმებთან შეხებით:

მტრის ქარავანი  
ჩემს მამულში  
შიდის ზმორებით.  
და ჩუქურთმებში  
გახლართული  
გზაბანულა  
დაქრიან მფრთხალი  
პაწაწინა  
ნიამორები.

აქ არის ტრადიციული განცდის მართა-  
ლი სევდა, რომელიც შლის დროის  
ზღვარს... ამ დრამატული კოლიზიების  
პოეტური უკუფენა, ხშირად, აღწერი-  
ლობითი ტენდენციით ხასიათდება. რ.  
მარგინმა წარსულის ჩვენება ადბეჭდა

ამაღლებული პათოსით, სურათოვანი  
ბილვებით:

ცად რომ მიქრიან,  
ოცნებათა  
ღერჩი ფრთებია.  
ამაყი სული,  
დაუღლელი  
ქრის გამძაფრებით.  
ტაძრები მაღლა  
ზეცას მხრებით  
ეზჭინებიან  
და ღმერთებს ზღვებს  
სათნოვით  
ხევევ ტაძრები.



რ. მარგინის მთელი პოეზიის შინა-  
გან პათოსს ზნეობრივად მსუკვლავს  
ისტორიული ძირების სიმყარე. ისტო-  
რიის ფურცლებზე გაცოცხლებული  
უსასრულო აგონიის განცდა გამოკ-  
რთის მის შემოქმედებაში. ისეთი პოე-  
ტური ფრაზის კაეშანიც, როგორცაა—  
„წერსა და ოზრავს ვადაღლილი ჩვენი  
სინდისი“, — ცხადია, სწორედ ამ ძირე-  
ბში სულიერი ჩაღრმავების ნაყოფია.

ამ სულისკვეთების ლექსებში სამ-  
შობლო, როგორც თემა პოეტისა-  
თვის, არაა პატრიოტული განწყობი-  
ლების სწორზაზოვანი გამოთქმის საშუ-  
ალება. იგი თავისთავად არსებული და  
იმდენად ორგანული ფაქტორია პიროვ-  
ნული ღირსებისა და მთელი შემოქმე-  
დების, რომ მისი ვარიაციები ვლინდ-  
ება სრულიად განსხვავებულ თემატურ  
რეალშიც. ეს მომენტი მკაფიოდ აისახა  
ლექსში „ჯიხვი“. ამ ლექსის პოეტურ  
განწყობილებას თავიდანვე განსაზ-  
ღვრავს ავტორის განმარტება, რომელ-  
საც ბელგიაში მოგზაურობის დროს  
ზოოლოგიურ ბაღში უნახავს ქართუ-  
ლი ჯიხვი:

აქნებ წყურვილი გლავს მთა-გორების  
თავს ვეხვევიან უცხო ბავშვები...  
შენ ხომ მზეს რქებით მიაგორებდი  
და ღამით მთვარეს ათამაშებდი!  
ეს რანიერი სევდა შემყარე  
და სული ქარებს გააწეწინე.  
თვალბეზე ცრემლი რად გაქვთ შემკრთალი  
სამშობლოსაგან ვადახვეწილებს...  
სიცოცხლე არ ღირს თუკი უღვლო

ქედზე არ გადას შენი კლდეკარის,  
თუ შენი ქვეყნის მზეს არ უცქერი,  
თავისუფლებას თუ არ შეხარი.

რ. მარგინის საუკეთესო ლექსებში მოცემული საგნები მრავალსახოვანია. საგანი აქა თავისებური თვითშემეცნებისა და გრძნობის გაცნობიერების საშუალება. ისინი მარადიულობას შექმნილებული ძეგლებივით არსებობენ და ჩვენს წარმოდგენაში აღადგენენ დროს, თაობებს, ისტორიას. ისინი მოგვითხრობენ თავის თავგადასავალს და მისი ბედისაღმძიმე დამოკიდებულება ბედებს უშუალო გონწყობილებას, რომელშიც პოეტი ექმნება შემოქმედებით სტიმულს. ამ სულისკვეთებითაა შთაგონებული ლექსი „წვიმაში“:

მოვარდა წვიმა,  
ზაფხულის წვიმა,  
სულმოთქმელად მცემდა სახეში.  
ღრუბლებმა მკლავზე გადაიწვინა,  
ნისლებში მოხედით მე და სააღმშენი.<sup>1</sup>  
თვით ღმერთებისგან დაიწყებულ  
და ამირანის ხელზე დამდგარი,  
ხანდახან ელვით განათებული  
ღრუბლებში იდგა ძველი საყდარი  
წვიმა და ქარი მცემდა სახეში  
და ციდან შეგი დამკრუხუნებდა.  
მესმოდა ღრუბლის მღერავ ტალღებში  
გუგუნვი ძველთა საუკუნეთა.  
მე კი დაღლილს და ქცეულს ფიქრებად  
თვალწინ წარსული მედგა ჩამქრალი.  
ამაოებას,  
გადავიწყებას  
ოღბათ ნაღვლობდა ძველი საყდარი.

რ. მარგინის პოეზიისათვის ნიშანდობლივია უმძიმესი განცდის, ტრაგიკული ფაქტის განვლების ინერცია, რომელიც კლასიკური მსოფლგანცდის სულიერი არსენალიდან საზრდოობს. ბატალური სურათისა და დამაბულობის სულისკვეთებაში მოულოდნელად შემოჭრილი ფრაზა: „მიჩვეული ვარ ტყვის ყვავილებს“, სულიერი მხნეობის იმ დისტანციაზე მიუთითებს, სადაც ტრაგიკულ მოვლენათა მსვლელო-

ბა მხოლოდ ლოკალური ფაქტია სიერთო პარმონიის კანონზომიერებაში. ქართულ ხალხურ პოეზიის, სულისკვეთებაში ეს ის შინაგანი პოზიციაა, რომელიც ლექსში „აფრასიონ მერკვილაძე“ მტრისაგან წვიმისაგან დახლილ ტყვიების ფეტვის მარცვლებად გარდასახვის ფაქტორში ისახება.

ეს მომენტი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ისახება მისგან თითქოს აბსოლუტურად დაშორებული ინტიმური განწყობილებების ფონზე. მათში ზოგჯერ სევდაცაა, მაგრამ არაა სასოწარკვეთა. პოეტის ინტიმური ხედვის არეში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს უბრალო ყოფითი მოვლენები. ცხადია, ამით ისინი უფრო მნიშვნელოვანნი არ ხდებიან, მაგრამ ნათლად შთაგონებენ მკითხველს იგრძნოს ადრე მისთვის უჩინარი პოეზია ცხოვრების თითქოს უმნიშვნელო დეტალებისა. ასეთებია ლექსები: „ჩემს ძველ ბინაში“, „ღარდი“, „რა დრო გასულა“ და სხვები.

რ. მარგინის პოეზიაში დიდ ადგილს აქვს დათმობილი პეიზაჟურ ლირიკას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ბუნების სურათი მას არ აწყავს დამოუკიდებელი მნიშვნელობის ხარისხში და იგი პოეტური აზრის საილუსტრაციო კომპონენტადაა გადაქცეული. ბუნება აქ შთაგონების მიზეზიცაა და მასში მონაწილეც. კლდე და მდინარე, ელვა და მენი, ხე და ბალახი, სვანური კოშკების ფონზე აღმართული მწვერვალები თითქოს უხმოდ მეტყველებენ იმას რაც მათ შესახებ უნდა ითქვას და რაც მთავარია, მათი რთული სიმარტივე და სტიქიურობა უხილავად გადმოიღის ადამიანის შემოქმედებით ენერგიაში:

როცა თრვლიან მთებს გადავიელი,  
თუ შემოაქლდა სიტყვის მარავი,  
დასახმარებლად  
მთიდან ბაღვლით  
გამოქინდება სამი არაგვი.

ბუნებასთან ასე შეზრდილი სულისკვეთებისათვის იგი, სტიმულიცაა და

<sup>1</sup> ადგილი სვანეთში, სადაც დგას ძველი პატარა საყდარი.

ენერგია. ლექსი „საქართველოში სადაც გავევლი“ თავისებური სიმფონიაა მდინარეებზე.

ცხადია, შემოქმედებით პრაქტიკაში ბუნების განცდა და სურათების გააზრება მრავალსახოვანი შინაარსით ვლინდება. ერთდამთავრე პოეტის ლექსებში ბუნება ხშირად სავანეცაა და საშუალებაც. რ. მარგიანის ლირიკაში პეიზაჟის განცდას ზრდის ის გარემოება, რომ ბუნება აქ წარმოადგენს იმ პირველადი უშუალოებით აღბეჭდილ, შეურყვენელ სამყაროს, სადაც იბადება ახალი სიცოცხლე და ახალი პოეტური სახეებიც. ამ სახეებში ჩვენ თვალსაჩინოდ განვიცდით არა მარტო იმ სურათს, რაც პოეტური ხედვის არეში შეჭრილია, არამედ იმასაც თუ რა დინამია აქ პოეტმა, როგორც მისი დამოკიდებულება მასში განლაგებული საგნებისადმი და სხვა. აქაა დასაბამი პეიზაჟის იმგვარი ხასიათის განცდისა, რომელიც კოლორიტის განუმეორებელი თავისებურებითაა აღბეჭდილი. როდესაც კითხულობ რ. მარგიანის ისეთ სტრიქონებს, როგორიცაა —

გავდი ვახვდი ლაღას  
და გული საგულეს ვერ ძლებს,  
მზე რქებზე შეუსეამ მალა,  
თეთნულზე გაწოლილ ვერძებს —

გასაგებია ის მღელვარება, რომელიც აშკარად უკავშირდება სიმშვიდით აღბეჭდილ გრანდიოზული სამყაროს ხილვით გამოწვეულ გაცოცხლებას. ცხადია, აქ, როგორც ავტორისათვის, ისე მკითხველისათვის არსებითია არა ეგზოტიკური პეიზაჟით გაცოცხლების ფაქტი, არამედ სიმშვიდისა და მყუდროების იმ ეპიური სიმშვიდის განცდა, რომელსაც „რქებზე მხედდაღმული“, „გაწოლილი ვერძების“ სანახაობა ქმნის.

პეიზაჟური ლირიკა რ. მარგიანის ლექსებში სვანეთის ბუნებას უკავშირდება. აქ ხშირად მეორდება ერთდამთავრე მწვერვალების სახელები და ადგილთა კოლორიტი, მაგრამ ეს ფაქტი, ცხადია, არ ჩაითვლება თვით ფორმის

განმეორებად. ფერწერაზე შექმნილ ტრაქტატებში ვერ კიდეც ძველმა ჩინელმა მხატვრებმა შენიშნეს, რომ ერთიდაიგივე მთა განსხვავებული ელფერიტ გამოიყურება წელიწადის სხვადასხვა დროში, დღის სხვადასხვა მონაკვეთსა, და რაც მთავარია, მისი მკვერტელი ადამიანის განწყობილების მიხედვით. ამ თვალსაზრისით, რ. მარგიანის ლექსებში შემოსული უშუალო თეთნულდი, მულაზი, ეცერი და სხვები უკავშირდებიან სრულიად განსხვავებული ელფერიტ აღბეჭდილ განწყობილებებს. შესაძლებელია სწორედ ბუნებისკენ განსაკუთრებული მიდრეკილების ინერციით აიხსნება ის გარემოებაც, რომ მის ლექსებში აშკარად ჭარბობს მხედველობით შეგრძნებებში მოცემული სახეები. რ. მარგიანის პოეზია ამ თვალსაზრისით უაღრესად საგნობრივია, მდიდარია შთაბეჭდილებებით, მოგონებებით, სცენებით, ფაქტებით, სადაც მუსიკალურობის პრიმატს ხშირ შემთხვევაში ძლევს პლასტიკა.

რ. მარგიანი თანამედროვე ქართული პოეზიის იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ლიტერატურაში მოვიდა სიცოცხლით ტემბობის ახალგაზრდული აღტყინებით, ვაჟკაცობისა და სამართლიანობის გრძნობის გამახვილებით. მისი პოეზიის ფონი და კოლორიტი სვანეთის ბუნების სიმტკიცეს და მწვერვალთა შეუვალობას უკავშირდებოდა. ეს იყო ახალგაზრდული ენთუზიანზისა და მოჭარბებული სასიცოცხლო ძალების პოეზია.

დაფიქრებისა და სიცოცხლის აზრის ძიების პერიოდი ამ თაობამ ომის უშუალო წლებში გაიარა. ამ წლებმა ყველა მის მომსწრე ადამიანზე მოახდინა წარუშლელი გავლენა, მაგრამ, ცხადია, რომ შემდგომი შემოქმედებითი ინტერესებისა და, საკუთრივ შინაგანი პოზიციის განსაზღვრის თვალსაზრისით, მიღებული შთაბეჭდილებების ხარისხი განსხვავდებოდა იმ ადამიანთა წყობისაგან, ვინც ომის ისტორიისა და ცხოვრების ფილოსოფიის უკვე ჩამოყალი-

ბებული შეეგება. რ. მარგვიანის თაობისათვის ეს იყო არა მარტო პიროვნული, უშუალო მონაწილეობის განცდა, არამედ ეს იყო ამ ურთიერთობის შეგრძნება და, რაც მთავარია, ამ დამოკიდებულებაში თავისი პოზიციის გამომჟღავნების ფაქტორიც.

ცხადია, განსხვავებაა ომისდროინდელი მებრძოლი სულისკვეთებით აღბეჭდილ ლექსების ხასიათსა და იმ ლექსებს შორის, რომელიც დღეს იქმნება მის შესახებ. ამ განსხვავების პათოსი თვით შექმნილი ვითარებისა და მიზნის მომენტს უკავშირდება. ომი მოითხოვდა პრაქტიკულ ამოცანებს ბრძოლის ველზე და ზნეობრივ სფეროშიც, შესაბამისად, იგი განსაზღვრავდა პოეტური შთანთქმის ხასიათსაც და სტიმულსაც. ეს მომენტი კარგადაა გაცნობიერებული უკვე გამარჯვების ოცი წლისთავზე დაწერილ რ. მარგვიანის ლექსში „სიმწერის ლექსს მაშინ როგორ დაეწერდი“:

სიმწერის ლექსს მაშინ როგორ დაეწერდი,  
არც დრო და ეპოე იყო ამისი!  
როცა კარს გვედგა ბედი — შეგებდი  
და დარდიც ჰქონდა ხალხს საქმარისი.  
ისედაც ყოველ დილა-საღამოს  
მოჰქონდა სევდა და მწუხარება  
და ზენე ვეჭიროდნ უფრო მაღაშო  
დღის ტყვილის გასაქარებლად.  
რაც გულს სტიოდდა, რაც სულს სჯეროდდა  
განგებ არ გათქვამს ზემო ტუტებში.  
ლექსი კი ჩემი, ვაშას მღეროდა  
მამის ვარაზის გასაყურებლად.  
ვმღეროდი ომში და სიმწარეში  
ქერჩის სრუტიდან დარიალამდე  
და როცა გლოვა მედგა თვალებში  
იმ მდღეა ცრემლებს უხმოდ ვმალავდი.  
სიმწერის ლექსს ომის კვალით ვფარავდი  
არც დრო და ეპოე იყო ამისი.  
ჩაგუბებული სევდა ვარაში  
ისედაც ჰქონდა ხალხს საქმარისი.

დღენისათვის ომის თემა ტრავიკული გამოცდილების მოგონებაცაა და სიფხიზლის გამოხატულებაც. რ. მარგვიანის ლექსებში იგი ფიზიკური განცდის ხარისხშია აყვანილი. ომის სიმძიმე აქ არ გვევლინება დრამატული კონფლიქტის სათავედ. მთავარია ის ზნეობრივი

განცდის მომენტი, რომელიც ადამიანურობისა და სიმძიმეთან უკავშირდება ატანის ფაქტორს უკავშირდება და ბრძოლებათა ძლევის ასეთი განცდისათვის ცხოვრების ყველა დაძაბული წუთი იძლევა საბაბს. აქედან იწყება იმ უხილავი კავშირების გაცნობიერება, რომელიც არსებობს ომსა და მშვიდობას შორის.

ომი შორს ჩამრჩა. მისი ხსენება  
მშვიდობის დროსაც უფრო მიწევის,  
შემომავლება, მომეჩვენება  
ტყვიამფრველების შორი სიცილი.

აქ არის შთაბეჭდილების იმ წარუშლელი კვალის განცდა, რომელიც მუდმივ თანამგზავრებით სდევს ადამიანის სულიერ ცხოვრებას. ამ თვისებითაა აღბეჭდილი უპირველეს ყოვლისა ომის განცდა:

ო, ომი, ომი, სულში შეტრილი  
შავი ზღვის შავი სანაპიროთი...  
მე გულმოკლული ვიყავ ქერჩივით  
და საქართველოს ბედზე ვტიროდი.

ამ განცდის ბუნებრივი ნაწილია უმაღლესი ზნეობრივი ვალდებულების გრძნობა მათი სახელების წინაშე, რომელთა სიცოცხლაც ომის ქარცეცხლში სხვათა ბედნიერების სამსხვერპლოზე დაიდგარფლა. ამიტომ იძენს განსაკუთრებული გულწრფელობას სიტყვები:

ნუ დავიფიქრებთ გლოვის თარიღებს,  
ნაუბათივად გათხრილ საფლავებს.

რ. მარგვიანის პოეზიაში დიდი ადგილი დაიკავა ომისა და მებრძოლ მეგობართა დრამატული ზვედრის განცდამ. ამ სულისკვეთებითაა აღბეჭდილი მისა შესანიშნავი ლექსი „მირზა გელოვანს“, „ქერჩი, 1941“, „ომის დროს“, „წლების სახსოვრად“, „ყამიშ-ბურუნში“, „ძმაო, ძვირფასო, დაუფიქარო“ და სხვა.

რ. მარგვიანისათვის ლექსი არაა მხოლოდ ცხოვრების შთაბეჭდილებათა ემოციური გამოთქმის ფორმა. ლექსი

წუთისოფლის ტყვიელებისა და სიხარულის აღამიანთან კაცურად მიტანისა და გაზიარების საშუალებაა. ამიტომ იჭერს მის კრებულებში დიდ ადგილს ლექსები თვით ლექსის შესახებ. ესაა ძიებნისა და ინტერესების, საკუთარი შემოქმედების არსისა და მიმართების, მისი ადგილისა და დანიშნულების პოეტური გააზრების გამოხატულება. პოეზიის შესახებ ლექსებში ლაპარაკი არაა ახალი და ორიგინალური. ყველა პოეტი ვისაც საკუთარი შემოქმედების დანიშნულების წინაშე პასუხისმგებლობა და თავისებურება შეუტევია, მდგარა თვით შემოქმედებასთან, მისი გამოვლენის ფორმასთან, ყანთან პირადი დამოკიდებულების გარკვევათა აუცილებლობის წინაშე. ამ ტენდენციითაა აღბეჭდილი რ. მარგინის განსაკუთრებით ახალი ლექსები: „მარლი“, „ლექსი რა არის ბოლოს და ბოლოს“, „ნეტავი ვინ მთვლის სიტყვაღარიბად?“ და სხვა.

საგულისხმოა, რომ რ. მარგინის პოეზიის სიახლე თვით თემის ახლებურად გადაწყვეტაშია. ბოლოდროინდელი ლექსების რიტმულ-ინტონაციური მრავალფეროვანებისაგან მიღრეკილების დროსაც, იგი ცდილობს თვით პოეტურ საგანში ჩაწედეს ლექსის ფორმის გამაძირობებელ მიზეზებს. რ. მარგინის ლექსი არ ემყარება იაფფასიანი ეფექტურობის მომენტს და ამ მხრივ, მისი პოეზია ბშირად გამოწვევაა იმ შელექსეთა პოზიციისა, რომელთა წარმატების საფუძველი სწორედ ამ სფეროშია დასაძებნი:

ო, ნურვინ მკითხავს, რა გამაჩნია,  
ამის თქმა ჩემთვის მტად ძნელია.  
ვაჟას ყვავილს რომ ნამი აჩნია,

იქ ჩემი ერთი წვეთი ცრემლია.  
მე არ გაცევით ზოგაერთივით  
ლექსი ტაშის და ვაშის აღმტრეხველი  
და, რაც გამაჩნდა გულში, გეტყვი  
სანთლად ავანთე ამ ჩემს მამულში.  
ვთვთრდები ამდენ ორომტრიალში,  
მამული არის ჩემი ვარსკვლავი,  
არც ვგოღონების ტაშის ვრიალში  
არ ვისრისები პეპელასავით.

აქ თავისებურად გამოვლინდა რ. მარგინის პოეზიის შინაგან უპრეტენზიობაში აღბეჭდილი გულწრფელობის პათოსი და უმაღლესი ზნეობრივი პასუხისმგებლობის განცდა ერის წინაშე.

ერის პოეტური ცხოვრების ისტორია მრავლად ინახავს ისეთი პოეტების სახელებსაც, რომელთა ვრცელი შემოქმედებიდან მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი ცოცხლობს კეშმარიტი პოეზიის სიკოცხლით. ნიჭიერება ადვილად შეიძლება გაიფლანგოს შემოქმედების ბუნებრივ ინტერესებსა და დროის მოთხოვნილებათა შორის არა სწორა ორიენტირების გამო. ლექსზე „მუშაობა“ და მისი „კეთების“ მომენტი წმინდა შემოქმედებაა და არა ხელოსნობა, როდესაც მაღალი შთაგონება და ზნეობრივი ვალდებულების პათოსი წარმართავს მას. ეს ფაქტორი კარგად ესმის რ. მარგინს, რასაც ადასტურებს საკუთარი შემოქმედების დანიშნულების გაცნობიერება მის მრავალ ლექსში.

რ. მარგინის პოეზია, მის საუკეთესო ლექსებში, მკითხველს ხიბლავს უბრალოებითა და სისადავით. სევანტო თემები და მოტივები ჩვენში ადვილად აღტოლვას თვით ბუნებასა და, რაც მთავარია ბუნებრიობისაგან, რასაც, ცივილიზაციის ყოველგვარი დონის მიუხედავად, ესოდენ საჭიროებს ყოველ ადამიანი.

პირობი ღონიძე

ღაზით გურამიშვილი

ორი სიტყვა გურამიშვილის  
შემოქმედებაზე

გურამიშვილის ეპოქის პოეტური შემოქმედება ჯერონდ შესწავლილი არ არის. სხვადასხვა პოეტურ ჯგუფების შეუსწავლელობა, განსაკუთრებით ემიგრაციაში სხვადასხვა პოეტურ დაჯგუფებათა, სხვადასხვა პოეტურ სისტემათა და ლიტერატურულ მიმართულებათა გამოუკვლევლობა, უფრო კი რუსული მწერლობის გავლენათა გამოუძიებლობა ხშირად ნებას არ გვაძლევს კატეგორიული მსჯელობისათვის გურამიშვილის შემოქმედებითი სრული ღვაწლის შესახებ.

კერძოდ, ქართული ხალხური, რუსულ-უკრაინული პოეზიის საფუძვლიანი გამოძიების გარეშე, გურამიშვილის შემოქმედების შესწავლა სრულყოფილი ვერ იქნება.

გურამიშვილის პოეზია მეტად მრავალფეროვანია და მდიდარი: იგი შეიცავს მატინეს, საღმრთო გალობას, დამოძღვრას, ზნეობით სწავლას, იუმორს, მოსწრებულ სიტყვას, ლირიკას („ლექსი გულისა“), ეპოსს, მცირე ჟანრს. ჩვენს წინაშე დგას მომხიბვლელი სახე მომღერლისა, ისტორიკოსისა, დიდაქტიკოს-მორალისტ-ფილოსოფოსის, ჰუმანისტ-განმანათლებლისა, პატრიოტი მხედრისა, ხალხთა მეგობრობის მაუწყებლისა და მახარობლისა.

„დავითიანი“ აქედრებულია ქართველი ხალხის გულისთქმა, მისი ზნეობრივი შეხედულებანი, დაუსრუტელი პატრიოტიზმი და სწრაფვა განათლებიანადმი.

გურამიშვილის წიგნი საუკეთესო თანამგზავრი იყო ქართველი ადამიანისა. იგი ხშირად იყო პირველ წიგნთაგანი, რომლითაც აზნაზსაც სწავლობდნენ და რომელიც ეოგებაშვილის „დედაენის“ როლსაც ასრულებდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც მთაში, ისე ბარში. „დავითიანი“ ყოველდღიურად სახმარ წიგნად ითვლებოდა ქართულ ოჯახში. იგი იყო უპირ-

ველესად აღმზრდელი წიგნი, ზნეობის მასწავლებელი და იმავე დროს მატინეს შემცველი, ქართული მეომრის გამაღვიძებელი.

ამიტომაც ტყუილად კი არ განაცხადეს ხევსურებმა თბილისის ერთ წიგნის მაღაზიაში, როცა „დავითიანი“ მოიკითხეს შესაძენად: „იმაში ბევრი იმისთანა სწერია, რომელიც ჩვენთვის საჭიროა“-ო („ივერია“ 1903 წ. № 135).

ხევსურთა ნათქვამი ჭეშმარიტი გამოხმურებაა მთელი ქართველი ხალხისა გურამიშვილის შემოქმედებაზე.

დავით გურამიშვილი, დიდი ეროვნული გზნების პოეტი, თვითონვე ხაზს უსვამდა შემოქმედების ეროვნულობას, ქართულობას, როდესაც ითხოვდა თავისი წიგნის შესახებ:

ბრძენა კაცა ვუწვევნი,  
უს ობოლი მამანათლოს,  
თუ რომ იყოს სხვის სკულისა,  
მომიქცაოხ ვამიქართლოს.

„დავითიანის“ შინაარსია პირადი და ქვეყნის უბედური თავგადასავალი — აკლებული ერის ღაღადისი, სამშობლოს დანორებით გამოწვეული ნოსტალგიის მწვავე ტკივილები, გოდება ძმთა შუღლისა და წუთისოფლის ამოკების გამო.

პოეტის დროის ქართველი ხალხი ძმთა უთანხმოებამ, პარტიკულარიზმმა დაღუპა, ამას აშკარად ჰხედავდა გურამიშვილი, რომელმაც თვითვე იწვინა ძმთა შორის ბრძოლის სიმწარე. პოეტი ყველგან ხაზგასმით აღნიშნავს ზნეობის დაცემას, ძმთა შუღლის საშინელებას და ქადაგებს ზნეობის ამაღლებასა და ერთობის საჭიროებას, როგორც ერის განკურნვის წამალს.

გურამიშვილი ჭეშმარიტების, სიმართლის, კაცთმოყვარების მქადაგებელია. ამიტომაც იგი არა ერთხელ ილაშქრებს თავის შემოქმედებაში უცილობისა, ბნელი გონების, მონობის, სიმკაცრის, ტირანიის, ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგ. მისი სიმპათიები მიმართულია დაბალი ხალხისადმი, „ცხელის ოფლითა დამწვართა“ მიმართ. პოეტი ამითრახებს სიხარბით გატაცებულ სამღვდელოებას და საერთოდ მისი დროის ცხოვრების უკუღმართობას, აგვიწერს რა „საქმესა თვალთ ნახუსსა, არ მოგონილსა“.

მოსუცი და თითქმის უსინათლო ბიბლიური წინასწარმეტყველოვით ამხელს მათ, ვისაც ცოდვა მიუძღოდა სამშობლოს წინაშე:

თუმა ბრმა ვარ, კიდევ უფლავ  
ჭვეუნად ჩემგან უფრო ბრმათა.

ასეთია „ქართლის ჭირის“ მღალადებელის პოეზიის მთავარი შინაარსი.

„თესლ-ტომით“, „ძირით, ქოქით ამოგდებული“, სამშობლოდან გადახვეწილი „მწირი“ პოეტი, ისევ სამშობლოსათვის იღწევოდა. გურამიშვილი უპირველესად უფროსულ თვითშეგნებას აღვიძებდა ემიგრაციაში, რომელსაც არა ერთი „გაშაშვდომილი“ ქართველი ამშვენებდა. „დავითიანი“ მებრძოლი წიგნი უნდა ყოფილიყო ემიგრაციის გადაგვარების წინააღმდეგ. ემიგრაციას უმთავრესად თავადაზნაურობა შეადგენდა, ხოლო მათი შეილები, იღებდნენ რა განათლებას სამხედრო სკოლებსა და კორპუსებში, მალე რუსდებოდნენ. გვაქვს ცნობები, რომ ჩასულ ქართველთა მეორე თაობამ, რუსეთში დაბადებულბმა, ბევრმა ქართული უკვე აღარ იცოდა<sup>1</sup>.

პოეტმა მათ მოსაქცევადაც და შესავტენებლად, მათში ერთნული მეობის აღსადგენად დასწერა „დავითიანი“

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს  
საცნობლით თავისადო;  
ვინ არის, სიღამ მოხუდა,  
სად არის, წაგა სადაო!

რომ „ეით რემა ხნარცეს არ ჩავარდეს ულაგმო და უსადაო“.

განა ამ აზრითვე არ წერდა იმავე მე-18 საუკუნეში ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი? თავისი შრომის მიზანს იგი ასე გვისახელებს: „რათა მოზარდულნი ქართლისანი განეკრძალნენ ჭვეყანათა თვისთა სიმტკიცისათვის, ვინათგან ესოდენი ჭირნი და იწროებანი წარგუბდიან“.

ამიტომაც, ერთნული მოსაზრებით გურამიშვილმა თავისი წიგნი უპირველესად, ქართველ ყრმათათვის განკუთვნა:

„ყრმათ შვეჯედრე ეს წიგნი“-ო.  
„მოსახსენებლად ჩემდა ყრმათ უწაფე ტკბილი მატარა“.

პოეტმა ამიტომაც ამღერა ხალხურ კილოზე თავისი ლექსი, ააცილა სქოლასტიკურ მუხრუჭებს, რათა იგი ყრმათათვის ადვილად გასაგები ყოფილიყო:

ამისთვის მე ვერ შევსტყვებ,  
რაც დაგრეც ავათ ხე ჯალად,  
უფრო ადვილად აღვლიან  
ზედ ყრმანი დასარხველად.

დ. გურამიშვილმა საგანგებოდ დასწერა „სწავლა მოსწავლეთა“, „ათთა სახმართა საქმეთა ჩავთნება ყრმათათვის“, რაც ზნეობის მთელ კოდექსს წარმოადგენს.

ამიტომ „დავითიანი“ უპირველესად აღმზრდელობითი, პედაგოგიური მნიშვნელობის წიგნია, ზნეობათა ცოდნისა და სამშობლოს სიყვარულის მღალადებელი. ამ მხრივ პროგრესული მოღვაწის, პუშანისტი-განმანათლებლის გურამიშვილის როლი, მართლაც, დაუფასებელია.

„დავითიანის“ უპირველესი ადრესატი უნდა ყოფილიყო უკრაინის თუ მოსკოვის ქართული ემიგრაცია ანუ მაშინდელი „გა-

<sup>1</sup> შემთხვევითი არ არის ცნობილი ლეკაბრისტის ალექსანდრე განგებლიშვილის ცნობა: Мой отец родного своего языка уже не знал и наше семейство совершенно обрусело, гв. 226, 1888 წ. გამოქ.). განგებლიშვილის პაპა გიორგი ვახტანგ მუჭუჭებს გადაჰყდა რუსეთში, ზოლო მისი შვილი სვიმონი 1751 წ. დაბადა რუსეთში, მასა-სადამე, ქართლიდან გადასახლების 27 წლის შემდეგ, ახალი თაობა ზმირად გადაგვარებას ეწეოდა, ქართულს ვეღარ ლაპარაკობდა.

რეკრთველობა“. პოეტის ბიბლიური წინასწარმეტყველივით მოუწოდებს მათ:

აწ დაფიწო ლქმა მარდლისა,  
მომხმენლთ, შემოკრებით,  
ზოგნი შინა აქ ბრძანდებით.  
ზოგნი გარეთ, შემო კრებით,  
მოგატაროთ ჩვენ სამყიდრო,  
თავში ხელის შემოკრებით,  
ვით დაგვარებთ ჩვენ ქვეყანა,  
ჩვენდა გარეშემო მტრებით.

პოეტი მოუწოდებს ქართველობას დაკარგულ სამშობლოზე ტირილის გარდა „მართლის თქმით“ გამოიხსრიკოს. მიზეზები სამშობლოს დაცემისა და განადგურებისა და მით უზრუნველბყოს მისი მომავალი.

გურამიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ისეთ ეპოქაში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული გზაჯვარედინი საქართველოს ბედის საკითხში. მე-18 საუკუნემ განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ახალი პოლიტიკური ორიენტაცია, — მისი მისწრაფება დამყაროს ჩრდილოეთის დიდ მეზობელთან — რუსეთთან მჭიდრო კავშირი, რომელსაც შეეძლო თურქთა და სპარსთა გაუთავებელი შემოსევებისაგან ილაჯაწყვეტილი, სრული ფიზიკური მოსაზობის მიჯნაზე მყოფი მამაცი ხალხის შემდგომი ნაციონალური არსებობისა და ისტორიული განვითარების უზრუნველყოფა. მაგრამ საქართველოს მოწინავე სახელმწიფო მოღვაწეთა ამ გეგმებს განსორცხვებდა ვერ ედირსა, მე-18 საუკუნის საქართველოსათვის, მართლაც, რომ ტრაგიკული იყო, ვინაიდან, რაც უფრო ღრმა და გულწრფელი იყო მისი მისწრაფება რუსეთთან კავშირის დასამყარებლად, მით უფრო დაუნდობელი და სისხლიანი ხდებოდა აღმოსავლურ ბარბაროსულ ტირანიათა ჩაგვრა; ისინი შურს იძიებდნენ მცირერიცხოვან გვირ ხალხზე არა მარტო იმის გამო, რომ იგი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწყვედა ამ ჩაგვრას, არამედ იმის გამოც, რომ მისი იმედები მიმართული იყო „აღთქმული ქვეყნისაკენ“ — რუსეთისაკენ.

გზაჯვარედინზე იმყოფებოდა, აგრეთვე, ქართული ლიტერატურაც, და აი აქ უნდა

მომხდარიყო არჩევანი: ან დგერადაციის გზაზე მყოფი აღმოსავლური პოეზიის კვლიანი ძეძენარი, რომელიც ქართული მოეზიის ძველთაძველ ლინიერ შტოს გადათელვასა და მოსაზობას უპირებდა, ანდა ახალი გზები, რომელთაც ქართული ლიტერატურა უნდა გამოეყვანათ მსოფლიო კულტურული პროგრესის ფართო ასპარეზზე. ახალი, ჯერ კიდევ გამოუკვლეველი გზით სიარულს ქართული ლიტერატურა შესძლებდა მხოლოდ თავის საუკეთესო ნაციონალურ ტრადიციებზე დაყრდნობით, რომლებიც პირველ რიგში დაკავშირებული იყო ქართული აღორძინების ტიტანის რუსთაველის სახელთან.

გურამიშვილი ქართული მაგისტრალური ხაზის პოეტია. იგი მისდევს ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს. თავის შემოქმედებით გურამიშვილი შეებრძოლა სპარსულ და საერთოდ აღმოსავლურ დაბანგულ ეროტიკულ პოეზიას, აღმოსავლურ ავადმყოფურ ფანტასტიკას.

გურამიშვილის შემოქმედება ქართულ ძირებზეა დამყნობილი, ქართული ეროვნული პოეზიის დიდი ძეგლია. თვით სიტყვიერი და რიტმული სიმდიდრე დ. გურამიშვილის პოეზიისა ხალხის წიაღიდან მომდინარეობს. აქედან არის მისი აზრის სიღრმე და თვისება აზრის სადად გამოთქმისა, მისი შესანიშნავი პლასტიკურობა და მუსიკალურობა.

ამასთან აღსანიშნავია გურამიშვილის მიერ ღრმა ცოდნა არა მარტო ქართული ფოლკლორისა, არამედ უკრაინულისა. უკრაინულის გაელენის შესწავლა გურამიშვილის პოეზიაში მეტად საპატიო ამოცანა იქნებოდა გურამიშვილის პოეზიის მკვლევართათვის.

გურამიშვილის ბუნებრივი ლექსი გამოირჩევა ელასტიურობით, მუსიკალურობით, მელოდიურობით. მისი უბრალო, ნათელი სიტყვა, ღრმა აზრის გადმოცემი, ხალხურად არის აქედრებული. ამიტომაც არის იგი ხალხთან ახლოს. უნდა ითქვას, რომ გურამიშვილის ლექსი მელოდიურობით აღემატება ქართული პოეტური სიტყვის თითქმის ყველა შემოქმედის ქმნილებებს რუსთაველის შემდგომ. გურამიშვი-



ლის სადა სიტყვა კონკრეტულია და ლაბი-  
დარული.

დავით გურამიშვილს უდიდესი დეაწ-  
ლი მიუძღვის ქართულ პოეზიის დემოკ-  
რატიზაციის საქმეში. ამ მხრივ დავით გუ-  
რამიშვილს ისეთივე როლი აქვს შესრულე-  
ბული ქართული პოეზიის სფეროში, რო-  
გორც „სიბრძნე-სიცრუის“ ავტორს ქარ-  
თულ პროზაში.

დავით გურამიშვილის ლექსები, პოემე-  
ბი, სიმღერები ღრმა შინაარსთან ერთად,  
აღსაქვსა დიდი ვნებით.

ლირიკოსი და ეპიური მთხრობელი, მარ-  
თალი, ჭეშმარიტი მხატვარი, ფართო აზ-  
რით და ადამიანობით აღჭურვილი ფილო-  
სოფოსი, ოლიმპიდან მიწაზე დაშვებული  
პოეტია, რომლის მთავარი იდეალია „მარ-  
თლის თქმა“ და არა „არაკობა“.

ამ პრინციპზეა აგებული მისი ბრწყინ-  
ვალე პოემა „ქართლის ჭირი“. ეს მართლაც  
მწვერვალი გურამიშვილის შემოქმედე-  
ბისა.

გურამიშვილის კრედიო „მართლის თქმა“.

სიმათლე — გურამიშვილის შემოქმე-  
დებითი პრინციპია მაშინდელ ქართლის  
ზნეობის დაცემულობის დროს. მხოლოდ  
ერის სამსასურში ხედავს პოეტი თავისი  
ცხოვრებისა და შემოქმედების მიზანს.

თვით გურამიშვილის ესთეტიკურ პროგ-  
რამას შეიძლება გუწოდოთ ხალხურობისა  
და რეალიზმის პროგრამა. ჭეშმარიტი ხე-  
ლოვნების უმაღლესი პრინციპი, რომელ-  
საც საქვეყნოდ აცხადებს პოეტი, ხალხისა-  
დმი პირუთენელი მსახურებაა:

მართალია მძრახველს ძრახვა,  
თვით კი ავად მოუხდების,  
მაგრამ ფარვა სიავისა  
ქვეყანას არ მოუხდების!  
აწ რომ ავი არ ვაძაგო,  
კარგი როგორ უნდა ვაქო!  
ავს თუ ავი არ ვუწოდო,  
კარგს სახელად რა დავარქო?  
კარგს კაცს ვითარ დავუარგო  
რაც რომ სიკარკაცე აქო?  
ავს კაცს კარგი ვით უძენო,  
ორმის მამსვა, თავს დამარქო!  
პირს-ფერობა, უკან ძრახვა

არა თქმულა საფარსაგო,  
სჯობს ტყელით ქვე ყოფნას,  
ზე სიმათლეთ ავიბარგო

მართალს ვიტყო, შევიქნებო  
ტყულისა მოამბე რად?  
მე, თუ ვინდა, თავიც მომჭრან,  
ტანი გახდეს ვასაბურად,  
ვინც არა ჰქავს კახაბურსა,  
მას ვერ ვიტყვი კახაბურად!..

ამ პრინციპზეა დაფუძნებული დავით  
გურამიშვილის ყველა საუკეთესო ნაწარ-  
მოები და მით უმეტეს, მისი მონუმენტუ-  
რი ნაწარმოები „ქართლის ჭირი“, რომე-  
ლშიც სიმათლისათვის, წმინდა ჭეშმარი-  
ტებისათვის იგი არ ინდობს „ძლიერთა ამა  
ქვეყნისათა“ ქვეყნის მმართველთა, რომე-  
ლთა უგუნურმა ქცევამ ქართლს ნადრევი  
სამარე გაუთხარა. ამ შემთხვევაში პოეტი  
არა ზოგავს თვით თავის მეცენატს, მფარ-  
ველსა და აღმზრდელს ვახტანგ მეფეს, რო-  
მელიც იმ ბარბაროსულ გარემოცვის  
დროს, სინდისის იმ დაღამების დროს ნა-  
თელ ვარსკვლავად მოსჩანს მაშინდელს  
შავ ფონზე თუმცა დავითი დიდად იყო  
დავალებული ვახტანგის მიერ, მაინც პოე-  
ტი მკაცრად აკრიტიკებს ვახტანგის პო-  
ლიტიკურ მოღვაწეობას.

სიმათლის მღალადებელი პოეტი არ  
ჰზოგავს თვით „დიდ ცხებულს“, თავის  
პატრონს ვახტანგს „მოწყალეს“, „სიბრძ-  
ნით სრულს.“ რომელიც თუმცა პოეტს  
„წყალობდის, უხვად აძლევდის, სწავლით  
მშვილურებ ზრდიდისა“, მაინც ასე ათქმე-  
ვინებს ბაქარს თავის მამაზე:

ვერა ვნახ რა მავისი ღრმად საქმე  
მონაწილომარე,  
რაზედაც მიდგა, არ დაჩნა  
ის საქმე წაუხდომარე.

კონსტანტინე მეფის პირით გურამიშვი-  
ლი სძრახავს ვახტანგს:

ვაქვს ნართი ავად დასთული,  
მრუდის ტარებით მამაო!

და თვითონაც დასძენს:

მწყემსი უფრთხილი სამწყსოსა,  
ადვილად დამკარგველია!



ჯვარცმულის და ნაწამების იმედი მაინც აქვს. იცის, რომ არ გასწირავს მშობლიური მიწა.

სიკვდილის დროს მე მის მეტი არავინ მყავს მშველი!

იმედი მაქვს, რასაც ვიხვ, მომცემს, არა შურსა! აკვდავების წყალს მიზოდებს, ცხოვრებისა პურსა!

სამშობლოს სევდით დამწვარი, ჩაფერ-ფლილი პოეტის ნატვრა ერთი იყო, — სამშობლოსთან შეხვედრა:

გულითა მართლითა, პირითა ნათლითა შეურცხვენელად!

პოეტი ბიბლიურ ლაზარეს მსგავსად ნატრობდა სამშობლოს აღდგინებას. მისი ღვთისადმი ყველაზე დიდი ვედრებაა საჭა-რთველოში დაბრუნება:

შემყარე მე საყვარელს, ჩემი გულის გასახარელს.

შენ გახსენ ჩემი კრულემა და წარმავლინეუ, ვით გამყარე სამკვიდროსა, ისევ შემყარე!

ეტყობა, სამშობლოსთან შეყრის იმედს ასახრდოებდა რაიმე პოლიტიკური ამინდი, უფრო კი ოსმალეთთან ბრძოლა 1769-1774 წლებში და ბოლოს ყირიმის რუსეთთან შეერთება.

ქართლში დაბრუნების იმედი გურამიშვილს ღრმა სიბერემდის უნდა ჰქონოდა. მაგრამ ნატვრა არ აცხადდა და მოხუცმა, უსინათლო პოეტმა, თავი იგრძნო დავიწყების ზღვაში:

აჲ დაეკარგულვარ თავათვის აღარ მოველი პოვნასა!

გურამიშვილის პედაგოგიურ სენტენციებსა და აფორიზმებს დღეს მხოლოდ ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ თავისი დროისათვის ნაწილობრივად მის რეზონერულ ლირიკას, თვით მის დროგამომწვევით თანაგრძნობას ასკეტიზ-

მისადმი, მკითხველისათვის უფრო საყოფაცხოვრებო, პრაქტიკული მორალის მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ მხრივ მისი პოეზია უსათუოდ გამო-მსახველია ეპოქის მბრძანებელი იდეოლოგიისა. აქედან არის წარმოშობილი მისი რელიგიური ექსტაზიც, რომელიც უფრო გასაგები იქნება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ, რომ გურამიშვილის ის ნაწარმოებნი, რომლებშიც რელიგიური ელემენტებია მოჭარბებული, ღრმა სიბერეში იწერებოდა.

სამშობლოს მდგომარეობითვე არის გამოწვეული გურამიშვილის ღრმა პესიმიზმი, რომელსაც ერთვის საწუთროს შინაგანი წინააღმდეგობა.

თუ ხარ ღვიძალი, რაღა არს ძილი, თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიშობილი? თუ ხარ სიციცხლე, რა არს სიკვდილი?

რასაკვირველია, პოეტის პირადი ბიოგრაფიაც თავის როლს თამაშობს და გასაგებია გურამიშვილის მწარე გამოძახილი; „ფუ, შენ ცრუო საწუთროო, ხარ არაფერი!“

ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ მწელია, რასაც ელაქს!

პოეტის დიდი სევდა ხშირად ირონიამი გადადის.

თვით პოეტი ორმაგობას განიცდის და შემთხვევითი როდია, რომ მას მხოლოდ ერთად-ერთი ფილოსოფოსი მყავს მოხსენებული თავის წიგნში — ვ ი კ უ რ ი. პოეტი ვერ სთმობს საწუთროს მშვენიერებას, მისი გული საგნა ბუნებისა და სიცოცხლის სიყვარულით. თვით რელიგიურ — ასტრალურ ქიშნებში ის სიცოცხლის მზეს მოუწოდებს:

მზე, სიმორით შენითა ვსტირ გულზე კვნისით, ქშენითა... მზეთა — მზე, მზემან მომნახოს, მითხრას მშვიდობა, სალამი!.. განთიადისა ვარსკვლავო, მის მზეთა მზისა მთიებო, ვეკარგი მწელს ღამითა, დღევ, რად არ მომიძებო... შენ გვედრები ცისკარო, საიდუმლოსა დღისაო, ნათლო შარავანდდო, საცხარისა მზისაო.

გურამიშვილი, მართლაც, „ნათლის მიჯნურია“. „მზევე, მზისა მამშვევებლო, მიუხდომელო ნათელო“, „მზევე, მახარე შენი მოსვლა, ახლით გმოსე შესამოსლით“, „მზეთა-მზევე, მზემან მომისწროს, მითხრას მშვიდობა, სალამი... „მზევე, მომეშველე“ დაღადებდა პოეტი. მისი „დამძრალი გული“ სიბერეში ნატრულობს „მზის ყუდროში დასმას“. „სათბუნებლად ხელის დასმას“. „მზე დამიღამდა მზიანი, შით მომივიდა ზიანი“.

სხვათა შორის, ლექსს, „მზის ვედრება დავითისაგან, მზის თხოვნა დასათმობლად ტირილითა თუ სიმღერის ხმითა“ აქვს მინაწერი „ამის ხმას ეწოდება რუსულად: „მასონი“. და მართლაც, იგი მასონური პიშია: ხომ არ თანავგრძნობდა გურამიშვილი მასონთა ლოჯას, როგორც არა ერთი მისი თანამედროვე ქართველი რუსეთში? მაგ. დავითის მეგობარი მგოსანი დიმიტრი სააკაძე — ფრანკ-მასონობას სწამებდა პოეტს დიმიტრი ბაგრატიონს „თქვენ მოგვესმა, პატრონო, შექმნილხარ ფარმაზონია, ქრისტეს უარისმყოფლობა, მე თქვენგან არა მგონია“ და სხვ. თუ დადებითად გაირკვა ეს საკითხი და ამას საგანგებო შესწავლა უნდა, მაშინ ციკლი „მზეთა მზის“ ლექსებისა მასონური იდეების მონაბერი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მასონური მოძრაობა შემწინეულია გურამიშვილის დროინდელ უკრაინის მოწინავე საზოგადოებაშიც.

გურამიშვილი ბოლომდის სიცოცხლის მომღერალი დარჩა. ეკლესიური დიდაქტიკოსი იმავე დროს წარმართულ მგზნებარე გულს ატარებდა, მას უყვარდა ადამიანი, და ეს გასაგები იქნება, თუ კარგად ჩაუკვირდებით მის ბიოგრაფიულ ლირიკას, სადაც ცხოვრების ამდენი ტანჯვასა და სიტკბობაზეა ლაპარაკი, სადაც ამდენი ცრემლია დაღვრილი გინდაც იმიტომ, რომ საწუთრომ მას ძე არ მისცა და რომ იგი „თესლ“-ტომითურთ წარწყმიდა, ძირით, ქოქით ამოგდო;“; სადაც ლაპარაკია ოცნებაში წარმომდგარ სამშობლოზე და მის ბუნებაზე. თვით „ქაცვია მწყემსი“, რომელიც აღიარებულია ასექტიზმისაკენ მოწოდებად — იმავე დროს მიწიერი სიხარულის მა-

ტარებელია, იგი ხორცის და სიყვარულის პიშია.

სწორია პოეტის განცხადება, რომ იგი განშორდა „სადმართოს ბაღნართა“, რომ მან „დასთმო ამ ბაღნარის ბულბულთა ოსანა“. აქ ბაღნარად ეკლესია იგულისხმება და მისი იდეოლოგია. გურამიშვილი უპირველესად საერო პოეტი. „აჲ შე საერო წალკოტი, მგონია პატისანი, მიყვარს და მალ-მალ მსურია მისთ ყვაგილთა ყნოსანი“. მიუხედავად ზოგიერთი რელიგიური პიშისა, გურამიშვილი დიდი რეალისტიკურაგალტანჯულმა ცხოვრებამ მას ბევრი გამოცდილება მისცა, გაუფართოვა მსოფლმხედველობა და ცხოვრებას დაუახლოვა.

როგორც ვიცი, გურამიშვილმა კარის მგოსნიდან დაიწყო პოეტის კარიერა, მაგრამ იგი არ ყოფილა სასახლის ტიპიური პოეტი, ყალბი პათოსის მეზობტე, მისი ძლიერი და ღრმა გზნება ვერ დაეტევოდა შეზღუდულ ჩარჩოებში და ამიტომაც, გასაგებია, რომ მისი კარის პოეზიიდან არაფერი დარჩენილა, გარდა ორიოდვე მოსწრებული კალამბურული ფრაგმენტისა.

გურამიშვილი თავის დროის პირველი პოეტი, რომელმაც ფართოდ ასხნა თავისი დიდი ადამიანური გული:

ბულწედ მჭონდა მისახული  
ცხოვრებისა წყაროს ღარი,  
ვიტარე და გარდუადინე  
შე იმაზე ცრულთა ღვარი.

ქართულ ლირიკაში იშვიათია პოეტი, „თვალთა“ „ცრემლთ წანწყკარით,“ როგორც იყო გურამიშვილი. მან „გულს მოსწყვიტა მუწუკი“ და ათქმევინა ის, რაც სტიკიოდა, თავის სიობლეს, სამშობლოს დამწვარი სიყვარული, „ღვთიური მიჯნურობა“. მისი ეპოქის პოეტებში მხოლოდ დავითს აქვს დიდი სიბალოფე მიწასთან, რომლისადმი მოსალოდნელ განშორებას იგი გრძნობს მწარე ტკივილით შემდეგ პანთეისტურ სტრიქონებში:

ვაი თუ, მოკვდე ყოფილი,  
კაცი ავი ზნის მე ზრდილი,  
წამერთოს დღენი შიანი.  
ღამენი, ცა მოწმენდილი;  
მდგომარეს ზღვისა ჭერტანი,  
ცა ვარსკლავ-მოფარით მოქედლი,

უკეთეს ვნახავ ვეღარას,  
ვერე მყვდარი, სულ-წარწყმენდილი...

ჩვენში მიღებულია ის აზრი, რომ დავით გურამიშვილის შემოქმედება ხალხში პოპულარული გახდა იმ ერთადერთი ეგზემპლარის წყალობით, რომელიც პოეტმა მიუძღვნა ბატონიშვილს მირიანს 1787 წ. რასაკვირველია, ეს ფაქტია, მაგრამ ამ ერთადერთ ეგზემპლარს გარდა, საქართველოში ფრამენტების სახით ხანდახან დამოუკიდებლად აღწევდა დავითის ზოგი ლექსი. ამას გვიდასტურებს მე-18 საუკუნის ზოგი ხელნაწერი. განსაკუთრებით ის ერთი ხელნაწერი, რომელშიც მოთავსებულია ლექსი „ვეო მეოს“ მოტივზე. იგი სულ სხვა ვარიანტს წარმოადგენს, ვიდრე ეს ჩვენთვის ცნობილია. მირიანისეულ წიგნიდან.

ხსენებული ლექსი, რომელიც მოთავსებულია ამ ხელნაწერში (გადაწერილი მე-18 საუკ. ბოლოს ან ცოტა ადრე, ამბროსი ნეკრესელის მიერ), ჩემის აზრით, პირველ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს. რომ მირიანისეულ კრებულის (დავითის ავტორგრაფი) გარეშეც საქართველოს აღწევდა გურამიშვილის შემოქმედება, ამისი დამადასტურებელია, სხვათა შორის, დავითიანის ის ხელნაწერი, რომელიც მოხსენებულია იოანე დოლენჯიშვილის ქალის ანას მზითვის წიგნის სიაში, 1796 წელს (საქ. სიძველენი, 1,403,406). რაც შეეხება მირიანისეულ კრებულს, იგი საქართველოში მხოლოდ 1860-იან წლებში ჩამოვიდა და არც ისე ადვილი უნდა ყოფილიყო ამ ცალიდან პირების გადმოღება.

მოგვყავს ამ ცნობილი ლექსის უცნობი ვარიანტი:

ვო მეო, აქეთ მომხედო  
რას მოვითხრობ საფარელსა,  
ვური მომიხედო,  
არაგინ არის უფროსი,  
ღმრთისგან უდიდო,  
ლეთისა სიტყვა კაცანხუდა  
სიტყვის მამსინო,  
გზასა, რომელსა ხვიდოდვ.  
წინ დაიხედო,  
ფათერაკსა და საფურესა,  
არსად შთავარდო,  
თავს ასეთედ ნუ ახარებ.

ბოლოს ინანდო,  
ასეთს ნურას მოივარებ,  
რომ დაზიანდო,  
ცან, მე ვარ შენი მოყვარე,  
შენ მე გიყვარდო!  
ნურასოდეს დამივიწყებ,  
შუდამ გახარედო,  
მე სულ ყოველთვის შენი ვარ,  
თუ შენ გინდოდო,  
ვინც შე მომღვეს გაყურელად,  
მე იმასა ვსდო,  
მაქვს ჭირნახული შენზედა,  
თორემ რას დაგდო,  
თუ არ იცი, რა მიქნია,  
გეტყვი იცოდო,  
რომ შენ იმის სამუქაფოდ,  
საქმეს იქმოდო,  
ოღეს მამით და სულითურთ  
ძე ვიმოქმედო,  
მიწა-წყალი და ქარცცხლი.  
ურთად შევმხადო,  
ჩაგებურ სული ცხოველი,  
კაცად გაგხადო,  
ქვეყნად ყოელი ნიეთიერი,  
რაც რომ დაგხადო,  
შისდა სახსრად გაგაკეთე,  
სულ წინ დაუდო,  
ყველას მოვრთე სიბრძნითა,  
რასაც შეეჭიდო,  
კვლავ დედაგაცი შემიქდა,  
უქმენ უმხადო,  
დავარქვი ორთავ სახელი და  
განუყვარდო,  
კაცსა ადამ, ღვდაკაცსა  
ევა უწოდო,  
დავსხი სამოთხის ბაღშია,  
მცნება ვასწავდო,  
უთხარ, ყოვლის ხილისაგან,  
იმ ერთსა სჭამდო,  
თუ სჭამოთ უსაყილოთა,  
სიკედლით მოჰკედო,  
მცნებას გარდაცდა, შეჭამა,  
გაესწავრ გაგაჩდო,  
ადამ დაესწყველე ჭირითა,  
ოფლით პურს სჭამდო,  
კუროს თავით და ბაღახით,  
თესლით რჩებოდო,  
მიწა იღავ და მიწადვე.  
იქცე გამიწდო,  
ვეა დაესწყველე რისხეთა,  
კენესით შეიღეს შობდო,  
ვით მონა შენ იყავ ქირისა,  
მას უმცროსობდო,  
რა საფარველი ნათლისა,  
გარდავიკხადო,  
თავანთ ნებას მიუშვი,  
ვური მიუდდო,



ადამ უთხრა სატანას,  
 თუ რამ იცოდვო,  
 ვფას ასტყავა მუცელი,  
 წამალი დასდვო,  
 სატანამ უთხრა მავიხი,  
 ჩემზედ მოადვო,  
 თუ რადა ვითოთ გირაოდ,  
 იმას მომცემდვო,  
 სული გირაოდ მომცვი  
 ასე დასწერდვო,  
 თავით ცოლით და შვილითურთ,  
 ნათესავამდვო,  
 სანამდისინ შემოქმედსა,  
 მობილად ვესყნობდვო,  
 და უკვდავი კორციით მოკვდეს,  
 მანამ შენ გყვამდვო,  
 ადამ მიუთხრა, ვერე ვვოთ,  
 და შენ თიხოვდვო.  
 მოქცა და სული ჩავარდა,  
 ჟოჯოხეთამდვო,  
 შემხრალად, გული მწყრალი,  
 მე დავიმშვიდვო,  
 ქვეყნად წყალობის თვალითა,  
 გარდმოვფხვდვო,  
 მოვლინდი სიტყვა მამისა,  
 ძედ დავიხადვო.  
 განვცოცხლდი ქვეყნად ვიარე  
 და განვიყიდვო,  
 მოვკვდი სისხლითა ჩემითა,  
 ბრალი განვწმიდვო,  
 ხიკვდილით მოვალ სიკვდილი,  
 სიკვდილი ვსთრგუნვო,  
 ადამის აღნადვინებში,  
 გარდავიკადვო,  
 ჟოჯოხეთშია სატანა,  
 რისხვით დავსთრგუნვო,  
 დავაბი მავრის ჯაბუითა,  
 ცხელს ნავთში მოავდვო,  
 მარჯვნივ დაუსვა იუდა,  
 მარცხნივ ეროდვო,  
 მიველ ადამს და ვფასა,  
 ხელი მოვკიდვო,  
 აღმოვიყვანე მართალინი,  
 არყინ დაფაგდვო,  
 აწ შენე ადამის ტომი ხარ,  
 შით შემებრალდვო,  
 სოფელსა შინა პატარა,  
 ხოტბით ვბდვო,  
 შიგბლიე ძიძას მივართვი,  
 ძუჭუ გაწოდვო,  
 გასვი, გატამი; ჩავაცვო,  
 ჩწვილი გაგზარდვო,  
 გასწავლე, გაგათსატატბ,  
 ცოლი ვიბედვო,  
 ჯერეთ ქვეყნით ცოცხალი ხარ,  
 გითხარ ჩწვიბოდე  
 მერმე მოქცედ და წარბიდე,

განისვენებდვო,  
 ან ასრე როგორ მეწყინოს,  
 წახდე, ვახცუდდვო,  
 მე დამთმო და არ მინდომო,  
 სხვას მიუხვიდვო,  
 ან მტერმა სადმე დაგორგუნოს,  
 წახდე, დასცუდდვო,  
 შორს ნუ ხარ გაქვებუელი,  
 ახლოს მომდევდვო,  
 თუ ჩემს საწყენსა რამიშე,  
 თავი ჩაიგდვო,  
 ეს არის მისი წამალი,  
 წყლულზედ დაიდვო,  
 ჩემს სახლს მოდი, მოაწიე,  
 ამდენს ვცაადვო,  
 რაც შემცოდე მისი მითხარ,  
 გვოდე, შემინდვო,  
 გულმურგაღედ ეს ბოღიში,  
 შენ მოიხადვო,  
 მერმე შენი განსვენება,  
 ჩემზედ მოადვო,  
 თუ ვითარ ვაფაგმწვილით  
 აღარ დაპურდვო,  
 არა გტინდეს რა სხვა ჯავრი,  
 სულ იხარებდვო,  
 მე შენ სხვას არას გუნჯვი,  
 ღმერთი იცოდვო,  
 ასეთის სახით მეწვერო,  
 განხო მომინდვო,  
 ასეთს ცოფელისა ნუ განახავ,  
 რომ გაგირისხდვო,  
 მაგ ჩემმა წერილს წიგნებსა  
 წიკიითხვედვო,  
 რაც რომ ანდერძი დამეცდოს,  
 აღასრულებდვო,  
 ღარიბს ატყუდვო მშვირსა,  
 მწურვალს ასმევდვო,  
 პატომარს ტყვესა უცნობსა,  
 შეიწუნარებდვო,  
 საპურობილემი მჭმუნვართა,  
 ნუგემსა სცემდვო,  
 მაქვს საპურობილე ასეთი,  
 თუ შიგ ჩავადვო,  
 დაჯაჯდენ გველნი, ნიანგნი,  
 მატლში ვფლიდვო,  
 ვემსაკნი ცეცხლის მათრახით,  
 გვემდნენ, მიძახდვო:  
 ვაიშე, დავიწვი, მიშველე,  
 ღმერთო მომხვედვო,  
 ნუ ჰკონებ კიდევ მეორედ,  
 მოვკვდე და ვიშვეო,  
 ან მისებრ ჟოჯოხეთში,  
 მალე მოვიდვო,  
 და თვით შენს მამას ადამსა,  
 ხელი მოვკიდვო,  
 ან ისრე ხელი მოვკიდო,

ან შეშებრალდვო,  
 უნდა იყო და იტანჯო,  
 უკუნისამდეო,  
 დავით მისთვის მოგასხენებს,  
 მას გაუფრთხილდევ  
 ადრე ადრე არ დაზარდე,  
 ზეზე წამოჯვო,  
 თავს შევლებს ჭედსა მზარავს,  
 მას უდარაჯვო  
 გაუფრთხილდი არ დაიხაროს,  
 შენი საუნჯეო  
 მლით საემად, რად იწახავ,  
 გახსენ, დახარავო,  
 ორივე გივის სატრფიალო,  
 ორივე გასინჯვო,  
 რომელი წინდეს უფრო მყიდრი,  
 მას ებლაჟვო,  
 რაც რომ დავით შენ გასწავლა,  
 მაზე აბიჯვო,  
 ადვ. ადვ. არ დაზარდე,  
 რაც დაგაბიჯევო,  
 ალაღე პირი ღვთის ჭებად,  
 ნუ გაიმუნჯვო,  
 ნუ ხვალ გზასა უკეთურსა,  
 ნუ გადამწევო,  
 რად მომწირდი შენსა შენელსა,  
 რად გარდებვანჯვო,  
 ისევ ხორციით შეინანე,  
 რაც ხორციით სყოფვო,  
 თორმე სულით ვერას ირეგბ,  
 შენ ეს იყოფვო,  
 რაც რომ დავით შენ გასწავლა,  
 მაზე აბიჯვო,  
 აქ დაგებით არ იჯერეთ,  
 ახლა გალქსეო!  
 თუ ეს ყველა სწორად მიიტყვამს,  
 დიდად გიყვარდევო,  
 ეს ასე მისწავლებია,  
 შენ დაიმარხეო!

ეს ახალი ვარიანტი უფრო ვრცელია. დღემდე ცნობილ ვარიანტს ბოლოს ოთხი სტრიქონი აკლია<sup>1</sup>.

სიცოცხლის სიხარულის მომასწავლებელია

\* სცხსა, კოლექცია 1446, საბუთი № 201, გვ. 218—220. საადან შედგო ამბროსი ნერესელს ელოწან გურამიშვილის ლექსი? შესაძლოა თვით ავტორისგან, თუ კი 1760 წ. პეტერბურგში ჩასულ თეოფრასის ამაღალი მოხსენებელი „ამბროსი მღვდელი“ (ამბროსი კი ფიციკოპოსობამდე ჯერ მღვდლად იყო) მართლა ნერესელი გამოდგა. იმაჟამად პეტერბურგში მყოფ გურამიშვილს, ცხადია უნდა ენახა თავისი შედეგ, რომელსაც ახალგაზრდობიდანვე იცნობდა და რომლის ამაღალი 113 კაიე იმ-ყოფებოდა (საგარეო პოლიტიკის არქივი, 1760 წ. № 110/1, საქმე № 1).

გურამიშვილის ლექსის დიდი რიტმული ძალა, მისი მუსიკალური ამღერება. რუსთაველის შემდეგ გურამიშვილამდე ქართულმა პოეზიამ არ იცოდა მისებრ მომღერალი.

„მე ლექსად სიტყვებს ამაღ ვაწყოზდი, უფრო ტკბილად მინდა“—ო.

ამით გურამიშვილი ხაზს უსვამს თავის ლირიკის მუსიკალურ ხასიათს. მეორეგან ის ამბობს: ჩემს წიგნს „ვზრდი მომღერლა დო“ და განა შემოხვევით უწოდა თავის ლექსების კრებულს „დავითის საგალობელი?“ გურამიშვილის პოეზიის ფუნქცი უმთავრესად მუსიკაა. მგოსნის პიროვნული ინტონაცია მუსიკალურია. მისი მელოდია ბუნებრივია. დავითის ლექსები თვით ავტორისაგანაც იმღერებოდა ისე, როგორც მკითხველის მიერ იკითხება რეჩიტატივით. ეს ლექსებით რომ ქართული ტრადიციით იყო „სამღერალი“, ამას თვით გურამიშვილის შენიშვნები გვიდასტურებს, რომელიც დართული აქვს ზოგიერთ ლექსს. ამ შენიშვნებით ზოგი ლექსის სტრიქონი მეორედებოდა, იმიტომ რომ სასიმღერო იყო. პოეტი აძლევდა მკვლევარს შესაძლებლობას სხვა „ხმაზედაც გაეწყო“ ლექსის კითხვა.

ასე: „ეს ბოლო სტრიქონი ორჯერ უნდა“ (გვ.76), „ეს ბოლო სიტყვა ორჯერ უნდა“ (გვ. 136), „წინწილს ჭვეით სამჯერ უნდა“ (გვ. 154), „გოდება დავითისა“—ს ყოველ ტაეებს მოსდევს მოძახილი. ამ ლექსის ვარიანტს აწერია: „თუმცა სიტყვა და ძალა ისევ არის, იქნების კაცო ამ რიგს ხმას უფრო გაეწყოს“ (165), „ეს ციფრი ამისთვის არის, რაც გასწვრივ ლექსია, ორჯერ უნდა ითქვას ბოლომდის“ (179). „ქაცვია მწვემის“ კიდევ ერთს თავს შენიშვნა აქვს: „ეს ციფრნი ამისთვის არის, მესამე სტრიქონი კიდევ მეორედ უნდა ითქვას ბოლომდის“ (229).

გურამიშვილის პოეზია ხალხური სულის პოეტური ანარეკლია. გურამიშვილმა ხალხური, ცოცხალი სიტყვა აღიარა ლიტერატურის საფუძვლად. მან პირველმა გამოიყენა ფორმა ხალხური სიმღერებისა და ხალხური სიმღერის ჟანრი ასწია პოეტურ სიმადღემდე. მისი ლექსების უმრავლესო-

ბა, ქართულ-რუსულ-უკრაინულ ხალხურ მოტივებს არის შეწყობილი: „ახა წმინდა კოპალეს“ — სანაცვლოდ სათქმელი „ეეო, მეეო, ქალო, ქალთა-მზეო“ — სანაცვლოდ სათქმელი, „სიმღერა ქართლ-კახეთის ჯვარობის სანაცვლოდ სათქმელი“, „სიმღერა ფერხისული“, „აგერ მიღმარ აზოს“ — სანაცვლოდ სათქმელი, „პატარა ქალო თინაო“ — სანაცვლოდ სათქმელი, „რუსული სიმღერა“, „ნე დამ პოკოე“, „პოიდუს თობოიუ“, „ჩტო ზა პრიჩინა, ვსეოდა კრუჩინა“, „პოლშის სიმღერის ზმა“ და სხვა. თვით გურამიშვილის კაპიტალური პოეტური ნაწარმოები — პოემა „მხიარული ზაფხული“ („ჭაცვია მწყემსი“ მკითხველმა უწოდა) პოეტს დაუწერია უკრაინული სიმღერის „ვესელა ვესნა“ — სხმაზე.

ერთ ჭალს რუსული „ვესელა ვესნა“ ჩემთვის სამილად ჩამოუყვანს.

(სხვათა შორის „რუსულში“ გურამიშვილი „უკრაინულსაც“ ჰგულისხმობს).

რასაკვირველია, შეუძლებელია, 54 წლის მანძილზე უკრაინაში მცხოვრებ გურამიშვილზე თავისი გაელენა არ მოეხდინა უკრაინულ ხალხურ პოეზიას, უკრაინის კომზარებს, ლირნიკებს, რომელთაც იგი უსათუოდ იცნობდა. ცხადია, დავით გურამიშვილის პოეზიაში ერთგვარი კვალი უნდა იყოს უკრაინულ ხალხურ პოეზიისა. ამ საკითხს საგანგებო შესწავლა სჭირდება. მე ჩემის მხრივ მინდა აღვნიშნო ჩემს მიერ დადგენილი რამდენიმე ფაქტი:

ასე, გურამიშვილის შესანიშნავი ლექსი „ზუბოვკა“ („ზუბოვკიდან მომავალმან“) დაწერილია უკრაინულ მოტივზე „კაზაკ დუშა პრავდივაიაზე“ როგორც ჩვენ დავადგინეთ, ამ უკრაინულ სიმღერის პროტოტიპი ზაპოროჟელი კაზაკის ივანე ვინოგურას აღსარება გამოდგა:

...Казак душа правдивая,  
Сорочки не мас,  
Колы нее, так бы,  
Такы не гуляе!

ასევე, მე-18 საუკუნეში დ. გურამიშვილის დროის უკრაინაში ცნობილი ყოფილა ნაწარმოები სწორედ გურამიშვილისეული სათაურით: („სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“). „Пренне живота со смертяю“.

ზოგი მკვლევარის აზრით, ეს ნაწარმოები პოლონურ რედაქციიდან მომდინარეობს და დასავლეთ-ევროპული წარმოშობისაა. თუ ეს ასეა, გურამიშვილის კაცისა და სიკვდილის „ცილობამ“ შეიძლება სახელგანთქმულ ფრანგ პოეტს ფრანსუა ვიონის (1337-1453) „ანდერძებსა“ და ბალადებთან მიეყვინათ. „ანდერძები ზომ მზრძანებელი ჟანრი იყო საფრანგეთის მე-15 საუკუნის პოეზიისა“.

ვიონისა და გურამიშვილის „ანდერძებს“ შორის ერთგვარი ნათესაობა არსებობს, როგორც დიდაქტიკური და სატირული, ისე საერთო ტონის მხრივ. სიკვდილის თემა ორივე პოეტს აღიზიანებს, ორივენი ირონიული ტონით ელაპარაკებიან სიკვდილს. ორივეს შესანიშნავად ძვეს სიკვდილი დახატული. ეს უკვე „ახალი ადამიანის“ თამაში ტონია. ეს საინტერესო საკითხი ღირსია ცალკე დამუშავებისა.

დავით გურამიშვილის პოეზიაში ზოგან საოცარ სიახლოვეს ვხვდებით ქართულს ხალხურ პოეზიასთან. აქედან ჩანს, თუ როგორ საზრდოობდა პოეტი ხალხურ წყაროდან:

მაგალითად:

ხ ა ლ ხ უ რ ი:

ორღობს ჭალა ჩამოიარა,  
გაეჟე და დავეჟაღე,  
როგორც ხობის უღე მზე,  
გვერდზე რომ გამოიარა,  
წამოვდე და გავეზარე,  
გზის ქა სულ ჩემზე მიიღო,  
აღარ შემარჩინა სხე.

...  
ეს სიტყვა რომ გულში გქონდა,  
პირათ როგორ განმუქრებ 2.

<sup>1</sup> П. Житецкий, Мысли о народных малоросийских думах, стр. 115, Киев.

2. ა. უმაგვილი, ხალხური ზეპირი სიტყვობა, 1, 215.

<sup>1</sup> ამ შემთხვევაში, საყურადღებო უცნობი პოეტის გონს გააანახვა სიკვდილთან. ვფიქრობთ, გონაც გურამიშვილის ეპოქის ცუთენის.



დ. გვრამიშვილი:

ზუბოვიდან მომავალმან  
ვნახე ერთი ქალი,

გვიხე, მზეო, სიღამ მოხველ  
ხარ სად წამავალი?

აიღო და დამინინა  
თავში დიდი კვტი.  
დავრეგრეცდი, გარდავიჭმე,  
დამხვია რეტი...

ხალხური:

ცოლი შვეერთთ ღამაში  
ვაპ, თუ არ შემთვარსა.  
სამეზობლოდ რთმ წაიღდეს,  
ულვაშ-კოკობი ნახოსა,  
მას გაუშალოს ზუმულო,  
მე ჩალა გამიჭეჭოსა,  
მას შეუწვას ზრბოჯვრცხი,  
მე მხალი მომინახოსა!

გვრამიშვილი:

კუროს უშაადებს კარგსა სადილსა,  
და აღასრულებს გულის წადილსა,  
კუროს მიართმევს ქადა-ნახუჭებს  
გატეხილ ყვერულს, კარგათ ნახუჭებს,  
როდესაც რომე ქმარს გაიტყუებს,  
ჭეწეაგებს ვაშლის, ბალიშებს, ყუფებს  
საბრალოს ქმარს ჭეწმა  
მიწა, ქვა და შეშა  
ვევბის ხმელად". („ქაცვია მწვემია“)

გურამიშვილის პოეზია, როგორც ჭეწმა-  
რიტად დიდი პოეტისა, ხალხშია გადასუ-  
ლი. ამ ფაქტს გვიდასტურებს ქართული  
ფოლკლორი.

მაგ. გაიხსენეთ „ქართული სუფრული“.

ცუდი გაუშვით სათქმელად,  
ჩაც რომა სუთხდეს, ისა ვოჭაო,  
პარალაღი და პარალე!  
სმა უმღერალი არ ვარგა,  
ჭაბუკი დაუთრობელი,  
არალაღი, ვარხი ვარალო!  
მოკე დაეთის მყნებსა,  
ჟურ შწარე ჭამე, კვლავ ტაბლი,  
თუ ესტე ჭემოენებსა!  
ჭირში შეყოფ ღიბნიშ შეუღლი  
შევადა მითელას ღმენასა,  
თავს სინანული სუთხია,  
ბოლო ვამა დანანებსა!

1 ძველი საქართველო, ტ. II, 305, მესხეთში  
ჩაწერილი ე. გვარამიშვილისგან.

10. „მნათობი“, № 10.

არუ — არალო-თ!  
„საყვარულო ჩემო ძმაო,  
იმყოფები სადამ!

ბნელში ვარ, გვედრები,  
წამიყვანე შინდათ! 2

ან

შენი ჭირიმე, ბაქარო,  
თაფლო ტეხილო დ შაქარო,  
ჩვენ ამენებულ მამულზე,  
ვინ უნდა დაასახლევარო! 3

გურამიშვილის მრავალი ლექსი ხალხში  
გადასულია ანდაზად, როგორც, მაგ;

მინასავა ერთი პირტყვი,  
გორსა თუ ასალ გორსაო,  
თავისთვის მუტრუკს აყეთებს,  
სხვათ გაუკეთებს ჯორსაო 4.

ამრიგად, გურამიშვილის აფორიზმებსა  
და სენტენციებს დღესაც იმოწმებენ. გუ-  
რამიშვილის პოეზიაში ხალხი ნახულო-  
ბდა თავის აზრებსა და გრძნობებს, თავისი  
ოცნებების ხორცშესხმას ზნეობის შესა-  
ხებ.

ასევე ხშირია ხალხური მოტივები გუ-  
რამიშვილის ლექსებში, განსაკუთრებით  
მის „გოდებებში“, „სიკვდილისა და კაცის  
შელაპარაკება და ცილობაში“, „კაცისა და  
საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა, ერთ-  
მანეთის ძვირის ხსენება“-ში, თავი რომ  
დავანებოთ მისს სხვა ნაწარმოებებს.

მაგალითად:

საკვდილო, ვერ დავმალე,  
კლდე გამოგაგე სალია,  
გაგემე, ვერსად წადივულ,  
ცხენი არა მყავს მალია!  
ქრთამი გაძლიე, არ გინდა,  
თვალ-მარგალიტი ღალია! 5

ან

ვაი შენ, წუთისთველო,  
დაცვადე ათასფერადა,

1. გურამიშვილის მიერ ჩაწერალი, ქართლში,  
სოფ. ბერშეთში.
2. ქართლში ჩაწერილი ჩემგან.
3. „თეატრი“ 1886, № 34.
4. ანდაზის განმარტება: „მთიულმა ვირი ხბოდ  
გაასახლა ვაჭარზე, რომელმაც დამალი ჩითული მი-  
ქვიდა, თანაც შეუდა“, „დროება“, 1874, № 443).
5. ალექსა ბიბლაშვილის ნათქვამი, კარალეთში  
ჩაწერილი. ვასო ბიბლაშვილისგან „ივერია“,  
1891, № 200.

ზორცო, გალადე, გასუქე,  
სულო, გაგიდექ მტერდა!

ა6

ვაი, თუ მოვედვ, ჩავერდვ,  
ორმოსა ბნელეთისასა!  
დავლონებეარ სიკვდილსა,  
დაბნელებსა მზისასა.

სიკვდილმა უთბრა სიციცხლეს,  
ვერ მოხვალ ჩემი წონაო,  
დავაწვენ, იმთვეს ვაკვრებებ,  
მოგწვინდეს გვერდზე წოლაო!

სტუმართა სიყვარულითა  
მოძღვართა მარხვა სჭამიან,  
როცა ზორცე უნდა სუქება,  
სულისთვის ვახა სცალიან!

გურამიშვილის პოეზიაში ასევე მრავალგან ჩანს ხალხური ინტონაციები. მაგ. მისი ცნობილი ლექსი „სიტყვა ესე ღვთისა“, „ეეო, მეო, აქეთ მომხედუო“ აგებულია ხალხურ კილოზე „ეეო, მეო, შეილო დემეტრო“.

ეეო, მეო, შეილო დემეტრო,  
წმინდა გიორგის კარები როგორ გასტეხეო?  
ხელი შეეყვ, ვაჩაყუნე, ისე გატეხეო,<sup>1</sup>

ცნობილია მეორე ვარიანტიც:

ეეო, მეო, შეილო იწოფრუო,  
წმინდა ღვთისმშობლის კარები

როგორ გასტეხეო?

ხელი შეეყვ, ვაჩაყარეო,

კლიტე გატეხეო.

ღვინით სავსე ქვევრი დამხვდა,

ბევრიც სხვა ვნახეო.

ღვინით ყული გავისყველე,

გემო შეტყ ნახეო,

ჭათმეტიც ბერი აწყვია,

ქვევრიც ავხადეო,

შეინდიან კარი ჩავეტეო,

არინ ჩავაწვედესო,

თუ საკმელად არ მოხარშეს,

რისთვის დააწყესო,

ეეო, მეო, შეილო დაეთივერო,

ოთარანთ ქვრივი მიცვარს,

ჯვარსაც დაგიწერო<sup>2</sup>

ან კიდევ:

ხალხური:

ერუსალიმს მიმავალი,  
ერუხება ბერი ბერსა:  
ჩემი სულის არდაჯანმა,  
არას ვტყვის გერი ბერსა<sup>1</sup>.

დ. გურამიშვილი:

მიმავალი მოუხრობდა  
ამხანაგი ამხანავსა:  
ღღვის იჭით ამ საქმითა  
ნიშანს ვერა ვხედავ კარესა<sup>2</sup>.

ხალხური ლექსის აშკარა ვარიანტია დავითის ნათქვამი:

ვაშე თუ შორს გზას წავიდე,  
საგზად ვერა-რა წავილო,  
წინ მებოყენი დამიხედენ.  
რაც მახლოვან, ის ვერ გავიდო.

ან

სასწორში ცოდეა დაჭარბდეს,  
უმაღლომ ვერ გადავიდო,  
გჭამდენ გველნი და ბაყენი,  
მატლში ველოდო,  
ემშაკნი ცეცხლის მათარხსა  
გცემდენ, მიძახეო!  
ვაშე დავიწვი, მიშველე,  
ღმერთო, მიშვედეო

ხალხიდან აქვს აღებული ასეთი მორალისტური სტრიქონები:

ლარობს აჭმევდვ, მშინვრა,  
მწყურვალს ასმევდვო,  
მიშველს შემოსხე, უბლურსა,  
სნეულს ნახევდვო,  
საპრობილემი მჭმუნვართა  
ნუგემსა სცემდვო,  
პატინარს, ტყვესა, უცხოსა  
შეიწყინარებდვო.

დავით გურამიშვილი ქართულ ნიადაგზე აღზრდილი უღრმესი ხალხურობით გამსჭვალული პოეტია. მისი ლექსი გასაგებია, ხალხურია. მისი მხატვრული უბრალოება, ხალხივით მკაცრი სიმართლე და პატრიოტული სიმამაცე მომხიბლავია.

დ. გურამიშვილის პოეზიის სიმბოლიური გამოსახულებაა ქნარი და სტვირი, როგორც თვით აცხადებს:

1. ჩაწერილი ს. პატარბეულში. ჩემგან.  
2. ჩაწერილია ყვარელში, აღ. ზეგიაშვილისაგან.

1. პ. უშიკაშვილი. 402.

3. დ. გურამიშვილი, გვ. 63. 1955 წ. გამოც.

ემღერი ოუ ვსტარი  
ქნარი მაქვს თუ სტვარი.

ქნარი შედარებით რთული საკრავია, ე. ი. ქნარში იგულისხმება მწიგნობრული მწერლობა, ხოლო სტვირი — მდაბიოთა საკრავი, ხალხური პოეზიაა. ამრიგად, გურამიშვილის შემოქმედებაში პოეზიის ორივე ნაკადია. დიდ ხალხურობასთან ერთად „დავითიანში“ შეინიშნება მწიგნობრული მოტივებიც (განსაკუთრებით, ლექსებში, რომლებიც დაწერილია რუსულსა და უკრაინულ მოტივებზე). როგორც ცნობილია, „დავითიანში“ უგულვებელყოფილია აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული სატრფიალო პოეზიის გავლენა და სტრიქონებიც

ნუ ვშურები ფეხითა  
უეფურთაყე რბენასა,  
ხმა მოუდაბლე ორღანოს  
ამიყ-მამიყად სტვენასა,

ამ ფაქტის მანიშნებელი უნდა იყოს. გურამიშვილი ქართული ენის ღრმა მცოდნეა. მისი ენის ინვენტარი ვრცელია და მდიდარია.

გარდა კოლორიტიისთვის ნახმარ (განსაკუთრებით სასულიერო თემატიკაში) არქაული ფორმებისა, პოეტი მთლიანად ხალხურ მეტყველებას არის დამყარებული. მას გამოყენებული აქვს „ქართულის“ — არაგვის ხეობის (მამასადამე, ნაწილობრივ „მთიულურის“) ლექსიკური თავისებურება, დიალექტიზმები.

პოეტის მიერ უხვად ნასარგებლევია ადგილობრივი სიტყვები, ტიპიური გამოთქმები, ხალხური სიმღერები, შირები, მოსწრებული სიტყვები.

გურამიშვილს ცოცხალ, ცინცხალ, სასაუბრო ენას არ აქვს რიტორული სამკაულები, რომელნიც ხელს უშლიან თემის სიმწყობრესა და ერთიანობას.

ქართული ენის დიდმა რეფორმატორმა დ. გურამიშვილმა გაარღვია არა მარტო არქაული ენის შაბლონი, მან აგრეთვე დაარღვია მეტრული ერთფეროვნება, გაამდიდრა ქართული ლექსი ახალი მეტრიტა და რიტმით, ბრწყინვალე რითმით. ამ მხრივ გურამიშვილს უდიდესი დამსახურება მიუძღვის და ზედმეტს აღარ გავიმეო-

რებთ.<sup>1</sup> ეს საკითხი კარგად არის გამოკვლეული.

დავით გურამიშვილი ლექსის რიტმის მხრივ ბრწყინვალე ნოვატორია ქართული პოეზიისა.

გურამიშვილმა მოახდინა ქართული პოეზიის რიტმული რეფორმა, რასაც დიდი მნიშვნელობა მიეცა ჩვენს პოეზიაში.

თუ რითმა არის ლექსის პარამონია, ეს უნდა ითქვას გურამიშვილის რითმაზე, რომელსაც ბადალი არა ჰყავს მისი დროის პოეზიაში. გურამიშვილი რითმის შესანიშნავი ოსტატია, მან ააღორძინა და გაჭედა ქართული რითმა, მისცა მას ფართო ასპარეზი საკუთარ ლირიკაში. ისიც საგულისხმოა, რომ გურამიშვილმა პირველმა შემოიღო ქართულ პოეზიაში ჯვარდინი რითმა:

ვამე ცოფვილსა და უბადრუკსა,  
მე ვინ შადრბებს ახუთ მახმანსა.  
რომ დამიგრძელეს სახლის პატრუკსა,  
ან ზეთ მისხამდის ზემს შკრალს ბახმანსა

... და ვით<sup>2</sup> ვალად დანერგული,  
ვარ უმრტო დამე უფესო,  
აწ მომბეზინს დაკარგული,  
ვამადრებ ჭრასტეს მეუფესო!

გურამიშვილი რითმის ბრწყინვალე ოსტატია და სპასალარია: „ქორწილი“, „ირგოწილი“ „პატრუქი-უბადრუკი“, „ქრისტე-დავქიშტე“ „გამეცო-დედაკაცსემო“, „სეტყვანი-სიტყვანი“, „წინწინ ეს-იქორწინეს“ „უფლება-უკუფლება“, „დავით-მე-დავით მე-დავითმე“.

ცალკე აღსანიშნავია დიდი ოსტატობით შესრულებული გურამიშვილის „მაჯამეზი“, — ნამდვილი სამკაული ძველი ქართული პოეზიისა. მაგალითად:

ოდეს ადამ იქმნა კაცის,  
ცვალ სამითზე მოებარა,  
მისმან ხილმან აზღვეწყობა,  
ნეტამც არა მოება რა!  
მას დღეს აქეთ

1. დაწერილებით იხ. კ. კეკელიძის, აღ. ბარამიძის და ა. გაწერელიას შრომებში.

2. აკადემიურ (1955) გამოცემაში შეყდომით დაზღვეულია „დავით“.

კალად გვაძვს.

ჩვენზედ არის რაც ეს სესხი,  
ნეტამე ვინმე ძირით გპირადეს,  
ჩემთვის, შხამო, რას ზეს ესხი?

ნახეთ სესხან მამისამან,  
შეილს მოგებარა მოვალე ხით?  
ცელი ხელთა უპერია,  
პირს მოწყობს, მოვა ლუკით.  
ცუდი რამ ხარ, საწუთროვო,  
შენ უნეთა გვირს რადგან ახე,  
შე ეს მიკვირს, რომ ვერა გთმობ,  
თუ კარგი ხარ, რად განასა!

ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა კიდევ არა ერთი ვირტუოზული მაჯამა, რომლის ბადალი ნაკლუბ უნდა მოიპოვებოდეს მისი თანამედროვე პოეტების ლირიკაში.

საინტერესოა, რომ დავით გურამიშვილისათვის უცხოა ამ ეპოქის გადამდები სენით — ტექნიკური მელექსეობით, მაგ. „ანბანთქებით“ გატაცება. გურამიშვილს, სხვათა შორის, აქვს ერთი 7 ნაკეთიანი ანბანთქება („აღდგომის დღეს ყრმათაგან სამღერალი“), იხიც დაუმთავრებელი („ნარამდე“) და ორი თითო სტროფიანი (პირველი თავიდან და მეორე ბოლოდან). ეს კი იმას ნიშნავს, რომ გურამიშვილს, ჭეშმარიტ პოეტს, „ცრმელთა წიანწკარით“ სულიერი მოძრაობის გადმოცემს, დიდ ოსტატს, არ ეცალა პოეტურ ეკვილიბრის-ტიკისათვის, თუმც იგი ლექსის ბრწყინვალე არტისტი იყო.

გურამიშვილმა მშვენივრად დავგინატა ქართლისა და უკრაინის ბუნება, მისი პეიზაჟები, განსაკუთრებით, ორივე ქვეყნის ბუნება შესანიშნავად შერწყმულია პოემაში „ქაცვია მწყემსი“, სადაც მოცემულია არაგვის ხეობისა და მდ. ზორლოს ნაპირების ცოცხალი ბუნების პოეტური აღწერილობანი. მიუხედავად იმისა, რომ ამავე პოემაში იგრძნობა ანტიური ალფორიული სტილი კლასიციზმისა) — ვეროსი, კეკია, ლიფსი, ზეფიროს, ფენიქსი, ბორია, თრასკე, ვრლასტი, ლიფონტოს და სხე.

მაგრამ „ქაცვია მწყემსი“ ძირითადად დაწერილია ქართული ეროვნული საღებავებით, ხალხური ელფერით და სახეებით და პოემაში უმთავრესად ქართული, მდამი-ოთა ყოფიაცხოვრებაა მოცემული, შესავე-

ბული ქართული ხალხური იუმორით. ამ მხრივაც გურამიშვილი მტკიცედ დგას ქართულს ნიადაგზე<sup>1</sup>.

„ქაცვია მწყემსი“, ჩემის აზრით, შეინიშნება აგრეთვე რომანტიული პასტორალების გაგლეხა, რომელიც ძლიერი იყო იმ დროის რუსულ პოეზიაში ფრანგული მწერლობის წყალობით.

რაც შეეხება მხატვრულ აზროვნებას, მხატვრულ სახეს, დავით გურამიშვილის პოეზიაში, კერძოდ მაგ. ასეთი კონკრეტულ-აღწერითი მხატვრული სახე:

დასალამოვდა, მზეც ჩეწურა,  
სიღამევე მოვიდა,  
იქოვე წავიდა  
სირბილ-ჭუნძულით

იშვიათია მაშინდელ ქართულ პოეზიაში.

იმ დროის პოეზიისათვის მეტად რთული, მოულოდნელი მხატვრული სახეა აგრეთვე:

აბელის თავის ნახეოქი  
ცას მოხვდა ანასხლეტია,  
მისგან ცის მწიღლზე სისხლი ხწვეს,  
ჯურაცა არ შესწყვეტია.

მიუხედავად დიდი მოკრძალებისა ვეფხისტყაოსნის ავტორის წინაშე, გურამიშვილს მხოლოდ ერთგან შევნიშნეთ პირდაპირი რუსთველური სახე: „თვალნი საწვიმრად მას აუქუხდა“.

რუსთველთან ერთად გურამიშვილის პოეტური მასწავლებლები არიან არჩილი და ვასტანგ მეექვსე.

გურამიშვილის ლექსის მუსიკალობასთან ერთად აღსანიშნავია მისი პოეტური ენის პლასტიკურობა და სიტყვის ოსტატურად დამუშავება. მისი ენა მოქნილი და ფერადოვანია. გასაოცარია გურამიშვილის ლექსიკის სიმდიდრე. სამშობლოდან გადახვეწილმა როგორ შეინარჩუნა ასეთი მარაგი? ამ შემთხვევაში გურამიშვილის, ისევე როგორც ბესიკის ლექსიკაზე დიდი გავლენა მოუხდენია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონსაც.

შეიძლება მოვიყვანოთ ერთი კონკრეტული ნიმუში იმის დამამტკიცებელი, რომ

1. იხ. კ. აგელიძე, „ლიტერატურული ძიებანი“, I, 163, უტიუღები, IV, 1965-1966.

პოეტს უკრაინაში თან ჰქონია საბაჰს ლექსიკონი და იქიდანაც უსარგებლია თავისი ლექსიკონს გასამდიდრებლად.

დ. გურამიშვილი:

საწუთოს მზის თინათინი მოციხისა, რაცა ფერია: სარკის მზის შუქით ციალსა უწოდენ ქართველთ ჟრია.

ს ა ბ ა:

თინათინა: სარკითა თუ მისთანათა რაოამე მზის შუქი კედელზეთა ციალბედს.

დ. გურამიშვილი:

მე ვარ, ვითა აღდაჰე, ზიცი და მლაშობი

ს ა ბ ა: — ზიცი-ქე არს მიწა, სადა, სიმლაშით ნაყოფი არა იქნების რომელ არს აღდაჰე.

დ. გურამიშვილი: მეტად დრანჯობით სიბვა მრუჭებას.

ს ა ბ ა: „დრანჯობა-ურცხვი სიბვის მოყვარება.

დ. გურამიშვილი: „მე თიხის კოკა-ზნონი ჰური“.

ს ა ბ ა: „ზნონი — ჰური ღვინის ამყარლებელი“.

საბაჰს ლექსიკონიდანვე გურამიშვილს აქვს აღებული მითოლოგიური სახელები ქარებისა („ქაცვია მწვემბი“).

არ მოგვეყავს სხვა მაგალითები იმის დასამტკიცებლად, რომ საბაჰს ლექსიკონი გურამიშვილისათვის არა მარტო ლექსიკონს გამამდიდრებელი იყო, არამედ ცოდნის შესატენი ენციკლოპედიაც.

მუდმივ ომიანობაში მონაწილეობის მიღება იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ დ. გურამიშვილმა ვერ შეისრულა თავისი საწაღელი და ვერ იმუშავა მწერლობაში, როგორც თვით მას სურდა.

თუმა ენა გასარყლდა, გული შასთვის გამიხარდა, მგრამ მეფეთ სამასხურით (ე. ო. სამხედრო სასახურის გამო გ. ლ.).

ეს საზრდელად გამიხარდა

ამბობს თავის წიგნზე.

თუ მოსკოვში ვახტანგის კარზე დ. გურამიშვილს წარჩინებული პოეტის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, სიბერეშიც, უკრაინაში ყოფნის დროს, ქართველ ემიგრაციამაც მისი შეფასება დიდი ყოფილა. გურამიშვილს მისი მკითხველები თვლიდნენ გა-

მოჩენილ ქართველ პოეტებს შორის, როგორც თვითონ ამბობს:

მე მრევნ მერანთ ჯოგვიანთ

დ. გურამიშვილის პოეზიამ აღზარდა მთელი რიგი თაობანი, იგი უყვარდათ და ზეპირად იცოდნენ იმათაც, ვინც წერა-კითხვაც კი არ იცოდა „დავითიანი“ საქართველოში ანბანის მაგეირობას სწევდა. იგი ყოველდღიური თანამგზავრი, სახელმძღვანელო და საგალობელი სიმღერების კრებული იყო.

ხალხი აფასებს გურამიშვილს, აგრეთვე, როგორც თავის ისტორიკოსს, ჰუმანისტს, ფილოსოფოსს, განმანათლებელს, განათლების მოჭადაგვს. სწორედ ამბობს პოეტი, რომ ეს წიგნი მან ხალხის საკითხავად დაწერა, რათა ხალხმა მოიხმაროს ეს წიგნი წიგნად: „მოსახსენებლად ჩემდა“, „სიღად ვთქვი სიტყვა“, „ამ წიგნს წიგნად მოიხმარებებს, ვინც სხვა წიგნსა ვერ მიხედებაო“.

როდესაც მწიერი და მოხუცი ჩიოდა: „ვინ დამიტირავს, ვინ დამმარხავსო“.

„ცოცხალიც არვის ვახსოვარ,

მკვდარს ვინდა მომიგონებსო“ და ღმერთს ეხვეწება დამმარხველი, დამტირებელი, გთხოვ, მიბოძეო. მას ალბათ, არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ იგი ასე მალე იპოვიდა ბინას საქართველოს გულში. ქართველმა ერმა დააფასა გურამიშვილის ცრემლები. მიუხედავად იმისა, რომ გურამიშვილის ლექსებმა საქართველოში მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში მიიღეს ფართო გავრცელება, (ფაქტიურად, გურამიშვილი გრ. ორბელიანთან და ნ. ბარათაშვილთან ერთად გამოვიდა მკითხველი მასის წინაშე); მიუხედავად იმისა, რომ გურამიშვილის ნიმუში პირველად მხოლოდ 1852 წელს დაიბეჭდა, ხოლო ლექსთა მოკლე კრებული პირველად 1870 წ. გამოიცა, — „გურამიანმა“ ანუ — „დავითიანმა“, რომელიც მანამდე ხელნაწერ ნუსხებად ვრცელდებოდა, იშვიათი გამოსხმურება პოეზია ქართულ საზოგადოებაში. იგი მამინევე საყვარელ წიგნად გახდა, როგორც ინტელიგენციისა, ისე მთელი ხალხისათვის,

დ. გურამიშვილი დიდი ნაციონალური თვითშეგნების პოეტია. მისი ლირიკული და ეპიკური შემოქმედება დიდი ნაციონალური გრძნობის რომანტიკაა.

დიდი მხატვარ-მოაზროვნის სიწმინდემ და გულწრფელობამ, სიყვარულის, ერთგულებისა და სიმამაცის ქადაგებამ, ნაწარმოებების იდეურმა სიღრმემ, მონუმენტალობამ, სიმღერების მელოდიურობამ, უაღრესმა მუსიკალობამ, ელერადობამ და პლასტიკურობამ, მაღალმა პოეტურმა ოსტატობამ, გურამიშვილს დიდი პოპულარობა შეუქმნა და იგი ქართველი ხალხის საყვარელ პოეტად აქცია. ემყარებოდა რა ხალხურ შემოქმედებას, მან ხელი შეუწყო ქართული პოეზიის დემოკრატიზაციას. იგი ახალი ლიტერატურული ქართული ენის ერთ-ერთ შემქმნელად იქცა.

მე-19 საუკუნის დიდი ქართველი პოეტები მისი შემკვიდრეები არიან. ნ. ბარათაშვილის „ზედი ქართლისა“ ესმაურება დავით გურამიშვილის ეპოპეას — „ქართლის ჭირს“ („ჭირი ქართლისა“, „ზედი ქართლისა“).

უნდა აღინიშნოს დავით გურამიშვილის გავლენა ილია ჭავჭავაძის „აწრდილზე“ და განსაკუთრებით მის ბოლო პერიოდის სამოქალაქო პოეზიაზე, რომელიც დავალებულია გურამიშვილის სიტყვითა და ლექსით.

ასევე ითქმის აკაკი წერეთელზე, რომლის ლირიკაში არა ერთგან გვეხვება ერთგვარი „გადაძახებანი“ „გამოხმობანი“ გურამიშვილთან. აკაკი წერეთლის პოეზია ისევე დამყნობდა ხალხურ ძირებზე, როგორც გურამიშვილისა.

ვაჟა-ფშაველამ გურამიშვილს თავისი „წინამორბედი“ უწოდა და სრულიად ჭეშმარიტადაც. ვაჟა-ფშაველას და დავით გურამიშვილის პოეზია ერთვულ — ხალხურ საწყისებიდან მომდინარეობს. ერთვული პოეზია ორივემ დიდ სიმაღლეზე აიყვანა და განავითარა ახალი სამკაულებით.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ პოეზიას, დავით გურამიშვილი მისი სახელო-

ვანი წინამორბედი. ახალი ქართული მწერლობა გურამიშვილისაგან სწავლობს სემარტულს, იდეურობას და ხალხურობას, ხალხის საუკეთესო მისწრაფებათა ასახვას და ხალხის ინტერესების სამსახურს, ღრმა პატრიოტიზმსა და ხალხის ცხოვრებასთან ცოცხალ კავშირს. ამიტომ ახალ ქართულ მწერლობამ ღირსეულად მიიღო დავითის ანდერძი:

მე დავით ესე,  
 ვხანი დე ვოჲსე,  
 ვინ ხართ ჭკავაშოფნი,  
 ესე ნაყოფნი  
 ბრძნად მოიშვეთათ.

და სწორედ მისთვის გამართლდა დავით გურამიშვილის ნათქვამი:

ვითა დავლამღი,  
 ისე ვათუნდი!

\* \* \*

1787 წელს ღრმად მოხუც პოეტს შეუგროვებია თავისი ნაწერები და ერთ წიგნად შეუდგენია, რომელიც ერეკლე მეორის შვილის მირიანისთვის მიურთმევია. უკანასკნელი იმყოფებოდა ქ. კრემენჩუჟში, ეკატერინე მეორის ფავორიტის რეზიდენციაში.

საყურადღებოა, რომ კრემენჩუჟშივე 1787-1788 წლებში პოტიომკინის შტაბში იმყოფებოდა აგრეთვე პოეტი ბესიკი, ვითარცა დესპანი იმერეთის სამეფოსი. საკითხავია, დ. გურამიშვილმა თავისი ხელნაწერი წიგნი მიტოვოდიდან კრემენჩუჟს თუ ელისავეტრადში გამოუგზავნა პოტიომკინიშვილ მირიანს, თუ თვითონ გადასცა? ვფიქრობ, რომ პირადად უნდა ხლებოდა, იქნებ, მირიანის ახლო მეგობრის ბესიკის შუამავლობითა და დახმარებით? თავის ირიგაციულ პროექტებს დავითი დიდად საიდუმლოდ ინახავდა, როგორც პოეტი მინაწერში ამბობს, მიუხედავად ცალთვლიანობისა და მეორე თვლითაც დიდად დასუსტებულ მხედველობისა, მე თვითონ მოგზაზე, სხვას ვერავის ვენდევო ამის მოუპარაობის მიზეზითათ. ცხადია, წიგნთან დართული საიდუმლო პროექტის გატანე-

ბასაც სხვას, მით უმეტეს, უცხოს, არ ანდობდა.<sup>1</sup>

თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლებლად უნდა ჩავთვალოთ მოხუცი გურამიშვილის და ჭაბუკი ბესიკის შეხვედრა კრემენჩუკსა თუ ელისავეტგრადში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც ერთ წიგნად შეუმზადებია ბატონიშვილ მირიანისათვის მისართმევედ, გურამიშვილს სხვა ნაწერებიც უნდა ჰქონოდა, რაც ხსენებულ კრებულში არ შესულა. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ პოეტს ზოგი რამ თავის ნაწერებიდან უნდა დაკარგოდა, სახელდობრ, სიჭაბუკის დროს.

„დავითიანი“ ხომ უმთავრესად შუახნის იქით და სიბერის ხნის ნაწარმოებთა შემცველია, გარდა მცირე ნაწილისა.

გურამიშვილის არქივი უნდა განადგურებულიყო პრუსიაში მისი ტყვეობის დროს. უკრაინაში დაბრუნებულს სახლკარი აკლებული დახვედრია. როგორც თვით გა-

დმოგვცემს, ჩაუწერელი უნდა დარჩენილიყო და დაფიქრებას მისცემოდა გურამიშვილის ექსპრომტები, კალამბურები და წერბილი ლექსები მოსკოვის პერიოდისა და, შესაძლოა, ზოგიც სიჭაბუკეში საქართველოში ცხოვრების დროს დაწერილი.

პოეტმა ბატონიშვილ მირიანის მისართმევედ შეამზადა თავისი რჩეული, რაც მას მიაჩნდა ღირსად, ანუ რისი შეკრებაც მოასწრო, დაძაბუნებულმა, ცალთვალა მოხუცმა. ყოველ შემთხვევაში ეს ხელნაწერი უფრო უნდა იყოს გურამიშვილის „რჩეული“, ვიდრე „სრული“.

რასაკვირველია, პოეტის არქივი მისი პატრონის გარდაცვალების (1792) შემდეგ განადგურდა უპატრონობით, ისევე, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილისა — განჯაში (1845 წ.). ორივე შემთხვევაში ქართულმა პოეზიამ დიდი დანაკლისი განიცადა.

ეტყობა, გურამიშვილს თავის ნაწარმოებთა მხატვრულ გამოცემაზედ უფიქრია. ასე „ქაცვია მწყემსის“ სათაურის ზემოთ გურამიშვილს მიუწერია შენიშვნა: „სამთარი დაიხატოს“ (გვ. 179).

„ქაცვია მწყემსის“ მეორე თავის სათაურის ზემოთაც პოეტს შენიშვნა მიუწერია: „აქ უნდა ზაფხული დაიხატოს“ (გვ. 184). როცა ჩვენ ვლაპარაკობთ „გამოცემაზე“, უსათუოდ „სტამბური“ გამოცემა არ გვაქვს მხედველობაში, თუმცა, შეიძლება, პოეტი ინტუიციითაც დარწმუნებული იყო, რომ ოდესმე შემდეგი თაობანი გამოსცემდნენ მის ლექსთა კრებულს.

1. კრემენჩუკში და ელისავეტგრადში ბეზიკა და მირიანის გარდა, იმ დროს იმყოფებოდნენ სხვა ქართველი სახელმწიფო მოღვაწენიც და ლიტერატორები, როგორც ვარსკვლავან ჭავჭავაძე, ხულოხან თუმანიშვილი, სოლოღაშვილი ქვიციანი, გრიგოლ ხარჭაშვილი, მწერალი ვასილ კოტეტიშვილი. პირველი ქართული თეატრის ორგანიზატორი გაბრიელ შაიორი, სემიონ და ზაზა (მგოსანი) ვაბაშვილები და ცნობილი ქართველი მედიკოსი და მთარგმნელი გაიოსი. ცხადია, ამ წრეს უსათუოდ კავშირი ჰქონდა დავით გურამიშვილთან.

# აკაკი წერეთლის მიწერ-მოწერა ცოდ-შვიდთან

1904 წ.

26 ივნისი

გმაღლობ, ჭვირფასო მეგობარო, წერილი-სათვის, პირდაპირ მკედრებით აღესდგები ხოლ-მე, როცა შენს წერილს ეღებულთ შენთან არა წერო ცნობას მოუღწევია: ჩემი შხრით მე პეტერსის ყველა კაპრიზი შევასრულე; ოთხჯერ შესცვალა მან თავისი წინადადება და ოთხივეზე დავეთანხმე, ბოლოს, მინც მომთხოვა საქმე ვაღამედო, მიიბრა, ინგლისელები უხალისოდ კიდებენ ხელს კავკასიის საქმეებსო. მე აქ არაფერ შეაში ვარო, რაც შეეხება თბილისის საადგილმამულო ბანკის არჩევნებს, მე მისში არაერთი პონაწილეობა არ მიმიღია და ამის შესახებ ორი კვირით აღარ განვაცხადებ პრესაში, რადგან არც ერთ მხარეს არ თანავეგრძნობდა იმიტომ, რომ ოპოზიციის სულელურად იქცეოდა, ხოლო ბანკის გამკეობა-უმსჯავსოდ. განეთმა „კვალში“, სადაც მე ვშეშობ, სასტიკად გაიციხა ერთი და მეორე დასიც. ამან მოთინებინა გამოაყენა ბურჟუაზიული ინტელიგენცია და, საერთოდ, სიმპეტი. და მე შემოიპიტე, როგორც გახეთის წარმომადგენელს, ისინი არაფერს არ ერიდებინა, მაგრამ შენ ხომ იცი, ეს შიადლები ვერაფერს იხამენი და, რამდენიც უნდა აყაყანონ, ბოლოს ობულე-ბული გახდებიან დამეთანხმონ. გამგზავრების დღეს ფეხი ვიღრმე და აგერ უკვე ორი კვირაა ეწევიარ. მარცხენა ფეხი ჯერ სულ არ მოჭმე-დობს... საშინელი ტკვილები მაქვს. მყურნალობას ბევრი ფული სჭირდება. ასე რომ დედამეხს ძლივს გაუფუგავენ 100 მანეთი, შენც მალე გამოვიგზავნი. პეტერბურგში ხოლერაა და დედამეხს დიდი ჯავრი მაქვს. ასეთი მძიმე წელიწადი არსაოფენს არ უცდია ჩემს სიცოცხლე-სი. ჩემი ძიძის შვილი სანდროს ყმა-აღობისათვის 15 წლის კატორღა მიუხაყს. ამასაც მოესწრო დავილაღე, ვეღარ ვწერო.

აკაკი წერეთლი

18 ივლისი

ამ დღეებში დავბრუნდი პორტოშიდან და რედაქციაში დამხვდა ორი წერილი: ერთი ნატალია პეტროვნასაგან, დაბერილი ნესტოების რომ აქვს, და მეორე ჩემი ნატალიასაგან,

დასასრული. იხ. „შინათობა“ № 9.

ანგელოზებით თეინები რომ არის. მაღლობს მოგახსენებთ ერთზედაც და მეორეზედაც. უნდა ვილირო, რომ მაშინაც, როცა უსამართლოდ ბერავ ნესტოებს და იქცევი ნატალია პეტროვნად. ე. ი. სოფია პლატონოვნად. ჩემი სულის სიღრმეში მაინც ჩემს იდეალურ ნატალიას რჩები. ზინებულად შესმის, რომ ნატალია პეტროვნა დაბერილი ნესტოებით ნატურალურა ეი არ არის, არამედ გარემოებათა უნებური ქმნილებაა, რომელაც მუხუბდავად ჩვენი ცლისა და მონღომებისა, დღემდე ვერ დავვიწყებულვით.

მთელი ჩემი სწრაფვა და მიზანი ის არის, რომ სიბერის წლებში მაინც განუახარციელო ჩემი იდეალი: ეიკებურო ჩემს ოჯახში, აღტაცებას ევეძლეოდ ჩემი იდეალური ნატალია (რომელმაც თეითონ არ იცის თავისი ფასი და ნერვების წყალობით ზშირად ისახიბრებს თავს), ვგრძნობდე თავს ლილიის აბლო, ვხარობდე მისი სიხარულით და ა.შ.

ეს მიზანი არ შქონოდა, აქამდე უფას არ ვეცოცხლებდი. ეიმედოვნებ, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც გავიმარჯვებ და ამ გამარჯვებაში თავის შრომის მცირე წვლილი როდი აქვს შეტანილი იხსენებს, რომელიც ჩემი ერთადერთი კაცია და ნათობს, რომ შენთან უხერხულ მდგომარეობაში ჩიოვნა თავი. ახლა პირადად მე პრაქტიკულად არაფერი შემძლია განცხობრიცელო უიმიოდ, ივია ჩემი ვეგმების საუფეთესო შემსრულებელი, თუმცა ეს ჭვირად მიცდება მაგრამ რას იხამ, უმისოდ ყველაფერი დაგვა-კარგება. მტრები მზად არიან ისარგებლონ ჩემი უძლურებით, მაგრამ იგი გასაქანს არ მოსცემს. ეშინიათ ცოდვით მისი. ვფიქრობ, რომ წელს ყველაფერს გამოვასწორებ. ჩემი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. იმედი მაქვს, რომ შემოღვომამზე მომინახულებთ. მალაოვებუნმაგანეცოდ რა თავში ვიხლი რაც მაქვს ისიც შეუოფა: ომერთმა დალოცოს და გიწინამძღვროს, ჩემო მეგობარო! გკოცნი. მალე შეხვედრამდე

აკაკი.

19 ივლისი

გმაღლობ, საყვარელო მეგობარო, წერილი-სათვის... ბოლოს, როგორც იქნა, ვეღარსე ერთზელ მაინც მიმელო გონიერული წერილი და

არა ექსცენტრული, რომელსაც ჩვეულებრივ ეღებულობდი და რომლისგან მხოლოდ თავებრ მესმოდა ყოველდ უძინოდ და უსარგებლოდ. მე ძალიან მიხარია შენ გამო, რომ ვახდი უფრო მშვიდი. უფრო გონიერი, თორემ ბოლოდრომდე შენს ცხოვრებას, ყოველგვარი ვადასკლების გარეშე, წარმართავდა ორი უკიდურესობა: შენი გულკეთილობა და ავგულობა ყოველთვის უკიდურესს საზღვარს აღწევდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კეთილი იყავი სხვების მიმართ და ავი—საკუთარი თავისა და ქმრის მიმართ.

მაგრამ თავი დავენებოთ ყოველზე ამას: შენ ღიადი მართალი ხარ, გონიერულად მართალი კეთილ ვაგიშვილოს დედის უფლება აქვს მოათხოვოს თავისადმი პატივისცემა.

თავისი წლოვანებისათვის იგი უფრო მეტია, ვიდრე წარმატებული, მთავარი კი ის არის, რომ მას მომადლებული აქვს ყველა თვალთა, რომ დღიდან დღე სრულყოფს თავის თავი, რაც ყოველი გონიერი არსებაც მიხანს შეადგენს. მე მომწონს არა როგორც მამას, არამედ როგორც მკაცრს მსჯავრმდებელს ეს კი ბევრი ჩამ არის, ვერხვად მისი საქმეების გამო, რაც სამწუხაროდ, დიდ ღროს მართმევს და არ მძლევს საშუალებას მასთან ერთად ვიყო, შენ ძალიან გულუბნე ხარ კაცნაში: მეც ვკოცნი, როგორც კარგი ბიჭის დედას და როგორც მეგობარს, მაგრამ როგორც ცოლს,—ვერგეგობოთ რა მოვახსენო,—მით უმეტეს, რომ სიბერემ მომღერია და ახალგაზრდობას ჩემსას ვგრძნობ მხოლოდ იმ ახალგაზრდა ქალშვილებთან, რომლებიც თავიანთი დაურთულბელი აღერით მიხილავენ და არა იმასთან, ვისაც ნესტოები არბული ცხუნოვით ებერება და შხამიან სიტყვებს მომბეზოვით ისერის პირიდან.

ვიმედოვნებ, რომ შენ უკვე აღარ გუთონებ ტურბა ასელოთ უკანასკნელ კატეგორიას.

გაკონი აკაკი  
 & აფვისტო

**საუყარელო ზემო მეგობარო ნატაშა!**

ნუთუ დიქრობ, რომ მე შენზე ნაკლებ მწუხებს ლილიას წარმეტებლობა? ვწლებზე ფებს ვიდგამ, მაგრამ რა ვქნა, თუ მალე ვერაფერი კეთდება. ლილიას წერტილებ და დეკუსაზე უკვე ვუბახუბე და ახლაც ვიშვორებ, რომ საქმე იმ მამულის შესახებ, რომლისგან დიდ თანხას ველოდები, ვიდრე სასამართლო არ შედგება, კიანურდება დავითის და მისი ცოლის წყალობით. მეორე მამულიდან, ვდიქრობ, ავილო 10-15 ათასი მანეთი, მაგრამ აქაც საქმეს აფერბებს წყველი რ... ამაზე არაფერი მომიწერია, რომ ცუდ გუნებაზე არ დამყენებინე, და ტყუილად ვგახსენებ შენმა დამ ეს სამაგვლო საქმე, სულ 5 ათასი ავილებ, რომელსაც

ლილიას გადაეცემ, მაგრამ ყველაფერი თვეში არაფრის გზით არ მოესწრება გემინ ბანკიდან ისევე შეგვატყობინეს, რომ ამ დღეებში გაიბზენება წარდგენა პეტრეწერაში რა... იხამ, უნდა მოვიცადოთ, სულწარად არ დავეცეთ, პატარა ენერჯია კიდევ და ყველაფერი კარგად იქნება. ბოლოს და ბოლოს დავითთან დავა ხომ უნდა ვთავადვს? მისმა ცოლმა ჩინებულად იცის, რომ საქმეს წააგებს, მაგრამ განზრახ აქიანტრებს, რომ ხელი შეუშალოს მამულის დაგროვების საქმეს. რას იზამ! უნდა მოვიცადოთ და როცა დამთავრდება, ფული ხომ წარმოდგენილია ჩემთვის კაპიკიც არ მინდა. ტყუილად გაქვს ეჭვი საწყალ იოსებზე, უმისოდ მე დავიღებებოდი. ის ზემზე ნაკლებ არ ხრუნავს და წყალობს მხოლოდ იმისათვის, რომ ლილიას დავემართოს...

კურამაგვიც გეგმა მე არა მაქვს, მარგანეცი თვითონ მე მინდა დავამუშავო და, თუ სადმე 10 ათასი მანეთი ვიშოვე, მაშინ ჩვენ გადავრჩით.

ახლა მარგანეცის ფასმა ისე აიწია, რომ მხოლოდ უქნარა კაცი არ მდიდრდება. ბაქოელი სომხები კამპანიას გვთავაზობენ, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია. რაღაც გროშებისათვის რომ მიეცე ასეთი სარგებანი საქმე, ცოდავს ჩავიდენ იქნებ, როგორმე უმითოდ ვგაერთოთ თავი. ღვთის იმედი იქონიეთ, სასოს ნუ წარაკვთავთ. რამდენიმე თვე გაძელოთ და **Мы паны.**

გაკონით აკაკი

**ს სექტემბერი**

**ზემო ძვირფასო და საუყარელო!**

რამდენიმე დღე დავეჯი ბორჯომში, სადაც ძალიან კარგად ვაეხდი და არავითარი ტკივილი არ მიგრძენია. აქ, — თბილისში ჩემოსკლისთანავე, ევკარულობდი შენი დისაგან მიმელი ჩემი კუთვნილი დაპირებელი თანხა, რომ შენთვის ვამომგზავნა, მაგრამ დახე, რას წაიწყდი! შინა მოსამსახურენი აბუნტებიან; გროში-კაპიკი არ გაანჩია, არც კრედიტი... კიდევ კარგი, რომ მოუქსნარა. აი, სად ვამონდა ხელი უფლისა. ელიზბარი, რომელმაც ჩვენ ვავგვარცვა, ჭედმადლურად დამყურებდა, და ციხიოდა ჩემს პატიოსან სიღირებეს, არა თუ დამხებარა, პირიქით, მოახებრა ვიდევ წავლავა ჩემთვის არა იმიტომ, რომ სჭირდებოდა, არამედ იმიტომ, რომ ვავერამებინე, თუმცა არავითარი საამისო საბაზი არ მიმიცია. ბედნიერებით მოვრალი შენი დაც ვერ არჩევდა. სად იყო სიმართლე და სად სიმარუდე: ურჯებდა ათასებს ელიც-ვილიც მარმანოზ-ვირმაზონებს, ახლა კი სად არიან ყველა ეს თარხანოვები, ვგაჯიონები და კომბი? ყველაზე ნაკლებ მე უნდა ვიყო კეთილგანწყობილი ელიზბარის აბლომდებისადმი, მაგრამ რას იხამ, შენი

და, მეც ხათრინი კაცი ვარ და იმას, რაც შენთვის და ლილიასათვის ძვირფასია, არ შემიძლია, გულგრილად გვერდი ავუხვიო. ბაზილევსკებზედაც სერიოზულად იმედს ვერ დავამყარებდი, ბოლოს და ბოლოს ოდესმე ხომ უნდა მომხდარიყო ის, რასაც ახლა ასე ვეშინით, მაგრამ ვნანობ, რომ ასე შალე მოხდა, სწორედ მაშინ, როცა მე ასე ბევრი საქმე ღა ამდენი ხარჯი მაქვს. ელსაბედს მამული მოვეუბე საბოლოოდ, და ეს უბრალო საქმე როდია, ახლა საპირობ იქნება ტყის ტაქსაცია, შეფასება და დაფარაება. ეს დიდ ხარჯებს და რაღანემ თვეს საჭიროებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა. ღამაშობის სახელზე გამოგზავნილი მეორე შენი წერილი ჭარბ არ მიმიღია. გმადლობ ირნი შენი გულუადაი წერილისათვის, მეორე და მესამე წერილისათვის დიდი მადლობა..... დამოკონე ლილია, და გადაეცი მას ეს ბროშურა.

23 აგვისტო მახსოვდა, გოცნე დაუსრულებლად და შემთხვევით დეპეშა ვერ გამოგზავნე, რადგან არ ვიცოდი, სად იმყოფებოდა.

მოაწერე უფრო ხშირად „კვალის“ რედაქციის სახელზე.

გოცნე ბაქია ტუჩებში, თუმცა შენ ეს არ ვიყვარს.

სამუდამოდ შენი აკაკი

19 სექტემბერი

გმადლობ, ჩემო ძვირფასო, ჩემი ხსოვნისა და მიწვევისათვის, მაგრამ არ მგონია შევძლო ელსაგებლო ამით უკვე ის აღარა ვარ, რაც შენ დამტოვე გამგზავრებისას. ვარ ფიზიურად დაძაღურებული, ნერვებამილილი, ისე უჩუბისყოფი და უუნერგო, რამ ჩემი თავი მეზიზღება. ამ უკანასკნელმა წელიწადმა ხომ სულ ბოლო მიმიღო დღის მეოხებით.

შენ თვითონ იცი, რა ძნელია, მე კაცმა გამამტყუნოს ხასიათის შეუწყობლობაში, ვისთანაც არ უნდა იყოს... შეგვეუბნავარ რევინებს, საკუთარ სახლში შემომიშვია გარეწრები და არამზალები, მაგრამ ამ ყოვლთვის მხეცებს რომ შევეწყო—ძალა არ მყოფნის. უამითოდ დაე ჩვენი სახლი მძიმე ასატანი ვახდა, ახლა კი ნამდვილი ყოვლბეთია. მისხ ბორბოტი ენისაგან უველანი გარბიან. ყველაფერი უაუშმა დატრიალდა. ვეფიციბი, ჩემთვის ამ სახერის წლებში უფრო იოლა ასატანი იქნებოდა საპრობილემი ვეჭდარიყავი, საკატორლო სამუშაოებზე ვყოფილიყავი, ვიდრე ერთი დღე დვარჩენილიყავი მასთან მარტოდ. ის რატომ არის, რომ ასეთი მოხუცი და ავადმყოფი გვარბივარ სახლდან, და როგორც მურს, ისე ვეკებ სტეპთან თავშესაფარს—გუშინ ჩამოვედი საზხერეში ავადმყოფი, ძარღვებამილილი, რომ აქ ჰამეჩვენებინა, მაგრამ ზეგ ასე უნდა ვაგიტყე

აქედან, მაგრამ არ ვიცო, სად და ვისთან უკველაფერის მოწერა შეუძლებელია. სჯობს ვაჩნემდე.

20 სექტემბერი

ერთი სიტყვით, ბოლო მდგომარეობა უკანასკნელი ენერგია, შინ არაფერი გამაჩნია გარეთ რომ რამე ვაფიკეთო, არც ეს შემოძლია და, ამიტომ არა თუ შენიანებს ვერ ვეხმარებო, საკუთარი თავი რომ ვიჩინო, არაფერი მაქვს. მაგრამ იტყვიან ზოლმე Бог не выдст. СВНННН не выдст! ეგებ, როგორმე გამოვეყოფე და ღმერთი შეგვეწიოს, რომ შენს მკერდზე ჯაერიათი გული ტირილით მოვიოხო. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გამომანცტლეს უკანასკნელი გროშები, რომ აქედან წასულიყვენ, მაგრამ სულ მტყუებდნენ. სანამ ისინი არ წივლენ, მე სახხერეში არ დავბარუნდები, თუნდაც დავრდომილითა თავშესაფარში მომხდეს ყოფნა.

ღმერთო ჩემო, სად და როგორ პოულობს ლაულია ასეთ ადამიანებს? დე, იყოს ღმერთი შენი და შენი შვილის მუარველი.

სულთი და გულით გოცინი შენი აკაკი

17 ოქტომბერი

ჩემო ძვირფასებო!

არ არის იმაზე უსასტიკესი სასჯელი ღვთისა, როგორც ხელმოკლეობა სახერის წლებში. დღემდე ისევე სასტუმრო „ვეტცალს“ ვზივარ, როგორც ტუსალი დავისმენ უსიამოვნო სიტყვებს, ვალები კი იზრდება და იზრდება. იმ დღიდან, რაც თქვენ წახვედით, კოტესაგან არავითარი ცნობა არ მიმიღია, გარდა ერთი წერილისა და ისიც ასეთი ბრძანებით: „წადი იქ! გაყვიდე ესა და ეს და სხვ“. საქმეზე კონტრსაც არა ძრავს, ასე რომ, მე მოუსვენრობა მიწყრობს და ამ ღამით უკვე ვაპირებ სახხერეში წასვლას, რომ ვაფიგო, რა ხდება იქ და რას აეთებს კოტე. იქ რამდენიმე დღეს დავარჩები, დავბრუნდები თუ არა, გავსწვე ბაქოში. იქ აქამდე არ ჩავსულვარ, რადგან ელამილიასაგან არათავიბიანი წერილი მივიღე. მწერს, ვაპირებ სახლის სრულ ვადაკეთებას,—დროებით ვქირაობ 4 ოთახს, სადაც მეც ძლავს ვებევი. და ამიტომ ვერ შევიღებო. ამრიგად, უნდა ჩამოვებტე სასტუმროში, სადაც ყველაფერი ძვირია... ახლა მე თითქმის სულ გამოკვეთილი და შეუძლებელი საქმეს... დანარჩენი ღმერთზე დამოკიდებული. ყველა თქვენი ნიუთები, ჩემი ჩემოდნების გარდა, საფაროვასთან ინახება. აქ უკვე წამთარია, ცოცა. წამთარის ტრასაკმელი კი თქვენ ჩემოდნებში ჩავილაგებთან და ჩავაქტივით. არ ვიცო, რა ეჭმა, საერთოდ საქმეები ვერ მიდის კარგად. შენმა წასვლამ ზელო შეუშალა ჩემს გეგმებს. ეპ, რა უნდა ეჭმა?

გოცინით აკაკი

ჩემი ძვირფასებო!

თქვენმა წერილმა ძალიან შეურაცყო, ისე-  
დაც მეტად შეურაცყოფილი. რაღაცაში მდებო  
ზარალს აღამიანს, რომელიც საშინელ მდგომა-  
რებოში ვიყოფები. არ მინდოდა ჩემი დარღუ-  
ბით გამეშწარებინეთ, თქვენ კი ეს ჩემის მხრით  
წაერთებოდ შეგანიათ. ახლა კი ისინეთ ხმა  
სიპართლასა: იანვრამდე გროში კაპიკი არ შექ-  
ნება, და რამდენიც არ უნდა ვეცადო, ვერა-  
ფერს ვიშოვი. ვიყავი საჩხერეში, მაგრამ არც  
იქ გამოვიდა არაფერი; კოტე შეუბნება „საქმე-  
ები იირ-დაირიო“ და ვერაფერი ავიღე გლე-  
ხებისაგანთ: ხელთუფოვისთვის დღემდე არა-  
ფერი გადაუციით და ისიც იცდის, ერთი სიტ-  
ყვით, ჩემი ასეა საჩხერეში დაგვიარგვიანდა  
იმით, რომ ძლოვს დაგბრუნდი უკან შესამე  
კლასის ვაგონით...

შეკითხები: რატომ დარჩი „ვერცელშიო“?  
იმიტომ, რომ შეტი სახსარი არ მქონდა, და  
მხოლოდ გეშინ ვადავდი „პალე-როიალიში“,  
სადაც ჩვენ წინათ ვეხოვრობდით, სასტუმრო  
„ვერცელთან“ უსამოვნება შეგემთხვა. მინდა  
ბაქოში ჩავიდე, მაგრამ საშუალება არა მაქვს.  
პირადად მინდა ვნახო ელიაშვილი და გავიგო,  
რა დაემართა. სხვებთანაც ვეცდი ბედს. სერ-  
თოდ, სიმედო იანვრამდე არაფერია... მე  
ცდის არ დაეკლებ, თუმც ვიყინები ამ საზაფ-  
ხლო კოსტუმში, რადგან საზამთრო ტანსაცმე-  
ლი თქვენ სადაც ჩავიყვრათ. სხვათა შორის,  
გაეცობებ, რომ შენი წერილი და ღებუში არ მი-  
მიღია, რადგან ტასის ისინი საჩხერეში ვაგუ-  
ზავნია, მაშინ, როცა მე უკვე წამოსული ვი-  
ყავი. ველი მათ მიღებას.

არ შეგიძლია იშოვო კომპანია „გალუბერის  
პარლზე“, სანამ მინდა ხარ?—ეს წმინდა საქ-  
მეა. მე კიბიდან გადმოვარდი და ამიტომ ვერაფერი  
ავად. ლიტერატურულ საღამოს დავესწარი იმი-  
სათვის, რომ 25 მანეთი მიმიღო.

გეოცნით აკაკი

2 ნოემბერი

თქვენი წერილის მოლოდინში ტყუილად  
დავყავი აქ—ბაქოში რამდენიმე დღე და ხელ  
ვავერცელებუ გზას—თბილისში შევღვივარ. ზო-  
გი რამ ცნობა შევეკრიბე ბაქოში—თეატრი იქ  
ძალევა მილიან შემოსავლს დაახლოებით 2  
ათასს მანეთს, არა უმეტესს. თებრა მხოლოდ  
ერთ წარმოდგენას თუ გაუტლებს. კორგანოვას,  
როგორც მე შეგამჩნიე, ვასაოცარი წარმატება  
ქვნიდა, თუმცა სომხება იმით ეყოფოდინ არ  
აბიან იმიტომ, რომ მან კარბელებთან იმღერა  
და არ დათანხმდა ბაქოს წვეოდა. მის ჟინზე აქ  
უნდათ წამოწიონ პაპიანი.

ზურაბოვს სურს შემოატაროს ეს ქალი

რუსეთში, მაგრამ ვტირობ ამოღ... რადგან  
далеко нулику до Петрова дна. ჩემი  
საქმის გამო მე აქაც მაქვს შეხვედრა ზო-  
გიერთებთან, წინ დიდი იმედებზე და...  
მოწყალებ.

თბილისიდან შევისრულებ, ნატაშა, შენს  
სურვილს. ჟერჯერობით კი ნახემდის. გისურ-  
ვებთ ჟანმრთელობას.

თქვენი მოყვარული აკაკი

3 ნოემბერი

ძვირფასო შეგობარო!

შენმა წერილებმა იმ ზომამდე მიმიყვანა,  
რომ ყოველთვის, როცა შენს წერილს მივლებ  
ხოლმე, კრუნხება მეწყება. ამას წინათ შენი  
წყალობით ცინდამ დავიღებე და ახლაც თითქ-  
მის იგივე მომივიდა. ისინებ ჩემს კაბუერ  
შედღომებს, უნებურ შეცდომებს, ხოლო შენი  
საყუართი, წინასწარ განზრახულიც კი, არაფ-  
რად შეგანია, და ლამის სული ამომხადო საყ-  
ველურებოთ... „ნუ გეწყინება და, შენ ასეთაც  
ხარ და ისეთიც—შეუბნები ყოველ მწერარში  
და არ გინდა ვაიგო, რომ ეს უსამართლო და მწა-  
რე აბებია. ბუნებით შენ კეთილი ხარ, მაგრამ  
არსებობად ზადიხარ ზოროტეზას და ყველაფე-  
რი ეს ხდება იმიტომ, რომ შენი გული ჩემკენ  
არ მოიწევს, ხოლო უგულოდ, მარტო თვით,  
ქალი, სურთოდ, ყოველთვის ეგონსტია ეს, რა  
ბებრი ვილაპარაკო, ვგრძნობ, როგორც საჭრ-  
თოდ ყველასათვის, ასევე თქვენთვის მე რო-  
გორც აღამიანი და შეგობარი, შედგეტი ვარ...  
შე ეს ვიცი, და იმიტომ არ ღირს სიტყვა გა-  
ვარბელო, დავეხმარებით ყოველთვის იმდენად,  
რამდენადაც ძალ-ღონე შევოვა, ამისათვის  
არ მკობრდება თქვენი საყვედურები.

ჩემი მისამართი: „სადგური ყვარია, ა/კ  
რკინიგზა, „კრებულის“ რედაქცია. წერე გო-  
კვეციო.

თქვენი მოყვარული აკაკი

7 ნოემბერი

ძვირფასო ჩემო ნატაშა!

ზამთარია, არაჩვეულებრივი ზამთარი ჩვენში!  
გზები ყველგან გაფეხვებოდა. დიდხანს გავეჩ-  
ხირე ქუთაისში და დღეს დაგბრუნდი მხო-  
ლოდ... გელეხებს წაუყუენე 20 ათასი მანეთის  
სარჩელი, რადგან ნებაყოფლობით არ ისურ-  
ვეს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ვფიქ-  
რობ, ჩემს დედამე იცეკვებენ.

აილუოს 3 ათასი მანეთი გადაეუბადე. და-  
ნარჩენის მიღებას რამდენიმე თვეს დაუცდიან.  
ვეგმა მამულისა, რომელიც უნდა დავაგირავო,

მზად არის, ახლა ისღა მზრება, რომ ავიყვანო ტაქსატორი და მოვახდინო ტყის ტაქსაცია. შემდეგ შეაფასებენ და დავაგირაებთ. ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ საშინლად ბევრი ფული დამხარჯა და ამიტომ 15-თვის ვეღარ ვამოთავიზავინებ, რაც გერგებთ. თქვენგან ცნობები არ მომდის, მაგრამ რაკი ფოსტის რუსეთიდან ვერ ღებულობენ გზების უვარგისობის გამო, მე ცოტა არ იყოს თავს ვიმშვიდებ.

მაგრამ როგორ მიდის თქვენი საქმეები?...  
გეოცნით აჯავი

12 ნოემბერი

ჩემო ძვირფასებო!

საჩხერადან უნაწევ მივიღე შენი წერილი და დავეშა. მოითხოვ პასუხს, კოტე შეუბნება, გერაფერი ვერ ავიღე ვლუჩებისაგანო, ბანკშიც არაფერი შეუტანია. თურმე ჩემი იმედი პქონია, მე კი ისეთი მდგომარეობა მაქვს, როგორც არასოდეს არ მქონია, გეფიცებით, მხოლოდ კალბასზე და პერზე გადავდივარ. ელი-აშვილი პეტერბურგს წავიდა და პასუხი არ გავუცხა. თქვენი მდგომარეობა სასიოწარკვეთილებაში მაგდებს, იანჭამდე თქვენი შეველა არ შემძლია. ერთი სიტყვით, მე ძალიან მოგეშვი და არ ვიცი, რა ვქნა.

დღეაშენი რომ არაფერს მწერს, სულ მგონია, რომ ავად არის და ეს კიდევ უფრო მტანჯავს. შენ ერთი იყავი ჩემი იმედი, მაგრამ ვხეიდაე, რომ ესეც ამოა იშვია. იქნებ, ღმერთი შეგვეწყოს და იანჭამდე როგორმე გაეძლიოთ. მაგრამ არც მაშინ გველის რაიმე განსაუფორებელი გარდა უმნიშვნელო პენსიისა. რაც შეეხება ტყეს, არც ელისანებელი და არც ანეტა არ თანხმდება დესეტრინა ორას მანეთზე ნაკლებ ვაყოფონ. სულ 5—6 ათისი დესეტრინა; აქედან მხოლოდ შეავადი იქნება მუხა, მაგრამ ისეთი მუხა, როგორც არ მოიძებნება მოელ კავკასიაში.

გეოცნით აჯავი

დიდი ხნის—რამდენიმე წლის წინათ, როცა იმსტიბუტში ვილაც ქალიშვილი უნდა მოეწყობათ, ლიოლია, სხეებითან ერთად, თავდებად დადგომია გოგოს მშობლებს სწავლის ქირის და შესანახი ხაჭების გადახდის საქმეში. ქალიშვილი სწავლობდა, მშობლებს კი გადასახდელი არ შეჰქონდათ, სხვა თვეებში პირებში ფულს გადახდას თავი აარიდეს და ყველაფერა კისრზე დააწვა მარტო ლიოლიას, და ახლანახს, ამდენი წლების ვასკლის შემდეგ, აქაურმა აღმინისტრაციამ მილიო მოწოდებულა—ყველაფერი მთლიანად გადაახდენათ ალექსი წერეთელს მისი ქონებიდანო. ეს მეხი თავზე დამე-

ცა მოულოდნელად ასე, როგორც ყველა დანარჩენი სურბარბიცი, როგორც მავალითლ, პალტარაიცი, სტიკევიჩის და სხვათა უმჯობესი. მე ჩვეულებისამებრ, მღუმარედ კატეგორიულად მბიძე ვაფრიც, და არა თუ ვინმეს ვუსაყვედურე, არც კი მიფიქრია თქვენთვის მაინც შემეტყუბინებინა, და გაოცებული ვარ, ვისგან და როგორ შეიძებნათ? მაგრამ ფაქტობრივტია, ხოლოთუ ყველაფერი ეს მოჭირილია, მაშინ ლიოლიამ, თუ კი თვითონ არ სცალია, დაავალოს ვინმე თავის კაცს მაკნობოს, რაშინა საქმე, და მეც შევიტან განცხადებას ყალბი ქმედებით შესხანგ. მაგრამ თუ კი ასეთი შემთხვევა მართლა იყო და იგი ამას გაიხსენებს, მაშინ, რად დაგჭირდათ თქვენ ჩემი შეურაცყოფა და აბუნად აღდება? შეიძლება, აღმაინი გეჟღერდეს, მაგრამ უსამართლოდ შირის მოდებაც არაა კარგი საქციელი რაც შეეხება თქვენს განაპირს, მე შესწის იგი, მაგრამ როგორ დავგეშმართო, რაკი გარდა პირადი შრომისა, არაფერი გამაზნია. პირადი შრომა კი მოითხოვს წანს და ენერჯიას, რომელიც უკვე შელახული მაქვს თქვენი წერილებს წყალობით! რაც შეეხება ამაჲს, არც აქა ხართ მართლი! მე რომ მას არ ვებმარებოდე, მასზე კი ხნის მგლოვიარე ენებოდით და ბავშვებიც დაიღუპებოდნენ, თქვენდა სამარცხებოდ! მაგრამ მე ვჯახირობ, წალებზე ფებს ვიდგამ, რომ ასეთი რამ არ მოხდეს, და ამას ვაყებებ მხოლოდ და მხოლოდ თქვენა გული-საოფრს. თორემ რა ჩემი სახარუნავი და საღარდებელია ბაზილევსკია და ერისთავების ნაშინი, ღმერთმა ხელი მოვიმართოთ! დაწერილვით არაფერს გწერთ. თქვენ არ გინდათ გამიგოთ აღმაინურად, თქვენთვის სულ ერთია ყველაფერი.

ბანში კიდევ დამჭირდება ვახირო...

აქ გამიჩნდა გ. რომელიც მარგანეცში ვთავაზობს 50 ათას მან. მე უარზე ვარ, მაგრამ რას იტყვით თქვენ? მიწის ნაყოფობიანი ნაკვეთი მივიღე და ახლა საჭიროა შედგეს კომპანია და დაიღვას ქაბურღილები, მაგრამ მერე რა იქნება, არ ვიცი. სხვები მდიდრდებიან, მლორენერები ხდებიან, მაგრამ მე ამის იმედი არა მაქვს: ბაზილევსკების ცოდვებმა მოშხაშა ჩემი ბედნაებრება.

აჯავი

ჩემო კარგო მეგობარო ლიოლია!

ეს არის ახლა მივიღე დღეაშენის პირველა წერილი ოდესიდან. ვერ წარმოიდგენ, რა საშინელ გუნებაზე დავდქი. ლიოლია, ნუთუ არ გრცხვინია უმნიშვნელო ამბების გამო ასე ვცეცე სულთ და ჩაკლა ჩემი ენერჯიაც. მიხიბლ-მიხიბედ გაორემო, როგორ ცხოვრობს მთელი ქვეყანა? როგორ გინდა იყო გამოსაქლისი. შეეცადე, რომ კრედიტი არ დაგეკაროს ბანში,

ხოლო თუ დავარგავ, რა გვეწოება, ვის არ დამართუნია ეს? ვის არ ჰქონია ელი? სამარცხვინოა, თუ ვალს ვერასოდეს გადაიხდი, მაგრამ რაჟი შენ ბოლოს და ბოლოს მისი გადახდის შესაძლებლობა გაქვს, რატომ უნდა მთელი სასაოწარკვეთილებას? შენ რომ ყველას ვალს პეტროსნად გადაუხდი, ამის თავლები შე ვარ, თავს ვღებ უველდერით, რაც გამინია. თუ შე ახლა ანუ ვსრუნივ და ვედილობ, არა ჩემი საკუთარი თავისათვის, არამედ თქვენი გულისათვის. თუ ახლა გაცივდი ყველაფერს, რაც სახხერში მოგვინია, რასაკვირველი, არაფერ არაფერს გავყვემს, და შენც ვერასოდეს ვერ გადაიხდი შენს ვალებს, მაგრამ რაჟი თვითონ შე ვედილობ, მალე ღვთის შეწევით, შევძლებ შენს დახმარებას ისე, რომ არაფერს დავკარგავ, მაგრამ თქვენ ვინდით ყველაფერი ერთ წამში გავყოფდეს, ეს კი შეუძლებელია... წერილობით ათვისდა ყველაფერი შეუძლებელია, რადგან არ ვიდათ ვაფთო და შეისმინოთ, ჯობს თვითონ ჩამოხვიდე, როგორც კი აქ საქმეს მოკრებიტროფიშოვი რატომ ვერ ენახე, ამის შესახებ ერთხელ ხომ მოგწერეთ, და რა შედეგია აქ უკარდებლობა? თუ ის მანდ დავგზავრება, მაშინ დაკეთებინე, რაც შენ ვინდა, ჩემთვის კი არა-ვითარი ანგარიში არა ახეთი პატარა კაბრატლოთ დავიწყო კამპანია.

შე მინდოდა სხვებისაგან ავანსი მიმეღო, რომ შენ დავხმარებოდი, სამი ათასი მანეთით შე თვითონ შემძლია საქმე დავიწყო სხვების დაუხმარებლად ისე, რომ საქმე არ გაჯანჯლდეს. იოსები წავიდა თბილისს, აქ მარტო შე ვარ, საშინლად მოუცელა, ვუშინ ისეე დაიდეს ყიდლა ყველაფერს შენი ვალების გამო და კიდევ აა რა მიზნით: „1891 წელს ნადგორის სოფეტნიკის ქუროფმაჰსენა ბუდამ, მთორე ქმერთი ლუგანსკოიმ, პეტერბურგის ინსტიტუტში მანსიონერად მოაწყო თავისი ქალიშვილი ლიდა ბუდა, იქორა რა ვალდებულება სახანსიონო ქორა ეხადა წესიერად და თავის ვალდებულებების ვუსრუნივლასყოფად წარმოადგინა ქუთაისის გუბერნიის შორაბანის მარხის, დაბა სახხერის მკვიდრის—მიწათმფლობელს თავად ალექსი აკაკის ქე წერეთლის თავლებობა. ვინაიდან ბუდას ღღემლე არაფერი არ გადაუხდია, ვადამყვეტრი იქნა გადახდეს თავლებს“, — იი რამია საქმე, ვახსენე და თუ ეს სიმართლეა, რას იზამ, უნდა ვადაიხალო, მანკლად ჯერ არაფერს იწღვიან, დედაშენს კი ჰგონია, რომ შე არ ვედილობ, ან ვატყუებ. ამის მერე სიცოცხლე არ ღარს, უამისოდე ბრე მესსმის, ამას ზედ ერთვის კიდევ ვამბად და შეურაცხყოფა.

მისწერე ყველაფერი გულახდლად. შე ხომ შენი მტერი არა ვარ? რამია და როგორ მიდის საქმე? ერთად მოვითაბაბოთო. ღმერთს ნუ ვანარსხებ, ისე უნდობლად ნუ უყურებ იმ პირებს, ვისაც შენთვის გარდა სიყეთისა, სხვა არაფერი სურთ.

მისწერე მალე, ღვთის გულისათვის, მორეულლობას ნუ მოიმიზნებ.

გეორგიის გუბერნიის მთავრობის

**ქვირფასი ჩემო ლილიამ!**

ბალიან მინდა შენი ნახე, მინდა ბევრ რამეზე გულწრფელად ველაპარაკო. ახლა მხად ვარ გამოსამგზავრებლად, მაგრამ ჯერ ჯერობით ტანსაცმელი არ არის მხად, ხოლო ჩამოტოხილი არ მინდა გეწვიოთ.

თქვენ ვერ წარმოადგენთ, როგორ ვიტანებთ უთქვენოდ, მგონია, ტუელან ვიშლები. დღით და ღამით სულ ნატამა ველანდებ. უქმეებზე უსაფთოდ თქვეთთან ვიქნები, თუ ცოცხალი არა, მეღდაბი მიინე. მიაკითხე რეინსგვის სადგურის უფროსი და გამართოვი ამნათი და ჩემი პორტრეტე: ვიგზავნით ზედნადების ღებლიკატს გადაეცი ამატას, რომ ქალაღლები უკვე გამოვართვი გუზავის და უქმეებისათვის თან წამოვადებ.

გეორგიის ყველას თქვენი მოყვარული აკაკო

**ქვინა ღიუბოვ პეტროვნა!**

ნება მიბოძეთ ვიყო გულახდილი, რომ თქვენს მგობარულ ნათესარეუ ბარათზე ვიპარუხით მარდაბარ, სმთლოოდ, ერთხელ და სამეუღამოდ, დღი ხანია მივედი იმ დასვენამდე, რომ ბაზილეგსები ყველანი შექმნილი არიან ავი სულისაგან, იმ მიზნით, რომ სტანჭონ ადამიანები და გააუბედურონ თავისი ახლობლები. მათი თავდაპეტრული, ეგოისტური ბუნება მოიხოხვის, რომ განუწყვეტლად მოიქონ ცხოვრების ყოველგვარი სიამოვნება და სარგებლობა მოტუანონ მხოლოდ თავის მზგავს ეგოისტებს ღირსეულთა საზიანოდ. მათ შორის მხოლოდ ერთი ნატამაა გამონაკლისი, ნატამა სრულიად არა ეგოისტური არსებია, რომელიც მხადაა თვითგანწარვისათვისაც კი, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისი ავადმყოფური, უცნაური ხასიათის გამო, სამწუხაროდ სულ მუდამ იტანჯება და უნებურად სხვენსაც სტანჯავს ისე, რომ ამას მისთვის პირადად არავითარი სარგებლობა არ მოატყს. ლილიამ, ჩემდა საუბედუროდ, ყოველგვ ეს დედისაგან მიიღო მემკვიდრეობით.

თავის ნიჭიერებით, მომხადებით, შრომის-მოყვარეობით და ყოველგვ სიყეთით მას თითქმის უფლება აქვს უყეთესი მღგობარეობა ჰქონდეს ცხოვრებაში, მაგრამ პირადად უხასიათობას და მემკვიდრეობით მიღებული „ბაზილეგინისა“ „წინ ნუ აღუდგები ზემს ზენს და ხასიათს“) მტრული ჰყავს ამ დამყველო ბუ-

ტაფორულ ცხოვრებაზე და ყოველმხრივ ხელს უშლის მას. აბა, სად არის ის იღბლანი კაცი, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ და მხოლოდ ვარდ-ვარდობებს კრეფდეს? ვის არა აქვს ვალები? მაგრამ არაფერ თავს არ იკლავს და არ მოაქვს არც თავისთავის და არც სხვებისათვის უსარგებლო მსხვერპლი. როცა მონადირეები შემოსივნიან ქანჭობაში მოხუცებთან ზოლზე, ცემლობებს როგორც დააღწიონ თავი იქაურობას და არ ისწრაფვიან, რომ უფრო ღრმად ჩაეფლონ.

განა ებატება ლიოლას მთელი მისი ბირა-დი შეშტობის ვითარებაში არ ისურვოს განსაძირიდან თავის დაღწევა ან ვერ გამოიხაროს სხისრება? არ შეიძლება ცხოვრებას უფროს სუბატრალური თვალსაზრისით! რატომ უგულუბელუფებს აბი ზენს მზარეს? განა მას ყველა მისი ღირსების გამო აქ ნაკლები პატივისცემით მოველიდნენ? და ყოველივეს აქ უფრო აღვიღად არ მიღწევდა? თქვენ თეთონი მოგვხსენებათ, თუ რა კარგი, შესაძლოა გადაჭარბებული „რენომეტი“ სარგებლობს იგი ჩვენში, თუმცე პირადად ცოტა თუ ვინმე იცნობს მას, სარგებლობს იმბატომ, რომ „ავჯის შვილათ“. განა არ შეეძლო აქ მოენახა ღრსეული პარტიკა რამდენადღაც ვიცო, თეთი ტ-კი იყო მოწადინებული ებაღა იგი თავის სიძულე? რად აუოუნებს და უტდის სიბერეს? თუ სურვილი არა აქვს, მაშინ, რა თქმა უნდა, არ ვერჩევდი... პირადად ბედნიერება არასოდეს არ მქონია. შვილის ბედნიერებაში მაინც მინდოდა მეხოვნა იგი. ამბატომ თუ თჯახური ცხოვრება არ მოუტანს ბედნიერებას, დე, ნურც იფიქრებს მასზე. მაგრამ არის სხვა საშუალებებიც საქმეების განმოსწორებლად—საქმათა ლიოლამ დროებით მაინც გაწყვიტოს კავშირი ამ შეჩვენებულ ხარკოთან და აქ დაიწყოს ახალი ცხოვრება, რომ საშუალება მიეცეს გამოასწოროს თავისი საქმეები, რომ ყველა მეგობრის და მტერმოყვარის თვალში დარჩეს ისეთივე წესიერ კაციც, როგორც ახლა იცნობენ. თუ უწინდური და შრომაში ცუდად გაწაფული კაცისათვის ბაქოს ქარბნებასა და ფაბრიკებში ვმუშაობ ადგილს, განა არ შემიძლია მოვაწყო საუკეთესო შვილი, და შერე ისეთი, როგორც ის არის? ბაქოში ნათესი გარშემო დატრილებულ ასეთი ციგებცხელებს დროს ფანრით ეძებენ ისეთებს, როგორც ლიოლაა, და ამისათვის არავითარ ფულს არ იმურებენ. ასე, მაგალითად, ეს არის ახლა დამბრუნდა უნივერსიტეტიდან ახალგაზრდა თუმანოვი, და მხოლოდ იმბატომ, რომ უცხო ენა იცის; მაშინვე დაუნიშნეს თუქში 500 მანეთი, და წინ კიდევ რამდენი იმბატო.

ლიოლას იმის მაგიერად, რომ მუდამ იტანჯებოდეს და არ ჰქონდეს იმედი კარდირობისაგან თავის დაღწევისა, არ აჯობებს ჩამოედღეს აქ, მოეწყოს ადგილზე, თავის თავიც დამიშვიდოს და ზევეც დაგვეამწეიდოს, ზოლო ამის-

ბაში ჩვენი საქმეებიც მოგვარდება! მინდობა დმეროს, მასალა გვაქვს, და რომ ვისარგებლოთ ამ მასალით, საჭიროა მოქმედება. მე კა მოხუცებულს და ავადმყოფს უკვე ძალდასწრებ არ მყოფნის მარტომ გავართვა თავი—საქმეს.

ყველაფერი ის, რაც შეემძლო გამეცეთებინა, გავაეთე. ეს არის—მამულის და სხვების მიერ წაგებული მარჯანეის დაბრუნება; მორჩა და გათავდა! სხვებზე საყვედურების ლამაზია აღვიღო, მაგრამ რა ხეირია აქედან? თქვენი უსაფუძვლო და არაგონიერული საყვედურებით იმ ზომამდე მიმიყვანეთ, რომ დაჯვარე ენერგია და ყველაფერზე ხელი ჩაეიჭინე. თქვენს დს ჰგონია, რომ საქმეების კეთება ისევე ადვილია, როგორც აფიშების ბეჭდვა და იი რატომ არის, რომ ასეთი სიმართლის მოვევარე ქალი, ვერაფრის გზით ვერ გარკვეულა ცხოვრების საქმეებში და თავის ტანჯვა-წამებით და უსამართლო საყვედურებით სულს მზდის. მას არ გერა, რომ ლიოლის ხაზინის ვალის გამო ყადაღა დაადვენ ყველაფერს და სანამ ამ დასლართულ საქმეს არ გავხსნი, საშუალება არ შექნება რაიმე სასარგებლო გავაკეთო მათთვის და თქვენთვის, მაგრამ თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, განა თქვენ არ გიტალახებდნენ კარებს „ოკოლოდონიკები“, ვიდრე მე ჰამბარებდნენ უწყებას და ყადაღას დაადებდნენ ყველაფერს? ეს! რას იზამ? სიღარიბე და გავირება ისეთი რამეა, რაც სამართალზე ხელს აღებინებს ადამიანს. გთხოვთ შეამტოთ გულახდილობა.

თქვენი ვრთავული აკაკი.

**ჩემი ძვირფასო ნატაშა!**

ყველაფერი, მაგრამ რა ვიციოდით მოულოდნელ ხარზე უფრო მძიმე ეს გაუთავებელი მოლოდინი რომ იქნებოდა... ამბობენ, კაცო იმედით ცხოვრობს, ჩვენც ვცდილობდით იმედის მიცემას, მაგრამ ნიკოს დედა ხელს ჩაიჭყნედა და იტყოდა:

— არა, შეილო, სასწაული არ მოხდება, არ დაბრუნდება ჩემი ნიკო. ცოტას კიდევ მოეცოდინა და მერე მე თვითონ წაველ მასთან, — ამას რომ იტყოდა, ისე ამოიხიბრებდა, რომ გულს თან ამოატანდა...

...იმ დღეს მართლაც გადაწყვიტა „ნიკოსთან წასვლა“. ეზოში გამოსულა ჩუარი ნავთით დაუსველებია, ასანთისათვის ხელი გაუკრავს... და უბეში ჩაუდგია. უცებ აგარდნილი ცეცხლის ალი ჟერ გულმკერდს მოედო თურმე მერტე მოულ ტანს და...

... ყოველთვის, როცა ჩემი სახლის თენიდან იმ ფიჭვის გორას ვაგებდავ, ასე მგონია, ახლაც კელამტარივით ანთია ცეცხლმოკიდებული ნიკოს დედა, ახლაც იწვის მისი დადარული სახე, ეზოს კარსკენ მიპყრობილი თვალები და თეთრად განათებული ჭადარა, როგორც ქართველი ჭალოს მწუხარების მარად ჩაუქრობელი ცეცხლი ყველა უცნობი, თუ ნაცნობი ჯარისკაცის საფლავზე...

**კაცია ადამიანი!**

ეს იმ დიდი ტრაგედიის მხოლოდ ერთი მაგალითია, ერთი მცირე რგოლი 50 მილიონისა, რომელიც ომის დროს დაიღუპა. მათ შორის მტერიც ბევრი იყო და მოყვარეც. სიკვდილი კი ყველასათვის საკვლილია. დედის მწუხარებაც, მოყვემ და ვეფხბა რომ ერთმანეთი დიხოცეს, იმ მოყმის დედამ: „იქნება ვეფხბის დედა ჩემსავით სტირისაო...“ და წავიდა მასთან, რომ თავისი გულს სამძიმარი ეთქვა. ეს პუშკინის დიდი ძალაა, ხალხურ სიბრძნეში გამოხატული, ერთის მწუხარება თანაგრძნობას იწვევს მეორისადმი. მერე ყველაფერი ეს სინანულში გადადის და თავის სედღან სახეს გვიჩვენებს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ერთი დედის მწუხარების 50 მილიონზე გადასარება მინდოდეს, არა, მე ვიცი, რომ ასეთი ჯამი არ გამოიყენება, მაგრამ წარმოსახვა მაინც თავისას იხამს, ყველაფერს შეკრებს, განაზოგადებს და კომპარების იმ დიდ რგოლს მისწვდება სატორნის დისკოსავით რომ შემობრუნავი ჩვენს პანორესა. გონების თვარი კი ზოგჯერ იმ უფსყრულსაც ჩაჰხდევს, რომლის წინაშე აღმოგჩნდებით ხოლმე, როცა განვლულ სამიწელ ამბებზე ვფიქრობთ. ვისაც ვაყის სი-

ტივე და რწმენის ძალა აღმოაჩნდება, იტყვის „მოღერებულის ყელითაო“, მაგრამ ვინც მწუხარებაში გასტეხა და იმედი დაკარგა, მწუხრით დაუწყებს ძაებას მის უპირო ფაქტს. იგი ერთხელ კიდევ შეავლებს თვალს ადამიანურს განაზომილებებს და იტყვის „ჩვენი სიღრმე უფსყრელიაო“. ეს დაცემისა და დაღუპვის გზაა — ჯოჯოხეთი. ვისაც სურს ასეთ ჯოჯოხეთს თავი დააღწიოს, უნდა ვაყის სიბრძნეს გაყვეს, როგორც დანტე ვიკილიუსს, რომ ისევ იმ ბიჩხეს სინათლითა და ცრემლებით სავსე თვალებით გაბრწყინებულმა იმოგოს განწმენდისა და ამიღუპვის ძალა, და ვაყისებურად სთქვას რომ „არ შეიძლება მოკედეს ღამაში არსი ჩვენი კაცობისო“...

...მას შემდეგ, რაც პიტლერელების საშინელ დანაშაულებათა მთელი საზიზრობება გამომელანდა, ადამიანი ისევ შეეპედა თავის კეთილ საწყისებში. ვინც იმ ათას ფუთ ბრალდების გაეცნო. იმანაც ძალუბნებურად დაუსვა თავისთვის კითხვა: იყვენ თუ არა ისინი ადამიანები, თუნდაც ამ სიტყვის ბიოლოგიური მნიშვნელობით? ან ადამიანობობის ცნება თუ შეიძლება ახსენოს კაცმა სიბრძნეების გრძნობის გარეშე, როცა ასეთ მკვლევებზეა ღამარაკი?

შემდეგ ეს ეჭვი განაზოგადეს და, საერთოდ, ადამიანის ღირსებასაც დაუსვეს კითხვის ნიშანი.

ვერავინ იტყვის, რომ საკითხის ასე დაყენება სწორია, მაგრამ ვერც ვერავინ უარყოფს მის საფუძველს. ადამიანი არასოდეს არ ყოფილა გონებრივი განვითარების იმ სიმაღლეზე ასულა, როგორც დღეს, მაგრამ არც არასოდეს შელახულა მისი ღირსება იმდენად, რამდენადაც იმ ორი მსოფლიო ომის დროს. აღბრუნება ადამიანის ტყავს არ ამბობდნენ „ნატიფი ნიკოთების“ გასაყეთებლად. არც საპონს ხარშავდნენ „ადამიანის ცხიმისაგან“! და სხვა ასეთი. იტყვიან, ყველა ზომ ასეთი არ არისო! რა თქმა უნდა, მაგრამ ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, მინც ადამიანია, მერე კი ასეთი: ან ისეთი. ზოგიერთის მოქმედება კი ისეთ საზღვარს აღწევს, სადაც ადამიანობობის ცნებასაც ეკარგება აზრი. ამის მიუხედავად, ვერცერთი ადამიანი, რა რიც პირტყუად არ უნდა იტყვოს ის, მინც ვერ აიღუდნს პასუხისმგებლობას ადამიანობობის მიმართ. ეს საკითხი მნიშვნელოვანია, როგორც მორალური, ისე იურიდიული თვალსაზრისით. იურიდიული იმიტომ, რომ ჩადენილ დანაშაულებათა შესაძლებლობა და პიტლერელთა ადამიანობის საკითხი მტკიცების საგნად

ეჭვა ნიურნბერგში. ის თისი ფუთი დოკუმენტები თავის მნიშვნელოვან ნაწილში ამისთვის იქნა გამოყენებული...

...მე მთელი მ თვის განმავლობაში „ვიქიქებოდი“ ამ დოკუმენტებში, ჩემს თვალში ვაიარა დანაშაულებათა კომპარატივში სურათებში. შერე თვეების მანძილზე ვუყურებდი, ან ვლაპარაკობდი იმათ, ვინც უოველივე ეს ჩაიფიქრა და განახორციელა. მაშინ ისინი საბრალდებლო სკამზე ისხდნენ, როგორც სამხედრო დამნაშავენი, მაგრამ იყო დრო, როცა ვანდესაზღვრელი ძალაფრებობითა და რაღაც შიშისმომგვრელი დიდებით იყვნენ მოსილინი. მათი უოველი სიტყვა კანონი იყო, ხელისუფლება — შეუზღუდავი. გერინგის ავაციო ანგრევდა ქალაქებსა და სოფლებს, კარტელი ზოცავდა სამხედრო ტყვეებს, კალტენბრუნერი ვლტერა მილიონობით მშვიდობიან მოსახლეობას, რედერი და დენიცი მეკობრეობდნენ ღია ზღვაში, რომებტროში აზნადებდა თავდასხმებს შეუცინადებელ სახელმწიფოებზე, იოდლა ადგენდა ამ თავდასხმების რბრატაულ გეგმებს, შტრაახერი ვბრალეებს არბევდა, ზაუკელი მონებით ვაპრობდა, რომენბერგი კა სამკოთა კავშირის ტერაიტორიების „განხალბების“ პოლიტიკას ზელმძლავნლობდა და თან „XX საუკუნის შიის“ თხზავდა, მომავალ თაობათა „გასანათლებლად“.

მე კარგად მახსოვს მათი სახეები, გამომეტყველება, ლაპარაკის მანერა, ყველაფერი, რაც იატეა. ან გამომყლავნდა... და უნდა გითხრათ, რომ მაშინ მეც იგოვე კითხვა მიტრიალებდა თავში: არიან თუ არა ისინი, საერთოდ ნორმალური ადამიანები? ყველანი ვამბობდით, რომ — არა, ისინი არადამიანებია, ბარბაროსები, კაცივანებია, მითიური პარბები, თუ ეშვებინი ურჩხულები... შერე დრო ვავიდა და პალუკონაციებიც დაცხრა. დამწყო ანალიზის, განსჯისა და საბუთიანობის პერიოდი. ამის შემდეგ, მე შგონი შედარებით სწორი, მაგრამ უფრო საშინელი შეზედლება შემეძქნა. იმ კითხვაზე პასუხმაეც ათასჯერ მეტად შემამარწყუნებელი სახე შიილი:

— დაახ, ისინი ადამიანები იყვნენ და საკმოდ განათლებულნიც, ეს სამწყუხაროა, მაგრამ ფაქტი ყველა მათგანი ვეროის ერთ-ერთ უძველეს კულტურისა და განათლების ერს წარმოადგენდა... და სწორედ ესაა უფრო საშინელი... ეს თიერი ზელთაიშინიანი და მონოკლიანი მკველები, დოქტორები, აკადემიკოსები, ფილოსოფოსები, არქიტექტორები, დიპლომატები, ბანკირები და სამხედრო სპეციალისტები — ფელდმარშლები, ადმირალები და გენერლები.

ახლა არც მე მყერა, თითქმის მათი დანაშაულებრივი მოქმედება იმათ უოფილიყოს გამომყვეული, რომ პიტლერი სელით ავადმყოფი იყო,

გერინგი შორდინისტი და სერტეციის ჟირველბდავალებული, კალტენბრუნერი — სადისტი, შტრაახერი — ამორალური ტონი და სხვა ასეთი. მე შგონი, ვინც ასე მსყვლობს, მალაუნებტრად უმსუბუქებს მათ დანაშაულს. ეს რომ ასე უოფილიყო ნიურნბერგში, მსაჯულებადაც ფსიქიატრებს მოუხმობდნენ და არა იურისტებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ბრალდებულები თვიოთნიც ცილიობდნენ ამას, როცა იოდლს „არასისაიომონო“ კითხვებს უსვამდნენ, იძახდა, ბრაცივი ვარო, სხვა რომ არავითარი არგუმენტი აღმოჩნდებოდა თავის ჟარისკაციული „ლიტისების დასაცავად“ სობრუყვესაც მოუხმობდა ერთხელ ინგლისელ ბრალდებულსა და იოდლს შორის ასეთი დიალოგიც ვაიმართა:

რობერტსი: ბრალდებულო იოდლი! თქვენი თქვით გეშინ, რომ სელიანსობრციანად ჟარისკაცი ხართ, სწორია თუ არა ეს?

იოდლი: დიახ, ეს სწორია.

რობერტსი: თქვენ თქვით, აგრეთვე, რომ აქ იმისთვის ხართ, რათა დაციეთ გერმანიული ჟარისკაციის ღირსება. ასეა, არა?

იოდლი: დიახ, და ამას ვახმარ მთელ ჩემს ძალღონეს.

რობერტსი: ძალიან კარგი, მაშასადამე, თქვენი თავი პაციოსან ჟარისკაციად მიგანჩიით?

იოდლი: დიახ, რასაც ვაციებდები, სრულიად შეგნებულად ვაციებდები.

რობერტსი: თქვენ განაცხადეთ, აგრეთვე, რომ ხართ მართალი კაცი?

იოდლი: დიახ მე ასე დავახასიათე ჩემი თავი და ასეთიც ვარ.

რობერტსი: კეთილი, მაშასადამე, თქვენი ამბობთ, რომ თქვენს ღირსებას ზორქი არა აქვს მოცხებული. ნამდელია თუ არა, რომ ამ უქანასენელი 6-7 წლის განმავლობაში, როცა თქვენივე თქმისამებრ, იძულებული იყავით ჩავედინათ სხვადასხვა მოქმედება, თქვენი სამართლისმოყვარობა ჩნებოდა ისევე იმ მაღალ დონეზე?

იოდლი, რა თქმა უნდა, მიხედა რომ ამის საწინააღმდეგოდ ბრალდებელი რამე საშინელ მახიილებელ საბუთს დაუდებდა წინ და ვაჩუშება არჩია. თქმშიც ასე წერია: „იოდლი სდუმს“. მაგრამ ბრალდებულმა არ ეშვება:

რობერტსი: შეგძლიათ თუ არა უპასუხოთ ჩემს კითხვას?

იოდლი: მე ვფიქრობ, იმდენად ბრაცივი ვარ, რომ ამ კითხვაზე პასუხის ვაციემა არ შემეძლია (ღარბაზში სიცილი).

როგორ არ შეეძლო, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდა...

რედლოდო ჟესის ხიმ სულ სიცივის სიშულაციის ეწეოდა, მაგრამ ვინ დაუყერა. ძალიან კარგად იყო დენენ, რომ ისინი არც ვაციები იყვნენ და არც ბრაცივები. ამას შხიოლად თავდაცივის ხეჩხად იყენებდნენ. ამის მაგალითი ისევე ჟესისია,

რომელიც 1940 წელს ინგლისში გადრენის შემდეგ თვით მისმა ფორერმა გამოაცხადა კვლავ შემოიღო...

...ნიურნბერგში რომ ჩავიდა, პირველად დავხვდები ისეთი მომენტს, რომ გაცივებისაგან თავი ვაღებ. მგონი აღბრუნებით ვიხსენებ, საერთაშორისო სამედიცინო კომისიის შემადგენლობაში რომ მოვხვდი. როცა ამის შესახებ ჩვენმა მთავარმა ბრალდებულმა რ. რუდენკომ მოთხრა, მე გავიკვირე, მედიცინასთან რა კავშირი მაქვს-მეთქი. „აწი ვეჭვებით“ — მიხვდა უბრალოდ და ამიხსნა, რომ ორი სამხედრო დამნაშავე, გუსტავ ფონ კრუპპსა და პიტლერის ყოფილი შოადგონი, რუდოლფ ჰესისის წინადადებას შესაბამისად შექმნილია საერთაშორისო სამედიცინო კომისია, საბჭოთა კავშირის, ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის გამოჩენილი ექიმების მონაწილეობით და რომ ამ კომისიის შემადგენლობაში ოთხივე სამხედრო-წინააღმდეგობის წევრი იყო. ვინაიდან მე ნიურნბერგში სწორედ საბჭოთა სამხედრო აღმინისტრაციის მიერ ეთავი მივლინებული ბერლინიდან, არჩეული როგორც ჩემზე შეჩერდა. მაშინვე მიხვდი, რომ ამ კომისიაში მეთერთმეტე ბრალის როლს მეტი არაფერი მეკისრებოდა და, რა თქმა უნდა, დაეთანხმე. რაც შეეხება კრუპსს. ამაზე მერე ვიამბობთ ახლა კი ჰესისის შესახებ.

როცა ის ლონდონიდან ნიურნბერგში ჩამოვიყვანეს, ისევე პიტლერის მიერ გამოცხადებულ „შემოღობის“ ან, როგორც იურისტები ამბობენ, „შეურაცხალობის“ სიმულაციის ეწეოდა. ჰესის ამ ცრუ მანევრს შემდეგში ასე თუ ისე მხარი დაუჭირეს საერთაშორისო სამედიცინო კომისიის წევრებმა ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის მხრივ. საბჭოთა ექიმებმა კი კატეგორიულად განაცხადეს, რომ ეს სიმულაციის ტიპური შემთხვევაა და მოითხოვეს ბრალდებულს დატოვება მთავარ-სამხედრო დამნაშავეთა სიაში. ეს ვაჭაპაწა კარგა ხანს გაგრძელდა. კომისია თითქმის ყოველდღე იკრიბებოდა და ისარჩავდა ჰესს. ის კი გამოცხადდა მსახიობითი ასრულებდა თავის როლს, — კითხვებზე არეულ პასუხს იძლეოდა, ვითომ ფერებს ვერ არჩევდა, ნათქვამის აზრს ვერ ხვდებოდა და სხვა ასეთი. გამოირკვა, რომ მან კიდევ მოახერხა კომისიის წევრთა უპრაქტოსობის დაჩქარება, მაგრამ მიუხედავად ჰესისის დამცველის პროტესტებისა და იმ სამი პეყნის წარმომადგენელთა მხარის დაჭერისა, საბჭოთა ექიმებმა „ვეტოს“ უფლება გამოიყენეს და ჰესს მინც დასვეს საბრალდებელი სკამზე. პროცესი რომ დაიწყო, „შემოღობი“ თუ „შეურაცხაობი“, ბრალდებული კიდევ დიდხანს თამაშობდა თავის როლს. ინ-

გლისელებმა და ამერიკელებმა ამა გამო პროტესტიც განაცხადეს, ვითომ ეს შეურაცხყოფის საერთაშორისო ტრანზნალსე მკერამ საბჭოთა ექიმები მინც მტაცებდნენ და ვინათ მოსაზრებას და კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ ჰესის ეწევა სიმულაციის. ის კი უოველდღე შემოაყვადათ სხლომათა დინაზში სხვა ბრალდებულებთან ერთად, მაგრამ არავითარ რეაგირებას არ ახდენდა პროცესის მიმდინარეობაზე; იქდა თავისთვის და ჩაღაც ბუღარულ რომანებს კითხულობდა. თუ ვინმე რამეს ჰკითხავდა, წყნს ერთი წუთით თვალს მოსწყვეტდა, უპირებდ შეხედვდა შეშოახვევს და ასეთ სახეს მიიღებდა, თითქოს არც ესმის რას ეკითხებიანო. ასე ვრცელდებოდა თუ დეკემბრამდე. ბერს მოთმინება დაეკარგა. თითქოს ყველა დარწმუნდა, რომ ჰესის მართლაც „შეურაცხაობი“, მაგრამ საბჭოთა ექიმების „ჯიუტობას“ ვერაფერი ვერ მოუხერხეს, რადგან „ვეტოს“ კანონის დარღვევა არ შეიძლებაოდა...

რამდენჯერ მინახავს, როგორ ნერვიულობდნენ ჰენი ექიმები, აკლემიკოსები სეპი, კრასნუშკინი და სხვები. ისინი იტანდნენ თავიანთ დასაძლეთელი კოლეგების ირონიულ შენიშვნებს და მოთმინებით ელოდნენ იმ დღეს, როცა „ეს კომედია დამთავრდებოდა“...

...ეს მოხდა 20 დეკემბერს. ყველასათვის მოლოდინდელ რუდოლფ ჰესსმა თავისი, ისედაც გასაოცრად გრძელი და წაწერილებული კისერი კიდევ უფრო წაიგრძელა, უპარპზარი, ბუჩქებდ ჩამოწოლილი შავი წარბები ზევით ასწია, გამხდარი, გაცრეცილ სახეზე რაღაც დიმილის მსგავსი გამოხატა და ხელის აწევით ითხოვა სიტყვა.

დადგინლ წესის მიხედვით პროცესის მიმდინარეობის იმ ეტაპზე ბრალდებულებს ტიპურნალისათვის რამე განცხადების გაკეთება მხოლოდ დამცველების საშუალებით შეეძლოთ. თავმჯდომარე ლოურენსმა აუხსნა ეს ჰესს. იმან, რა თქმა უნდა, ყველაფერი გაიგო და თავისი დამცველის გუნდთერ ფონ რორშაიდის მეშვეობით ასეთი განცხადება გააკეთა:

— დღემდე მე ფსიქიური ავადმყოფისა და შესიერების დაკარგვის სიმულაციას ვეწეოდ ტაქტიკური მოსაზრებით. ახლა უკვე არ ვხედავ აზრს განვარტო ეს, და ვაცხადებ, რომ მე სრულიად ნორმალურ მდგომარეობაში ვარ და მინდა ჩემს მეგობრებთან ერთად გამსამართლოთ; ამასთანავე შეაღობას ვუხდი ჩემს დამცველს, რომელიც დღემდე მხარს უჭერდა ჩემს სიმულაციას.

დარბაზში ისეთი ბარბარი ატყდა, რომ თავმჯდომარემ ჯერ ერთხანს აბრაუნა ხის ჩაქუზი მაგიდაზე, მერე კი იძულებული გახდა შეტარებულად გადსულიყო... ვინც არ გაჩერდება დაუყოვნებლივ გაეაძეგებ დარბაზიდანო. ამას რომ ამ-

ბობდა, მის გაშვებულ სახესაც ღიმილი დას-  
თამაშებდა.

იმ დღიდან რუდოლფ ჰესის „სტრლიად ნო-  
რამლერი“ სამხედრო დამნაშავე გახდა; მისი  
დაძველილი კი სადღაც გაიპარა და ყოფილი  
„შემოღობის“ ინტერესების დაცვა პანს ფრანკის  
დაძველები, აღფრედ ზაიდლმა იკისრა...

### სამარცხინო დიდება...

ვევლაზე მეტი მინც პიტლერის სულიერ  
მდგომარეობაზე დაიწერა. „ქარის ბიოგრაფები“  
იმთავითვე გამოცანად თვლიდნენ ამ „იდუმ-  
ლებით მოსილი“ პირთაგანს გამოჩენას პოლ-  
ტიკურ არენაზე. მართალია, ომის დროსა და  
ნორმანების პროცესზე სულ ვაშინშვლად პიტ-  
ლერის სამინჯლო მიზნები და საქმეები, მაგრამ  
მის პიროვნებას მინც არ მოშორდა იდეალე-  
ბის აზრადი. პიტლერი დღესაც ისეთივე გა-  
მოცანაა, როგორც მაშინ. ჩანს, ვერც მისი უახ-  
ლოესი თანამებრძოლები გაერკვნენ ამ „ერთი-  
ზედ საოცრებაში“. ადრეც და შემდეგაც ის-  
ინი სულ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს  
გამოსთვამდნენ მათი კერპის შესახებ. „პიტლ-  
ერი თავისი ერთი დიდებისათვის წამებულაა  
რაცეს მიეკუთვნება“ ამბობდნენ ისინი,  
ვინც ბოლომდე ერთგული დარჩნენ ფიურერისა.  
„ისტორიის ისეთი შემზარავი აღმართი არ ახ-  
სოეს, როგორც პიტლერი“, — თქვა აღრთ-  
დელმა მებრძობმა, ფრანც ფონ პაპენმა. „ჩვენი  
ფიურერი ყოველთვის ავადმყოფი კაცი იყო“  
— „გამხილი“ ფელდმარშალმა კაიტელმა. „მის-  
ში დემონი თანდათან სძლია გენიოსს“, — წერ-  
და გენერალი გუდერიანი.

1945 წლის აპრილს, როცა პიტლერის „მესამე  
იმპერიას“ დღეები უკვე დათვლილი იყო, რი-  
ნდბრუმი მივიდა პიტლერიან და სთხოვა ჩაე-  
გონებინა პიტლერისათვის, რომ ომი უკვე წავე-  
ბულია და საჭიროა რამე გადაწყვეტი პოლი-  
ტიკური ზომების მიღება. ამაზე პიტლერს „თა-  
ვის ფიურერზე“ უარესმა ისტერამ მოუარა და  
იყვირა: „რა უნდა ჩავაგონო! განა ამდენ ხანს  
არ იცოდით, რომ ის გვიყავს?“...

ადრე კი ვველა ხელს უწყობდა ამ „გივი-  
უფრეიტობის“ უზარმავე განდიდებას. მერც  
ისეთ მაღალ კვარცხლბეკზე შეაყენეს, რომ წო-  
ნასწრობა დაქარაჯა და თავი მართლაც „გა-  
გებისაგან მოქვნილი“ მესიად წარმოადგინა.  
ომა კი არად ატემა, რომ ეს მძიმე კვარცხლ-  
ბეკი მისივე ხალხის ზურგზე იყო დადგმულა  
ფიურერობის „ტალახისი“ ნეჭმებით! აძე-  
რა ამ კვარცხლბეკზე, ვადუარა აღამანთა თხ-  
ეებს და ისე მიუშვა სადავეები თავის დემო-  
ნებს, რომ ფუსკრულის პირსაც ვეღარ შეძლო  
მათი შეჩერება...

ანე „სხვის ზურგსა და თავებზე“ აღმადლე-

ბულ, განდარების მანით შეპყრობილ „გად-  
მიანზე“ ამბობდა ნიცშე:

— თუ შენ გინდა ახილდე ძალა, აღი საკუ-  
თარი ფეხით. ნუ მოინდომებ ავტონომიის იქ, და  
ნერც დაჯდები სხვების ზურგსა და თავზე.

მერე თითქოს მიუბრუნდება, ვინც მისი  
შეგონება არ შეისმინა და ეუბნება:

— ახ, შენ მაინც შეეკვი ცხენზე და ამავედ  
მიეშარათები მიზნისაკენ? გასწი, მეგობარო! მაგ-  
რამ ვასთოდეს, რომ შენი კოჭლი ფეხი იმ ცხე-  
ნზედა შენთან იქნება, მერე კაროცა მიზანს  
მიადწევე და ჩამოხტები იქ, სადაც შენი სიმაღ-  
ლეა, ო, უმადლესო აღამანო, წაფორხილებ  
და დაეცემა...

შეკედონების ბუცედალზე შეოცნებე პიტ-  
ლერსაც ასე მოევიდა, ან ბიბლიურ ალეგო-  
რიას რომ მეგობრობოთ, ისიც შეეკდა „ცხენსა  
წყუანესა ბორტისასა“, თუ „ცხენსა შესასი-  
კედლისასა“, რომ ხალხებისა და სახელმწი-  
ფოების თავებზე ვადეველო, მაგრამ ჩამოვადეს  
და ის მიზანი კი არა, „კოჭლი ფეხებიც“ არ  
შეაჩინეს...

...როგორც არ უნდა იყო, ამგვარი სამარცხ-  
ინო დიდება ვერ არავის მოსწრება. არც ასე-  
თი განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონია ვინ-  
მეს. თვით უდიდესი დესპოტიზმიც სხვებს  
ეკითხებოდნენ რამეს ან ფორმალურად მაინც  
იცავდნენ რაღაც ნორმებს, რაც ნიღბდად ვი-  
აკის ესოდენ განუსაზღვრელ ძალაუფლებას;  
აქ კი ზომიერების არავითარი საზღვარი არ არ-  
სებობდა. მერე საქმე იქამდეც მივიდა, რომ  
თვით „ღვთების“ ცნებაც შეიკვალა „ფიურერ-  
რის“ ცნებით. თუ უწინ ღმერთს იფიცავდნენ—  
მერე ფიურერზე ვადევიდნენ.

ჩვეულებრივად, ნაცნობი რომ ნაცნობს შეხ-  
ვდება, რამე სასამაფროსა და კეთილშობი-  
ლურს ეტყვის, გამარჯვებას, ან მშვიდობას  
უსურვებს მას. ასეთ ფიცსა და მისაღმებაში  
ერის ელტურა და ხასიათი შეკადნდება. „მო-  
ლაღული მზის მადლში“ ფშაველი რომ იტყვის,  
ან ვინმეს თავს დარბაისურად დატყარავს და  
„შენი ამკობინოს შენის მტრისასაო“ — დაყო-  
ლეს, კაცს რაღაც ამაღლებული გრძნობა გინ-  
დება. ნორმანერგში კი ამერაკული მისაღმებას  
„ანგარიშინობამ“ გამოაცა. შეხვდება ერთი მე-  
ორეს და ძალუშადურად მიუვადებს:

„Make, money! — ფული გეშოვნოსო“.

გერმანელებს ფიცი და მისაღმება ყოველო-  
ვის კეთილშობილური ხასიათისა იყო. დილა იქ-  
ნებოდა, დღე, თუ საღამო, ისინი ღმერთს ახ-  
სენებდნენ და სიკეთეს უსურვებდნენ ნათესავ-  
სა და ნაცნობს. ნაციტურ გერმანიაში კი მხო-  
ლოდ ერთი მისაღმება იცოდნენ: „მაილ პიტ-

ლერა! — დიდება ჰიტლერსო“. მის დაბადებას დღესაც შობასავეთ დღესასწაულობდნენ. ჰაკენის ნიშანიც ნაცისტური სვასტიკით (Hakenkreuz). შეცვალეს ამბობენ, ეს ვიღაც ყორც გურჯივემა ურჩიით მათ. ასეა თუ ისე, ყველგან ეს „ოთხთავიანი კავი“ იყო გამობატული, სახელწოდებო ღერბით დაწვებული და დროშებით დათეთრებული. მკვლავბუტეც ეს ნიშანი ჰქონდათ ვაეთებული ნაცისტური პარტიის წევრებს. ესეველებსა და მოთერძე რახველებს, ასეთივე მღვთმარჯობა იყო აზრითაც. თუ უწინ ჰარისკი-ეციბი და ოდიცრები სამშობლოს წინაშე ედებდნენ ფიცს — შერე მხოლოდ ჰიტლერით დარჩათ საფიციარო. ფიცის ტრადიციული ტექსტით ასე შეიცვალა:

„ვფიცავ შენს სახელს, ადოლფ ჰიტლერ, რომ უყოყმანოდ შევასრულებ ყველა ბრძანებას, რასაც შენ, ან შენს მიერ ჩემს უფროსად დანიშნული პირები მომცემენ!“

ასე შეიქმნა მათი „ღვთაებრივი აღამიანის“ შესახებ, რომელსაც თავყანს სცემდა მთელი ნაცისტური გერმანია...

...ცალკეული პიროვნების ამგვარი განდიდება ყოველთვის ტრაგიკული ყოფილა ერისათვის. ეს ამ შემთხვევაშიც დადასტურდა: მოკავშირეთა გაერთიანებული ძალებით „მესამე იმპერია“ დამბობილ იქნა. კაცობრიობა შეაძარწუნა „ვან-გუბენს მიერ მოკვლენილი“ ფიურერისა და მისი თანამოხრებულის სამინელმა ბოროტმოქმედებამ. ამან ჰიტლერის ყოფილი მეზობლებიც დააბნია. ნიურნბერგის პროცესზე, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ყველა ბრალდებული ჰიტლერს სდებდა ბრალს „გერმანელი ხალხის ამ ვაგონარ ტრაგედიაში“. როცა ბრალდებულები რამე დანაშაულის კვალს მოაპყებოდნენ და დამნაშავეს ეძებდნენ, ბრალდებულები და მათი დამცველები სულ ჰიტლერისაკენ იშვერდნენ თითხ. შერე რომ იკითხეს, ერთი კაცი ამდენ დანაშაულს როგორ ჩაიდენდაო, დასაბუთეს სხვებიც: ჰიტლერა, გებელსი, ჰიდრახი, ლეი, — მხოლოდ ისინი, ვინც უკვე აღარ იყო ცოცხალთა შორის.

— დიდება შენდა, ღმერთო! — წამოიძახა ამაზე ამერიკელმა ბრალდებულმა ჟეკსონმა, — როგორ ხდება, რომ დამნაშავეა ყველა ვინც მოკვდა, ხოლო ვინც ცოცხალი დარჩა — უღბანაშაულსო...

პროცესის შემდეგაც აუარებელი ისტორიული და მეშუარული ხასიათის წიგნები დაიწერა ამის თაობაზე; მათ შორის, ე. წ. „ჰიტლერის გამოკანახეც“. თანამედროვე კაცობრიობის თვალწინ შექმნილი მითი მოთხოვდა თავისი რეალური განზომილებების დადგენას. ეს კი არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ჰიტლერის, როგორც „ღვთაებრივი პიროვნების“ გარშემო იმდენი ლეგენდა

შეიქმნა, რომ ამ „გველის გორგალს“ რაფი და ბოლო ვერაინი უპოვა, ვერც მამინ, ვერც შერე. ახლაც ბევრი იწერება ამის გარშემო. ურჩიან ისეც ბაბლას იმარჯებენ და ამბობენ, რომ ეს იყო „გველი დასაბამისა, რომელსაც ეწოდების ეშმაკი და სატანა, ანუ რომელი იტყვის თავსა თვისისა წინააღმარებელსა, და ასწავლის და აცდუნებს ყოველსა სოფელსა...“, შერეინ ისეც „ღვთაებრივად შთავგონებულ“ ქადაგს ეწოდებენ მას. ყოფილი თანამშრომლები წერენ, ყოველთვის ვიცოდით არანორმალურ აღამიანთან რომ გვერდნა საქმეო. „ბოროტების გენიასაც“ უწოდებენ მას. ჰიტლერის „გენიალობის“ არც იმათ ეძებებოთ, ვინც მისივე ბოროტ-მოქმედებითა შეძარწუნებული.

ეს პარადოქსიამ ბოროტმოქმედი არ შეიძლება გენიოსი იყოს. ჰერე კალეე ბუშკინი ამბობდა: „Гений и злодей — две вещи, несовместимые“. ეს მარტივი კვეშირიტება ავიწუღება ყველას, ვინც ბოროტმოქმედებს, მკვლელებსა და დესპოტებს სთავაზობს გენიოსად დაფინ/გვირგვინებს. უფრო შორსაღებულები კი უკან დასახეე გზებს იტოვებენ და წერენ, „ჰიტლერი გენიოსი იყო, მაგრამ არა ჭკვიანო; „თან უმატებდნენ — „ჭკვე გენიოსისათვისაც საჭიროაო“...

...ნიურნბერგში ბრალდებულთაგან, შახტისა და ჰაპენის გარდა, ყველა აღნიშნავდა ჰიტლერს „რალაც განსაკუთრებულ ალღოსა და უნარს“. ზოგს არც ეს ეუხერხებულებოდა, „შეშლილი“ ან „უჭკუო“ გენიოსი ეწოდებინა მისთვის. ენას. მართლაც, ძვალი არა აქვს და არც ქალაღი წითლებდა, როცა ასეთ უზამსობას წერენ! შერე ისიც თქვეს, ჰიტლერი „დემონური გენიოსაო“, ამის „დასამტკიცებლად“ კლასიკური ფილოლოგიაც მოიმარჯვეს, — რომაული „გენიუს“ იმასვე ნიშნავს, რასაც ბერძნული „დამონიოს“.

სულ სხვა აზრსა იყენენ ჰიტლერის ბირაღეკიშება. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „მათი ფიურერი“ ისტერიის მძიმე ფორმით იყო დაავადებული. ვინც მის ავადმყოფობას სწორი დიაგნოზი დაუსვა: პარკინსონის სენი — გააქრკის „ისტერიას“ კი ვერაფერი შოტხერხეს, რადგანაც ყველა ზედადა — დაბარაყის დროს რომ დორბლი მოსდიოდა და ტუნქებს წამდაუწყებ ცხვირსახოტით იწმენდა. იმასაც ამბობდნენ, ასეთი ისტერიული ლამაზაკით იქარჯებდათ ეპილეფსიის შეტევებს, ზედავდნენ კიდევ ისტერიის დროს იატაკზე რომ ეცემოდა და, გებელსის სიტყვებით რომ ეთქვათ, „ხალისას სიფედა“. მიმნოგრაფები ამას იმით „ხსნიდნენ“, თითქოს ის „ზეშთავგონებულად შეშლილი“, ანუ „შმაგი გენიოსი“ იყო. „სწავლულა“ ბიოგრაფებშიც ხელს უწყობდნენ ასეთი მითის გავრცე-

ლებს. ისინი ერთმანეთს უკავშირებდნენ ცნებებს: „შეპრობილი“, „შეშლილი“, „შმაგი“, „ეპილეფტიკი“ და სხვა. ექიმები აცხადებდნენ, რომ სიტყვა „ეპილეფტია“ სწორედ „შეპრობილობას“ ნიშნავს. ძველი რომაელების განმარტებით, ეპილეფტით დაავადებული შეპრობილინი არიან „ზეტუნებრივის, რაღაც ღვთაებრივი ძალით“. პლატონატეს გადმოცემით ეპილეფტია ღმერთების — კიბელას, პოსეიდონის, ჰეკატას, აპოლონისა და არესის სახელებს უკავშირდება.

თუ ასეთ ანალოგიებზე მივდგება საქმე, პიტლერის „ღვთაებრივი ეპილეფტია“ უფრო ამის ღმერთის არესის სიმშავეს ჰგავდა, ქადაგების დროს ის ცოფს მუცელს, წინაპარა მუშტებს აქნევდა, ფეხებს იატაკზე აბრახუნებდა, თვლები ხომ სულ გადმოყენაზე ჰქონდა და სახეზეც ხეოქი გადასლიოდა. მერე ექსტაზში რომ შევიდოდა, საყულოს ჩამოაგლეჯდა და ისეთი შეშა-რაგი ხშირ ვაკიოდა, რომ მსმენელები ვაიფნებულ შეშურებდნენ, ან მასთან ერთად შვავობდნენ და, მართლაც, შეპრობილებივით ღრიალებდნენ:

— ჰაილ პიტლერ!

არა „გაუმარჯოს პიტლერს“, არამედ „დიდება პიტლერს“, რადგან სიტყვა „heil“-ის ზედსართავი ღმრთა „heilig“ ღვთაებრივის ნიშნავს. იუმორის მოყვარულები კი სულ სხვა ინტონაცია აძლევდნენ ამ „heil“-ს. საქმარი-სი იყო აქ ოდნავ შეეცვალათ მახვილი, რომ იმავე სიტყვას ბრძანებით კილოში სულ სხვა მნიშვნელობა — „განჯერნეთ!“ — მისცემოდა. პიტლერის სიყვდილის შემდეგ „გაბედეს“ და თქვენ კიდევ როცა ბრბო ღრიალებდა „Heil Hitler“-ს, ერთნი „დიდება პიტლერს“ გულისხმობდნენ, მეორენი კი „განჯერნეთ პიტლერიო“.

მერნალობამდე კი საქმე არ მისულა. ან ამას ვინ გაუბნედავდა „შმაგ გენიოსს“, რომელიც თვითონ თამაშობდა „წონასწორობიდან გამოსული ზემთაგონებულის“ როლს. ეს მას ღირსებად მიაჩნდა. გებელსიც უდასტურებდა ამას. როგორც ამბობენ, ის უკითხავდა „თაგის ფიურერს“ შესაფერის ადგილებს პლატონის „თიმეოლიდან“:

„წონასწორობის მქონე სულს არ შეუძლია იყოს ჭეშმარიტად შთაგონებული.—წერდა ბერძენი ფილოსოფოსი, — შთაგონება მაშინ წარმოიშობა, როცა პიროვნების უნარი შებოქვლია ძილით, ავადმყოფობით, ან რამე ღვთაებრივი გაიცაფებით“.

ასეთი გაყოფება პიტლერს არ აქვდა. ამიტომაც შეეძლო იმავე პლატონის სიტყვები გაემეორებინა:

„ვინ მოგახსენათ, რომ სიგოცე (სიმშავე) ბოროტებაჲ პირაჲთ, ღმერთების მიერ შთაგო-

ნებულსი სიგოცის მეოხებით გვენიკება ჩვენ უღიღესი მადლი“.

ამგვარ „შთაგონების“ შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ რომაელების აზრითვე „შეშლილებს“, ანუ შეპრობილებს „ველური გამოხედვა ჰქონდათ, ტუჩებზე დორბლი მოსდიოდათ და ავადმყოფური ხმით ლაპარაკობდნენ“...

...სწორედ ასეთი იყო ტრიბუნაზე ადოლფ პიტლერი. როგორც ჩანს, ის ციციკონს ბაძავდა, არც მსოფლიოს ამ უდიდესი ორატორის სიტყვები იყო მისთვის უცნობი:

„ადამიანში არის წინათგანძობის ღვთის მიერ მონიჭებული უნარი, რაც დამოუკიდებელია სხეულისაგან. როცა მათ შორის კონფლიქტი მწვევდება, თითქმის სული სწევდა სხეულს და ირუფეა საშინელ ექსტაზში, რასაც ეწოდება სიმშავე (furor)“.

მე უამრავი დოკუმენტური ფილმი მინახავს, სადაც პიტლერის გამოხედვებია გადილებოდა. კასტელისა და ნიურნბერგის სამსახურებრივ კინოდარბაზებში რამდენიმე დღე ვუყურებდი და ექსტაზში მის ისტერიულ ქადაგებებს მოტივებდა და რაიპტაგის სხდომებზე. ალბათ, ბევრ თქვენგანსაც უნახავს ცალკეული ეპიზოდები ასეთი ფილმებიდან. ეს, მართლაც, სიგოცეა, ჭოგობების ყრბობა, ვალპურგის დამებრაყენის მთაზე, თუ უარსი... „შმაგი ორატორის“ ისტერიული კივილი, „ქუქუნა გრძობებს აყოლილი ბრბოს“ ღრიალი და შექარა, მუშტების ქნევა და იარაღის ელარუნია...

მერე, როცა ნაცისტების „შაბაში“ დამთავრდა და ისინი შთინთქნენ „პირსა შვან უფსკრულისასა“, შურაცხყოფილმა სინიღისმა მოკრძალებით, მაგრამ მაინც დასვა კითხვა:

— როგორ შეიძლებაოდა ყველაფერი ეს მომხდარიყო?!... ან გერმანელი ხალხის ასე მნიშვნელოვანი ნაწილი როგორ გააყუა ამ მხვერად-შეშლილ ადამიანს ჭერ ბოაკენის მთაზე, ხოლო შემდეგ გოლგოთაზეც. სადაც მათ ჭეარცმა კი არა, ისტორიის სამარცხენო ბოძი ელოდაო?...

...ამაზე ფიქრი, ვინ იცის, საიდან სად წაიყვანის ადამიანს. ვივა ამბობს, „ფიქრის ერთი საქმებრი თვისება მოკლენათა მიხეუების ძიებაოა“. პიტლერის უზომოდ განდილებისა და გერმანელი ხალხის ასეთ სახედისწერო ცთუნებათა მიხეუების ძიებას რომ ვაპყუეს ვაყო, შეიძლება ისეთ ლაბირინთში მოხვედნის და ისე დაიბნენ, რომ გზა-კვალა იველარ გავიგოს. ისედაც ამბობენ, „ღმინეულობისაგან ათასა გზა მიღის, ჭეშმარიტებისაგან კი მხოლოდ ერთიო“. ეს ერთი გზა კი ყველამ თაგისი გულის ხმის მიხედვით უნდა აირჩიოს. ის კი, ვინც მინდობა „დაუეყმეოდ ძირს გულის ხმის ყოფისას“, შე-

უძლია საკუთარი დაკვირვებებითაც მოძებნოს არიანდის ძაღი და როგორც იმ ლაბირინთსაც დააღწიოს თავი.

აბოყოს ის ამით კვშმარტე გზას, თუ არა, — ვინ იცის, მაგრამ მოთებისა და ალეგორიების მოშველებით, თუ მომხდარი ამბების დოკუმენტური თხრობით, საკუთარი გულისხმით შიანე უპასუხებს ამ ძნელსა და აუცილებელ კითხვას:

— როგორ მოხდა ყველაფერი ეს?..

**homo sapiens...**

...ამ საკითხს, მართლაც, ათასი გზა და ბილი-კი აქვს, შეიძლება მისკენ კვშმარტეების ის ერთი ფართო შარა-გზაც მიდიოდეს, მაგრამ მისი დადგენა მრავალთა დავაწლს მოითხოვს. მე კი წემში „გულის გრძობის“ ვიწრო ხილ-კებს მივყვები. მართალია, ზალზაკს უთქვამს „სტენდალი ისეთი მწერალია, რომელიც ვარ-დების მოსაყრდელად გზიდან ბილიზე არას-დროს არ უხვევსო“, მაგრამ ის სტენდალი იყო და ვარდებზე იქ ხარობდა, სადაც ის დადიოდა, ყველა ამას ვერ შესწავლავს. ვერც ამ საკითხე-ბის კიდევანს ვაზომავს ასე ადვილად, რადგან მათი მთლიანობა კაცობრიობის მთელ ისტო-რიას მოიცავს.

პიტლერელებიც ხშირად მიმართავენ წარ-სულის შავალითებს. ბევრს რამეს ნიშნულად თვლიდნენ და ზაპაედენე კიდეც. მათ ნაწერებ-სა და სიტყვებში ხშირად ვხვდებით ანალოგი-ებს ძველ შიათებთან, თუ „წმიდა წიგნებთან“, თვითმდარებებს რომელ იმპერატორებთან და საჩღლებთან. აღექსანდრე მაკედონელი, იოანე მახარებელი, ნაპოლეონი და სხვები, ქმნიდნენ მათი მისწრაფების მოდელს. პიტლერი ბონა-პარტიიით გულზელადარებული დგებოდა ტრი-ბუნაზე, თმები მისაიით შუბლზე ჰქონდა ჩა-შოშლილი. გერანის კაბინეტში ნაპოლეონის უზარმაზარი სურათი ეკიდა. რიბენტროპიც კი იმპერატორის პოზას იღებდა და ამბობდა, „ისტორია მეც ისე მომიხსენიებს, როგორც ნაპოლეონისა“.

ყველაზე უფრო კი ბიბლიურ ალეგორიებს მიმართავენ. აღიღებდნენ ღმერთს, მაგრამ ებრძოდნენ ქრისტიანულ რელიგიას. მაკსოვ-რის გამოცხადება პიტლერისათვის სასურველი მოვლენა იყო, მისი მოძღვრება კი უარსაყოფი. არ როგორ შეეჭლო მის მიერ მოყვასისადმი სიყვარულის რელიგია, როცა სულ დათრგუნ-ვისა და მოსპობას ქადაგებდა. ვერც ქრისტი-ანულ მორალს მიიღებდა კანონად. გელესიასაც ამიტომ ებრძოდა, სასულიერო პირებს კი ჭერ საკონცენტრაციო ბანაკებში ვახვენიდა, შემდეგ კი სრულ მოსპობას ეთქმებოდა.

ეს ამიტომ, რომ პიტლერი თვითონ ცდა-ლობდა ახალი რელიგიის შექმნას. უნდოდა ნა-

ციონალ-სოციალიზმი ისეთივე საჩქერებელ ექცია, როგორც ქრისტიანობა იყო. ამიტომ ჭერ იოანე მახარებლის როლში გამოდიოდა. შემდეგ კი თვით მაკსოვრისა. უმაღლეს პარტულს — განიში — რაიხსლაიტუნგი (Reichsleitung) თორმეტი წევრი ჰყავდა, როგორც ტრას-ტეს — „ათორმეტი მოციქულ“. ისე კი, სულ მათ საწინააღმდეგო აზრებს ქადაგებდა. ბიბ-ლიურ ალეგორიებშიც ახალსა და თავისებურ შინაარსს დებდა.

ყველაფერს, რასაც ქრისტიანული რელიგია ასწავლიდა, ის პირველ ამტუნებდა. ამიტომაც უწოდეს ანტიქრისტიც. ეს, მართლაც ასეა, რო-გორც პოლიტიკის, ისე ზნეობის თეოლასარისი-თაც. გონებისა და სინიდისის შემზღველელ „ქიმერებისაგან“ განთავისუფლებას ამას გამოხატავდა. ქრისტიკ სიბრაულეს ქადა-გებდა, პიტლერი — შეუბრალებლობას, ერ-თი კეთილისა იყო, მეორე — ბოროტისა. ჰუმანიზმს ის ბარბაროსობას უბარისპირედა; პრინციპს: „არა კაც ჰკლა“ — მასობრივ ხოც-ვა-ქლტვას. სიტყვით კი არა, — საქმით. თქვენ უკვე იცით, რაც ამას მოჰყვა: ნგრევა, საღიზ-ში, უზნეობა, „გონების მრუშობა“, ექსეკუცი-ისა და გესტაპოელების აღფრახსნისობა, ტანჯვა-წამება, კანის ცოცხლად გაძრობა, ადა-მიანის ცხიმისაგან საანის ხარშვა, ძვალსამტე-რევი მანქანები, ვახვაგენები და კრემატორი-უმები.

...და ყველაფერი ეს ადამიანების მიერ მო-ფიქრებულ და გაკეთებულს...

გონება დაიბნა აძღნე უზედურებაში. აზროვ-ნებაც დაექვდა ადამიანის კეთილ საწყისებში. სრულად შეძრწუნებულბმა კი ზედმეტად განაზოგადეს ყოველივე ეს და ზიზლით წამო-იძახეს:

— Ecce homo!.. ეს არისო ადამიანი!

მერე მის ზნეობასაც მისწვენდნენ პიტლერე-ლების საშინელმა საქმეებმა აქაც ბოროტების-კენ გადახარა თემიდას თათი. ბოლოს კი საქმე შედარებაზეც მიდგა: რა იყო და რა არის. ასეთი კითხვაც დასვეს: საუკუნეების მანძილ-ზე, კაცობრიობის საერთო პროგრესთან ერთად, ადამიანიც მალდებდა ზნეობრივად, თუ?...

...ესეც სადავიდარაბო საკითხია, თუმცა გან-ვითარების კანონი საერთოა. დრო იცვლება და მასთან ერთად ზნეობაც ადამიანისა. სტვა სი-ქმეი, რა ხასიათისაა ეს ცელილება. არის აქ წინ-სვლა, თუ არა. ამაზეც უმარავი შეხედულე-ბა არსებობს და სულ სხვადასხვაგვარი, მაგრამ მე ახლა ეს არ მაინტერესებს. მინდა მხოლოდ ვთავს მოვუსმინათ:

„მართალია, განათლებამ, ცივილიზაციას რომ ვეძახით, წმორედ საეკირეელი მოქმედება გამოიჩინა სტვადასტვა ასპარეზეზე, ხოლო ზნე-ობის სამფლობელოს — კი რა მოვახსენოთ.

არა, მეტყვიან, ზნეობრივადაც წინ წავიდა კაცობრიობა, შეიძლება, არც ამაზე აგინირდებით, ხოლო მე კი ვიტყვი, რომ...“ და ვაქა მანაც გამოსთქვამს ექვს ამ მხრივ. მან იცის — ეს ისეთი სათუთი საკითხია, რომ აქ „ახირება“, მართლაც, არ შეიძლება, ექვი კი მანაც ეშვად რჩება. ის ისევე გველივით დასრიალებს ადამიანთა შორის და სწამლავს ყველაფერს. ზოგი უძლებს მის ვესს, ზოგი არა. ისეთებიც არიან, ყველაფერზე რომ ზელი აქვთ ჩაქნული. ამბობენ — „ჩვენი სიღრმე უფსკრულია“, და ვაჟას პირიმზესავით ელმოღერებულნი კი არა, თავჩაქინდრული დგანან მის წინაშე.

ორმა მსოფლიო ომმა და პიტერელების გაუგონარმა ბარბაროსობამ ისე შეაძრწუნა კაცობრიობა, რომ ბევრს ამაზე უარსიც ათქმევინა. მე ადრეც მოგახსენეთ ამის შესახებ. და განა საკვირველი არ არის ცივილიზაციის თანამედროვე საფეხურზე, მეოცე საუკუნის შუაგულში, და ისიც განათლებულ ევროპაში, რომ აღადგინა ბარბაროსობის ადრინდელი საფეხური ან ადამიანის ღირებულება როგორც დაეცა, ისე, რომ ეოქვით — გროშია მისი ფსიქო! რამ შეუტრია მას თავის თავის რწმენა? თუ ჩვენ ვამბობთ „ადამიანი — ეს ელერს ამაყადო“, ახლა უკლებს რატომ ამბრუნებენ ამ სიტყვების აზრს: „ადამიანი — ეს ელერს საძაგლად!“ ან საიდან გაჩნდა კაცთა ღირსების ამდენი მოზარე? თუ ილიას მიერ დასმული კითხვა „კაცია-ადამიანი?“ — ისევე ექვა ეპოქის საბედისწერო საკითხად?...

მეცნიერებამ ჰერაკლ ვერ ჰქიდა თვალი იმ შორეულ წარსულს, როცა პირველად გაჩნდა Homo sapiens — მოაზროვნე ადამიანი ყოველ შემთხვევაში, იმის შემდეგ არც ისე შვირე დროა გასული, რომ ჩვენს თანამედროვეებს უფლება ჰქონდეთ თქვან: „დღის ჩვენ უფრო

ნაკლები ვიცით ადამიანზე, ვიდრე რდემან ვიცოდითო“ ან იკითხონ — „რა არის ადამიანი, თუ არა კითხვის ნიშანი?“ და პასუხივ ასეთი ვასცენ: „ადამიანი თვით ამ კითხვებზე პასუხის მოლოდინია“. მერე და, რამდენი ხანი უნდა ელოდოს კაცობრიობა ამ კითხვის პასუხს? ბევრი... ძალიან ბევრი... ამბობენ, მაგრამ უკვე დროც ხომ ბევრია გასული? ვინ მოსთვლის, რამდენი რამ დაწერია და თქმულა ადამიანის ბუნებისა და ღირსების შესახებ? ავიც და კარგად. ჯერ იყო და ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი შექმნა ღმერთმა „ხატად მსგავსებისა თვისისა“, და რომ მას თავს ადგას „შეუფინებელი, ბრწყინვალე, ყოვლის მზედელი, კეთილი მყოფი, ქუელის მოქმედი, უზრუნველი და ძლიერი ნათელი ხეთაებისა“.

საუკუნეების მანძილზე ასე ასხამდნენ ხობას ადამიანს, აღიდებდნენ მის „ლეთაებრივ საწყისს“ და სახიერებას, დიდების შარავინდი სდევდა მას, როგორც Homo Dei-ს „ლეთაებრივ ადამიანს“. ასეა ახალ საუკუნეებშიც.

ადამიანი, გოეთეს აზრით, „ბუნების უმშვენიერესი გვირგვინია“.

„რა დიდებული ქმნილებაა ადამიანი! — წერს შექსპირი, — ეთილშობილურია მისი გონება, უსაზღვროა მისი შესაძლებლობა, იგია მსგავსი ანგელოზისა და თვით ღვთაებისაც, დედამიწის სამკაულო, ყოველგვარი ცოცხალ არსებათა ნიშნუი და შავალითი“.

ისიც თქვეს „ყველაფერი ადამიანის საბოთ ეთიებსო თავის სრულყოფას“.

ასეთი ატესტაციით მოვიდა ის ჩვენს დრომდე, და ეს იყო არა მარტო შეგნება, არამედ მოვალეობაც. ყველას უნდა დაეცვა თავისი ღირსება და სახელი. „რომელმან დაიცივს ღირსებით ღირსება, ღირს იქმნესო“ — ქადაგებდა სოლომონ ბრძენი. ასეთივე თვალსაზრისიდან გამომდინარეობს უფრო განზოგადებული აზრები:

„კაცობრიობა თავის თავად ნიშნაეს ღირსებას...“

(გაგრძელება იქნება)

## „გაბრაზებული“ მწერლის რომანი

ინგლისელ ე. წ. „გაბრაზებულ“ მწერლებს როგორც უცხოეთში, ასევე ჩვენში, სრულიად განსხვავებულად აფასებენ. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ომისშემდგომი წლების ინგლისურ ლიტერატურაში „გაბრაზებულები“ შეტად საინტერესო მოვლენაა. საბელდობრ, დიდი ტრადიციების მქონე ინგლისურ რომანში ასე საგანგებოდ არასოდეს ასახულა მშფოთი წრეების ცხოვრება. ამავე დროს ეს თემატური სიხლე დაკავშირებულია არა პართოტარულ ან რამე მწუბრ ილუოლოგიასთან, არამედ თანამედროვე სინამდვილის უმყოფილებსა და ახალი იდეალების „ანარქისტული“ მიების განწყობილებასთან. ამიტომ კარგია, რომ ქართულად ითარგმნა „გაბრაზებულ“ მწერლის ჯონ ბრეინის რომანი „გზა მაღალი საზოგადოებისაკენ“. გაბრაზებულისა არჩევანიც, რომ სწორედ ეს რომანი ითარგმნა, რადგან, ჯერ-ჯერობით, ხსენებული ჯგუფის მწერლების ნაწარმოებთაგან ეს, როგორც ხანს, ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებია. ქართველი მკითხველი ამ წიგნის შიშართ შემზადებულ იყო ინგლისური ფილითაიც, რომელშიც სიმონა სენიორა თამაშობდა.

ქ. ბრეინის რომანი ითარგმნეს ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებმა ცილა თოფერიძემ და ნოდარ ბაღრაიშვილმა. წიგნის წინასიტყვაობა — გაჯერებული ახალგაზრდები\* და ჯონ ბრეინი — დაწერილი ცილა თოფერიძის მიერ, საეთხის შეტად საქმიან დახასიათებას იძლევა. ვარდა საბჭოთა გამოკვლევებისა, ც. თოფერიძეს წინასიტყვაობაში გამოყენებული აქვს უცხოური ლიტერატურა: ე. კარდინის „ომისშემდგომი ბრიტანული პროზა“, ფ. კარლის „თანამედროვე ინგლისური რომანი“, ჯ. კლოუდის გამოკვლევა „გაბრაზებულებზე“ ე. გორკის „პიბერგამის სისმინობა“ და სხვ. ეს არის ამოწურავი და მაღალ დონეზე მდგარი, მკითხველისათვის საინტერესო წინასიტყვაობა, თონდ შედარად მიგვაჩნია მოსაზრება, თითქოს თავის რომანში ქ. ბრეინმა შექმნა „ტიპიური ხასიათების მთელი გალერეა“ (გვ. 14). მართალია, ქ. ბრეინმა საყურადღებო ხასიათები, გმირები მოგვცა, მაგრამ იგი

მინც არ გეტუნის პლასტიკური და ღრმად განმარზადებული ყილის მწერლობას, რაც აუცილებელია ტიპთა შესაქმნელად. ბრეინთან მახვილი ვადატანილია არა ტიპზე, არამედ ერთი, მთავარი გმირის სულიერ მკლვარებაზე.

თვითონ ითარგმნის ძირითადი ღირსება ისაა, რომ დედანივით ღიად იკითხება. დაქუელი დედნის ენობრივი წყობის გავლენა. მთარგმნელები ცდილობენ წინადადებები ბუნებრივად ეღერდეს; აი რამდენიმე ნიმუში: „ცოტა არ იყოს, სინდისის ქენჭის ვგრძნობდი, დაფტონს რომ ვტოვებდი“ (გვ. 31), „ჩემი იღუმლი ხმა შეკანახობდა საკუთარ თავზე მერტუნა და არა მოყვასის ბედნიერებაზე“ (გვ. 49), „ბარი ვაქედლი იყო საქმისნებით, რომლებიც ნემსის უნწში ძერებთან, რომ როგორმე საქონელი გაიტანონ საექსპორტოდ“ (გვ. 257). ამავე დროს ითარგმნის ენა არაა ზედმეტად „ახალური“ და ელოკუებით მოქარბებული, რაც ზოგ ითარგმნაში იჩენს ხოლმე თავს ბუნებრიობის დაკარგვის შიშით.

ითარგმნის მიმართ გვაქვს რამდენიმე ისეთი შენიშვნა, რომლებიც შეიძლება, ტიპიური იყოს ანალოგიური ყილის ითარგმნებისათვისაც.

ბრეინის რომანი შესრულებულია „ტრადიციული“ ხერხებით და ტემპიკრად მარტოვია. იგი დაწერილია განზრახ დაუბეწეწავი, ე. წ. სასაუბრო სტილით, იოქშირის დიალექტის გამოყენებით. ითარგმნის კი აქა-იქ ზოგი წინადადება, ცოტა არ იყოს, ნაკლებადია სასაუბრა: „მისი შეტყულებისათვის უცხო იყო, როგორც იოქშირელებისათვის დამახასიათებელი შეტისშეტად მკვეთრი ხმოვანი ბგერები, ასევე...“ (გვ. 24), „მაშინვე უუფავადე ასეთი ფიქრი“ (გვ. 73), — „როგორები გაყვართ? — რომელითაც არ ახასიათებთ ძვირადღირებული ლამაზი“ (გვ. 104), „ოთახი საშუალო კლასისათვის დამახასიათებელი ძველებური ყილი იყო მოართული“ (გვ. 139). და სხვ.

„გუთურის“ ნაცვლად, ითარგმნაში ვხვდებით სხვადასხვა მცდარ ფორმას: „გოთიური სტილი“ (გვ. 43), „გოთური სტილის შენობა“ (გვ. 177), „ფილი გოთური სტილის ნანგრევება“ (გვ. 203). ეტთვან წერია: „ბიესის დამთავრების შემდეგ“ (გვ. 61), აქობებდა: „წარმოადგენის დამთავრების შემდეგ“.

ქ. ბრეინი. გზა მაღალი საზოგადოებისაკენ. გამოც. „საბჭოთა საქართველო“, 1964.



წყევტა. ნაწროში დაწერილია პოეტურულად კარგი ენით, ჩვენ შიგლიდან სინანული უნდა გამოეთქვას იმის გამო, რომ დღევანდელს მეტად აქტუალური საკითხები, უფრო ფართოდ არ არის გაშუქებული. მიუხედავად ამისა, ე-

ქვანახის და ბ. წოწონაის წიგნი „მეცნიერება და რელიგია“ ქართული ათვისებული ლიტერატურის კარგი შენამატია.

წიგნების  
მიმოხილვა  
თამარა ზანდიაძე

## ლაპარაკობენ დაღუპული გმირები

მიმდინარე წელს სამშულო ომის ოცი წლისათვის დაკავშირებით გამოშვებულია „ნაკადული“ გამოსცა კრებული სათურით: „ლაპარაკობენ დაღუპული გმირები“. კრებულში შესულია სამშულო ომში დაღუპული ქართველი მეომრების პირადი წერილები და მოკლე ბიოგრაფიები.

კრებულში მოთხრობილია გმირი დაძმის ლაერენტი და თინა იოსებძეების ამბავები ისტორია...

მოხლოების მისადგომებთან გააფორმებული ბრძოლები, მტერი იერიშზე გადმოხდის, მაგრამ ასეული, რომელსაც მეთაურის მეთაური ლაერენტი იოსებძე, კლდესავით დგას და მტერს პოზიციის დაკავების საშუალებას არ აძლევს. ამ უთანასწორო ბრძოლაში მეთაური მძიმედ დაიჭრა და... მამა დის, თინა იოსებძის ხელში დაიღა სული... თინამ დაღუპული ძმის საფლავთან მხედრული ფიცი დასდო, რომ სპაგვიროს მიუხედავად მტერს. მან არ გატეხა მეომრის სიტყვა, ფაშისტებს საკუთარ ბუნებამდე სდია, მაგრამ მასაც უშუალოა ბედმა, თინა იოსებძე გმირული სიკვდილი დაეცა შერლის მისადგომებთან.

— ჩემი გზა მილიონების გზას მიჰყვება და არსად თავდება, რადგან მილიონების გზის დამთავრება არ შეიძლება — ამბობს ერთ თავის წერბულში პოეტი მირზა გელოვანი. პოეტი-ჟარისკაცი ღრმად არის დარწმუნებული, რომ იგი ვაიმარჩევს. არ არის ტყვია, მას რომ მოჰკლავს, რადგან მისი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც კლავდნენ და არა კვდებოდა, იწყოდა, მაგრამ ფერფლიდან დგებოდა, კენესოდა, მაგრამ მუხლი არ მოუღრგვია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის სტუდენტ ვლადიმერ კანკავას ბედატორიაში მოუსწრო ომმა. იგი პირველსავე გაწვევაზე წავიდა ჯარში და ჩაირიცხა პოლიტბელის წოდებით ახლად ჩამოყალიბებულ 294-ე ქართულ დივიზიაში შესანგრეთა ბატალიონის სამხედრო კომისარად.

— ჩემო საყვარელო დედა, — წერს ფრონტიდან ვლადიმერ კანკავა დედას, — სწორედ იმ ადგილებში მიხდება ბრძოლა, სადაც ჩემი გეოლოგიური საძებნელი ექსპედიცია მუშაობ-

და... დისერტაციის აქ ვწერდი, მთელი ეს ბილიკები და აულები ფეხით მაქვს მოვილილი, თავს კარგად ვგრძობ, ჩემზე ნუ იღარდებ, თვითონ გაუფიქობილი თავს“.

ბაქსანის ხეობაში, ელზოტოვის ახლოს იმდროინდელი პოლიტბელი ვლადიმერ კანკავა, როცა ამ წერილს წერდა დედას ერთ-ერთი ოპერაციის დროს მეთაური ნაღმის ნამსვრევით სისიყვდილოდ დაიჭრა, სიკვდილის შეძლე მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სამატიო წოდება.

1942 წელს ქერჩის ნახევარკუნძულზე წარმოებულ ბრძოლებს დროს გმირულად დაღუპა მაიორი გიორგი მამიალდინიშვილი. მისმა პოლკმა მთელ ფრონტზე გაიტეხა სახელი და სარდლობის მადლობაც დაიმსახურა.

„...იმდენი დრო არა მაქვს, დაგარიგო როგორ მოქცე, — წერდა გიორგი ფრონტის ხაზიდან სავერელ მთელზე შეთვასი, — ახლა მთლანად დაკავებული ვართ ერთი მთავარი მიზნით, უფრო მავრად ვერტყათ საქლდედ გერმანულ ფაშისტ არაშხადებს, რომ საბოლოოდ გავანადგუროთ დამპყრობლები“.

ომი სულ ახალ დაწყებული იყო, როცა ბორჯომის სამხედრო კომისარიატზე 17 წლის ახლადუღვაშაკორილი ჭაბუკი გამოცხადდა და ფრონტზე მოხალსედ წასვლა სთხოვა კომისარს.

კომისარმა ახალგაზრდის სურვილი დაკმაყოფილა და სამხედრო ნაწილში ჩაირიცხა.

ეს იყო ერთნის ლეენის ძე ინაური. უკრაინის მეორე ფრონტის 127-ე მსროლი დევიზიაში 20 წლის ინარმა სტაქანტის წოდება მიიღო და ათველს წინ გაუძღვა. ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს იგი შეაწყდა მტრის მიერ დანადგულ მეთელხლარტებს და გმირულად დაიღუპა.

კითხვობა ჭაბუკი მებრძოლის მიერ ფრონტის ხაზიდან გამოგზავნილ წერილებს მშობლებსადმი და თვალწინ ცოცხლდება გმირის სახე.

— ჩემო დედიკო, — წერდა დედას ერთნისი, — დღეს უკვე უმტროსი მეთაური ვარ, მყავს 17 კაცი. ნამდვილი დევნილები არიან. ისინი ჩემს ბრძანებას უყოყმანოდ ასრულებენ, მეც კეთილსინდისიერად ვემსახურები სამშობლოს და პირანათლად ვამართლებ ჩვენი თავისუფალი ხალხის დიდ ნდობას, თუ სპე-

ლაპარაკობენ დაღუპული გმირები. გამომცემლობა „ნაკადული“, 1965.

როგმა მოითხოვს მხედ ვარ თავი გავსწირა სა-  
მშობლოსათვის, ჩვენი ხალხის ბედნიერებნი-  
სათვის\*.

ბორჯომის რკინიგზის მე-15 სკოლის № 2  
პიონერულ რაზმეულს, სადაც აღრე ირიცებო-  
და გრონის ინაური, მიუთვინებელი აქვს გმი-  
რის სახელი.

ომში სიკვდილი ბევრნაირია. შესაძლოა  
მტრის ზეირ გასროლილმა ბრმა ტყვიამ მოუ-  
ლოდნელად გამოსასლმოს ჭარისკაცი სიცოცხ-  
ლეს, მაგრამ როდესაც სიცოცხლის ფასად სა-  
კეთხარ თავს სწირავთ ათასების გადასარჩენად,  
ეს ჭეშმარიტი გმირობაა.

თი, ასეთი სიკვდილით დაეცა ბრძოლის ვე-  
ლზე შოთა გამეცმლიძე, რომელმაც იხსნა ბა-  
ტალიონი მტრის მარწუხებისაგან.

«— იცი, დედა, მე მინდა ფრონტზე კომუ-  
ნისტი ვავხდე, — წერს დედის საბჭოთა კავში-  
რის გმირი შოთა გამეცმლიძე, — ზოლო ყო-  
ველი კომუნისტი უნდა ფიქრობდეს იმაზე,  
რომ ყოველი აღამიანი კარგად ცხოვრობდეს.  
ერთი რამ გწამდეს, შენი შვილი, ჩემო საყვე-  
რელი დედაო, სირცხვილს არ ვაჭმევს და  
მტრის საზავიეროს მიუზღავს».

გმირის წინათგრონობა გამართლდა. მან თავი  
შესწირა სამშობლოს, რათა გზა გაგხსნა  
ჩვენი შოთაგანზე შეომრებისათვის, ეხსნა ისინი  
აშკარა განადგურებისაგან.

«ესეულეზო, თქვენ არ შეგიძლიათ მოკლათ  
გული, რომელსაც უნდა სიცოცხლე და რომე-  
ლიც მიწიდან აღებს საზრდოს, თქვენზე გი-  
ონებებს მწარედ მომავლის ისტორიკოსი, მო-  
მავლის თაობა, რომელიც ამოვა ფარაყეზიდან  
და ბლინდაყეზიდან» — ასეთი ომტამისტური  
განწყობილებით წერდა ფრონტიდან მწერალი  
ვიორგი ნაფეტვარიძე. იგი მირზა გელოვანივით  
სრულიად ახალგაზრდა ჩადგა სამშობლოს და-  
მცველთა რაგვებში, კალმითა და ხიშტით ებრ-  
ძოდა მონისტლე მტერს:

თუ მოადგება მტერი ტრამალებს,  
გმირების გვერდით უნდა მივებოთ...

ვისაც ფრონტებზე ერგოთ — სამირე,  
ამისი იყოს ეს სადღეგრძელო...

წიგნების

ოცდაოთხი წლის ჰაბუკუხე (ჰაბუკუხე) გელოვან  
ნაფეტვარიძემ სიტყვა საჭმელ აქცია. მან თავი  
შესწირა სამშობლოს. მისი პოეტური, ჭერ კი-  
დეც სათლთი გული მამულის თავისუფლები-  
სათვის ბრძოლაში დაიდგრა.

იგივე ბედი ეწია უმცროს ლეიტენანტს პოეტ  
სანდრო ქლენტს. ფრონტული ვაგვთის „სამ-  
შობლოს დამცველის“ რედაქტორისადმი გა-  
მოგზავნილ ლექსში პოეტი ჭარისკაცი წერს:

ჩემო სამშობლო, მტერს არ ვახარებთ  
ხმალომწედილი გმირი ვეფხვები,  
როდის ყოფილა დროში დავხარებთ,  
ცაც კი ბრწყინავდა ჩვენი შეხებით.

ეს იყო პოეტის უკანასკნელი ლექსი...

1943 წლის 23 თებერვალს ყუბანის პატა-  
რა დასახლებული პუნქტის კალაბატკისთვის წა-  
რმოებული ბრძოლების დროს სამუდამოდ შე-  
წყდა კიდევ ერთი ჭარბეული მებრძოლი პოე-  
ტის სიმღერა...

კრებულს „ლამარაკობენ დაღუბული გმი-  
რების“ გამოსვლა მისასალმებელია. კრებულის  
შემდგენლებს (ირჩ. კოკილაშვილი, ელ. უბი-  
ლავე) დიდი შრომა გაუწევიათ მისალმების შე-  
რჩევის თვალსაზრისით.

აქვე მინდა კრებულის შემდგენლებს ვუ-  
საყვედურო; კარგი იგნებოდა ახალგაზრდა პო-  
ეტების: მირზა გელოვანის, ვიორგი ნაფეტვ-  
არიძის, სანდრო ქლენტის, და ვლადიმერ უბი-  
ლავეას გვერდით წიგნში შესულიყო ნიჭიერი  
პოეტი სევერიან ისიანი, რომელიც გმირულად  
დაეცა ბრძოლის ველზე.

ჭარბეულ მკითხველს კარგად უნდა ახსოვ-  
დეს და არ უნდა დაიფიქროს არასოდეს ის ადა-  
მიანები, რომელთაც თავი შესწირეს სამშო-  
ბლოს.

ზურაბ მებრძოლი

0 9/288

ОФИЦИАЛЬНЫЙ  
ИНДЕКС  
76128

ՅՆՆՈ 80 ՎՎՎ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“